ოთარ ჩხეიძე

არტისტული გადატრიალება

რომანი

„ლომისი"
თბილისი
2002

ამბავი „არტისტული გადატრიალებისა“ 1991 წლის შემოდგომის და 1992 წლის პირველი კვირის მოვლენების ფონზე ვითარდება. ამბავი დრამატულია, მოვლენები ტრაგიკული. ოღონდ აღსანიშნავია: ავტორის სტილი უფრო ირონიულ-სატირულია, ვიდრე დრამატული, ანთუ ტრაგიკული. ეს ალბათ იმიტომ, რომ აქ, ამ რომანში, ადამიანებს არ გაეგებათ ან უჭირთ გაიგონ, თუ რასა სჩადიან, რა სურთ და რა შედეგი მოჰყვება მათს მოქმედებას. საყოველთაო დაბნეულობაში იკარგება საერთო მიზანი და თვითონაც ინთქმებიან მოვლენათა ქაოსში.

ეს მეორე გამოცემაა „არტისტული გადატრიალებისა“.

პირველი 1994 ნელს გამოვიდა 1991 წლის შემოდგომისა და 1992 წლის პირველი კვირის მოვლენების ცხელ კვალზედა. ამ მოვლენებს შეეხებოდა და ამ მოვლენებს მოჰყვა. შეშფოთდა მწერალთა კავშირი. გულმოდგინედ ნამზადი ყრილობა მოინვია და ორი ბრალდება ნაუყენა „არტისტულ გადატრიალებასა“: I – მოვლენის შემდეგ დიდი დრო არ გასულა და არ შეიძლება რომანის დაწერა ასე მოკლე დროშიო და II – წიგნი კერძო გამომცემლობამ გამოსცაო. აი მწერალთა კავშირი, აი ყრილობა, აი პრობლემები!.. მე იმ ყრილობას არც დავსწრებივარ, ყურადაც არ ვიღე რჩეკანი იმისი თუ თეორიული ნიაღსვლები, მოვადევნე „თეთრი დათვიცა“, „ბერმუდის სამკუთხედიცა“, „2001 ნელიცა“, მოგერიებაც რო მიხდებოდა უმართებულო თავდასხმებისა. ამასობაში „არტისტული გადატრიალება“ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. საჭირო შეიქმნა ხელახალი გამოცემაი იმისი.

გამოცემით ისევ „ლომისი“ გამოსცემს. პირველადაც „ლომისმა“ გამოსცა.

„და დაე გვძრახვონ“ მძრახველებმა და დროს უცადონ...

ოთარ ჩხეიძე
2002

ნათესავი ქართველთა ორგულ ბუნება
არს პირველითგანვე თუისთა უფალთა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი

ასრე სჭირს საქართველოსას დიდებულთ,
გინა მცირეთა, აზვავდებიან, იტყვიან:
„უჩემოთ ვინ იმღერეთა?“

მეფე არჩილი

I

აღელდა ხალხი, აფორიაქდა და აფორიაქდა ე ს ე ც ა.

ე ს ე ც ა მეთქი, – სახელს ახლავე ნუ მოითხოვ, თხრობას მოპყვება. ყველა ჩაჯდება თავის ადგილასა.

აფორიაქდა.

უკმაყოფილო ყოველთვის იყო, აფორიაქებული არა. აფორიაქებული ხალხი იჭედებოდა ავტობუსშია და შეიჭედა ესეცა. შეიჭედა. ფეხზედაც იდგომებოდა. სხვებიც იდგნენ. იდგებოდა ეგრე თბილისამდისა, აფორიაქებული იდგებოდა. იდგა კიდეცა კარგახანსა. მერე ვიღაცამ დაუთმო ადგილი. გოგონამ დაუთმო. ჯერ გოგონამა, მერე ყმაწვილმა, ანუ: ყმაწვილმა გოგონას დაუთმო ადგილი. თეატრში ხალხი აღარ დადიოდა, თორემ ვინ გააჩერებდა ფეხზედა, თუნდაც ერთ წამსა, – განა თუ ერთი, რამდენიმე წამოუხტებოდა. გოგონა ალბათ ბოლოღა მაყურებელი თუ იქნებოდა. ყმაწვილმა გოგონას დაუთმო ადგილი. ენაცვლებოდნენ ერთიმეორესა. ყმაწვილს არც უნდოდა შენაცვლებოდა. გოგონა წყრებოდა. ეს იჯდა. ავტობუსი მიექანებოდა, აფორიაქებული ავტობუსი მიესწრაფოდა აფორი-

აქებულ თბილისსა. პრეზიდენტი მოუწოდებდა: იხსენით სამშობლო, იხსენით თქვენი დამოუკიდებლობაო. მოუწოდებდა. მოუწოდებდა. ილია, აკაკი, ვაჟა ერთობლივად წამოეშალა, ერთობლივად მოუწოდებდნენ. და ჰღელავდა დედაქალაქი, ერი ჰღელავდა, მიაშურებდა დედაქალაქსა. მიექანებოდა, მიჰღელავდა ავტობუსები, რომელი თუ რომელს გადაასწრებდა, რომელი თუ რომელს გადაუვლიდა, პირველთაშორის რო მოხვედრილიყო. გული საგულეში ვეღარ ითმენდა, უნდა ეყვირა, უნდა შეეტია, უნდა ჩაეხშო, აღმატებულიყო უნდა. და მიექანებოდა და მიესწრაფოდა, სადაც რო ჰყვიროდნენ, სადაც რო შებმულიყო ხმები, ხმები სად ლეწავდა ერთიმეორესა; ვეღარ ითმენდა, ვეღარ ეტეოდა, ეგონა, ეგონათ, მიჰქროდნენ სხვანი და მიჩოჩიალობდნენ ესენი; არადა: მიჰქროდნენ ესენიცა აგრეთვე, – მძღოლსაც ყვირილი მონდომებოდა, მიჰქროდნენ, მიჰქროდნენ. ესეც იყვირებდა, მძღოლი ჰო ითქვა, ესეცა, ადგილი რო დაუთმეს: ხმა ძლიერი ჰქონდა, დაიპყრო ხმითა პატარა ქალაქი, ანთუ: ჯერ სცენა დაიპყრო, მერე ქალაქიცა, ანთუ: აიღო გიტარაი და გავიდა ქალაქშია, – რესტორნებშიო თუ ოჯახებშიო, ყველგან სასურველი სტუმარი ბრძანდებოდა. დაიპყრო. დაიპყრო. დაიპყრო ხმითა. გაგულადებულიყო ეს ავტობუსიცა, – ხმა ახლდა ძლიერი, გმირული ხმა ახლდა, უამრავი სიავე რო დაეთრგუნა, აღემაღლებინა სიკეთეი და გასულიყო სცენიდანა ტაშითა, ვაშათი, ყვავილებითა. ხოლო სცენა თუ მიბაძვაა სინამდვილისა, სინამდვილე ეს არის: პრეზიდენტი გიხმობთო. რაღა მიბაძვაო, რომელი ასლიო, თვით სინამდვილე რო ღაღადებდა: გიხმობთ, იხსენითო. თეატრში აღარც დადიოდა ხალხი. შინაც ვეღარ გაჩერებულიყო. ვეღარა. ხალხი ქუჩაში გამოსულიყო, თეატრიც ქუჩაში, ანთუ უფრო სწორი იქნება: თეატრი რო გამოსულიყო ქუჩაშია და ხალხიც თან რო გამოჰყოლოდა. ქუჩაში. ქუჩაში. ხალხი ქცეულიყო თეატრადა, თეატრი – ქუჩადა. ქუჩაში. თეატრს თავგზა არ აჰბნევია, იქ გაჩნდა, სადაც თეატრი გაჩნდა. ხალხი თეატრში აღარ დადიოდა, ესეც – აღარა,

თუმცა არა:

შეივლიდა ხოლმე, მაინც გარეთ იყო, მაინცა ტრიალებდა იქვე მახლობლადა, როგორც რო სხვანიც შეივლიდნენ – თუ უკაცრავად არ ვიქნები: გასანთავისუფლებლადა.

შინ ველარავინ გაჩერებულიყო. გარეთა ჰყვიროდნენ და შემსუბუქებაც გარეთ ენებათ. შინ არ ირბენდნენ, თეატრი რო იქვე ეგულებოდათ, – სკოლებიცა!.. სკოლაშიც რო აღარ დადიოდნენ: სკოლა ცხოვრებაა. მორიდებაც დაკარგულიყო. დაკარგულიყო. და შარდის სუნი იდგა ქალაქში, პატარა ქალაქში, – დიდშიაცა: დედაქალაქში ესეიგი. ესენიც მიჰქროდნენ, მიესწრაფოდნენ, კიდევაც რო მიემატებინათ სუნი. მიჰქროდნენ. მიჰქროდნენ. ვინც ისხდნენ, იმდენი არაფერიო. ვინც იდგნენ, გაუჭირდებოდათ. ეს იჯდა. დაუთმეს. გადაუხდიდა ესეცა თბილისში. მოასვენებდა: სულ ჰო ქუჩაში არ იდგებოდნენ, სულ ჰო არ იყვირებდნენ?.. თუმცა არც იცოდნენ თუ რა ევალებოდათ: პრეზიდენტი გიხმობთ, პირველი პრეზიდენტიო, – იხმობდა და ეახლებოდნენ, მოვალეობაც გამოჩნდებოდა. მოსვენებაც დასჭირდებოდათ. მოასვენებდა. სულო ცოდვილო, და: კაი გოგო სჩანდა, – გადაპხედავდა დროდადრო ქორულადა, ხან ირიბადა, ხან შემპარავად; სულო ცოდვილო და: ბიჭი ზედმეტი გახლდა. აქამდისაც შეამჩნევდა ამ გოგოსა, თეატრს თეატრობა რო შერჩენოდა. შეამჩნევდა. გამოარჩევდა. ახლა იყოს. გზა იყოს. გზამაც თავისი თავგადასავალი იცის. გზამ იცის, თორემ თეატრი რაო, თეატრში ჰო ყველაფერი გამოგონილია, თუ ეს ცხოვრებაც გამოგონილი არ არის თავით ბოლომდისა, ასე ადვილად რო იქცა თეატრადა, ადვილადა, ადვილადა, რო ველარც განასხვავებ ერთიმეორისაგანა. თუმცა ამბობენ: ცხოვრება ცირკიაო, თეატრიაო, – ესეც ნათქვამია, ძველთა ნათქვამია და ახალი საკითხავი აღარც უნდა იყოს; ოღონდ ეს მაინც საკითხავია: თუ ყველგან თეატრია, ყველა თუ თეატრობს, ძველადა და ახლაცა, მაყურებელი სადღაა, ვიღაა?.. საკითხავია და საპასუხოცა: ალბათ ისაა, იგია. იგი უზენაესი, ერთადერთი, მთელი ეს ცხოვრება თეატრია იმისი და-

საბამიდან დასასრულამდე, უკუნითა უკუნისამდე. დიდებულია მაყურებელი, დე იყოს ერთი, დიდებულია. თეატრიც ჰო დიდებულია?.. თუ უვარგისია, თვითონვე დაიბრალოს, – თვითონვე ბრძანდება რეჟისორიცა. დაიბრალოს. თუმცა არაო. კარგია!.. გოგო წამოდგება: კარგია, კარგი!.. ზის – კარგია, წამოდგება – კარგია. იქითაც კარგია, აქეთაც კარგია. ეფ!.. არა!.. არა!.. რეჟისორად ეშმაკი ჰყავს გამწესებული, სანახაობა ეშმაკისაა, – ეშმაკისაა, იმისი დადგმულია, მხოლოდ ამისთვისა, ერთადერთი მაყურებლისათვისა, მეტი რო არცაა და არც უნდა მეტი: იყოს ერთი და ასე დიდებული, აღმატებული ასე, ვისთვისაც რო მხოლოდ ერთი სცენაა მთლად დედამიწა, ერთი, პატარა, პატარა სცენაა, თავისი მზითა, მთვარითა თუ ვარსკვლავებითა, პლანეტებითაცა, რაღა თქმა უნდა, ერთი პატარაი, სხვაგან რო იცის თეატრები დიდნი ბევრადა, სხვაგანა, სხვადასხვა სამყაროებში. შეიცვლება დეკორაციები, პლანეტათა დეკორაციები, გადაადგილდება სამყაროები. ავა. ჩამოვა. გადაიწევა. გადმოიწევა. მიეფარება. წინ ნამოდგება. ფესტივალია დიდი თეატრებისა. და შეჯიბრებულან ეშმაკები, რეჟისორები სხვადასხვა სამყაროთა. შეჯიბრებულან. გაჯიბრებულან. იმ ერთის წინაშე. მაყურებელი რო მხოლოდ ისაა, ხოლო ეშმაკი უამრავია. უამრავი, უამრავი. ბიჭი ზედმეტია. ზედმეტი ზედმეტია. არ უნდა აეჩეჩა. რად უნდა ლაპარაკი: არც იცნობდნენ აქამდის ერთმანეთსა, – გოგომ ამას დაუთმო ადგილი, ბიჭმა გოგოსა, – კარგი საბაბია. არ უნდა აეჩეჩა. ზედმეტია. ზედმეტია ბიჭი.

წლები ემატება და ვითომც არაფერიო, ისევ ამხელა გოგონები მოსწონს.

მაინც რამდენი წლისა იქნება?.. ცხრამეტისა – ოცისა – თვრამეტისა?.. თვრამეტამდის ხელისხლება არც შეიძლებოდა. ისჯებოდა. მკაცრად ისჯებოდა ხელისმხლებელი. ნებაყოფლობაც აკრძალულიყო. გათხოვებაც არ იქნებოდა. რუსებმა განგებ დაგვიწესესო. გამრავლება არ უნდოდათ ჩვენიო. გაცხარდა საბჭოი უზენაესი, ეროვნული საბ-

ჭოი, კანონი მოშალა უმაღლესი საბჭოსი: თვრამეტი დასნია თექვსმეტამდისა, დასნია ერთხმადა და ტაშსაც უკრავდნენ დიდხანს ერთხმადაცა, – აი ახლა გავმრავლდებითო. უკრავდნენ. უკრავდნენ. სულო ცოდვილო: ისინიც ალბათ თექვსმეტისანებზე თუ აღერღილან. სულო ცოდვილო. სულო ცოდვილო. შესჭიდებიან ბედისწერას ერისასა ადამიანები, უნდა დაუფასო. თვრამეტი. თექვსმეტი. თვრამეტი. თექვსმეტი. მაინც რამდენიო. რაც უნდა იყოს ეს ბიჭი მაინც ზედმეტია. თვითონვე ჩაეჭიდა ხელი. თვითონ შენაცვლებოდა. ვერ მოასწრო. ახალგაზრდობა მაინც ახალგაზრდობაა. უფრო ფიცხელია, უფრო ვნებიანი და აზრიც ისევე გახელებულა. არა, ბარე ორს კიდევ წამოაჩოქებს ასეთსაცა და უკეთესსაცა. წლები რაო, რა მოხელეა. გოგო მზადაა, – მზადაა სართვლოდ, როგორც კახეთიო. შეთვალებულიც კარგი იქნებოდა. წლები რაო. თვალი თვალსა ჰხედავს, რაღა პეიტარი უნდაო, თვალი და ჯანი, თვალი და ჯანი, – წლები ტვინის ჭყლეტა არისო, თავისი წლებიც არ გამოუთვლია. თვალიც უჭრის. მოსდევს ჯანიცა. დალევა არის და – სვამს ხარივითა. აქ ვისაც უნდა დაუდებს ტოლსა, იქ ვნახოთ – თბილისში. თუმცა. იქ თურმე დიდი აურზაურია. აურზაურსაც ჯანი უნდაო, ხმაც უნდაო, ხმაი, – ხმაც მოსდევს, ჯანიცა. ხმაი და რა ხმაი: ზანზარებს თეატრი პროვინციისა, დედაქალაქისა ვითომ რაღაა, – ვნახოთ, რაც არის. ვნახოთ. ვნახოთ. აქ ჰო ამბობენ. ხორავას ხმა გვესმისო, იქაც გააგონებს. ახლა ყველაფერი მაინც ხმად იქცა. ქვამაც ხმა ამოიღოო, მუნჯმაცაო, იტყვიან. ეგება რო დუმილი ჯობდა. ჯობდა თუ რაც არის, როდის თუ რა გასჭრის, აირჩევს იმასა. ანთუ აჰყვება. უფრო ასდევს ამ ბოლო დროსა: ჰყვირიან, – ჰყვირის, მიიწევენ მიკროფონისაკენა, – ესეც მიიწევს, დააცხრებიან და – ესეც დააცხრება, ჩაბღუჯავენ და – ჩაბღუჯავს ესეცა, აღარ ეშვებიან და – აღარ ეშვება ესეცა, აღარა, აღარა: ლაპარაკობენ და ლაპარაკობს, ამტკიცებენ და ამტკიცებს, სიტყვები მოსდის ნიაღვარივითა. სუფრასთანაცა. სუფრასთან არ უკვირს. სუფრასთან ჰო ღვინო ლაპარა-

კობს. აქ რა ლაპარაკობს, ვერ აუხსნია, – მიკროფონთა
რაღა თქმა უნდა. ესაა, რო წამოეგზნება, თითქოს ჯიხ
გამოუცლიაო, უარესადაც წამოეგზნება, უარესზე უარ
სადაცა; რაღაც სხვა ათრობს, რაღაც აიყვანს, დააბორი
ლებს მთვარეულივითა, ანთუ რაღა მთვარეულივითა,
მთვრალივითა უფრო სწორია. აიყვანს, აიტაცებს, აბორ
გებს, ასხმარტალებს, უცებაც მოსხლეტს, დააგდებს უც
ბადავე და რო წამოდგება, ნაბახურევია თითქოსაო. ნაბა
ხურევი. ნაბახუსევი. ბახვა. ბახუსი. ბახუვა – ჭინკა კოლ-
ხური ბაბილოებისა. სხვათათვის თუნდაც რო ღმერთი
იყოს. ჭინკა!.. ერთისიტყვით სწყურიან ისევა, მიკროფონ
სწყურიან ისევა. ჯიხვია თუ მიკროფონიო. აქ აღარც ითმე-
ნენ, მიდიან და მისდევს ესეცა. მიდიან. აჰყოლია. აი და: ავ-
ტობუსშიც ამოჰყო თავი. იმდენიც ვერ იმარჯვა, დაეპყრო
სავარძელი. დაუთმეს. ეგება ამანაც დაუთმოს ვინმესა,
ძნელი იქნება, აქედან ჰეეე – თბილისამდისა – ძნელი იქნე
ბა!.. არც დაითმობა დათმობილიო. ბიჭი ზედმეტია, ვინ
რა უნდა თქვას: ბიჭი ზედმეტია.

„ზედმეტია!.." ეს ქალის ხმაა, გამკივანი, ნაცნობი ხმაა
ეტყობა ვინმეს რო ედავება, „ზედმეტია ლაპარაკი, – ჩეე
იქ დავრჩებით, სანამ საჭირონი ვიქნებით". ძლიერი ხმა
ჰკვეთავს ავტობუსსა. გუგუნებს ავტობუსი. გუგუნებ
გუგუნებს. ისაა, ისა. ცოტა შეცვლილა თვითონაცა, ხმაც
მაშინ წკრიალებდა: გაჰკვეთა პარტერი და აეჭრა სცენა
ზედა. ხმაც მიეჭრა და მიეჭრა თვითონაცა. მიანოდა თა
გულიცა და ტუჩებიც მიანოდა, ფუნჩულა ტუჩები. მერე
იგემა ტუჩნი იგინი, ბევრჯერაც იგემა და იგემა უფრო სა
გულდაგულოდაცა, ოღონდ ის მაინც სულ სხვა რამ იყო, ი
პირველი, პირველი იგი მაუწყებელი ნარმატებისა, თუმც
რო პროვინციულ ქალაქშიო, მაგრამ და რაო, წარმატებ
რო მაინც წარმატება ყოფილა და სხვაგვარადაც აუძგერ
ბია გული. უკრავდნენ ტაშსა, ესვროდნენ ყვავილებს
შესძახოდნენ აღტაცებულნი და მეტი რაო – რა პროვინცი
აო, რა დედაქალაქიო, დაჰხუჭე თვალები და წარმოიდგინ
რადაც გენებოს, თუნდაც სწორედ რო სატახტო ქალა

და, ტახტი რო წარსტაცეს ორი საუკუნის წინათა. ორი საუკუნისა. და რო ჰგონია, რო დაიბრუნა. წარმოიდგინე როგორც გენებოს: ვითომც შენ იყვე სამყაროს ფესტივალი და უზენაესი გიკრავდეს ტაშსა, – ვითომ შენ იყვე და ვითომ ისა, მხოლოდ შენ იყვე და მხოლოდ ისა. როგორც გენებოს. ვითარც გენებოს. დაჰხუჭე. გაახილე. გაჰქრებიან წარმოდგენანი და შეეხეტები მიყრუებულ თეატრში თუ შეეხეტები რაღა თქმა უნდა. ავტობუსთან შესცინეს ერთმანეთსა. ჯერ იმან შესცინა. ამან გზა დაუთმო. მერე სხვას დაუთმო, მერე კიდევ სხვასა, მერე თვითონ სხვაგან ავიდა. რამდენიმე ჩამოეყენებინათ, ხალხიც ბლომად მოგროვილიყო. სხვაგან ავიდა. მაინც ერთად მოხვედრილიყვნენ. მხრები აიჩეჩა. აიჩეჩა. აიჩეჩა. ეს როგორღაო, ველარ გაეგო. დიდიხანია აღარ შეჰხვედრია. მაშინაც დიდხანს არ აჰყოლია. მალე გათხოვდა. თითქოს მოშვებულა. მკვრივი გოგო იყო. ტკიცინა. ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა. ასეთი. მიდიან. მოდიან. არა!.. ის ისაა, იქაა. უცვლელია. რაც რო გიზიდავს უცვლელია. იარონ, რამდენიცა ნებავთ, ის უცვლელია. მაინც რამდენიო, – რა ხანი გავიდა, რაც აქ ჩამობრძანდა: ოცდახუთი?.. ოცდაათი?.. მაინც რამდენიო. იყოს, რაც არის, არა ჰღირს თავსატეხადა. არა. დრო დროა. დრო დგას. შენ სულ ამაოდ ახლი შუბლსა.

ახალე თუ გნებავს.

აქამდე არ უხლია. არა. ღვინო. დუდუკი. ქალებიო. დუდუკის ნაცვლად გიტარა ითქმის: ღვინო, გიტარა, ქალებიო. სვამდა. უკრავდა. დამღეროდა. შეჰხაროდნენ. და. შეჰხაროდა. ეხვეოდნენ. და. ეხვეოდა. ჩაითრიეს. და. ჩარჩა. ჩარჩა. მხოლოდ ხანდახან თუ გაახსენდებოდა, რო ჩარჩა. გაახსენდებოდა, ჩასარჩენად რო არ ჩამოსულა. ერთ-ორ წელს დავჰყოფთო, ვასო ყუშიტაშვილი ასე არწმუნებდა, ფეხზე დავაყენებთ გდიდის თეატრსა და მოვუბრუნდებით ისევ თბილისსაო. არწმუნებდა სჯეროდა იმასაცა, ამასაცა. ის მართლაც დაბრუნდა ორი წლის შემდეგა, მართლაც დაყენა თეატრი ფეხზედა, ქალაქი თეატრს დაუბრუნა, თეატრი იქცა ქალაქის გულადა, თეატრალურ ქალაქად იქცა

გადაიყარა იერი პროვინციული, თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ისე, ზერელედა, თორემ თვით თბილისი რო იძირებოდა პროვინციულ ჭაობში, თბილისის პროვინცია რაღა იქნებოდა; გადაიყარა, გადაიყარაო, მაინც ეს ითქმის და ცოტაც გაფერმკრთალდა მაშინვე, მაშინვე, გამოეთხოვა თუ არა ვასილი ორი წლის შემდგომა, მაშინვე დაუქნია თუ არა ხელი მატარებლიდანა, თითქოს წამოჰკრიფა, რაც რო მოეტანა და თან წარიტანაო, წამოჰკრიფა უცხო რამ შუქი, მშვენებაი თავისებური, ქალაქი რო გაალამაზა თანდათანობითა, რო აამაღლა პატარა ქალაქი, გაალაღა, გაათამამა. გამოეთხოვა თუ არაო. ჰო. თეატრი დაეშვა. დაეშვა ქალაქი. დაეშვა. ვასილი კიდევ ჩადიოდა ხოლმე. შეივლიდა თეატრშიცა ხოლმე, ოღონდ ხანდახანა, მხოლოდ რო ხოლმე, და ბევრსაც ველარასა შველიდა ხოლმე. ესეც რაიკომის მდივნის თხოვნითა. გამოერეოდა ასეთი რაიკომის მდივანიცა, მდივანი რო მდივანია, გამოერეოდა იმათშიაცა. ხოლმე. ხოლმე. ჩამოდი ხოლმეო. შეეხვეწა, მხოლოდ ხანდახან ჩამოდი ხოლმეო, მხოლოდ ქალაქში გაიარე, ესეც ლაზათია, ესეც ფერია, თეატრშიც ჰო შეიხედავო; ხანდახანაო, როცა გენებოსო, სასტუმროში ლუქსი დაიკეტება შენს სახელზეო. რესტორანში მაგიდა გექნებაო. კიდევ რას ინებებ, ანთუ რას ითხოვ, შენი ხმალი, ჩვენი კისერიო. და ჩადიოდა ისიცა. ხოლმე. შეივლიდა თეატრშიცა. ხოლმე. და მკრთალი რამ სიოც გაჰკრავდა ქალაქსა. ხოლმე. თითქოსა. თუ. მართლაცაო; რაც იყო მიილია თანდათანობითა, მიჰქრა, მინავლდა. აღარ ახსოვდა აღარავისა აღარცა ვასილი, აღარც ის მდივანი, აღარც თეატრის ზეიმები აღარავის აღარ ახსოვდა. ზეიმები, პრემიერები, ოჯახების ზეიმებიც რო გახლდა. ახალი კაბები უნდა შეეკერათ დედებსა და ქალიშვილებსა. შინაბერებს ჰო ნუღარ იტყვი!.. მამაკაცები ბრიოლინს ისვამდნენ თმაზედა. და ის რაიკომის მდივანი მოჰხსნეს იმიტომაცა, უცხოურსაო, ბურჟუაზიული ნარმოების ბრიოლინსა ხმარობსო. ცოლშვილს იფიცებოდა. მამაპაპის საფლავებს იფიცებოდა: ბრიოლინი არც ვიცი, არც გამიგონიაო. ვინ დაუჯერებდა?!.

ვინა, –
როცა
არავისი
არავის
არაფერი
არა
სჯეროდა, –

იყო ასეთი დროცაო, იტყვიან. რა სათქმელია!.. დროს არც ნამყო აქვს, არცა მყობადი, დრო მხოლოდ აწმყოა. დრო არის, არის, არის. ადამიანები იყვნენ, არიან, იქნებიან, რანიცა ყოფილან იქნებიან იგინივენი. მოდიან, მიდიან, მიედინებიან. თამაშობენ. თეატრობენ. წარვლიან. შეჰყურებს დროი, უცვალებელი. მარადიული, მაყურებელი მარადიული. მსახიობები რო იცვლებიან. თამაშობენ. გადიან. ყველა თავისასა თამაშობს და იგივესა თამაშობს ყველაი. იგივესა. იგივესა. იგივესა. ესეც ეგებ რო მარადიულია: თეატრი. დროი. ცვალებადი და მარადიული. უცვალებელი და მარადიული. მოუკლებს ავტობუსი აღმართებზედა, დაღმართებზე მუხრუჭებს მოიშველიებს. მერე მიჰქრის. მერე მოუკლებს. ადის. ეშვება. მიუხვევს. მოუხვევს. გუგუნებს. გუგუნებს. და ყრუვდება ზოგჯერ გუგუნიცა, ახმაურდებიან მგზავრები იმგვარადა. ახმაურდებიან. ჰყვირიან. ჰყვირიან. კამათობენ თუ ეთანხმებიან. სულერთია ჰყვირიან მაინცა, თითქოს რო დაყრუვდა მაყურებელიო, ანთუ შორსააო, მიკროფონითაც რო ვერ გააგონებენო. ჰყვირიან. გუგუნებს. რომელი რომელსაო. ამას გიტარას მიაჩეჩებენ. გიტარა?.. ავტორის რემარკითაა გათვალისწინებული თუ რეჟისორის ჩანამატია, ხალისი რო შეჰმატოს ეპიზოდსა მდარესა, ანთუ დიალოგსა მოდუნებულსა?.. მიაჩეჩებენ. უკანვე გადააწვდის. ხასიათზე ვერ არის. ნამთვრალევია. ბახუა. ბახუსი. ნაბახურევი. არც წაუხემსია. ისევე გამოვიდა ქუჩაშია. გამოვიდა. შეესწრო მიტინგსაო თუ თავყრილობასა, ისე იმგვარ თავყრილობასა, თავი რო ამოჰყო ავტობუსშია. ეეეეე... კარგია!.. ეტყობა დასცხა. დგება და იხდის. იხდის ჯუბაჩასა. ბიჭი ეშველება.

იფ!.. კარგია!.. ჩატუკნული გოგოა. ზომიერადა. ზომიერადა. მეტი არ ივარგებს, არც ნაკლები რო არ ივარგებს. ნელი მოქნეული. მაღალი კანჭები. ბიჭი სთხოვს, დაბრძანდითო. დაანებე თავი, – იდგეს, იდგეს, თვითონვე იცის, რა მოუხდება. წელი ქანაობს. ტოკავს მუხლები. „ტოკავდა, ტოკავდა..." გიტარა რა იქნა?.. არ უნდა. არა. მალე ისევ მოითხოვს ჯუბაჩასა, ანთუ არცთუ ისე რო ცხელა, ანთუ გოგოს წამოჰკრა ნიავმა. მოითხოვს. ეს ნაინევს. ბიჭი მიანვდის. მიეშველება. იდაყვს თუ გამოსდებს ვიღაცასა, ანთუ მიეხლება: „ფრთხილად!.." უწყრებიან. უკაცრავადო, – გოგო უფრო ებოდიშება. კდემაა, კდემა. მონიწებაა. ებოდიშება. გადაეხსნება ვარდისფერი ტუჩები, ღაწვები ოდნავ აეფაკლება. ღაწვები ღაწვებადა. ტუჩები ტუჩები, ვარდისფერი ტუჩები. გაღვივებულნი. გაღვივებულნი. ის ახლა რაღა მოსატანია, მაინც ისევე გაღვივებულნი, რო ამოსწუწნა იმ პირველი წარმატებისასა. ისევე. ისევე. ყველაფერი ისევე. არც ნაუხემსია, არც არაფერი არ გადაუკრავს. პირი უშრება. ტანი ეფშხვნება თითქოსაო. ეს ბიჭი რაღას გამოეჩხირა?..

აინევს: ინებეთ თქვენი ადგილიო.

რასა ბრძანებთო, – გოგო იუარებს. იუარებს. შესცინებს ისე იმგვარი სიცილითა, ნაცნობი როა მსახიობისთვისა, სიხარული როა მსახიობისა. ყვავილები. და. სიცილი ამგვარი. შესცინებს. შეჰხარის. რა ვუყოთ მერე თეატრი თუ გამოკეტილა, დავიწყებით არ დავიწყნიათ, – ამას ჰო არა, არა ცხადია. ვიღაცა ჭამს. ვიღაცა სვამს. ვიღაცა ვიღაცას რაღაცას სთავაზობს. ისინი წინასწარ მომზადებულან. ეს უნებლიედ გამოედევნა. უნებლიედა. გზადაგზა ერკვევა: პრეზიდენტს უჭირსო, უნდა ვუშველოთო. რა უჭირს, – არ აცნობეს, თუ რა უშველონ, – არც თვითონ იციან. ჩავალთ. გავიგებთო. გაიგონ. გააგებინონ. ბრუნავს ჩარხი ბედისწერისა. ნებაზე ბრუნავს, თავის ნებაზე, ამასაც აბრუნებს. ამათაც აბრუნებს. ყველას აბრუნებს. ტყუილად გაინევს თუ ვინმე გაინევს, ტყუილად ეცდება ვინმე რაიმესა. ტყუილა. ტყუილა. ჩარხი ბრუნავს. დრო დგას. ავტობუსი მიე-

ქანება. ჩარხს უნებებია, დროს უნებებია თუ ავტობუსსა, სულერთია რაღა თქმა უნდა: შინ ბრუნდება, ეს ეწერა და ასე ბრუნდება. შინა ბრუნდება. თბილისსა ბრუნდება. მაინც რამდენი წელინადია?.. ინთქმება წლები. მაინც რამდენი?.. ინთქმებაო. უცბად აიქარა, უცბადვე ბრუნდება.

ანთუ რა უცბადო, –

როგორ თუ არაო: წამოდიო. წამოვალო. უცბადიც ეს არის და უცაბედის უცბადიცა. რეჟისორს ახალგაზრდები სჭირდებოდა. მობერებულიყო დასი გდიდის თეატრისა. აღარა ჰყავდა გმირი. ჩამოიყვანა გმირი და დაიპყრო ქალაქი, თეატრშიც დაიპყრო, ოჯახებშიაცა. დაიპყრო. იწვევდნენ. ეწვეოდა. დაჰყავდა გმირიცა თავისი გიტარითა. ეგებებოდნენ ფიანდაზებითა, ფიანდაზებით გამოაცილებდნენ, დროზე, დროზე გამოაცილებდნენ. დრო იცოდა რეჟისორმა. ისინი არ უშვებდნენ, ეს არ დადგებოდა. დრო იცოდა რეჟისორმა. ყველა რეჟისორმა არა, ვასომ იცოდა. წამოვიდოდა. წამოიყვანდა. მონესრიგებულიყო ესეცა ამგვარადა. სჯეროდა მისი. მერე მხოლოდღა სუფრისა სჯეროდა, მერე, ვასო რო გამოეთხოვა. სუფრა ღმერთად გამოაცხადა, ეთაყვანებოდა ღმერთსა სუფრისაი. რომაელებიც ჰო დაწვრილმანდნენ ასე, სუფრის ღმერთიც რო გაიჩინეს. ეს არა ჰბაძავდა, ეს თვითონ მივიდა ამგვარ დასკვნამდე. ეთაყვანებოდა. აიყოლიებდნენ და აჰყვებოდა, გაათენებინებდნენ და გაათენებდა; ანთუ თვითონვე მოთავეობდა. საძებარიც იყო მომლხენი ასეთი. ხან საკმაო გახლდა, ხანაც მომეტებული. გამხდარიყო ახლა საძებარი, ღმერთს გამოეგზავნა. გამოეგზავნა და ეფერებოდნენ. ეფერებოდნენ და ეფერებოდა. ძალას დაიტანდა. ჯანი მოსდევდა. აუდიოდა. თეატრში ჯაფა აღარ ადგებოდა. მცირდებოდა რეპეტიციები. სპექტაკლები მცირდებოდა. ვერც ვერას უბედავდნენ ახალი რეჟისორები თეატრის ნებიერსა, ქალაქის ნებიერსა. ვერა. არც გაუბედავდნენ, რო მოევლო სხვა თეატრებიცა ზოგსა იმათგანსა, საპენსიო დღეებს როლა ითვლიდნენ. არცა. ისინიც დაჰყავდა სუფრებზე სამადლოდა. მოსწონდათ სუფრები, გდიდის სუფ-

რები, ნატრობდნენ: სცენაზე დაგვადგმევინაო. დადგმულში იყვნენ, დადგმასა ნატრობდნენ. მოსწონდათ. მოსწონდათ. ამისი სიმამრის სუფრა მოსწონდათ მომეტებულადა. იყო გულუხვი, უშურველი, შემრგო, გემრიელი, ბარაქიანი, ულეველი. უზრუნველიყო ეს ვაჟბატონი. არას მოითხოვდა ამისგანა სიმამრი და არც არარა ამას გააჩნდა. არა. ერთს მაინც ავალებდა სიმამრი: ნადიმი რო ჰქონდა, არ გადაკარგულიყო, კარგად დაესვენა წინასწარა, მოელხინა, გაერთო სტუმრები. კარგადა. კარგადა. მეტს არაფერსა, მეტს არაფერს არ მოითხოვდა. სტუმრები სიმამრისა გახლდა: ქალაქის თავები, ქალაქის რევიზორები, მოსკოვურიო თუ თბილისურიო, თანდათანობით ფეხადგმულნი უცხოეთიდანაცა, ყველანი და ყველა ჯურისანი, ვისთანაც თავი უნდა გამოედოთ, ვინც რო მობრძანდებოდნენ უამრავი მიზეზითა. მიზეზ-მიზეზო. პურისჭამა ყველას უნდოდა, ანთუ მიზეზიც ეს იქნებოდა, უმთავრესი მიზეზი. მიზეზ-მიზეზ, დოს მარილი აკლია, სიმამრს ამისას არაფერი აკლდა. ჭამდნენ და სვამდნენ, ხრავდნენ და ვერა ხრავდნენ. უძლებდა თუ არც არას შეიტყობდა. რაც უნდა იყოს, ამან არც იცის თუ რა თანამდებობა უჭირავს სიმამრსა. არც იცის არც ეკითხება, როგორც რო ცოლშვილი არ ეკითხება, თავისი ცოლშვილი რაღა თქმა უნდა. არა. არა. ცოლშვილი როგორ არ ეკითხება: ეფერება, როცა მთვრალია, ხოლო მთვრალი ჰო არის და არის; ახლა არა, ახლა მხოლოდ ნამთვრალევია. ნაბახურევი. ბახუა. თვალს უკრავს აგერ ბაბილოებიდანა. ჩამოეკიდება გუდასავითა. ჯიბე-უბე მტევნებით აუვსია. ხან ტიკჭორა ჰკიდია. ახლა არა: მტევნებით აუვსია. ხან ტიკჭორა ჰკიდია. ახლა არა: მტევნებით გაბერილა. ერთი პატარა ყანნი. ჯიხვი არა, პატარა, პატარა, სულ პატარა ყანნი. ყელი ჩახახვია. ნერწყვიც არ მოსდევს. ცუდ გუნებაზეა. გადაეკრა ერთი არაყი. გადაეკრა. ჩვევის ბრალია. გარეთ უნდა გავიდეს. გარეთ უნდა გადაჰკრას. გადაეყრება ვინმეს უთუოდა. ისიც რო ასეა, ესეც რო ისეა. ცუდ ფეხზე ამდგარა, ვერ გადაეყარა, ან ვერ გამოარჩია ამდენი ხალხიდანა. სული სულს

იცნობსო. რო მიდგებ-მოდგებოდეს. ჩაჭედილა. გოგო დაეცა ნაბახუსევზე. არც ესაა ცუდი. ბიჭი ზედმეტია. ბახუა. ბახუს. ზედმეტი გეგონოს: პირი დაულია, თვალები გაუჭყეტია, გადაჰყლაპოს ლამისა, – პირითაო თუ თვალებითაო, – თვალებითაცა და პირითაცაო. გადაჰყლაპოს. ბახუა. ბახუს.

შინ ფორიაქი არ შეუდგებათ, რა იქნაო. არ დაიკარგება, იციან. თუნდაც დაიკარგოს, თავს არ გაიცხელებს სიმამრი ამისი, ამან შეასრულა როლი თავისი, – გაუჩინა შვილიშვილები, – კისერიმც უტეხია. გიტარა რაო, – ჩამოიყვანს ქუთაისიდანა, სოხუმიდან ჩამოიყვანს, ბათუმიდან ჩამოიყვანს უკეთესებსა; გდიდშიც უკვე წამოიჩიტნენ. გიტარის მეტი რა იცოდნენ, – ეშხი გაუნელდათ, გაუცხოველდათ ახლა ისევა. წამოიჩიტნენ. წამოიჩიტნენ. კისერიმც უტეხია და ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. ამას არა სწყინს. არც ეამება. უფრო არად აგდებს, ანთუ არად აგდებენ ერთიმეორესა. არცა ჰხვდებიან პირისპირა. ნადიმებზე თუ, – იქ ჰო მიწვეული მუსიკოსია: აქეზებს ისე, შეჰხარის ისე, სიმამრი ცხადია, თითქოს ამაზე ამოსდის მზე და მთვარეო. თამაში თამაშია. სცენა სცენაა. როლი როლია. არცა ჰხვდებიან ერთისიტყვითა. სახლი პირუკუ აუშენა. შევა. გავა. ვერავის ვერ გადაეყრება. ბავშვები სულ იქით არიან ბაბუ-ბებიასთანა. მეუღლეც იქითა. შინ რა აკეთოს, ქმარი მხოლოდ რო დასაძინებლადა ბრუნდება ხოლმე, ხან რო არცაო, იქვე იძინებს, სადაც რო თვრება. არცა ჰხვდებიან. არც მოსწონს და ძვირსაც არას ამბობს სიძისასა სიმამრი. ფულს არა სთხოვს. ამიტომა. ფული არც უნდა. გარეთ გავა და ეპატიჟებიან, შინ სიმამრისაა ხარჯი თუ ბორჯი. ფული არც უნდა. სიძეს მაინც არ მოსწონს სიმამრი: ჯიბეში არ უდებს სახარჯო ფულსა. ხელფასი თავისი დიდხანს არ გასდევს, აიღებს და მიაფშვნეტს მაშინვე, რესტორანში რო არც ეყოფა. ლუდხანაშინვე მიაფშვნეტს მაშინვე. რა ჰქნას, – არ მოსწონს. მეუღლე მოსწონს: არაფერს არ უშლის: არცა სმასა, არცა ქალებსა, გიტარასაც არა, ეხერხებოდეს რო დუდუკი, არ დაუშლის არ-

ცა დუდუკსა. ღვინო, დუდუკი, ქალებიო, არ უშლის. არა. თვალებსა ჰხუჭავს, ყურს იყრუებს, ვითომც არ ესმის, ვითომც ვერა ჰხედავს. აი ქალი!.. ცოლი ინატრე და ასეთიო. სიდედრიც მოსწონს: მსახიობს მეტი რა უნდა მოსთხოვოო. აი სიდედრი!.. დედა ნახე, მამა ნახე, ცოლი ისე გამონახეო. ასეც გამონახა. მიიყვანეს, აჩვენეს და მიჰხვდა: უკეთეს სადგომს ვერ იპოვნიდა, ვიდრე აქ ყოფნა მოუწევდა, ვიდრე. ვიდრეო. ხოლო ვინ უწყის თუ ჩარჩებოდა, უჯობდა რო აქ ჩარჩენილიყო. უჯობდა. მიჰხვდა. ჭკუა ეყო: და უკვირს თუ რანაირად ეყო, მანამდის რო არა ჰყოფნიდა; ერთი ცოლი რო გამოეცვალა უკვე, მეორესაც რო უნდა გაჰქცეოდა და ვერ გაეგო საით გაჰქცეოდა, როგორ გაჰქცეოდა. და მაშინ იყო, რო შესთავაზა ვასო ყუშიტაშვილმა: წამოდიო. გდიდში წამოდიო. გმირი არა მყავსო. ეყო თუ არ ეყო, ჩარჩა და ესაა; და კიდევ კარგი სწორედ იქ ჩარჩა, რახან რო უნდა ჩარჩენილიყო. დედა ნახე, მამა ნახე, ცოლი ისე გამონახეო. კიდევ კარგიო.

კიდევ კარგიო.

ცოტა ეს არ მოსწონს, მანეთი რო არ უჭყავის ჯიბეშია.

„მე თუ მკითხავთ“, ზურგთუკან გაისმის, „ყველაფერი იმისი ბრალია, თავიანთ ადგილებზე რო არ დასტოვა ხალხი“. ხმა ეცნობა, მიხედვაც არ უნდა. ისიც ნაბახურევია ეტყობა. შეჰხვედრია სუფრაზე. ხშირადაც არა. იმას თავისი ამფსონები ჰყავს. ტრანსპორტის მუშაკია თუ გზების მშენებელიაო. რაც არის არის: ტრანსპორტი თავისთვისა, გზები თავისთვისა, ის სუფრას უზის თავის ამფსონებში. შეჰხვედრიან: ეს თავისი ამფსონებითა, ის თავისი ამფსონებითა. შეჯიბრებულან. ვინ ვისაო. ეს თავისასა ტრაბახობს, ის თავისასა.

„ვინ ხალხი?!.“ ქალს უკვირს, სწორედ იმ პირველ თაყვანისმცემელსა, „კომუნისტები?!. თუ კომუნისტების ნებიერი ინტელიგენცია?!.“

„ეშმაკები!.. ეშმაკობით რო მოიპოვეს თავიანთი მდგომარეობა და ცოცხალი თავით რო არ დასთმობენ“. ხმა აღარა ჰყოფნის, ალბათ გაათენა.

„რას ჰქვიან, არ ღასთმობენ?!. მაშ არაფერი არ იცვლება ამ ქვეყანაზე?!." ესეც ქალია, ოღონდ სხვა ქალი.

„ააااااარაფერი!.." ხმა აღარ მოსდევს ან თავიც არა აქვს ლაპარაკისა.

იმასაც არგებს ერთი თლაშოი. იმასაცა. ამასაცა. ამას მანეთიც არ უჭყავის ჯიბეში. მანეთი. იტყოდნენ: კაპიკიც არ უჭყავის ჯიბეშიო. კაპიკი ფული გახლდა. კაპიკიცა ფულობდა. თუმანიც აღარა ფულობს. კაპიკად ასი კვერცხი მიყიდია, – ეწერა საფლავის ქვაზედა, ხოჯავანქზე, – ოჯახი ასე შემინახია. ახლა ათი კვერცხი მოდის კაპიკადა. ვინც ახლა ოჯახი შეინახოს, ბიჭობაც იმან დაიტრაბახოსო. მე მოვრჩი, მადლობა ღმერთსაო. ხოჯავანქზე. აირია ხოჯავანქიცა, ყველაფერი რო აირია, ვეღარ ვიპოვნით ამ წარწერასა. რუსობის შემოსვლისდროინდელი გახლდა. ახლა რო ერთ კვერცხს მოუწევს ასი მანეთი, მალე – ათასიო, ახლა, ამ ჟამსა რუსობის გასვლისასა. ვითომაო. მართლაც ბიჭობა დაიტრაბახოს, ვინც ახლა ოჯახს შეინახავსო. ამას არ ეკითხება ოჯახი. ბიჭობა იმან დაიტრაბახოს – სიმამრმა ამისამა. დაიტრაბახოს. არ შეეცილება. ცოტა ეს არ მოსწონს: ფული რო არ უჭყავის ჯიბეში. სწყურიან. პირი აშმორებია. თითქოს გული ეზიდებაო. სადმე ალბათ შეჩერდებიან. დააფათურებს ჯიბეებში ხელებსა. რა გაგიშვია, რას ეძებო.

„მაშ რა უნდა ექნა?!." ეს სხვა ქალია. კამათი გრძელდება. დროდადრო აღწევს ამის ყურამდისა.

„თავზე უნდა გადაესვა ხელი სათითაოდა ყველასთვისა". ეს ისევ ის ხმაა, ნაბახუსევი.

„როგორ იკადრებდა მაგისი მამის შვილი?!."

„არ იკადრებდა და უყარე ახლა კაკალი!.." ნაბახურევია. ანთუ კამათი მობეზრდა, ეაიჭედება, გაძვრება, ჩადგება კართანა, ანთუ სული ესწრაფება. ქუთაისში ჰო. გაჩერდებიან. ჯერ კარგა მანძილია. სული ესწრაფება. ბარე ამასაც ესწრაფება სული, მაგრამ ჰო მაგრამ!. და რო გაჩერდნენ: ამისთვის არც შეუხედია, ისე, ისე ეა აფება სული. ისეც გადავარდება ავტობუსიდანა გადავარდება გა-

ვარდება, როგორც რო ესწრაფება სული. სხვებიც მიპყვებიან. ვინ საითაო და ვინ საითაო. მოიფანტებიან. აქეს უფრო უშრება პირი. ნერწყვი უშრება. ჩადის. დაბორიალობს. ლუდხანაც მოსჩანს. შერბიან. გამოდიან ნასიამოვნებში. ე რა ხალხში მოჰხვდა!.. ვითომ არ ეცნობათ თუ ლუდს ვერა ჰკადრებენ?.. გოგონამ რო დაუთმო ადგილი, ისღა აკლია, ლუდზედაც რო იმან მიინვიოს. ისღა აკლია. ისღა აკლია. სხვა ავტობუსებიც მოჰყვებოდნენ. მოვლენ, მოვლენ. იმედზე უკეთესი მაინც არაფერი დაუწესებია ღმერთსა. მოვლენ. მოაღწევენ. იქ მაინც აღმოჩნდება ვინმე ისეთი, პური რო გაუტეხიათ ერთადა, ყანნები აუწევიათ, უნკარუნებიათ ბროლის ჭიქები, ჯამებით რო შეჯახებულან, ქინჭილები ჰო – წოვე და წოვე. ჩავარაკრაკებ კულასაო, – აღარცა მღერიან. აღარც ამდენი მოთმინება ჰყოფნით. გოგოც აღარა სჩანს, ბიჭიც აღარა. მერე ერთად გამოჩნდებიან. პირში ნამიც აღარ შერჩენია. ენა გაპხმობია ფიცარივითა. ვის რითა ჰკლავენ, ვის რითა. სხვა რა ეგონოს. ძუნნი მაინც იყოს. სიმამრი. არაფერს არ აკლებს ცოლშვილსა ამისასა, არცა ამასა საკუთრადა: აცვია, ახურავს, გამოირჩევა პატარა ქალაქშია, ასდევს მოდასა, დიდი ქალაქის მოდასა. ცოტა ეს არ მოსწონს. არა. არა. ეს ეოსწონს ცხადია, ოღონდ ის არა: ახალს რო ჩაიცვამს და ტკიცინა ასიანები არ ამოჰყვება ხელშია. ცოტა ეს არ მოსწონს. ახლა ძალიანაც არ მოსწონს. ფუიო. აფურთხებს. ვერც აფურთხებს. ჩაშრობია პირი. შმორის სუნი ამოსდის პირიდანა. გრძნობს. გრძნობს. ანთუ რა ჰგრძნობსო, – ლამის გაიგუდოს თავისი სუნისაგანა. ერიდება სხვებსა. განს გადის. გადის და გამოდის. სხვებიც არ ახევენ კალთებსა. ეს კაფეებიო. ეს საწვრიმალოებიო. ცოტა შორს გახვალ უნივერმაღიცა. ყველაფერს ასწრებენ ქალები, პოლიტიკას ჰო – ჩაფლულან და ეს არის. ღვეზელები. კანფეტები. ლიმონათი. გოგო. კანფეტსა წუწნის. ბიჭი არა წუწნის. გოგო ადის ავტობუსშია. ადის და ჩამოდის. ადის და ჩამოდის ბიჭიცა. აჰკიდებია და ესაა. ამისი ბრალია: დროზე ასულიყო, სკამი ერგებოდა, ბიჭი აღარ გამოიჩხირებოდა. აღარა.

„აღარა ჩანხართ...“ გოგოს მიმართავს. თუმცა აღრე არც შეუმჩნევია. პირსაც არიდებს. აქიცინებს თავსა. ბიჭი ზედმეტია.

„თეატრი დაიხურა და...“ გოგო იბუსხება.

„ოოო... რასა ბრძანებთ!.. ეს დროებითია...“ შეკრთება თვითონვე. თავს იმხნევებს თვითონვე.

„ახალს ამზადებთ?..“ გამოცოცხლდება გოგოი. რახან დროებითიაო.

ამან არ იცის თუ რა უპასუხოს. ეტყვის, რაც მოუხვდება, სხვა რო იყოს, ეს რო არ იყოს, სნორედაც ესა. არ უნდა მოატყუოს უკანასკნელი მაყურებელი, ახალი პირველიც სნორედაც ეს რო იქნება თუ ელირსა და გამოცოცხლდა თეატრი. ცოტა ეს არ მოსნონს. არა. არა. ეს როგორ არ მოსნონს, – ახლა მეტი აღარაკინ მოსნონს. ცოტა ის არ მოსნონს: სულ მთლად რო გამოხმობია პირი, პასუხი რო უჭირს. მოკუმავს ტუჩებსა. ენას გამოუსვამს შიგნიდანა რაღა თქმა უნდა. რა უნდა იყოს: უხახუნე სიხმო სიხმოსა, ნაპერწკალს გაპყრის, – მეტი არაფერი. გაპყრის. გაპყრის ნაპერწკალსა. ეს არ მოსნონს. ვისი რა ბრალია, - გადაეკრა ერთი თლაშოი შინა, ორიც გადაეკრა, ანთუ ვინ უშლის, ანთუ ვინ უთვლის. ოღონდ ესაა, რო აუხირებია: ნაპახურეეი შინ ეერა ვჩერდები, გარეთ უნდა დაეიფერთხოო. აუხირებია და ამაყობს კიდევაცა, ამაყობს და აჩვევს ახალგაზრდა მსახიობებსაცა, ამას რო ჰბაძავენ, ძალათი რო იბოხებენ ხმასა და ნატრობენ იმ დღესა, ოთარბეგს რო ითამაშებენ. ისეთნიც არიან, აბსურდი რო მოსნონთ, იყვნენ, იზიარებენ ისინიცა ნაბახურეობის თეორიასა. ცოტა ეს არ მოსნონს. არა. არა. ითამაშონ ოთარბეგი. ითამაშონ ჰამლეტი. თუნდაც ითამაშონ. თუნდაც იოცნებონ. იონესკო. ბეკეტი. ითამაშონ. ცოტა ის არ მოსნონს: თვითონვე რო ემსხვერპლება თავისსავე თეორიასა. იოცნებონ. ოცნებაც კარგია თუ არ გაგაჩნია არაფერრიო. თუ გაგაჩნია, მაინც კარგიაო. უოცნებია. წლები გასცვეთია ოცნებებშია. წლები?.. თუ... ოცნებები?.. თუ: სცვეთავენ ერთიმეორესა?.. რომელი რომელსა?.. თუ რჩება, რომელი?.. თუ არა რჩება, რომელი არა?.. ეგებ რო: არცერთი?..

გაჩერდებიან ზესტაფონშიცა.
ზედ კაფეს წინ გაჩერდებიან.
„არა ხარ კაი კაცი!.." ეხუმრება მძღოლსა.
„გააჩერეო და..." თავს იმართლებს მძღოლი.
ეჰ!.. ბორჯომს მაინც გამოივლებდა კაცი. ამდენიც არ უჭყავის. ჩაიყავი ხელი, ჯიბეში ჩაიყავი, მორიელი ჰო არ გიზისო, შეუძახებენ ცოტა მოძუნწოსა მოხეტიალე მოქეიფენი. უზის. მორიელიც უზის. გველეშაპიც უზის. ანთუ: ვინ უნყის არცა აქვს ჯიბეები, ანთუ მოუქრიათ, ანთუ გაუკერიათ ჯიბეების პირები სიმამრის ბრძანებითა რაღა თქმა უნდა. არაფერია გასაკვირველი. არსებობს ხერხი უამრავი ნამებისაი. ესეც ხერხია ალბათაო. ბორჯომი რა არის, ბორჯომის წყალი!.. ცოტა ეს არ მოსწონს!

II

მოსწონს თუ არა, ცხადი ეს არის. სინამდვილე ესა ბრძანდება. სინამდვილე ულმობელიაო. რას იზამ!.. ვერაფერსა. იყოს ლმობიერი. ლმობიერიც არისო, ოღონდ ლმობიერი სიცრუე ბრძანდებაო. ორივე არის. ორივე ბრძანდება. ორივ ერთია და ტყუილად გაუყვიათო. სინამდვილე. სიცრუე. ულმობელობა. ლმობიერება. ვახ სოფელო რაშიგან ხარ!.. ერთი ჭიქა. ერთი, ერთი: კონიაკი, ანთუ არაყი, თუნდაც რო ბორჯომი, ბორჯომი, ბორჯომი ბოლოსდაბოლოსა და კისერიმც უტეხია სოფელსა. უტეხია. და. იმტვრევს. სოფელი. ქვეყანა. ქვეყანა არეულა. ქვეყნიერება არეულა. ქვეყანა აწყდება. აწყდებიან ქვეყანასა. ერთმანეთს აწყდებიან. ერთმანეთსა. კაცი კაცის მალამოაო. ტყუილი ყოფილა. რაღა თქმა უნდა. კაცი კაცის ჭირიაო. ისე ჭირი არცა ყოფილა. კაცი კაცის ჭირიაო. ერთი ჭიქა. ერთი პატარა ხემსი. ჭირსაც ნაულია ყველაფერი. გამწარდება კაცი. სიკეთეს ვერ ინატრებს. არც გამწარებულა, არც გაავებულა ამდაგვარადა. შეჰხვედრია თავის სამყოფსა, ჭირი ყოფილა თუ უამობანი. ერთ ცოლს გაეყარა,

მეორეს გაეყარა. გაეყარა. და გაეყარა, პირველს რო თითქმის უდავიდარაბიდა, მეორეს გაექცა. უშველა თავსა. ის იყო ვასო რო ჩიოდა: გმირი არა მყავსო. ადგა და ცაპყვა. ქალიც უნდოდა, გმირი ქალი, ქალიც ამან მოაძებნინა. უფრო: თვითონ ექჭირა თვალი: ნაგიდეთ და იქ ვიქორწინოთო. იქ ასე აეწყო: ამან სხვა შეირთო, ის სხვას გაპყვა. ჯერ ამან შეირთო. ეგება რო ამიტომაც ისჯება. ყველაფერი სასჯელია. დიდი თქვი, მცირე თქვი, სასჯელი სასჯელია. ისჯება. ეწამება. გულს ეზიდება და პირის უბე აპქოთებია, ანთუ: პირის უბე აპქოთებია და იმიტომაც ეზიდება გულსა. ეწამება. საბაბია. ერთი მანეთი მაინც რო ჰგდებოდა ჯიბეშია, საბაბი არც მიეცემოდა. ჯიბის პირები რო არ ამოეკერათ. ჯიბეებისა. არა და უნდა გამოჩენილიყო საბაბი: უნდა დაბრუნებულიყო თბილისსა. ამ პირობით გაპყვა: უნდა დაბრუნებულიყო და აი ბრუნდება. მშვიდობით!.. მშვიდობით!.. მშვიდობით!.. სიმამრს კიდევაც გაეხარდება. სიდედრიც იტყვის: მეტს რას უნდა ელოდე არტისტისაგანაო. მეუღლემ ეგება ცრემლიც ჩამოაგდოს: რადაო, რატომაო, ჩვენ ჰო არასოდეს არაფერი არ გვინყენინებია ერთმანეთისათვისაო. არასოდესაო. უცნაურია. აყალმაყალი ჰქონდა პირველ ცოლთანა. მერე შეიანხმდნენ: უნდა გავცილდეთო. შეთანხმდნენ. გასცილდა რაღა თქმა უნდა. მეორეს სილაც გაულანუნა ბარე ორჯერა თუ სამჯერაცა. ის იყო და ისა, გადაეყარა ვასოსაცა, მეორედა თუ მესამედ რო გაულანუნა, და გამოვარდა გარეთა. გმირი მჭირდებაო. და. გაპყვა. ოცი წელიწადია, ოცდახუთი თუ ოცდაათი?.. ჰა?.. შვილებმა ეგებ რო არც მოიკითხონ, თუმც მიფერება არ დაუკლია. ფერაობა იცოდა სიმთვრალეში, ხოლო ფხიზელი არც მოაგონდებათ. ეგება მოიკითხონ, ვინ უნყის, მაინც კაცნი ვართ, რაც არ უნდა იყოს: ეგება მოიკითხონ, ოღონდ ისიცაა, თავს არ მოიკლავენ დარდითა. ნუ მოიკლავენ. არც მოიკლავენ. ბაბუ იქა ჰყავთ. ბებო იქა ჰყავთ. დედა იქა ჰყავთ. და მთვრალი კაცის მეტი რა მოიძებნება ამ დალოცვილ საქართველოში, რუსებმა რო მზიური შეარქვეს, სხვებსაც რო მზიურით უქონავენ თავსა,

და, ქართველებს რო ჰგონიათ: ჩვენ ვემზიურებით ახლოლდაო. თუ აღარა ჰგონიათ?.. თუ ისევა ჰგონიათ?.. ბიქი ამ გოგოს ხნისა უნდა იყოს. თუმცა ეს გოგო რა ხნისა იქნებაო: ოცი, ოცდაერთი თუ თექვსმეტიო. ამისი გოგონა ბევრად პატარააო. აღარც უნდოდა ერთისმეტი მეუღლე ქალბატონსა. აღარა. გასჭრა აგიტაციამა დემოკრატიისა: ილუპება საქართველოო. გასჭრა. მიეშველა ისიცა საქართველოსა, ერთი გოგონათი მიეშველა: აჰა�ა და გაღაგვირჩესო. მაინც ილუპებაო, პრეზიდენტი გვიხმობს: ილუპებაო. ილუპება ასე როდის აქეთია, ილუპება და ილუპება, ვერც დაღუპულა და ვერც გადარჩენილა, და ილუპება და ილუპება და ილუპება და...

„რეებსა ლაპარაკობ?!.." ხმაა იგივეი იმ პირველი თაყვანისმცემლისა, გაბრაზებული, გაავებული მკვეთრი ისეთი, რო გაპკვეთს გუგუნსა ავტობუსისასა, რო მიგუგუნებს ავტობუსი რაღა თქმა უნდა, მიგუგუნებს და მიჰქრის ანყვეტილი, დაყოვნება რო აინაზღაუროს. „პრეზიდენტს ამდენს როგორ უბედავ?!." ცხარობს. არ დასცხრება.

„ისეთს რას ვუბედავ?!" უკვირს ეს იმასა, იმ ნაბახუსევსა, ხმა რო ჩაუნმენდია, გადაუკრავს რაღა თქმა უნდა, ცოტა მეტიც რო გადაუკრავს, ხმა ისე ჟღერს ხალხიანადა. „შეცდომა ყველას მოსდის. ღმერთი რო ღმერთია ისასაცა. ღმერთიც შესცდა, ადამიანი რო გააჩინა".

„გესმით?!."

„დამაცადე!.. და ამისი შეცდომა ის არის, რუსეთს რო უარჰყოფს. რუსეთი ჰეეეეეეე... რუსეთია. ჩერჩილმა და რუზველტმაც ვერ უარჰყვეს რუსეთი!.."

„მაშინ სტალინი იყო..."

„ესენიც კაი ჯიბგირები არიან".

„გააჩერეთ!.." იწივლა ქალმა, იწივლა ისე, მანქანა რო ნივილმა შეაჩერა, აბორკა, აყალყა, გადააბრუნა კინაღამა. „ჩადი!.."

„ჩავალ..." ყაბულობს ნაბახუსევი, ანთუ გამოხსნილი ბახუას ტყვეობიდანა. „ჩავალ. თქვენ ნადით. და რა სიკეთესაც თქვენ იქ ეწიოთ, ჩამოდით და დაიტრაბასეთ". ყა-

ბულობს და ჩადის. რჩება შარაგზაზე, შიშველ ადგილასა. გზა გზაა, გზა უთუოდ საღმე მიიყვანს. უგზოობა თქვი. უკან დაბრუნდება. ისა. ცხადია. უკანა ბრუნდება ესეცა აგრეთვე. გზა გზაა. ერთია. ყველას ცალცალკე მიაჩაქჩაქებს. ვისაც სად უნდა, იქ მიაჩაქჩაქებს. უნდა თუ არ უნდა, დაბრუნება ჰქონდა ჩათქმული. ჩათქმა ჩათქმაა, შენ რო დაგავინყდეს, არ დაივინყებს ბედისწერაი. ნნ, არა!.. და ბრუნდება. ბრუნდება გზითა უდაბნოისა. უდაბნო უდაბნოა, აბნეული გზებითა, ქარითა, ხორშაკითა, ქვიშის გორებითა. კაფეები მირაჟია, ავტობუსიცა, ის პირველი თაყვანისმცემელიცა, ნაბახუსევი კაციცა, სადღაც რო დარჩა, ეს აფეთქებული გოგოცა და ატორღიალებული ბიჭიცა, მირაჟია, მირაჟი, მოლანდებაა. მოლანდება. მხოლოდ უდაბნოა ცხადი და ეს წყურვილია ცხადი, საშინელი წყურვილი. მხოლოდ უდაბნოა ცხადი და მიდის ფეხშველაი, ფეხით მიდის, ფეხითა, ფეხითა, და ეწვის ფეხები მხურვალე ქვიშაშია. ახი იყო იმაზე, იქ რო დააგდეს, ახი იყო: ერთხელაც რო არ მოიხედა ამისკენა, ერთხელაც რო არ გადაიპატიჟა. რამ აუბნია თვალები ასე?.. თუმცა რაღა რამაო, – ბახვა, ბახუაა, და ისეთი ჭინკაა თუ გაგიმეტა, აღარც შეგიბრალებს. ჭინკებით აღვსილა ქვეყნიერება. ჭინკებითა. ჭინკებითა. ეს მაინც სახალისო ჭინკაა. კიდევ კარგი რო გადააგდეს: რიკოთშიც ჩავიდოდა, ჩაისველებდა ყელსა რიკოთშიაცა, – რა ენაღვლება, ვისაც რო ფული უჭყავის ჯიბეშია. ამას დაახრჩობდა შური, აეკიდა, დაახრჩობდა. აღარც ახსოვდა შური, აღარა. თბილისში ახრჩობდა. ვერარას მოსწეოდა. ახრჩობდა. გდიდში ენია: ტაშსაც ენია, მოლხენასაცა, უზრუნველობასაცა, ენია, ენია, და გაჰქრა შურიცა უკვალოდა. გაჰქრა. გადაავინყდა. და აი ბრუნდება და აი უბრუნდება შურიცა. ჯერ არ ჩაულნევია იქამდისა, ეუფლება უკვე. ჩავა – თუ ჩააღნია – უარესი იქნება. უარესი. უარესი. ჯერ არ განცდილი. გადასატანი უფრო ძნელადა ეს ამოდენი ნარმატების შემდგომა. ადის. ადის. რიკოთშიაც შეჩერდებიან. და: ჩავა. იქ რესტორანია. იქაც ჩაისველებდა ყელსა. სხვები ჩაისვე-

ლებენ. შურს. იმედმა მაინც უნდა გაჰკრასო. იმედი ყველას მალამოაო. წამოეწევიან ჩამორჩენილი ავტობუსები. რას მიჰქრის ეს ოჯახაშენებული!.. წამოეწევიან. ვინმე აღმოჩნდება. არა. არა. არ იქნება უამისოდაცა: ვინმე გამოჩნდება. აღმოჩნდება. იცის ბახუამა. მაინც ყველაზე უკეთესი ჭინკაა ამა ჭინკებით გამოტენილ ქვეყანაშია. ადის და ჩავა. აათავებს რო დასავლეთსა, აღმოსავლეთში ამოჰყოფს თავსა. სულ ერთი კალთაა, ღვთიშობლის კალთაა, ისიც გაუყვია რიკოთსა. კალთა გაუყვია, ღვთიშობლის კალთაი. აფსუებს უნდათ იქით გაგლიჯონ, ოსებს – აქეთა, გაგლიჯონ, გაფხრინონ ღვთიშობლის კალთაი, ანთუ რუსებს მონებებიათ: გაგლიჯონ, გაფხრინონ ამათი ხელითა და გადაჰყლაპონ ამათთან ერთადა. მონეპებიათ. მონებებიათ. ღვთიშობლისაა, – არ უნდა დაანებოს. ეყოფა, რაც რო ჩამოაფხრინეს. ესეღა შერჩა, ეს ერთიციცქნაი, ნუთუ თვითონვე არ ენანება, – ენანება: აღვსებია თვალები ცრემლითა. ცრემლითა. მტერნი არ შეგვიბრალებენ ტირილითა და ვიშითაო. აღვსებია თვალები. ქარები შეხლილა. ქარები გლეჯენ რიკოთსა და ერთმანეთსაცა გლეჯენ, ფლეთენ, ჭეჭყავენ, ესრისებიან ერთიმეორესა. მდინარენიც აქვე გაგლეჯილან, პატარა, პატარა, პატარა მდინარენი, ანთუ უფრო ნაკადულები, რო მიექანებიან თავაწყვეტილნი, საოცარი სისწრაფითაო, ძალითაცა საოცარითაო; ანთუ თითქოს მოტაცებულან, ქარები რო აქ შეჯახებულა: შავი ზღვის ქარები, კასპიის ქარები, თითქოს იმიტომაც შეჯახებულა, მდინარეები რო მოიტაცონ. აჰკრიფონ, გაზიდონ მამლუქებადა. თითქოსაო თუ მართლაცაო. შეჯახებულან ზენაქარიო, ქვენაქარიო: ის ცივი, ნოტიო, ეს ცხელი, ხორშაკიანი, ქარი უდაბნოებისა. და აი ადის და აი ნოტიოს დააღწევს თავსა და აი ხორშაკში ამოჰყოფს და აი ადის და აი ამოჰყოფს და ეწვის სახეი, ყელი, გულმუცელი, ყველაფერი ეწვის. იწვის. ვარვარებს ერთიანადა. და ადის და ადის

და ავა აღმართსა.

და ამოისუნთქავს ავტობუსი. ამოისუნთქავს.

და ჰგონია ავტობუსსა: აღმართი აიარა, მთები გააპო, ხევები გადასერა, ჩაპხედა გადარეულ ნაკადულებსა, ტყეები განვლო, – ჰგონია, – ეგონოს. უდაბნოა. ქარები შებმულა. შებმულა. შებმულა. გაიგანებენ, დავლურს დაუვლიან და შეიბმებიან ისევდაისევა. და ადის მტვერი, აიზიდება გორები ქვიშისა, ქვიშაა ყველაფერი, მტვერია ყველაფერი. მტვერი ადის, მტვერი ირევა, მტვერი ჩამოდის, მტვერი პფარავს ყოველივესა, ყოველივესა და ყველაფერსა, ედება, ჰფარავს, იკუმშება, ჰკრავს, ქვავდება და აქვავებს. და ჰყრია ქვები და კაცნი ჰყრიან და ამაოდ დამშვრალან მოქანდაკენი, ამაოდა: რო გამოასხავენ ცხვირპირსა უცხვირპირო ადამიანთა. ამაოდა. და ჰყრია ქვები. ადამიანები ჰყრია. და ზუის სახურავი რესტორანისა და ღელავს ტყეი სერით სერამდისა. აქოჩრილა. ირწევა. მირაჟია. მოლანდებაა. თვალები მტვრით ამოვსებია, მტვერი ეკვრის, ქვავდება მტვერი. გადადიან და გადადიან, კაცი თუ ქალი, გადადიან ერთმანეთზედა. ყველას მოშივნია, მოსწყურებია ყველასა. ალყას დაარტყამენ ტუალეტსაცა. ზოგი პირდაპირ ტყეს მისცემს თავსა. ზიმზიმებს ხალხი. ავტობუსები. მოუსწვრიათ ქუთაისელებსა. ზიმზიმებს. ზიმზიმებს. გამოტენილა რესტორანიცა. ჩამსხდარან. ადგომა ეზარებათ. მოუხმობს, მოუწოდებს ერთი, – პრეფექტია ქუთაისისა, – გვაგვიანდება, პრეზიდენტი გველოდებაო. ჩამსხდარან. არ ეთმობათ. კარგი ადგილია შესაჯიბრებლადა. შეიძლება რო მოიგოს თბილისი. ყანწითა!.. ჯიხვითა!.. ლუარსაბმა იმერეთი მოიგო, მთლად იმერეთი. ტუაპსემდის მიდიოდა ლუარსაბის იმერეთი, ყოველშემთხვევაში – სოჭი შიგ იჯდა. მოიგო. ეს თბილისს მოიგებს, ესეც ლუარსაბია, სეხნია ღირსეული. სახელი იშვიათი, გაიშვიათებული ილიას შემდგომა, ისე რო გაამასხრა, ისე რო აიგდო, ისე რო ითაკილეს, – ვიღა დაარქმევდა?.. დედამ დაარქვა, მაინც დაარქვა, მოსახელედა ნამებული მეფე ლუარსაბისა. ეს მაინც აქეთაა, ილიასაკენა, თბილისსაც მოიგებს და მთლად ქართლ-კახეთსაცა, ოღონდ ერთი დასვით, ერთი ათიოდე კაცი შემოურიგეთ მაგიდის გარშემო, – მხოლოდ

ათიოდე, ათიოდე მხოლოდა, მეტი არ უნდა, მეტი მხოლოდ წაახდენს სუფრასა; ანთუ სეხნია სჯიდა უკეთესადა: ისა მხოლოდ ერთს მიუჯდა, ერთ იმერელსა, იმ ერთს მოეგო მთელი იმერეთი რიკოთიდან ტუაპსემდისა: ყოველშემთხვევაში სოჭი მაინც აქეთა რჩებოდა. აიშალენითო. აიშლებიან. არ ეთმობათ. იქვე ტორტმანებენ. წაიმღერებენ. შეუბანებენ. გადაჰხვევენ ხელსა. ფერხულს ჩააბამენ. დაუგვიანდეთ, – არ ინაღვლებენო. ლუარსაბიც რაო, – უნაღვლო იყო და მეტი არაფერი: მოიგო და აღარ მოიკითხა, ტრაბახობდა და ისიცა ჰყოფნიდა. ტრაბახობდა. ტრაბახობდა. „ჩასხედით!.." მოუნოდებს პრეფექტი ქუთაისისა. მირაჟია. მოლანდება. მტვერია ყველაფერი. ეს ქარი გახლავს, რო ურევს მტვერსა და გამოსახავს მოჩვენებებსა. მოჩვენებანია. მოლანდებანია. მირაჟია. რაც უნდა იყოს, ჰღირს რო აქ ჩაჯდეს და ჩაიჯიბოს თბილისი, ამისთვის უკვე გაუცხოებული თბილისი, – მანეთი არ უქყავის, თბილისი ჩაიჯიბოს. მირაჟია. მტვერია ყველაფერი.

ვიღაცა მკლავზე წაავლებს ხელსა.

ეს მომდევნო-ავტობუსიდანაა.

მადლობა ღმერთსა!..

შევიდეთო.

მადლობა ღმერთსა!..

მცირედს დააყოვნებს. არ აჰყვება თუ ვერც აჰყვება ისე ადვილადა. ტყდება. იმსხვრევა. მირაჟი ჰქრება. აღარც სიცხადეა, აღარც მოლანდება. აღარც აღარაფერი აწუხებს თითქოსა. მხარიც მოჰქცევია. წაღმა უკულმა მოჰქცევია, უკულმა – წაღმა. კახელების აღმა ხნული, ქართლელებმა დაღმა ფარცხესო. ალბათ მაშინაც მხარი მოექცათ. მარცხენა მკლავზედაც იგრძნობს შეხებასა, ის მარჯვენაზე იყო. აქეთაც დაიხედავს, იქითაცა: მოსცილებია ის ვიღაცაა, წასულა, ახლა სხვას ეპატიჟება. ისევ მტვერია. ევსება თვალები, ანთუ ქვიშაა – უფრო ქვიშაა: მარცვლები დაგორავენ გუგებზედა, ქუთუთოები დააგორებენ. დააჭყეტს თვალთა. გაიშეშებს ქუთუთოებსა. გაუსაძლისია. დაახამხამებს. დაგორავენ. გაუსაძლისია. უცებ

სახე აპარპალდება: სიმამრია სახეანთებული. უდაბნო ანთია და ანთია სიმამრიცა, ანთუ ვულკანია თითქოსაო: აფრქვევს ცეცხლსა, ანთხევს ლავასა: „ბრიყვი!..“ „ეეეეჩი!..“ „სასეირო!..“ „თავმოქრილი!..“ ანთხევს და აფრქვევს. ეს ყველაფერი ესა ბრძანდება. „არტისტია!..“ ესარჩლება სიდედრი. „აპატიეო“, – ფშუკუნებს მეუღლეი, ამისი ცხადია. აი სიდედრი!.. აი მეუღლეი!.. სად გარბის?.. ვის გაურბის?.. რას შეეყრება?.. სიმამრი რაო, – მართალია სიმამრი, მართლაც გააბრიყვეს: დაპპატიჟეს რესტორანშია. სტუმრები დაახვიეს. ხარჯი შეატოვეს. ერთხელა. მეორედაცა. ვალი სიმამრს გადაახდევინეს რაღა თქმა უნდა ერთხელაცა, მეორედაცა რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა. პირველად იცინა. მეორე აყვირდა. ეს პირველივე თვეს დაემართა, ზედსიძედ რო შეევიდა. მერე აღარ გაბრიყვებულა. ეთაკილებოდა, თორემ ახი იყო იმ ვაჟბატონზედა, – რომელი ფული აწყვეტდა ჯიბესა, – ჩაედო ფული. ეთაკილებოდა. ფრთხილობდა ხოლმე, აქაც შეაყოვნა იმავე სიფრთხილემა. იმათ აიყუდეს თითო თლაშოი. მეორე ჩამოუსხეს. ილუკმებიან. გაექცდებათ ყელში და სთხლიშავენ მეორესა: ორი სახარება შეგვეწიოსო. მირაჟია. მზე ვარვარებს და ბოლავს მტვერი: ჩაედო ფული. აღარ დაბრუნდება. მორჩა. იძახონ: ოჯახი დაანგრიაო. იძახონ. სხვები ქვეყანას ანგრევენ, – ვის გაუკვირდება. უკუღმართად ხვნა და ფარცხვამ ეს ნაყოფი გამოიღო: მოგვითხარა ქართლ-კახეთი, ძირფესვიან ამოიღოო. იმერეთს აღარ გამოსტირება. იმერეთი ლუარსაბისა იყო. მოიგო და არც მოიკითხა: ოხრადა მრჩება ჩემიცაო. მოიგო და არ უნაღვლია. ამას არ მოუგია. არაფერი. არც არა წაუგია. ჩავიღა ცარიელტარიელი. ბრუნდება ცარიელტარიელი. მე შენ გეტყვი, მანეთი მაინც უჭყაოდეს ჯიბეშია!.. მტვრის ეკრანია. მოლანდებანი ისახებიან, მოლანდებანი გდიდისანი. ოჯახი. ნანგრევები. სიმამრი ცეკვავს. სიდედრი უკრავს დაირასა, მეუღლე – ტაშსა, ვაჟი იცინის, გოგონა იცრემლება. გოგონა გულჩვილია. ჯერ პატარაცაა. გოგონას მამა დაენანება: ეფერებოდა მთვრალი თუ იყო, ხოლო ფხიზელი ჰო არც მოაგონდება.

იცეკვონ. ცრემლსაც არა უჭირს რაი. დაწკნება მტვერი. უდაბნო გაჰქრება. წარიშლებიან მოჩვენებანიცა, როგორც რო წარიშალნენ თბილისისანი. გაჰქრენ. წარიშალნენ. ვინ იცის, ვინ უწყის დედაც ველარ იცნოს, – დედა რო დედაა, დედაც ველარ იცნოს. კარგახანია გასტროლებიც აღარა ჰქონიათ თბილისშია, ხოლო რაც რო წამოვიდა, – აღარც ახსოვს როდის წამოვიდა, – თბილისელობა აღარც ეთქმის. პროვინციელია. პროვინციელი. თავიდან უნდა დაინყოს ყველაფერი, – პროვინციელი დედაქალაქში. სალონები უნდა დაიპყროს, სამმართველოები უნდა დაიპყროს, ადგილი უნდა დაიმკვიდროს წარჩინებულ საზოგადოებაში, უნდა ამაღლდეს. ამაღლდეს. ამაღლდეს. უკულმა მოჰქცევია ნუთისოფელი. დააგდო იგი სხვანი რო შმაგად ეტანებოდნენ. დასთმო. მიატოვა. იქ იყო და ვერას ენია. ვერც იმდენს მიჰხვდა თუ როგორ ანვებოდნენ რქებითა მოვარდნილნი ველებიდანა, მთებიდანა, ტყეებიდანა, ალესილი რქებითა და გამოჯეკილი მუხლებითა; როგორ ანვებოდნენ და როგორ ეუფლებოდნენ თეატრებსაცა, ეკრანსაცა, ტელევიზიასაცა, ყველაფერსა, ყველაფერსა, რო არც რასა თაკილობდნენ და არც რა აძღობდათ. მიეცი ნიჭსა გზა ფართო. მიეცი. მიეცი. თუ ნიჭია რაღა თქმა უნდა, თუ არა შური, თუ არა სიბრძნე; შენდობა არა აქვს შინაურ მღვდელსაო. თბილისური ანდაზააო, ერთმანეთი რო ვერ აუტანიათო. ბაგრატიონები ვერ აიტანეს, ვორონცოვებს ეთაყვანენო. ბაგრატიონები ემიგრაციაში ჩაპხოცეს და ვიღა არ წამოისვეს თავზედა მთავარმართებლებიდან ცეკას მდივნებამდეო. ბუკოლიკური იდილია. პროვინციული რომანტიკა. პრეზიდენტიც არ უნდათ თბილისელი. და რაიონებს იხმობს პრეზიდენტი: მიშველეთ, მიხსენით ამ გაავებული თბილისელებისაგანო. იხმობს. მოუნოდებს. გამოკეტილა. ელოდება მოუთმენლადა.

და მიჰქრიან, მიჰქრიან შეუნყვეტლადა.

მიჰქრიან, მიჰქრიან იკარუსები, ავტობუსები მრავალი ქვეყნისანი, მრავალი სახისანი, გამოფენაა თითქოსაო დიზაინისა, გამოფენაცა და შეჯიბრებაცაო. და მიჰქრიან და

მიჰქრიან და შეხროვდებიან ხანაც ერთად. შესვენებაც უპრიანია ფინიშამღისა, რიკოთში მაინც აუცილებელი. და ხროვდებიან. და მიდიან და მოდიან და დგას ხროვაი. ნოტიო მოსდევდათ რო აქამდისა, ზოგან რო ქყაპიცა, სიმშრალე იწყება ამას იქითა. გაყოფილა. გაღაზოლილა. შეიძლება რო გადადგე ზოლზედაცა: ცალი ფეხი რო სისველეში გიდგას, მეორეთი გახვიდე მშრალზედა. თუ მოინდომებ რაღა თქმა უნდა. კიდეე კარგი, რო არ დასდო ოოვლი, – რიკოთი ჰო ჩაიკეტებოდა. ეოუხმე მერე რამდენიც გენებოს. გვირაბი ისედაც იკეტება ხშირადა, უხეიროდ ნაგები გვირაბი. თოვლიც არ უნდა. ავდარიც არ უნდა. უხეირობა მარადიული ავდარია, მარადიული თოვლი, რო მოანათებს კავკასიონის მწვერვალებიდანა. კიდეე კარგი, რო არ ჩამოინაცვლა. გაიჭედებოდა ავტომანქანები. მოეცობოდა ორივე მხრითა. ვეღარ გააღწევდნენ გზის გამწმენდებიცა. თუ გააღწევდნენ, ერთ სავალს ვანმენდდნენ. ერთზე ყველა ვერ დაეტეოდა. არავინ არავის არაფერს დაუთმობდა, არავინ არავის წინ არ გაუშვებდა. გადავიდოდნენ ერთიმეორეზედა, თუნდაც რო კისერი მოეტეხათ. და იტეხდნენ კისერსა, – აყირავდებოდნენ და გადადიოდნენ ძირულაშია, გადადიოდნენ და გადადიოდნენ. ძირულა დარქმეოდა. იმიტომაც თუ ღარქმეოდა. გადადიოდნენ და გადადიოდნენ. და ეს ერჩივნათ: ჩაძირულიყვნენ, ოღონდ არავინ გაეშვათ წინა, ოღონდ პირველი თვითონა ყოფილიყვნენ. პირველი. პირველი. უამრავი პირველი. ყველა პირველი. უბედურებაა. პირველი რო ერთი ყოფილა, – როგორ იქნება უამრავი ერთი, ყველა ერთი როგორ იქნება. გაუჭირდებათ ამისი დამტკიცება მათემატიკოსებსა, ლოგიკოსებსაც გაუჭირდებათ. თუ იმათ შესძლებს, ღმერთი მაინც არ იყაბულებს. ეშმაკი იყაბულებს. ჩავრჩებით კვლავაც ეშმაკის ხელთა. კიდეე კარგი, რო არ ჩაიკეტაო. მაშველი ვეღარ გადააღწევდა. ვერა. ვეღარა. და დარჩებოდა თბილისის ანაბარა: ბაგრატიონობამ რო გაუძლო საუკუნეები, პრეზიდენტობამ ერთი წელინადიც ვერაო. ჟორდანიამაც ვერაო. ჟორდანია არც იყო პრეზიდენტიო. იყო თუ არ იყოო, – და-

ვობდნენ ამაზედაცა. თითქოს ყველაფერი წესზე აეწყოთ, ესლა დარჩენოდათ თითქოს გასარკვევი. დავობდნენ, კამათობდნენ: პირველი ჩვენია, ჩვენი არჩეული 87%-ითაო. პირველი პირველია, პირველი მეორე არ იქნებაო. თუ რა იყო – თვითონაც არ იცოდა ჟორდანიამაო, არც იცოდა და ვერც გაიგო, ისე მიატოვა თბილისიო. დავობდნენ. კამათობდნენ. თავპირს აპოტნიდნენ ერთიმეორესა. მიეშურებოდნენ ესენიცა საპოტნავადა. მიეშურებოლნენ. კიდევ კარგი, ხეობა რო არ ჩახერგილიყო. ამოიაღმართეს როგორც რო იყო. იდგნენ. დაითავქვეებდნენ უფრო ადვილადა.

ქვაზე გადამჯდარიყო ვიღაც ქალი ხალისიანი, უნაგირია თითქოსაო, ფეხები გაეჩაჩხა, ატყაპუნებდა:

აქეთ სველია, იქით მშრალია, – რამდიდარი, რამდიდარიო, ეს რა დარია?!. ეს რა დარია?!. –

ატყაპუნებდა და დამღეროდა.

გუნდი გამოდის რესტორნიდანა, მართლა რო გუნდი: გაიხიდებიან კარებშივე, ხელს გადაჰხვევენ ერთიმეორესა და მღერიან, მღერიან გატაცებითა. კრიმანჭულს ჩაახვევენ, ააჟრჟოლებენ ტყესა რიკოთისა. და უკვირს ამასა: გუნდიდან როგორ გამოძვრებიან სწორედ ის ორნი, – ერთი ის, ვინც ამას ეპატიჟებოდა, მეორე, ვინც რო აიყოლია. როგორ გამოძვრებიან. როგორ გამოაღწევენ. უკვირს. ის აღარ უკვირს, რო მიინვევენ. ეგება ისედაც ნასწრაფებულიყო. აღარ ძალუძდა. ვეღარ მოითმენდა. ნყარისთან მიდგებიან. გადაშლიან ქაღალდში შეხვეულსა: ქათამია დახლეჩილი, ყველია, ნნილია. არყის ბოთლი ხელში უჭირავთ, შოთებიც ხელში. ილუკმებიან. გადაჰკრავენ. ღმერთო გვიშველეო. ილუკმებიან სულსწრაფადა. სულსწრაფად გადაჰკრავენ. ის მოსჩვენებია. არ უკვირს. არა. კიდევ გადაჰკრავენ მესამედაცა. ღმერთი სამებითააო. ლუკმას შეატანენ აჩქარებითა. აჩქარებითვე გამოემშვიდობებიან. არც ვინა ვართო. არც რანი ვართო. მიაშურებენ თავიანთ ავტობუსსა. აი ხალხი!.. ამას მკერდის ნაჭერი შერჩება. ძენძავს. ერთობა. აღარც უდაბნოა, აღარცა მტვერი,

აღარც რა აწუხებს. აი ხალხი!.. შეპხედეს. მიუხვდნენ. სიმამრი ვერ მიუხვდა ამდენი ხანია. ანთუ აწამებს და ისაა, ერთობა და ისაა. თვითონ სულ ულხინს თავისი დღენია. ულხინს. ერთობა. კომუნისტობა იყო და კოჭი ალჩუზე უჯდაო, ქუდი ყავარზე გაედო. მრგვალმაგიდობაა და – კოჭიც ისევე, ქუდიც ისევეო. ულხინს. ერთობა, ელიღინება. მელიღინება და ვიღიღინებო, იმ ვარსკვლავზე გავჩენილვარო. ვარსკვლავებისაა სამყარო მთლიანადა. სამყაროს ავსებენ. აწონასწორებენ. აქ ჩვენს ცხოვრებასაც განაგებენო. თითო რჩეული ჰყავს აქ ჩვენთაგანა თითო ვარსკვლავსა. მე ვარ რჩეული ბედნიერი ვარსკვლავისაო. მე სახება ვარ აქა იმისი. ის იქ ოქროს ტახტზე ბრძანდება. ცეკვავენ მის წინ სხვა ვარსკვლავები. აგერ, შეპხედე, შეპხედე, – ჰხედავ?!. ცეკვავენ. დაჰხტიან. მალაყს გადადიან. ეჯახებიან. ცხარობენ. პაექრობენ. დაყუდებულან ბრძენნი ვითომაო. თეატრი გახლავს ეს იმისი. შეპყურებს. ერთობა. მე რო სახება ვარ აქა იმისი: დავბრძანებულვარ მეც იმისებრა. მეც სცენა მიდგას. კომედიაო. ტრაგედიაო. ორივეს ნარევი აბურდულა ჩემს თვალთა წინა. შენი თეატრიც ამ თეატრშია. შენი ვარსკვლავი მაინც არა სჩანს, ალბათ შორსაა, შორსა... ჰაპაპა... იცინის. ვინც უნდა შეცვალონ, ალჩუზე იჯდება ამისი კოჭი. აი ვარსკვლავიც ამას მიქვიან. შენი არა სჩანსო. მოეშვა მაინცა ბახვა იყო თუ ბახუა, ჭინკაი ბაბილოებისა, ვენახებისა, მოეშვა თუ მაჯლაჯუნაო – მოეშვა. გული ჩადგა საგულესა. თვალმა გამოიხედა. ჩქარობენ. ფუსფუსებენ. ზოგი ფეხს ითრევს. იქით დასავლეთია, აქეთ აღმოსავლეთი, მაინც ერთია, ერთი კალთაა. აბურცულ-დაბურცული. დანაოჭებული. აქარებული. ატალღებული. აბობოქრებული. ქარი რო აწყდება. ქარი რო იტაცებს. ლამის რო გაჰგლიჯოს ღვთიშობელსა. ჩქარაო, – უხმობენ. ყველა ჩამჯდარა ავტობუსშია. ამასღა ელიან. გადმოცვენილა ორივე მკლავი იმა პირველი თაყვანისმცემლისა: ჩქარაო, ჩქარაო. როგორ იზიდავდა. რამდენჯერ მოქცეულა იმა მკლავთა შორისა და გამოხსნა აღარ მონდომებია. რამდენჯერა?.. რამდენჯერა?.. დას-

რულებულა თუ გაფუებულა. თვალს მოარიდებს. მაინცა ჩქარობს. გაიხლართება ავტობუსთა შორისა. ამოიდიან და ამოდიან. იქიდანაცა და იქიდანაცა.

იქიდან – აღგზნებულნი, განრისხებულნი, გათამამებულნი.

იქიდან – დაღლილნი, მოტეხილნი, გაბოროტებულნი.

და გაიხლართება ავტობუსებშია.

დაქანცულან. ფერი აღარ ადევთ ადამიანთა. ეს იმათა, თბილისიდან რო ბრუნდებიან. გადმოსვლაც უნდათ, ვეღარც გადმოსულან ავტობუსებიდანა. შეჩერებაც უნდათ. შინაც ეჩქარებათ. შინ ურჩევნიანთ. იქაც დარჩენიათ სული და გული, სადაც დათეთქვილან ღამეთა თევითა, ყვირილითა, ჩხავილითა, ხვეწნითა, მუქარითა; მობეზრებულან საჭმელის ძებნითა, სასმელის ძებნითა, ძებნითა ტუალეტისაი თუ სხვა რაიმე მოსაფარებელისა; ძილი პო ლამის დავიწყებიათ, ანთუ ჩასთვლემიათ ფეხზემდგომელთა, გადაჩვეულან, რაც რო სჩვეოდათ, შეუძენიათ ახალი ჩვევანი. ამათაც ეს ელით, რო მიეშურებიან. მიეშურებიან მაინცა. აჩქარებენ. გაიხლართებაო. და რო აერიოს, ეგება უჯობდეს, დაბრუნებულთა ავტობუსში რო ამოჰყოს თავი. ჰა?.. რა მოჰხდა მერე თუ ჯიბის ფული არ გაუჩინა სიმამრმა, – რა მოჰხდა ისეთი?.. საქართველოა ეს დალოცვილი, სარუსეთოდ გადაქცეულა, ქართველობა არ მოუშლია, არა, მაინცა. მარტო კაცი პურიჭამაში ბრალიაო. წესად დაუდვია. მარტო არცა ჭამს. ვილაცა გაჭმევს, რად გინდა ჯიბის ფული!.. და აჭმევს და ასმევს, ვინც რო მოჰხვდება, გადამთიელია თუ გარეგანია თუ გარეწარია, აჭმევს და ასმევს. ბინასაც დაუდებს, და ცოლს რო აღარ დაუთმობს, ამასლა ტრაბახობს. ტრაბახობს, ტრაბახობს პურმარილითა. აქებენ. აქეზებენ. ართმევენ ყველაფერსა. მაინცა ტრაბახობს. ოღონდ აქონ და ჯანდაბას ყველაფერი. საქართველოა ეს დალოცვილი. შენ ლუკმას გაუყოფ, ისინი ჭიტლაყს გითავაზებენ. საქართველოა ეს დალოცვილი. უჯობს გაბრუნდეს. უჯობს აერიოს ავტობუსები. არ აერევა.

არ აერევა.

არ აერევა და არცა ნანობს. სიმამრი ალბათ კლოუნადაც აქცევს: გიტარას რო უკრავ, თან იტლინკაიეო. რომანსებსაც დაეხსენიო. სტუმრები იცვლებიან. ჯაზური მუსიკა და ჯაზური სიმღერები მოსნონთო. უხსნის. უმოძღვრებს. კომედიები რო ითამაშო თეატრშიაცა, ის დრო არისო, როგორიც ერიო, ისეთი ბერიო. თავს ვერ გაიტან ამ სიბრძნის გარეშეო. ჩასძახის. ჩააგონებს. არ უჯერებს რაღა თქმა უნდა. გული უწყალოდ ება მაინცა. ახლა სხვა ვინმეს გაუწყალოს გული: ახალი ზესიძე ჩაისახლოს თუნდაცა. ჰა?!. ჯანდაბას. ვითომ ადვილია ამპლუა შეიცვალო. ვითომ უშანგი იყოს: ჰამლეტიც იყოს, – ყვარყვარეცა. გამიხდა ისიცა სტანისლავსკი. ინსტიტუტშიაც მოაბეზრეს თავი სტანისლავსკითა. აქამდეც უნდა გამოქცეულიყო, ვასოსვე უნდა გამოჰყოლოდა. მაგრამ და რაო: გააბრუა თაიგულებმა, თაიგულებმა და მხურვალე ტაშმა, მხურვალე ტაშმა და ცეცხლოვანმა მკლავებმა, ცეცხლოვანმა მკლავებმა და სურნელოვანმა კულულებმა, სურნელოვანმა კულულებმა და დალალებმა გასაოცარმა, – ერთხელ რო შეეხვდა ასეთ ბოგოსაცა, რო გაეხვა თუ გაისლართა დალალებშია, ისე იმგვარადა, ლამის რო ვეღარ გამოეხსნა. იმ ერთხელ ცოტა აუბუზღუნდა ცოლი. სიდედრმაც ცოტა მოღუშა ნარბები: არტისტობასაც საზღვარი აქვსო. იმანაც გაიარა. გაიარა. მინელდა ყველაფერი. მინელდა. მინელდა. და დარჩა ეს გაფუმფულებული მკლავები, გადმოკიდული ავტობუსიდანა. გოგონაც დარჩა, ეს მიმზიდველი გოგონაი. ბიჭი არაფერი, მაგისთანა ბიჭები გაუცურებია, რა დრო გასულა!.. რამდენიხანია ვასოც აღარ არის?.. ტყუილად იმტვრევს თავსა. წლები ერევა. რიცხვები ერევა. აერიოს. ისტორიკოსი ეს არ არის. სტატისტიკოსი ეს არ არის. არტისტია!.. – გაამართლებს სიდედრიცა, მეტს რო არ იტყვის, ოღონდ ყველაფერს რო იტყვის. არტისტია!.. არტისტია და იცის საქმეი თავისი, თავისი როლები იცის. მოჰკითხე რაც გინდა. შენ ოღონდ რეპლიკა მიაწოდე. არტისტია. აი თუნდაც რო: ოდესღაც დასდგეს ინსცენირებაი

„ქართლისა ჭირიდანა“, ოდესღაცა. ვასომა. ვასოს დროსა. და აჰაა: „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი, სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ ნაჰკრა თითო ქიშტი!.. მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი; თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოახვედრეს ხიშტი“. აჰაა!.. აჰაა!.. „შეიქმნა დიდი მტერობა, თქმა ერთმანეთის ძვირისა, ამპარტავნობა და შური, ურცხვად გატეხა პირისა; ავაზაკობა, ქურდობა, გზებზე დასხდომა მზირისა, ტყვეობა, მოკვლა, ტაცება – ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!..“ აღედგინათ. რეპეტიციებიც აღარ დასჭირდებოდა ამასა. აღარა. თუმცა თეატრში მაინც აღარავინ აღარ შევიდოდა, გარეთ რო გასულა ეს ყველაფერი, დიდ სცენაზე რო გასულა: ქვეყანა რო თეატრია და თეატრი რო აღარ არის თეატრი.

რა დრო იყო, –

ქუჩა ქუჩა იყო, თეატრი თეატრი. ქუჩები თეატრში მიეშურებოდა. თეატრი ვერ იტევდა ქუჩებსა. მონატრებოდათ არტისტები სახელმოხვეჭილნი.

რა დრო დადგა, –

თვითონვე გაცვივდნენ არტისტები ქუჩებშია: სახელმოხვეჭილნიცა, მოუხვეჭელნიცა. თეატრი გავარდა ქუჩებშია, მოედნებზედა. იქიდან მოვიდა, იქავე დაბინავდა.

დრო მოვა:

თეატრი ისევ დაბრუნდება თეატრში. ქუჩები ისევ მიაშურებენ თეატრსა. მიბრუნდა. მობრუნდება. დროის ბრალიაო. დროისა – არა: ეს თეატრია რო ბრუნავს, სცენაა რო ბრუნავს. დროს ტყუილა დააბრალებს თეატრი. დრო დგას. თეატრი ბრუნავს. მიბრუნდება და მობრუნდება. გადაეშვება და დააღწევს თავსა.

ესეც თეატრია, თეატრისაა, ესეცა ბრუნდება, ესაა რო: ველარ იცნობენ თავისი ქუჩები, თბილისის ქუჩები. ის გოგონებიც გოგონები აღარ იქნებიან, ამასაც რო უჭვრეტდნენ, ჯერ მხოლოდ ორი ეპიზოდური როლი რო შეესრულებინა, მაინც უჭვრეტდნენ, შეეხაროდნენ მაინცა. აღარც გოგონები იქნებიან, აღარც ეხსომებათ. დედა რო დედაა,

ეგებ რო დაივიწყა ღედამაცა. თვითონ დაივიწყა. არც საკვირველია: დედა არ გვახსოვს შვილებსაო. დაივიწყა. აბა მაშ რაო, – ხშირად ურეკავდა: დაბადების დღეს ულოცავდა, ახალწელიწადს ულოცავდა, დღესასწაულებს ულოცავდა, წყეულ საბჭოურ დღესასწაულებსა. მერე აიხირა: დათვრებოდა თუ არა, ურეკავდა. დედა შენუხდა. მხოლოდ ფხიზელმა დამირეკეო, – უბრძანა მკაცრადა. და ვეღარ ურეკავდა, – როდის რო იყო ფხიზელი რო ვეღარ გაეგო. მძახლებსა სძრახავდა, დედაი ცხადია, რძალსა სძრახავდა: ვერ უპატრონესო. თეატრებსა სძრახავდა თბილისისაი, კინოსტუდიასა სძრახავდა: სხვა რომელი ჰყავთ ამაზე არტისტული, დასაკარგავში რო გადამიგდესო. სხვა რომელიო. ძლივს დაიზნიქება მეღვინეთუხუცესი სცენაზედაო. დედა ბრძანებდა. ჩხიკვაძეს იმისი ნიჭიც არა აქვს, ერთი მონოლოგი რო დაიზეპიროსო. დედა ამტკიცებდა, შექსპირსა თამაშობს ისე იმგვარადა, თითქოს რო მონოლოგი არც გაეგონოს შექსპირისაო. ამტკიცებდა. აპხსნიდა კიდევაცა. რეჟისორიც ისეთი შეპხვდაო: შენ ოლონდ იჩხავლე და მალაყს გადადი და ქალები გაჩაჩხე და დანარჩენი ჩემზე იყოსო, – ა პასტა და ა მონოლოგებიო. მელანიც აღარაო. სძრახავდა. ჰკილავდა. დასცინოდა. აბუსად იგდებდა. ვაუბატონებმა ვერაფერი ვერ შეპბედეს. შენუხდნენ ქალბატონები ამათი. დაურეკეს კიდევაცა, შეპხვდნენ კიდევაცა ცალცალკედაცა, ერთადაცა. ფინჯან ყავაზე. ცალცალკე რაც უთხრეს, ის უთხრეს ერთადაცა: თავისი ბრალია, თვითონ გადაიკარგა, თორემ აქ რო დარჩენილიყო, განა რომელი აჯობებდა იმასაო. არცერთიო. დაითანხმეს. გადაჰკოცნეს. არ ავიწყდებოდათ: იწვევდნენ პრემიერაზე ათ წელიწადში ერთხელა, – ათ წელიწადში ერთხელა, – მეტი რო არ უხერხდებოდათ. და აღარა სძრახავდა თბილისში აღარავისა, აღარცა მძახლებსა, აღარცა რძალსა. რძალი ციტრუსებს უგზავნიდა. ჩაისაც უგზავნიდა სათავითაოსა, სურნელოვანსა. ბინაში უდგა ჩაის სუნი. უცხო რამ სუნი, მაამებელი. სტუმრები შეპნატროდნენ. ყავასაც უგზავნიდა, ჩაის მოდა რო გადავარდა, – ყავასაც

ისეთსა, მეზობლებიც რო გამოაღებდნენ ფანჯრებსა, ჩვენც შევიყნოსოთო. აღარა სძრახავდა. აღარცა სნუხდა. ნიშნს მოუგებდა შვილსა თავისასა: რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო.

არა და არც იყო დავითას ბრალი.

არა: დავითა ამას არა ჰქვიან, ლუარსაბი ჰქვიან, – აკი გითხარი: ლუარსაბი, ლუო – მოფერებითა.

III

არა, არ იყო დავითას ბრალი თუ არ გაამტყუნებ, რო ეგონა:

აი დამტაცებენ ხელსა, აქეთ რუსთაველი, იქით მარჯანიშვილი და – მე რომელი ავირჩიოო. თუ არ გაამტყუნებ. ეგონა, რას იზამ, ეგონა: მე შემომყურებს თეატრალური სამყაროო, – ინსტიტუტი რო დაამთავრა. ეგონა: გადმოდგებიან ჰამლეტები, რიჩარდები, ოთარბეგები, არსენები, – მობრძანდი, შენ გელოდებითო.

თურმე არავინ არ ელოდა.

თურმე არავინ არ დააგლეჯდა კალთებსა.

იკადრა, მიაკითხა. ცივად გამოისტუმრეს. მფარველიც არავინ არ გამოუჩნდა. დარჩა ხახამშრალი. რა დავითას ბრალია. დიდედა სალომე აღარ იყო ამქვეყნადა. დახუჭა თვალები ერთ ღამესა და დილით აღარ გაუხელია. უღალატა. იმანაც უღალატა. იმავე ღამეს გარდაიცვალა, ამან დიპლომი აიღო თუ არა, – იმავე ღამესა. რა დავითას ბრალია. წვერი მოუშვა. გლოვობდა დიდედასა. ამის მერეღა მოუშვეს წვერი დისიდენტებმა: რო ეძია, რო ეკვლია, ჩაითვლებოდა იმათ წინამორბედადა, მთლად საბჭოეთში თუ არაო, საქართველოში აუცილებლადა. არ იძიებდა. გუნებაში სხვა რამე ჰქონდა, ვერ იკადრებდა, ვერ მიინერდა სულ სხვა რამესა. გლოვობდა რო დიდედა სალომესა, აუვლ-ჩაუვლიდა კინორეჟისორებსაცა: ეგება რა ტიპაჟს დაეძებენ, ეგება ჩემი წვერი თვალში მოჰხვდეთო; ეგება

ყაჩაღები უნდა გადაიღონ, ეგება რო მენშევიკებიო. წვერი ვერც მოეშვათ შიშითა: მენშევიკობა არ დაგვწამონო. და შეჰბედა შიშსა. შეჰბედა. შეჰბედა. ბიჭობაც ეს იყო. მაგალითიცა ჰქონდა. სპარტაკ ბაღაშვილმა მანამდის შეჰბედა, წვერი მოუშვა და არსენად გამოსქიმა თავის ფილმშია ქიაურელმა. ასე შემთხვევით გადაეყარაო. აი არსენაო. და. აქცია არსენადა. სხვას სხვა ყაჩაღები მოაგონდებოდა, თურმე ყველა რო სჭედავდა პროლეტარიატის რევოლუციასა, მოაგონდებოდა და აგერა – მზად გახლდა. ხელისუფლება აქეზებდა ხელოვნებასა. ყაჩაღებს ურჩევდა, – მჭედლებსა რევოლუციისა, – გმირებად ურჩევდა და მერე ყაჩაღობა რო მოედო ქვეყნიერებასა, უკვირდა: საიდან ამდენი ყაჩაღიო. რომანებიდანა. ფილმებიდანა. თეატრებიდანა. ყოფიერებიდანა. არაო, – უარობდნენ საბჭოეთის იდეოლოგები: არ მოიპოება ამისი საფუძვლები სოციალიზმშიო. ეს არ განიხილავდა სოციალიზმსა და ამგვარებსა. დიდედა სალომე აბარებდა პარტისტორიასა ინსტიტუტში, პოლიტეკონომიასაც დიდედა სალომე აბარებდა, დიამატსაცა, ისტმატსაცა, მარქსისტულ-ლენინურ ეთიკასაცა, და ამასაც იქვე ჰპირდებოდნენ: ოღონდ დაამთავროს და სადაც ინებებს – რუსთაველში თუ მარჯანიშვილშიო, – თვითონ აირჩიოსო. რა დავითას ბრალია.

სხვა რა დარჩენოდა, –

წვერი უნდა მოეშვა:

ხან უფრო უნდა ჩამოეგრძელებინა, ხან შემოეკვერცხა. შემოიკვერცხავდა: ყაჩაღი იქნებოდა, ჩამოიგრძელებდა: მენშევიკი. მენშევიკებიც უნდოდა ქიაურელსა. მენშევიკებს დასცინოდა. ამას პარიკიც აღარ უნდოდა. იცინოდა სტალინი. მოსწონდა გამასხრებული მენშევიკები. ისწორებდა ულვაშებსა და იცინოდა. მაგრამ და რაო: დაჰგვიანებოდა, ამასა ცხადია. სტალინი უკვე ჩასვენებულიყო, ანუ: მზე ჩასვენებულიყო ქიაურელისა. აებარგებინათ მოსკოვიდანა. ურალის გადასახლებაც მოეთავებინა. „რაც გინახავს, ველარა ნახავო“ დაეკერებინათ ზურგზედა და დადიოდა თბილისის ქუჩებშია ყურებჩამოყრილი. ჰხვდე-

ბოდა. მოსწონდა. თვალს არიდებდა. „რაც მინახავს, ველარა ვნახავო“ – ესეც გადაეღო. მოეთავებინა თავისი სარბიელი, გამოსთხოვებოდა ძველ თბილისსა. „ძველო თბილისო შენი მიზნები აღარ მაქვს...“ – გამოსთხოვებოდა. დიღმის ველებსაც გამოსთხოვებოდა, ყუათიან ველებსა, დოვლათიან ველებსა, რო აღავსებდა თბილის-ქალაქსა გემრიელი ბოსტნეულითა, აღავსებდა, აბანავებდა რძესა და მანონშია. აღავსებდა. აბანავებდა; არც კომუნიზმი არ უნდოდა, არც გარდამავალი პერიოდები, არც ცივი ომი, არა და არა, გამალებული შეიარაღებაც არ უნდოდა, ჰყოფნიდა, რაცა ჰქონდა, მეტისმეტს არაფერს არ მოინდომებდა. გამოეთხოვა. გამოეთხოვა. „რაც გინახავს, ველარ ნახავო“ – კრემლსაც ველარაო. იქ მიართმევდნენ უკეთეს ღვინოსა, ვიდრე თბილისშია. ატენურსა. ქვევრითვე რო წაეღოთ ატენიდანა. ატამსაც იქვე: ხიდისთაური მინითვე რო იდგა, ცოცხლად რო იდგა, იქვე რო მოჰგლეჯდი შენივე ხელითა. თვითონვე მოჰგლეჯდა მზეი იგი რო ჩაესვენა. ღვინოსაც თვითონვე ჩამოგისხამდა, ატამს ჩაგითლიდა ჯამში თვითონვე, ღვინიან ჯამშია. გესვა. გელხინა. დამტკბარიყავი. რაც გინახავს, ველარ ნახავო. სად დაჰხვდა ცხონებული ავქსენტი ცაგარელი!.. ორი დიღმელი. სტალინმა გაიხსენა: სადგურში დამმალა, ჟანდარმები ამაცილაო. ატმის ტოტებში შეეყო ხელი. არჩევდა უფრო მომნიფებულსა. ვერიკო თუ ჩამოიყვანეო. ჰკითხა. ვის მიაქვს ტულაში სამოვარიო. გაშინაურებოდა. შეიკრა კოპები, კოპები მრისხანეი. ხუმრობაცა სჩვეოდა. გაშინაურებაცა, ოღონდ: თვითონ თუ ხუმრობდა, თვითონ თუ გაშინაურებდა. შეიკრა კოპები. გასცრა რეჟისორსა. არ დაეცა მაინცა ზურგზედა, სიტყვა ააგდო: გელოვანს უნდა განიცადოს თქვენი ცხოვრება, როლში უკეთესად რო შევიდესო. „მაშინ დავიწყოთ ტურუხანის ოლქიდანა“, – გამოსცრა კბილებში, ულვაშებში გამოსცრა იმანა, იმა მზემა თუ მზეთამზემა და ახარხარდა რეჟისორი, ლამის გაიფხრიწა სიცილითა, ოღონდ დაივიწყოს ჩემი ხუმრობაო. რაც გინახავს, ველარ ნახავო. ავქსენტი!.. ტყუილად იფოცხავდა წვერსა თითებითა. ტყუილად

იდგა, ტყუილად დადიოდა გამზირზედა, უფრო პლეხანოვის გამზირზედა: მარჯანიშვილელებსაც იქ გადაეყრებოდა, კინემატოგრაფისტებსაცა, სანკულტურის თეატრიც იქ იყო, ბოლოს ამასაც დათანხმდებოდა. იქვე გამოელაპარაკა ვასო ყუშიტაშვილი, ოღონდ – ნვერი რო მოიპარსა, ნვერიანისთვის არც შეუხედია. ეგონა, მარჯანიშვილში მიმინვევსო. ეგონა ცხადია.

შვილს ჰო შემოსნყრა დედაი ამისი, ვასოსაც შემოსნყრა.

რა დავითას ბრალია.

შემოსნყრა.

ფეხი არ ჩაუდგამს გდიდშია. არცერთ პრემიერას არ დასნრებია. პირველსაც არა. თუმცა ეახლნენ. მანქანა ჩამოუყენეს საკუთრადა, საკუთრადა და მოფენილი ყვავილებითა. არ ჩაუდგამს ფეხი. ქორნილშიც არა. თუმცა გაიხარა ქორნილით მაინცა: ისე ზედიზედ რო მიატოვა ორი მეუღლეი, მესამესაც მალე მოიმნვანილებს და შინ დაბრუნდებაო. მალეო. მალეო. თუმცა გაგრძელდა, მაინც და რაო, – აი ბრუნდება. მთავარია რო ბრუნდება. ესაა, ესაა აზრიცა და შინაარსიცა, თორემ დრო რაო: არც გაგრძელება იცის, არც დამოკლება იცის, დრო დროა და მეტი არაფერი. მორჩა: ბრუნდება. თუმცა არ იციან: ვისაც რო გამოექცა, არც იქ იციან: სადაც რო ბრუნდება. მოწყვეტილა. და. გაკიდულა. ბაგირზე გაკიდულა, დასაბამი რო არსაით არა აქვს, არცერთ მხარესა. გაკიდულა თუ ჩამოკიდულა. არც საკიდარი სჩანს. ფეხიც ველარსად მოუკიდნია. ყველა გაკიდულა. ყველანი მიდიან. იქიდან აქეთა. აქედან იქითა. იქიდან დაღლილი დროშებითა. აქედან შემართული დროშებითა. იქაც შემართულნი შეგებებიან. ჯერ ვერ გაარჩევ თუ ვისი რომელია; საით თუ მიდგე, ჯერ ვერ გაარჩევ. „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!..“ ქარიშხალია. ორივე მხრივ ქარიშხალია. დროშა ერთია, ერთგვარია. საქართველო ერთხელ უკვე დაჰლუპა ამ დროშამა. მეტი ჭკუა არ ეყოთ მენშევიკებსა, მეტი ვერაფერი გამოიგონეს. ჭიაურელის ფილმშია ისიცა: განამებული ჯარისკაცი მისდევს

ურემსა. ბორბალი ნეხვს გადასჭრის. უკაცრაული პასუხია. უთანაბროდ გადასჭრის. „მენშევიკ!.. ბოლშევიკ!..“ იღრინება ჯარისკაცი. თუ მოინდომებდა, გაპბედავდა ქიაურელი. თვალებსა თუ ჰხუჭავდა ხანდახანა ულმობელი იგი მენშევიკები რო სძულდა მეტისმეტადა, თვითონ რო აღარ იყო ბოლშევიკი, აღარც აღარავისი და აღარც აღარაფრისა რო აღარ იყო, იყო ერთი, ერთი, ერთადერთი, განსაკუთრებული, განუმეორებელი. „ბოლშევიკ!.. მენშევიკ!..“ – და ადიოდა ორთქლი. ადიოდა. ადიოდა. ზამთრის ომი იყო ეკრანზედა. დარბაზში თითქოს სუნსაც იგრძნობდი. უკაცრაული პასუხია რაღა თქმა უნდა. მეტი ქკუა არ ეყოთ მენშევიკებსა, ფანტაზიაც არ ეყოთ, უფრო ლამაზი დროშა ვერ შეთხზეს, ვერც რო ვერაფერი შეთხზეს საერთოდა. ვერც სინამდვილეს აართვეს ალღოი. ამათაც ეტყობა ბევრი რამ აკლიათ. ვერ მოუფიქრებიათ დროშა თავაანთი. იგივე ფრიალებს ორივე მხარესა. გამოქედილან ერთ გამზირზედა, ერთი დროშით იმუქრებიან. „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!..“ სად გინდა დადგე, – დროშა ერთია, ქარიშხალი ორი. ერთ გამზირზედა. ერთ გამზირზედა. ანთუ: აქაა რო ქარბორბალა დატრიალებულა, ხოლო ქარიშხალი მოსდებია მთლად საქართველოსა; ერთი დროშა ჩაუხუტებიათ, ერთი დროშითა ჰგმირავენ ერთმანეთსა მრგვალმაგიდელები და ვერავაკელები, მთლად საქართველო რო აულაშქრებიათ. „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია!..“ წადი და გაიგე საიდანა ჰქრის, ჰქრის თუ საითა, – გაიგე, მიჰხვდი, აართვი ალღოი.

ჯერ აქ მაინც არ აერევა,

მოჰხვდება თავის ავტობუსშია.

მძიმედ მიგორავს თავდაღმართზედა. მშრალია დაღმართი. მშრალია ცაცა. მძიმედ მიგორავს. მერე გაივაკებს. მერე აიწყვეტს. ეგება მოთავდეს ყველაფერი ამათ ჩასვლამდისა. ეგება მორიგდნენ. ეგება ერთერთმა გაიტანოს თავისი. ეგება. ეგების. რომელმა, – რომელი ერთმა?.. ოღონდ. ოღონდ: უსისხლოდ მოთავდეს. უსისხლოდა. ტახტი უსისხლოდ არავის დაუთმია. ისტორია ულმობელია.

ტახტი.

ტახტი ერთია. ტახტი მონას მონებებია. ყველა მონა გახლდა. ტახტი ყველას მონებებია. ტახტი ერთია. აშვებულა სული მონური. ტახტი სადგომია წმინდა სულისა. წმინდა არავის არავინ არ ეგულება. ესროლოს ქვა, ვინც უცოდველია. და ყველა ესვრის, ვითომც ყველა უცოდველია. ღმერთს ვერავინ ეცრუებოდა. რწმენა ეს იყო. „ძირს პრეზიდენტი!..“ „ძირს გამსახურდია!..“ „პრეზიდენტობა საქართველოს არ შეეფერება!..“ „მეფე!..“ „რაღა დროს მეფეა!..“ „თუ პრეზიდენტად გამსახურდიას აირჩევენ, მე გამოვალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ!..“ რატომაო?!!. პა?!! რატომ არ იკითხავს არავინ?!. აირჩიეს. არ გაუგონეს. ძირს!.. – ჰყვიროდნენ ახლა. და ახშობდა ხმაი უფრო მრავალთა: „ზვიადი!.. ზვიადი!.. ზვიადი!..“ ესენიც იმათ მიემატებოდნენ. გადაეღობებოდნენ ვერავაკელთა, მრგვალმაგიდელებს ამოუდგებოდნენ. თუმცა რომელ მრგვალმაგიდელებსო, – რო დაშლილან სწორედ ისინი, რო შეხლილან სწორედ ისინი, ბლოკიც დაშლილა, უზენაესი საბჭოცა. დროშა იგივე ფრიალებს მაინცა: უზენაეს საბჭოს თავზეცა, რკონშიაცა, შავნაბადაზეცა, თბილისის ზღვაზეცა, ქუჩებშიაცა, კარვების თავზეცა, კიბეებზედაცა, უნივერსიტეტისა თუ ტელევიზიისაო. კარვებიც იბრძვის. აყალყულა კიბეებიცა. აყალყულა. აყალყულა. ძირს პრეზიდენტი!.. – გაჰყვირიან დეპუტატები კიბეებზეცა, ქუჩებშიცა, სესიებზეცა. იქაც არიან. იქაც არიან. იქაც არიან. დაჰქრიან, გმინავენ, ღმუიან, იგლეჯენ საყელოსა. პარლამენტი ქცეულა ქუჩადა. ქუჩა ქცეულა პარლამენტადა. არეულა. აწენილა. ადღვებილა. ყველა პარლამენტში ვერ მოხვედრილა. ყველას იქ უნდა. ქუჩა ქცეულა პარლამენტადა. დახამებულან. დახაციცებულან. სახელმწიფო აღარა ჰქონიათ დიდიხანია. აღარა ჰქონიათ. მოუპოებიათ. და ყველას უნდა თვითონ იყვეს იგი პირველი. მოუპოებიათ და აღარა ფრთხილობენ: ვინ უწყის როგორ გაუძვრეთ ხელიდანა. აღარა ფრთხილობენ. აღარა ფრთხილობენ. აჩქარებულან. აცეტებულან. აცანცარებულან. გახელებულან. გატინგი-

ცებულან. და იცინიან გულში ემისრები და ასულელებენ უარესადა: თქვენ ქართველები ხართ, სულ სხვა ხალხი ხართ, სხვა ბუნებისანი, თქვენ ვერ აიტანთ. ვერ ავიტანთო. ცხვარი ცხვარიაო, თუ გაცხარდა ცხარიაო. ვერ ავიტანთო. ფარა მობრუნდა, კოჭლი ცხვარი წინ მოექცაო. კოჭლი ცხვრებიო. ვერ ავიტანთო. და გადადიან ერკემლები ზედ ფარებზედა. და დის ფარაი, ფარები დის. და ბღავის ფარები. აღარც სად იგი მწყემსი კეთილი, აღარც სხვა მწყემსნი.

ბღავის ფარები.

მწყემსი კეთილი.

ჩვენ ღვთიშობელს ჩაგვაბარაო.

ღვთიშობელმა ნინოს გადაგვცა, წმიდა ნინოსა, არ შეგვივრდომა, გადაგვაბარაო: მე ვერ მოვუვლი მაგ უკეთურ ხალხსაო. კალთა?..

მწყემსო კეთილო,

შენს წმინდა სამწყსოს შემოვავედრებ ჩემსა სამეფოსო, – თვითონ გასწირა და მწყემსს ავედრებდა. და ვერ გაეჭრა ვედრებასა ამასა, აქამდის მაინც ვერრა გაეჭრა. მწყემსო კეთილოო: მაინც იმედი არ მოგვიშალოო. მოაგონდებოდათ ეკლესიაში, ვთქვათ: თუ სიონში, ვთქვათ: თუ სვეტიცხოველში, ქაშუეთში მაინც აღარა, – ეს ჰო იქვე გახლდა საპრეზიდენტო სადგომთანა: იქვე ლენავდნენ ერთიმეორესა, ლენავდნენ, ბდღვნიდნენ, ანიადაგებდნენ. შეირბენდნენ თუ ქაშუეთშიცა, სანთელს დაანთებდნენ, პირჯვარს დაიწერდნენ, ისე ცივადა, უგულოდა ისე თითქოს მტვერი ჩაიბერტყესო; ანთუ ატყუებდნენ მწყემსსა კეთილსა. ვითომ ატყუებდნენ. ის მოთმინებით მოუწოდებდა. სული ამათი ხოხავდა მიწაზე. ხოხავდა. ხოხავდა. არ აინევდა არცა ოდნავადა. ხოხავდა. ხოხავდა. ვითომ ბალადებიც გამოეგონათ შერიგებისა, მშვენიერების წინაშე რო მოიყრიდა მუხლსა ორი მოშუღარი; მანდილს ჩაუგდებდა რო მშვენიერი; რო დააგდებდნენ ისინი მახვილსა; ცეკვავდნენ, ცეკვავდნენ თავდავიწყებითა, თავსმოაწონებდნენ რო მშვენიერსა; შუღლს თითქოს რო გადაივიწყებდნენ. გამოეგონათ.

ანთუ ეგებ რო მართალიც გახლდა, შეეფერებოდა რაინდობის დროსა. რაინდობა დავიწყებოდათ. ბალადა შეენახათ. რაინდობამ იცოდა ლირიკული ჟანრები, პრაგმატიზმმა – არა. პრაგმატიზმმა გამორჩენა იცოდა. ლირიკა, რომანტიკა, იდეალი, სამშობლო, სათნოება, სიკეთე ყოველი ტაძარშივე რჩებოდა, ხატებთანა რჩებოდა, გარეთა ჰქრებოდა ქარიშხალში სიტყვათა, მრისხანე სიტყვათა, ულმობელ სიტყვათა, წყურვილში ჰქრებოდა, სისხლის წყურვილში. ჰო: გოგონას დასვამს თავის ადგილზედა. უარობს იგი. ეს ხელს მოჰკიდებს, დასვამს ლამის რო ძალისძალადა. კარგია. კარგად ჩამოსხმულა. ხელს კარგად მოსდევს. აიყვანს მწყერსა მონადირეი. სულს შეუბერავს. ბურტყლი გაიყრება. გადაიშლება გული: სავსეი, გატეტკილი. „კარგია!.." იტყვის. ბიჭს თვალები გაუფიცხდება. კიდევაც წაინევს, ალბათ ხელიდან უნდა წაჰგლიჯოსო. ჰა, ჰა, ჰა... გოგო კიდევაც აეყუდება. უარობს. უარობს. დასვამს. ლამის რო ყველგანაც შეავლებს ხელსა. ლამისა. ლამისა. კარგია. დასვამს. თავზე დაადგება. შეიძლება რო სავარძელსაც გადასდოს მკლავი. ჩამოუცურდეს. ჩამოუცურდეს მხრებზედა ცხადია. ავტობუსია. მიჰქრის. ირნევა. ირყევა. ეგება კალთაშიც ჩაუვარდეს. ავტობუსი. გაჭედილი ავტობუსი.

„აქეთ მობრძანდით!.." ეს პირველი მაყურებელია.

ადგილი მოუცლიათ. იწურებიან. გზას უთმობენ. ხელსაც გამოსდებენ. მიაცილებენ. თავაზიანობით მოსდით თუ ისევ თეატრის პატივისცემითა თუ გოგოს უნდა გამოაცილონ, – სულერთია: დააბრძანებენ პირველი მაყურებლის გვერდითა. ამას თვალები გოგოსთანა რჩება.

„გმადლობთ!.." ამბობს, რო სწყინს იმგვარადა.

„როგორა ბრძანდებით?.." პირველი მაყურებლის ხელთაა.

„გმადლობთ, თქვენ?.." თვალი მაინც უნდა გადაავლოს. მკლავით დაყრდნობია მკლავზედა. შეპხარის, შესციცინებს.

„მე რაღა?!. რა დღეში ვართ, თავისთვისაც ველარ მომივლია..."

„ოოოო... რასა ბრძანებთ, თქვენ ისე კარგი ხართ!..“

„რა კეთილი ბრძანდებით!.. უხერხულობას არ იგრძნობს თქვენთან ქალი“ სულ სხვა ხმა არის, ის არა, რო ცხარობდა, ჟღურტულებს, ჟღურტულებს, – რო მოაგონდება, თუმცა ცოტათი რო შებზარულა. „მამაკაცმა დაჰკარგა ქალის პატივისცემა. თქვენ ისევ ისა ხართ“.

„ქალის პატივისცემა თუ დაჰკარგა მამაკაცმა, აღარც მამაკაცი იქნება“.

„ააااااااა... გამახსენდა: თქვენ ამას ერთხელ სცენიდან ამბობდით“.

„სცენიდანა?!.“

„მოიცათ, მოიცათ, მოვიგონებ... რა ერქვა იმ პიესასა?..“ ვერც მოიგონებს, არც გამოეკიდება. ჟღურტულსაც მოეშვება. გაცხარდება ისევ ისევე. თითქოს სხვა ქალი ლაპარაკობსო. გადაირევა თბილისი და გადაირევა მთლად საქართველოო. გასკდა ბლოკი და ირღვევა ყველაფერი, ძლივს შეკონიწებული სახელმწიფო ირღვევაო. ეგრეთი ბლოკი დიდხანს ვერც გასძლებდა და ვერც გასძლოო. „მრგვალი მაგიდა“. ამრგვალე რამდენიც გინდა. ისევ ვერა-ვაკელები ერჩივნა. იცნობდა. არ ენდობოდა. მაინც ისინი ერჩივნაო. შენ ოლონდ სიკეთეს ნუ მოუშლი, აგყვებიან, გამოგყვებიან, ვიდრე ფეხი გადაგიბრუნდებაო. გამოცდილან, გამობრძმედილან, იცვლებოდნენ მბრძანებელნი საქართველოში. იცვლებოდნენ. მოსკოვი სცვლიდა. ეს არ იცვლებოდა: – ბლოკი – ამალა. ეს არ იცვლებოდა, არც ამას ხელი არ უნდა შეეხო: ამასა ანუ ახალ მბრძანებელსა. „განა მართალი არ იყო ის კაცი?!. ტყუილად ჩავაგდეთ!..“ მოვიდა სეტყვა და დაჰხვდა ქვაო. ქვა გაუძლებს, ვენახი ვერა; „შენ ხარ ვენახი ახლად აღყვავებული, მორჩი კეთილი, ედემში დანერგული...“ – ვერა, ვერ გაუძლებს. ქვა გაუძლებს. ქვებილა დარჩება. ადამიანი ქვებს ვერ გამოხრავს. სეტყვა და ქვა. ქვა და სეტყვა. ვერა-ვაკე-საბურთალო-მთაწმინდა-სოლოლაკი. ბლოკი ურყევი. ამალა დახვეწილი. სხვა დანარჩენი მრგვალობას იჩემებს: ვარკეთილი, სამგორი, კრწანისი, ორთაჭალა, ხარფუხი, ჩუღუ-

რეთი, ისანი, ავლაბარი, კუკია, ნაძალადევი, ღრმაღელე, ავჭალა, დიღომი, დიდუბე, – მუხიანი სადღაც ვამომრჩა, სხვებიც გამომრჩა, – რაც გამომრჩა თუ რაც არ გამომრჩა, მრგვალობას იჩემებს: – ზვიადიო, – გაპყვირის. მხარს უბამს ნახევარი საქართველო, ნახევარი: ძირს პრეზიდენტიო. აღარ შერჩებოდა 87%. აღარა. ერთგულობა წინათაც უჭირდათ. იპობოღნენ. იხლიჩებოდნენ. მერე ისტორია მთლად გაგვისულელეს. მართალი რაც იყო, ჯერ ის რა იყო, სულელური რა იქნებოდა.

„თქვენც ვერავაკელთა შორის უნდა იყვეთ". არა სცხრება ქალი.

„მთაწმინდის უბანში გავიზარდე".

„ვიცი. ოღონდ გზა სწორი აირჩიეთ". მოსწონს ცხადია.

პრეზიდენტი სულაც შუმი ვერელი გახლდა. ცეკას ამალაში არ იყო, ესაა. არც მამამისი კონსტანტინე არ მიიწევდა ამალისაკენა. დ:სიდენტები არ მოსწონდა ამალასა. დისიდენტებსაც ამალა არ მოსწონდათ, – მარადიული, განიადაგებული, მკვიდრი, ტახტი რო ურყევად დაფუძნებულიყო. ხიფათიც აქ იყო: ტახტი თუ გნებავს, ფუძეს ვერ ნაუხვალ. ფუძეს ვერ შესცვლი ეგრე ადვილადა. ხიფათიც აქ იყო. შეირყა ტახტი, ჩამოჯდა თუ არა მაშინვე შეირყა. ვეღარაფერი ვეღარ იხსნიდა, ალბათ რო ბოხჩა შეეკრა უკვე. მიუსწრებენ?.. რიკოთზე უთხრეს, მიუსწრებთო, – ეს იმათა, დაქანცულები რო ბრუნდებოდნენ. ოღონდ ჩქარაო. ვთქვათ რო მიუსწრეს, – გადაარჩენენ?.. ციხეს ვზი ეგზომ მაღალსაო, – ეგება გადარჩენაც ესა ჰგონია. გზა გვირაბითა შემოდის: ეხსომება რაღა თქმა უნდა. გვირაბს ამოქოლავს. ანთუ ესენი ვეღარ ამოუდგებიან მხარშია, ანთუ თვითონვე ვეღარსაით გაასწრებს. ციხე ვერ არის მოხერხებული, ანთუ ის ციხეა, ყველა კარი რო გაცემულია. ოღონდ იჩქარეთო. ჩქარობს. ნაქეზება არ უნდა მძღოლსა. ჰადაჰა კინაღამ გადაბრუნდა. ჩაგორდებოდა ფერდობზედა. სადმე ლოდები შეაჩერებდა. მოვიდა იკარუსი და დაჰხვდა ქვაო. სეტყვასაც ქვაო. იკარუსსაც ქვაო. საფლავზეც ქვაო. ჩვენ ყველაზე უბედური ხალხი ვართო, – ლამის

ატირდეს ქალი, – ჩვენ ჩვენივე ინტელიგენციამ გაგვწირაო. ამაზე დიდი უბედურება არც არსებულა ამქვეყნადაო. ძლივს გამოვიხსენით თავი რუსებისაგანა, ისევ იქით გვერეკებიან. გაირუსეს თავი, გაირუსეს ოჯახები, ქართული აღარ ეხერხებათო. „ნაიკითხეთ პეტრიაშვილი?.." ეკითხება. „ნავიკითხე..." არცა ყოყმანობს. არც ნაუკითხავს, რო არც აღარაფერს აღარა კითხულობს, არც ეს ნაუკითხავს რაღა თქმა უნდა: „ოღონდ იცის, – ათასჯერ მოუყვნენ, შინა, გარეთა, ზეპირად იცის: ნავიკითხეო. ტყუის და არცა ტყუის, არც სხვები რო არაფერსა კითხულობენ. ერთი რო კითხულობს, ათასი რო გაიმეორებს. ჩასძახებ, ამოგძახებს: ხალხი ქვევრიაო. ტყუის. არცა ტყუის. ამოიძახიან. ამოიძახის. ერთი ჩასძახებდა და ერთს ამოიძახებდა. ათასი ჩასძახის და ამოიძახებს ათასსა, ათიათასსა, ასიათასსა, უამრავსა, რამდენიც ჩასძახებს რაღა თქმა უნდა. ქვევრი ქვევრია, ხალხიც ქვევრიაო. თვითონ ხალხს უთქვამს, ვერ აუხირდები. „ტალიაშვილი?.." არ ეშვება პირველი თაყვანისმცემელი. ნავიკითხეო, – ცრუობს ისევე უსირცხვილოდა. არც ერიდება, არც იმასა გრძნობს, რო სირცხვილია. ანთუ სირცხვილი რო აღარც არსებობს, რაღა ამას მოეკითხება. „პეტრიაშვილი... ტალიაშვილი..." – მინაბავენ თვალთა ვერის სალონებშია, – „რატომ ღმერთი არ გაიცინებს!.." მინაბავენ. მინაბავენ. დასცინიან მდედრიონელებსა, ჰკილავენ, სძრახავენ, აბუჩად იგდებენ, რო გაჰყვირიან მოედანზედა სასახლისაი, რო ჩამოჰყვებიან გადახერგილ გამზირსა, გადახერგილსა სამშენებლო ბლოკებითა თუ დაშლილი ამწეებითა, ასფალტის სატკეპნ მანქანებითა თუ ნაგვის ავტომანქანებითა, ჩამოჰყვებიან და სწყევლიან ხალხსა, იქ შეკრებილსა, სწყევლიან, ჰგმობენ ჭანტურიასა, რო გადმოკიდულა ალექსიძის თეატრთანა, და რო იმოძღვრება პირაქაფებული: ჩვენ სულ სხვა საქართველო გვინდაო; დასცინიან, სწუხან: „ვის გაუგონია ამნაირი ქართველი ქალი!.." სწუხან. ვალალებენ. „ქალობა უკვე სასირცხვილოა!.." სწუხან. სწუხან. „ქართველობა სასირცხვილოდ იქცა!.." სწუხან. ვალალებენ. და მოედება

ვალალი ესე ოქროყანიდან ნუცუბიძის ზეგანამდისა. ვიღაცა ხარხარებს და ჰგონიათ, რო ღმერთი ხარხარებს. ეშმაკი ხარხარებს რაღა თქმა უნდა. მაგრამ არ უნდათ, ეშმაკი უსმენდეთ, ეშმაკი დაჰყურებდეთ, ეშმაკი ერთობოდეს. დაე, ერთობოდეს ღმერთი, რახან გართობა მონდომებია. ეშმაკი არაო. „კიდევ ერთიორი ასეთი პუბლიცისტი და ვეღარ გაგვიძლებენ პუტჩისტები". დაასკვნის ქალი. შესცქერის თვალებში, – დასტური უნდა. მოწონებაც უნდა. უდასტურებს. უცინის მოწყალედა. „თქვენ გეცნობებათ..." პეტრიაშვილიო. ტალიაშვილიო.

ამასაც უდასტურებს.

და ეგება რო მართლაც ახსოვდეს პეტრიაშვილი. ფესტივალი. თეატრების ფესტივალი: პერიფერიის თეატრები დედაქალაქშია. თავგამოჩენა. სახელისათვის ამაყი თრთოლვა. ვინ ვის აჯობებს, ვინ მოჰხიბლავს დედაქალაქსაო, – ვის აჯობებ თუ რას მოჰხიბლავო: ყურებიც რო არ შეუბერტყია დედაქალაქსა. ლამის სპექტაკლები არ ჩაეშალათ!.. ქუთაისს ეჭკუა: ჩამოეყვანა ქუთათურები. სოხუმსაც ეჭკუა, გორსაცა, თელავსაცა, თავიანთები ეხვიათ გარსა. თქვენ რაო, ობლად ჩამოხვედითო. კარგი რამას რო შეუძახეს. კარგი რამას, რო გააფრთხილეს. აფრინეს კაცი. დეპეშა აფრინეს. შესძრეს ტელეფონი. ჩამოიყვანეს. და ჩამოიყვანეს. გაავსეს პარტერი მარჯანიშვილისა, ქანდარაც გაავსეს. კარებიც გააღეს პარტერისა, ქანდარისაცა, – ფეხზედაც იდგნენ გარედარბაზებში. და ქუხდა პარტერი და ქუხდა ქანდარა და ქუხდა გარედარბაზები და გარბოდა ხალხი ქუჩიდანა, თეატრი თავზე არ წამოგვექცესო და ქირქილებდა პეტრიაშვილი: ესეც თქვენი დედაქალაქიო: აბა დამანახვეთ თბილისელებიო; აბა ჟიურიც თუ სრულად არისო; აბა ვინმე უნიფხო მოსკოველმა პიანისტმა დარეკოს, ჩამოვდივარო; აბა თუ არ გადაირევიან, – ცეკას აიკლებენ ბილეთებისათვისა; ორი დღის მაგივრად ოც დღეს დასტოვებენ, ნიფხავსაც ჩააცმევენ, გვირგვინსაც დაადგამენ, დაუფენენ ყვავილებსა აეროდრომამდისაო. .ეგეც თქვენი დედაქალაქიო. კარებთან იდგა განხილვის დროსა,

ვითომ იმასაც რო განხილვა ერქვა: რო უნდა ექოთ, რო უნდა ერჩიათ, უფრო მეტი შრომა გმართებთო. სიგელი რო უნდა გადაეცა კულტურის მინისტრსა, თვითონ მინისტრსა, – მოწყალება მოეღო და მობრძანებულიყო, – კარებთან იდგა, იქნევდა ხელებსა. წამოეცვა სვანური ქუდი წოწოლა თავზედა. სვანური ქუდი ქანაობდა მკლავებშორისა. თქვენ ამათთვის პროვინცია ხართ, მოსკოველი პიანისტი იქ იტყვის ამათზე: არა უჭირთ რა პროვინციის კვალობაზეო. ამათ ესეც ეამაყებათ, თქვენამდის მაინც არ დაიმდაბლებდნენ თავსაო. აღელდნენ ვერელები მაშინაცა: როგორთუ პროვინცია გვიწოდაო. ხმა გამოვიდა. არ დასნრებიან რაღა თქმა უნდა, – არც რო სპექტაკლებსა, განხილვასაც არა რაღა თქმა უნდა. დედაც არაო, – დედამისი. ბილეთები წინასწარ გამოუგზავნა. ფეხი არ მიუდგამს. აღარც ეს მისულა. იყო თბილისში და იყო გდიდში. ქუთაისის თეატრი ქუთაისში იყო. სხვებიც ასევე. იყვნენ საკუთარ მაყურებლებში და არც გამოსულიყვნენ საკუთარი თეატრიდანა.

ვითომ დედასაც არ ჩამოსვლოდეს კარგახანია უნახავი შვილი.

არც ეს მისულა.

ახლა მივა რაღა თქმა უნდა, ოღონდ თუ როდისაო, – საკითხავია: რახან ჩაითრიეს თუ რახან ჩაჰყვა, ველარ ნაუვა ამათ ნებასა. თუ დასჭირდებათ დაანვენენ მოშიმშილეთა კარვებშიაცა. ამდენსაც აღარ დამორჩილდება. ჰმ!.. აგერ ეს პირველი თაყვანისმცემელი. დანვება. და. დაანვენს. აქვე ამტკიცებს, თავის განნირვაც რო დაგვჭირდეს, წამწამი არ უნდა დავახამხამოთო, დანვება. კარვებით მოფენილა მთლად თბილისიო. თუ აზვიადებენ: ნახევარი მაინც იქნება. ჯაბა იოსელიანიც დაწოლილა. გაშოტილა ფალიაშვილისა და სარაჯიშვილის გვერდითა. აქ მირჩევნიანო. თუ არ გადადგები, არ ავდგებიო, ცოცხალი თავით არ ავდგებიო. მისწოლიან მხედრიონელები. კარვებით აღვსილა ოპერის ბაღი. ბოშათა ბანაკია თითქოსაო, ზედადგრები ჰკლებიათ, შამფურები ჰკლებიათ, წალდები, ნაჯახები,

გასაყიდად რო გამოეფინათ. სია მაინც გამოეფინათ დაპატიმრებული მხედრიონელებისა: ესენი გამოუშვი, შენ გადადექიო, თუ არა და არ ავდგებითო. თანაც გადაჰყოლიხართო, – მისვლიათ ნუგეში პრეზიდენტისა. მდედრიონიც დასხმიათ თავსა. კარვები წაუქცევიათ, საბნები ნაურთმევიათ: აი ჩვენ ავდექით, თქვენც ადექით და გასწით შინაო. ყოფილა წეწვა, ყოფილა გლეჯვა, წყევლა-კრულვანი, გინებანი გაუგონარნი. გაუმარჯვნიათ მხედრიონელთა. გაურეკიათ. უდევნიათ ეგნატეს ქეგლამდისა. სასახლის კარვებში ჩაფენილა მდედრიონი: ვინვებით ჩვენცა, ვიშიმშილებთო, ვიდრე მხედრიონი არ შესნყვეტს შიმშილსაო. თანაც გადაჰყოლიხართო, – შეუთვლია მხედრიონსაცა პრეზიდენტის ნუგეში. ჩვენ ვაჟკაცურ შიმშილს გიჩვენებთო, – უთქვამს ჯაბასა, – ეგ დიაცური შიმშილი რა არის, დიაცები რო დიაცებია და ვაჟკაცებიც რო გადიაცებულანო. მისდგომიან უცხოელი ჟურნალები: აბა ეს ვაჟკაცური როგორი რა არისო. ძაფით პირაკერილი მოშიმშილე ენახათ პრეზიდენტის სასახლესთანა, შერიგდითო, ის მოუწოდებდა ორივე მხარესა. მისულან, მისდგომიან: ახალგაზრდობაში თურმე ქურდი ყოფილხართ, „რამკიანი ქურდი", რევოლუცია რამ მოგაფიქრათო. ჩემ დროს ქურდობა პროტესტი იყოო, – თვალიც არ დაუხამხამებია ჯაბასა, – ან კომკავშირში უნდა წასულიყავი და სამშობლო გაგეყიდა, ანდა ჯიბეზე უნდა გევლოო. სხვა გზა არ იყო. მე მეორე ავირჩიეო. ამასთან ისიც ნუ დაგავიწყდებათ, რევოლუცია რო ქურდების მოგონილია. მეტსაც გეტყვითო: ავაზაკი იყო ლენინი, ავაზაკი იყო სტალინი, სხვა წვრიმალ ავაზაკებს ნულარ ჩამომათვლევინებთო. გადაუციათ დასავლეთში ჰაიჰარადა: რევოლუცია ქურდების მოგონილიაო, – გადაუციათ, მოსდებია მთლად დასავლეთსა, აღმოსავლეთსა, ყველა კონტინენტსა. მოსდებია. მოჰფენია. ეს უკანასკნელი აკორდია ცივი ომისაო.

კარვები მაინც აუშლიათ ოპერის ბაღშია, ოპერა რო აჯანყებულა: მოგვწყვიტეს ხალხსაო; აქ ეს კარვებიო, აქვე ეს გამზირი ჩახერგილიო, მოგვწყვიტეს ხალხსაო; ვი-

თომ მანამდის თავს იკლავდა ხალხი ოპერაში სიარულითა. არც თავს იკლავდა და აღარც ახსოვდა. მაინც ვეღარ აჰხირებია პროფესორი ხელოვნებასა. ამდგარა. გასცლია. გაუცლია თანამოძმენი. მერე ციხეში მიუბრძანებიათ, ვისაც ვერსაით ვეღარ გაუსწრია. ჯაბას გასწრება არც უცდიაო. საკანში ადგილი მოეცალათ ფანჯარასთანა. დაეწიოკებინათ მხედრიონიო, ზეიმობდა მდედრიონიო. სასახლის კარვები მაინც არ დაშლილა. მიდიან. წვებიან. მოდიან. იცვლებიან. ეგებ რო ყველას მოუწიოსო. „მე არა!..“ „რა ბრძანეთ?..“ „ჰო... არაფერი!..“

შეჩერდებიან ხაშურშიცა.

უკვირთ: ეხლა არ იყო შევისვენეთო.

ზოგს უკვირს, ზოგს არა. ზოგი გადადის, ზოგი რჩება. გადახტებიან გოგო-ბიჭიცა. წაირბენენ. შეჩერდებიან. მიუახლოვდებიან ერთიმეორესა, ლამიხ რო შუბლი შუბლს მიედება, – ეგრე იტყვიან, გაიცინებენ, წაირბენენ მერე ისევა, და უცებ სულაც მიიკარგებიან. არ უნდა დაეთმო. მაგრამ როგორაო: დაითრია ისევ პირველმა თაყვანისმცემელმა. გადაჰხედავს. უცქერის. უცქერის. ის ინაბება. ინაზება. ვითომ ვერცა ვგრძნობო. სარკმელს ვიღაცანი აკაკუნებენ. ისინია. ისინი, რიკოთში რო მიიპატიჟეს. შეჩერებულან ისინიცა. თათბირიაო თუ რაღაც ამისი მსგავსი. ითათბირონ. ამას თათბირები არ ეხალისება. ეტყობა – არც იმათა. ჩამოდიო, ანიშნებენ. ჩადის. მიდიან. მისდევს. ისევ ბუფეტს მიადგებიან. ხალვათობაა. დაგვისხიო. დაუსხამენ. გადაჰკრავენ. ეამებათ ისევ ისევე. ჯიბეზე ორივე გაიკრავს ხელსა. ეს არა ცხადია. ის ორივე გაიკრავს ხელსა. ცილაობენ. ძიძგილაობენ. არცერთი არა თმობს. აფრთხილებენ თუ ემუქრებიან მებუფეტესა: ჩემგან მიიღე, მაგისგან არაო. არა – ჩემგანაო, არა – ჩემგანაო. ფული რო ჰქონოდა, ეს დაასწრებდა. გამობრუნდებოდა ამაყადა. გამოჰყვებოდნენ განბილებულნი. დგას თვითონვე განბილებული. ვითომც ვერცა ჰხედავს, ვითომც არ ესმის თუ რა ჰხდებაო. კაცია ახლა?.. ვისი ბრალია მერე?.. მორჩა!.. დამთავრდა!..

ამოისუნთქებს ისე ღრმადა, ისეთი შვებითა, რო იტყვიან: ახლა დავიბადეო.

ქალი ისევ თავისთან მიიწვევს: აგერა აი თქვენი ადგილიო.

გოგოს უნდა რო ნამოიწიოს. ბიჭი დასნევს.

კიდევ სხვა გოგოც დაემგზავრებათ ხაშურიდანა. ჩერდება კარებთანვე. ღგას. თვალებს აბრიალებს. ილიმის. მადლობელია. იდგება ასე, ოღონდ ჩააღნიოს თბილისში დროზედა. რაც უნდა იყოს, კარგი ეოგოა. ამას კიდევაც უნდა სჯობდეს, თუ არა და არც ჩამოუვარდება. ეს მაინც არ ეთმობა. ბიჭი აბრაზებს. ბიჭის ბრალია. ერთი კაი პანღური ამოაკვრევინა ბიჭისათვისა, ყველაფერს ახლა ისა სჯობიან. უკვე ხალისზეა, უკვე მეტი აღარაფერი ანუხებს, – ერთი კაი პანღური, – მეტი აღარაფერი. მადლიანი ხალხი მაინც არ დაილევა, ცხოვრება რაც უნდა გაძაღლებულიყვეს. მადლი გადაგვარჩენს. მადლი გვიხსნის. ერთი პანღურიც არ იქნება ურიგოო. ბორგავს პირველი თაყვანისმცემელი. რაღაც არ მოსწონს. ის გოგო არ მოსწონს, ის ხაშურში შემომატებული, ალბათ იმიტომ, რო მოსაწონია, ალბათ იმიტომ, რო წარსულს მოაგონებს, ესეც რო ასევე იტაცებდა თვალსა. საბაბიც ეძლევა: გოგონა იყმუხნება. ავტობუსი ჰო მიგუგუნებს და მიგუგუნებს, ხალხიც ჰო ლაპარაკობს და ლაპარაკობს, ისე რო არც აცდის ერთიმეორესა, მაინც გამოარჩევს თუ სად მოხვედრილა, ეტყობა, რო არ ეჭაშნიკება. ესეც ატყობს თუ ვინა ბრძანებულა, ესა ესეიგი, ეს პირველი თაყვანისმცემელი. ატყობს თუ არა, საბაბია, შარი რო მოსდოს:

– ვისი ხართ ქალიშვილო?!. – შესძახებს მრისხანედა.

ის ერთი შეცბება. შეირხევა. ჭმუნვას გადაიყრის. გაიცინებს მომხიბლავადა. ენას მოიჩლიქებს:

„დედიკოსი!.. მამიკოსი!.. პაპიკოსი და ბებიკოსი!..“

ლუო იცინის. ქალი ბრაზობს. ქალი სისინებს:

„პუტჩისტია!..“ გუგუნი ახშობს სისინსა ქალისა. ახშობს სიცილიცა სხვათა.

„რაც გნებავთ ბრძანეთ, ოღონდ ნუ იტყვით, რო კარგი არ არის... ნუ!..“ თითქოს ხუმრობსო, რო არ აწყენინოს.

„ოოოო... რა ხართ!.. რა ხართ!.." თითქოს დასცხრება ქალი. „თქვენ შეგიძლიათ გაიმეოროთ თამამადა: მე იგივე ვარ მარად და მარად!.."

„არა..." მოისანყლებს თავსა ლუოი. „ხოლო თქვენ: არ შეცვლილხართ, რაც მართალია, მართალია".

„ოი... რასა ბრძანებთ..." ქალი არ უჯერებს, თუმცა უნდა რო დაიჯეროს.

IV

მიჰქრიან.

მიჰქრის ნუთისოფელი. ამათაც ეჩქარებათ. ვინ ვის გაუსწრებს: ნუთისოფელი კაცთა თუ კაცნი – ნუთისოფელსა: ვინ ვისა, ვინ ვისა!.. ამათ მაინც უნდა ჩაუსწრონ: მიშველეთო, პრეზიდენტი რო ივედრება. გვეშველა ახლა პრეზიდენტი რახან გვეღირსაო, – ეგონათ. თურმე ეგონათ. თვითონა ყოფილა პრეზიდენტი საშველი. ახალი თავსატეხი გაუჩნდათ. საკითხავია კიდეე რა ელით მოულოდნელი და უცნაური. საკითხავია. საკითხავია. ყველაფერი რო საკითხავია ამ უბადრუკ ნუთისოფელში. ყველა კითხულობს თავისი დღენი, მოპასუხე არავინ არისო. ჯერ მაინც ესაა გადასარჩენი, უმეტესობა თბილისისა გარს რო შემორტყმია, მაინც რო შიშობს, მაინც რო იხმობს მთლად საქართველოსა იმერ და ამერა; მსოფლიოს იხმობს. იხმობს და სძრახავს: ჩემი არ გესმით, ჩემს მტრებს უჯერებთო, მე გელაპარაკებით, მოსკოვს უსმენთო. ჰო ჰხედავთ ინგრევა. და ეს იყო სწორედაც საშიშროებაი ახალი, ნგრევაი ესე ატომური სახელმწიფოსი, დასანყისი აპოკალიფსისა; ეს იყო, ეს იყო, და მისჩერებოდა ყური და თვალი მსოფლიოსი; აცა, რა გველის: ის დაინგრევა და ჩვენ გადავრჩებით თუ ის დაინგრევა და ჩვენც დავინგრევიოო, – მისჩერებოდა, მისჩერებოდა მოსკოვსა ცხადია. ამას ეს სწყინდა: მე მიყურეთო; ანთუ რა სწყინდა სულერთია: მომეშველეთო. თუ უშველიან, – როგორც დაარიგეს უნდა

ეყვირათ: „ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“ ანიშნებ-დნენ და უნდა ეყვირათ. გდიდშივე ავარჯიშეს თეატრის მოედანზე, ანთუ ვაიარეს რეპეტიციები, თეატრს რო-გორც რო შეეფერებოდა. თუ უშველიან. სხვაც გამოჩნდე-ბა. იქ გვეტყვიანო. კარავში მაინც არ დანვება. არა. ეს ქა-ლი მაინც რას შეუჩნდა. აიცილებს როგორმე. ბიჭსაც აი-ცილებს. ის გოგო?.. არა. კარავში მაინც არ დანვება, ორი-ვეც რო გაუძვრეს ხელიდანა. ყვირილით იყვირებს, თეატ-რშიც გაპყვირის. ყვირილი არაფერი თუ ეშველება რაღა თქმა უნდა. ლამის გასრისოს 2 სექტემბერმა. ლამის მოს-კოვის პუტჩიც დააბრალეს. ამანაც აურია ჯერ ეს დაულა-გებელი ხელისუფლებაცა. 2 სექტემბერიც მალევე მოპ-ყვა. თითქოს ერთადაც მოეფიქრებინოთ. 9 აპრილი მოგ-ვივლინე ხელმეორედაო. იმპერიამ რაც რო დაგვაკლო, შენ შეგვისრულეო. შესძახოდა ოპოზიციაი, მუშტმოღე-რებული შესძახოდა. თქვენი ბრალია, თქვენ მოამზადეთ ეს მორიგი პროვოკაციაცა ემისრებთან ერთადა, – გრგვი-ნავდა პრეზიდენტი, – ხალხი არ დაგითმობთ, გამოღვიძე-ბული ხალხიო. გამოღვიძებული. თვალებს იფშვნეტდა გა-მოღვიძებული: რას ველოდით და რა მოგვევლინაო. მოს-კოვი ჰქუხდა, მოსკოვი გრგვინავდა: 2 სექტემბერი, 2 სექ-ტემბერიო, რადიო, ტელევიზია, პრესა უამრავი, დიპლო-მატიური არხები თუ სადაზვერვო არხები რუსეთისა ობო-ბასავით მოსდებოდა მთლად მსოფლიოსა: ეგეც მაგათი დამოუკიდებლობა, ორ დღეს ვერ გასძლეს, საქართველო აირიაო, კავკასია აირიაო, მოაკლდა თუ არა ჩვენი ხელიო. ქართული რადიო ცხინვალამდისაც ვეღარ აღწევდა, ვე-ღარც სოხუმამდისა, ვერც ტელევიზია, ხოლო ქსელები საიდუმლო სამსახურისა, აქაურიცა რაღა თქმა უნდა, კვლავ მოსკოვს ეპყრა სიმტკიცითა შეუვალითა. და ან-ყდებოდა გალიასა პრეზიდენტი და ბორგავდა და ბრუნავ-და ერთადგილასა და მიეშვირათ ჟურნალისტებსა თავი-ანთი მიკროფონები და გადავცემთო, ირწმუნებოდნენ, და იქ სხვა ხმები ირეოდა, ეხლებოდა, ნთქავდა, ნთქავდა ხმა-სა ამისასა. და ბობოქრობდა მიტინგები ამერ და იმერა:

გვღალატობს დასავლეთი, 21-შიაც გვიღალატესო; ბობოქრობდა: „ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“ აღარ გამეორდეს 21-ო. იყვირებს. იქაცა ჰყვიროდა, თბილისშიც იყვირებს. კარავი არა. ბობოქრობს ხალხი. კარვებს აიტაცებს, გაატანს ქარიშხალსა. ბობოქრობს. ბობოქრობს. ბუნება არა. ცოტა წამოწვიმა რო დასავლეთში, ცოტაც წამოფერფლა, თოვლი ცხადია. თოვლი რო იყო, მიჰხვდნენ მხოლოდღა. აქეთ არაო. მშრალობდა აქეთა. ღღეები მზიანი. ღამეები მთვარიანი. მთვარიანი. მიბნედილი. რომანტიკული ფერებითა. გული რო გიდულს, ცრემლი რო ჩამშრალა. მთაწმინდის მთვარე. და აღაშფოთებდა ხალხი ასეთ ღამეებსა. დღეებსაც ხალხი აღაშფოთებდა უარესადა რაღა თქმა უნდა. ბუნება დამფრთხალიყო. მიმალულიყვნენ მეუფენი სტიქიათა. მიმალულიყო ელიაი. მორიგე თვლემდა. ავარდებოდა თუ სადმე ხანძარი, ინგრეოდა თუ ისპობოდა, სისხლი მოსჩქეფდა თუ ნადგურდებოდა, ხალხის ხელითა, მხოლოდ ხალხისა, – აეგო და ანგრევდა; ანთუ: ერთად ამოესუნთქა, ერთად დაებერა, წარღვნა მოჰყოლოდა ხალხის ერთობლივ ამოსუნთქვასა. მინაც იძვროდა, ბარში ჩამოჰქონდა სოფლები მთებიდანა. ესეც კაცთა მანქანებია. ბუნების ბრალი არ არისო. ენერა. ნარკოტიკებიც იგივე კაცთა მონაგონია, შიდსიცა აგრეთვე, ყველა სხვა ჭირიცა, რაც რო მოვლენილა, რასაც რო ელიან. და ნანობს ღმერთი: ადამიანი რად გავაჩინე, გამინადგურებს დედამიწასა, სამყაროს მშვენებას გამინადგურებსო. ნანობს. ნანობს. გვიანღაა თითზე კბენანი.

გაერთიანდით. შემომტკიცდით. დაგვაცადეთო.

ძმამ ძმა დაინდოს, მამამ შვილი. დაგვაცადეთო.

ყველამ აკეთოს თავისი საქმე. დაგვაცადეთო.

მოშალეთ ეს მიტინგომანია. დაგვაცადეთო.

დაჰყარეთ იარაღი უკანონო დაჯგუფებებმაო. დაგვაცადეთო.

კვლავ დავდგეთ ერთადა, ისევ ისევე, 9 აპრილი რო მოგვაგონდებაო.

ის საცოდავი 9 აპრილი.

იდგა გატვრენილი. გაჭედილი მოედანი. გამზირი გაჭედილი. ნემსი რო არ ჩავარდებოდაო. თითქოს სუნთქვაც გაკმედილიყო თუ შეხუთულიყო. ჰაერი მართლაც შეხუთულიყო. არ ირხეოდა. იდგა. ელოდა. ჰაერიც იდგა. აფრთხილებდნენ: დაიშალენით, უბედურება გველოდებაო. აიმედებდნენ: მოდით, შემოკრბით, ერთად ვიქნებით, ბუზსაც ვერავინ ვერ აგვიფრენსო. აფრთხილებდნენ. აიმედებდნენ. მერე დავობდნენ: ვინ უფრო მართალი იყო ჩვენთაგანო. დავობდნენ. იდავებდნენ. ცოდოს არავინ აღიარებდა. ირნმუნებოდნენ: ღმერთი გვწამსო. ცოდოს არ აღიარებდნენ. ღმერთი სწამდათ. დაიკიდეს ჯვრები. დაგვინახეთო. დაიკიდეს. დაიკიდეს. და იდგა ჯარიცა გატვრენილი ლენინის ძეგლთანა. ძეგლიც ჯერ იდგა. ჯერ ხელი ისევე გამოეშვირა: მიდით, დაჰკარითო. ჯერ იდგა გატვრენილი ჯარი ცხადია. და ადიოდა სუნი არყისაი. გარს ეხვეოდა ძეგლსა ლენინისა. მისცურავდა ძეგლი სუნში არყისაი. კოჯრის ნიავი გამომხრჩვალიყო. დაიშალენით, უბედურება გველოდებაო, – ხელისუფლება აფრთხილებდა. არ დაუჯეროთ, – მრისხანებდნენ მოთავენი 9 აპრილისა, – გვეყოფა მონობა იმპერიისა, გვეყოფა მონობა მარიონეტებისაო. არ დაუჯეროთო. არ დაუჯეროთო. არა ტყუოდნენ ამჯერადა მარიონეტები, ძლივს ერთხელ მაინც ამბობდნენ მართალსა. შემორტყმულიყო გარშემო ტანკები. შემტევი ნაწილი წინ წამომდგარიყო. უკან ჰო ჯარიო. გასუსული. ალესილი ბარებითა, გაზის ბალონებითა. გასუსული. გასუხული. დროდადრო რო ამოისუნთქებდა და შემოიჭრებოდა გამზირზედა სუნი არყისაი, სუნი ჩექმისა. რაღა გაზის ბალონები უნდოდათ. არ დაუჯეროთო. საოცარია. არც პატრიარქს დაუჯეროთო. ჰა?!. ჯვრები დაეკიდათ. მოიჭრა იგი სიონიდანა გულამოვარდნილი: ესაა მეუნყა, სისხლი მეჩვენა და სისხლი მეუნყაო. მე გამომყევით, სიონს მივმართოთ, სიონს ვეევედროთ, ეს უბედურება აგვაშოროსო. ფეხი არ დასძრათო, – ეს იგივენი არ დააცდიდნენ, – ვერ შეგვეხებიან, ერთად რო ვდგავართ, გულდაგულ ასე რო შევმჭიდროებულვართო; რკინის ლოგიკააო,

იტყვიან ხუმარანი, რო არ შეესაბამებოდა არცა მოვლენებსა ნგრევისა, არცა მაგალითებსა წარსულისა, არცა ჭკუა-გონებასა ის ისაა ლონდონიდან დაბრუნებულთა. ამათ ეგონათ: ასე თუ ვიდგებით, თავისუფლებას გამოვიგზავნიანო. ამათა. ამათა. აჩქარებულთა. იმერელმაო დაფქვა მოითმინა, გამოცხობა ველარაო, – ქართლში იტყვიან: ნახევრად ცომი ამოაქვთ ქადი კეციდანაო. და ივედრებოდა პატრიარქი და ატყაპუნებდნენ ფეხებსა მეაპრილენი და დავიწყებოდა ხალხსა 9 მარტი, ასევე განნირული, ასევე უბედური, მაშინაც ცდუნებული. დავიწყებოდა. და დაეყრდნო პატრიარქი კვერთხსა: რახან არ იშლით, მეც აქვე ვრჩებიო. გაიხარა ხალხმ. და ფეხებს აღარ ატყაპუნებდნენ მეაპრილენი. და გამოებერათ მკერდი, მუცელიცა: კარგად დაგვინახეთ, ეს ჩვენ გახლავართო.

და მოინევდა სუნი ლენინის ძეგლიდანა.

მოიწევდა: უფრო მძაფრი, უფრო შემხუთველი.

ეხ, სადღა იყო კოჯრის ნიავი!..

და დაიგრუხუნა პირველმა ტანკმა და აჰყვნენ სხვანიცა და აეწყო ჩექმებიცა და დაიურიალა აბჯარმაცა. აქ ვითომდა არაფერიო. თუმცა ტანი გრძნობდა, გული ვერაო, გონებაც ვერ მოკრებილიყო. და იდგა ფარაი და მიერეკებოდა მწყემსი კეთილი და არ იძვროდა ფარაი იგი და დამორჩილებოდა მწყემსთა ცრუთა და იდგა განნირული და იდგომებოდა ამგვარადა და დაიქანცებოდა და წალასლასდებოდა ყველა თავისთვისა; ოღონდ ესა, რო ვერ მოითმენდა ტრიუმფატორი ლონდონისაი, ვერ მოითმენდა, მოსკოვს დაბრუნებისასაც რო ელოდა ტრიუმფსა რაღა თქმა უნდა, ვერა ვერ მოითმენდა, და ვერც მოითმინა; ვერც მოითმინა და ბრძანა კიდევაცა მრისხანებითა ტრიუმფატორისა, მრისხანება რო ჩაშხამებოდა; რო არც ებრძანა, შემოჰხვეოდა უკვე მსხვერპლსა არწივის კლანჭები. შემოჰხვეოდა. ყალჰხს იდგა ტანკები, ყალჰხს იდგა ჯარი გალეშილი არყითა და სიძულვილითა და ხელი სისხლიანი, ტორი სისხლიანი შემართულიყო მწყემსსა კეთილსა და კრავთა ზედა. რო არც ებრძანა. და მერე ეძებდა დამნაშავეთა

და ანინაურებდა ამასრულებელთა, ვინც რისხვად დაატ-ყდა მდუმარე ადამიანებსა, სანთლები რო ეპყრათ ხელთა, პირჯვარს რო იწერდნენ. ზეციური გამოძახილი რო ეგონათ ხრიგინი ტანკებისა, დგრიალი ჩექმებისა, ნკრიალი ბა-რებისა. ეგონათ. ეგონათ. ბევრი რამ ეგონათ. კვნესანი პირველი, სისხლიცა პირველი იგივე ზეციური მინიშნებანი ეგონათ. მხოლოდღა ბრმები მიჰხვდნენ, რისხვა რო დაატ-ყდათ, ჯერ ბრმები მიჰხვდნენ, და შემოსძახეს სიმღერაი ომახიანი, არ შეგეშინდეთო: ცხრა ლახვარი რომ დაგვარ-ტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებთო. მიჰხვდნენ. შემოსძახეს. და აჰყვა ხალხი. აჰყვა სიმღერითა. სიმღერაზე გადადიოდა ტანკები. ჩეხავ-და სიმღერასა გაპფთრებული ჯარი. ჰხუთავდა სიმღერასა თავმოხდილი ბალონები გაზისა. მაღლა გუგუნებდა რეაქ-ტიული თვითმფრინავები, ბარემ სულაც რო ჩაექციათ ქა-ლაქ-თბილისი. ბარემ სულაცა. მთლიანადა. ერთიანადა. და სდიოდა სისხლი სიმღერასა, ღვართქაფადა სდიოდა. მწყემსი კეთილი ღრუბლებში შეპბურეს ანგელოზებმა. მწყემსნი მაცდურნი განარიდა საფრთხესა ეშმაკმა. და იუ-ლიტებოდა ცხოვარი უბედური, ალალი, მინდობილი, და-ჯერებული. შემდორებული და იულიტებოდა. არ დაიშა-ლოთო. იულიტებოდა. სადღა ვინ იყო, ვილა ბრძანებდა?.. მოჯადოებული იულიტებოდა. აღარც გონებაო, აღარც გულიო, ტანიღა აიტანა შიშმა. შიშმა მოფანტა ხალხი შემ-დორებული. და მერე სათითაოდ მისდევდნენ ტანკები, როგორც რო მწევრები დამფრთხალ კურდღელთა. და აქე-ზებდნენ მარეკები, ჭყვირობდნენ მარეკები, ბღაოდნენ ღო-როტოტონი. მოჭარბებულიყო შუქურები. რამპა ბრდღვია-ლებდა. და მოსჩანდა ყოველი ლოჟებიდანა, პარტერიდანა, ამფითეატრიდანა, ქანდარებიდანაცა. მზად გახლდნენ მსახურნი მოსკოვისანი და ჰგზავნიდნენ უკვე პირველ პა-ტაკსა: ხალხი შეაწყდა ერთიმეორესა. არის მსხვერპლიო. უბედური ხალხი. „მდგომარეობა კონტროლს ექვემდება-რება“. ჰგზავნიდნენ. ჰგზავნიდნენ და მშვიდდებოდა დაბ-რუნებული ლონდონის ტრიუმფიდანა. მშვიდდებოდა.

თუმცა აღარ შესდგა მოსკოვის ზეიმი, ზეიმი დაბრუნებისაი, მაგრამ და რაო, – ჰღირდა მაინცა შურისძიებადა, ქართველების მოთვინიერებადა ჰღირდა. ის ამას თავის გამარჯვებად მიითვლიდა. გამარჯვებადვე მიითვლიდნენ მწყემსნი ცრუნიცა. ვალალებდა მწყემსი კეთილი. ცხოვარი გაულეტილი. ცხოვარი დამფრთხალი. ვალალებდა მწყემსი კეთილი. შეგროვდებოდა კვლავაცა ცხოვარი, ასე ამგვარად რო დასწესებია: ფარად შეგროვდებოდა, აებნეოდა დროდადრო თვალი, გაუსხლტებოდა მწყემსსა კეთილსა, აჰყვებოდა მწყემსთა მაცდურთა. აებნეოდა დროდადრო თვალი. და. ვალალებდა მწყემსი კეთილი.

დახეთქილიყო მთანმინდის ქედი,

მახათაცა,

გორმახებიცა ნაძალადევისა,

დახეთქილიყო გამზირები, ქუჩები, მოედნები.

სავაგლახო მაინც ის იყო, მთანმინდა რო დახეთქილიყო:

დაშლილიყო ერი.

პარტიელად დაშლილიყო. ერი, სამშობლო-სახელმწიფო პარტიად თუ ითქმის, ითქმის მხოლოდ ერთი პარტიადა. ფრაქციები?.. კეთილი ბატონო: გაიყოს მხოლოდ ორ ფრაქციადა: კონსერვატორები და ლიბერალები. ორაღა. ორადა. მესამე უკვე ხრწნის დასაწყისია, მეასამოცე – უბედურებაა. „როგორც უფალი სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“. არ ედავებოდნენ რაფიელ ერისთავსა. ჭეშმარიტება უფრო მაღლა არის, ვიდრე სამშობლო, – ბრძანებდა ბ-ნი მამარდაშვილი. ედავებოდნენ ბ-ნ მამარდაშვილსა. მრგვალები ედავებოდნენ: ჭეშმარიტება სამშობლო არისო. ასსამოცი პარტია აბურთავებდა სამშობლოსა. ერთი მოედანი. ერთი ბურთი და ასსამოცი გუნდი. ღმერთო დაგვიფარე!.. „როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა!..“ ღმერთო დაგვიფარე!.. და მატულობდა და მატულობდა გუნდები, სამშობლო არა. ფლეთდნენ სამშობლოსა და აბურთავებდნენ ნაფლეთებსა. ფუტკარმა იცოდა. ფუტკარმა იცოდა: ოჯახი რო ერთი

დედა გახლდა, ერთი, ერთადერთი. ცრუდედები უბედურება იყო. ფუტკარმა იცოდა. იცოდა. იცის. თავთავის ამალას მოიკრებენ ცრუნი დედანი და შეესევიან ერთიმეორესა ჟინითა, ვნებითა გაბატონებისა. მწერის ვნებითა. მწერის ჟინითა. შეესევიან. გაანადგურებენ. სკაში ჩაცხრება შფოთის ზუზუნი. სკაში სიცოცხლე ამოიკვეთება. მწერული ჟინია ასე დაუმცხრალი. მწერი ჟინია. მეტი ჭკუა არცა აქვს მწერსა. თუმცა არაო, – იმდენი ჭკუა მაინც მოეპოება, ორ-სამს რო არ აღემატება ცრუდედაი, ასსამოცი არც გაგონილა, ამას ფუტკარიც ვერ წარმოიდგენს, შხამით გატენილი ფუტკარი. შხამით გატენილი. ეტყობა კაცი უარესი შხამია, უარესი ჟინი, ვნებაი უარესი. ასსამოცი პარტია, ასსამოცი ლიდერი, ერთს რო გაუსწვრია და ვერ აუტანიათ. ერთი უთუოდ ყოველთვის გაასწრებს, ვინც უნდა იყოს სულერთია, იმ ერთს დაესევა უთუოდ დანარჩენი. ვნებაა, ჟინია, ჭკუა რო ვერ დაიმორჩილებს. დაესევაო და დასევიან. ის ლიბერალი პურთივით მრგვალიო, – მეტი ვერა ჰკადრა კონსერვატორმა ლიბერალებსა: ის ლიბერალი ბურთივით მრგვალი. მართლაც მრგვალი გახლდა სახითა, ტანითა, ცალცალკედაცა, ერთიანადაცა. დაჰხატა პოეტმა და ლანძღვაც ეს იყო. უფრო მეტადაც ვერ გაიმეტებდნენ ერთიმეორესა. სამშობლო იყო ღვთაებაი ორივესათვისა, ორივე სამშობლოს ესაჭიროებოდა. არცერთი ამათგანი არ ესაჭირებოდა სოციალ-დემოკრატებსა, სამშობლოც არ უღირდათ არაფრადა. არაფრადა. არაფრადა. და სჩეხავდა სამშობლოსა, სპობდა უკეთეს მამულიშვილთა და ქილიკობდა: ტყეს როცა სჭრიან, ნაფოტი ცვივაო. ნაფოტიც ის გახლდა, ის ლიბერალი ბურთივით მრგვალი. ზნეობა დაეცა. ზნეობა დასცა მესამე პარტიამა, მესამემ დასცა, მეასსამოცე რაღას მოიტანდა?..

„თქვენ უნდა გვასახელოთ!.." ამბობს პირველი გდიდელი თაყვანისმცემელი.

„მე როგორ?!." ეს შეიშმუშნება. ცოტას გაინევს. მხარით მისწოლია ქალი.

„აქ როგორცა!.. თქვენ რო გისმენთ, გული გადაეხსნება ადამიანსა..."

და გადაეხსნება გული ჩქოლა ქალიშვილსა, როგორც გადაეხსნა იმ პირველადა, – გადაეხსნა თუ გადაუხსნა, რაცთუ რა იყო, ისევ იმგვარადა, – ამოუცვივა ჩქოლა ძუძუები, დაეწაფება. თვალი ნინ გაურბის. ამომატებული ქალიშვილი დამდგარა ზურგითა, სკამი რო დაუთმო – კეფა მოუჩანს. მხოლოდ ყმანვილი ეცემა თვალშია. ზეზეა, თვალებს შეაფეთებს ისიცა. ოჰ!.. აქამდის აზრი ვერ მიატანა. კლარნეტის დამკვრელი, კულტურის სახლის ანსამბლში უკრავდა. მოიყვანეს ერთხელ თეატრშიცა. თვალით აღარ დამანახოთო. ეს ამან დაუტია ადმინისტრატორსა. გაუგონეს თუ შტატი ვერ გამოუნახეს, სულერთია რაღა თქმა უნდა, ამას აღარ მოუკრავს თვალი. სოხუმის ანსამბლიდან გადმოეყვანათ, ანთუ უფრო ნათელი რო იყოს: გამოეძევებინათ სოხუმის ანსამბლიდანა, – ქართველი რადა ხარო. ვაგლახ!.. შეჰკედლებოდა გდიდის ანსამბლსა. ეცნო. აქამდისაც იცნობდა. თმა მოეშვა, მხრებზე ეყარა. მოუკვერცხია. ნვერიც სუფთად მოუპარსია. გაყმანვილებულა. ყმანვილიც არის რაღა თქმა უნდა, მაგრამ ის დროა: ყმანვილები რო ბერიკაცობენ, ნაადრევად დაბრძენებულან, ნვერი მოუშვიათ, გაბანჯგლულან, პირს არ იბანენ, ფრჩხილებს არ იწმენდენ, სამშობლოს ფიქრით შევნუხებულვართო. ეს მაინც არ მოსწონს. ამას არ მოსწონს. არც იმას მოსწონს: ძველმოდური არტისტიაო. მოახსენებდნენ იმისებურადა და იმისებურადვე ჩაიქნევდნენ ხელსა. იმისებურადვე. რა გაუჭირდებოდათ არტისტებსა. გდიდის თეატრი მაგაზე აწყობილა, ეგ მიჩანჩალებს და თეატრიც მიჩანჩალებს მაგასთან ერთადაო. სტურუა!.. აი ვინ გვინდა. აჰყვა დირექტორი თეატრისა. აჰყვა და ვერც აჰყვა: ვერა სდია სტურუასა საზღვარგარეთა. დაბრუნდა როგორც იქნა, შეჰხვდა როგორც იქნა. შორს დაიჭირა: მე არა მცალიანო, – არც ისე შორსა: ჩემს მონაფეებს გამოგიგზავნითო. სამი გაუგზავნა. სამი სპექტაკლი ნამოინყეს ერთდროულადა. სამივე ჩაუვარდათ ერთდროულადა. „სტუ-

რუა!..“ იჯდა პარტერში და ხითხითებდა ისა: „სტურუა!.. ბისსსს!..“ ტკბებოდა. ტკბებოდა. მაინც ვერ შეურიგდა თუ აღარც შეპხვედრია და აი: თვალებს აბრიალებს, – ნადავლი ჩემია, არ მომეკაროო. ვნახოთ!..

„თქვენ რო პირველად გამოხვედით მიტინგზე...“ მხარი ანვება ისევ ისევე.

„ბატონო!..“

„თქვენ რო პირველად გამოხვეღით მიტინგზე, თქვენი ანტონიოსი წარმომიდგა თვალწინა...“

„ოოოოოოოოოო...“

„რატომ აღარა თამაშობთ ანტონიოსსა?!.“

„რაღასა ვთამაშობთ?..“ იკითხავს. შეიცდის. და მერე: „ახლა ჩვენ ყველანი ვთამაშობთ ჩვენ-ჩვენსა თავსა: ჩვენცა – მსახიობები, და თქვენცა – მაყურებელი“.

„მე არა ვთამაშობ“, კოპებს შეიკრავს ქალ.., „მე თავს დავდებ ჩემი პრეზიდენტისათვისა!..“

„თავს დასდებთ?..“

„თქვენ ნახავთ!..“

„ეგეც თამაში იქნება...“

„რატომ შეურაცპხმყოფთ?!.“ თვალები ცრემლით ევსება ქალსა.

„ო, მაპატიეთ!.. მე რაღაც სხვას ვეპასუხებოდი. მაპატიებთ!.. ჰო მაპატიებთ?..“

„გეპატიებათ. არტისტი ჰო ორი ცხოვრებითა ცხოვრობს ერთდროულადა!.. ზოგჯერ მეტითაცა, – სეზონს გააჩნია...“

„ფუფუნებაა ახლა ერთი როლიცა...“

„მე რო თქვენი როლები მახსედება!..“ მილულავს თვალთა, ქალი ცხადია.

და მისრიალებს იკარუსი. დედოფლის მინდორზე მიფრიალებს. აქაურ ხორბალს უფქვავდნენ თამარსა. ლიახვის ველების პურსაც ურჩევდნენ. პურის გემო იცოდნენ. პირისგემო პქონდათ. პურსა სჭამდნენ და პურისჭამა ერქვა ყველაფერსა: სადილსა, სამხარსა, ვახშამსა, ქორწილსა, ქელეხსა, დღეობის სუფრასა. პური ჰქონდათ. და. პურის-

ჭამა იცოდნენ. და მისრიალებს იკარუსი. მიფრინავს ლამისა. იქ უკვე დაღლილნი ელოდებიან. მოედანი არ უნდა შეთხელდეს. მისრიალებს. მიფრინავს. დაღლილნი უკვე წუთებს ითვლიან. წამებსაც ითვლიან. სამოცი წამია წუთში, საათში – სამოცი წუთი. არის და არის. ითვალე. იგივე არის, იგივე იქნება, მართალი თუა რაღა თქმა უნდა. რაც უნდა იყოს გაქვავებულა, ურყევქმნილა სიმართლესავითა. ურყევქმნილა. გაბატონებულა ურყევობანი სიცრუისა. რაც უნდა იყოს მხოლოდ შემცვლელნი თუ უშველიან დაღლილთა. ესენი უნდა ჩავიდნენ. ისინი უნდა დაბრუნდნენ: დაღლილნი. დაქანცულნი. გასავათებულნი. დიან იმ შეჩვენებულის სახელობის მეტროსადგურიდანაცა, რუსთაველის მეტროსადგურიდანაცა, აკადემიის გაჩერებიდანაცა, – „ივერიასთანა" ბრუნავს ტრანსპორტი, რუსთაველი რო გადაკეტილა, – დიან, დიან, ტალღებად გადადიან და ავსებენ სასახლის მოედანსა, ზღვასა თუ ტბასა, – შესაძლოა რო უფრო რო ტბასა: შეედინებიან და გაედინებიან: დიან, დიან, იყალყებიან, რო გადახერგილა რუსთაველი, იყალყებიან და ისე გადადიან. გადახერგილა. რამდენიმეგან გადახერგილა. პარტიებს შემოურტყამთ თავთავიანთი ბარიკადები და ხალხი იგი, სასახლისაკენ რო მიეშურება მდორდება ამ უბეებშია: თევზი ფაცერში. და ხელაობდნენ პარტიები და აფრქვევდნენ იდეებსა და გაჰყვიროდა მიკროფონები და ჩაჰყვიროდა სხვადასხვაი რაღა თქმა უნდა და იყო იგივეი და აგრძელებდა ერთიმეორესა, რადგან რო იყო იგივეი და იგივეი და არც რო მოსწონდათ ერთმანეთი და უფრო მეტი: სძულდათ ერთმანეთი და კიდევ მეტად: პრეზიდენტი სძულდათ. და ხელაობდნენ. და ხელაობდნენ. იჭერდნენ კიდეცა. იმდენსაც ვერა. აივსებოდა და იცლებოდა უბეები. ტალღები დასცემდა და გადაუვლიდა. მიედინებოდა. მიტორტმანებდა. ტაშიც მიჰყვებოდა. ვაშაც მიჰყვებოდა, „ძირს!" რო გაისმოდა. მიჰყვებოდა აღმართული მუშტებიცა. მუქარა მიჰყვებოდა. მიტორტმანებდა. მიედინებოდა, უერთდებოდა სასახლის ზღვასა, თუნდაც რო ტბასაო, ქარიშხალი რო ზედ დასცხრომოდა.

დასცხრომოდა. ჰღელავდა. ბობოქრებდა. იყალყებოდა. იმუქრებოდა. ივედრებოდა. რისხავდა. ადიდებდა. ბრუნავდა. ტრიალებდა. ადიოდა და დადიოდა. აიმართებოდა და დაეშვებოდა. ავარდებოდა და დავარდებოდა. მოიკუნტებოდა და გაიშლებოდა. მოიკლებდა. და. მოიმატებდა: ორბელიანთა მოედნიდანა. ამოდიოდნენ და ამოდიოდნენ აქეთ ქაშუეთის მხრითა, იქით მუზეუმის მხრით: ზანტი კახელები თუ ფიცხი მეგრელები, რო ვერ გაიგებდი თუ რომელი რომელს უსნრებსო. ამოდიოდნენ და ამოდიოდნენ. მდორდებოდნენ და მდორდებოდნენ და ესენი უფრო მალე იღლებოდნენ, თავშესაფარი რო არა ჰქონდათ, მოსაფარებელიც რო არ გააჩნდათ; ისევ თავიანთსავე ავტობუსებს თუ ამოუდგებოდნენ, ანთუ მიეყუდებოდნენ სასახლესავე, ანთუ ქაშუეთს მოეფარებოდნენ, გასაჭირმა რო მორიდება აღარ იცისო. ეს აწუხებდა სასახლესა. ოპოზიციას არაფერი არ ანუხებდა. „შორს აქედან ქუჩის ოპოზიცია", სასახლე მოითხოვდა, „– იპოდრომზე, ხუდადოვის ტყეში, მუხათგვერდში!.. შორს!.." სასახლე ბრძანებდა. არ გაუგონებდნენ. აღარ მოტყუვდებოდნენ. ეგონათ: 28 ოქტომბრის არჩევნებში კომუნისტები გაიმარჯვებენო. ეგონათ. ირწმუნეს. ბოიკოტი გამოუცხადეს. კონგრესი დაირქვეს. კვლავაც ოპოზიცია ვიქნებით ეროვნული ხელისუფლების მოვლინებამდეო. ეგონათ. დაიჯერეს. მოტყუვდნენ. კომუნისტები დამარცხდნენ. ეროვნული ხელისუფლება გამოცხადდა და გაირიყვნენ. კონგრესი დაიშალა. დაიშალა. დაიშალა: ვინ ვის გაასწრებდა, ვინ ვის შეასწრებდა მრგვალების ბლოკში!.. ერთგულნიღა დარჩნენ. ხოლო ერთგული რო ყოველთვის ცოტაა, ორგული რო უამრავია, ახლა თავიდან იკრებდნენ ძალებსა, და თუ მოიკრებდნენ, აქ თუ მოიკრებდნენ, რუსთაველზედა, იპოდრომზე – ვერა, ხუდადოვის ტყეშიაც ვერა, ვერც მუხათგვერდში რაღა თქმა უნდა. და აწყდებოდა ქუჩის მიტინგები სასახლისასა: რომელი რომელს დაიტანდა, რომელი რომელს დასცემდა ძირს!.. „ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.." გუგუნებდა სასახლის მოედანი. გაბრწყინებულიყო ათასი შუქურითა.

გუგუნებდა. გაერთბაშებულიყო სახეები ძლიერი ელშუქის ქვეშა. ღამიანა. დღისით კიდევ გამოირჩეოდა კოლხური სახეები, კახური სახეები, სახეები იბერიული, ღამიან აღარა. ხმებიც აღარ გამოირჩეოდა. სჭექდნენ ერთ ხმაზედა: „ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“ სჭექდნენ და გრიალებდნენ. ქარიშხალიც იყო, ზღვის ღელვაცა, ჭექა-ქუხილიცა, რაც გნებავთ იყო: ხალხი ქცეულიყო ჰო ბუნების სტიქიადა. ბუნება ჰო რა: გაბერწდებოდა შემოდგომაი, გაბერწებული ზამთარი მოჰყვებოდა.

და გუგუნებდა თაღები სასახლისა:

„ზვიადი საქართველოა!.. ზვიადი დამოუკიდებელი საქართველოა!.. ზვიადი ეროვნული სახელმწიფოა!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“

და ზანზარებდა სვეტები „იმელისა“, ანთუ: ყოფილი „იმელისა“, ზანზარებდა, ირყეოდა:

„რომელ დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი, – ოკუპირებულ, ანექსირებულ დამოუკიდებლობაზე?!!!!! ვის გაუგონია ამნაირი დამოუკიდებლობა?!!!!.“

ზანზარებდა სვეტებიმეთქი, კედლები ირყეოდა, და იფშხვნებოდა ნიკოლაძის ბარელიეფები: მარქსი, ენგელსი, ლენინი, სტალინი, იფშხვნებოდა. იფშხვნებოდა. ნაფშხვენები დასცვივოდა ორატორსა თავზედა, მხრებზედა. დასცვივოდა. გადაიბერტყავდა. ჩააფრინდებოდა მიკროფონსა ორივე ხელითა და ჩასძახოდა გაბმული ხმითა, ამოუსუნთქავი ხმითა, თითქოს ყანწი აყუდიაო, ჩასძახოდა თუ ბუყბუყებდა:

„ვიდრე არსებობს რუსეთის იმპერია, რა სახითაც უნდა იყოს, ვიდრე რუსის ჯარი დაბანაკებულა საქართველოშია, ლაპარაკი დამოუკიდებლობაზე ილუზიაა და მეტი არაფერი. არაფერი!.. არაფერი!.. ილუზიაა!.. ცდუნებაა გულუბრყვილო ხალხისა. ცდუნებაააა!.. მიეკუთნოს საოკუპაციო ჯარის სტატუსი რუსეთის არმიებსა, შეწყდეს ოკუპაცია და ანექსია – შეწყდეს!.. აი ჩვენი პოზიცია, აი ჩვენი მოთხოვნილება!.. სტატუსი... ოკუპაცია... ანექსია... სტატუსიოკუპაციაანექსიაოკუპაციასტატუსიანექსიასტატანექ-

სისტაოკუოკუპაანესტატანეოკუ... უუუუუუ... უუუ... ა... ი... ე... ო..: უ... სსსსსსსსსსს... ოკუპაცია... ანექსია... სტატუსი...

ნერეთელიაო.

ნერეთელი ტრიბუნაზედა. ჯუღაშვილი მიუძღვის დემონსტრანტებსა ბარელიეფზედა. წითელ დროშას მიაფრიალებს. საღებავი ჩამოუდღლაბიათ დროშაზედაცა. გაჩეჩილ თმაზედაცა. მაინც: ნერეთელი ტრიბუნაზედა. პეტროგრადი. ნერეთელი მთავრობის დასაცავად მოუწოდებს ხალხსა, სტალინი დასამხობად მოუწოდებს. შორსა, ჩრდილოეთში შებმულა ორი უბედური ქართველი. აქ არა ჰყოფნიათ ასპარეზი, უფრო ვრცელ ასპარეზზე შებმულან, აურჩევიათ დიდი მოედანი ერთმანეთის დასამხობადა. ვრცელი ასპარეზი. დიდი მოედანი. გამოსაჩენი საყოველთაოდა. ყოველთვის რო ასე ირჩევდნენ: სპარსეთში ამხობდნენ ერთიმეორესა, ათენში ამხობდნენ, რომში ამხობდნენ, ბიზანტიაში ამხობდნენ, ამხობდნენ არაბთა კარზედა, მონგოლთა კარზედა, ეგვიპტეში ამხობდნენ ერთმანეთსა, ერთიმეორესა, უბედური შვილები უბედური საქართველოსი, ანთუ ძენი საცოდავი საქართველოსი. ამხობდნენ. ლენავდნენ. ანადგურებდნენ. და. აღზევდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რო: დამხობილიყვნენ ისევ თავიანთ მოძმეთაგანა. მხოლოდ იმიტომა. მხოლოდ იმიტომა. უბედური ძენი უკეთური საქართველოსი. ნერეთელი ტრიბუნაზედა. პეტროგრადი. მოიერიშეები სტალინს შეპყურებენ თუ როდის აურიონ მიტინგი. ჟორდანია. ჟორდანიასაცა შურდა თურმე. მერე გამოტყდება მემუარებშია: მე ვურჩევდი თუ რა უნდა ეთქვაო, – ნერეთელსაო ესეიგი, კაკი ნერეთელსა რაღა თქმა უნდა, – მოსწრებულ პასუხებსაც მე ვურჩევდი წინასწარაო, ვიცოდი თუ როდის რას წამოსძახებდნენ, ვაზუთხებდი თუ როგორ ჩაეჭრაო. მეო. მეო. მეო. უჭირდა ლაპარაკი. იჩემებდა ნერეთლობასა. პეტერბურგში. პეტერბურგში. გაეწირათ რო ერთმანეთი, შინაც გაეწირათ. და ბაჯბაჯებდა ნერეთელი „იმელის" კართანა და უხსნიდა ხალხსა:

„... ოკუპანანექსისტატუსკუპანკიკაანესტაკაკიკიკაო-კუპანსტატუსი..."

უხსნიდა, უხსნიდა.

ივსებოდა და იცლებოდა უბეი წერეთლისა. ტროტუარი დიოდა, მარჯვენა ტროტუარი. მიღელავდა თავები ნაირ-ნაირი. მილივლივებდა. მილივლივებდა. დიოდა. დიოდა.

ტროტუარი დიოდა.

და ივსებოდა და იცლებოდა უბეი ჭანტურიასი.

და გადმოკიდებულიყო ალექსიძის თეატრთანა, ჭან-ტურიაი, ისიც აგრეთვე მიკროფონითა, აგრეთვე ყანწივით რო ეჭირა ხელშია, ოღონდ ისე რო: თითქოს და აი ფრჩხილზე უნდა დაიბერტყოსო:

„2 სექტემბერი შეფასდება ისევე, როგორც 9 აპრილი და 9 მარტი სწორედ ისევე. იმ განსხვავებით, რო მაშინ რუ-სეთის იმპერიამ დახვრიტა ქართველი ხალხი, ხოლო 2 სექ-ტემბერს – საკუთარმა ხელისუფლებამა. თუმცა ეს არც არის საკუთარი ხელისუფლება. კონგრესი გახლავთ ეროვ-ნული ხელისუფლება, კონგრესი, რომელიც მალე მთელს ძალაუფლებას აიღებს ხელში. გამსახურდიას ეგონა, რო ტყვია დაუშინა კონგრესსა, სინამდვილეში თავის თავს და-უშინა. ამ სროლით საკუთარი თავი დაჰხვრიტა ხალხის თვალში და ახლა ის უკვე პოლიტიკური გვამია. ეს უნდა შეიგნოს. ეს უნდა გაიგოს. ამას ჩვენ იმას გავაგებინებთ". ყანნი ფრჩხილზე იბერტყებოდა. სიტყვებიც ასდევდა. ტა-ნიც ასდევდა. ირყეოდა. იჭიმებოდა. იყალყებოდა. ავარდე-ბოდა თითქოს რო მოაჯირზე, უნდა გადმოვარდეს თით-ქოსაო. რაღაც დაითრევდა. ჩასვამდა. ჩაკუნტავდა. ამოს-ტყორცნიდა ისევ-ისევე. დააბზრიალებდა. აცეკვებდა თითქოს მავთულზეო. ხოლო მაინც თუ რაც უნდა ყოფი-ლიყო, ყანნი ფრჩხილზე იბერტყებოდა. იბერტყებოდა. იბერტყებოდა. „პრე-ზი-დენ-ტი!.. ეს იყო ქართველი ხალ-ხის უდიდესი შეცდომა. ამ საბედისწერო ჟამსა. ხალხი ბრბოდ იქცა. ბრბოს ჩვენ ისევ ხალხად გადავაქცევთ. ხალ-ხი ისევ ჩვენ ამოგვიდგება მხარშია. ხალხს ჩვენ მივიყვანთ საბოლოო გამარჯვებამდე. გამსახურდია-შევარდნაძის

ალიანსი დაჰლუპავს ქართველ ხალხსა. ეს ალიანსი საქართველოს დააგდებს ისევ რუსეთის პროვინციადა. ეს ალიანსი... ალიანსი... ალიანსი... ალიანსი... ალიანსი... ალიანსი... ალი-ან-სი... ალი-ან-სი... ალი-ან-სი..." მიდიოდი და თან მიგყვებოდა. გაიხედავდი: ცეკვავდა. ბზრიალებდა. ბუქნიდა. გაბრიაძის თეატრი. გოგო!.. შემობრუნებულა სანახევროდა. ბიჭისთვის ზურგი შეუქცევია. შუბლი სარკმელთან მიუტანია ისე იმგვარადა, ლამის ფოთოლიც რო ვერ გაეტევა. ხან მიეხლება, ხან შეიჩერებს იმავე ზომაზედა: შუბლს იგრილებს თუ ანცობს თუ გასცქერის მთებსა, ქედებსა, მწვერვალებსა, თვალს ადევნებს სილაჟვარდემდისა, – რაც უნდა იყოს, ის იქითაა, გარეთაა. კლარნეტის დამკვრელი დაჰყურებს კეფასა. ხოლო ეს თვითონ უარეს დღეშია: მხარი ველარ შეურხევია. მხარზე თავი დაჰსვენებია, თავი პირველი მოტრფიალისა. ველარა ფშვინავს მაინცდამაინც ისე ნაზადა, მომხიბლავადა ისე, ვერა მაგრამ ვერც უკადრია: გამოაცალოს მხარი. გამოიცქირება ის ბოლოს ამომატებული ქალიშვილი, არგასაშვები თვალით გამოიცქირება, იცინის უხმოდა, თითქოს ნახატიაო, იცინის, დასცინის: ანთუ ამ ძველ სატრფოსა, ანთუ აქასა, ანთუ ორივესა. იცინის ესეცა, ისევე უხმოდა, თითქოს ისევე ნახატიაო: ორი ფერნერული ტილო, ერთიმეორეს რო მისჩერებია: ჰაი შე არგასაშვებო, შენა!.. ჰა?!. ჯერ თბილისს ჩავიდეთ.

V

„2 სექტემბერს ტყვია ესროლეს ეროვნულ ხელისუფლებასა", – განმარტავდა პრეზიდენტი, „რუსთაველის ძეგლთან, რუსთაველის თვალწინ. ამით ნიღაბი ჩამოიხსნა ოპოზიციამა. ამით დაამტკიცა, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ოპოზიცია, ეს შეთქმულებაა, პუტჩია, რომელიც ესწრაფვის, იარაღით აიღოს ხელში ძალაუფლება. გესმის!.." განმარტავდა: „ეს ნიშნავს: რომ იმპერიული ძალები ისევა

მოქმედებენ და ადვილი არ იქნება ჩვენთვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება. გესმის!.. დამოუკიდებლობის მოპოება ჯერკიდევ არა ნიშნავს შენარჩუნებას. წინ კიდევ გველის დიდი ბრძოლები დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლადა. გესმის!.." ესმოდათ, დიოდა რო ხალხი მარჯვენა ტროტუარიდანა გამზირისა, ამოსჩქეფდა რო მეტროს სადგურიდანა, ამოდიოდა და ამოდიოდა მუზეუმის მხრითა, ქაშუეთის მხრითა. ესენიც იქით ავიდოდნენ, სანაპიროდანა. დიოდა. ამოსჩქეფდა. ამოდიოდა. ესმოდა. მზად იყო სძგერებოდა ოპოზიციონერთა ბარიკადებსა. მზად იყო. მზად იყო. ასნევდა. გადააყირავებდა. ახვეტავდა. მიაყრიდა ცხვირპირშია. ბარიკადებს ივლებდა პრეზიდენტიცა. ივლებდა. ირტყამდა. იღობავდა. თვითმცლელებითა. სკრეპერებითა. უამრავი მარკის ავტობუსებითა. იკაროსებითა. უცებ ვერავინ ვერ დაესხმოდა. ხალხიც ჰო ბარიკადები გახლდა. და გამოდგებოდა სვეტებთანა სასახლისაი, საფეხურებზე სასახლისაი, გადმოდგებოდა და განუმარტავდა: „თვითონ ისროლეს წინასწარი განზრახვითა, წინასწარი გეგმითა, მოსკოვიდან გამოგზავნილი სცენარითა, თვითონ ისროლეს და ჩვენ გვაბრალიან, – აი რა ხალხია ეგ ოპოზიცია!.. განა ეგ ხალხია?!." „არა, არ არის!.." დაიგრიალებდა ხალხი. მუშტს ასნევდა პრეზიდენტი. დაიგრიალებდა. სახე გადაეხსნებოდა პრეზიდენტსა. აი ხალხი, აი იმედი. თუ არ დაიშლიან, ზედ გადაუვლის მაგ ქარაქუცა ოპოზიციასა. პარტიებიც რო ჰქვიანთ!.. პროგრამებიც რო შეუდგენიათ!.. ერთმანეთიც რო არ მოსწონთ!.. ვითომ ერთი ცინგლიანი რო მეორესა სჯობდეს, ისევე ცინგლიანსა!.. ბაზალტის ფილების ნატეხებიც ეწყო ჯიბეშია. უნდა ეჩვენებინა. დაავინყდა. ტყვიაც ისროლეს და ეს ნატეხებიც დაუშინეს შინაგანი დაცვის ჯგუფსაო. ისინი უიარაღოდ იდგნენ ერთ კუთხეში, მეთვალყურეებად იდგნენო. დაუშინესო. აცეკვდა ქვები თეთრ ზუჩებზედა, ახლადახალ ზუჩებზედა, ის იყო რო დაურიგეს და უფრო თავმოსანონებლად დაიხურეს, ბაზალტის ნატეხებს არ ელოდნენო. მომიტინგეებს გამოეტენათ ჯიბე-უბეები ამ

ნატეხებითა. მილიციასაც დაუშინეს, შემთხვევით გამ-ვლელებსაცა, ერთმანეთსაცა, რო აირიენენ ერთმანეთშია, ანთუ იმიტომა, უფრო იმიტომა, ვითომ მილიციამ დაგვი-შინაო. დაავიწყდა. დაავიწყდა. „გესმის!.." მშენებლებიც მოუსყიდიათ. ამსხვრევენ ძვირფას მოსაპირკეთებელ მა-სალასაო. იტყოდა ან არცა: რო ამტკიცებდა: ნომენკლა-ტურული, კომუნისტური ინტელიგენცია შეთქმულა ჩემს წინააღმდეგა, ცეკას მდივნების ამალა შეთქმულა, ხოლო ხალხი ჩემთან იყო, ჩემთან არის და ჩემთან იქნებაო. მარა-დიულია ერთობა ჩვენიო. იტყოდა თუ არა, – დაავიწყდა და ის იყო. აღარც მერე გაჰხსენებია. ჯიბიდან ამოჰყარა ბა-ზალტის ნატეხები ცივცხელადა. ამოჰყარა. მაგიდაზე დაჰყარა და შეაჩერდა მოლოდინაშვილსა: რა უნდა ამას ჩემს ჯიბეშიო. თითქოს რო მხრებიღა აპხუხა მოლოდინაშ-ვილმა, დამჯდარი მხრებიო: არ ვიციო, ნიშნადა ამისა. რო-გორთუ არ იციო. გაწყრა პრეზიდენტიო. ირწმუნებიან. ან-თუ რაღას არ ირწმუნებიან: გაუგონარსა, უცნაურსა, გა-დასარევსა. ეს იმდენიც არაფერია: დაავიწყდა. არ გაახ-სენდაო. რა გასაკვირია, – ისეთი ტარაბუა დაახვიეს, ეგებ რო თავიც აღარ გაჰხსენებოდა. დაახვიეს. დაიხვნენ და დაახვიეს.

სულაც დაივიწყებდა ამ ინტელიგენციასა.

ივიწყებდა კიდევაცა.

ვინ დაავიწყებინებდა თავსა?!.

და ზიმზიმებდა რუსთაველი. თვალები აპხვეოდა რუს-თაველსა. მართლაც აპხვეოდა. აქ ეს მეტაფორა არ უნდა გეგონოთ. შეეხვიათ თავითფეხამდისა, ძეგლი ცხადია. ქათქათა ტილოში შეეხვიათ. როდისაქეთია. ძეგლის გა-მოცვლას რო ეპირებოდნენ. აღარ მოსწონდათ. არც მოს-წონდათ. გადაკეთება მოენდომებინათ. გაჭიანურებული-ყო. როგორც ყველაფერი, როგორც ყოველთვისა. ქათქა-თა ტილო შელანძღულიყო. მტვერი დასდებოდა. ჭუჭყი დასდებოდა. არეულიყო წვიმა და მტვერი. თოელიცა, – ვინ უწყის რამდენჯერ დაეთოვა. კალთები ქარს შემოეძენძა. აფრიალებდა ტურტლიან კალთებსა. წაიღებდა და შემო-

ახვევდა. გასტაცებდა და მიაყრიდა. ეთამაშებოდა. ათამაშებდა. ის იდგა ისე თვალახვეული. ქარი ანცობდა, მთაწმინდის ქარი. გადააბერტყავდა მტვრიან კალთებსა მომიტინგეთა. ხან ბოლო იყო აქეთკენა მომიტინგეთა, ხანაცა თავი. უფრო ბოლოი. თავი კინოს სახლთან ერჩივნათ, ანთუ უკვე პარტიათა სახლთანა, კინო რო აღარავის აღარ აგონდებოდა, – თეატრი პო არა, კინოც აღარა, პარტიებსა დგამდნენ. პარტიებს იღებდნენ. პარტიებს უჩვენებდნენ. უჩვენებდა მოსკოვის ტელევიზიაცა: შეპხედეთ თუ რა დღეშია ქართველების სათაყვანებელი პოეტი. თბილისში. რუსთაველის მოედანზედა; შეპხედეთ თუ რა დამართეს ლენინის ძეგლსა ლენინის მოედანზე. რა გასაკვირია, – ერთმანეთს გასცქერენ ეს მოედნები. შეპხედეთო; და მიათრევდნენ ლენინის ძეგლსა. ხელი ახლა მაღლა აეშვირა, ანთუ ეეედრებოდა, ანთუ ემუქრებოდა ღმერთსა. შესაძლოა, რო ემუქრებოდა: ჩვენ კიდევ შევხვდებითო. ემუქრებოდა.

ამუქრებდნენ რუსთაველსაცა. თვალები აპხვეოდა. შემოფლეთილი კალთებით ამუქრებდნენ. ათამაშებდა ქარი.

სჭექდა მიკროფონი, ხანაცა ხაოდა. ხაოდა ყელი ჩახლეჩილი სიგარეტითა: როგორთუ ნომენკლატურულიო; როგორთუ კრიმინალურიო. ყელი ქალისა. სინარნარე. ალერსის ბუდე. აფსუს!.. წარვიდნენ დრონი. გარდასულა პოეზიაცა, „ევას ლეღვი"ღა ებლანდებათ. სჭექდა თუ ხაოდა: იმ ქვევით გადასცემდა, მიუთითებდა ზევითაცა, – ფილარმონიასთანა, უნივერსიტეტთანა და ქანაობდა ჯაჭვი, ჟრიალებდა, ასაწყვეტს იყო: აი და აიგლეჯს, აი და მოიქნევს, აი და სასახლეს შემოერტყმისო. როგორთუ ამალაო, წყრებოდა გაზეთები, ოპოზიციური გაზეთები, დაფრინავდა, დანავარდობდა, შემოსხდებოდა ჭადრებზედა რუსთაველისა, ჭიკჭიკებდა მრავალხმაზედა: პრეზიდენტმა არც იცის თუ რა არის ინტელიგენცია; ინტელიგენცია და კრიმინალური სამყარო არევია ერთმანეთშიო. ჭიკჭიკებდა. გალობდა. უსტვენდა. გამზირი უსტვენდა. აპხვეოდა თვალები რუსთაველსა. შეპხედეთ, შეპხედეთო, – იმეორებდა ტელევიზიაი მოსკოვისა: მოდი და თავი მიანებე, მოდი და

ნუ უპატრონებო. გესმის!.. ვის გადაუკიდია ავტომატები, ვინ იტაცებს ავტომანქანებსა, ტელევიზიის მოძრავ სადგურს ვინ იტაცებს, ვინ დარბის შავნაბადაზედა, შავნაბადადან ზღვაზედა, და პირუკუ, წაღმა რო ვეღარ შემობრუნებულან?.. კრიმინალები!.. იკითხავდა პრეზიდენტი და ხალხი შესძახებდა, ხალხი სასახლისა, სასახლის მიტინგისა. აქ ეს შესძახებდა, იქიდან სხვა მოპქონდა ქარსა: ძირს დიქტატურა!.. მოპქონდა ასხმული მიტინგებიდანა. ემიტინგათ. მიტინგობდა რო თვითონაცა. მიტინგებისა არ ეშინოდა პრეზიდენტსა. მიტინგებიდან მოვიდა. შეიშნოებდა. მოირგებდა. ცოტა ეს ბარიკადები არ მოსწონდა. შეიარაღებული შავნაბადა არ ეჭაშნიკებოდა. შეიარაღებული ზღვა არ უჯდებოდა ჭკუაშია. და ქუხდნენ შეუღწეველნი სასახლეშია: დიქტატურა!.. და გრგვინავდნენ შეღწეულნი სასახლეშია: კრიმინალები!.. ქუხდნენ. გრგვინავდნენ. ხალხი ორივეს იმეორებდა: დიქტატურა!.. კრიმინალები!.. გესმის!.. ვის მხარესაა ჯაბა?.. ვის მხარესაა კიტოვანი?.. ვის მხარეს არიან გამოპარულნი ციხიდანა?.. ვინ გაპყო გვარდია?.. ვინ დაიტაცა სახელმწიფო საჭურველი?.. ვინ უგალობს, ვინ აქეზებს იმათა?.. ახლა ტელევიზიასაც მოითხოვენ, რადიოსაცა, ერთადერთიღა გაზეთი შეგვრჩა, იმასაც მოითხოვენ; თავიანთი გაზეთები აღარა ჰყოფნით, ასეულობით გაზეთები, ამ ერთსაც მოითხოვენ, სრულ განიარაღებას მოითხოვენ ეროვნული ხელისუფლებისა და ამას უწოდებენ დემოკრატიასა. გესმის!.. თუ არ დაანებებ, დიქტატორი ხარ. გესმის!.. თუ არ დაანებებ, დემოკრატიზმს ებრძვი, ებრძვი ვითომ დიად იდეასა; ევროპის ინტეგრაცია რო უკვე დაუმთავრებია თითქოსა და ახლა აღმოსავლეთიც რო უნდა შეიერთოს ბალტიისპირეთიდან იაპონიამდისა. გესმის!.. ჩვენ გვეყო ამდენი შეერთებანი. ჩვენი გზა ერთია, ერთადერთია: დამოუკიდებელი საქართველო!.. ვისაც ეს ესმის, ინტელიგენცია მხოლოდ ის არის. ინტელიგენცია კეთილშობილებაა. კეთილშობილება მოსპეს საქართველოში. დიდიხანია ეს აუწყა ღოღობერიძემა თავის აღმზრდელ რუსეთსა. მოსპეს. კეთილშობილე-

ბა უნდა აღადგინოს ინტელიგენციამა. კეთილშობილებას ვერ აღადგენს კორუმპირებული ინტელიგენცია. კეთილშობილებას ხალხი აღადგენს, ქართველი ხალხი. „ქართველი ხალხი?!." – ფრთხილად, ფაშიზმი მოაბიჯებს. დიქტატურა!.. ფაშიზმი!.. – აღარ ერიდება აღარაფერსა ოპოზიციაი. აღარაფერსა. აღარაფერსა. და გადასცემს მოსკოვი, მსოფლიოს გადასცემს: ქართული ფაშიზმიო. „სიცრუეა ქართული ფაშიზმი, – უმტკიცებს პრეზიდენტი უცხოელ კორესპონდენტებსა, – წარმოუდგენელია ფაშიზმი საქართველოში. წარმოუდგენელია!.." კორესპოდენტები გადასცემენ მოსკოვის არხებითა. მოსკოვის არხებში იხრჩობა მტკიცებანი პრეზიდენტისა. მიტინგზე არა რაღა თქმა უნდა. მიტინგი გუგუნებს: ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. – ქარიშხალია თითქოსაო, აიმართება მოედნიდანა სასახლისაი და გადაუვლის მიტინგებსა ეზომდისა უნივერსიტეტისა: ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. შეტორტმანდება წერეთელი „იმელის" კართანა: აი და აჰაა გადაყირავდებაო. კუნძიც შეიძლება გადაყირავდეს. ლოდი არაო. დაიგრიხებოდა მიკროფონის ღერიცა მაინცა. აქარდებოდა მიკროფონი. წერეთელი სტაცებდა ხელსა. ჩასძახებდა ქარიშხალთან ერთადა:

„ჩვენ დავანგრიეთ კერპები. ჩვენ მოვსპეთ კულტი. ახალი კულტი ახალი უბედურებაა!.."

„მაგან ჯერ „სამი მუშკეტერი" წაიკითხოს, „ბაკულას ღორებიც" არ აწყენს". დააბარებდა ქარსა პრეზიდენტი. იფშხვნებოდა ბარელიეფები „იმელისა". ნაფშხვენი, მტვერი, გოროხები გადასდიოდა წერეთელსა თავზედა, მხრებზედა. იდგა გოროხებზე. ფშხვნიდა გოროხებსა. დაბაჯბაჯებდა. „მე ვასწავლე მაგათ ყველაფერი: მიტინგობანა მე ვასწავლე, გაფიცვები მე ვასწავლე, პიკეტები მე ვასწავლე, შიმშილობა მე ვასწავლე და ახლა მევე შემომიბრუნეს. მე კიდევ ვიცი, რაც მაგათთვის არ მისწავლებია. მე გადავარჩენ ჩვენს დამოუკიდებლობას!.." ირწმუნებოდა პრეზიდენტი.

„ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.."

„შორს ჩვენგან კომუნისტების დამქაში ინტელიგენცია, – შოოოოორრრრრს!..“

„ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“

კომუნისტობა შეურაცჰყოფად იქცა. კრიმინალური ერჩივნა. კორუმპირებული ერჩივნა. კომუნისტური უარესი იყო. მონინავე ინტელიგენცია დაირქვა. ერის ნაღები დაირქვა.

„ჩვენა ვართ მონინავე ინტელიგენცია!..“ მიაწვდიდნენ რო მიკროფონსა ბ-ნ შენგელაიასა, აცხადებდა.

„ჩვენა ვართ ნაღები ინტელიგენციისა!..“ ქ-ნი ღოღობერიძე აცხადებდა, მიაწვდიდნენ რო მიკროფონსა.

„ქვეყანა ის არის, რაც არის მისი ჰუმანიტარული ინტელიგენცია!..“ ბრძანებდა ბ-ნი გამყრელიძე.

აცხადებდნენ, ბრძანებდნენ.

ჩაბნელებულიყო მიტინგები ოპოზიციისა. ბრდღვიალებდა სასახლის მოედანი. პრეზიდენტის მიტინგი ბრდღვიალებდა. ვერა-ვაკე ჩაბინდულიყო. საბურთალო უკუნეთს მოეცვა. უკვირდა ბ-ნ ბოჭორიშვილსა:

„რას არ იტყვიან!..“ უკვირდა. უკვირდა. „ქვეყნის პროგრესი ტექნიკური ინტელიგენციაა, საბუნებისმეტყველო ინტელიგენციაა, – მონინავე ეს არის, ნაღებიც ეს გახლავთ!.. თუ არა და ერთია. ინტელიგენცია ვის გაუყვია?!.“ თვითონაცა არტისტობდა ახალგაზრდობაში. თელავში. არც ამისი დაკარგვა ენება. იარაღსაცა შოულობდა და აწვდიდა სამანელებსა. ესეცა ახალგაზრდობაში. არტისტობაში. ეჭვი ვერ აართვეს. ვერ წარმოედგინათ არტისტისგანა. „თუ განიყოფა“, განაგრძობდა ბ-ნი ბოჭორიშვილი, „განიყოფა მხოლოდ იმითი: ვინ თუ სადა სდგას, – ვინ მომხრეა, ვინ მონინააღმდეგე?.. ვინ პატრიოტია, ვინთუ გზას ამცდარი?.. ინტელიგენტობა მამულიშვილობაა!..“ და ვარვარებდა შუქურები. ბრწყინავდა შუქურები. ბრწყინავდა სასახლეი.

„ნათლია მე ვარ“, აუწყებდა ბ-ნი გაწერელია, „მე მას მამულიშვილობა დავანათლე. ჩემთან ერთად გახლდათ პავლე ინგოროყვა. რა დაანათლა იმან, მე არ ვიცი. მამულიშვილობა მე დავანათლე, ზვიად მე დავარქვი“.

„ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!..“ გადაივლიდა ტალღებადა. გადაივლიდა და გადმოივლიდა. აიყალყებოდა. დაასკდებოდა. იფშხვნებოდა.

„ხელოვნება უპირველესყოვლისა!..“

„პოეზია უპირველესყოვლისა!..“

აიმართებოდა აჩონჩხილი ხელები უნივერსიტეტის წინა, კიბეზედა. ჩაიმსხვრეოდა. აღიმართებოდა. მიტინგობდნენ ჰო იქაცა. ისხდნენ თუ არა მიტინგობდნენ. ისხდნენ პროფესორები. სხვანი ყველა ხარისხისანი. სტუდენტები. ვერა-ვაკე: ხელოვნებისანი. „ვგმობთ ტოტალიტარიზმს ჩვენ ქართველი სტუდენტები!..“ ბაბუს ეჭირა ლოზუნგი. მაღლა აღემართა. „აგანიოკს“ გამოეჭიმა. „აგანიოკი“ ოპოზიციას თანაუგრძნობდა. ბაბუ სტუდენტად გამოეჭიმა. ერთობოდა. არ ეშლებოდა. დღე ჰო დღე იყო, ღამე უჯობდათ სამხიარულოდა. მოიცავდა ბნელი. გადაშუქდებოდა უეცრადა და შესჭყვირებდნენ ეს ბაბუები და ბებიები ბავშვებივითა. ერთბაშადა. გაგრძელებითა. შეიძლებოდა სხვა ლოზუნგიც გამოეტანათ: ჩვენ, საბავშობაღელები, ტოტალიტარიზმს ვერ ავიტანთო. შეიძლებოდა რაღა თქმა უნდა. ისედაც უხაროდათ, მართლაც ბავშვებივითა: სიბნელე რო გამოანათებდა. გადაშუქდებოდნენ თვითონაცა. გამობრწყინდებოდა ძეგლებიცა: ილია, აკაკი. ვაჟა. რაზმაძე. ჯავახიშვილი. მელიქიშვილი. შანიძე. ნუცუბიძე კეკელიძე. უზნაძე. ჩუბინაშვილი. ბერიტაშვილი. ნერეთელი. გამობრწყინდებოდა. ხტუნავდნენ. ჭყვიროდნენ: „აი ვინ არიან ჩვენთან, აი ვინა ვართ ჩვენ!..“ – ჭყვიროდნენ. ჭყვიროდნენ. და. ჩაბნელდებოდნენ ისევ ისევე. იწყევლებოდნენ მერე მდაბიო დედაკაცებივითა. ავიწყდებოდათ ტიტულები. წოდებანი ავიწყდებოდათ. იგინებოდნენ მერე შოფრებზე უარესადა, მამაკაცები რაღა თქმა უნდა, არაფერი რო არ ავიწყდებოდათ, ყველგან რო ასე იგინებოდნენ, შინა თუ გარეთა, გაბრაზებულნი თუ დამშვიდებულნი, თაცსაც ინონებდნენ ახალახალი მეტაფორებითა, უხამსითა რაღა თქმა უნდა. იგინებოდნენ. იწყევლებოდნენ. გვანამებს. ერთობა. სადისტია. კატებზე ერთობოდა. ახლა ჩვენ-

ზე ერთობაო. დაიჭერდა კატებსა. გაავსებდა ტომარასა. აათრევდა სახურავზედა. ისროდა იქიდანა. კატების ცოდვით ინვოდა მთელი უბანიო. იტყოდნენ ჩამომსხდარნი. ჩასძახებდნენ მიკროფონსაცა. გადასცემდნენ ათასი ჯურის დემოკრატებსა თუ მწვანეებსა თუ კიდევ ვინ უწყის თუ რა სახელის პარტიებსა. გადასცემდნენ. იმეორებდნენ: ტომრებითაო. უბანი ინვოდა საცოდაობითაო. არა და: ერთხელ აიყვანა და ერთი კატა აიყვანა სახურავზედა; ერთი აიყვანა და ერთი გადმოაგდო. ანდაზას ამოწმებდა: კატა სახურავიდანაც რო გადმოაგდო, ზურგზე არ დაეცემაო. არც დაეცა. დასკუპდა. ერთი ამოჰხედა. ერთი ამოჰკნავლა და ნაცუხცუხდა. ბავშვი იყო. ანდაზა შეამოწმა. ჯერ არ იცოდა, ანდაზა რო სიბრძნე იყო და სიბრძნეს რო არ ამოწმებდნენ. არც ოპოზიცია ეცემოდა ზურგზედა. ვერადავერ დასცა ზურგზედა. ზურგი მაგარი ჰქონდა. მაგარი. მაგარი. მოსკოვი გაჰკიოდა: „ტოტალიტარიზმი!.." „ნეობოლშევიზმი!.." „ანტიდემოკრატია!.." გაჰკიოდა. გაჰყვიროდა. გასწიოდა. მოსკოვი. რატო ღმერთი არ გაიცინებსო.

უხაროდათ მოსკოვი კიბეებზე უნივერსიტეტისა.

პრეზიდენტმა აკრძალა მოსკოვის გადაცემები.

ვგმობთ!.. – აიშლებოდა კიბეები. აგუგუნდებოდა კიბეები.

აიშლებოდნენ. ავარდებოდნენ. ჩამოსხდებოდნენ. უფრო ისხდნენ. მსხდომიარე პროტესტიაო. „ეს მაინც არ უნდა მესწავლებინა", წუხდა პრეზიდენტი, „ამათ რა მოღლით!.." ისხდნენ. რა მოღლიდათ. მასლაათობდნენ. მიირთმევდნენ. სვამდნენ. ყავა ეყენათ ჩინურ თერმოსებში. ყავა უყვარდათ ვერა-ვაკელებსა, მთაწმინდელები გადარევას იყვნენ, საბურთალოელებს ნუღარ იკითხავ. ისხდნენ. ლანძღავდნენ. გულს იოხებდნენ. მიწვებოდნენ კიდევაცა. რაზეც რო მიწვებოდნენ, რაც რო ეცვათ თუ რაც რო ესხათ თუ რასაც შეავლებდნენ ხელსა – Adidas-ი ენერა ყველაფერსა. მშრალად დაიწყო შემოდგომაი. მშრალი ზამთარი მოებმებოდა. საკითხავი მხოლოდ ეს იყო თუ როდემდის ისხდებოდნენ. ეს იყო. ეს იყო. ავარდებოდა ორთქლი,

სურნელოვანი ორთქლი ავარდებოდა ჩინური თერმოსებიდანა. ცხვირს დააცემინებდა ვაჟასა. ყალივანი სჩრავ პირშია. იფეთქებდა შამპანურიცა. იზეიმებდნენ დაბადების დღესა. იზეიმებდნენ. მსახიობები აქა ბრძანდებოდნენ. რეჟისორები აქა, პოეტები, მჭევრმეტყველი ფილოლოგები, სახელდახელოდ გამომცხვარი პოლიტიკოსები, გადაკეთებული ფილოსოფოსები, გადაკეთებული ისტორიკოსები, გადაკეთებული ეკონომისტები, ყველას რო მოერგო ახალი როლი, ახალ ტყავში რო ჩამძვრალიყო. ყველა სახიობდა. ჯაფა არ ადგათ რეჟისორებსა. კონფლიქტები თუ გაქვთ თეატრშიო, – ეკითხებოდნენ სტურუასა ერთხელა. არავითარიო, – ბუზღუნებს. არტისტი როლი თუ არა აქვს, როლს მისცემ და კმაყოფილიაო. კატისა არ იყოს, ესეც რო ესინჯა პრეზიდენტსა?.. ჰა?.. როლები რო დაერიგებინა?.. ჰა?.. ჰა?.. პირიქით მოიქცა: ჩამოართვა როლები, ვინც არა სნამდა. ჩამოართვა. გადაიკიდა. რა ბუზღუნიო. სისხლს დავლევთო. ჯერ შამპანურს დაენაფებოდნენ. და იფეთქებდა შამპანური და გადაბრიალდებოდა საფეხურები უნივერსიტეტისა და შეპხტებოდნენ მსხდომიარენი და შესჭყვირებდნენ და აცეკვდებოდნენ ჭიქაშემართულნი და გადაიღებდა ტელევიზიაი და გადასცემდა. და გამოდგებოდა პრეზიდენტი სასახლის ნინა: „ჰო ჰხედავთ თუ როგორ იტანჯებიან?.. ბედნიერებისაგან რა ჰქნან არ იციან და დიქტატორობას მიკიჟინებენ!.." მოსკოვი ამას არ გადასცემდა. მოსკოვი გოგა ხაინდრავას სიუჟეტებს გადასცემდა. თავპირი ჩამოსტიროდათ ღამისმთევლებსა. „არ სჩანს ურმები მოჩარდახული ღამისმთევლებით ბოლნისის გზაზე". აღკვეთილიყო „დრომოჭმული ტრადიციები". პოეტი მისტიროდა „დრომოჭმულსა". თბილისის პოეტი, თბილისის ტრუბადური. არ უყვარდათ. პოეტებს არ უყვარდათ. ეს ერთი გახლდა თბილისში გაზრდილ-დაბადებული, სხვანი მოსულიყვნენ პროვინციებიდანა. შურდათ. ესეცა შურდათ, ყველაფერი რო შურდათ, ერთმანეთისაცა შურდათ, და ყველას ამისი შურდა. ის თაობა გარდასულიყო, ის შური არა. შეინწყნარებდნენ ცოტას თუ მაინცა, მხოლოდ

იმიტომა, მდაბიო ოჯახში რო გაჩენილიყო. რაც იყო, იყო, გარდასულიყვნენ. შური ბობოქრობდა. სძრახავდა პრეზიდენტი შურსა. ვაჟას მოიშველიებდა. მოიშველიებდა ყოველთვისა ვაჟასა. ვაჟათი დაიწყებდა, ვაჟათი დაამთავრებდა. გამოაცოცხლებდა სახეებსა ახალახალსა, მივიწყებულთა. იტყოდი: ვაჟასთან გაუთენებიაო. ქვეყანა ეშლებოდა. ბუნებაში არაფერი არ არის მთელი, თავისუფლებაც მთელი არ არისო. თავისუფლება ეფშხვნებოდა. იყოფოდა ყველაფერი, იშლებოდა, იხლიჩებოდა, იფანტებოდა, ღავდებოდა, იფარწყლებოდა, ნიავდებოდა ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი.

ჩვენ მხოლოდ შეკავშირება, მხოლოდ ერთიანობა თუ გადაგვარჩენს, – ირწმუნებოდა პრეზიდენტი.

ჩვენ არაფერი გვაქვს შენთან საერთო, – იყალყებოდა საფეხურები უნივერსიტეტისა:

არაფერი!.. არაფერი!.. არაფერი!.. – გადასცემდნენ ხერგილების მეპატრონენი. გაბმულიყო გუგუნი იგი.

მე ვერ ვიცხოვრებ გამსახურდიას საქართველოში, – აცხადებდა მოპოეტო ჯანი.

მიბრძანდეს საითაცა ნებავს, – წყალობას მოიღებდა პრეზიდენტი.

პოეტს აძევებენ საქართველოდან!.. – გაპკივლებდნენ საფეხურები თავზარდაცემული.

პოეტს აძევებენ!.. პოეტს აძევებენ!.. პოეტს აძევებენ!.. ექო გამოსცემდა, მთები გამოსცემდა მთანმინდიდან მახათამდისა, მერე პირუკუ. მერე მოსკოვი ესარჩლებოდა: უშველე პენკლუბო, შენღა ხარ იმედიო. ექო აღნევდა შორსა და შორსა, მთლად დედამიწას შემოივლიდა. წოდება დაპკარგეს, – სოციალისტური შრომის გმირობა დაპკარგეს პოეტებმა საქართველოში, უშველე პენკლუბო!.. გაზაფხულისთვის შევიკრიბებით, ვიმსჯელებთო, – ამშვიდებდა პენკლუბი. მანამდის მკითხველებმა დაპხიეს პოეტის წიგნები, – განა ერთისა, განა ორისა, – რამდენიმესი: ბელეტრისტებისაცა, რუსთაველიცაო. გმინავდნენ: რუსთაველიცაო!.. რუსთაველიცაო!.. რუსთაველიცაო!.. თურმე არაო:

მხოლოდ წინასიტყვაობა დაეხიათ ერთი გამოცემისა, ისიც ისევე ოპოზიციონერისა. და იდგა გორა ნახევებისა ფილარმონიასა და ქადრაკის სასახლის შუა. მერე ცეცხლს მისცემდნენ, მერე აინევდნენ კაბებსა და გადაახტებოდნენ და გადმოახტებოდნენ: არული კუდიანებსაო. ეს მერე, მერე: პრეზიდენტი რო უკვე გაქცეულიყო, სასომხეთს რო შეპფარებოდა; დემონსტრანტები რო შეჰყვიროდნენ თეატრსა: მოღალატეებო; იმათ რო ეგონათ: მაჩაბლები ვართო, – მოღალატეებოო; დემონსტრანტებს ჰო ჰხვრეტდნენ, მიტინგებს რო ჰხვრეტდნენ, ეს მერემეთქი; ჯერ არა ცხადია, ჯერ მხოლოდ ეს იყო: ყველას საქმე მიეტოვებინა, ყველა დემონსტრანტობდა, მიტინგობდა, პიკეტობდა, კარებსა ჭედავდა, კარვებში იწვა, კიბეებზე იჯდა, ყველა, ყველაი. პრეზიდენტი იმუქრებოდა. შეუტევდა. დაიხევდა. ქვეყანა უკან მიდიოდა. უკან, უკან, უკან, უკან, შარა, შარა, შარა, შარა.

თქვენ დაჰღუპავთ ძლივსძლივობისას მოპოვებულ თავისუფლებას!.. – აფრთხილებდა პრეზიდენტი.

თქვენ უკვე დაჰღუპეთ!.. – მოუჭრიდნენ ქუჩის ორატორები.

ჩვენ მალე გვაღიარებს მთელი მსოფლიო!.. – გრგვინავდა პრეზიდენტი.

თქვენ აღარავინ აღარ გაღიარებთ, თქვენ უკვე გაგტყორცნათ ბორბალმა ისტორიისა!.. – ჰქუხდნენ პარტიები თანმიყოლებითა.

ჰქუხდნენ. მრისხანებდნენ: ერთი ამას დაგვიხედეთო, მართლა პრეზიდენტად რო მოაქვს თავიო. პრეზიდენტი!.. შორეული სახელი გახლდა. მხოლოდ გაეგონათ. არც ეგონათ თუ მოევლინებოდა საქართველოსაცა. მხოლოდ კონსტანტინეღა ოცნებობდა. პარიკმახერებს მოუყვანდა პატარა ზვიადსა: კარგა გაკრიჭეთ, მომავალი პრეზიდენტიაო. საპარიკმახეროში ოცნებობდა. პარიკმახერები იცინოდნენ. ფიცარს გაუდებდნენ სავარძელზედა. შეასკუპებდნენ: ჰოპ, მომავალი პრეზიდენტიაო. იცინოდნენ. ერთობოდნენ. ეს არ იცინოდა. სარკეს ჩაჰყურებდა. ეჩვე-

ნებოდა: კათალიკოსი გვირგვინს მადგამსო. შურდათ. შურდათ: მამა რო კონსტანტინე ჰყავდა, კოლხური კოშკი რო ედგა, შურდათ, ფარშავანგი რო დადიოდა ეზოში, შურდათ, შვლის ნუკრიცა შურდათ ცხადია, მაინც ვერაფრით დაიჯერებდნენ, პრეზიდენტად რო მოევლინებოდათ ეს ბიჭი, ვერის აღმართებზე რო არბი-ჩარბოდა. ვერც დაიჯერებდნენ, არც უნდოდათ, რო დაეჯერათ: ისევ ზვიადას უნოდებდნენ, პრეზიდენტს არა. „ზვიადა!.." იტყოდნენ. დაიმანჭებოდნენ. ის სხვანი იყვნენ: „ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.." რო ჰკიჟინებდნენ, ის სხვანი იყვნენ, ესენი სხვანი: თბილისის ბატონ-პატრონებად რო მიაჩნდათ თავი, ოღონდ მთავარმართებელს რო ყოველთვის უცხოს ელოდნენ. პეტერბურგიდანა. მოსკოვიდანა. ელოდნენ და მოსდიოდათ. იქა ნიშნავდნენ. ესენი მიიღებდნენ მონიწებითა. მენშევიკებიც გაუცხოებულიყვნენ. მოევლინენ და გაჰქრნენ თოვლივითა. ეს აქვე ამოვარდა, ამოიტყორცნა ამათ შორისა. აღემატა და შეიფერა. თვითონ შეიფერა. ამათ ვერა. თვითონ აირჩიეს და გაოგნდნენ თვითონვე: ნუთუ ჩვენ ეს დაგვემართაო. ნუთუ არ დანიშნეს?! ნუთუ ავირჩიეთ?! ფარშავანგს რო ფრთებს აწყვეტდა?!. კატა?!. მონანიება?!. მერაბ კოსტავამ ჰო განგიმარტათ!.. რა განგვიმარტა?!. მოსკოვმა გადასცა მთელს მსოფლიოსა. მოსკოვი!.. მოსკოვმა დაგვამდაბლა, მოსკოვმა აგვაოხრა, მოსკოვი მოგვსპობს!.. და ვინ უწყის ფეხი რო არ გაედგა კონსტანტინეს აბაშიდანა, შვილიც რო იქვე წამოეზარდა, რო გამოჰქცეოდა მერე, ან თუნდაც რო გამოესტუმრებინა, – მთავარია საიდანმე მოვლენილიყო – ვინ უწყის ასე არ გადაჰკიდებოდნენ, ვინ უწყის ადვილად ელიარებინათ, – ვინ უწყის, ვინ იცის; გმირი ჰო ყოველთვის მოვლენილია, გმირი იქავე ჰო არ იბადება?.. ზღაპარმა ყველაფერი იცის. კაცმა ვერაფერი შეიგნო.

შეჩერდებიან.

მოუსწრია ერთ ავტობუსსა. სხვები თანდათან მოადგებიან.

ერთად უნდა შევიდნენ. საბურთალოდან გზა მოჭრილია. სანაპიროთი უნდა იარონ. ორბელიანების მოედანზე უნდა დავირაზმოთთ. დროშებით, საყვირებით, დოლებით, ლოზუნგებით უნდა შევიჭრეთ მოედანზეო. ისინი ვაშათი მოგვეგებებიან, ჩვენც ვაშათი შევერევითო. მოწინავე გუნდს პრეზიდენტამდის მიუშვებენო. იქ სიტყვას შენ წარმოსთქვამო. აი შენი სიტყვაო. და გადასცა რამდენიმე ფურცელი პრეფექტმა. შენზე უკეთ ვინ წაიკითხავსო. თვალს გადაავლებს. უცნობი არაფერი. რა წაკითხვა უნდა. ზეპირად იცის. სხვებიც ამას ამბობენ. ამასაც უთქვამს ვინ იცის რამდენჯერა. სხვები ჰო აღარა კითხულობენ. ეს რამდენი ორატორი ჰყოლია საქართველოსა!.. ეგონათ მოისპო მჭერმეტყველების ხელოვნებაო. ეგონათ. წუხდა ნიკოლოზ კანდელაკი. ყველა რო მხოლოდ დაწერილსა კითხულობდა, სხვის დაწერილსა, სხვის შემოწმებულსა, სხვის ნებადართულსა, კითხულობდა გაჭირვებითა, ჯლოყინითა. ეგონათ. თურმე გადარჩენილა. ფურცლები აღარავის აღარ უჭირავს მიტინგებზედა, აღარავინ აღარავის აღარაფერს აღარ ეკითხება, მიერეკება და მიერეკება, ოღონდ მიკროფონი ჩაიგდოს ხელშია. ოღონდა. ოღონდა. ქორწილებს ებრძოდნენ ამიტომაცა კომუნისტები, ქელეხებს ებრძოდნენ, ამიტომაცა. ამიტომაცა: იქ შეაფარა თავი ორატორულმა ხელოვნებამა, სკოლა იქ იყო, აკადემია იქ იყო, იქ იწაფებოდნენ. ხალხის გაორატორება არ ენებათ კომუნისტებსა. ხალხისა ეშინოდათ კომუნისტებსა. ხალხს კომუნისტებისა ეშინოდა. თურმე ეშინოდა. ეშინოდა თურმე!.. ხალხმა რა იცოდა. გაიგო. და. აღარ უნდოდა სხვისი ნაჯღაბნები. ოღონდ მიკროფონი ჩაეგდო ხელშია, ოღონდა, ოღონდაო. ყველა გასჯიბრებოდა სოლომონ ლიონიძესა, სწორედაცა, სწორედაცა: ის რო იმ დროის ორატორი გახლდა, სახელმწიფოს რო ჰკარგავდა ხალხი, ჰკარგავდა და დაჰკარგა, და რო იგივე მეორდებოდა: ძლივს ამოიგო და უმალვე ჰკარგავდა. ყველა მიიწევდა ტრიბუნისაკენა, ყველა მიკროფონს მისტანებოდა, ყველაი, ყველაი: ბრუნდი და სწორი, ცრუ და მართალი, თაღლითი და წრფელი,

ბრძენი და სულელი, გიჟი უამრავი გვაროვნებისა. ჯაჭვიც რო აღარ იშოვებოდა ამდენი. ეს აქ ტრიბუნისათვის არ ნამოსულა. ტრიბუნა თვითონ ეგებებოდა. უჩუმრად ნავიდა. ბრუნდება ტრიუმფითა. შეიფერებს. ვისთვის ჟამია განნირულობისა, ვისთვის ტრიუმფი. ნუთისოფელი თავისთვისა ბრუნავს. შეიფერებს. სხვები ამბობენ, – იტყვის ესეცა. მჯდარა სუფრებზე მამაპაპურზე, უთქვამს სადღეგრძელონი მამაპაპურნი. უთქვამს და იტყვის.

გოგონები?..

ეს აგერაა.

ის რაღა იქნა, – ამომატებული?.. გამქრალა. ფაფუ!..

რაც დაკარგულა, მას ნუღარ ვტირითო. თავს ინუგეშებს. ეს ერთი მაინც გვერდით უნდა ჰყავდეს. ყვავილებით უნდა მოჰფინონ საფეხურები სასახლისა. გზაცა. რო გაიყოფა ხალხი მოედანზე, გზას რო დაუთმობენ. ამას დიდი თაიგული ექნება. მიართმევს პრეზიდენტსა. გოგონას ამზადებენ. თაიგულს ურჩევენ. გვერდით ეყოლება. ბოლთასა სცემს. სიტყვას ალაგებს. იხსენებს როლსა სცენაზე გასვლამდე. ესეც ჰო სპექტაკლია, სპექტაკლთა სპექტაკლი, – სპექტაკლია. ამდენი მაყურებელი არცა ჰყოლია ერთბაშადა. ბოლთასა სცემს. შეჩერებულან წერეთლის სვეტთანა. დიღმის ველზედა, ველი რო აღარ არის. სვეტიც რო არის, რაღაც სხვა იყო, ის აღარ არის. რაღაც ბორბალი ება ნოპზედა, ანთუ ეგებ რო ქარის ნისქვილია ვითომაო. ეგება ქარმაც დაატრიალა, – მოსწყდა, ჩამოიმსხვრა. ამერიკაშიც დაუდგამს ასეთიო. ნეტავი ისინი რაღამ გააბრიყვათ. აიღესო. ჭკუაზე მოსულან. აქ ჩამოიმსხვრა. აქ ქარმა უშველა. აქ ჭკუაზე როდის მოვიდოდნენ?.. ქარი უვლიდა დიღმის მინდორსა, ქარი და მზეი. დათამაშობდა ქარი და მზეი. შხაპუნა წვიმა დათარეშობდა. და მერე მზეი. და მერე ქარი. და მერე ისევ შხაპუნა წვიმაი. ხორბალი მოდიოდა უგემრიელესი, ხილი, ბოსტანი – ჰო ნუღარ იტყვი. „მა-ნონი!.. მა-ნო-ნი!.." გაპკიოდნენ დიღმელები თბილისის ქუჩებში და გამოირჩეოდა იმათი ხმაი წყნეთელი თუ ოქროყანელი თუ ტაბახმელელი მემაწვნეებისაგანა. გამოირჩეო-

და. იკვებებოდა თბილისი დიღმის მინდვრითა. იკვებებოდა. ახლა თბილისით იკვებება დიღომი, იკვებება და ვერც იკვებება. ბრუნავს ბორბალი წუთისოფლისა, ხან ნაღმა და ხან უკულმაო. ბრუნავს. ბრუნავს. უკულმა ბრუნავს. თავში ეს სვეტი ასვეტილა დიღმის მინდვრისა, ჩამომსხვრეული, ბოლოში „ტრაქტატი", გადამწვარი, იმავე წერეთლისა, მინდორიც მინდორი რო აღარ არის, რო აჩონჩხილა მაღლივი შენობები და რო გამოჭედილა დამშეული ხალხითა. მკვიდრად იყო ნაგები იგი, – აჩონჩხილი შენობები არა, – „ტრაქტატი" იგი წერეთლისა, თავისთავად არ დაიშლებოდა. ცეცხლი ნაუკიდეს მრგვალებმა, გამოსწვეს, დაღჯნეს. ტრაქტატმა გასძლო ორი საუკუნე, ძეგლმა ორიოდე წელსაც ვერაო. პირუკუ სჯობდა. რაც იყო, იყო. აქა თავდებოდა გზაი დაპყრობისა. აღადგინეს ნიშანდობლივა დარიალიდან დიღმის მინდვრამდისა, ნიშანდობლივა, თითქოს რო არა კმაროდა დადაღვაი სულისა, ბარემ თვალებიც რო დაგვეგო ზედა. იმპერია ინგრეოდა. ცოცხლდებოდა გზაი იმპერიისა: აქ რო „ტრაქტატიო", ზევითდაზევით: ლერმონტოვიო, ფეხშველა გორკიო, დეკაბრისტებიო, – იმპერიული ჭკუა რო შეელაგებინათ ცილინდრებშიცა, – შორს ილიაცა, აქარებული თუ ატივტივებული, თითქოს რო მოუძღვის, ამათ მოუძღვის და ბედნიერიაო. ტრაქტატი: 83 წელი: ორი საუკუნე. იმპერია ინგრეოდა. ცოცხლდებოდა გზაი იმპერიისა. გოგონა დგას თაიგულით ხელში, ანთუ უფრო სწორედ: გულზე მიხუტებული თაიგულითა. ეს ასწრებს. ბარე ორჯერაც გაიმეორებს. მზადაა. დაიწყოს.

იცდიან.

ბინდდება.

დროაო.

გამოცხადდებიან სწორედ რო დროზედა. პრეზიდენტს სიტყვა დაუმთავრებია. ჰქუხს მოედანი. სასახლე ბრიალებს. გრძელდება ტაში. და აი რო უნდა მიილიოსო: შედიან ესენი. ეს მხრებგაშლილი და თავაწეული. გვერდით გოგონა თაიგულში ჩაფლული. უკან მწყობრი რამდენიმე ათეულისა. ყვავილები. დაფდაფები. ახალი ატალღება ტა-

შისა. ეს გოგონას გადაუსვამს მხარზე ხელსა: ყოჩაღო. გვერდით ვიღაცა ჩაახველებს. დროშა უჭირავს. ეს ის კლარნეტის დამკვრელი ყოფილა. ჰმ!..

VI

მალე გამოაცლიან მეკლარნეტესა დროშიანადა. დროშებში ჩარგავენ. გაუძვრება მეთაიგულეცა. თვალსა და ხელშუა, – თაიგულს რო მიაწვდის პრეზიდენტსა, ველარ იხილავს ველარც თაიგულსა, ველარც გოგოსა. და თვითონღაა და პრეფექტი გდიდისა და პრეზიდენტი და მიკროფონი და სახეები ამოპირქვავებული, მინყობილი ერთიმეორეზედა,.მინყობილი და აბზინებული, და იტყვისო, იტყვისო და თქვა, თქვა და რა თქვაო: ასეთი სიტყვა არავის არ უთქვამს, ასე მგზნებარედაც არავის არ უთქვამსო. გაზვიადებაც იციან ცხადია, მონონებითაც მოეწონათ მართლაცა. არტისტი გახლდა, ახმეტელური, მონოლოგის ოსტატი, ოსტატი თქმისა. მონატრებოდათ ახმეტელი, ანთებაი ასეთი მონატრებოდათ, სიტყვის ასეთი ფორიაქი მონატრებოდათ. მგზნებარე სიტყვისა, ფრთებად რო იქცეოდა, ფრთებადა, რო აიყვანდა ყველას ერთადა, მიფრინავდა და მიაფრენდა. მიაფრენდა. მიაფრენდა. „მთლად საქართველომ რო მიგატოვოთ, გდიდი მარადის თქვენთან იქნება, გდიდი დაიცავს ღირსებას თქვენსას, თქვენს სიდიადეს გდიდი მოჰფენს"-ო. ასდევდა ნიღბებიცა. ის ამოპირქვავებული მიჯრილი სახეები: ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. ზვი-ა-დი!.. – ასდევდა როგორც რო აკომპანიმენტი, ანთუ ეს ასდევდა იმ ხმოვანებასა, ანთუ ეგებ რო ორატორიაც გახლდა, – ხალხი გუნდიც იყო, ორკესტრიც იყო ამავე დროსა, მოვლენილიყო სოლისტიცა შესაფერისი. პრეზიდენტმა ხელი ჩამოართვა, მხურვალედ ჩამოართვა ხელი, ანთუ უფრო რო: ხელში ეჭირა ამისი ხელი და ისე ჩასძახოდა მიკროფონსა: ჩემთან იქნება ჩემი სამეგრელო, ჩემი სვანეთიც ჩემთან იქნებაო. ამან ინანა: სვანეთიც მეთქვაო. უკვე ყვე-

ლაფერი მოინდომა. ერთი რამ მაინც მოიპოვა: პროგრამა მიაჩეჩეს იმ საღამოსი, შენ გაუძღვებიო. პრეზიდენტი იქ აღარ იყო, აღარც რო პრეფექტი გდიდისაი. ვიღაცა მართავდა, რაღაცა მართავდა, თითქოს რო პულტზე აწყობილიყო. დააჭერდნენ. ამისი ხმა გახლდა, რიხიცა ამისი, სხვა ღილაკს ებარა და თითსა ღილაკზედა.

რაც გინდა თქვი: მიტინგი გაცოცხლდა.

მიტინგს არტისტები უნდოდა. არტისტები ჩამოეცილებინა პრეზიდენტსა. სახელი გაეტეხათ ამის თვალშია: კომუნისტების ამალაში იდგნენო. ჩადგებოდნენ ამის ამალაშიცა. როლები იცოდნენ, კარგად იცოდნენ: ამალა ამალაა. არაო, როლები ჩამოერთმია. წამოენია მოხალისენი, ურიოლო არტისტები, უდადგმო რეჟისორები. ვერ განაფულიყვნენ სათანადოდ. დრო უნდოდა, არ დააცდიდნენ. ვინ დაცდიდა?.. ჩახლეჩოდა ხმაი მიტინგის გამძღოლსა. ხმა ეს იყო. ჩახლეჩოდა ხმაი და სახელიც გასტეხოდა: ვითომ ეგეც რეჟისორიაო, – ნივნივაძე გადაჰკიდებოდა, – ერთი „არშინ მალ ალანი" დაუდგამს ოდესღაცაო. ოდესღაცაო. სხვაც გამოდიოდა. მომღერალი. დოლს უკრავდა. დოლს დამღეროდაო. ხმა გაეწაფა. ბედად იმასაც ნივნივაძე გადაჰკიდებოდა: მოცეკვავენი თუმნიანებს დააფურთხებდნენ და აწებებდნენ შუბლზედაო. მეც მიცეკვია, მიმინებებია მეც ბევრჯერაო. გადაჰკიდებოდა. მზად იყო, ვისაც მიუსევდნენ. კბილებს ილესავდა დიდი დაჭმის წინა. გაგულისდა შეურაცხყოფილი. იჩივლა. შეცდა: ვაკის სასამართლოში იჩივლა. მთლად ვაკე მოაწყდაო. მართალი არ იქნება. ასამდე დოლი მაინც მოიტანეს, ზურნაცა, დუდუკიცა, დიპლიპიტოცა. მთავარი მაინც დოლია ცხადია. აბრაგუნებდნენ ასამდე დოლსა. აჭყვიტინებდნენ დუდუკსა, ზურნასა. იდგა გნიასი. ქორწილს არა ჰგავდა. დღეობას არა ჰგავდა. უფრო ველური ზეიმი ეთქმოდა. გასამართლება ვეღარ აეწყო. გამასამართლეთო, ბრალდებული იხვეწებოდა. არსად ბრალმდებელი, არსად მოსამართლე, არსად მსაჯულნი, მონმენიც არსადა; ანთუ მონმენი რო არც უნდოდა: ვაწებებდიო, – აღიარებდა ბრალდებული.

ერჩივნა: გადაეცა გლდანის სასამართლოსათვისა, ნამდვილი გლდანისა, მასივებისა არაო, ძველი გლდანისა, კულას გლდანისა, – დოლი რო არავის არ გაუკვირდებოდა, ზურნაც არაო, დუდუკიც არა, დიპლიპიტოც არა: ლხინსაც ჩააბამდნენ, ერიც მოდგებოდა, გაიხდიდნენ მოჭიდავენიცა. გლდანი ერჩივნა რაღა თქმა უნდა. აღარც ეს ინება, სულაც უარი გამოაცხადა: აღარ ვუჩივიო. ცხარობდა. ახლა ნივნივაძეი: უნდა მიჩივლოს, უსათუოდ უნდა მიჩივლოსო. და ატყდებოდა დოლის ბრაგუნი ხან სადაო და ხან სადაო, უფრო მიტინგზედა, ის რო უძღვებოდა. სასახლის მიტინგსაც უძღვებოდა. სასახლის მოედანსაც შემოესიენ პუტჩისტები. დოლის ბრახუნი შეფასდა დიდ გამოგონებადა. აბრახუნებდნენ. და. აბრახუნებდნენ. გარეკავდნენ ქაშუეთიდანა, დასცხებდნენ მერე მეფის ნაცვლის საბრძანებელთანა, მერე სკოლასთანა; ედევნათ თუნდაც ფუნიკულორამდე, ედევნათ, დოლის ხმა მტკვარსაც გადააღწევდა. უჯობდათ შეეცვალათ მიტინგის გამძღოლი. ხელში ეს შერჩათ ნაუცბადევადა. არც გაპკვირვებია. არც დაბნეულა. შეიფერა. თავიც გამოიდო. ეშხშიც შედიოდა თანდათანობითა. შედიოდა. და. შედიოდა. და რო ეგონა, ახლა ვარ, რაცა ვარო: შეწყდა მიტინგიცა. შემოეცალნენ ხელისუფალნი. მარტოღა შერჩა ჩამშრალ მიკროფონსა. ხალხიც დამშვიდდა თითქოსაო, თუმცა იქვე უნდა მდგარიყო: ეს იყო ცოცხალი ბარიკადები, ამისი იმედი ჰქონდა პრეზიდენტსა. იქავე იყო 9 აპრილი. მაინც ამისი იმედი ჰქონდა. ეს მარტო დარჩა ერთისიტყვითა.

მადლობა ღმერთს, ძლივს მარტო დავრჩიო.

მოეშვა. მოდუნდა. ძლივს ნალასლასდა. დიდი გზა არ ედო, მადლობა ღმერთსა, მართლაც მადლობაო. იქვე შებრუნდა მთაწმინდისაკენა. აუყვა ვიწრო ქუჩაბანდებსა, ორი ვირი რო გაეტეოდა: გოდრებიანი თუ გუდურებიანი ორი ვირი. აუყვა. აუყვა. აღარას ვამბობ თუ რამდენჯერ მიუხვია თუ მოუხვია: ბოლოს კარს მიადგა, ვიწრო ეზოს კარსა, – ეზოც ვიწრო გახლდა, კარიცა ვიწროი, – აიარა ვიწრო კიბეცა მესამე სართულამდისა. ჩაიარა ვიწროვე აი-

ვანი. ბოლოში კარი დააკაკუნა, – არცთუ განიერი, ახლა ასე ითქვას, – ფანჯრებიცა აქეთ-იქითა. ხმა არავინ გასცა. შემოეგება მკვდრული დუმილი. იმედი არ გადაუწყვეტია. სხვა შესასვლელიცა ჰქონდა ბინასა: ფართო, განიერი სადარბაზო კარი, ზემო ქუჩიდანა. სადარბაზო კიდევ ერთ მეზობელს ეკუთვნოდა. გულითადი მეზობლები გახლდნენ. იმათი შენუხებაც შეიძლებოდა, დედა თუ მაინც არ გამოეხმაურებოდა. აქეთ ამაყი მეზობლობა ჰქონდა დედამისსა, იქით ჰო გულითადი. თავს არ უყადრებდა აქეთებსა. სამივე სართულს ერთი საპირფარეშო რო ედგა ეზოშია და ერთიცა ონკანი იქვე, საპირფარეშოსთანა. თვითონ ორივე მხარეს გადიოდა. იქეთ იქითურად მონყობილიყო, აქეთ ჰო თავს არ უყადრებდამეთქი. ვერც ვერას ეტყოდნენ ესენი. ფრთხილადაც ჩამობრუნდა, არ შევაწუხოო. თუმცა ვინ უწყის ესენი ჯერაც არ დაბრუნებულიყვნენ უფრო შორი მიტინგებიდანა. მაინც იფრთხილა. ჰო: ლამის გამომრჩა, – ეზოს რო აღვნერდი, შუაქალქის ეზოს აღვნერდი, აქ ისევ XIX საუკუნე ბუდობდა, ხოლო მოდერნი ხუთნლედებისა და ხრუშჩოული მოდერნი მტკვარს აჰყოლოდა და დაჰყოლოდა, ზევით მცხეთამდისა, თუმცა ლამისა, ქვევით რუსთავამდე, იქაც ლამისა, – არაფერია, მაინც ასე ითქმის: მცხეთიდანა რუსთავამდეო. ითქმის. და ისიც ითქმის: ბევრად ადრინდელი საუკუნეებიცა სუნთქავდა ამ ეზოში: ისევ ერეკლეს აბანოში დადიოდნენ, ისევ ლურჯ აბანოში დადიოდნენ, განიბანებოდნენ ბუნებრივ ცხელ წყალში, გოგირდოვან წყალში გაიღვრიჭებოდნენ, რო არ გააჩნდათ საკუთარი აბაზანები რაღა თქმა უნდა. შეჰნატრებდა ხოლმე ხანდახანა დედაი ამისი:ნეტავი თქვენაო. არტისტულადა. არტისტი არ იყო, მაგრამ ჰო იყო დედაი არტისტისა და უამისოდაც არტისტული გახლდა. ერთ შეგონებასაც იმეორებდა: დაჰნატრე შენზე უბედურსა თუ არ გინდა, რო შენი შურდესო. ახლა ერეკლეო: ეს ის დიდი ერეკლე არ გეგონოს, შვილიშვილია იმისი, ამ ერთი აბანოს მეტი რო აღარაფერი შერჩენოდა, ესეც მიატოვა და გადაიკარგა უცხოეთშია. გადაიკარგა. ეს მაინც მიადგება თავის

კარსა. დარეკავს ზარსა. დედა არ უპასუხებს. მეზობლების ზარს დაანვება.

ჩქამი არ ისმის.

ეგება ესენიც მიტინგზე არიან. ეგება ფრთხილობენ, კაცი შინ არა ჰყავთ. კაცი. ლინკა აქამდის თუ არ გათხოვილა, კაცი სულაც არ ეყოლებათ. ლინკა!.. ლინა!.. ჰა:

„ვინ არის?.." ლინკაა!..

„მე ვარ!.."

„ლუო!.." მოისმის და კარი გადიხსნება, გადაიფხრიწება თითქოსაო. კარი გადიხსნება და შეესკვნება პატარა ქალი, ქალი – ქალიშვილი, ცოტა ფუნჩულა და მკვირცხლი ისეთი, შემოესკვნება რო კისერზე ერთი ნახტომითა, შემოესკვნება და ჰკოცნის, ჰკოცნის, სადაც მოჰხვდება: ლოყებზე, შუბლზე, კისერზე, ნიკაპზე, ხოლო ტუჩებს მიაგნებს თუ არა, აღარც მოეშვება, დაენაფება მწყურვალეი უდაბნოისა.

„რა დაგმართნია?!." უკვირს ლუოსა, შეიხსნის მკლავებსა, მოინყვეტს ტუჩებსაცა. ჩამოსვამს ძირსა. და ვერც ჩამოსვამს, ისევ ეტოტება.

„გასცილდი, არა?.."

„ვისა?!."

„იმ კუდიან მზეთუნახავსა!.."

„ვინ კუდიანსა?!."

„ცოლსა შენსა..."

„ვინ მოგახსენა?!."

„ჯუნამა!.."

„ჯუნას სადღა გადაეყარე?!."

„მოსკოვს გახლდი!.."

„მაგისთვისა?!."

„მაგისთვისა!.."

„კაი სულელი ხარ. ჯუნაც არაა შენზე ნაკლები".

„ჯუნა საოცრებაა!.. უმაღლესი ექსტრასენსია. ამერიკა გადარია. იაპონია გადარია. მსოფლიო გადარია. ჯუნამ თქვა: აღა-მაჰმადხანი მოდის თბილისზეო. ჯუნამ თქვა: სამცოლგამოცვლილი კაცი შეგირთავსო. ჯუნამ თქვა...."

„კმარა!.."

„ჯუნამ თქვა..." გაიბუსხება, გაიბუტება ლინკაი თითქოსა. თითქოსა. ოღონდ უცებვე ამართავს მკლავებსა, აიჭიმება, უნდა შეეხტესო. ლუო მკლავებზე წაატანს ხელებსა. ეგრეევე შეაჩერებს. „შენ ჰო გასცილდი?.." ეკითხება ლინკაც ეგრეევე.

„არ გავცილებივარ..."

„სტყუი!.." და აბაგუნდება მუშტები ლუოს მკერდზედა. შეეხედე ერთი, რა მაგარი მუშტები ჰქონია!.. ახლა მუშტებს დაუჭერს ლუოი.

დედაც გამოდის, ლუოსი არა, ლინკას დედაი. თეატრივითაა. ეს სცენა შეწყდება. ამ წუთს გადარჩება, ოღონდ რა დაითვლის თუ რამდენი ასეთი წუთი ელოდება. ამას ჰო გადარჩა. გადარჩა. დედა გამოდის. ხვევნა. ალერსი. სალამიქალამი. მოკითხვანი. სულ სხვა საუბარი. ახლა ამისი დედაც გამოვა. ლინკა უფრო დაიჩრდილება. მოიქუშება. გაიბუტება. გავა. ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია. თუმცა ვინ იცის, სიტყვაც არ აცალოს დედასა ამისსა, შუაში ჩაუდგეს და რძლად გამოუცხადოს თავი, – ვინ იცის, ვინ უწყის, გააჩნია თუ რა ნებავს დრამატურგსა, გააჩნია თუ როგორ შესცვალა რეჟისორმა, – ჰო უნდა შესცვალოს უსათუოდა: ერთი ალთასა და მეორე ბალთასა, – მოდი და გაიგე. დედა არ გამოდის. მოხუცთა სახლს შეეფარებია. გასაღები ჩვენთან დატოვაო; რო არც დაეტოვა, ჩვენთან დაიძინებდიო; რომელი უცხოები ჩვენა ვართ: ბავშვობაში ჰო ხშირად გეძინა ჩვენთანა, – დედაშენი რო შენს თავს მომაბარებდა, ჩაგაგორებდი ხოლმე ლინკას საწოლშიო. რა პუტკუნა იყავი, – გოჭივით იყავიო. ერთად გეძინათ. ერთად იღვიძებდით. ერთადა ტიროდით. და. ერთად იცინოდითო. დედა ამბობს, დედაი ლინკასი რაღა თქმა უნდა, ლინასი ანუ. დედაი ამისი ჰო მოხუცთა სახლში გადასახლებულა. რა გაუჭირდა?.. არაფერი!.. არაფერი!.. ანუგეშებენ დედაშვილი, ორივენი ანუგეშებენ. ერთი ჰყვება, მეორე განაგრძობს, – ორი კონფერანსიე: აცდიან ერთმანეთსა, შეეყურებენ ერთმანეთსა, ერთი ამოისუნთქებს, მეორე აიტაცებს: ამ მი-

ტინგებმა გააბეზრესო. ჩვენც გაგვაბეზრესო. მთელი ქალაქი აქ იყრის თავსა. ჰყვირიან. ღრიალებენ. იმუქრებიან. დღედაღამ სროლაა. ხან რას დაცხრილავენ, ხან რასა. ჩვენც გვესროლეს. რა უნდოდათ არ ვიცით. სადარბაზო კარი დახვრეტილია. არ შენიშნე?.. შუშებიც ჩაგვილეწეს. გვეშინიან. გვეშინიან. ისედაც მოსვენება არა გვაქვს. შერბიან და გარბიან. დაიღლებიან და აქ უნდა დაისვენონ. მოშივათ და ჩვენ მოგვადგებიან. ტუალეტში ჰო რიგია გამართული. ჩვენ ვეღარ შევსულვართ. კიდევ კარგი ეზოშიცაა ტუალეტი. რას ეყოფათ?!. ესაა გავისტუმრეთ. შენც იმათთაგანი გვეგონე, მიტინგზე დაღლილი, გაჭირვებული. თუმცა და რაო: დაიღლებოდი კიდევაცა, – რა ამბებში იყავი!.. რა მოგსვლია?!. დედაშენმა ვეღარ გაუძლო. გაბეზრდა. გადასახლდა. ზღვაზეა. ზღვა არის თუ რაც არის, მაინც ზღვა არის, ტბა იყოს, აჰაა!.. იქ არის. იქ არის. კარგადაც არისო. აშოშმინებენ, ამშვიდებენ შეწუხებულ შვილსა. ამშვიდებენ. რო არცა ნუხს, რო არც შეწუხებულა არასოდესა, მშობლისთვის ზრუნვა რო არც იცის, და სრულიადაც რო მოჰკლებია გრძნობაი ზრუნვისა. ამშვიდებენ. ანუგეშებენ. ჩვენ თვალი გვიჭირავსო: მისვლით ჰო მივდივართ ყოველ კვირასაო, ვკიდივართ აგრეთვე ტელეფონზედაცა დილასაღამოსა, – მე თუ ლინკაიო; მე თუ დედაიო. ჩვენც იქით გვეწევა. ნამოდითო, მანდაობა ვიდრე ჩაცხრებაო. მერე ჰო მეც დავბრუნდებიო. ანყნარებენ და უქარწყლებენ. ლაპარაკობენ შუაქალაქურადა, შუათბილისურადა: შეზელილი რუსულ-ქართულითა, ოსტატურად შეზელილითა, შენნულითა, შექსოვილითა; უფრო რუსულად რო წარმოითქმის და ქართული სიტყვები მიჰყვება სამკაულადა, ზოგჯერ მთელი წინადადებანიც მიჰყვება, ზოგჯერ ნახევარ-ნახევარი, რუსული მახვილებითა, მკვეთრი ქართულითა ზოგჯერაცა, – გააჩნია თუ როგორ მოუხდება, როდის რა სჯობიან. გდიდშიც იცოდნენ, ოღონდ უფრო ვიწრო წრეებში. ლუოსთვისაც უცხო არ იყო. გდიდში მაინც გადაეჩვია. მალე აღიდგენდა. მაინც იფრთხილა: თუ ჩაურთავდა, ქართულად თუ ჩაურთავდა თითო სიტყვასა.

მეტს ვერც მოასწრებდა: მიერეკებოდნენ და მიერეკებოდნენ ორივე ენაზედა: მშობლიურზე და მეორე მშობლიურზე, – პარტია როგორცრო მოუწოდებდა, – მალე რო მხოლოდ ერთი ენა ჩამოყალიბდებოდა, – ენაი ლენინისა, ენაი პუშკინისა, თურმე მთლად მსოფლიო რო გადარეულიყო ამ ენისათვისა და უპირველესად საბჭოეთი რო იზეიმებდა. იზეიმებდა. ქართული მხოლოდ სამკაულადღა შეიმჩნეოდა. ანთუ ლუოს თუ მოსჩვენებოდა სამკაულადა, ენას ეგებ რო ეკალივით გამოსდებოდა. იფრთხილამეთქი, ისე, უფრო უნებლიედა. ლინკა შენიშნავს:

„გეშინიან?!."

„ვისი?!."

„პეტრიაშვილისა!.." კისკისებს ლინკაი, კისკისებს, კისკისებს და ხელებს იქნევს, თითქოს ბუზებს იგერიებსო. „შეგეცოდებოდა ამასწინათა ეთერ გუგუშვილი: კატაკლიზმები წამოსცდა და აფორიაქდა: ვაიმე, პეტრიაშვილმა ჰო არ გაიგონაო. ნუ გეშინიანო, დაამშვიდეს, კატაკლიზმები საერთაშორისო სიტყვაა, ამაზე პეტრიაშვილიც არ გაგიწყრებაო. დაამშვიდეს, როგორც იქნა!.. ჰა, ჰა, ჰა... არა, თვითონ რო რუსის ქალი ჰყოლია!.. ბიჭუნებიც დედის კვალზედა!.. არა, მაინც რა ენაზე ელაპარაკება თავის ბიჭუნებსა?.."

„გოგონები ჰყოლია..." ლუო მოასწრებს.

„კოტე წერდა: ბიჭუნებიო!.."

„კოტემ გაარჩიოს თავისი შვილები. პეტრიაშვილმა უკეთ არ იცის: ბიჭუნები ჰყავს თუ გოგონები?!."

„პეტრიაშვილმა არაფერიც არ იცის".

„თავისი შვილებიც აღარ იცის?!."

„არა!.. არა!.. ჩინური კედლები უნდა შემოავლოს საქართველოსა, მსოფლიოს უნდა მოსწყვიტოს საქართველო, მეტი არაფერი არ იცის. არაფერი!.. არაფერი!.. თუ ეს ცოდნაა, ჰქონდეს, გამოიკრას ბოხჩაშია და შეინახოს, ჩვენ რას გვიმოძღვრებს?!."

„ვინ დაუჯერებს?!." ქ-ნი ეკა ჩაურთავს, დედაი ლინკასი რაღა თქმა უნდა. „ჩამოუფხატია სვანური ქუდი და წა-

მოსკუპებულა უზენაეს საბჭოს სხდომებზედა!.. ჰმ!.. ტრიბუნაზედაც ასე გამოდის. პატრიოტობაც ესა ჰგონია. ჰა, ჰა, ჰა... საცოდავი პატრიოტიზმი!.. შეპხედავ: რასა ჰგავს?.."

„თქვენ მხოლოდ აპოლონები მოგწონდათ ქალბატონო ეკა". ლუო შენიშნავს.

„ცუდი გემოვნებაა?.."

„მაგრამ ყველა ვერ იქნება აპოლონი".

„პეტრიაშვილი მაინც არ უნდა იყვეს..." ეკა მოუჭრის.

ლინკა კისკისებს. გასცრის ლუოსა. ასე კისკისებდა. უყვარდა კისკისი. მაშინ არა სცრიდა ლუოსა. ის იყო უბრალო, ჩვეულებრივი კისკისი, ახლა რაღაც საზეიმოდ გაისმის, ლოდინის მერე აღსრულების ჟამი რო დამდგარა. გასცრის, გასცრის ლუოსამეთქი. შედის. გადის. ლინკაზე ვამბობ. ყავას მოგიდუღებო. შედის. კისკისებს. გადის, კისკისებს. პეტრიაშვილს თუ დასცინის, ამასაც დასცინის. ერთხელ დაემუქრა, – პეტრიაშვილს არა, ამას დაემუქრა: ქვეყანაც რო გადაბრუნდესო, მე მაინც შენი ცოლი ვიქნებიო. დაემუქრა. ჯერ გამოუტყდა: მიყვარხარო. დაძმურადაო, მოუჭრა ლუომა. არაო, არაო, სხვანაირადაო. დაძმურადაო, აიხირა ლუომა. სხვანაირადაო, გაჯიქდა ლინკაი. გაჯიქდა. გაჯიქდა. ლუო გაურბოდა. შინა ბრუნდებოდა გვიანობისასა. მხოლოდ რო დასაძინებლადა. და ისიც: საძინებელი ეზოს მხრით დაიდო, პირისპირ აღარ შეეჩეხებოდა, თუნდაც რო ლოდინი არად ჩაეგდო. არც არად აგდებდა: ელოდებოდა, ელოდებოდა. მიაკითხავდა კიდევაცა თუ დაადგენდა, სად დაყოვნდაო. დაადგენდა კიდევაცა. მიაკითხავდა კიდევაცა: მტკვარგამოღმა ჰო ადვილადა, გაეჭრებოდა მტკვარგაღმითაცა. გაეჭრებოდა თუნდაც მუხიანში, თუნდაც ვარკეთილში, გაეჭრებოდა სიცილ-კისკისითა: მეც აქეთ მოვხვდი, ერთი გზა გვიდევს, ერთად დავბრუნდებითო. ვერ დაუსხლტებოდა. მიპხვდა. გაუჭირდა. პირველი ცოლი ამიტომაც შეირთო. ნადიმიდან წამოიყვანა. ფხიზელს გააცნეს და მთვრალმა უკვე ცოლობა სთხოვა გაბეზრებულმა და ამჩატებულმა. ლინკა შეეგება

სიცილ-კისკისითა: მალე დასჭამთ ერთმანეთსაო. მალეც დასჭამეს. ახალგაზრდები ბრძანდებოდნენ, სტუდენტები, ბრნყინვალე ოცნებები ჰქონდათ. ოჯახებიდან არ გააჩნდათ საფანელი საამისო. არც თვითონ შეეძლოთ ბევრი არაფერი. დასჭამეს. დასცილდნენ. ლინკა კისკისებდა: ასეც მიბრძანა თეთრით მოსილმა ქალბატონმაო: მესიზმრაო, – ცოლგაშვებული კაცი შეგირთავსო. ახლა უფრო მეტად დავრწმუნდი, მე შენს იქით გზა არა მაქვსო. დავრწმუნდიო. მაინც გაექცა. სხვა შეირთო. არ დადრკა ლინკაი: თეთრით მოსილმა ქალბატონმა ასე მითხრაო, – ორცოლგაშვებული კაცი შეგირთავსო. არ დადრკა. არ დადრკა. არც ლუო დადრკა: არ გავცილდები, რაც უნდა დამმართოს, ჯოჯოხეთიც რო გამიჩინოსო. არ გავცილდებიო. გულში დაიფიცა. ისედაც დაიფიცა. გულში ფიცილისა უფრო სჯეროდა, არც ამან გასჭრა, გაშორდა იმასაცა. ჰო – გავშორდიო, გაცილებას მაინც არ იტყოდა. ეს განშორება ძვირად დაუჯდა, ვერც რო ავცდები ამის მოყოლასა, ოღონდ ჯერ მაინც: ლინკას უხაროდა ისევ ისევე, ისევე კისკისებდა და ცეკვავდა კიდევაცა. ცეკვავდა, ცეკვავდა, მარტოცა ცეკვავდა, ლუოსთან ერთადაცა, სადმე ნადიმზე რო მიეჭრებოდა, ანთუ შეჰხვდებოდა ვითომ შემთხვევითაო. გაშლიდა ხელებსა და დაეყრდნობოდა. დასრიალებდა. დასრიალებდა. ასდევდა ლუოცა ტანჯულის ღიმილითა. რა ჩემი ბრალია, – ამბობდა ლინკაი, – თეთრმა ქალბატონმა მიბრძანა ასეო. ორცოლგაშვებულნი სხვებიც არიანო, – უხსნიდა ლუოი. ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. ლინკა ანდაზებს მოიშველიებდა. ჯამიც წინ ედგა და თავიც ქუდში ჰქონდა. ქუდიც გადაუგდო და ჯამიდანაც ამოუვარდა ლუოი ცხადია: ცოლსაც გაექცა და ლინკასაც გაექცა, ანთუ ცოლს განშორდა და ლინკას გაექცა. გაექცა. გაექცა. და აღარც ახსოვდა აღარც რო ლინკაი, ოინბაზობანიც აღარა მისი. ლამის დედა დავინყებოდა, მამა ჰო მართლაც აღარ აგონდებოდა, ლინკა ვინ იყო?.. ვინც იყო, იყო: დაბრუნდა თუ არა, გაიღო კარი და კისერზე ჩამოეკიდა: სამცოლგაშვებულიო... ჯუნამაო. აღარ უხსენებია

თეთრით მოსილი ქალბატონი. ალბათ თუ მიჰხვდა: ღვთიშობელი თუ ვერა, კუდიანი მაინც მიშველისო.

ყავა შემოაქვს, –

ყავადანი, ფინჯნები, გალეტი სინით შემოაქვს, ცეკვით შემოაქვს ლინკასა ცხადია. არაფერი არ შესტყობია: დრო, დრო არ შესტყობია, – ჩაუვლია იმას თავისთვისა: ისეთივე პირმრგვალი, ისეთივე კრიალა კანი, გაბრწყინებული თვალებიცა იმნაირადვე, ტანიც ცოტა ჩადაბლებული, ბევრს კიდევაც რო მოენონება, ოღონდ ლუოსთან ფარდი ვერ იყო. ეს არაფერი. ფარდიცა ყოფილიყო, არ მისდიოდა გული მაინცა. რას იზამ, როცა გულს ვერ უბრძანებო. ეს რო ლუოო, ლინკა რაღაო: არ ემორჩილება ბრძანებასა არც იმის გული რაღა თქმა უნდა. აწყობს სუფრასა ლუოს მხრიდანა; ანთუ ზურგსუკნით მოჰქცევია, ისე ალაგებს, რაც მოუტანია, მარჯვნითა, მარცხნითა, დაცურავს ზურგზედა, ეხვევა, ეფერება, უჩეჩავს თმასა.

„როგორ გაიხარა!.." ქ-ნ ეკა ნაბავს თვალებსა. „გელოდა, ჩვენ აღარა: მე და დედაშენი. იმედი გადაგვიწყდა".

„ჰოო... რამდენი ხანია..."

„დედაშენი ითვლიდა ამასწინათა..."

„ოცი?.. ოცდაათი?.."

„არ დამიხსომებია. გასტროლები არ ითვლება..."

„არა ცხადია... ახლაც ისე მოჰხდა..."

„ჩამოეშველეთ თქვენს პრეზიდენტსა?!."

„თქვენი პრეზიდენტი აღარ არის?!."

„არცა ყოფილა. უარჰყო ყველაფერი, რაც რო შექმნილა სამოცდაათი წლის განმავლობაშია. ვინ დასთმობს?!. რობიკო და მიშა გააქცია. ყველას ვერ გააქცევს".

„მიშა?!."

„ჰო!.. შინაგან ემიგრაციაშია".

„ჰა, ჰა, ჰა... ეგენი სულ შინაგან ემიგრაციაში არიან. ათ წელიწადში ერთ პიესას დადგამენ და დანარჩენი გუნდრუკი უნდა უკმიო".

„ნუ გავიწყდება: მაგათ მსოფლიო სახელი მოიხვეჭეს".

„რუსეთის სახელით მოიხვეჭეს სახელი".

„რითია მერე ეს ცუდი?!."

„ცუდი იმითია, რო საქართველო არ არის".

„ვიწრო ნაციონალიზმით შორს ვერ წავალთ".

„სად უნდა წავიდეთ?!. დავეტიოთ ჩვენს ქერქშია, ჩვენს მინაზედა და ნუ გადავგვარდებით. ნუ გადავგვარ-დებით!.. სად ვინ ტაშს დაგიკრავს, რისი მაქნისია, – ტაშს ყველას უკრავენ. ეს გართობაა და მეტი არაფერი. ნუ გა-დავყვებით გართობასა და ნურც ცრუკულტუროსნობას ნუ ავყვებით. აი ეს ამღვრეული ენა, უკვე ბუნებრივად რო გვეჩვენება, ნიშანია გადაგვარებისა".

„ლუო, შენგან მიკვირს, ეს ჰო უბრალოდ, ასე ვთქვათ, ეტიკეტია".

„უბედურებაც სწორედ ეგ არის..."

„როგორ შეცვლილხარ!.." თვალებს დაჰხუჭავს ქ-ნი ეკაი, თითქოს რო უკეთესად დაინახავს, უკეთესად წარმო-იდგენსო. „მე უფრო მტკიცე ნებისყოფისა მეგონე. მაგრამ ეტყობა პროვინციალიზმი უფრო ძლიერი მოვლენაა, უფ-რო დიდი ზემოქმედების ძალა გააჩნია. ამიტომაცაა, პრო-ვინციალების კულტივირებას დიდხანს რო ვერ ახერხებს დედაქალაქი. რამდენიმე თაობა უნდა გაიაროს".

„თუ ნაციონალიზმი ახალი დემოკრატების ენაზე პრო-ვინციალობასა ნიშნავს, მე არ ვითაკილებ, მიწოდონ თუნ-დაც პროვინციალი".

„შენ უნდა მერაბ მამარდაშვილს ეკამათო... თუ შეგიძ-ლიან..." ილიმის ქ-ნი ეკა. „პეტრიაშვილიც ეკამათება... ჰა, ჰა, ჰა..." უკვე იცინის. აჰყვება ლინკაცა.

„მე არა ვკამათობ". ლუო ერთბაშად მოეშვება. შიმშილ-საც იგრძნობს ერთბაშადა. თვალებსაც ისე მიმოატარებს, საჭმელს რო ეძებს ადამიანი. გალეტი აღარ იყო, სულ თვი-თონ გადასანსლა. ქალებს თითიც არ დაუკარებიათ. კუჭის ქარადაც არ გაუხდა. უფრო ისაა: რო შიმშილი შეახსენა. ყავამაც შეახსენა. ქალებიც მიუჰხვდნენ: ვინ იცის არც გი-სადილიაო. მიუხვდნენ, შეიშმუშნენ, თითქოს დაფაცურ-დნენ, ოღონდ ვერც ისე, დოვლათიან ოჯახს რო შეშვენის. თუმცა დოვლათი რა მოსატანია, აღარც შეიტანენ უახლეს

ლექსიკონებში. გაპქრა დოვლათი და მოძველდა სიტყვაცა. ეკა წუწუნებს. ლინკა ფხაკუნობს სამზარეულოშია. დგაფუნობს კარი მაცივრისა. უჯრები იჭედება. ონკანი თქრიალებს. მადლობა ღმერთსა, წყალი მაინც მოდის. გაზი?.. შიშინებს. მადლობა ღმერთსა!.. რაღაცა შხივის. რაღაცა წუის. ლუოს გული მოეფონება. ეკა ვერცა ეჭვობს თუ რას მოაგვარებს ლინკაიო. ეკა წუწუნებს: მაღაზიები გამოცარიელდა და ბაზარი გადაირიაო. იქ როგორ არისო. ხალხიც გაგიჟდა და ბაზარიცაო, ანთუ ჯერ ბაზარი გაგიჟდა და მერე ხალხმა წააჭარბაო. კვირაში ერთხელ ძლივას გავდივართ ბაზარში, ეს არის ხვალ ვეპირებითო. კიდევ კარგი პური რო შემოგვირჩა და რო არც გაძვირდა, ესღა არის ჩვენი იმედიო. თუმცა ამბობენ: ეს ისეთი მახეა, სრულ გაღატაკებას რო უმზადებს სახელმწიფოსაო. გოცირიძეს არა კითხულობ?.. უზენაეს საბჭოშიც გამოდის: პოპულიზმისათვისა სჭირდება ეს პრეზიდენტსაო, ოღონდ მოიგოს ხალხის გული, სხვა არაფერი არ ენაღვლებაო. არ მოგისმენია?.. აიწევს სახელოებსა, მოიმართება და ველარ აჩერებენ. პურიც თუ გაძვირდა...

„ჩამოაგდებთ და..."

„რა?!. გაძვირდება?!. დაიხოცება ხალხი შიმშილითა". გაეყინება თვალები ქ-ნ ეკასა. არის, არის ეგრე გაყინული თუ მიშტერებული. უცებ აენთება: „არა, არა, არა!.. ეგ მაინც უნდა ჩამოაგდონ!.." მუშტებს მომუჭავს, აქანავებს და უცინის მუშტებსა, თითქოს რო უკვე ჩამოაგდეს, თითქოს რო უკვე აგერა და ძირსა ფართხალებსო.

ლუოს მაინც დააპურებენ. ორი კვერცხის ტაფამწვარს მიუდგამენ, – ხვალინდელ საუზმესა ქალებისა. პურს დაუჭრიან უშურველადა. დააპურებენ. იყოს პოპულიზმი, რაც უნდა იყოს, ოღონდ პური იყოს. იყოს ყველაფერი და იყოს პოპულიზმი. იყოს თავისუფლება, დამოუკიდებლობა, ეროვნული აღორძინება, იყოს, იყოს, მიეწეროს ვინც უნდა იყოს, მიეწეროს თუნდაც სატანასა. თუნდაცა. თუნდაცა. დასთმოს ღმერთმაცა ეს ერთი კუნჭული, პატარა კუნჭული დასთმოს, გაიმეტოს, ოღონდ ეშველოს, გამოეხ-

სნას ბოლოსდაბოლოსა, დაიბრუნოს თავი თვისი, თვით ეყუდნოდეს თავი თვისი. ოლონდა. ოლონდა. დაღლილობას მაინც ვერ ერევა. დედა შინ არ დაჰხვდა. კარი გამოკეტილია. სასტუმროები გამოტენილია: ლტოლვილები სამაჩაბლოდანა, – ეს ოსური ავანტურაო, რუსების წყალობითა რაღა თქმა უნდა, – ლტოლვილები რაჭა-ლეჩხუმიდანა, მინისძვრაც რო ახლა გაბეჯითდა. თუმცა კაპიკიც ჰო არ უჭყავის ჯიბეში. ჯიბეშია!.. წავა სადმე კარავში ჩაწვება. აიხირებს, საქმე მაქვსო. ესენი თუ არ მოეშვებიან: სად მიდიხარ, აქ მოისვენეო. საქმე საქმეა. ახლა ყველას თავისი საქმე აქვს. ყველა საქმე გადაუდებელია. აქ დარჩენა მაინც არ ივარგებს. ლინკას ჭკუისგან არაფერია გასაკვირველი.

„წავალ...“ აიწევს.

„ჰო...“ ეკა არც შეყოყმანდება, „ლინკა, სადა არის ამათი გასაღები?“

გასაღები ხელში აქვს ლინკასა. მიხტის. მიკუსკუსებს. მიუძღვის ლუოსა. კარს თვითონვე გაუღებს. ჯერ თვითონ შედის. მობრძანდითო, – რევერანსით მიეგებება.

VII

მიეგებება და დატრიალდება.

დატრიალდება. დატრიალდება. ანთუ ეგებ რო დაბზრიალდება: მალე რო გაჰფანტავს ჩახუთულ ჰაერსა, კარგახანია რო კარი არ გაღებულა, არც ფანჯრები რო არ გაღებულა რაღა თქმა უნდა. სხვა ყველაფერი თითქმის ისევეა, ანთუ აღარც ახსოვს თუ რა როგორ იყო. იყოს ისევე. ამისი ოთახი მაინც გამქრალა. აღარც სად საწოლი, აღარც სავარძლები. ჭერი ჭაღებით ამოვსებულა, კედლები ბრეებითა. გამოფენაა თითქოსაო. გამოფენაცაა. დიდედა სალომეს კოლექციიდანა. დიდედა სალომე აღარ არის. გაუნაწილებიათ. დედას ესა რგებია. ცოტა არ არის. ოლონდ მთავარი მაინც ისაა: სამი კაუჭი რო ცარიელია. ტყუილად არავინ არ ჩაამაგრებდა კაუჭებსა. ჩამოკიდებდნენ. ჩამოჰ-

ხსნიდნენ. დედას გაუჭირდებოდა. გაჰყიდიდა. მთავარი ესაა: გაუმეტებია. გაიმეტებდა ალბათ დანარჩენსაცა. მთავარი ესაა: ლუო თავს გაიტანს. არ დაანებებდა დიდედა სალომეი. აღარ არის დიდედა სალომეი, აღარც აღარავინ დაუშლის, აღარც აღარავის არ ეწყინება. უკეთესია. თორემ რას დაგიდევს გაჭირვებაი ანთუ დაშლასა, ანთუ წყენასა?.. უნდა დაეკითხოს დედას მაინცა. ხვალვე ინახულებს. ლინკა საქმეშია: საწოლს მოათრევს, ნაშალს მოათრევს, ააწყობს, მართავს ძველ ადგილასა. იყოს ჭაღების ქვეშა. ჭერი მაღალია, ჭაღები ნაირნაირი, სხვადასხვა დროისა, სხვადასხვა ხელოვნებისა, ფერადოვნებისა სხვადასხვანაირისა, გაერთობა თვალი გამოფხიზლებული. ლეიბიც გამოაქვს, ლინასა ცხადია, – საბან-გობანი, ზენარი, შალითები. რაღაც არ მოსწონს, – რაღა რაღაცა: დანოტიებულა, ხელს გაჰკრავს, გამოჰკრავს, აუნიავებს, გამოაცოცხლებს თითქოსაო. ლუო იბერება. ვერც უშლის. ვერცა შველის. აღარც უყურებს. გადის. გამოდის. აღარ იცის თუ როგორ მოიშოროს: დაუტიოს თუ საცინლად აიგდოს. აღარ იცის. ვერას მიმხვდარა. ლინკა არად აგდებს, დავიწყებია თითქოსაო. საქმეშია. საქმეში. ბალიშებს აფუებს საგულდაგულოდა: ორ ბალიშსა. საწოლი მოზრდილია. აფუებს, აფუებს, შემოჰკრავს ხელსა მოხდენილადა, ეშხიანადა. აინევს ბალიში. დავარდება. კიდევ შემოჰკრავს. კიდევა. კიდევა. ველარ ეურჩება ბუმბულიცა, დადგება როგორც ლინკასა ნებავს. დადგება. მოაწყობს ერთიმეორის გვერდითა. და მერეა რაც არის, თითქოს და აი ილუზიონერიაო: მუჭს გამოიშვერს. წვერს ამოაჩენს მუჭიდანა. ამოსწევს ფრთხილადა, ნელა, ნელა, ამოსწევს, ამოსწევს და ამოაფრიალებს ღამის პერანგსა, თეთრსა, ქათქათასა, თხელსა, თხელსა, სიფრიფანასა, რო თითქოს არის და თითქოს არცაო, ქალის პერანგსა, საქორწინოსა, ამოაფრიალებს და გადაჰფენს ცალ ბალიშზედა. ლამაზად კეთდება ეს ყველაფერი, ჰღირს დასანახადა. ლუო მრისხანებს:

„არ გავცილებივარ!..“

„გასცილდები!..“ ლინკა არა მრისხანებს. სახე გაჰხსნია. არცა კისკისებს, არც იცინის, ისე გაჰხსნია დამცინავადა თუ გამარჯვებულის სიამაყითა. „გას-ცილ-დები...“ მღერის კიდევაცა.

„უცადე!..“

„ვუ-ცდი...“ მღერის. ცერზედაც შემოტრიალდება ლინკაი ცხადია, წაიცეკვებს კარებამდისა. გამოაღებს. გავა. შემობრუნდება იმავე წამსა: „ღამემშვიდობისა უმანკო უფლისნულო!..“ დასცინებს, მიუგდებს კარსა.

„მოაშორე ეს აქედანა!..“ მისძახის გულმოსული.

კარი გაიღება:

„იყოს. დაგვჭირდება!..“ მოისმის ბეჯითადა. ცოტა ბრაზიანადაც მოისმის, ოლონდ უფრო დაჯერებითა.

სჯეროდეს. თავისი ნებაა. მოიტყუოს თავი. გასაღებითა ჰკეტავს კარსა, ლუოი ცხადია, ურდულსაც გაუგდებს. სჯეროდეს. ღამიან ვერსაით შემოეჭრება, დილაადრიან უშველის თავსა. იმათ გამოჰყვა და იმათთან უნდა იყვეს. უნდა იდგეს მოედანზედა. ვინ იცის თუ რა ხდება. თვალს თუ წაატყუებს, – ანთუ ზეზეულა მოედანზედვე, ანთუ ავტობუსში. თუ საჭიროა, მართლაც უნდა დაწვეს კარავშია. ტყვიასაც უნდა მიუშვიროს გული თუ საჭიროა. არა, ამდენად ვითარება არ გამწვავდება, მაგრამ რო ბრაზობ, ამასაც იტყვი. იტყვი. ასეცაა. ლინკას გასართობად ჰო არ ნამოსულა. თუმცა ვინ უნყის, ბედისწერამ რო ნამოაგდო, რად ნამოაგდო, – ეგება სწორედაც რო ლინკას გასართობადა. არა. გაბრუნდეს სჯობიან. ბოლოსდაბოლოს რას ერჩის მეუღლესა, შვილებს რას ერჩის, ანთუ სიმამრმა მართლა ისეთი რა დაუშავა. არა. გაბრუნდეს სჯობიან. სჯეროდეს ლინკასა. ამოწმებს მაინცა ურდულსა. გაეღიძება ღამიანა, მაშინაც ამოწმებს. დილით მაინც შეკრთება: თვალებს დააცეცებს საქორწინო პერანგსა. არაფერია: თახახიანია, უბნკნელი, უბინო, უსისხლო, შეუბღალავი. გულს მოეშვება. გარბის. იქ, დედა ცოტა დამცინავადა ჰხვდება, ზღვაზე, მოხუცთა სახლშია: ლინკას მოუსწრია დაერეკა: ლუო დაბრუნდა. ცოლს განშორებია. ჩვენი ქორწინება

გარდაუვალიაო. დედა მიულოცავს: ჯერაც შენ არ განქორწინებულხარ და ჯერაც შენ არ დაქორწინებულხარო, ასე მიულოცავს. ისედაც მიიღებს, თითქოს რო გუშინაც ენახოთ ერთმანეთიო. ლუოს არ უკვირს, არც ლინკას ტელეფონი, არც დედის გულგრილობა. ლოყას მაინც მიუშვერს დედაი, თვითონაც ლოყაზე მოუთათუნებს ხელსა. დამჭკნარა სალუქი ხელი ქალისა, ბექდები ლამის რო ჩამოსცვივდეს. ლოყებიც დამჭკნარა, მოშვებულა, მოდუნებულა, მაინც კრემით შეზავებულა. ტუჩებს პომადა გადავლებია. ამაოდა რაღა თქმა უნდა. ეტყობა შეელია საუცხოო სუნამოსა. არ შეელეოდა. არა. არა. ეტყობა გაუჭირდა. მაინც არ იტეხს იხტიბარსა: შემანუხა იქაურმა აურზაურმაო. გამოვერიდეო. აქაც ძლივს მოვენყე. მომბეზრდა ყველაფერი, მაინც სიცოცხლეს ვეჭიდებიო. არ მინდა და მაინც ვერ ველევი, – რატომ არის ასე, რატომ სხვანაირად არ არისო. ლუომ არ იცის. თავსაც არ ინუხებს. მხრებს იჩეჩავს. დედა ქსოვს. ქუდსა ქსოვს. ბ-ნ დიომიდეს ვუქსოვო. იმისი წყალობით მოვენყე აქაო. ნაცნობობა კიდევ შერჩენია ამ არეულობაში. რა გვეშველება, ნაცნობობაც რო გადავარდესო. ლუომ არც ეს იცის. არც თავს ინუხებს. იჩეჩავს მხრებსა. ცოტა ესაა, ნესტიანი ოთახი მერგოო. ქსოვს. ელქურა ჩაურთვია. ფეხებთანვე მიუდგამს. ადმინისტრაცია წყრება. კარს თუ მიადგებიან, მაშინვე კაბის ბოლოს გადააფარებს ზედა. ერთხელ კინაღამ ცეცხლი გამიჩნდაო. მოველაპარაკებიო, – დააიმედა შვილმა. ბ-ნი დიომიდე უკვე მოელაპარაკა, – დედა იღიმება, – მაინც ვეღარ გადავეჩვიე, კაბითა ვფარავ აი ახლაცაო. ადმინისტრატორი მეგონეო: „ა, ჰა, ჰა...“ შემოესწრებათ დიომიდეცა. დიომიდე წყრება: „მე ჰო გითხარი, ხმასაც ვერავინ გაგცემს-მეთქი!..“ წყრება, წყრება. შედის. გადის. შედის. გადის. ქუდი ეჩქარება, ქარგულებიანი, ფუნჯიანი ქუდი. რაღაცა ჩაჩი ადევს თავზედა, გაქუცული, გაწყალებული ჩაჩი. კარგი რამას, რო თმა აღარ შერჩენია თხემზედა, – ამოცვივოდა თმაი გაწყალებული ჩაჩიდანა. ყურიდან ყურამდის მაინც შერჩენია, – თმაი ცხადია, – ჩამოგრძელე-

ბია, ჩამოშლია, დავიწყებია პარიკმახერი. არ მოსწონს, ლუო რო აჰყოლია მრგვალებსა. ერთში თანხმდებიან: დრამატიულმა თეატრმა რო დაჰკარგა დრამატიზმი, ტრაგედიაც რო გააპამპულა და თვითონაც რო გაიპამპულა თავი ხალხის თვალშია. თანხმდებიან. ბ-ნი დიომიდეც დრამატიული მსახიობი ბრძანდებოდა. ნაღვლობდა, ამისი ამპლუა რო გაჰქრა სცენიდანა. მანამდე კიდევ სულს მოითქვამდა: დუბლიორობა არ ასცდებოდა. გარეგნობა უწყობდა ხელსა, ხმაც ხელს უწყობდა, ცოტა ესაა, არა ჰყოფნიდა ნიჭი, სხვა ყველაფერი უწყობდა ხელსა. ზოგჯერ სცენაზე გამოსვლაც მოუნევდა, პროგრამებში ჰო ენერა და ენერა. დამსახურებული მსახიობის წოდებაც მოიპოვა: პროგრამებში რო ენერა და ენერა. ეამაყებოდა. ესეც დაჰკარგა. მრგვალებმა წაართვეს: რის დამსახურება, რა დამსახურება, რა სახალხო, რის სახალხოო, მსახიობი სახელი გახლავთო; ყველაფერი სახელი არის და სახელის გარდა სიცრუეა დანარჩენიო; „ყოფაცხოვრებითი მომსახურეობის დამსახურებული მუშაკიც" გამოუგონებიათ ამ მამაცხონებულ კომუნისტებსა, – დაცინვაა და მეტი არაფერიო. მართლაც როგორღაც დაცინვა გამოდისო, – ეთანხმებოდა ბ-ნი დიომიდეი, ამას ეთანხმებოდა, იმას აღარა, – დამსახურებული მსახიობის წოდება ღირსება გახლდა, ამის გაუქმება არ შეიძლებოდაო. მაგრამ ტოტალიტარიზმი ტოტალიტარიზმია, ყველგანა ტანტრავს ხელებსაო. ჰო – ყველას თავისი ტოტალიტარიზმი ჰქონდა, ამისიც ეს იყო. ცხარობდა. ბრაზობდა. ჰკიცხავდა ლუოსა.

„მოგონებები მაინც დაგრჩათ, – ანუგეშებს დედაი ლუოსი, ამას ანუგეშებს, შვილსაც ესარჩლება, „თქვენ ისეთი როლები გქონდათ!.." აღარ ამთავრებს, ამღერებს სიტყვასა, ბოლო სიტყვასა, ხელებსაც ასწევს, დიომიდეს რო მოასინჯოს ქუდი.

„როლები იცოცხლეთ!.." წაუშვერს თავსა დიომიდეცა. წაუშვერს და წამოიჭრება, ანთუ უნდა, რო წამოიჭრეს, – აიტანს წელსა როგორც იქნება, აიტანს, მიცუხცუხებს; მიცუხცუხებს ეგრევე მოუთავებელი ქუდითა, საქსოვი ჩხი-

რებიც რო ჩამოჰკიდებია. ძაფის გორგალიც მიჰყვება თანა, მიცუხცუხებს და მოცუხცუხებს: შემოაქვს ძველი პროგრამები, ჩაწყობილი საგულდაგულოდა, ახალი განცხადებებიც შემოაქვს, ანთუ ასლები სტატიებისა და საპროტესტო განცხადებებისა, რედაქციებში რო დაუგზავნია. შემოაქვს. კითხულობს. ლუოს უკითხავს. ისმენს დედაცა ლუოსი ცხადია, ათასჯერაც რო მოუსმენია. ლუოს უკითხავს. ლუო პროგრამებს ათვალიერებს. დედა ლუოსი აზომებს ქუდსა. სამი თითისდადება აკლიაო. აზომებს. ასკვნის. იდილიაა. იდილიაა მოხუცთა სახლისა. სხვებს კიდევ სხვაგვარი იდილია ექნებათ. უკმაყოფილოც ბევრი იქნება. მთლად კმაყოფილნი არც ესენი გახლავან. დიდსულოვნად იტანენ. იტყვიან თუ საყვედურსაცა, დიდსულოვნად იტყვიან. სხვები ჩხუბობენ. წივიან. კივიან. ამშვიდებენ, რაც შეუძლიანთ, ეფერებიან, ხან რო თვითონაც აპყვებიან გაბეზრებული მომვლელები. აპყვებიან. ველარ გაიგებ თუ ვინაა მომვლელი, მოსავლელი ვინა. სულითა-ვადმყოფთა სახლშიც რო ასეა: რო ემგვანებიან ერთმანეთსა მკურნალები და ავადმყოფები. მოთმინება აღარა ჰყოფნით. მოთმინება. მოთმინებაო. მერე ერთია ამას იქითა, ყველა ერთია, განურჩეველი, განუსხვავებელი. აქ იდილიაა. ელქურა ღუის. ღვივის. დედა ქსოვს. დიომიდე კითხულობს. ლუო ათვალიერებს პროგრამებსა: ხორავა და დიომიდე, ხორავა და დიომიდე, ხორავა და დიომიდე. არსენას დუბლიორი ყოფილა, ოტელოს დუბლიორი ყოფილა. ასდევნებია და აღარ მოშვებია. სცენა მაინც არა რგებია. არსენა მაინც უთამაშია, მხოლოდ ერთხელა, სპექტაკლი რო უკვე დაბერდა, მოინჯღრა რო ყველაფერი სცენაზედა, კოსტუმები რო დაიძენძა. ისევ აკაკი გამოდიოდა. ატუზულიყო დიომიდეი კულისებშია. დაღრეჯილიყო. ეთხოვებოდა არსენას როლსა. შესცოდებოდა აკაკისა. ჩოხა გაეძრო და გადაეცმია დიომიდესათვისა, ხანჯალიც თვითონვე შემოერტყმია წელზედა, ხელიც თვითონვე გაუშვერია ასპარეზისაკენა: აპაა და შენ იციო. „პირველი მოქმედება ისე დამთავრდა, რო ვერც გაიგეს, ხორავა იყო თუ მე ვიყავი,

აბა!.." ამაყობდა ბ-ნი დიომიდე. ამაყობდა. ცოცხლობდა იმა სიხარულითა, იმა სიამითა ხალისდებოდა. ესაა: ოტელო აღარ დაუთმია აკაკისა. არ გაპხსენებია არსენას მაგალითი, დიომიდეც არ გაპხსენებია, თუმცა რო გვერდიდან არ მოშორებია, დიომიდეი რაღა თქმა უნდა. ჩაცმასა შველოდა, გრიმის გაკეთებასაცა. გრიმისა პო ოსტატი გახლდა, დიომიდეი რაღა თქმა უნდა. გაცუნცულდება. მოარბენინებს სურათებსა. არსენაა. ოტელოა. აკაკიაო თუ დიომიდეო, ვერ განასხვავებდი. დაპყოლოდა ცოტა ნიჭიცა, – რას ერჩოდა გამჩენი?.. ნიჭი. ნიჭი. თუმცა ბ-ნი დიომიდე ნიჭს არ უჩიოდა, არა, არა: ბედს უჩიოდა. ერთხელ რა არის, ერთხელა, ერთხელა, ერთხელაც არ გამხდარა ავადა აკაკიო. „ბედი არ გინდა!!.." სულო ცოდვილო, სულ ამასა ვნატრობდიო. ერთხელ მაინც ჩანვა. მაინც ადგა. მაინც ითამაშა ოტელოო. ითამაშა და ჩანვა. ყელაზე უკეთ მაშინ ითამაშა, კინაღამ მართლა დაახრჩო დეზდემონაო. მართლაო. მართლაო. მე ახლოს ვიდექი კულისებშიო, რო არავის ეგონა, ბოლომდის რო გაუძლებდა როლსაო. და ეგრეც გაუძლო: კინაღამ დაახრჩო. მერე ბრჭყალები აჩნდა თოიძის ქალსა ყელ-კისერზედა, ლოყებზედა, დათვის ნატორსა ჰგავდაო. ტყუილად გავითხიპნე თავითფეხამდისა. მხოლოდ ლაჯები მქონდა ამოკრული, საწოლში ეგრე უნდა შევსულიყავიო. „მაინცა მგონია, იმღამეს რო მე ვითამაშე". ემდუროდა ბედსა მაინცა. სხვა არაფერია ამა ქვეყნადა: კაცი რაც არის, ბედი არისო: „ყველას ვარწმუნებ, ყველა არ მიჯერის" არა სცხრებოდა ბ-ნი დიომიდეი, „ზოგი ნიჭსა ტრაბახობს. არ დაუჯერო. აი მე ერთ მაგალითს გეტყვი. ეგება არც უნდა ვამბობდე, მაგრამ არა მაქვს მაგალითი უფრო უკეთესი, და ესეც რო დავმალო, ვერაფერს დავამტკიცებ. მე და ი–ა–. აგერ ეს გამოჩენილი პოეტი რო გახლავს, ერთადა ვსწავლობდით, ლექსების წერაც ერთად დავიწყეთ და ერთნაირ გაშეშებულსა თუ გაფშეკილ ლექსებსაცა ვწერდით. მე მალე დავანებე თავი, მსახიობობა ვამჯობინე. იმან განაგრძო, როგორც რო წერდა, არცა არა მომატებია და არცა არა მოჰკლებია იმის პოეტურ ნიჭიე-

რებას, მაგრამ არ დარჩა არცერთი ტიტული, არცერთი წოდება, ორდენი არცერთი, პრემია არცერთი რო არ მოიპოვა. რითი?.. ნიჭითაო, ვერავინ იტყვის, – ბედითა ცხადია. ყველა მდივანს ნარდს ეთამაშებოდა, ნარდით მოიგო ყველაფერი. მერე ისე უცნაურადა. ნარდს აგებდა და ჯილდოებს იგებდა. უხაროდათ მდივნებსა, ერთობოდნენ მდივნები, ანეკდოტებიც ბევრი იცოდა, ართობდა, აგებდა, გაახარებდა და იგროვებდა ჯილდოებსა, სამსახურში აღმატებასაცა, აღმატებასა და აღმატებასა, იმ ვარაუდით, რო არც არაფერი გაეკეთებინა და მეტი და მეტი შემოსავალი ჰქონოდა. ბედია რა თქმა უნდა, ბედია, ბედი!.. ნიჭი რო იყოს, გალაკტიონი მიაღწევდა ამასა. ბედია!.. აღარაფერი აღარ გადარჩა, იუბილეებს ჰო ნულარ იტყვი, სოციალისტური შრომის გმირობაც გადაიგდო მხარზედა. გადმომიგდე იტრიაო, ვითომც ერთი კიტრიაო. მაგისთვის ყველაფერი ადვილი გახლდა. ნიჭითა?!. არა ჩემო მონყალეო ხელმწიფეე, ნიჭისათვის ადვილი არაფერია. ნიჭის გზა რთულია და ბევრშემთხვევაში მიუღწეველიცა. ცხოვრება ბედია, კაცი ბედია, ნიჭი თამაშია ბედისწერასთანა. მე ასე ვამტკიცებ ამ მაგალითითა. რა ვუყოთ რო ჩვენ ერთხელ მეგობრები ვიყავით, ახლაც არა ვართ ნანდურავადა: რო დამინახავს, ის იმხელა კაცი, გამოექანება და გადამეხვევა. ვიცი გუნებაში დამცინის: შე საწყალოო. გუნებაში. გარეგნულად არაფერი არ შეეშლება: ჰო, ჰო, არსენაში რა იყავიო, – აბა!.. ბედია, ბედი და ბედის ირონიაც არის: ახლა ორივენი უკმაყოფილონი ვართ, – იმან სოციალისტური შრომის გმირობა დაჰკარგა, მე დამსახურებული არტისტობა. ის ცხოვრების თავში ტივტივებს, მე აგერ უპატრონო მოხუცთა ჯამში ვიცქირები. ის პენკლუბში აგზავნის პროტესტებსა, იმას მოსკოვი ესარჩლება, – მე არც არავინა. იმასაც გამსახურდია ვერ აუტანია, საბჭოთა რეჟიმი რო ბედნიერად აიტანა. ვერც მე ამიტანია გამსახურდიაი. სადაც ის არის, მეც იქ დავმდგარვარ. ბედის ირონიაც სწორედ ეს არის. ბედი იმისია, ირონია ჩემი. ბედია ყველაფერი, ნიჭი მხოლოდ უბედურებაა!.." ალბათ რო ნიჭი აწუხებ-

და ბ-ნ დიომიდესა, გამოუმჟღავნებელი ნიჭი. „ვის შევჩივლო რუსთაველი მკვდარია" – ბოლოს დაასკვნის სევდიანი, გულდამდუღრული. ბოლოსდაბოლოს ოპოზიციური გაზეთები დაგიბეჭდავენო, – ლუო ანუგეშებს, – ახლა ჰო ყველაფერი იბეჭდება. უნმანურობასაც აღარ ერიდებიანო.

„მე ვურჩევ, წეროს მემუარები..." იტყვის დედაი, ლუოსი ცხადია.

„მემუარები!.." თითქოს უდასტურებს, თითქოს უკვირს კიდევაცა ლუოსაო. მთელი ცხოვრება მოლოდინში გაუტარებია, რა უნდა მოიგონოს?.. მოლოდინი!.. ლოდინი!.. ცხოვრება ბედიაო, ამტკიცებს აგერა დიომიდეი, მემუარებში ეგებ დაამტკიცოს: ცხოვრება მხოლოდ მოლოდინიაო. დანეროს. დაამტკიცოს. ყველაფრის დამტკიცება თუ შეიძლება, ამისიც მოხერხდება ყველაზე ადვილადა. დაწეროს. დაამტკიცოს. ისე, რო ითქვას: გრიმიორობა რო აერჩია თავის ხელობადა, არც ის ეცოდინებოდა თუ რა არის ლოდინი, არც ეგება ისა – უბედურება თუ რა ყოფილა, არც ისა, ნიჭი თუ რა ყოფილა. ეგება შერჩენოდა მხოლოდ საამური მოგონებანი: მეე, ჰმ!.. გრიმი გამიკეთებია აკაკი ხორავასათვისა, აკაკი ვასაძისათვისა; მე თვით ახმეტელმა მიმიყვანა თეატრში. მარჯანიშვილი აღტაცებული იყო ჩემითა: დიომიდესა ჰკითხეთ, დიომიდემ იცისო. ეგებაო და ასეც იქნებოდა. გაიხარებდა თვითონაცა, თეატრის ისტორიკოსებსაც გამოადგებოდათ. გაიხარებდნენ დისერტანტებიცა. გადმოიღე და გადმოიწერე. დიომიდე სქოლიოშიო. ზოგს რო ესეც დაავიწყდება. დაბრალდება მეხსიერებასა, ნამუსი აღარც მოაგონდებათ. ლოდინის აღწერასაც გამოიყენებდნენ: ფსიქოლოგები გამოიყენებდნენ, სოციოლოგები გამოიყენებდნენ, ფილოსოფოსებიც გამოიყენებდნენ, სული ამაღლებული თუ აღმოაჩნდებოდა ბ-ნ დიომიდესა, აღწერისათვის ძალა თუ ეყოფოდა; მაგრამ სანატრელი ჰო ერთი რამ ჰქონდა მთელი ცხოვრების განმავლობაშია: ნეტავი აკაკი ავად გაჰხდესო, ნეტავი კისერი მოიტეხოსო, ანთუ რაღაცა დაემართოს ისეთი, პირველი მოქმედების მერე მე შევიდე, სპექტაკლი არ ჩაიშალოსო.

სპექტაკლი არ ჩაიშალოსო – დიდსულოვნებაა რაღა თქმა უნდა. „ნეროს!" დაასკვნის ლუოი ისე, ნინ ვერაფერი დაუდგებაო. „მემუარები კარგი ჟანრია. ცოტაა მემუარი ჩვენს ლიტერატურაში. ლოდინი მაინც არ აღუნერიათ". კიდევ ეპირება, რო განაგრძოს. დიომიდე ვერ მიუხვდება:

„რა ბრძანეთ?!."

„ლოდინიმეთქი!.."

მაინც ვერ გაიგებს. აღარც ჩააცივდება. მემუარებია თუ რაც არისო, მომავლის საქმეა რაც უნდა იყოს, ჯერ განცხადებები აქვს გამოსაქვეყნებელი, ნერილები აქვს გამოსაქვეყნებელი. სძრახავს ტრანსპორტის მესვეურებსა: ჯერ აქედან ნასვლას ვერ მოახერხებ, მერე იქიდან დაბრუნებასაო; სძრახავს დირექტორსა თავიანთსასა: მე ვერ მიბედავს და თურმე ბუზღუნებსო, – მთელი დღე ტელეფონზე ჰკიდიაო, ესეიგი – მე, ჩვენ ველარ მივკარებივართო; სძრახავს რედაქტორებსა: მპირდებიან და მატყუებენო, – უსინდისოებს ბევრს შევხვედრივარ, ამათნაირებს მაინც არაო. ჰყვება. ლაპარაკობს. სძრახავს. ჰკიცხავს. ამუნათებს. ნანობს. იმუქრება. იღლება. დუნდება. ნაღვლობს. ჩიფჩიფებს. დაასკვნის მერე ასე ჩიფჩიფითა: ველარაფერი გამიგიაო, ასედაც ნავალ ამ ქვეყნიდანა, ვერაფერს რო ვერ გავიგებო.

„შინაარსიც ეგ არის ჩვენი ცხოვრებისა". დასძენს დედაი. ლუოსაც თითქმის ამის თქმა უნდა. აღარას იტყვის.

„და მერე ამისთვის აქ მოსვლა ჰღირდა?!." უკვირს ბ-ნ დიომიდესა.

„ალბათ რო ჰღირდა, წასვლა რო არავის არ ეჩქარება". ისევ დედაა. ლუო აიხირებს: მეც ამას ვიტყოდიო, – ისე თავისთვისა, გულში აიხირებს.

„მე მეჩქარება. ვინც რა უნდა თქვას, მეჩქარება. მოვიდეს გაბრიელ მთავარანგელოზი, აი მე მზადა ვარ". თვალებს დაჰხუჭავს და კისერს გადასჭიმავს ბ-ნ დიომიდეი. არის. არის. არ მოდის გაბრიელი.

„ალბათ ჯერ არა ხართ იმის სიაშია..." ლუოს უნდა თქვას. დედა იტყვის.

„თუ ეს ჯილდოა, არც ვიქნები...“ ნანობს ბ-ნი დიომიდეი.

„ჯერ ეს არც ვიცით, სიკვდილი რა არის: ჯილდო არის თუ სასჯელი გახლავთ“. ვითომ მე მითქვამსო: ლუომა ცხადია.

„იყოს სასჯელი!..“ მოსჭრის ბ-ნი დიომიდეი.

„ჩვენ რო არ ვიცით!..“

„გაბრიელთანაც რო საქმე სახვეწური გაგიხდება, რაღა ხარ მერე?!.“ აღმოჰხდება დიომიდესა, სასონარკვეთილს აღმოჰხდება რაღა თქმა უნდა.

ნეროს ისევ მემუარები, სასონარკვეთას ის ურჩევნიან. გაერთობა მაინცა. ამანაცა ნეროს, ბარემ დაიწყოს. სხვა რა აკეთოს: თეატრმა ჰო ეს თავისდროზედაც არ ინდომა, ახლა თეატრიც აღარავის აღარ უნდა. ნადი და შეიჭედე: სადაც არ უნდიხართ და რაც რო არ უნდათ. ნადი და შეიჭედე. ჯობიან ნეროს თუ როგორ არ უნდიხარ არავისა, როგორ არ უნდა არავის არავინა და როგორ უნდა ყველას ყველაფერი; რაც უნდა მცირე რამ მოინდომო, ყველგან მოშურნეს ვით გადააწყდები, რაც უნდ უჩვეულო რამ აიხირო, მოცილეს მაინც რო ვერ გადარჩები, – ნეროს, ნეროს. იმანაცა ნეროს. ამანაცა ნეროს. ალბათ პრეზიდენტიც არ ელოდა მოცილესა. უფრო უჩვეულო რა იქნებოდა საქართველოშია?.. არ ელოდა... კუმ ფეხი აიშვირა, მეც ნახირნახირაო. მეტიჩარა ჩხიკვი რაღას იზამდა?.. ატყდნენ. აიშალნენ. დაერივნენ. და ეს ენება საიდუმლო სამსახურებსა: პირველი რაუნდი მოიგო მოსკოვმა, წმინდად მოიგო. მეორე რაუნდში ქულები აართვა. მესამე დაინყო: მესამე. გადამწყვეტი. აქ უსათუოდ ნოკდაუნი უნდოდა. არც მეტი არც ნაკლები. ნოკაუტი არა, არა, არავითარ შემთხვევაშია: მხოლოდ ნოკდაუნი. მიაფარებდა შორიახლოსა. მოასულიერებდა. გამოადგებოდა. კიდევ თუ რამეს განიზრახავდნენ ურჩი ქართველები. ურჩი. მორჩილი. ურჩი – დაბნეული, მორჩილი – ცდუნებული. ერი საცოდავი: ხან რო ხალხს დაარქმევენ, ხან რო – ბრბოსა. გამოიყენებენ, – ხალხიაო, გაუჯიქდებიან, – ბრბოაო. არა და: ერია, ძლიერი, მტკიცე, გაუტეხელი,

ძენი დაბნეულნი რო ჰყიდიან და ჰყიდიან, დაბნეულნიცა და დაუბნეველნიცა: ერი ვისთვისაც რო არაფერია, სარგებელი როა ყველაფერი, ერი ვისთვისაც რო კარჩაკეტილობაა, ოქროს ქვიშაზე კოტრიალია ყველაფერი, შიშვლად კოტრიალი რაღა თქმა უნდა, შიშველ კახპასთანა რაღა თქმა უნდა: გამოყვანილთანა, დაბრანულთანა, დამკრახულთანა. სად ესაო და სად კეკელა და მაროო. ნადი და ეკამათე. მსოფლიოში მიმდინარეობს ერთიანი პროცესი, დემოკრატიზაციის პროცესიო. ნადი და ეკამათე. არ ეთხოვებიან ისინი თავიანთ ერსა, თავიანთ ენასა, თავიანთ ტრადიციებსა, თავიანთ საზღვრებსა, სფეროებსა გავლენისასა, არ ეთხოვებიან, არა, არა: დემოკრატიზმი მომხიბლავია იმათთვისა. მომხიბლავია. ვისთვის დამაბრმავებელი, ვისთვის მომხიბლავი. ცივილიზებული არ არის ის, ვინც კომუნისტი არ არისო, – ერთხელაც იყო და განაცხადა ბერნარდ შოუმა. გამოჩურჩუტდა ბერიკაკი, 90 წელს გადასცილებოდა, გამოჩურჩუტდა. გაცვდა კომუნიზმი. გამოჩურჩუტდა. გამოჩურჩუტდება დემოკრატიზმიცა. მანამდე უნდა გაუძლოს ერმა. აქამდე გაუძლო, იქამდეც გაუძლებს. იმედიც კარგი საქონელიაო. დარევიან ერთიმეორესა, ვერ გაუთქვეფიათ ეთნოსური შემონამატნი, – რესპუბლიკაო, რესპუბლიკაო, – აყვირებს მოსკოვი, ვითომ დემოკრატიული მოსკოვი არაო, ვითომ ეს მხოლოდ რეაქციულიო; იყოს ბატონო რეაქციული, ერთიც საშიშია და მეორეცა. ორივე ერთად მტერსაც მიჰხტომია. უცვივა პროგრამები. აჰკრეფს. უცვივა. აჰკრეფს. გამოსტაცებს დიომიდეი. ხელთ აღარა აქვს, ჰგონია: ისევ დამიცვივდაო. ძირსაც არა ჰყრია. დიომიდეც იქ აღარ არის.

„წავიდა. წაიღო". დედა განუმარტავს. „ცოტა გულის გამანყალებელი ლაპარაკი სჩვევია, რას იზამ, აქ სხვა გასართობი არც არის. ერთი უხეირო ტელევიზორიც გვიდგას ვესტიბიულშია. ხანდახან მომართავენ. ვუყურებთ უზენაეს საბჭოს სხდომებსა. ღმერთო დაგვიფარე!.. ვიცინით, ვიცინით და ვტირით: ნუთუ ამისი ღირსები ვიყავით!.. ამას ველოდით?!. ეს გვინდოდა?!."

„გარდამავალი...“

„ჩვენში ყველაფერი გარდამავალია. მდგრადი არ გვინახავს არაფერი“. დედა ასე მოსჭრის. ქუდსა ჰქსოვს დედაი, დიომიდეს ქუდსა, და ყაისნაღის თვლებს ამოჰყვება, თითქოსაო რაღა თქმა უნდა. ეს უზენაესი საბჭოცა და ის დამფუძნებელი კრებაცა: ერთნაირად რო სჭამენ ერთმანეთსა სამშობლოს სახელითა, თავისუფლების სახელითა, ამაღლებული სურვილებითა, და ერთნაირად რო ამოძრავებთ წვრიმალი ენებანი, პირადული გამორჩენანი, სარფა, მოგება, შური, აღმატება, ანთუ რაც გნებავთ, რო მიეთვლება ანგარებასა, სიკეთეს არა. იმათ დაჰღუპეს ქვეყანაცა და ერთმანეთიცა. ესენიც დაჰღუპავენ. ამოდის. ამოდის. ინვნება. იქარგება. ენაც მოქარგულა. აშვებულა მოქარგული ენაი, ეშმაკის ენა აშვებულა, ქარგავს სიავესა, სიმახინჯესა ქარგავს. თვლები აერევა დედასა. სახე მრუდდება. ჩაშლის. აასხამს თვლებსა ხელახლა. მაინც აკვირდება. მაინც არ მოსწონს, ეგება სხვაგანაც გამრუდებია, ეგება სულაც დაარღვიოს, დაიწყოს თავიდანა. არც ეჩქარება. დიომიდეს ეჩქარება. ანთუ ჰგონია, რო ეჩქარება. აქ დრო გაყინულა. აქ აშკარაა, დრო რო სიცრუეა. დიომიდეს უნდა გადააგდოს გაცვეთილი ქუდი. დიომიდესა ჰგონია, ქუდი დრომ გასცვითა. ქუდი თავმა გასცვითა. თავს უნდა ახალი სამშვენისი, სილამაზე უნდა მოხროკილ თავსა. ქუდსაც სილამაზე უნდა. დაარღვევს. ასწორებს ქარგულებსა, ყვავილ-წნულებსა. დიომიდეს უკვირს, რითი ვერ მორჩაო. „პენელოპეს სუდარა გამიხადა ამანაცა“, ბუზღუნებდა დიომიდეი, „თუმცა არა უჭირს, კუბოშიც გამოდგება“. ენატრებოდა ოდისევსის როლიცა დიომიდესა. ეხვენებოდა დრამატურგებსა, „ოდისეა“ გადამიკეთეთ პიესადაო. ბ-ნი პოლკარპე ყურსაც არ იბერტყავდა, ბ-ნი სანდრო ჰპირდებოდა, ბ-ნი შალვა იცინოდა გულიანადა. ბოლოს თვითონვე გადააკეთა. მერე დასდევდა რეჟისორებსა: დასდგით თუნდაც მე ნუ მათამაშებთო. არც ამან გასჭრა. ბედი ბედიაო. ბედი მომეც და სანეხვეზე გადამაგდეო. ადგება – ლუოი. ადგება. დაჯდება. ადგება. დაჯდე-

ბა. იჯდეს, – როდემდისა?.. იდგეს, – როდემდისა?.. წავიდეს და რა გზას დაადგეს?.. დედა ატყობს, დედა ისაა, შეილისა რო არაფერი გამოეპარება:

„ფული არ გექნება...“

„რა ფული მექნება ჩემი სიმამრის პატრონსა!..“

„შენი ხნის კაცი სხვისი იმედით აღარ უნდა იყოს“.

„მე ჰო ხელოვანი ვარ...“

„იმდენია ახლა ხელოვანი, მზრუნველი რო აღარ ეყოფა“.

„ყველა ხელოვანი არ არის ხელოვანი“. ლუო თავს იცავს. ლუო ყელს იღერებს: მე ხელოვანი ვარო.

„რაც უნდა იყოს, ფული არა გაქვს. მეც არა მაქვს ფული“. დედა თავს ჩაჰკიდებს. „ჭაღების მეტი ჩვენ აღარაფერი აღარ გაგვაჩნია. მე უკვე ნამიცდა ხელი. მემკვიდრე შენა ხარ. შენთვის უნდა მეკითხა. ახლა შენ იცი. თუ გაიმეტებ...“

გაიმეტებს რაღა თქმა უნდა. ახლა თუნდ იჯდეს, თუნდ იდგეს, სულერთია, იცის რა იღონოს: ჭაღი უნდა ჩამოჰხსნას, – ერთი, ორი, რამდენიც დასჭირდება. უგროვებია დიდედა სალომესა, – ეგებ არც იცოდა თუ რად აგროვებდა, ანთუ: სტკბებოდა და ეს ეგონა მიზანი ამა შეგროვებისა. ხელოვანს გამოადგა გაჭირვებაში, მიზანი თურმე ესა ყოფილა. ეს არ ეგონა დიდედა სალომესა. რაც იყო, იყო, კმარა მოგონებადა დიდედა სალომესი. გადაივლიდა ჟამი არეულობისა, დამშვიდდებოდა ხალხი, შეურიგდებოდა ხალხი თეატრსა. თვითონ აღარ იქნებოდა ხალხი თეატრი და ისევ თეატრი მოენატრებოდა ხალხსა. ესეც იპოვნიდა თეატრში ადგილსა. იქ ეყო, იქ მორჩა, აქ იპოვნიდა. კვლავ ისევ გმირებს მოინდომებდა მაყურებელი და პამპულები გაეცლებოდნენ დრამატიულ თეატრებსა. რაღაც სხვა იერი გადაჰკრავს ლუოსა, ამაღლებისა თუ მედიდურობისა, ანთუ გადაჰკრავს, ანთუ დედას მოეჩვენება, და აღმოჰხდება გულში თავისთვისა: „ახ, რო აპოვნინა თავისი როლი!..“ ეგება უპოვნია, ეგება სცენა აღარც დასჭირდეს, ანთუ გაჭრილა დიდ სცენაზე პატარა სცენიდანა; იქ არის,

სადაც ქარიშხალია, სად სისხლიანი დგას ანგელოზი. თვით პრეზიდენტმა ჩამოართვა ხელი. ხელზეც დაიხედავს. დედაც მიადევნებს თვალსა. თვით პრეზიდენტმა ჩამოართვა ხელი. დედას არ უნახავს ის გადაცემაი. დედას დაურეკეს: ზოგმა საყვედურითა, ზოგმა დამცინავადა, ზოგმა შეაგინა კიდევაცა. იმათი ზრდილობა არ წავიდეს იმათს იქითა. ინტელექტუალებადაც მოაქვთ თავი, პირჯვარსაც იწერენ, დაზეპირებასაცა ცდილობენ ათი მცნებისა, ერთის შესრულებაც რო არ შეუძლიანთ. ღმერთო უშველე!.. ღმერთო იხსენი!.. შვილს არას ეტყვის. ქვეყანა ისე არეულა, რო აღარ განირჩევა მტყუანი და მართალი. ყველა ბრალსა სდებს, ყველა ყველას ჭკუას არიგებს, გამგონე არა სჩანს. ღმერთო შეასმინე!.. ევედროს. უმჯობესია მარტოც იყოს ვედრების დროსა. უმჯობესია ნუ შეაშფოთებს, უთქმელად გავიდეს...

VIII

ასედაც გადის.

აქ აღარ ესაქმება. უნდა იჩქაროს. ბედმა მიაგდო დიდ სცენაზედა, იქ უნდა იყოს. ფეხიც არ უნდა მოიცვალოს, არა, არა, იმავნამს ვიღაცა ჩაგიდგამს ფეხსა. მოგვერდსაც დაგიდებს. ყველა წინ მიინევს და ცვივიან წინანი. წინანი უკანა და უკანანი წინაო. ის ჟამი დამდგარა. იქ უნდა იყოს, იმა შეხლაშია.

მაინც აებლანდა ფეხი.

შეიძლებოდა გადარჩენილიყო: ოღონდ დაეღუნა თავი, დაეღუნა, და დაშვებულიყო კიბეებზედა. არ დაჰღუნა. არა. აიღერა უფრო და ქალს მიაჩერდა, ანთუ: ზურგსა ქალისასა, რო მისდგომოდა ტელევიზორსა ვესტიბულშია. მისდგომოდა. აწვალებდა თუ მართავდა თუ რაც იყო, იყო ზურგი, თმაი აბუჩქული, თეთრი თმაი, კისერზე მოკრებილი, შეკრული ბაფთითა, იისფერი ბაფთითა. პეპელა იისფერი. თმაი თეთრი. აფუებული. თითქოს კიდევაც გაიშ-

ლება, გაიწეწება, ალივლივდება ჰაერშიაო, შემოეელება ზღვის ნაპირებსა, ავა, აიწევს, აგუმბათდება, მობრჭყვიალდება, შუაში რო იისფერი პეპელა უზის, მობრჭყვიალდება და იბრჭყვიალებს. თეთრი აქ არავის გაუკვირდებოდა, არც რო ლუოსა რაღა თქმა უნდა, ოღონდ ეს მაინც სხვაგვარი გახლდა, სხვა ხელოვნებისა, თვალს უნებურად აიყოლიებდა. ტანიც ისე მოსხეპილიყო – იდგა სწორი, ჩამოქნილი, ოდნავ ირხეოდა, თითქოს რო ლელია ტბის ნაპირსაო. აქ ჰო ტბები იყო, პატარა ტბები, ერთმანეთს მიბმული, ტბები ლერწმოვანნი. ტბები იყო. იორი მიუშვეს და ზღვად ვაქციეთო. მოვრწყავთ ამითი დამშეულ ველებსა სამგორისასა, დამშეულ ქალაქს გამოვაძღობთო... იზრდებოდა თბილისი, მთლად საქართველო ერთ ქალაქში იყრიდა თავსა. ველარ აძღობდა დიღმის ველი. შიმშილი უფრო იმუქრებოდა. ლივლივებდა ტბები ავსებული, თითქოს რო ლურჯადაცა. თითქოს რო მართლაც ზღვა ყოფილიყოს, ყოფილიყოს – გარდამავალი პერიოდი უარესს გვიქადისო. ლივლივებდა გადაბმული ტბები. თეთრი ბენვები დაეფინებოდა, თეთრი, ხვეული, აბზინებული. ლივლივებდა. ლივლივებს. ლივლივებს. დადგება. აირწევა. შემობრუნდება, ალბათ რო იგრძნობს, ვიღაცის თვალი მომბჯენიაო, შემობრუნდება და აღმოჰხდება: „აჰხ!..“ აღმოჰხდება და გამოექანება. გამოექანება და შემოესკვნება ლუოსა ცხადია. შემოესკვნება და შემოეხსნება. შემოესკვნება და შემოეხსნება. ჰკოცნის. კისკისებს. ცმუკავს. ეგლისება. ჩაეჭიდება. მიარბენინებს. მიჰხტის. მიაქანებს. მიაქანებს და მისდევს მორჩილადა, თითქოს სხვაგან არ მიეშურებოდეს, არ მომზადებულიყოს. თითქოს სხვა როლისათვისა. მისდევს. მიჰყვება. ეგება იქ ჯერ სხვა ეპიზოდები თამაშდება, ანთუ ეგებ რო დუბლიორები გამოუშვეს დღესა, ანდა უფრო სავარაუდოა: ინტერმედია ჩაუდგამთ უცება და ამისათვის აქაც მიუციათ როლი. იყოს. გასწვდება. ოღონდ ემანდ მახე არ იყოს, ოღონდ იქ არ დააგვიანდეს. რაც უნდა იყოს, მიარბენინებს. უცებ დიომიდე ეცემა თვალშია. კარს შეაღებს და დიომიდე ეცემა. კარს

თათია შეაღებს. თათიაა ქალის სახელი. შეაღებს. შეიტა-ცებს. დიომიდეც იქვე ჰკიდია ალათაზედა ქინძისთავითა. ვეება სახეა. ჩამოგრძელებული. დაღარული. თვალთაგან თითქოს ცრემლიც მოსდის და ღარებში მოწანწკარებსო. ნახატი, ნახატი რაღა თქმა უნდა, შავი ფანქრითა, სახელ-დახელოდა. გამოფენას ვამზადებო, – უხსნის თათიაი, – მოხუცთა, სახლის ბინადართა გამოფენასაო. მზადაცა მაქვსო. დიომიდე მიშლისო: სასაცილოდ გამოვიყურებიო. აი მე თუ როგორი ვიყავიო. რაფაზე პორტრეტია, ვეება პორტრეტი, ფოტოგრაფიული პორტრეტი, მოხდენილი ვაჟკაცის პორტრეტი: აი მე თუ როგორი ვიყავი, აი თუ ვის უნდა დამამგვანოო. დავამგვანებო. თათია იცინის. იცი-ნის. ცმუკავს. ირწევა, კეკლუცობს. სავარძელს უსნო-რებს, ლუოსა ცხადია. პორტრეტებია სავარძელზედა. აიკრიფება აჩქარებითა. გამწკრივდება აჩქარებითვე კე-დელზედა ქინძისთავებითა. გამოფენაა. ჰკიდია სხვებიცა: ათლებზე ჰო, კედლებზე ჰო, კარიც მოფენილა შიგნიდანა. მიჰხურავ და მოგაჩერდება სახეები დაღმეჭილი ნაირგვა-რადა. არ დათანხმდებიან არც ესენი დერეფნებსა თუ დიდ დარბაზში გამოფენასა. არა, არა, არ დათანხმდებიან. ჯერ დიომიდეა მოსაგერიებელი. იმუქრება: გავასაჩივრებო. ეს იცინის: დავამგვანებ რა მენაღვლებაო. მართლაც რო მოხდენილი ვინმე ყოფილა. იცინის. თვალებში ეშმაკები უკრთის. დონჟუანი უნდა ყოფილიყო, ტრაგიკოსობა რა ამისი საქმე იყოო. ბედიც რო ტრაგიკული ჰქონია. აკაკი ხორავა დუბლიორი ყოფილა ამისი. ოღონდ ესაა, მხოლოდ პრემიერა უთამაშნია ბატონ დიომიდესა. გადარეულა მა-ყურებელი. გადარეულა. გადარეულა თვითონაცა: დეზ-დემონა კინაღამ დაუხრჩვია. საავადმყოფოში ინვა მერე თოიძის ქალი. განუცხადებია: მომაშორეთ ეგ ნადირი, თორემ აღარ დავბრუნდები თეატრშიო. მოაშორეს. როლი აკაკის შერჩა. იცოდი?..

„არა, არა, ეგრეთი არაფერი არ ვიცოდი. პირველი გა-გონებაა“. ამბობს ლუოი თითქოს ცოტა გაკვირვებითაო და ოდნავი დაცინვითაცა.

„შენ რო იცოდე, როგორ განიცდის: თვალები ევსება ცრემლითა..." სჯერა თუ ეშმაკობს, – წადი და გაუგე.

„ევსება..."

„ევსება!.."

„უმშრალებ?.."

„ციც!.."

თითს უქნევს თათიაი. სავარძელს პო უსნორებსმეთქი, – ჩასვამს კიდევაცა, შემოეხვევა, ჩასვამს იმგვარადა. დაუსკუპდება მუხლებზედაცა. მოიძუძგება. მოიკუნტება. მოეშვება. კრუტუნებს. კრუტუნებს: მობრძანდა ერთ დღეს ჩემი ქალიშვილი და ერთი ოქლაქიც მოაბრძანა. გავთხოვდიო, გამომიცხადა. გათხოვდა ბატონო!.. ოქლაქს ბინა არ აღმოაჩნდა. ერთ ოთახში ვეღარ დავეტეოდით რაღა თქმა უნდა, გარეთ ვერ დავაგდებდი ახალ ოჯახსა და მე უნდა ამეკრა გუდანაბადი, არა?.. უნდა ამეკრა. და. ავიკარი. აი ეს სავარძელი და აი ეს თეჯირი. ავიკარი: და აქ გადმოვსახლდი. კრუტუნებს. კრუტუნებს: შენ იცი, იოლი რო არ იქნებოდა. მეგობრებმა მაინც მომიხერხეს. მეგობრობაც რო აღარ შემორჩენილიყოს, დავიღუპებოდით აქამდისა. თუმცა თუ იცი, ჯერ არ დავღუპულვართ?.. ნაგვართვეს ყველაფერი. მე აღარც ვიცი თუ რა ჯურისა ვარ, ანთუ რა ჯურის ხალხში ვურევივარ. შენა?.. ეჰხ!.. კრუტუნებს. კრუტუნებს: მე აქ ოთხმოცი ნლის დედაბრადა ვწერივარ. დედაბრებს ვარწმუნებ, კულტმუშაკი ვარმეთქი. ჰა, ჰა, ჰა... ვარ კიდევაცა: მომყავს პოეტები, მომაქვს ფილმები, გამოფენებს ვანყობ ახალგაზრდა მხატვრებისასა. პოეტებიც ახალგაზრდები მომყავს. ახალგაზრდები მოსწონთ დედაბრებსა. მამაბრები არიან თუ რაც არიან პოეტესები მოსწონთ იმათაცა, ჩქოლა ქალიშვილები მოსწონთ. ჩამოდღლაძულან და თვალი მაინც ახალგაზრდული შერჩენიათ. უხარიანთ. უხარიანთ. თვალში ჩავუვარდე, თითს არ ამოისვამენ. მაინც მეშინიან: თუ გამიგეს, რო შემოვპარულვარ, მიჩივლებენ. გამაბრძანებენ. ვეღარ ითმენენ სიცრუესა. თვითონ ვინ უწყის თუ რაღა არ ჩაუდენიათ, ახლა ვეღარაფერს ვეღარ ითმენენ. მამა აბრამის ბატ-

კნები!.. კრუტუნებს. კრუტუნებს: ამას იქით გზა აღარცა მაქვს. წარმოგიდგენია?!. საშინელებაც ესა ყოფილა, – გზა თუ აღარა გაქვს. დაფიქრდი!.. დაფიქრდი!.. ცოტახანს მანდ მოითმინეო, მპირდებოდნენ, ცალკე ბინას მოგიხერხებთო. მომიხერხებდნენ კიდევაცა. არ ვინდომე გარეუბნები. სად წავსულიყა საბურთალოს იქითა სოლოლაკელი?!. არ გამემტყუნება რაღა თქმა უნდა, მაგრამ მოვტყუვდი. ქვეყანა ისე აირია, ბინებს აღარ გაანაწილებენ თურმე. წარმოგიდგენია?!. ჩავრჩი აქა, ამ ბებრუხანებში და ესაა. შევყურებ დასასრულსა ჩემი ცხოვრებისა, შევყურებ ამათ საცოდაობასა და ხან ვიცინი, ხანა ვტირი. არა თქვა, რო გაგიჟებულხარო, არა, არა, ჯერ არა, მაგრამ თუ გავგიჟდი არას ვინაღვლი, უკეთესიც იქნება. თუმცა: გამოშტერება ემჯობინება. აქ არიან. ნეტა გაჩვენა: აღარაფერი აღარ გაეგებათ. აღარაფერი. აღარაფერი. მანამდეა ძნელი. გაუსაძლისი. აქეთ ქალაქი. იქით ზღვაო. გამოვჭედილვარ, გზა არსაით რო აღარა მაქვს. ზღვა მაინც იყოს. ოცნებით იცხოვრებ ზღვის ნაპირასა. უსაზღვროება აგიყოლიებს. ეს რა არისო: ვითომ ზღვა და აგერ აქვე ხრიოკი ბორცვები. რა ოცნება შეგრჩება?.. რა სული შეგრჩება?.. კრუტუნებს. კრუტუნებს: თავისუფლებას შევხაროდით, ესეც აგვერია. გვეგონა, მივიღეთ და სადაა აღარ ვიცით, რა არის, ისიც ვერ გაგვიგია. შენ რამე გაიგე?.. მიკვირს, ამ მრგვალებს რო მიჰკედლებიხარ. ორატორობა მოგხდენია, რაღა ციცერონი და რაღა შენა. „ეგეები არ იყოს!.." მოწურავს მკლავები. მოწურავს. არა!.. არა!.. რამდენიხანია აღარ შევხვედრივართ ერთმანეთსა, რამდენი ხანია!.. მე მაინც არ დამვიწყებიხარ. შენი დავიწყება არც შეიძლება. მე არც დამიმალავს, რო ყოველთვის მომწონდი, ახლა მითუფრო: უკეთესად გამოიყურები. პროვინციას არ გაუტეხიხარ. ამბობდნენ: გალოთდაო. არ გეტყობა. რო არ გეტყობა, ეს კარგია, ისე, იქ სხვა რა უნდა გეკეთებინა?.. აქ არ აღმოჩნდა შენი ადგილი. დასჯახებიან ერთიმეორესა ჯიხვებივითა, უფსკრულში ჰყრიან ერთიმეორესა ჯიხვებივითა, მერე ტორებითა ფხაჭნიან სალკლდესა და ფრუტუნე-

ბენ ნასიამოვნებნი. ფრუტუნებენ. ფრუტუნებენ. მეტი აღარაფერი აღარ შეუძლიანთ. კრუტუნებს. კრუტუნებს: ზღვაა თუ რაც არის, ის მაინც არის, მე რო დამახრჩოს. დამახრჩოს. ამოპყავთ კიდევაცა. ერთს შევესწარი: თექვსმეტი წლის გოგო იქნებოდა, გაეუპატიურებინათ და გადაეგდოთ ემაგ... ზღვა არის თუ რაც არის. ერთი დედაბერი აქედანაც გაგვექცა. წიოკობით გაგვექცა. გამოეკიდნენ. გამოეკიდნენ. გაუსწრო. წარმოგიდგენია?!. იშვირა ფეხი და წყალს მისცა თავი. ამოიყვანეს. დაპკიდეს თავდაყირა. წყალი ანთხევინეს და სულიც გააფრთხობინეს. ეგება მანამდეც გაფრთხობოდა სული, – რაც უნდა იყოს, უბედურება ცოცხლობრივ ნამებაა, თორემ მკვდარს ვეღარ ანამებ. ვეღარა. მორჩა. კრუტუნებს. კრუტუნებს: შენც დიდი გაბედული ვინმე ყოფილხარ. არ მეგონა. რომელი ჭკუათმყოფელი დადგება ახლა პრეზიდენტის მხარესა?!. განნირულია. მთლად ქვეყნიერების ავტობუსები რო გარსშემოირტყას, მთლად საქართველო რო აქ მორეკოს, ვერ გადარჩება. ვერა, დამიჯერე. ხალხი ხალხია .და მხოლოდ ხალხია, ხელისუფლება ზედაფენაა: ან მოგემხრობა და აღგაზევებს, ან გამოგეცლება და ვეღარ მოიკიდებ ფეხსა. განნირულია. ეცლებიან და ეცლებიან. რაღაცა ჰხდება. მე არ ვიცი თუ რა ჰხდება. მე იმათთანა ვარ, მე ავდევ, ბრმად ავდევ, სხვანაირად რო არ შემიძლიან. იმათ იციან თუ რაცა ჰხდება და ეცლებიან და უპირისპირდებიან და დაიმსახურებენ და დაუფასდებათ. იციან. იციან. მე არ ვიცი, მაგრამ იმათი ვარ, არ მინდა შემომწყრნენ, ამითვალისნუნონ, არ მინდა, არა, იმათთანა ვარ, თუმცა აქა ვარ და აქ ჩავრჩები... მე არ მერგება არაფერი. შენ რაღას ელი?.. არ გამოიჭყლიტო კოზაკივითა. უკეთეს შემთხვევაში გაგისვრიან ისევ იმ შენს პროვინციაში და მიდექი და ილოთე რამდენიც გენებოს. დავრდომილს თუ აქ მოგაბრძანებენ, მეც აქ დაგხვდები. ჰა, ჰა, ჰა... კრუტუნებს: მიტინგომანია საქმეს ვერ უშველის. ყველა ჰხედავს. იარაღდებიან. ირაზმებიან. უსისხლოდ არ ჩაივლის. შავნაბადა შავად დაპყურებს ზევიდანა. იქუხებს. ტყუილად არ მოიქუშებოდა. მოქუშული

დადის ხალხიცა. ყველა იბღვირება. ვეღარ გაიგებ თუ ვინ ვის დაახლის ტყვიასა. ყველა მტერია. მოკეთე აღარ არის. ყველასა ჰგონია: თუ არ დაასწრო, დაასწრებენ. ყველა განწირულია და გამწირველიც ყველაა, – უბედურებაა, არა!.. შენვე გამოსცდიდი: ვითომც არცა გცნობენ ძველი მეგობრები. არცა გხედავენ ვითომცაო. არ დაიჯერო. ყველა გხედავს. ყველა გცნობს. ყველა გითვალთვალებს. გეშინოდეს შურისძიების. არა, არა, შენ არ გაშინებ: ყველა ამ დღეშია. კრუტუნებს. კრუტუნებს: ერთი კვირა ვიჯექი უნივერსიტეტის კიბეზედა. არ მინდოდა. დამსვეს. გავცივდი. არ მიშვებდნენ: აქ უნდა ამოვირთვათ სულიო. იმათ არ ეტყობოდათ ამორთმევაი სულისა. მე მძვრებოდა სული. ირინა გამომესარჩლა. ძლივას გამოვკეთდი. დღე ერთია და ათასჯერ მირეკავენ: მალე დაბრუნდიო. არ მინდა, არ მინდა, არ შემიძლიან, კიბეზე ჯდომა არ შემიძლიან. კარავში დავწვებიმეთქი. არაო. ახლა კიბეზეა საჭიროო. ვინ იცის მერე კიდევ რას იტყვიან, წადი და სდიე, არა და – ნუ სდევ თუ ვაჟკაცი ხარ!.. აუჰ!.. კრუტუნებს. კრუტუნებს: და გაიზმორება. გადაიჭიმება. მიეგლისება. შემოესალტება. დააცხრება. ჩაიბღუჯებიან. რაღა ესაო და რაღა ისაო: ჩაიბღუჯებიან. დააცხრებიან. შემოეხსნება. ჩამოუხტება კალთიდანა. გაცქრიალდება თეჯირს იქითა. იქ საწოლია. აქეთ მისაღები. იქით საწოლი. ბუდუარი. მოწყობილია ვიწრო სენაკშია. რო არ ეშინოდეს, რო დააყენებდნენ, ეგება რო გასძლოს კიდევაცა; ზღვაა თუ რაც არის, მაინც ჰო ზღვა ჰქვიან, ისიც ჰო იქვეა, ეგება რო გასძლოს კიდევაცა. გაცქრიალდება ერთისიტყვითა. ამასაც არ უნდა მეტი პატიჟი. მანძილიც არაა ხიფათიანი: ერთი სკუპია. და ისკუპებს რაღა თქმა უნდა. ჭყვირილი თითქოს ჰაერში გაჰყინავს:

„ააააააა... კარები!.. კარები!.."

გაჰყინავს თითქოსო, თითქოს ეგრეც შემობრუნდება. გადაატრიალებს კარებში გასაღებსა. ნამის საქმეა, არც რო დიდად დამაფიქვრელი. თეჯირს იქითაა ნამის შემდგომა. სარკეზე ჰკიდია თმაი თეთრი პეპელითა იისფერი-

თა – პარიკი ესე იგი. ქოშები ჰყრია სანოლთანა ნალმა-
უკულმა. ხალათიც იქვე დაგდებულა. ჰყრია. იხლაკნება სა-
ბანის ქვეშა. გაისუსება. იხლაკნება. ამოძვრება თავი. ჩაი-
მალება. ამოძვრება. ჩაიმალება. კიდევა. კიდევა. სნრაფა-
და. ნამსუმალა. თმაი მოკლედ შეკრეჭილი. შავი. კუნაპეტი.
სახეი მრგვალი. მოკრიალებული ისედაცა. მოხატული
უკეთესადა. ამოძვრება. ჩაიმალება. ხითხითებს. ხითხი-
თებს. იხლაკნება. და შემოერტყმის. შემოერტყმიან ერთი-
მეორესა. და მერე ჰო რაღაა სათქმელი: ხელობა იციან.
ქაცვია მნყემსი, ბევრი რო არც არა იცოდა, არც ის დაბნე-
ულა: „მან მეფემ ციხეს აღარ ახანა, თავს ნანაყვირა ნაღა-
რახანა; სტყორცნა ზარბაზანი, გაუხდა ზათქანი, დაჩეხა
კარი!! ის ზარბაზანი რომ მან დასცალა, მაგდენი ხანი
აღარ აცალა; ხელახლა გატენა, განიშნა კართკენა ზარ-
ბაზნის ტუჩი. დაადვა ცეცხლი. რა შაიფეთქა, გატყვრა რა,
გაუხდა ზემო თავს ხეთქა". არ დაბნეულა. პირველი შემ-
თხვევა არ გაიხსნება: იქ ჩხიკვის ბრალი იყო. იქ ქაცვის
ბრალი არ იყო. მაშინაც არ დაიბნეოდა. ნიჭია ბუნებრივი,
თუნდაც რო ღვთაებრივი, აქ უშურველია ერთიცა, მეორე-
ცა, ანთუ ორივეი: ორივე რო ერთი ყოფილა. რაც თუ ყო-
ფილა, გარბის ლუოი. ნაღვლობს, რო დახანდა. მერე თავს
იწყევლის: რამ გამახამაო, მერე, პრეფექტი რო უსაყვედუ-
რებს, – აქამდის სადა ხარო, და უფრო მერე, რო მოახსენე-
ბენ: ქორიძე გეძებდაო. დაფაცურდება. მიეშველებიან.
ხმას მიაწვდენენ ქორიძესა. მე არავინ არ მიძებნიაო. რამ
გამახამაო, – თავში შემოირტყამს, ქორიძე არა, ლუოი
ცხადია. რა დამემართაო. ბედმა მიაგდო როგორც იქნა
დიდ სცენაზედა და ეშმაკიც ჩაუხტა. ეშმაკი, ეშმაკი, ნამ-
დვილად ეშმაკი: ვითომ თათია ვარო. ეშმაკს ვითომ რა გა-
უჭირდებოდა. გამოეცხადებოდა თუნდაც ელენედა. თუნ-
დაც სამივე ქალღმერთადაც გამოეცხადებოდა, ერთადა-
ცა და ცალცალკედაცა. თუმცა მაშინ არ მოტყუვდებოდა.
ეშმაკი ეშმაკია: გამოეცხადა სნორედ თათიადა, – თათია-
თი მოტყუვდებოდა. მოტყუვდებოდა და მოტყუვდა კიდე-
ვაცა: თათია იყო, თათია იყო, თურმე თათია არა ყოფილა.

არა და: იყო – ასეთი ახსოვდა, ასეთი ფიცხელი, ცეცხლოვანი ასეთი, რო არც აცდიდა, რო არც ეთმობოდა; ასეთი იყო, ასეთად დარჩენილა, შეუნარჩუნებია ცეცხლიცა, სიქორფეცა, – სიქორფეცა, თვით სიქორფეცა. რა გაუკვირდებოდა ეშმაკსა, – ჩაუწვებოდა თუნდ ქალიშვილადა. რა გაუკვირდებოდა?.. ეშმა!.. ეშმაკი!.. დაეუფლა სულითხორცამდისა, არ შეარჩინა აღარაფერი. ასეთი რამ არც რო მომხდარა. არც მოჰხდებოდა. აუხირებია. უცებ გაიჭრა დიდ სცენაზედა და შიშობს ვაითუ უცებვე ჩამოვვარდიო. შიშია, შიში. შიშია ყველაფერი. ეშმაკიც რო არის, – არის, არის, ერთადაც არიან. არ უნდა გაუშვას. უნდა დაიპყროს ბედის რჩეული, სწორედ რჩეული უნდა დაიპყროს. აქამდის არც გამოსჩენია. გააგდო. მოიშორა. ნამოინია. და. ნინ დაუხვდა. თათია!.. შენით აუხვია თვალი, – ელენეთი ჰო ვერა, ვერც კლეოპატრათი, შენით აუხვია თვალი. ისინი, იცოდა, ნაზიარებნი იყვნენ ეშმაკებთანა. შენ არ ეგონე. არც იქნებოდი. ჩემსავით მსხვერპლი ხარ. ჩემს საცდუნებლად აგირჩია ეშმაკმა. მსხვერპლი ხარ შენცა. რას გადაეყარა!.. რა თვალებს აცეცებდა, – დაეღუნა თავი, დაშვებულიყო კიბეებზედა. დაშვებულიყო. დაქანებულიყო თავპირის მტვრევითა. აქ იქნებოდა თავის დროზედა. აღარც ქორიძე შემოსწყრებოდა: არ მიკითხიაო. ანთუ ვინ უწყის: თვით პრეზიდენტმა იკითხა. ჰა?!. მით უარესი: დააცეცებინებდა რომელიაო, – აუხვევდა თვალებსა; აუხვევდაო და კიდევაც აუხვია. არც დააეჭვა ოდნავადაცა: ამ ხნის ქალი და ასეთი ვნება?!. არა, არა, არც დააეჭვა. აღარ უშვებდა. ჩაებღაუჭა. მერე შარვალს აღარ უთმობდა. აეკონნიალა მერე, კარამდე მიჰყვა დედიშობილაი. თუმცა ადრე ცოტა იეჭვა: რო კრუტუნებდა: ფისუნიაა, ნებიერი ფისუნიაა. გაიზმორა და: ფისუნია

და რაღა ესაო. რაც იყო, გადაურჩა: აგერა კარვები და აგერა ესა, აგერა სვეტები სასახლისაი, აგერა დაფა: „ენა მამული სარწმუნოება" აგერა. აგერა. საღამოხანს იქ გადმოდგებიან. იქადაგებენ იქიდანა. ესეც აქ არის. ქორიძემ: მე არაო. თვით ის იქნებოდა და კიდევ უკეთესი. ესეც აქ არის. ანთუ დაუსხლტა, ანთუ ისევ იმის ხელთ არის – იყოს: გავიდეს ოღონდ დიდ სცენაზედა, ვინც უნდა გაიყვანოს. ეშმაკი მაინც უხერხულია. ჰა?.. უხერხულია. არ უშვებდა. გამოექცა. აღარ გაგიკარებო, დაემუქრა. დასანანია. ის იყო, ის იყო: ასეთი ახსოვს. თვალებიც ისევე ამოევსო ცვარითა. გაგებუტეო. გამოფუნჩა ტუჩები. ის იყო. ის იყო. ნეკები გამოსდო ერთიმეორესა, გამოსდო, გამოჰხსნა. გაგებუტეო. ის იყო. ის იყო. თათია!.. ჰა, ჰა, ჰა... ვითომ ეშმაკი ვერ გამოფუნჩავდა ტუჩებსა, სნორედაც რომ თათიასავითა, ვითომ ეშმაკი ვერ გამოსდებდა ნეკებსა ერთიმეორესა, ვითომა, ჰა: ეშმაკი ჯოჯოხეთს ატრიალებს. მაინც აქ არის „ენა მამული სარწმუნოება" აქ არის, აქ არის. აგერა მოძრავი სადგურიცა ტელევიზიისა. შემოუმწყვდევიათ მოედანზედა. აქაცა სჭირდებათ. ვეღარც გაუტანიათ. ერთი მოსტაცეს. მოგვტაცესო – იცრემლებოდა ტელევიზორი. ვიდეოპარატებსაცა გვტაცებენო. შიგაც გვეჭრებიან, აღარ გვაცდიან აღარაფერსაო. იცრემლებოდა. იცრემლებოდა. „ენა მამული სარწმუნოება". კუდი ეხვევა ბორჯღიანი. მთლად სვეტს ეხვევა ძირით თავამდისა. აი წამოიღებს, აი წამოამხობს, მთლად სასახლეს გადმოიტანსო, აი აჰაა, აი და აჰაა...

„ვერ გამოიძინე?.." პრეფექტია. მკლავი ამისი ჩაუბღუჯია ცალი ხელითა, მეორე ნელზე შემოუხვევია. „მეც ფეხზე ვყვინთავდი. უნდა გავუძლოთ".

„გავუძლოთ..."

„ქალები უფრო მხნედ გამოიყურებიან".

„ქალები ყოჩაღები არიან".

„ენა მამული სარწმუნოება" იდგა ისევე, სვეტიც ისევე, სასახლეც ისევე, არც არაფერი შემოჰგრეხია, არც არაფერს წამოუღია, არც არაფერს წამოუქცევია. იდგა. დგას.

შემოვლებია მოწოდებანი აურაცხელი ქართულადა, ინგლისურადა, აქამდე მხოლოდ რო რუსული ბატონობდა. დგას. დგას. აწერია. იყო სასახლე მეფისაი, – არაფერი ენერა. ტრანსპარანტები არ გამოჰქონდათ. ლოზუნგებს არ აკრავდნენ. იყო დროშაი ერთი და ყველაფერი ის იყო. იყო დროშაი და გული: გულზე ეწერა: ენა მამული სარწმუნოება. იყო სალაყბო და მიდიოდნენ თავიანთი გულითა. კედლებს აჭრელება არ უნდოდა, არცა სვეტებსა, ამდენი ქაღალდიც არ იშოვებოდა. გული იყო, ქაღალდი არ უნდოდა. გული აენთებოდა. გული დაცხრებოდა. გულს აჰყვებოდნენ. და. აიყოლიებდნენ გულსა. გადმოდგებოდა მეფეი აივანზედა, სალაყბოზედა. გადმოდგებოდა. აუხსნიდა. დაუჯერებდნენ. თანდათან აღარ დაუჯერებდნენ. ერეკლეს მერე აღარავის დაუჯერებდნენ. მეფეს სასახლეც აღარ აჰყვებოდა, აღარც რო ხალხი. ხალხიც, სასახლეც გათიშულიყო. შემოეშვათ რო ერთმორწმუნენი, რწმენა დაჰკარგოდათ, ენა დაჰკარგოდათ, მამული დაჰკარგოდათ, ნდობა დაჰკარგოდათ, მტრობას აეშვა, გადაღერძილიყვნენ. გულს აღარაფერი ეწერებოდა. ანთუ სისხლისაგან დაცლილიყო გული, ანთუ არც უნდოდათ: ქაღალდი ეშოვნათ, ქაღალდზე ანთხევდნენ ჯავრსა მტრისასა, ყველა რო ყველას გადაჰკიდებოდა. სასახლის კედლები ჰო აჭრელებულიყო, აჭრელებულიყო ჭადრებიცა რუსთაველისაი, რო ვერ ამშვენებდა ისედაცა გამზირსა, ლამაზი შენობები რო მიეჩქმალა, გაექარწყლებინა შედევრები არქიტექტურისა, კლასიკური არქიტექტურისა, რო ვერ დაეჩრდილა საბჭოთა ლაურეატები. ალბათა. ალბათაო. აჭრელებულიყო ერთისიტყვითა. აღარ მოუჩანდა ქერქი ხეებსა: გამოეფინათ ლექსები მოლექსეთა, დაუბეჭდავი ლექსები, სიტყვები ორატორთა, უთქმელი სიტყვები, მთქმელი რო ბევრი იყო, დღედაღამეც რო აღარა ჰყოფნიდათ, გადაბმული დღედაღამეი. გამოეფინათ. გამოეკრათ. წებო ეჭირა ყველასა ხელში, ქაღალდიცა რაღა თქმა უნდა: იქავე წერდნენ, იქავე აკრავდნენ, რო ვერ გააღწევდნენ ტრიბუნამდისა. კიდევ კარგი რო არა სერავდნენ ქერქსა დანითა. კიდევ კარ-

გიო. ჩაებნელებინათ ვიტრინებიცა. გარედანაც მიეკრათ, შიგნიდანაცა. დავიწყებოდათ თუ რა მოიპოვეს, რას რო ჰკარგავდნენ, არ აგონდებოდათ. ყველას ერთი ამოეღო თვალშია, ერთი, ერთადერთი, ამ მოლექსეთა თუ იმა ორატორთა, – ერთ ავტორს მოთხრობაც გამოეკიდა. ნოველაო გინდა თუ არა: იყოს!.. – ერთი ამოეღო ერთისიტყვითა, იმ ერთს ადიდებდნენ და იმ ერთს ამცირებდნენ სასახლიდანა ძეგლამდისა რუსთაველისა. ძეგლს ჰო ჩამოსთრევდა ძონძები, – ჩამოსთრევდა. ჰყვიროდა ქაღალდი, ქაღალდი გაჰკიოდა. მიკროფონების ამხედრებამდისა. ამხედრდებოდნენ მერე ისინიცა ცხადია და რაღა თქმა უნდა. ჯერ ჯგუფად იდგნენ. ჯგუფები დავობდნენ. გადასწვდებოდნენ ერთიმეორესა. ჩაუვლიდნენ გამომწვევადა. აეფხორებოდნენ. გაჰკენწლავდნენ. დუჟს მოიდებდნენ მერე ტუჩებზედა. მერე ჰო მერე ყელშიცა სწვდებოდნენ, ეს რო ვაუკაცები, ქალები თმებით დაითრევდნენ ერთიმეორესა. ამხედრდებოდა ვიდრე მიკროფონები. მიკროფონები. არა: კარგი რამას რო მოკლედ შეეკრიჭათ თმები, კარგი რამასა, – ძველ დალალებს თუ წარმოიდგენ, სასეირო ის იქნებოდა.

„შეჭამე რამე?.. მოასწარი?..“ პრეფექტი ეკითხება.

„არა...“

„არც მე. ნავიხემსოთ ეგება სადმე...“

თანხმდება ლუიი. წამოახველებს თითქოსაო, უფრო: ბურტყუნებს. სიმამრს შეუთვლის ლოცვა-კურთხევასა. მასპინძლობა ამასა მართებს, – იქ სულ სტუმარია, აქ ამასა მართებს. კიდევ შეუკურთხებს. ჭაღის გაყიდვა მაინც მოესწრო. წახემსებაც გაძნელებულა, საგულდაგულო პურიჭამას ვიღა ინაღვლებს. გამოტენილა რესტორნები, კაფეები, სასადილოები, სახინკლეები. ხალხით გამოტენილა, საზრდოთი ვერა. ცხვირსაც ვერსად შეჰყოფენ, – ერთგან მაინც შეჰყოფენ ორბელიანთა მოედანზედა. ორბელიანთა. ვიმეორებ ასე: ორბელიანთა, ორბელიანებისა, ვიმეორებ: ორბელიანთა მოედანი, ორბელიანთა უბანი, ორბელიანთა ხიდი, ორბელიანთა კუნძული, – ვიმეორებ დაჟი-

ნებითა. მაინც არაო: კოლმეურნეთა მოედანიო, – შეჩვეულან და ვერ გადაჩვეულან. ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. დავით აღმაშენებელიც გამოგვიცხადეს კოლმეურნედა. არა, არა: კომუნისტად გამოგვიცხადეს. ეს პოეტებმა: ცხრა ძმა ხერხეულიძეცა, ცოტნე დადიანიცა, დიმიტრი თავდადებულიცა, თედორე მღვდელიცა, წმიდა ნინოც ნუ გაგვიკვირდება. თუმცა: შეჰყვეს ცხვირი ერთგან მაინცა, შეჰყვეს, შეიჭედნენ ვიწრო სახინკლეში, ვიწროში, ჩაბინდულში, ოხშივარიანში. შეიჭედნენ. ხინკალმა მალე მოუნიათ. გადმოაწოდეს. თავიანთები მოქცეულიყვნენ წინა. იცნეს, თვალი რო შეაჩვიეს ოხშივარსა. იცნეს ცხადია. ესაა: დახლიდარი ვეღარა სცნობდა თავის მუშტარსა, შეცვლილიყვნენ ამ ბოლო ხანებშია. სხვაგვარი იერი გადაჰკრავდათ. ცოტა სხვაგვარი. სხვაგვარი კილო გაიჟღერებდა. ცოტა სხვაგვარი. მუდმივი მუშტარი სხვაგვარი ჰყავდა: წვრიმალი ვაჭრები და წვრიმალი ქურდები საკოლმეურნეო ბაზრისაი, – ბაზარიც ჰო იქავე იყო, ისიც ცხადია საკოლმეურნეოო, – მეეზოვეები, დღიური მუშები, გაურკვეველი ხელობის ხალხი, მათხოვრები. შემოცვივდებოდნენ და გაცვივდებოდნენ, გადასანსლავდნენ და გავარდებოდნენ. ლაზათს არ ითხოვდნენ. არც არაფერს ედო ლაზათი. სკამი სკამს არა ჰგავდა, მაგიდა მაგიდასა. გაზინტლულიყო ჭერიცა, მაგიდებიცა. ფერი აღარ ედო კედლებსაცა, დამსკდარიყო რო კიდევაცა. პირველი ხუთწლედის მერე აღარ შეკეთებულიყო. აღარა. ანთუ უწყის ნიკოლოზის მერეც აღარა!.. მენშევიკებიც აიტანდნენ. ესენიც უნდა შეჰგუებოდნენ: ელიტაი პროვინციისა. შიმშილმა წუნი არ იცისო. მაინც ვერაო, ვერ ეგუებოდნენ. ჰკილავდნენ. სძრახავდნენ. ჩქარობდნენ. ესაა, რო მეხინკლენი ვერ ასდიოდნენ. უკვირდათ: როგორ ეკადრება თბილისს ესაო, უკვირდათ: რო კადრულობდა უარესსაცა და არცა თაკილობდა. უკვირდათ. უკვირდათ. იშმუშნებოდნენ. ჭამდნენ. სვამდნენ ეგრე ზეზეულა. ეხლებოდნენ ერთიმეორესა. ბოდიშობდნენ. ერთიმეორის თავზე გადაჰქონდათ სინები ხინკლიანი, კათხები ლუდიანი, ქაფი რო არ გადმოდიოდა

კათხებიდანა. არ ავსებდნენ რაღა თქმა უნდა. კიდევ კარგიო. ვეღარცა ღეჭავდნენ, ეფუფქებოდათ რო პირი, ყლაპავდნენ ეგრევე ცხელ-ცხელ ხინკალსა, ცეცხლი რო ეკიდა, ეგრე ჰყლაპავდნენ, ამოიქარვებდნენ ცივი ლუდითა.

„დავლიოთ!.. მალე აღარ იქნება აღარც ხინკალი, აღარც ლუდი", ვიღაცა ამბობს, „აღარც გამკეთებელი აღარ იქნება, აღარც მჭამელი, აღარც დამლევი".

„მაშ რა იქნება?!."

„იდეები!.. ახალი დემოკრატიზმი!.. რუსეთი იდეებს არ გამოგვილევს..."

„ისევ რუსეთი!.."

„ისევ რუსეთი..."

„ოხშივარი სარკმლიდან გამოდის, დახლიდარს ეხვევა, მერე დანარჩენთა. ლანგრებიც იქიდანვე მოცურავს, ხინკლიანი რაღა თქმა უნდა, ფერად-ფერადი პლასტმასისანი. იისფერი ლანგარიც მოცურავს. წითელი. ყვითელი. თეთრი. იისფერი. ნითელი. ყვითელი. თეთრი. იისფერი. ნითელი. ყვითელი. თეთრი. იისფერი. მერე სულ იისფერი. იისფერი. იისფერი. და ხინკალიც იისფერად იქცევა. ფრთები გამოისხა თითქოსაო. გუნდებად დაპფარფატებს ლანგრებსა. ეს კიდევ არაფერი: სარკმელში იგივე თმაც გამოჩნდება, ისევე თეთრი, ასხივებული, აფუებული, თითქოს ნიავი ეფერებაო. პეპელაცა აფარფატებული, იისფერი, შუბლთან რო უნდა ჩამოსკუპდესო. სახეც იგივეი. ტუჩებიც ისევე გამოფუნჩული. ტანსაც რო ალბათ ისევე მოიქნევს. ტანი იქითაა, სარკმელს იქითა. თავი ჰო აგერაა: ისაა, ისაა!..

„აღარ გინდა?!." პრეფექტი იკითხავს.

„ბატონო!.."

„ჭამე. ხინკალი კუჭის ქარივითაა. მალე მოგშივა".

„დიახ!.."

ეთანხმება. მაინც მიიწევს, მიიჭედება მაინცა ხალხში. სარკმელთან მიაღწევს. არავინაა. შიგნითაც ისეთი არავინაა. თეთრი ხალათები. თეთრი ხილაბანდები. დაკაპინებული მკლავები. აჩქარებული ხელები, ცომს რო აბრტყელე-

ბენ. თეთრი ქვაბები. ათუსთუხებული. მალე ხინკალი ამოიყრება. მეტი არაფერი. მეტი არავინა. არც აფუებული. არც გამოფუნჩული. არც მოფარფატე. მეტი არაფერი. მეტი არავინა. თუმცა ეშმაკს რას დაინახავ, – ეშმაკი ჰო წყლისფერიაო, ანთუ ეშმაკია და ესეც ეყოფა: თუნდაც თათიად გადაიქცევა, თუნდაც მეხინკლე დედაკაცადა; დედოფალ ეკატერინედაც გადაიქცევა, გადაჯდება ხინკლის ქვაბზედა. ეშმაკი ეშმაკია. მეტაფორა არა სჭირდება. ვერც აამაღლებ, ვერც დაამდაბლებ. მარადიულია და უცვლელი. მარადიულია და ცვალებადი. უცვლელია ცდუნებაი, მაცდური – ცვალებადი. კრუტუნებს.

IX

კრუტუნებს.

ჯერ რო თითქოს მოეყურება, მკაფიოვდება თანდათანობითა. ახლოვდება. შორდება. ახლოვდება. შორდება. შემოეგლისება ფეხებზედაცა. გაუძვრება კანჭებისშუა. წავა. მოსცილდება. მიეგლისება ისევ ისევე, თითქოს მოცილებაც რო აღარ უნდა. სხვები უტევენ. სხვები იშორებენ. უცაცხანებენ. გაშეშებულა ესა თითქოსაო. კრუტუნებს. კრუტუნებს. კატაა, კატა, სახინკლის კატაი. ვეებაი. ჩასუქებული. რო არცა შიან, რო არცა სწყურიან, რო მოყირჭებია ჭიპები ხინკლისა, რო აღარ უნდა აღარაფერი, რო მაინც უნდა: დაძვრება. დაეძებს. კნავის. მოითხოვს. კრუტუნებს. კრუტუნებს.

„წავიდეთ", ლუო იტყვის, ჰგონია, რო ვერც იტყვის, ყოველშემთხვევაში ფეხი მაინც ვერ გაუნძრევია.

„დროა..." ეთანხმება პრეფექტი. „წავიდეთ!.." აცხადებს უფრო ხმამაღლადა, რო გაიგონონ დანარჩენთაცა, ამათებმა რაღა თქმა უნდა. სხვებმაცა. სხვებმაცა. არ დაიგვიანონ. დროა: გამოტენილა ბარიკადები სასახლის ნინა. კიდევაც მოდიან. მოედინებიან. ღრეჩოდ დარჩენილა ერთი ავტობუსი. შემოდიან და შემოდიან მნკრივადა, სათი-

თაოდა. დაითვლი თუ გინდა. იქით დაწყებულა უკვე მიტინგები, ავტობუსების ბარიკადებს იქითა, სამშენებლო ნარჩენების ბარიკადებში: რუსთაველის თეატრთანა, „იმელთანა", კინოს სახლთანა". დაწყებულა. გახურებულა. დაწყებულა ერთდროულადა. გახურებულა ერთდროულადა. გახელებულან ერთიმეორეზე უარესადა. მთავრობას უტევენ რაღა თქმა უნდა. მოითხოვენ ტელევიზიასა: „მონოპოლიზმი შეუთავსებელია დემოკრატიული წყობილებისათვისა!.." „ჩვენ დემოკრატიულ წყობილებას მოვითხოვთ!.." „ძირს ავტორიტარიზმი!.." „ძირს ნაციონალიზმი!.." „თავისუფლება პოლიტიკურ პატიმრებს!.." „პრესა, რადიო, ტელევიზია საზოგადოებრივი საკუთრებაა!.." „პოლიტიკური პარტიები პრესაში!.." „პოლიტიკური პარტიები რადიოში!.." „პოლიტიკური პარტიები ტელევიზიაში!.." „ტელევიზიას..." „ტელევიზიამ..." „ტელევიზიით..." „ტელევიზიის..." „ტელე..." „ტელე..." „ტელე..." გუგუნებს გამზირი, იმტვრევა გამზირი, ჰხავის გამზირი, ჰხავის, ჰხავის ქალის ხმაზედა, სიგარეტით ჩახლეჩილ ხმაზედა, ჰხავის და სზარავს, ეს უფრო სზარავს, ვიდრე ბუხუნი მამაკაცური, ანუ მამლაყინნური, თანაც რო ცდილობს დაბოხებასა, დარბაისელს რო მიემგვანოს. „ტელე..." „ტელე..." მთავარი ესაა. პრესა ხელთა აქვს ოპოზიციასა. მთავრობას ორი გაზეთი შერჩა, ორი თუ სამი, იქაც მალე შეეჭრებიან. „ტელე..." „ტელე..." მთავარი ესაა. ესაა გადამნყვეტი. ოპოზიციამ იცის. მთავრობამაც იცის. და უტევენ გაცოფებულნი. და იცავენ განრისხებულნი. ოპოზიცია შეაღწევს ტელევიზიაშიცა. ირევა ეკრანი, იმღვრევა ეკრანი, ცისფერი ეკრანი, რა ფერია, რო აღარ ეტყობა. ირევა, იმღვრევა, ხრიალებს, ურიალებს. ხელისუფლება ერეკება ოპოზიციონერებსა ტელევიზიიდანა. მიტინგებს მიმართავენ ტელეოპოზიციონერები: „ტელე..." „ტელე..." „ტელე..." „ჩვენ პრესისა და ტელერადიოს ჟურნალისტები..." მიმართავენ. გრგვინავენ. ტრიბუნები ივსება პარტიებისა. ივსება ბარიკადებიცა სამშენებლო ბლოკებისა. ივსება. იცვლება. მატულობს. იკლებს. შეწყნარებას ითხოვს ბარი-

კადები ავტობუსებისა. თანხმობას ითხოვს. მორიგებას ითხოვს. დროს ითხოკს: გვაცალეთო. დროო. რომელი დროო. დრო სად არისო. მსხვერპლს მოითხოვენ ულმობელი კერპები. მსხვერპლს დაეძებენ ქურუმები. ის თვითონ გამოჩნდება. ვერც გაიგებენ თუ როგორ გამოჩნდება, საიდან გამოჩნდება. ვერც მიჰხვდებიან თუ იქ რა ჰხდება: ბარიკადების წინა, სამშენებლო ნარჩენების წინა, – ვინ არის, რა უნდა, ხელები თუ რატომ ასწია, რა აიტანა, რა გადაისხა, რა გაჰკრა, რითი აიბრიალა თავი. ვერც გაიგებენ. ვერც მიჰხვდებიან. იქ ორატორები ცვლიან ერთმანეთსა, აღგზნებული ორატორები: რაღა ეს ცეცხლიო, რაღა ის კოცონი, იმათს თვალებში რო აგიზგიზებულა. თვალები არ ინვის. კაცს თავი დაუნვამს. ბარათი დაუგდია: ოღონდ შერიგდით. მსხვერპლი მე ვიყო. უკანასკნელი მსხვერპლი მე ვიყო დიდი უბედურების მოლოდინშიო. კერპები დუმან, ულმობელი კერპები. ქურუმებს გულხელი დაუკრეფიათ: ვითომც არაფერიც არ მომხდარა, უჩვენოთ თუ რაიმე მომხდარაო. ჩაინვა კაცი, შერუჯა შეხროვილი ბლოკები. მორჩა. მოთავდა. ვინმე დრამას დაწერს. ვინმე დადგამს. ვინმე დაფიქრდება. იქ იქნება ავტორიცა, რეჟისორიცა, არტისტიცა. მაყურებლებიცა. აქ ყველა მხოლოდ არტისტი გახლდა. არტისტობდნენ რეჟისორებიცა, ეს რეჟისორები. სხვა დგამდა. არა სჩანდა. ეგ არაფერი. მთავარი ისაა, მაყურებელი რო ეს ერთი იყო, ეს ერთი, ერთი, და ამანაც რო თავი დაინვა.

„პრეზიდენტის პროვოკაციაა!.." გაცხარდება ბარიკადები სამშენებლო ნარჩენებისა.

„ოპოზიციის პროვოკაციაა!..“ განმარტავს ასე ბარიკადები ავტობუსებისა, მძიმე სატვირთო მანქანებისა, ასფალტის სატკეპნებისა.

ბარიკადები არა სცხრება.

ბარიკადები.

ბარიკადები.

ამას არაფერი არ გაუკვირდება. ლუოსა ცხადია. ბარიკადებზედაცა მდგარა ბევრჯერა. ტყეშიც გავარდნილა ყა-

ჩაღადა. მეფეცა ყოფილა. იმპერატორიცა. ეჭვიანი ქმარიცა. ქალებისაგან განებივრებული კავალერიცა. რაღა არაო. არაფერი არ გაუკვირდება. არტისტია!.. სიდედრისა არ იყოს, – არტისტია!.. და ახლაც სცენაზეა. არ გაუკვირდება და არც ეს უკვირს: ვიღაცა რო ჩაჰკიდებს ხელსა. გასწევს. გაიყოლებს. მეორე ხელით მიარღვევს ხალხსა. ისე შეკრულა, ვერ გაიპობაო. ის ხელს დაადებს და იხსნება ბილიკი. მიდის და მიჰყავს. მიჰყავს და მიჰყვება. გუგუნებს ხალხი. მთლად გამზირი გუგუნებს. ოპოზიცია ჰო უკვე გახურდა. დღეს რუსთაველი. ბობოქრობს რუსთაველი. ბობოქრობს. ბობოქრობს. აქ ცოტა ყოვნდება. მიტინგი ყოვნდება სასახლისაი. მიტინგი მხოლოდა. ხალხმა თავისი იცის ცხადია. იქ დაიღალნონ. ჯერ იქ მოჯერდნენ. ამოვარდეთ გული. პრეზიდენტმა იცის თავისი. მრჩევლებიც ჰო ჰყავს, – ჰყავს რა თქმა უნდა. პრეზიდენტია და უნდა ჰყავდეს, წესია ასეთი. წესია. უნდა უჯერებდეს კიდევაცა, რახან წესია. და უკვირს, დასაჯერებელს რო ვერაფერს ურჩევენ. და ურჩევნიან კიდევაცა, მაინც რო არავის არაფერს დაუჯერებს. აჩქარებენ. ამას რაღა აჩქარება უნდა!.. იგვიანებდა დისიდენტების მიტინგებზედაცა. სხვები იღლებოდნენ, იქანცებოდნენ, იღლიდნენ ყბებსა. ხალხი ამას ელოდა. ელოდა. და გზას უთმობდნენ უკვე მოღლილი ორატორებიცა. მიკროფონს უთმობდნენ. ემორჩილებოდნენ. იგივენი არიან, მთლად რუსთაველი რო დაუპყრიათ სასახლემდისა. დაუჭრიათ. დაუქუცმაცებიათ. ჩაჰფრენია თვითეული თავისივე ნაქუცმაცარსა, საკუთარ საბუდრად რო გამოუცხადებია. ამხედრებულან თავთავიანთ საბუდარშია. ამხედრებულან. აღარ ემორჩილებიან. მრჩევლებიც ჰო ჰყავს. ფანჯრიდან მოსჩანს მომლოდინე ხალხი. ერთი მრჩეველი გარშემო უვლის რამდენიხანია. ხალხიდან არ მოსჩანს არაფერი: ფანჯრები – ჰო, სვეტები – ჰო, კედლები – ჰო, დროშაცა აგრეთვე მენშევიკებისა, ახალი დროშა რო ვერ მოუგონიათ, – მაინც არ მოსჩანს არაფერი. ხალხი ხალხია. ანთუ: ქვევრიაო, – რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო. ქვევრი. ურჩევს. არა, ქვევრი არა: მრჩევე-

ლი: „მალე შენობა დამთავრდება ვერაზედა. კომუნისტებს თავიანთთვის უნდოდათ. ეეღარ მოესწრნენ. ახლა ოპოზიცია გვეცილება. ვერ უნდა შეგვასწრონ. ვერა ფორფოსტია. ვერაზე უნდა მოვიკიდოთ ფეხი. აუცილებელია. მე ნავუძღვები".

აი მრჩეველიც ასეთი უნდა, არაფერი არ გამოეპარება ამის თვალსა. შეკითხვით ამას შეეკითხება, პრეზიდენტი რაღა თქმა უნდა: „რამდენი ბუხარი გაქვთ?.."

დაფიქრდება. მოჭმუხნის შუბლსა. მიიშველიებს თითებსაცა, ალბათ თუ ითვლის: „შვიდი". აღმოთქვამს როგორც იქნება.

უღიმის პრეზიდენტი: „ცოტაა?!. უღიმის. არც უჯერებს: „კომუნისტების" ავტორისათვის გითქვამს ჩხუბშია: შენ მე რას მაჯობებ, ბუხარი რო ბუხარია, ცხრა ბუხარი მაქვსო".

იცინის მრჩეველი, ხვიხვინებს მრჩეველი, კბილებს გადმოჰყრის, თოხა კბილებსა: „ცხრა არა, – შვიდი!.."

„შვიდიც საკრალური რიცხვია". ამშვიდებს პრეზიდენტი.

„ცხრა მაინცა სჯობიან". არწმუნებს მრჩეველი. არწმუნებს. ამუნათებს: „მე თქვენ დავით აღმაშენებლად გაღიარეთ!.."

„ჩემამდე ცხრა ცეკას მდივანი აღიარეთ..."

„ცხრას არც მოვსწრებივარ..."

„აბა რამდენსა?.."

„სამსა თუ ოთხსა". თითებს იშველიებს.

„ცოტაა?.."

ცოტა არ არის. ეგება რო მეტსაც მოესწრო. იყვნენ უდღეური მდივნებიცა, რო გამოეხვივნენ სტალინისა და ბერიას ცოდვებშია, მაგრამ ახლა რა საკითხავია, – ახლა ვერაა სტრატეგიული პუნქტი, ვერაა დასაპყრობი, არ უნდა მოდუნდეს ყურადღებაი პრეზიდენტისა. არა. არა. რა სათქმელია. და არ ეშვება. და უმტკიცებს. დგება პრეზიდენტი. ხალხს გადასცქერის. ხალხი ამოსცქერის. აცეცებს თვალებსა, რომელ ფანჯრიდან გადმოგვყურებსო. ესეც იქ

იყოს და ამოსცქეროდეს, ისა სჯობიან. გადაფაშულა სავარძელზედა, კიდევაც უმტკიცებს. „აი ის არტისტი!.." პრეზიდენტი ამბობს. „არტისტები გვინდა. არტისტები იქითკენ დაგვრჩნენ".

ერთ პოეტადაც არ დაფასდება ყველა არტისტი ერთად აღებული". ამშვიდებს მრჩეველი. პოეტია. მეტი პოეტი რო არც ეგულება საქართველოშია. ეამაყება. ამაყად გამოსთქვამს. ღაბაბი ცოტა ჩამოეშვება.

პრეზიდენტი იმეორებს თავისასა: „არტისტები გვინდა!.." არც უყურებს. არა: ხალხ!› – ჰო, ამას არა. იცის, ღაბაბი რო ჩამოეშვებოდა. ხმის კილოზე ისედაც ეტყობა. გალაკტიონსაც გაუყო XX საუკუნეი: დაე შენი იყოს პირველი ნახევარი, მეორე ნახევარში არ შემეცილოო. „არტისტები გვინდა!.." კვლავაც იმეორებს. „პოეტი იქაც ბევრია..." დასძენს.

„ბევრი?!." გაიოცებს. თვალები ლამის გადმოსცვივდესო, პოეტსა ცხადია.

„კომუნისტებს მიყიდული პოეტი..." გამოჰკვეთს› პრეზიდენტი: ვითომდა რაო, შენ რაღა თავი გამოგიდვიაო. თუმცა შეერთებული შტატების პრეზიდენტის მრჩეველიცა ბრძანდებოდიო. დაჟინებით რო ურჩევდი: – დაარქვით ბროდვეის ლენინის ქუჩა!.. – ურჩევდი. ურჩევდიო. ისიც კაცი იყო. თავისი ჭკუაცა ჰქონდა. არ გაგიგონიაო. გაჰხედავს. ღიმილი გაუგრეხს ტუჩებსა. მართალი პოეტი ორი იცის: თვითონა და მერაბი. მერაბი აღარ არის. თვითონღაა. დღეს მეტი პოეტი აღარც უნდა საქართველოსა. დღეს შრომა უნდა საქართველოსა. შეიძლება არტისტების შენყნარებაცა, ვიდრე ჩაცხრებოდეს ეს აურზაური. ჩაცხრება. ჩაცხრება. „არტისტები გვინდა!.." დაასკვნის პრეზიდენტი.

„დღეს მე გამრვალ!.."

ასე სჯობიან. რჩევაც ესაა, გადაწყვეტილებაცა, მოქმედებაცა. მოქმედება, მოქმედება ბატონებო. ისინი ამოქმედდნენ. იქაც უნდა იყვეთ: კინოს სახლთანაცა, ფილარმონიასთანაცა, იქაცა, იქაცა, აქაცა ცხადია. აი იწყებენ.

ლუო ინყებს.

აცხადებს ინყებაო. ქაღალდს მიაჩეჩებენ. უნდა მიჰყვეს, უნდა გამოაცხადოს ორატორები. ჯერ არც ჩაჰხედავს. ჯერ თვითონ უნდა თქვას. არც არავინ ურჩევს. არც თვითონ გადაწყვეტს. სიტყვა თავისით ამოვარდება: ერი ერია თუ ერთიანია. გახლეჩილი ერთი ერთი აღარ არის. გახლეჩილი ერიცა აღარ არის ერიო. ამოვარდება. აღმოჰხდება: ერი იდეაა და ხორციელებაცაა ერი. განხორციელდა იდეაი ახლა ამ ერთში და უნდა ვიწამოთ სნორედ ეს ერთი, როგორც რო კაცი, როგორც რო იდეა და როგორც რო ერიო ანუ ერთი და განუყოფელიო. ასნია. ასნია. გაუტია. და. გაუტია. მერე იგონებდა: ოოო... რა დღე იყო, ჩემს თავს ვაჯობეო. ბოლო დღეც იყო ამისათვისა: იქ ახლოს აღარ გაუკარებიათ. არავინ არ უნდა გამორჩეულიყო, არავის იმათთვის არ უნდა ეჯობნა. თავის თავისთვის დაე ეჯობნა, იმათთვის – არა. თანდათან პრეზიდენტსაც ველარ ითმენდნენ, – ოპოზიცია ჰო რაღა თქმა უნდა, ვინც შერჩენოდა იმათზე ითქმის: სჯობნიდა. იმიტომა. ამას ადვილად მოიშორებდნენ: აღარც გაუკარებიათმეთქი: ასნია, აიყვანა. მთაწმინდაზე აიყვანა. პოეტმა კიდევ უფრო ასნია. უფრო. უფრო. ზეცად აიტაცა. ნააჭარბა და ეს იქვე დაავიწყა. ნააჭარბა ერთი სიტყვითა: „მესია!.." – ამ ერთი სიტყვითა. ესეც რო ამას მოჰგონებოდა, მჯობნი ველარ გამოუჩნდებოდა. ნააჭარბა. აიტაცა: ღმერთმა მოგვივლინა ქვეყნიერების გადასარჩენადაო. იწამეთ მესია, ინამეთ ჭეშმარიტება მისი, ინამეთ და იქადაგეთო. და ინამეს მყისვე: „მესია!.. მესია!.." აგრგვინდა ხალხი. აქუხდა ხალხი: „ზვიადი!.. მესია!.. ზვიადი!.. ზვიადი!.. მესია!.. მესია!.. ზვიადი!.. მესია!.. ააااااااااااااااااااااااა..." გასწელა. გააბა. და მოდიოდა ისიცა, მოდიოდა თუ ჩამოდიოდა: ეშვებოდა, ეშვებოდა ნარნარადა. გარს მოვლებოდა შარავანდედი. ბრწყინავდა შარავანდედი. ნარნარებდა. ბრწყინავდა. ფრთებადაც შესდგომოდა: ნელა ჩამოჰყავდა, ნელა, ნელნელა, მიწას მსუბუქად რო შეეხებოდა. სახე ანთებოდა. აღეპყრო თვალნი, თითქოს რო მამას ატყობინებდა: უკვე

აქა ვარ ბრძანებისამებრა შენისაი და ყოველივეც ისე იქ-ნება, როგორც რო მიბრძანე, როგორც დამარიგეო. „მესია!.. მესია!.. მესია!..“ გადაირია. გაგიჟდა ხალხი. გაბრუვდა. აბურბურდა. და ერთხანს ვერც გაერკვნენ: რაღაც რო არღვევდა ამა ანთებასა ერთობლივსა, რაღაც რო თქორავდა, რაღაც რო შლიდა. ერთი ამოსუნთქვა კმაროდა, ერთი, ერთობლივი, – ერთი ჰო მაინც უნდა ამოესუნთქათ!.. – ერთიო და გაისმა კიდეცა: „ჩაუშესკუ!.. ჩაუშესკუ!.. ჩაუშესკუ!..“ გადაჰყიოდა რო მიტინგსადა იმსხვრეოდა სვეტებთანა სასახლისაი, – მიკროფონთანა, პრეზიდიუმთანა მიტინგისაი, ტრანსპარანტთანა: ენა მამული სარწმუნოება, – იმსხვრეოდა, არყევდა, აზანზარებდა. „მესია!.. მესია!.. მესია!..“ იფეთქებდა ახალი ძალითა. „ჩაუშესკუ!.. ჩაუშესკუ!.. ჩაუშესკუ!..“ იმავ ძლიერებით გადაეფრქვეოდა. გადმოკიდულიყვნენ მხატვრის სახლის აივნებზედა. ხანთუ ჰყვიროდნენ მუშტშემართულნი, ხან ნაიმღერებდნენ ანთუ ხალხური ანსამბლივითა, ანთუ სახელმწიფო კაპელასავითა, ხან მხოლოდ ერთი დაიგუგუნებდა; – ბიჭოს, რა ბანია, ბურჭულაძე რო არ დაბრუნდაო, – ვილაც იტყოდა. რაღას არ იტყოდნენ!.. ოღონდ ბანი შენყდება, ანსამბლიაო თუ კაპელაოო თუ რაც თუ ეგონებოდათ, შენყდება ერთბაშადა: მრგვალები შეცვივიან მხატვრის სახლშია, ლამის აივნებიდანვე გადმოჰყრიან იმა მოღრიალეთა თუ მგალობელთა, ლამისა, ლამისა; მოასწრებენ. გაუძვრებიან. გაიფანტებიან. აქა-იქ კიდევ წაიკნავლებენ. „მესია!..“ ჩაახშობს. მესია უკვე მიკროფონთანაა. ეს „ჩაუშესკუ!..“ ვილამ მოიგონა?.. მიკროფონთანაა. ხელი გაწვდილა. ოდნავ მოტეხილა მტევანი. ოდნავა. თითები თამაშობს.

„უნდა გახაროთ“, ბზინავს პრეზიდენტი. თითები თამაშობს, „ესაა გადმოგვცეს, რო უკრაინამ გვიცნო“.

„ვაშაააა!.. ზვიადი!.. მესია!.. მესია!..“

„მალე გვიცნობს მთელი მსოფლიო. გაერო გვაღიარებს!..“

„მესია!.. მესია!.. მესია!..“

„დასავლეთი ჩვენთანაა, ჩვენ დასავლეთთანა ვართ, დასავლეთია გზაი ჩვენი!.."

„მესია!.. მესია!.. მესია!.."

„ჩვენიანები მაინც გვიმღვრევენ წყალსა. „თავისუფლებას" გვიმღვრევენ, „ბიბისის" გვიმღვრევენ", „ამერიკის ხმას" გვიმღვრევენ. ჩამსხდარან იქა ჩვენიანები, კრემლის აგენტები, კაშია, ლაშქარაშვილი, გუდავები... აგენტები!.."

„წყეულიმც ყოფილან!.."

„არაფერი არ გამოუვათ!.."

„მესია!.. ზვიადი!.. ზვიადი!.. მესია!.."

„ჩვენ გავიმარჯვებთ! ჩვენ ვიზეიმებთ!.. ჩვენს ზეიმებზე მტრებსაც მოვიწვევთ. ჩვენ ერთად ვიქნებით. რა ვუყოთ თუ თვალი აჰხვევიათ ახალი დემოკრატიზმითა, რა ვუყოთ თუ ნაციონალიზმი სალანძღავ სიტყვად გაგვიხადეს და დამოუკიდებლობა თუ ნაციონალიზმი ჰგონიათ, რა ვუყოთ, რა ვუყოთ, – აეხილებათ თვალი, გამოფხიზლდებიან, გზას გაიკვლევენ და გამობრუნდებიან ისევ ჩვენსკენა ჩვენი უძღები შვილები. ჩვენ მივუტევებთ!.." და თრთის თითები. სხივის თითები. და ითვლის პოეტი, გადმოუყრია თოხა კბილები, ითვლის თუ ვარაუდობს: რამდენი ბუხარი მომემატებაო. ჭაჭის ბუხრებს აღარ ინებებს, მარმარილოს ეთამაშება. გუგუნებს მოედანი. ელვარებს მოედანი. დამთვრალა მოედანი. მიტინგი დამთვრალა. ღვინის ქვეყანაში ვის გაუკვირდება. თუმცა ბახუა (ბახუსი)ც გაუტაცნიათ, შემოდგომაა შემოდგომაი მაინცა. თრობა იცის შემოდგომამა, ნელთბილი თრობაი, სამეგობროდ რო განაწყოს კაცთა, საღრეობოდა და სასიყვარულოდა. მივეფეროთ ერთმანეთსაო, – პრეზიდენტი ამბობს ამასაცა, – ავუხსნათ ამა განდგომილებსა, ჩვენი ხსნა რო ერთიანობაა, ჩვენი შუღლი რო მტრის ხრიკებიაო. ავუხსნათ. გავიდეთ. დაველაპარაკოთ საგულდაგულოდა. წყნარადა. მშვიდადა. კაცნი არიან ისინიცა. გავაგებინოთ. გაგვიგებენო. ურჩევს. უჯერებენ. გააყენებენ ავტობუსებსა. გადიან. გაიშლებიან. მიადგებიან სამშენებლო ნარჩენების

ბარიკადებსა, ნანგრევებს რო ჰგავს. მიადგებიან. წყნარად დაიწყებენ. და მალე გაცხარდებიან. მალე, მალე, მალე მტერი მოგიკვდეთო. გაცხარდებიან. გაავდებიან. გააფრთდებიან. სიტყვებს აღარ იკმარისებენ, სილები მოჰყვება, სილებს – მუშტები, მუშტებს – კეტები, კეტებს – ქვები, ავტომატებიც აკაკანდება. მერე ისევე სძრახავდნენ ერთმანეთსა: ჯერ თქვენ გაავდით, ჯერ თქვენ ისროლეთო. არა – თქვენაო, არა – თქვენაო. აქ პირველობას უთმობდნენ ერთმანეთსა. რაც იყო: არ შედგა თანხმობაი იგი, – არ შედგა, არა. ამათი მესია იმაო არ მიიღეს. აპოკალიფსი მაინც დაიწყო, ანთუ გრძელდებოდა, ანთუ მწვავდებოდა, დასრულდებოდა, როცა იქნებოდა. აპოკალიფსი ერთ კვირაში დასრულებულიყო. ის მაშინ რომის იმპერიის აღსასრულსა წინასწარმეტყველებდა. ახლაც იმპერია იღუპებოდა, – იღუპებოდა: წინასწარმეტყველება აღარ უნდოდა, ოღონდ ესაა: ქართლის ცხოვრება თან არ უნდა გადაჰყოლოდა. არა და: ლამის გადაჰყოლოდა. რუსეთს არ შეეძლო საქართველოს გარეშე არცა ცოცხალსა და არცა მკვდარსა, არა, არ შეეძლო. ასე გადაკიდებაც არ იქნებოდა, არა და ასე გადაჰკიდებოდა.

ახლა ლუოს აღარ იკითხავ?.. –

თავგაჩეხილი დაბრუნდა შინა.

ვიღაცამა სთხლიშა სკამის ფეხი. ამან მოასწრო: ცოტა უგანა, ცოტას გადაურჩა, მართლა მხრებამდის რო არ გადაჰყოფოდა თავი. სისხლი მაინც ჩამოსდიოდა. ასხდა კოპებიცა, თითქოს მედუზაა, ამოეზრდება ახალი თავებიო. ანთუ – კაქტუსი. განა რამდენი თავი მაქვს, რომელი ერთს ვენაცვალო, – მღეროდა აშუღი შუაბაზარშია, როცა იყო შუაბაზარი, გარებაზრებიც როცა იყო და სიყვარულიც იყო ცხადია, შუაგაყოფაც არაფერიო, – შეიძლებოდა ჯვარედინად გადაეხლიჩა, ისე მოდიოდა, ის ვიღაც იყო, ისე მოიქნევდა სკამის ფეხსა, მოიქნევდა და მოიწევდა თითქოს რო სწორედ ამისკენაო. სხვებს ძგერიებდა, უგანებდა, გაუხტებოდა, თვალი მაინც ამისკენ გაურბოდა, არ უნდა გაეშვა, ცოცხალი არაო. ამანაც შენიშნა, ისე მართლაც რო

ვერ გადურჩებოდა. შენიშნა. დაუხვდა. იმან მოუქნია. ამანაცა. ერთდროულადა. იმან სკამის ფეხი. ამან მუშტი. გაგორდნენ ორივენი. იცოდა სად თუ როგორ დაერტყა. კრივზე დადიოდა. ჯირითზედაცა. ცურვით ჰო – ცურვის ტრფიალი გახლდა. აგვისტო უხაროდა. თეატრი ისვენებდა. ესეც ისვენებდა, ანთუ დასდევდა დელფინებსა შავი ზღვისა თუ ყირიმის კურორტებზე. ტრფიალი გახლდა. ზოგჯერ კრივიც გამოსდგომია და კარგადაც გამოსდგომია. სჭირდებოდა უფრო ეკრანისათვისა. თეატრისათვის რო ემზადებოდა, ემზადებოდა ეკრანისთვისაცა: კასკადიორები არ უნდოდა. თვითონ უნდა ყოფილიყო. თვითონ შესძლებოდა. იქ ვერ გააღწია, გამოიყენებდა ასე მაინცა. შინაც თავისი ფეხით მივიდა. სასწრაფო მანქანაც ჩამოაყენეს. არ მოინდომა. ის იქ შეაგდეს, – სკამისფეხიანი. ეს თვითონ აუყვა ბესიკის აღმართსა. ასდევდა. ჩამოსდევდა. აჰყვებოდა. მიუხვევდა. მოუხვევდა. არ დაეკარგებოდა გზაი შინისკენა.

„მუზარადიან შენს ქმარს შემოვხვდი, თავი შუაზე გადამიჩეხა“.

ვისი ქმარი იყო?..

ამას რას ერჩოდა?..

რას გაიგებდა: არეულიყო რო წუთისოფელი, ყველა ყველას რო გადაჰკიდებოდა.

კარი ვინ გაულო, ვერ იცნო ლუომა, ეგონა, რო სხვაგან მოვხვდიო. იმან იცნო. იმან შეჰკივლა. მოცვივდნენ სხვებიცა. ქალები. ქალები. იცნეს. დაესივნენ. ალბათ რო გაფლეთდნენ. სისხლი რო სდიოდა, მაინც მოერიდნენ. ქნ ეკამაც მოუსწრო დროზედა. მობანეს სისხლი. თავი შეუხვიეს. თან ეფერებოდნენ. თან ამუნათებდნენ: ღირსი ხარ, მაგათი რო ხარო. „ეს ლუოა!..“ უხსნიდა ეკაი. ლუო იყოს და თუნდაც ლუი XIV, მაგათთან არ უნდა იყოსო. იგივე ომი გამოევლოთ იმათაცა. სილა გაეწნათ ზოგისთვისა. ზოგს მუშტი მოხვედროდა. თმები ეგლიჯათ ზოგისთვისა. შემოეხიათ ტანსაცმელი. ხმა ყველას წართმეოდა. ჩასველებით ჰო ჩაესველებინა ყველასა. სადაც მო-

ესწროთ გადაეკიდათ ნიფხვები, ტრუსები, უახლესი ამოსაკრავები, მხოლოდ საბენწვე რო დაეფარა, – ჭრელჭრული, ნაირფერი, ზოგან ისე მიყოლებითა, გირლიანდები გეგონებოდა: საზეიმო საღამოზე მოვხვედრილვარო, – გეგონებოდა. არა და: ჩხუბობდნენ, არა და: ბრაზობდნენ, ჰკილავდნენ, ლანძღავდნენ პრეზიდენტსა და მეუღლესა პრეზიდენტისასა: დაგვიხედეთ, ეგეც რო პირველი ლედიაო, მაგისი ბრალია და მაგისგან განაფული ქალების ბრალია ყველაფერიო. ლანძღავდნენ, სწყევლიდნენ, ხაოდნენ უფრო, ხმა რო დაჰკარგოდათ ბარიკადებზედა, ანთუ: რო გადაჰლახეს ბარიკადები თეთრი ბაირაღებითა, სამშვიდობო მოლაპარაკება რო გამართეს, – იქა, იქა, იქ დაჰკარგოდათ. იქითაცა ჰხაოდნენ, – ლუოს ბინაშია. დაჰპატრონებოდნენ იქაობასაცა. გირლიანდები იქაც აესხათ. თავისი ფეხით მისულიყო დაჭრილი იქაცა. იქ მისულიყო. იქ დაწოლილიყო. იქა კვნესოდა. იქა ვიშვიშებდა. ეს ლინკა გახლდა. სხვა ვინ იქნებოდა?.. დაჭრილიყო უცნაურადა: ყელში გაეყარათ ფრჩხილები. ნიკაპიც ჩაეფჩხილათ. დამნესტრესო. ასიათასმა გველმა მიკბინაო. ქუჩა ამოერბინა ეგრე კივილითა. ინვა და ამასა ვიშვიშებდა: ცოფიანმა ძაღლებმა დამგლიჯესო. თურმანიძეც მოეყვანინებინა. პასტერის ნემსებიც გაეკეთებინებინა. სპონსორიც მიშოვნეთ, უცხოეთში გამაგზავნოსო. ვილაცა აქეზებდა. ვილაცა ატრიზავებდა. ვილაცას სასაცილოდ არა ჰყოფნიდა. ვილაცა. ვილაცანი, იქავე მყოფნი რაღა თქმა უნდა, ხოლო ყველას ერთად მაინც პირველი ლედი ეკერა პირზედა: უნდა გადადგეს, უნდა გადადგეს, მაგიტომ მაინც უნდა გადადგეს, მაგ ქალბატონს რო შეეკვეცოს ფრთებიო. „მაგისები იყვნენ!..“ ცხარობდა ლინკაცა. ოღონდ ისე, რო ერთი იმათგანი მეორე ბანაკში გადასულიყო. უცებ შეჰხვედროდნენ ერთმანეთსა. ესეც ისე რო: ლინკა მოჰყოლოდათ შუაშია. გამოჭედილიყვნენ, შენივთებულიყვნენ იმგვარადა, საძრაობა აღარა ჰქონდათ. ვერ გაძვრებოდი. ვერ გაეცლებოდი. ვერც ხელს მოიქნევდი, სხვები რო იქნევდნენ. გადაეყრებოდი: ანთუ –

სხვისა ხელსა, ანთუ ყბასა სხვისა; ისევ თუ გააძვრენდი თითებსა როგორმე, ლოყას მოაჩმეტდი, ყელს გამოაფ-ხაჭნიდი. ასეც გააძვრინეს, ვერც რო უნიეს ერთმანეთსა, შუაში ვიღაც რო მოჰყოლოდათ – ანუ ლინკაი – და ამი-სათვის გამოეღადრათ ყელი. ეგონათ რო ერთმანეთსა ღადრავდნენ: ეგეც შენაო, ეგეც შენაო, – დასძახოდნენ ჟინიანადა. იქ რად გადახვედიო. იქ მეტს იძლევიანო. ფულზე გაჰყიდე პრეზიდენტიო. დოლარებს არც იქ აქ-ლიავებენო. აი შე კახპაო. აი შე უარესოო.

„მე რა შუაში ვიყავი!.." კვნესის ლინკაი. ტუჩები მოუ-ჩანს. რო არა კვნესოდეს, რო არა ტიროდეს, რო არ გაჭირ-ვეულებულიყვეს, სპონსორი მომიძებნეთო, ტუჩებსაც შე-იხვევდა.

„შუაში მოჰყევი..." უხსნიან. ამშვიდებენ. გამოჩნდება სპონსორიცაო, ამშვიდებენ.

„აქლემები წაიკიდნენ და კოზაკი გამოჭყლიტესო".

„ბევრიც იჭყლიტება კოზაკივითა".

„ჩვენც კოზაკებივითა ვართ..." ამას არ დაუთმობენ. ფერხთით უზის ლინკასა. ენევა. ენევა გაბმითა. თითქოს რო უნდა მოასწროსო. მალე აღარც სიგარეტი იქნება, აღარც მომყვანი თამბაქოსი, აღარც მნეველიო. სხვაგან იქნება, აქ აღარაო. არ დაუთმობენ:

„უკაცრავად!.." ხმას აღიმაღლებს ჯერ ერთი ქალბა-ტონი, მერე სხვაც აჰყვება:

„მე აქლემივითა ვარ, გაცოფებული აქლემივითა".

„ლომი თქვი..."

„ლომი შენა თქვი..."

„დავუტოვოთ ეგ შედარებანი მამაკაცებსა," ქ-ნი ეკა ივედრება, „ჩვენ შევედაროთ ისევ ვარდყვავილებსა".

„ვიღა შეგადარებს?!. მშვენიერება დაივიწყეს პოეტებ-მა".

„სადღა არის მშვენიერება?!." ეს ლუოს წამოსცდება. წამოსცდება საბედისწეროდა.

„ლუო!.." ლინკა წივის: „რაღაა ის კაცი, ვისაც აღარა სნამს მშვენიერება?!."

მიუგეს, რაც არისო, – ქალბატონებმა, ასულებმა, ვინც იქ რო იყვნენ. ერთიმეორეს აღარც აცდიდნენ. ლუოს სასიკეთო არავის არ უთქვამს. ლუომ ინანა: რამ ნამომაცდენინაო. ცოტა გაჩეხილმა თავმა უშველა. ზოგი მაინც არ შეიბრალებდა: რამ გამოგიყვანა მაგათ მიტინგზეო. გვესმის: თბილისში დაბრუნება გინდა. გეთქვა შე კაცო: გიგასა ვთხოვდით, მიშასა ვთხოვდით, რობიკოსა ვთხოვდით, თემურსა ვთხოვდით, ნუკრისა ვთხოვდით, რომელი არ გაგვიგონებდაო. ენაზე ადგა, ლუოსა ცხადია: თვითონ ეგენიც გაქცევას არიანო, – არა თქვა, უარესს ნამომძახებენო. ინანა. ინანა ერთისიტყვითა. ერთი რამ მაინც მტკიცედ გარდაიწყვიტა: აღარ იაროს სადარბაზოდანა. ამოქოლოს აქეთა კარები. ლინკა ეზოდან არც იკადრებს სიარულსა. ეზო ჭუჭყიანი. მირეულ-მორეული. კიბე ვინრო. დახვეული. მოუხერხებელი. კაცი კაცს ძლივას რო აუქცევს გვერდსა. ესეც არ იყოს: ამათ იქით არცა აქვთ გზაი. აღარ შეეხვდება. აღარ შეეხვდება. გარდაიწყვიტა. კიდევ კარგი რო ახლა მაინც გადარჩენილა. კიდევ კარგი რო დივანზე დანოლილა ზალაშია, – ჰო შეეძლო რო ჩაგორებულიყო ამის სანოლში?.. წამოეცვა ის ჯადო პერანგი?.. თავი პატარძლად გამოეცხადებინა?.. როგორ არ შეეძლო!.. გადარჩენილა. ტაშს შემოჰკრავდნენ უნიფხო ქალები, დაირას შემოსცხებდნენ, ჩააბამდნენ სამაიასა. გადარჩენილა. გადარჩენილა. ქალები წავლენ. გათენდება. წავლენ. თენდება კიდევაცა. ეტყობა: ნახევრად რო ჩაბნელებულა, ეტყობა თუ როგორა თენდება ქალაქშია. წავლენ. გავა ლინკაცა. არა და: დასტაცებს ხელსა მოულოდნელადა, გაუძახებს დერეფანშია. კარს მიუკეტავს. ურდულს გაუყრის. იჩხავლოს რამდენიც უნდა. სჯობიან მაინც რო უწყინრად მოჰხდეს. ის გავიდეს. ამან მიკეტოს. და. აღარ გამოჩნდეს სადარბაზოდანა: ვითომც წავიდა და წავიდაო. სჯობიან. სჯობიან. თუმცა ვინ უწყის თუ რას რა სჯობიან თუ რო ეშმაკი აღარ გეშვება?.. აღარა!.. ეშმაკი!.. ამოპირქვავებულა სახეები. გადაჩახჩახებულა სახეები.

ბდღვიალებს სახეები დაფრქვეული შუქურებითა. სწორდება სახეები, ფიცარნაგია თითქოსაო, ანთუ სცენაო, – რაღა ფიცარნაგიო, შეიკვრის, სწორდება და ეშმაკი შეჰკრავს სცენაზე კამარასა. შეჰკრავს. ცეკვავს. როკავს სილაღითა საოცარითა, რო აღარაფერი აღარ ეეჭვება, რო ზეიმობს გამარჯვებასა, წინასწარა ზეიმობს. ხარობს. კაშკაშებს. სადღაც შორიდან მუსიკაც ისმის, უცხოური, უცნაური, ეშმაკეული, ეშმაკის მეტი რო ვერც აჰყვება. ეშმაკიცაა და კიდევაც აჰყვება: მალაყს გადადის, ბზრიალებს ჰაერშია, გაინვართება, დაიჟღრიალებს და დაეშვება შრიალითა, ფეხის ცერებითა, მხატვრის სახლზედა. დაეშვება და გაჰქრება უმალვე, ანთუ ნებითა თავისითა, ანთუ ძალითა ქაშუეთისაი, რო აბრიალდა ერთის წამითა, გადაანათა მთლად რო თბილისი და გააქრო რო ეშმაკიცა. ეშმაკი ამ შუქს ვერ გაუძლებდა. სხვა შუქი იყო, ნათელი შუქი, ხასხასა შუქი, შუქი მარადი. ეშმაკს სულ სხვა მოსდევდა, ლიბრი, ამღვრეული, ლორნოიანი. და განქრა შუქი ეშმაკეული. განქრა ეშმაკიცა, ოღონდ რო მხოლოდ თვალისათვისა, არ განშორდებოდა რო იქაობასა. იქ იქნებოდა, სადაც კაცნი რო აშლილიყვნენ, ფეხს არ მოიცვლიდა იქიდანა რაღა თქმა უნდა. იქ იქნებოდა. მიიღებდა კაცთა სახესა. გაერეოდა მომიტინგეებში. აყვირდებოდა იმათგვარადა. სიტყვასაც მოითხოვდა. მიეგებებოდნენ ხელგაშლილები. იყვირებდა მე-სია-საცა, ჩა-უ-შე-სკუსაც იყვირებდა. აქეთაც იქნებოდა, იქითაც იქნებოდა, უფრო: მიუსევდა ერთიმეორესა. მიუსევდაო და: ჰო მიუსია. არეულან თბილისელები. მინდობიან. მიჰყოლიან, მისდევენ. მისდევენ. თავი უბჟუის. ლამის გაუსკდეს თავი. ვერ უთქვამს: გადამაყლაპეთ რამე გამაყუჩებელიო. ვერ უთქვამს. არ უნდა თავი შეახსენოს. ლაპარაკობენ. დაჯგუფებულან. ყველა ლაპარაკობს. მერე ვიღაც აღემატება. გაუყუჩდებიან. უცებ ერთადვე აქაქანდებიან. მიტინგია. რაღა შინაო, რაღა გარეთაო. სტკივა. სტკივა. უნდა გაუძლოს. გათენდება. წავლენ. თითქოს თენდებოდა?..

X

rac tu iyo:

stkioda. stkioda. da. mourcha.

tavi daudga tavis zomazeda. kopebi cercha ertxanis maincca. maincc gamoviida. gamomzigulda. gaerria isevea xalxshi, gaerria da aerria. irevoda xo xalxi, – irevoda, dadzabulyo uarcesada. sitkvas dzala gamolevoda. mravlobda, enamravlobda, olond esaa: fxa aqar uchrida. avtomatebi kakanebda, xer olond droadadro. sul sxva gdidelebs gadaeyara. isini nasulyvnen. prefektic nasulyo. shecvlilyvnen. amat moadgile axlda prefektisa. is tavisebs dastriialebda. aman zedmetad igrdno tavi. da shvebac igrdno. ufro tavisufladgauyvebda gamzirsa. shechrdebda, sadac enebs, calkee xgufebtana tu momitingebtana sxvadasxva partiisa, ro axlovdebodnen, ertianddebodnen ro tanddatanobitta, erti mizani ro ikvetebda: xer prezidenti ro unda daemxot, mere daechamat ro ertmanetti. ikvetebda. ikvetebda. da shvebac igrdnometqi: fulic chamoutanes shenacvlebulebma: gamoegzavna meuglesa: darchi.manda ufro sachiro xar. chveni darda nu gekebaa. fuli eama, ironia arad chaagda: chveni darda nu gekebaa, – simamris kilo xriialebda yurebshi. arad chaagda. fuli aushebda yvelafersa. simamri maincc ara tkyuda:

„ychaq she glaxa!.." amoidaxa cotta ar iyos siamayita, xmasac aunia televizorisa, gaismoda ro lusos gamosvlai mitingzze sasaxlisa.

„kmara ra, mami!.." itakila meuglema lusi.

„artistia!.." tqva sidedrma.

„cudi ra vtqvi?!." gaikvirva simamrma.

„aba ritia kargi: glaxa?!."

„ychaqita!.. ychaq she glaxa!.. amazze kargi raqa iqneba?!."

„კმარა რა, მამი!..“ ისევ შეეეედრა შვილი, ჩაუნია ტელევიზორსაცა, არც რო ასეთი ყვირილი ვარგოდა. ყოველშემთხვევაში: ჯიბეში ფული ედო ლუოსა, არც ამას დაგიდევდა, მოესმინა რო კიდევაცა ის დიალოგი. ჯიბეში ფული ედო. ფულის მოვლა იცოდა, ყადრი არა, მოვლა იცოდა, მითუფრო რო: მალე აღარ იქნება აღარ ფული, აღარც მასპინძელი, მასპინძლობაც აღარ იქნებაო. სუფრამ მოუნია. მასპინძლობა მაინც არ ერგო ამჯერადა. „მერანის“ წიგნის სალონთან მოემწყვდა. უკან ვიტრინა. გარეშემო ხალხი. ჯერ ზურგით უდგნენ, შემოუბრუნდნენ მერე ერთბაშადა, ხოლო მანამდე ჩაიარეს დემონსტრანტებმა. ინტელიგენცია ჩვენთან არისო, – ჰქუხდნენ „იმელთანა“. იმათ ჩაიარეს: ინტელიგენტებმა, – არტისტულმა ინტელიგენციამა: არტისტულმა ფილოლოგებმა, არტისტულმა ფილოსოფოსებმა, არტისტულმა პოლიტეკონომისტებმა, არტისტულმა მწერლებმა, არტისტულმა ჟურნალისტებმა, არტისტულმა რეჟისორებმა, არტისტულმა არტისტებმა რაღა თქმა უნდა და ყველა არტისტულმა, მხოლოდ არტისტული კომუნისტები შეუერთდებოდნენ „თბილისიდანა“. ჩაიარეს. ქალბატონები მიუძღოდნენ: ქალბატონი ორჯონიკიძე. ქალბატონი ღოღობერიძე. ქალბატონი გიგინეიშვილი. წითელი ხილაბანდებითა, წითელი ბიკინებითა. მისს ლუიზა შიგნით ჩამდგარიყო, ვერა არშიობს წითელ ბიკინებსაო. ხარის სისხლისფერი ხილაბანდი მაინც წაეკრა. „ბუდიონოვკებიც“ მოუჩანდათ მოწინავეებსა. აისროდნენ და დაიჭერდნენო. ეს თითქოსაო. მაინც მოსჩანდა ის წითელი „ბუდიონოვკა“. მაღლა მოსჩანდა. ჭიხვინებდა ცხენი. ჰაერში ჭიხვინებდა. თქარუნობდა ფლოქვები, წკრიალებდა ნალები. ჰაერში თქარუნობდა და ტყაპუნობდა წითელი ყურები წითელი „ბუდიონოვკისა“. ტყაპუნობდა. თქარუნობდა. ტყაპუნობდა. თქარუნობდა. ტყაპუნობდა. თქარუნობდა. ტყაპუნობდა. ტყაპუნობდა. ჩაიარეს. მიწყდა ტყაპუნიცა, ანთუ თან გაჰყვაო. და ზურგებიც შემობრუნდება. სახეები ლაპლაპებს. თვალები ბრიალებს. ხელები სრიალებს. თითები

იკვლანჭება. ნაცნობი სახეებია. ზოგი თითქოს არც შეცვლილაო. ზოგი დაჯოშილა, ზოგი გატეხილა კიდევაცა. მაინც ნაცნობია, ანთუ ნაცნობი რა სათქმელიაო: მეგობრები, ნათესავები, დაე ნაცნობნიცა, მეგობრებში რო ვერ გამოარჩევდა იმ კეთილ წარსულში, ბავშვობისასა, ყრმობისასა, ჭაბუკობისასა. ერთად შეყრილან თითქოს რო განგება, – ალბათ რო განგებაო: განაჩენი უნდა გამოუტანონ, უკვე განაჩენი, განსჯას რო არც ეპირებიან. ჰკიცხავენ. ჰკილავენ. სწუხან. ჰგმობენ. დასცინიან. აყვედრიან. იბრალებენ. ისევა ჰკიცხავენ და ისევე ჰგმობენ, რო აღარც აცდიან ერთიმეორესა. სიტყვასაცა სტაცებენ, გადაეღობებიან, გასწევენ ერთმანეთსა. ხელებს იქნევენ, თავს იქნევენ, გაჯაგულ თავპირსა. მოეშვათ წვერულვაში აქტივისტებსა ეროვნული მოძრაობისა, აემოძრავებინათ ერი კიდევაცა, ოღონდ თუ საით წაეყვანათ, ველარ გაერკვიათ ამდენი, ანთუ მძლავრობდა შური ისევ ისევე, აღემატებოდა ყოველ წადილსა. მოეშვათ ნვერი. ინტელექტებსაც მობეზრებოდათ პირის ფარეში. ირეოდა წვერულვაში: შავი. ნაბლისფერი. ქერა. მუქი. ბაცი. ჭაღარაშერეული. თვალები ბდღვიალებდა ერთნაირადა, გაბრაზებული თვალები. ეს არ ელოდა ასეთ თავდასხმასა. თვალს არიდებდნენ აქამდისა. ეგონა ამითი დამთავრდებოდა. გაებუტებოდნენ და ის იქნებოდა. თურმე არაო. თურმე დაირაზმნენ. აი თავსდაესხნენ. და მთლად განნირვაც არა ნდომიათ, უნდა მოაქციონ. „მთაწმინდელი მაინც არ იყოს!..“ გასდევდა მოძახილი კრიმანჭულივითა, გუნდი რო გუგუნებდა ერთობლივადა, წამყვანი, პროტაგონისტი, მონოლოგს რო მოათავებდა. შეპასუხებას არ აცდიდნენ. მაინც გაისმოდა: მე ვიცავ ლეგიტიმურ ხელისუფლებასა, ვიცავ და დავიცავ, აფრიკელიც რო ვიყვეო. თბილისის „აფრიკასა“ გულისხმობს ცხადია. მართალი აფრიკაც იგულისხმებოდა, იქაც რო არეულან ასევე, ანთუ ამაზე უარესადა. იქ ჯუნგლები არეულა, აქ გელათი და სვეტიცხოველი, ფაზისი და არმაზი, არეულა და: რაც გინდა დაარქვი, დაიცავი, როგორც გენებოს, უარჰყავი, რაც რო არ

მოგწონს: ანარქია, პუტჩი, ხუნტა, უარჰყავი, ვერას გაანყობ, ქარიშხალი რო არ გემორჩილება, მთაწმინდელი იყავი, თუნდაც „აფრიკელი". ვერას გაანყობ. ვერრას გაანყობო. მაინც არა თმობს ეგრე ადვილადა. მარტოცაა და ძალაც არ შესწევს ისე იმდენი. მაინც არა თმობს. გამეხდება. გასალკლდევდება. ხან მოეშვება, მოიღვენთება. ხან აენთება. ხან ჩაიწევს. ხან მუშტებს შეჰკრავს: გავარღვევ და გავიქცევიო. ხან მუხლი უთრთის. სუნთქვაც ეკვრის. უცებ ძალას მოიდგამს ისევა. არ უხერხდება მაინც არაფერი. უფრო ერტყმიან. მჭიდროვდებიან. სერავენ ფრჩხილებითა. ორთქლავენ სახეში. ლამის წვერებსაც უხახუნებენ. ასწევენ. აიყვანენ. ჰა და ჰა!.. ჰა და ჰა!.. დანარჩენიც თვითონ იციან. ჰა და ჰაო და: ვაშაც მოისმის „იმელიდანა" შებრუნდებიან ისევ იქითა. ახლა ისევ ზურგებსა ჰხედავს, ზურგებსა და გაწეწილ თმებსა. ჰხედავს და ვეღარცა: გარბიან, გარბიან, იქ უნდა იყვნენ, საიდანაც ვაშა მოისმის, იქ უნდა იყვნენ, წილი ჩაიდონ. ორნი მაინც შემორჩენილან. ესენი სუფთად გაპარსულან. ერთი ხელს მოჰკიდებს. მეორე წინ მიუძღვის. ავტო იქვე გაუჩერებიათ, იქავე: ალმართზე გრიბოედოვისა. ფეხს გადაადგამ და გადმოგიხტებიან: გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი. ალყაშია რუსთაველი. ჩასხდებიან ავტოში ცხადია. ეს არას იკითხავს. ეს გამოხსნაა, რაღა იკითხოს. ჩასხდებიან. შემოუვლიან რუსთაველსა აბობოქრებულსა, ვინრო ქუჩებით შემოუვლიან. გავლენ. გასცდებიან. ჩაუქროლებენ აბანოებსა. ფიროსმანსაც ჩაუქროლებენ, კრავი რო აუყვანია ხელში, კრავით რო ჩამდგარა შუაქალაქშია. და რო არ უსმენს არავინა, რო არა ჰხედავს არავინა. რის კრავი, რა კრავი, რა ფიროსმანიო, თვითონ მწყემსსაც ვერ დაინახავენ, რო ჩამობრძანდეს კიდევაცაო. ესენიც არა, – ჩაუქროლებენ. ქალაქს გასცდებიან. „მარაბდაში" ჩაიმუხლებენ. შავნაბადა თავსგადაჰყურებთ. იქ კიტოვანია. ქალაქს გაჰყურებს არწივის თვალითა. ქალაქი დუღს. ადუღდეს კიდევაცა. ამან იცის დუღილის წერტილი. გაჰყურებს. გაჰყურებს.

„ავარბინო!.." იტყვის ერთი იმ ორთაგანი.

„ახლა?!." მეორე ცოტა შეიშმუშნება: ახლა ამას მოვუაროთო.

ეგრე იყოსო. ინსტიტუტის ამხანაგები ბრძანდებიან. ის ერთი მალე გაეცალა ინსტიტუტსა. სარფიან საქმეს მოჰკიდა ხელი. საჭესთანაც ის იჯდა. რესტორნის დირექტორიც იმას გამოეგება, მე ვიციო, – იმას აღუთქვა რაღა თქმა უნდა. მეორე შერჩა ინსტიტუტსაცა და თეატრსაც შერჩა. ამასაც შერჩა, ამა ტრფიალსა არტისტობისა. მაგიდაც დირექტორმა მიუჩინა. მაგიდებსშუა რუ მილუკლუკებდა. შავნაბადას ნაჟური. კაიდროს კაიპურიც უჭამიათ. ზაფხულში. თაკარა ზაფხულში. რუ მილუკლუკებდა. სუნი იდგა მღვიმისა. ღვინისა. მარანია თითქოსაო.

„მოდი და დავივიწყოთ ყველაფერი", ის იტყვის, ის ტრფიალი, „აქედან გავალთ და იქ დაგვხვდება, – ცოტახანს დავივიწყოთ. ან იცით, რას გირჩევთ: სულაც დაანებეთ თავი მაგ არტისტობასა. თითო პურის საცხობს მოგცემთ. დადექით და... ჭამეთ პური!.." არა ტრაბახობს. განაგებს პურის კომბინატებსა: ჯიბო, ჯიბილო, ჯიბრაელი, უფრო – ჯიბო.

„ჰა!!!. ჩვენ რა ვიცით საცხობებისა?!." ირიდებს მეორეი: გუგაა, გუგული, ეგება გუცაცა, ყოველშემთხვევაში უფრო – გუგაო.

„რა ცოდნა უნდა?!." უკვირს ჯიბოსა, „მიიღე შენი წილი და იყავი შენთვისა. ცხვირს ნურსად ჩაჰყოფ".

„ეგრე ადვილია?.."

„ადვილია. თუ დაეტევი შენ შენს ქერქშია. მაგრამ ვინ არის ჩვენში, თავის ქერქში რო ეტეოდეს?!"

„რას იზამ, ქართველი კაცი ბუნებით პოლიტიკოსია".

„ამას რომაელები ტრაბახობდნენ".

„რომაელების მეტოქენიც ვიყავით".

ეს არ ერევა. ლუოი. ღვინოს მოწრუპავს. ჭაშნიკს ვამონმებო. ვერც ამონმებს. ვერც მიპხვდება თუ რა გემოსიაო. მიახლოვდებიან. მე შემომიტევენო. ავდგები და წავალ. ამათი ჩიჩინი აღარ მინდაო.

„ყველას მეტოქენი ჩვენ ვიყავით. ყველა იმპერიისა. რა ბედი გვერგო!.."

„თუ დავფიქრდებით: არცთუ ურიგო ბედი უნდა იყოს!.."

„არც დავფიქრდები: შეიძლება რო გავმქრალიყავით აქამდისა".

„ჰო ვართ!.."

„რაღა ვართ?!."

„რაცა ვართ!.."

„რა ვართ?!."

„არაფერი!!!." ლუო მოსჭრის. შეიშმუშნება. არ ეამება, ხმა რო ამოიღო.

„და უნდა ვიყვეთ!.. უნდა გადავრჩეთ!.." ჯიბო ბრძანებს, „და პური გვინდა, პოლიტიკა რა ეშმაკად გვინდა, როცა პოლიტიკას სხვები ჰქმნიან, ჩვენ რო არაფერი არ გვეკითხება!.. პური!.. პური!.. სიცოცხლე!.. სხვა დანარჩენი მეტიჩრობაა და მეტიჩრობამ დაჰლუპა საქართველო. ეხ..." ამოიოხრებს და: „ჩვენს პურისჭამას გაუმარჯოს!.." ასნევს ჭიქასა.

ასნევენ. დალევენ.

„ჩვენ ახლა კრწანისი გამოვიარეთ..." გუგა ამბობს.

„კიდევაც გავივლით", არ აცდის ჯიბოი, „რისი თქმა გსურს მაგითი: მაჩაბლის თეატრმა რო მანდ დასდო თავი?.. აი მეც მახსოვს. სამშობლოსათვის დასდო თავი. თქვენ რისთვისა სჭამთ ერთმანეთსა?!."

„სამშობლოსათვისა..."

„საწყალი სამშობლო უბედური შვილების ხელშია!.." ჯიბო იტყვის. სცენაზე არის თითქოსაო, თეატრალური ინსტიტუტის სცენაზედა, მერე სცენაზე რო აღარა ყოფილა.

„ფრთხილად, ახალი ხელისუფლება მოდის. მრისხანედ მოდის". გუგა შეახსენებს დარწმუნებითა.

„უპუროდ ვერც ისინი გასძლებენ..."

„იშოვნიან სხვა მეპურესა. გამოძახებაც აღარ უნდათ რაჭიდანა. ყველანი აქ არიან".

„იშოვნონ. მე ვუყურებ თუ როგორ დასჭამენ ერთმანეთსა, უკანასკნელად თუ რომელი გაილოკავს ტუჩებსა. ვუყურებ!..“

„უფრო ადვილად მოჰხდება ყველაფერი“.

„ადვილად არაფერი არ მოჰხდება...“

„დილით გაიღვიძებ და სხვა დროშა იფრიალებს სასახლის თავზედა“.

„დროშაც ვერ გამოუგონებიათ... ერთიდაიგივე დროშა უჭირავთ ხელში“.

„შინაარსი სულ სხვადასხვაა: დემოკრატიზმი!.. ნაციონალიზმი!.. სულ სხვადასხვაა. შენ ეს იცი. შენ ჩვენთანა ხარ. ახლა გინდა რო ლუო ნააქეზო?.. ლუოს რა შენი ნაქეზება უნდა: არ გესმოდა როგორა სჭექდა!.. როგორ უხაროდა იმ ვაჟბატონსა!.. მაგრამ ლუო მაინც ჩვენია. ცოტა დაბნეულა. პროვინციამ უარესები იცის. ცოტა არაფერი. ჩვენი იყო და ჩვენი იქნება. დავივიწყოთ, რაც იყო...“ გუგა წაუმღერებს. „... ერთად ვიყოთ და ვუცქიროთ, როგორ არხევს ზღვას ნიავი...“

„ქარიშხალი!..“ ჯიბო შეახსენებს.

„ნიავიო...“

„ეგ სიმღერაში. მაგრამ ჩვენ ჰო დამსხვრეული გემის ანძასლა შევრჩით და მიგვაქანებენ გაგიჟებული ტალღები“.

„მეპურე, მეპურეო და თუ მოინდომე, პოეტებიც ვერ მოგყვებიან“.

„ყოველი ქართველი პოეტია და ქართველი პოეტი – ორჯერ პოეტიო“.

„არ გადარია ჩვენი პოეტები!..“

„ყველა ჩვენზე ჭკვიანია“.

„ჩვენ ჭკუა არ გვინდა. ჩვენ ღვთიშობელის კალთა გვმფარველობს“. ამტკიცებს გუგაი, ალბათ ხუმრობითა, ირიბად იცინის და ჭუტავს ცალ თვალსაცა.

„ეგ რო დავიჯერეთ, ჭკუაც მაშინ გამოგველია. გუგას არ უყურებს, ლუოს შესცქერის ჯიბოი. „შენ რაღას იტყვი, რას დადუმებულხარ?..“

„რა მეთქმის ლინჩს გადარჩენილ კაცსა!.."

„ეგრეც ნუ იტყვი", გუგა შეიცხადებს, „შენ მაგათ უყვარხართ. მხოლოდ გაუკვირდათ, ზვიადას მომხრეებში რო დაგინახეს".

„რა გაუკვირდათ?!. ზვიადას ძმაკაცები ეგენი იყვნენ. მე ისე ვიცნობდი, როგორც რო სხვებსა, პირველსკოლელებსა. თვითონ თუ მიცნობდა, ისიც არ ვიცი. გაუკვირდათ!.."

„სწორედ ეგ გაუკვირდათ: ძმაკაცები რო იყვნენ. ზვიადა და პრეზიდენტი?!."

„სახელმწიფო თუ ხარ, პრეზიდენტიც გინდა".

„მერე: ზვიადა?!."

„ბედისნერამ ჯერ ეგ ირჩია. მერე სხვა იქნება. ეგება მერე შენც მოგიწიოს".

„ჰა, ჰა, ჰა..." ჯიბო იცინის, „ამასღა აკლია!.. ჰა, ჰა, ჰა... გუგამაც თუ კენჭი იყარა, ალბათ მე და შენ თუ მივცემთ ხმასა".

„ჩვენში ყველაფერი ხდება. ეგრეთმა პრეზიდენტებმაც ჰო ააშვირეს ფეხი: მეც ნახირნახირაო?.."

„ქვეყანა, სადაც შეიძლება ყველაფერი მოჰხდეს..."

„საქართველო!.." ჯიბო დაასკვნის: „დავლიოთ სადღეგრძელო საქართველოსი. დავლიოთ!.. დავლიოთ!.. დავეხსნათ კამათსა. დავლიოთ, ვიქეიფოთ თუ ძმები ხართ!.. მალე აღარ იქნება აღარც ქეიფი, აღარც მოქეიფე, რესტორანიც აღარ იქნება. მიდექით მერე და ითვალეთ კენჭები. ბანკობიანამ დაფლითა საქართველო, პრეზიდენტობიანა გალეწავს სუმთლადა. დამიჯერეთ და ასწიეთ ჭიქა, ეგებ უშველოს ამ სადღეგრძელომა. ეგება ღმერთი მოყურადებულა, ეგება გვისმინოს. ღმერთო გვიშველე!.."

„ღმერთო!.."

„ღმერთო!.."

„ღმერთო გვიშველეო, – ეს იქაც იცოდნენ. აქ უარესი: ლინჩიც გაუმართეს კინაღამა. ხვალ რა იქნება, კიდევ ვინ უწყის. სიკეთე მაინც არ იქნება. სიდარბაისლე არ იქნება. სიმშვიდეზე ჰო რაღა ითქმის. აღრეულა ძველი თბილისი-

ცა: ცხენის გადასახადი შემოუღიათ. შენუხებულან მოქალაქენი. აბანოებთან მოგროვილან. ჯერ განბანილან. კარგად გაღვრეჭილან. თითო ჯამი ნითელი ღვინო დაულევიათ მერე. ამქრის დროშები გამოუტანიათ. გაფხორილან შუაბაზართანა. მთავარმართებელი მოუთხოვიათ. მთავარმართებელი არცა ჰყავდათ. გრიგოლ ორბელიანი ასრულებდა მოვალეობასა. მოუთხოვიათ ჰხლებია ცხადია. „რა ამბავია?..“ უკითხავს გრიგოლსა. ცხენის გადასახადი დაგვინესესო, – ლოპიანას მოუხსენებია: მეც ვიჰხდი ცხენის გადასახადსა, – უბრძანებია ორბელიანსა, – ერთნი არა ვართ?..“ ერთნი როგორაო, – ლოპიანას განუმარტია, – თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავსო. „მოვახსენებ იმპერატორსა“. გრიგოლს აღუთქვამს. გაუგზავნია მოხსენებაცა პეტერბურგსა რაღა თქმა უნდა: როგორ ვუპასუხოო. მთავარმართებელს როგორც შეჰფერისო. გრიგოლი ჰო მოვალეობის შემსრულებელი გახლდა. გადასახადი გადასახადად დაუტოვია. შენუხებულან მოქალაქენი. აბანოებთან შეკრებილან. განბანილან. თითო ჯამი ღვინო დაულევიათ. – ნითელი ღვინოი. გამოუტანიათ ამქრის დროშები. შუაბაზართან გაფხორილან. მთავარმართებელი მოუთხოვიათ და ჰხლებია გრიგოლი: თარჯიმნებითა, ყაზახ-რუსებითა. რას ინენებთო. ცხენის გადასახადი არ გვინდაო. მეც ვიჰხდი ცხენის გადასახადსაო. თქვენ ცხენს ინახავთ, ჩვენ ცხენი გვინახავსო. აუხსნია ლოპიანასა. პირველი მათრახიც იმას მოჰხვედრია, დასცხეთო, რო უბრძანებია მთავარმართებელისამებრა, პირველიც იმას მოჰხვედრია და ბოლოცა, რო გაქცეულან თანამდგომელნი, ამქრის დროშები რო ამოუდვიათ ფეხქვეშა ცხენებსა, მთლად ბაზარიც რო გადაუთქერიათ, დაურბევიათ მობაზრენიცა, მომიტინგენიცა: ის რო იქვე მდგარა და არ უჯერებდა თვალებსა, – ეს რა ჰხდებაო, – პირველიც იმას მოჰხვერია და ბოლოცა. ესეც იმდენი არაფერიო. მერე უფრო მეტი მოჰხვედრიათ. სისხლიც დაქცეულა. გუბეები დამდგარა. ტბები გაჩენილა. ზღვადა ქცეულა. ნათქვამიცაა: ორ ზღვასშუა გადაჭიმულა საქართველოო, ძველი

ნათქვამია: ნიკოფსიიდან დარუბანდამდისაო. ძველია. ძველი, დაუკარგია რო ის საზღვრები კარგახანია. და ჰკარგავს და ჰკარგავს და ჰკარგავს. და მაინც ისევ ორ ზღვასშუაა: ერთი რო ისაა, გარემტრებთან რაც დაუღვრია, მეორე ისა, ერთმანეთისა რაც დაუღვრია. და მატულობს ერთიცა, მეორეცა მატულობს, იზრდება, იზრდება, ორივე იზრდება, მოინევს ორივე შიგნითშიგნითა, მალე ხმელეთი რო აღარ დაგვრჩებაო. სისხლში შთავინთქმევით. ღმერთო გვიშველეო. ისევ ღმერთოო, სულ რო ასე იყო: გადაიჩეხებოდა ადამიანი კლდეზედა და მერე ივედრებოდა: ღმერთო მიშველეო. მანამდე აფრთხილებდა ღმერთი: არ გადაიჩეხოო. მანამდე არ ესმოდა.

„ჩვენი ბრალია". ახლა ასე არჩია გუგამა, მონანიება არჩია. „წახვედი, აღარ გიკითხეთ, არც მოგვგონებიხარ. არა, გვახსოვდი, გვახსოვდი, რაც მართალია მართალია: გვახსოვდი, მაგრამ რა ხსოვნაა, ერთხელ მაინც თუ არ მიაკითხავ?.. შენ ჩვენზე ნაკლები არ იყავი. ჩვენ აქ დავმკვიდრდით, შენ სადღაც პროვინციაში ამოჰყავი თავი. იწყენდი ცხადია. ჯავრი შეგჭამდა რაღა თქმა უნდა. შურისძიება აგიტანდა. ცხადია!.. ცხადია!.. თავს ნუ იმართლებ. სხვას უარესი დაემართებოდა. ოღონდ ეს მაინც ჩვენი ბრალია, ჩვენი უყურადღებობის ბრალია. მაგრამ იცი, რა?.. ეს მაინც ყველას უნდა ახსოვდეს: როცა სამშობლოს ბედი ნყდება, უნდა ამაღლდე პირადულზე. დავიწყება უნდა შეგეძლოს. თავდავიწყება უნდა შეგეძლოს, თავგანწირვა უნდა შეგეძლოს. უნდა!.. უნდა!.. ნუ ამიხირდები. აი მე თუნდაცა: აქ რო ვარ, რა ვარ, კმაყოფილი ვარ?.. არ დაიჯერო!.. ეგება რო გაბოროტებულიცა ვარ... ოღონდ არა ახლა, არა, არა, ახლა არა!.. ისე ვერ ასცდები. რეჟისორები ჰო ყველაფერზე ფიქრობენ, გარდა იმისა რო: როლი შეურჩიონ მსახიობსა. ერთს აიხირებენ, ერთსა ვინმესა, დანარჩენნი არც აგონდებათ, ანთუ ისე ჰყავთ, სცენა რო აავსონ, ანთუ სულაც მიივიწყებენ. რას მათამაშებენ, მეც არ ვიცი. მათამაშებენ!.. მათამაშებენ!.. და არ ვიცი თუ რას მათამაშებენ. მე ჩემი როლი არ შემხვედრია. ბრმად მაინც შემ-

ხვდეს!.. არა, არა, ბრმადაც არაო. მაგრამ ახლა ეს ვილას ახსოვს: სადაც ისინი, მეც იქა ვდგავარ. მოვრჩებით ამ დავიდარაბასა. მოვრჩებით. მივუბრუნდებით ჩვენ ჩვენს საქმესა და მერე ვნახოთ. შენც ასე... შენ მაინც, შე კაცო, მთაწმინდელი ხარ, სვანეთისუბნელი ჰო არა ხარ!.." მონანიებაო და მოძღვრავს კიდევაცა. აქ ჯიბო განყრება:

„ნუღარ შეტოპავ!.." ცოტას განყრება. ჯიბო სვანეთისუბნელია.

„შენზე არაა აქ ლაპარაკი". აუქნევს ხელსა, „დიდუბელს ვიტყვი თუ გენყინა. ეს არის ახლა ჩვენი სატკივარი: უნდა გადმოვიყვანოთ. ლუო აქ უნდა იყვეს".

„აქა ვარ..."

„ეს რა ყოფნაა, – ჩამოზიდე ეს ამოდონი ხალხი და აყვირებ: მესია, მესიაო!.."

„მესია მე არც მომფიქრებია".

„სხვა მოიფიქრებს, შენ გაკეთებინებენ, – ეს უარესია".

„ვერავინ ვერას გამაკეთებინებს ჩემს უნებურსა. მე კანონიერ ხელისუფლებას ვიცავ".

„ხალხი ნინააღმდეგია..."

„ვინ ხალხი?!. ვინა?!. ვინა?!. ხალხმა ეს აირჩია".

„ხალხი... ხალხია... სხვას აირჩევს".

„მანამდის ამათ დავაცადოთ".

„ვინ დააცდის?!."

„ძალით ჩამოაგდებთ?.."

„მშრალად გავისტუმრებთ. მე ძალადობის მომხრე არა ვარ".

„ისე ლაპარაკობ, თითქოს შენ იდგე სათავეშია". ჯიბო შენიშნავს.

„ყველა ასე ლაპარაკობს. საერთო საქმე საერთო სათქმელია".

„მშრალად მაინც ვერ გადარჩებით", ეს ისევ ჯიბოა, „ჯერ მარტო მე რამდენი ავტომატი მაყიდვინეს..."

„ვინა?!."

„ორივე მხარემა... ახლა: რამდენი ტანკი, რამდენი ბეტეერი, რამდენი ზარბაზანი!.. აურაცხელი ტყვიანამალი,

აურაცხელი ჭურვი!.. შეიძინეს და ვითომც წაართვეს კიდევაცა რუსების საჯარისო ნანილებსა. ჰმ, ჰმ, ჰმ!.. აყიდებენ და აძლევენ კიდევაცა, – გაჟლიტეთ ერთმანეთიო. მაშ რაო: სულელები გგონიათ რუსები?.. მე ასე მგონია: ბოლოს ისევ ჩვენ გამოვალთ სულელები. ჩვენი ბოლო ეს არის". შეჩერდება. ყელს გამოუწევს: „არ გვინდა, რა, ამდენი კამათი. არ გვინდა!.. გვეყოფა!.. შინ კამათი!.. გარეთ კამათი!.. ლოგინშიც კამათი: ცოლ-ქმრობაც მოიშალა, საყვარლობანაც მოიშალა. კაცი კაცად აღარ ვარგა, ქალი ქალადა. გვეყოფა. რა!.. დავლიოთ, რა!.." ყელს გამოუწევს, დალევს ისე, სადღეგრძელო დაავიწყდება. აიღებს, გადაჰკრავს: რუსივითაო.

„ჩვენ მაინც მშრალად გავისტუმრებთ". გუგა დაასკვნის. ასწევს ჭიქასა: „რა თქვი?.."

„არაფერი..."

გუგაც გადაჰკრავს ისე უთქმელადა. ლუოცა.

წყალი მილუკლუკებს, რუში მილუკლუკებს, ერთ ყალიბში, ცემენტის ყალიბში. მინიდან ამოდის, მინის გულიდანა, ამოიწოვება შრეებიდანა, ჩაჯდება ყალიბში ცხოვრებისაი, შეიბღალება, შეიბილწება, აიმტუტება, შთაინთქმევა რო საკანალიზაციო კოლექტორებში, ალბათ რო ვეღარც განიწმინდება. ჯერ მილუკლუკებს, მილუკლუკებს, ნაპირებს სიმწვანეც ასდევნებია, – მქრალი, მქრალი, მაინც სიმწვანეა. არის ჰაერი, არის სითბო, არის ნოტიო, არის მიწა, თუმცა შეზღუდული, მაინც სიცოცხლე გაღვივებულა. მაგიდები რუს შეჰყოლია. ცარიელია მაგიდები. ხალხი გულშია ქალაქისაი, მიტინგებზეა ხალხი. რო დაბრუნდებიან, აივსება ეს მაგიდებიცა, გზად შეიცდიან და მიტინგს განაგრძობენ. ჰქაქანებენ. ყვირიან. შეიბმებიან. ბოთლებიც გადადის თავიდან თავზედა. ჯერ ბოთლებია. ჯერ ავტომატებს იმარაგებენ. ირაზმებიან. ჯიბო ჰყვება, ვინ საითა�ა. გუგაცა ჰყვება. და ვერც გაიგებ ვინ საით არისო: დღეს აქაა და ხვალ იქაო: იქ გაბრაზდება, აქეთ გადმოვა, აქ გაბრაზდება და იქ გადაბარგდებაო. ყველა გულია, ჭკუა აღარავის აღარ უჩანსო. გუგა ბრძანებდა.

არაო, ჯიბო არ ეთანხმებოდა, გულს ათამაშებენ, ტვინში ყველას სარგებელი უზისო. აღარც გუგა ედავებოდა. არც ეთანხმებოდა: მე მაინც გული ვარ, გული გულია და გულს ვერაფერი ვერ შეედრებაო. ღვინოსა წრუპავდა ლუოი. წრუპავდა. და აღარ იცოდა: კარგი იყო, რო ჩამოვიდა, თუ უჯობდა უკან გაბრუნებულიყო, თუ ისევ იქ იყო, – აღარ იცოდა. უნდა ამდგარიყვნენ. ლუო ადგა. ჯიბეს იტაცა ხელი. ფული ჰქონდა. აღარც ახსოვდა ახლა სიმამრი. ფული ჰქონდა. ჯიბომ ითაკილა. ოფიციანტი იხმო ჯიბომა. დირექტორი წარუდგა. არც რა ათქმევინა დირექტორმა: გადახდილიაო, მოახსენა.

ჯიბო პურს დაჰხედავს. პური ქარხნისაა.

„თონე არა გაქვთ?.."

„არა!.." თავს მოისაწყლებს დირექტორი. – ვილას არ მივმართეთ, ყური არავინ არ შეიბერტყა..."

„ხვალ მოვა ჩემი ინჟინერი..." მოსჭრის ჯიბოი.

„კაცი ხარ!.." გაიმართება წელში დირექტორი.

ჯიბომ იცის. ამისი დასტური არ უნდა ჯიბოსა. თავმდაბლად გადის. თავმდაბლადა.

XI

წინ ველარ ნაინია.

მიეტანებოდა. შევიდოდა. შეერეოდა. ტალღა დასცხებდა. გამოინაპირებდა. გამორიყავდა. ხან აქეთ მიანყვეტდა ბარიკადებსა, ხან იქითა, უფრო: მხატვრის სახლს მიანყვეტდა. იდგა. გაჰყურებდა. ხალხიც იდგა, შენივთებულა თითქოსაო, ოლონდ ტორტმანებდა ზღვასავითა, იზნიქებოდა ზღვასავითა, მოგვერდით გადაჰყავდა აქეთიქითა, ვინც რო გაპობას მოუნდომებდა; ტორტმანებდა და ხმაურობდა. ხან რო გუგუნებდა ერთობლივადა, ხან მრავალი ხმა გამოირჩეოდა, ხმაი შორეული თითქოსაო, მახლობელიცა და შორეულიცა, შორით შორეული, ხმა რო არ იცვლება, რო გაჰყვება საუკუნეებსა, გამოჰყოლია და კვლა-

ვაც გაჰყვება; რო გუგუნებდა ალბათ ასევე, ხმებიც ასევე ამოიჭრებოდა, ასეთივე ხმები, შუაბაზრის მოედანზედა, მთავარმართებელს რო მოელოდნენ, მხოლოდ ესაა სხვაგვარად ემოსათ. ნიკოს ნახატებს შემორჩენია. ლადოს ნახატებსაც შემორჩენია. სხვაგვარად ემოსათ, ჰღელავდნენ ასევე, აღმოიტყოდნენ ამავე ხმითა, უამრავითა და იგივეთი.

„შენცა ლოპიანა?!." უკვირდა გრიგოლსა: ეს ხმა რო ალბათ აღარც გაისმოდა, ორბელიანები რო გადაშენებულიყვნენ. „ჩვენ ერთად პური გვიჭამია ორთაჭალის ბაღებშია!.."

„კიდევაცა ვჭამთ", იმედოვნებდა ლოპიანაი: ეს ხმა ეგებ რო კიდევაც გაისმოდა თუ შემორჩენია თბილისელი კიდევა თბილისსა, თუ შემორჩენია იმ ამქართა შთამომავალი. „შენ ოღონდ ეს ცხენის გადასახადი მოგვაშორე".

„ეგ ხელმწიფე-იმპერატორის ბრძანებაა..."

„შენ აქ მოგვაშორე. იმპერატორმა იქ განაგოს თავისი საქმეი!.."

„ეგრე არ არის ლოპიანჯან!..

„ეგრეა!.. ეგრე!.. ეგრე არის – არა, ხალხნო?.."

„ეგრეა, ეგრე!.." გუგუნებდა მოედანი შუაბაზრისა. ირხეოდა დროშები ამქართა, ირხეოდა, ფრიალებდა, იტალღებოდა და იტალღებოდა ამქრებიცა ეგრედვე, – ამქრები: მჭედელთა, მეაბჯრეთა, დაბაღთა, ჭონთა ოქრომჭედელთა, მეთუნეთა, ბაზაზთა, თერძთა, მეთულუხჩეთა, მეხამლეთა, ყასაბთა, ხაბაზთა, ბაყალთა, მეეტლეთა რაღა თქმა უნდა, შემომატებოდნენ რო: ბორჯომელი მეტივეები, მუხათგვერდელი მენახშირეები, დიღმელი მებაღჩეები, მემაწვნეები ჰო საიდღანღა აღარა, – დიღმიდანაო თუ წყნეთიდანაო თუ ოქროყანიდანაო თუ ტაბახმელადანაო თუ თუ თუ თუ – შემომატებოდნენ და იტალღებოდნენ და გაჰყვიროდნენ იმავხმაზედა, ამავხმაზედა. იცოხნებოდნენ არაბისტანის აქლემები, ალაზნის კამეჩები, ვირები ყურებს აპარტყუნებდნენ. ესენი ბარიკადებად იდგნენ, თვითონაც არ იცოდნენ, ისე იდგნენ, – თვითონაც არ იცოდ-

ნენ, ყაზახრუსები იმიტომაც ვერ შეაკავეს. და დაიძახებენ: გურჯაანი მოდისო და გაუგანებენ შემოსასვლელსა და მოადგება გურჯაანი და მოანვება და შემოერევა და შემოემღვრევა და წამოედება და ნაიღებს ამასაცა – ლუოსა ცხადია – და ატარებს და მიაწყვეტს კიბეებსა და ლამის რო მიკროფონსაცა და დაშორდება ისევა სვეტები სასახლისაი და მიირიყება კინოთეატრთანა. ცხენი ყველასა ჰყავდა. ყველა იცავდა თავის ცხენსა. თითო ცხენიღა შერჩენოდა ყველასა, – თითო ჯაგლაგი, ნათრევი, ნაწამები, დაჯანდაკებული, ხრამშიც რო გადაეგდოთ და ვეღარ ამოდიოდა ხრამიდანა. ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდაო. ვერა. ვეღარა. ეს არწივზეა ნათქვამი, დაჭრილ არწივზედა, მაგრამ რაღა დაჭრილი არწივიო და რაღა დაჯანდაკებული მერანი. და ისიც ხრამში გადაგდებული: ნალებაყრილი, ჩლიქებდაჩეჩქვილი, ძუადაგლეჯილი, ფაფარგაკრეჭილი, მუხლებგადაყვლეფილი, მაინც რო ლამობს ხრამიდან ამოსვლასა, მაინც რო იმედოვნებს, მაინც რო ნატრობს: ოღონდ შარაზე გამიყვანაო, ოღონდ ჰორიზონტი დამანახვაო. ნატრობს და ნატვრა ნატვრადვე რჩება: ყველა რო თავის ლაგამსა სჩრის, ყველა თავის უნაგირს ადგამს, ყველას უზანგში გაუყრია ფეხი, ყველა თავის აღვირს ეწევა, ყველაი, ყველაი: უჭკუო ბრძენი თუ განათლებული უვიცი, ურწმუნო ანგელოზი თუ შეჩვენებული წმინდანი, უნიგნური პოლიტიკოსი თუ ნიგნიერი რეგვენი, შურით ავადმყოფი თუ პატივმოყვარეობით გადარეული, უმწეო თავხედი თუ დაბნეული ყოყოჩი, უზადო მკვეხარა თუ უნიათო ბედოვლათი, ფართოშუბლა შეზღუდული თუ დაუოკებელი ბლუ, ყველაი, ყველაი, ვისაც რო პარტიის ლიდერი დაურქმევია თავისთავისთვისა და ზოგი პარტია ცხრა კაცსა რო ძლივას დაითვლის, ყველაი, ყველაი, ყველას რო ყველაზე უკეთესი ჰგონია თავი და არავინ არავისზე უკეთესი რო აღარ გადარჩენილა ამ უბედურსა და ღვთისაგან მიტოვებულ ქვეყანაშია; ნატრობს და ნატვრა ნატვრადვე რჩება, მაგრამ ის ცდილობს მაინც თავისასა, მაინც უნდა თავი აიტანოს, მაინც შარაზე უნდა

ავიდეს, მაინც ჰორიზონტს უნდა გადაევლოს, გაჰკვეთოს ქარი, გააპოს წყალი, გადაიაროს კლდენი და ღრენი, ჰორიზონტები ამოიგოს ფეხქვეშა, უნდა, უნდა და ლამობს თავისასა, ოღონდ ეს ყველა ჩამოეხსნებოდეს, ოღონდღა ერთი თავისი შესაფერი მხედარი მოევლებოდეს ზურგზედა. ოღონდა. ოღონდა. კინოსთან მირიყულა. შეიძლება ცოტა ნინ წადგეს. ესეც ბევრი არაფერია. მაინც რო შორსაა მიკროფონი, აღარც რო მოსჩანს. ჯერ ხელისუფალნიც არ გამოჩენილან, პრეზიდენტიც არა – ცხადია. კინოთეატრთან მირიყულა. კინო, რა სჯობიან?.. კიდევაც დაურეკეს: ვეფხისტყაოსანი უნდა გადავიღოთ. ამდღეებში სასინჯი გადაღებები გვექნება: ტარიელის როლისათვის უნდა შევარჩიოთ. შეგატყობინებთ თუ თანახმა იქნებითო. ვიქნებიო, – არც დაფიქრებულა. მალევე შეატყობინეს: ტარიელის როლისათვის უკვე შეირჩა, ავთანდილისათვის მოემზადეთო. თუმცა აღარაფერი უთქვამს, მაინც დაურეკეს: შეირჩა აგრეთვე ავთანდილისათვისა, თქვენ ფრიდონისათვის უნდა მოემზადოთ, ფრიდონი უფრო შეგეფერებათ, უფრო დარბაისელია, უფრო დამჯდარი; ტარიელი და ავთანდილიო, რაც უნდა იყოსო, წაითავქარიანებენ ცოტას მაინცაო. კიდევ აღარაფერი უპასუხნია. მაინც არ მოეშვნენ: ფრიდონიც ავიყვანეთო. თქვენთვის როსტევანი შევარჩიეთო, ანთუ ინებებთ – ჭაშნაგირი იყოსო. ჩვენ ასე ვფიქრობთ: ეს როლი უფრო შეგეფერებათო. და აჰყვა კისკისიცა ნებიერი კისკისი, ერთისაცა და რამდენიმესიცა. ერთობოდნენ, ანთუ: დასცინოდნენ. კარვის ქალები არ იქნებოდნენ რაღა თქმა უნდა, კიბის ქალები იქნებოდნენ. კარვის ქალებმა ისიც არ იცოდნენ: სასინჯი გადაღება თუ რა იყო, კიბის ქალებმა იცოდნენ. ნიღბები ტრაგიკული ჰქონდათ კარვის ქალებსა. კომიკური ნიღბები კიბის ქალებსა ჰქონდათ. დასცინოდნენ. გარიყულიყო. ცოტათი მაინც წარსდგამდა ფეხსა. ეგება რო ისედაც მომხდარიყო, ახლა რო თელავს შემოერღვია: აეყვანა და დაერჭო მიკროფონთანა, აღარაც აქეთაო და აღარც იქითაო – მიკროფონთანაო. პრეზიდენტიც გამობრძანდებოდა!.. ეგებაო. ეგებაო.

მაინც იქვე იდგა.

თეასაც იქვე გადაეყარა.

თეა!..

„თქვენ აქ რა გინდათ?!."

თითქოს ნიავი ჩაუდგა ყურშიო. ლუოსა.

„თქვენ იქ უნდა იყვეთ!.."

ცალი ხელი იდაყვს ეხება. ლუოსასა. მეორე გაშვერილა, თითი გაშვერილა: სვეტებს მიანიშნებს სასახლისასა, მიკროფონს მიანიშნებს, სად რო იკრიბებიან: დეპუტატები, მთავრობის წევრები, დოქტორები, პროფესორები, აკადემიკოსები სხვადასხვა სახისა, – ნამდვილები, წევრკორები, მომავალი წევრკორები. თვალიმც დაგდგომიათ: აი თუ არა გვცნობს ინტელიგენციაო; თვალიმც დაგდგომიათ და გღრძობიათ ჭკუაცა: დაარქვით თქვენს თავს, რაც რო გენებოთ, იყავით ნაღები, ეს არაჟანი იყოს და გვირჩევნიან კარგი არაჟანი ცუდ ნაღებსაო. თუმცა ნაღები მაინც ნაღებია, ოღონდ ნაღები სადღა არისო.

„თქვენ იქ იყავით..."

თითქოს აღარც ახსოვს და ის მოაგონებსო. დაჰყურებს. პასუხი ვერ გაუცია. ხმა ნაცნობია, ძალიან ნაცნობი. ეს არ ეცნობა: დიდი თვალები რო ძლივას მოუჩანს ოქროს კულულებში, რო ჩამოჰფენია შუბლზედაცა, ლოყებზედაცა, დაჰყრია მხრებზედა, ნიკაპიც ჩამალვია, – დიდი თვალები, შავი თვალები რო ძლივას მოუჩანს, წითელი ტუჩები რო ამოსჯდომია. არ ეცნობა. ხმა ეცნობა. შეიძლება რო მახლობელია, ანთუ შორეული, შორეულიც რო მახლობელია, რო არის და არის, თან რო არ მიჰყვება, ვისიც რო ჰგონია, ვისაც რო რჩება, იმისიც რო არ არის.

„თქვენი დამა იქაა!.." თითი კარავზე გადაინაცვლებს. კარვები ხალხშია ჩაფლული. ხმა იგივეა, უფრო ჟღურტულებს და კიდევ უფრო ნაცნობი ხდება.

„ჩემი დამა?!."

„თქვენს მხარზე თვლემდა..."

„აჰხ!.. ეს ჰო ის ხმაა, ხაშურში რო ამოემატა, – თმამ დააბნია. მაშინ აეკეცა კულულები, გამოეხვია აბრეშუმის

ჭრელ ხილაბანდშია. მრგვალი სახე უკრიალებდა, ანათებდა თითქოსაო. ახლა თმა უსხივის, ბზინავს კულულები, მაინც ეს სხვაა, ის სხვაგვარ მოსჩანდა. ხმა იგივეა. აღარ შეეშლება.

„იქ არის... შევედი. ბიჭებმა გამგზავნეს. ჩვენ აღარ გვიშვებენ. მიდი, გამოელაპარაკე, მასალები გამოგვიტანეო. აპარატიც თან გამატანეს, ფარულად უნდა გადამეღო. შესვლაც არ დამცალდა: ცხვირი შევყავი და იჭექა ვიღაცამა: არ შეუშვათ, პუტჩისტიაო. ვეღარც მოვასწარი დამენახა თუ ვინ იყო, ანთუ რაღა დანახვა უნდოდა: ხმას რა დამავიწყებს, – ხმა იყო იგი ავტობუსში რო მჭექარებდა... რა დამავიწყებს!.. რა დამავიწყებს!..“

„შეგაშინათ?..“

„მეე?!.“ მეტს არას ამბობს, ოდნავ იცინის. „თქვენ კი გირჩევდით, ადგილი შეიცვალოთ. ჩვენ აქ – ჩაუშესკუ!.. – უნდა ვიყვიროთ. ხელკეტებით დაგვერევიან. ემანდ თქვენც არ მოგხვდეთ“.

„იქაც თქვენ იყავით?!.“ ლუო ხელს იშვერს მხატვრის სახლის აივნებისაკენა. „იქ არ გირჩევნიანთ?..“

„იქ ვეღარ შევაღწიეთ. ყველა ხვრელი ამოგვიქოლეს“.

ვეღარ შეაღწიეს: გარს ახვევიან გოგონები, იმისივე კბილანი, ანთუ სტუდენტები, ანთუ ახალდამთავრებულნი, ანთუ რაც არიან, ახალგაზრდები ბრძანდებიან, ახალგაზრდულად აჩოჩქოლებულნი. „ჩაუშესკუ!..“ უნდა იყვირონ. ემატებიან ვაჟებიცა, ტოლნი ამათნი. მოაქვთ რაღაც შეხვეულები. „ჩაუშესკუ!..“ უნდა იყვირონ. ლოზუნგებიც უნდა აუშვან. მართლაც აქ რა უნდა, მაგრამ რა ჰქნას თუ გამორიყულა, ვეღარც წინ ნასულა, ვეღარც უკანა და მარტოდაც დარჩენილა ამოდენ ხალხშია, – მარტოდა; ამოდენ ხალხშია და თავის ქალაქში, სადაც რო იშვა, სადაც აღიზარდა და სხვაგან რო მოჰხვდა, აქ იყო მაინცა: ეს ესიზმრებოდა, ეს ელანდებოდა, მოლანდებებით მოითქვამდა სულსა. ამათ მაინც უნდა გაეცალოს, ამათ „ჩაუშესკუ!..“ უნდა იყვირონ. უნდა გაეცალოს. უნდა. უნდა. ოღონდ ვერ მოასწრებს. ცხოვრება იქცა კინოფირადა. მიექანებოდა.

მიექანებოდა. ხტოდა. იწენებოდა. ურმულს ვერ გაეძლო. ვერ გაეძლო ოროველასა. რაღაც აწყვეტილი, თავბრუ-დამხვევი სიმღერები მოსდებოდა ესტრადასა: რო იგრიხებოდნენ, რო იმტვრეოდნენ მომღერლებიცა და მაყურებელიც ილენებოდა იმათთან ერთადა. ჭყვიროდა და ილენებოდა. რაღა ესტრადაო და რაღა მოედნებიო. შეტორტმანდება ხალხი ერთბაშადა და გადაიქროლებს: „ზვიადი!.." „ზვიადი!.." „ზვიადი!.." და აყვირდებიან ესენიცა: „ჩაუშესკუ!.." „ჩაუშესკუ!.." „ჩაუშესკუ!.." აყვირდებიან ესენიცა და სხვანიც იქვე მომზადებულიყვნენ: მოპხვეტენ ამათა, უთაქებენ და გაჰყრიან კინნისკვრითა, ბარიკადების იქით გაჰყრიან. იელვებს მუშტებიცა, რეზინის კეტებიცა. იელვებს თუ მოიქნევა კიდევაცა. ეს გადარჩება. ისინი გარედან მოექცევიან ბარიკადებსა. ზედ იბობღებიან. ჰყვირიან. ღრიალებენ. აიტანენ ლოზუნგებსა ავტობუსებზეცა. აეჭრებიან იქაცა ცხადია. იქიდანაც გაჰყრიან. ზევით კიდევ აყვირდებიან. შეწყდება მერე ეს აურზაური, სხვა აურზაურის დანყებამდისა. ერთი ხმა მაინც დიდხანს გაისმის, ერთია მაგრამ თითქოს ბევრიაო. სადღაცა სცლიან ავტომატებსა: შორსაცა და იქვე ახლოცა. და ყურს დააცქვეტს ძეგლი კეცხოველისა: გადარეულან ჩვენზე უარესადაო, შემორჩენილა და ყურს დააცქვეტს, – ჩამოიქროლებენ ყაზახრუსებიო, ანთუ ეგებ რო იმდენსაც მიხვედრილა, როდიონოვებზე რო უკეთესნი იყვნენ ყაზახრუსები, ანთუ ორივეც ჭირს უზიდნიაო. გადარევით მაინც გადარეულან და ისაა. საამისო ბაცილა იმძლავრებს დროდადრო, ნამალი აღარ გამოუჩნდება. იმათში იდგა და არ გააყოლეს იმათა. ლუოი. აქა დგას და აქაც აღარ არის. გდიდიდანაც აღარ ჩამოსულან. გალიდან ჩამოდიან. სოხუმიდან ჩამოდიან. ახლა ალბათ იმათი რიგია. ჩაერთობა გდიდიცა ისევა. ჩამოვლენ. ჩამოვლენ. ეგებ რო ამისი მეუღლეც ჩამოპყვეს, ბიჭიც შეიძლება. სიმამრი არა, – არა!.. იცის იმან თავისი ადგილი: ამათ ავტობუსებს დაუქირავებს, იმათ შეუძენს ავტომატებსა, ანთუ პირიქითა, ანთუ სხვას თუ რას თუ ინებებენ, არ აწყენინებს არც ერთ მხარესა: მთავარიც

ეს არის. მოუძებნია თავისი ადგილი. ამისი საქციელიც მოსწონებია: მანდა ხარ საჭიროო. მოსწონებია: ფულსაც უგზავნის. ცოლსაც გამოუგზავნის. ბიჭი თვითონ არ მოისვენებს. ეგებ რო ბანკშიც გაუხსნას ანგარიში. წინ უნდა წაინიოს. ისე არა, არ გაანებივრებს მეტისმეტადა. წინ უნდა წაიწიოს. მაგრამ როგორაო, – ყველა რო მიიწევს და არავინ არ უშვებს წინა და არც არავინ არ აკავებს და ვერც რო ველარავის მოუცვლია ფეხი. ამოჭედილა ბარიკადები. თუ შეირხევა, ერთად შეირხევა, თუ შეტორტმანდება, ერთად შეტორტმანდება, თუ დაიძახებს, დაიძახებს ერთადა, თუ მოიმზღვლევა, მოიმზღვლევა ერთადა, ზვავად იგრიალებს, მეწყერად ნავა, ჩაიტანს, რასაც რო მიანყდება, ჩაიტანს, გაიტანს, წაიღებს, დაიტანს, დაიტანს, დაიტანს.

„ისინი ჩვენ ტყვიებს გვესვრიან", ამბობს პრეზიდენტი, „ჩვენ იმათ ყვავილები დავუშინოთ!.."

ამბობს.

მოუწოდებს.

და, ერთიცა ვნახოთ, მოიმზღვლევა ეს ამოდონი ხალხი, მოიმზღვლევა და წამოვა ზვავადა; ზვავად წამოვა და ყვავილებად წამოვა, ანთუ სერია ყვავილოვანიო. მხოლოდ თვითონაა უყვავილოდა, მერელა შენიშნავს: ყველა რო ყვავილებს ასწევს მაღლა, თვითონ რო მხოლოდ – ცარიელ ხელებსა. ესეც არაფერი: ზვავი რო ზვავია და რო არაფერს არჩევს, ამასაც წაიღებს სხვებთან ერთადა. მანამდე გაიხსნება ამათი ბარიკადი, განს გაიტანენ ავტობუსებსა. იმათს ბარიკადებს დააცხრება ზვავი, ყვავილებს მიაყრის და დააცხრება: ჯართსა რკინისასა, ჯართსა ცემენტისასა, ჯართსა ყველაფრისა, სადაც თუ რა იპოვებოდა, სამშენებლო ბლოკებსაცა, რო დაეხვავებინათ რუსთაველზედა სამშენებლო მოედნების ნაცვლადა, დაეხვავებინათ, დაეგროვებინათ, აემთავებინათ; დააცხრება და გაიტანს დგრიალითა, ისეთი დგრიალითა, ისეთი გრიალითა, მართლაც რო მხოლოდ ზვავმა რო იცის, მერე ასეთმა:, რო უნდა აეხვეტა ბარიკადები იმ თავისი პარტიებიანადა, ინტელიგენტური ნაღებიანადა, აეხვეტა, გადაეყარა და ყვავილებიც

მოებნია ზედა. შუაღამე გადასულიყო. გასწორებულიყო დღედაღამეი თბილისისაი, თუმცა რო ბუუტავდა რუსთაველი, აბრიალდებოდა ერთბაშადაცა ჟინჟღილებისაგანა, თავზე რო აყრიდნენ ხალხსა თეატრებიდანა: რუსთაველისაო და ოპერისაო. აყრიდნენ. აფრქვევდნენ. აბრიალებდნენ. ღმერთქალები ჟღინთავდნენ ჩვრებსა დიზელის საწვავშიო, მამაღმერთები ედებოდნენ ცეცხლადა, მამაღმერთები აბრიალებდნენო, აფრქვევდნენ და აქრობდნენ ზვავსაო. ნაღებიო. ასახელებდნენ სათითაოდა: ქალღმერთებსაცა, მამაღმერთებსაცა. მაშინ თვითონაც არ იუარებდნენ. ახლა ეგების იუარონ და ითაკილონ. მე არც ჩამოვთვლი. დაე შერჩეთ თუ დარცხვენილან, ხოლო თუ მაინც ეამაყებათ, ბოდიშს მოვიხდი, რახან რო მგონია: უნდა სცხვენოდეთმეთქი. რაც იყო, იყო, ზვავმა მაინც გაიტანა თავისი: იქაც აიქრა, დაიფრინა ისინი, პარტიებიც დაიფრინა, ვინ საით გარბოდა, აღარ იცოდა, აყირავდა თითქოს ქალაქიო, ამობრუნდა და აყირავდაო. ქუჩები ქუჩებში აირია, უბნები უბნებში აირია, აგრეთვე თითქოსაო, თვალი რო აიბნა რაღა თქმა უნდა; ახალი უბნები, უბნები მაღლიევებისა თითქოს იქავე მოდგა რუსთაველთანაო: აქ რო იყვნენ და თავი იქ ამოჰყვეს ერთი ნახტომითა, გაქცეულებმა რაღა თქმა უნდა. კაკანებდა ავტომატებიცა. ისინიცა სტოვებდნენ და მისდევდა იმათაცა. ოღონდ ეს მაინც შიშისა იყო: ანთუ თვითონვე რო ეშინოდათ, ანთუ აშინებდნენ ერთიმეორესა. შიშისა იყო. ზვავი ზვავობდა: ჰხვეტავდა რუსთაველსა, ბარიკადებსა ჰყრიდა აქეთიქითა, ივსებოდა ყელი ზედმიმდგარი ქუჩებისაი. ივსებოდა. ივსებოდა. რაც იყო, იყოო: გამზირი გაიხსნა. გააღწიეს ავტობუსებმა თავისუფლების მოედნამდისა, ტროლეიბუსებმაც გააღწიეს, – დილითა, დილითა რაღა თქმა უნდა, – აირივნენ ავტომანქანებიცა, მთავრობის წევრებმაც ჩაისრიალეს ისევ გამზირითა, ისევ ამაყადა, ლაღადა ისევე, აქამდის ჩიხებით რო დაიპარებოდნენ: სოლოლაკისა თუ მთანმინდისა თუ ვერის ჩიხებითა. ისიც დიდად რო სანდო არ გახლდა: გზა რო შეეკრათ?.. მაგრამ იმჯერად მიტინგებით

გატაცებულიყვნენ: მოედნები უნდოდათ, გზაჯვარედინები ენებათ, ბევრი, ბევრი ხალხი უნდოდათ, იქ ბევრი ვერავინ მოიყრიდა თავსა: ორი მაწვნიანი ვირი რო ძლივს აუქცევდა ერთიმეორესა, ძლივსა, ძლივსა, როცა მაწონიც იყო და ვირიც იყო; მენახშირეებიც ძლივას აუქცევდნენ, როცა ნახშირიც იყო რაღა თქმა უნდა, – იყო: და სანატრელად გადაჰქცევია უელექტრონოდ დაგდებულ თბილისსა. „მაწოოოონიიიი!.." მოისმოდა მთაწმინდიდანა ნაძალადევში, ვერიდანაც მოისმოდა, „ნახშირიც" მოისმოდა სიმშვიდის ჟამსა, როცა რო ასე არა ხმაურობდა თბილისი, როცა რო არც ასე გადარეულიყო. გადარეულიყო. ლუოც ჰო იქ გახლდა?.. და უნდოდა თუ არა, მოჰყვა ზვავშიცა და უნდოდა თუ არა წაიღო ზვავმა და უნდოდა თუ არა, გადასდიოდა ცეცხლი თავზედა და უნდოდა თუ არა გადასდიოდა კაკანიცა თავზედა და უნდოდა თუ არა, გადარჩა მაინცა, არც ცეცხლი მოედო, არც ტყვია მოჰხვდა. არც ენდომებოდა რაღა თქმა უნდა. ოღონდ ესაა, რო არ აფიქრებდა არც არაფერი: აწყდებოდნენ და აწყდებოდა, ჰყვიროდნენ და ჰყვიროდა, ჰკიჟინებდა, ეძგერებოდნენ და ეძგერებოდა. რაღაცაც ასწიეს, რაღაც ვეებაო, აიტაცეს და გადაისროლეს, ნაფოტი არის თითქოსაო. ასწიეს. ასწია. გასტყორცნეს. გასტყორცნა. იყო იმათებრი. განურჩეველი. შენიეთებული. თვითონ აღარ იყო, არ იყო, აღარაფერი აღარ იყო. ვითომ ნანილიო, – ნანილიც არაო. აღარც ერთი იყო და ნანილიც აღარაო. აღარც მარტო იყო და აღარც სხვებთან იყო, რო აღარ იყო არავინ ერთი, სხვები რო არ იყვნენ და აღარც თვითონ იყო. და იქცა უცებ ისევ რაღაცადა: ვიღ აცას ხელი ჰკრეს, კიდევა ჰკრეს, კიდევა, კიდევა, ამასაც უნდა ეკრა რო ხელი: ის ჩაიკეცა. შეჰკივლა. გადავარდა. ბლოკებზე დაეცა. ამან ზედ ვეღარ გადაუარა. გადაეღობა კიდევაცა. სხვებმა აუქციეს. წავიდნენ. გაასწრეს. ეს მარტო დარჩა. მარტო. და. იქცა ერთადა. კაცად იქცა. დასწვდა. აიტატა: ქალი აიტატა, ქალი თუ ქალიშვილი სულერთია რაღა თქმა უნდა, მსუბუქად აიყვანა, ძალა თუ იგივე შემორჩენოდა ზვავმა რო ჩაუდგა, ის გახელებაც

შემორჩენოდა თუ მოუაზრებლობაცა იგივეი, ლამის თან გაპყვა გაქანებულ ხალხსა. რაღაცამ დაზიდა: ალბათ იმან, ერთად რო იქცა, დაზიდა, გასნია, გაანაპირა, ზვავს განაშორა, ცეცხლს განაშორა, კაკანსა, ყვირილსა, წიოკობასა, წარღვნას გააცილა. გააცილა. გავიდა. გაიყვანა. თანდათან დაუმძიმდა, შელმართს რო შეუდგა. დაპღალა. დაპქანცა. იძალა მაინცა. შინ მიიყვანა.

თეა?!

თეა იყო.

თეა!..

მოტეხილობა არ აღმოაჩნდა: კოჭი ეღრძო, თეძო გადაეყვლიფა, მუხლი გადაეგლიჯა, იდაყვი დაებეგვა, ხელისგული გადაეფხრინა. ჩამოსათვლელად ადვილია რაღა თქმა უნდა, გადასატანად გაძნელდებოდა; ოღონდ ესაა, რო ცოტასა გმინავდა თეაი, ცოტასა გმინავდა და ბევრს იცინოდა. იცინოდა. იცინოდა. კვნესაც ეს იყო. მოთქმაც ეს გახლდა. რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეაო. ცრემლებითაც ავსებოდა თვალები. უბრწყინავდა ცრემლი, სული ანათებდა თითქოსაო, ალალიო თუ გულუბრყვილო სულიო. ლუო მოიხიბლა თანდათანობითა, – რო ზრუნავდა, არც არას ვამბობ: ზრუნავდა ცხადია, თურმანიძის მალამოც არ მოუკლია, – მოიხიბლამეთქი. ჯერ ეცოდებოდა, მერე მოსწონდა, მერე მოიხიბლა. ეპარებოდა ნელნელობითა: ჯერ რო ინვა, მერე რო წამოდგა, ყავარჯენს რო იშველიებდა. ეამბორებოდა ჯერ რო იქა, თმა და შუბლი სად რო იყოფოდა, მერე იქა – წარბები სადაც რო იყოფოდა, მერე ლოყებზედა, მერე ნიკაპქვეშა, ტუჩები გამოსტოვა ვითომცაო, ვარდისფოთოლა ტუჩები, ვითომცა და უცებ დააცხრა ტუჩებსაცა. პასუხი?.. არა, არავითარი!.. ვითომც შუშა დაუკოცნიაო, რიყის ქვაც ითქმის, ყველაფერი ითქმის, განაიარაღებს რაც რო კაცსა ასეთ შემთხვევაში. თეა მანამდეც არას იმჩნევდა. ჰყვებოდა: მამა რო ავტომრბოლი ჰყოლოდა და რო დაჰღუპოდა სადღაც ესპანეთსა თუ სადღაც ამერიკაში. სძრახავდა ჰო განვითარებული სოციალიზმი ავტორბოლასა, უნოდებდა ბოროტ ბიზნესსა კაპიტალიზმი-

სა, მაინცა ჰგზავნიდა თავის ავტომრბოლელებსა იმ შეჯიბრებებში და ჰხვეტავდა დოლარებსა თუ პესეტებსა თუ შილინგებსა თუ სტერლინგებსა თუ მარკებსა თუ იენებსა თუ ესკუდოებსა თუ დინარებსა თუ რაც იქნებოდა, არა სნუნობდა არც რო არაფერსა, ჰხვეტავდა, ჰხვეტავდა მოსკოვი უსირცხვილოდა და მწირ გროშებს გადაუყრიდა გლადიატორებივით განნირულ ავტომრბოლელებსა. დაღუპულიყო, დაღუპულიყო უსახელოდა ვითომც ინფარქტითა. ეს მამაო. დედა: ესტრადის მომღერალიაო. გასტროლებზეაო. ასახელებდა რომელიღაც ანსამბლსა, თბილისში რო არც გაეგონათ ასეთი ანსამბლი, პატარა ანსამბლი, „გოსკონცერტი" რო ადგენდა თვითონვე, ტურისტების გემებს რო გააყოლებდა, თავიაანთსასაცა და უფრო უცხოელთა რაღა თქმა უნდა. ვალუტასა ჰხვეტავდა იქიდანაცა. ხოლო იმათ ის უხაროდათ, რო არ უშლიდნენ წამოეღოთ საღეჭი რეზინები. ჰხვეტავდა. ჰხვეტავდა. საბჭოთა ბიზნესი. უცხოელებს მოსწონდათ ქართული სიმღერები, ქართული ცეკვებიც მოსწონდათ უცხოელებსა და ლამის: მთლად საქართველო გადაექციათ ანსამბლებადა. ლამისა. ლამისა. ლამის გაეფანტათ მთელს მსოფლიოში, ოკეანეებში გაეფანტათ. მაინც რო უნდა აეყარათ საქართველოი როდისაქეთი: დეკაბრისტების პროგრამებში ჩანერილიყო, გეგმაც შეედგინა გრიბოედოვსა ერმოლოვის დავალებითა, ხრუშჩოვს უნდოდა აღესრულებინა ერთ ღამესა, ძალადობითა, სისხლითა, ვაიუბედურობითა, ბრეჟნევი ჰფანტავდა ცეკვითა, – სიმღერითა, ვარჰალალეთი და თარიარალეთი. ჰფანტავდა. ჰფანტავდა. შეეხსენებინა რომელიღაც გულშემატკივარსა, – ნეტავი ვინ იყო?.. – ჭაჭა ვიღამ გამოჰხადოსო. ხორბლის არაყი რით არა სჯობიანო: ხელს აშვებდა პროტეზი რო არ გადმოვარდნოდა ტუჩებიდანა: რით არა სჯობიანო. ვერ აუხირდებოდი. გიორგი მუხრანბატონის იდეებსაც აგვირგვინებდა ბრეჟნევი: ვითარცა მდინარენი ოკეანეს ერთვიან, პატარა ერებიც ეგრედვე ერთვიან, პატარა ენებიც ეგრედვე ერთვიან დიდსა ერსა და დიდსა ენასაო. აგვირგვინებდა. ოღონდ ესაა: არ უყვარდა

შედარებები თუ მეტაფორებიო, ბრძანებდა შიშვლადა: სახელმწიფო ენა – რუსული ენაო. ბრძანებდა. აქ ცოტა აუხირდნენ. 14 აპრილი. თბილისი – გადარჩენილი დარბევასა. მაშინ გადარჩენილი. აუხირდნენ. აუხირდნენ. ლუოც მიინვიეს მწვანე ტრიოში. ცისფერი იყო. დასცურავდა იაპონიის გარშემოო. მიინვიეს. სიმამრმა იტკიცა. საღეჭი რეზინები მოართვა დიდი ყუთითა:

„აპაა, თუ ასე ძალიან გინდა!.."

„რა ეშმაკად მინდა?!."

„მაშ რა გინდა?!."

არაფერიო!.. და ჰღეჭავდნენ ქალები და ჰღეჭავდნენ ბავშვები და მობეზრდათ და გადააფურთხეს და ლუოს დაჰქონდა ბიჭვინთის თუ გაგრისა თუ სოჭის პლაჟებზე და აზღუდებში უჩურთავდა რუსის გოგოებსა. გაიხსენებს. აიმედებს თეასა:

„არ მოგაკლდებათ საღეჭი რეზინები..."

„ჰა, ჰა, ჰა..." თეა იცინის. თეას სახე დაეფშხალება. ტკივილი თუ გაჰკრავს. ტკივილიც უხდება თეასა, ანთუ მოსწონს ლუოსა, ყველაფერი მოსწონს თეასი. ყველაფერი. ყველაფერი: რო დაჩლახუნებს ყავარჯენითა, ისიცა, რო მიაყუდებს ყავარჯენსა და ისე რო ცდილობს ფეხის გამართვასა, – ისიცა, სიტყვაპასუხიცა, მოყოლაცა და საოცარია: რო გაჰყვიროდა „ჩაუშესკუო", ისიც მოეწონა, არ ეთანხმება რო რა თქმა უნდა. არ ეთანხმება. არ ეთანხმება. აპირებდა დედას გაჰყოლოდა. გადარჩებოდა „ჩაუშესკუსა". იყოს, რაც არის. სილამაზე მაინც სილამაზეა და რას თუ დაიძახებ, ვითომ ისეთი რა ღირსებისაა, ხვალ რო ეგების სულ სხვა დაიძახო, – სილამაზე ჰო უცვლელია. ახალგაზრდული თეატრის აზრს გაუტაცნია. ჩამოუყალიბებია კიდევაცა. აუყოლიებია მოხალისენი, თავდავიწყებამდე მოხალისენი. შეურჩევიათ პიესაცა. გაუნაწილებიათ როლებიცა. მიუსადაგებიათ მხატვრობაცა, მუსიკაც შეუწყვიათ. განულაგებიათ მიზანსცენებიცა. ოღონდ ზეპირადა ეს ყველაფერი, რო არა ჰქონიათ შენობაი თავიაანთი, რო ვერც კუთხე მოუძებნიათ, რეპეტიციები რო გაიარონ,

მოცდენით მაინც არა ვცდებითო: „ჩაუშესკუს" სცენარი შეუთხზავთ, იქვე შეუთხზავთ, ქაშუეთის ეზოშია, იქვე დაუდგამთ ზეპირადა რაღა თქმა უნდა და ჩარეულან ეგრე უშუალოდა ამ აურზაურშია.

„ჰო კარგი იყო?.." იკითხავს თეაი თავმონონებითა.

„დიდებული!.." მოისმის პასუხი დრამატიული მსახიობის კილოზედა, ხოლო: „თუ მოგხვდებოდა რეზინის ხელკეტი?!." – კომიკოსი მსახიობის კილოზედა.

„ეგეც არაფერი..." თეა აიოლებს. „კეტებით მისდევდნენ ბერიკებსაცა. სატირებსაცა. თავის საწყისებს უბრუნდება თეატრი. ყველაფერი თავიდან ინყება. მადლობა ღმერთსა, რო ინყება. ჩვენ იმ ზომამდის მივაღწიეთ, აღარაფრის დაწყება რო აღარ შეიძლებოდა. მადლობა ღმერთსა, რო გაიპო ეს ზღვარი. მადლობა ღმერთსა!.."

„და ვინც მიგიძღოდათ, გადაუდექით?!."

„ვინ მიგვიძღოდა?!. ჰა, ჰა, ჰა... არავინაც არ მიგვიძღოდა. არც არავინ არავის მიუძღვის და არც არავინ არ არის არავისი წინამძღოლი. მოვლენებია ყველაფერი. სტიქიებია ყველაფერი. ქარიშხალს ვინ მიუძღვის?.. სეტყვას ვინ მიუძღვის?.. ბუნების მოვლენაა. ასევე გახლავთ საზოგადოებრივი მოვლენებიცა. ნინ ვინც მოექცევა – ის არ არის უთუოდ წინამძღოლი და უკან ვინც მისდევს, არც ის არის ჩამორჩენილი, ეს ერთია, ერთი, ყველა ერთ წერტილზე რო ვერ დაეტევა, როგორც ვერ დაჯდება ყველა ანგელოზი ერთი ნემსის ნვერზედა. ასე არ არის?.."

„ვთქვათ... თქვენ მაინც არავინ არ უნდა ჩასძიროთ. არც ისა, ვინცთუ წინ მოქცეულა, არც ისა, უკან ვინც მიჩანჩალებს".

„არა. ჩვენ ეს არ განგვიზრახავს. ჩვენ მოგვეწონა ჩვენი ეპიზოდი და ჩვენც ჩავერთეთ დიდ სპექტაკლშია. ჩვენ ვთამაშობდით".

„თამაშობდით?!." ეჭვობს ლუოი.

„ეგებ ჩვენს ადგილსაც ვეძებდით?.." აყოვნებს. ფიქრობს. „არეულობაში თუ ვერ იპოვნე შენი ადგილი, დამშვიდებისას აღმოჩნდები გარიყული. ჰა?.."

„თურმე არა თამაშობდით... ჰო: ერთი ხმა კიდევ გაისმოდა, რო გაიფანტენით..."

„ის ჰო ლუიზაა!.. შაკიაშვილი... ჩვენთან არ არის. ის სხვა თეატრია..."

„თურმე არა თამაშობდითმეთქი..."

„თქვენა?.."

„მე..."

„დიახ!.. დიახ!.."

რა უზრობაა, – ვინ ეკამათება ლამაზ ქალებსა, ანთუ თვითონ როდის უკამათნია?.. – არასოდესა რაღა თქმა უნდა, არც რო ისინი გამოიდებდნენ თავსა. გაფილოსოფოსდნენ, გაპოლიტიკოსდნენ, სოციოლოგობას ჰო ნულარ იტყვი. გგონია, შროშანზე გელაპარაკება და უაიტპედი ამოსდის პირიდანა. დამახინჯდა წუთისოფელი, ისედაც მახინჯი, ისედაც უბედრი. დამახინჯდა. დავას აქ რა უნდა: ედავოს თუ უნდა მამაკაცებსა, ანთუ ქალობას გამოთხოვებულ ქალბატონებსა. ედავოს. თამამი ანეკდოტები სჯობიან ყველაფერსა, თამამი და მოურიდალი, გამოადგება უცხოური ფილმებიცა, თუმცა რო სჭრიდნენ სექსუალურ ეპიზოდებსა და ისე უჩვენებდნენ საბჭოთა მაყურებელსა, მინიშნებები მაინცა რჩებოდა, – გამოიყენებდა მინიშნებებსა, თვითონ გაშლიდა, თვითონ დაპხატავდა. და დაპხატავდა და იცინოდა და ლაღობდა და შლიდა ხელებსა და გარსუვლიდა და ეტანებოდა და აი დააცხრება და აი აიტაცებს და აი აღარც გაუშვებს ხელიდანაო. არაო, აღარ გადაიდებაო. ბოლოსდაბოლოს კოჭი უღრძვია, ბარძაყი ჰო არაო. კოჭთან რა საქმე აქვს, – კოჭი ისავსავებს ჰაერში თავისთვისა. ხვადი შემართულა, ხვადი იმზირება, ორივე თვალიდან იმზირება ხვადი. ძუ არ იმზირება, თუნდაც რო შეპხედავს, ძუ არ იმზირება. აღარც იცინის მწარე სიცილითა, ლაღი სიცილითაც რო არ იცინის დაბაკუნობს ყავარჯენითა. ყავარჯენს ასწევს და ისეცა ცდილობს. მზადაა. მზადაა. ნაქეზებაღა უნდა. სიტყვა ჰო სიტყვა�ა, რაღაც სხვაც უნდა, ყავასა სვამს. ყავა არა კმარა. შამპანური. კონიაკი. ეშმაკს ნააქეზებს. ქალიც ეშმაკისაა გაჩენიდან-

ვე. ვითომც ვერც მიმხვდარა. ეშმაკისაა. იბაკუნოს. იბაკუნოს. სცადოს გაიაროს უყავარჯნოდა. გაიაროს. მაინც კოჭთან რა ესაქმება. არაფერი. არაფერი. მაინც გაიაროს. მაინც გაიმაგროს. მაინც სხვა არის კოჭი გამართული. არც შამპანური გადაიდება, არც კონიაკი, არც ლიქიორი არ დაიწუნება. შეიძენს. მოაქვს. კარს შემოაღებს ეზოს მხრითა რაღა თქმა უნდა: თეა!.. – იძახის კარებშივე. ეგებ უყავარჯნოდ მომეგებოსო, ეგება აერიოს ფეხი, ეგებ თვითონვე ჩამომეკიდოს კისერზედაო. ეგება. ეგებისო. პასუხიც არ ისმის. ჩამიჩუმიც არა. თეა!.. თეა!.. თეა!.. ოთახებს შემოირბენს, სამზარეულოსაცა, აბაზანასაცა, ტუალეტის კარსაც ეცემა. სულიერი არა ჭაჭანებს. თეა!.. – ამბობს უფრო ხმადაბლა; თეა!.. თითქოს ეთხოვებაო: თეა!.. – ლამის რო აღარც მოისმის. და უცებ თვალი დივანს მოჰხვდება: საბანი ისეა თითქოს ვიღაცა უნდა იწვესო, თითქოს არცაო: სხეული მაინც სხეულია, – იგრძნობა, შეეტყობა, მაგრამ არტისტს რა გაუჭირდება: გაეტყაპება დივანსა ისე თითქოს იმისი ნანილიაო. გაეტყაპება, შეერწყმის ლამისა. და მიეპარება და მიეპარება და ასწევს საბანსა და ააფრიალებს და ყავარჯენი წევს დივანზედა და საიღლიე ბალიშზე დაუსვენებია.

გაფრენილა მერცხალი.

გაფრენილა.

მერცხალი იმისი მერცხალია, უნდა გაფრინდეს.

XII

ასეც ერჩივნა.

უანგარო კაცია. გამოიყვანა ცეცხლიდანა. გადაარჩინა. მოარჩინა. გაუშვა, არც რა მიუღია სამაგიეროდა თუ რამ განზრახვამ ააცუნცრუკა, რა ვუყოთ მერე, სული ცოდვილია, სული მერყევია, ზოგჯერ ბრმა ვნებაც აიყოლიებს. კიდევ კარგი რო ველარ დასძალა. ეშმაკი თუ დაეხსნა. ანთუ ეგებ რო ეშმაკის ბრალიცაა, წყალთან მიიყვანა

და აღარ დაალევინა წყალი. ეგება ახლა არ უნდოდა ეცდუ-ნებინა, ეგება ახლა გართობა უნდოდა. გაერთოს. გაერ-თოს. ამას თავი მოსწონს, რო იზრუნა, დაეხმარა, არ დაე-რიდა არაფერსა. მოსწონს. მოსწონს, რო არ უზრუნვია არავისთვისა არასოდესა, განცდაი ამისი რო არცა ჰქონია. და აი გაუჩნდა. და მერე რა დროსა: დედა-შვილიც რო ვერ მორიგებულან, – ამაზე არ ითქმის: ჰო დაუთმო ჭაღები დედამა, – ისე საერთოდა: ჟამი რო დამდგარა მართლაც ისეთი, დედა-შვილი რო ვერ მორიგებულან, მამა-შვილი რო ვერ მორიგებულან, ძმა ძმას ზურგში რო ახლის ტყვია-სა. ამან სიმამრიც შეირიგა: ფულს უგზავნის სიმამრი. მთა-ვარია აღარ გადაიკიდოს: კიდევ გამოჩნდეს ტელევიზორ-ში, კიდევა, ოღონდა, თუნდაც იმ მხარესა, – ზვიადიო რო გაჰყვირიან, თუნდაც იმ მხარესა, – ჩაუშესკუო რო დასძა-ხიან. სულერთია, სულერთია. სიმამრისათვის სულერთია. თუმცა: სიმამრს შეურიგდა და ოჯახს დაშორდა, – ეს რო-გორღაც კარგი ვერ არის. რაც არის, არის, მოჰხდეს რაც-თუ მოსახდენია. ცხოვრების მდინარე ისე ამღვრეულა, ვის სად მირიყავს, არავინ არ იცის, შენ მაინც იფრთხილე, იქ-ნიე მკლავები. იქნიე. იქნიე.

გუგაც ამას ურჩევს.

ჯიბოც ურჩევს და ეწევა კიდეცა უკეთესი ნაპირისაკე-ნა. ნაპირი მაინც ნაპირია, მდინარე რაც უნდა გადარეუ-ლიყოს. ჩვენ უნდა კაი პური ვჭამოთო. იმდღეს გემო ვერ ჩავატანეთო. უგემური არაფერი ვარგა. გემო ყველაფერს პოლიტიკოსობამ წაუხდინაო. თითონ წამხდარა და აფუ-ჭებს ყველაფერსა, რასაც ხელს მოჰხვევსო. ჩვენ გავეცა-ლოთო. ჩვენ ერთი კაი პური ვჭამოთო, მალე ეგებ რო ვინ უნყის თუ რა გვაჭამონო. ისეთი რაო. მე რა ვიციო. ჩვენ მოვეშვათო. მოვეშვათო, – გუგა უდასტურებს, – ერთი დღით მაინცაო, მეტი რო ვერ გაუმეტებია. მიჰქროდნენ წყნეთსა. იცნო ადვილადა. შეუყვარდათ წყნეთი ახალგაზ-რდებსა, წარჩინებულთა აგარაკად იქცა რო – მერე, შეუყ-ვარდათ და დროს ატარებდნენ. ანთუ დროს ატარებდნენ და შეუყვარდათ. დაჭრეს, დაბალთეს საძოვრები და ახოე-

ბი წყნეთისა, შემოლობეს და დაისაკუთრეს. ამოაყრევინეს სამნები გლეხებსა, მოარღვევინეს ტყრუშული ღობეები, თვითონ ქვითკირის კედლები შემოირტყეს, ჩიტიც რო ვერ გადაფრინდებოდა, – ვერა, ვერა. ჩაიდგეს შიგ სასახლეები. გაამაგრეს ცხრაკლიტურითა. ამირანიც ვერ შეუვიდოდა ბადრითა და უსუპითაცა. ზაფხულს ერთ თვეს იქ ჩადგებოდნენ, მერე გაუტევდნენ ზღვისპირებზედა. ზამთარი არც ენაღვლებოდათ. თვითონ თბილოდათ თბილისის ბინებში, წყნეთელებს ტყეშიც აღარ უშვებდნენ. საძოვრებიც ჰო აღარა ჰქონდათ და ბრაზობდნენ თბილისელები: მაწონი რა იქნაო. ბრაზობდნენ. ბრაზობდნენ. გაზარმაცდნენო, – გლეხები ესეიგი. და ჭრიდნენ კიდევა, საძოვრები სადმე კიდევ თუ გადარჩენოდათ. ტყესაცა ჭრიდნენ სააგარაკოდა, ჭრიდნენ და ჭრიდნენ ახალახალი ფუნქციონერები, რო მატულობდა შტატები უღმერთოდა, უსაქმურთა შტატები. და ინგრეოდა წყნეთი – სოფელი და შენდებოდა წყნეთი – აგარაკი, შენდებოდა, მშვენდებოდა, ამჯობინებდნენ მოსკოვის აგარაკებსა, პარიზის აგარაკებსაც ამჯობინებდნენ: იქვე მოსკოვთანა, იქვე პარიზთანა, ესეც ჰო აქვე თბილისთანაო. შენდებოდა. მშვენდებოდა. და თავქვე მოდიოდა ბნი პოლიკარპე, თავქვე, თავდაღმართზე ჩიტაძის ქუჩისა. ისედაც მოხრილიყო, თავიცა სძლევდა, ლამის დასჯაბნოს თავდაღმართმაო. მოდიოდა და ბურტყუნებდა. შეეხმიანენ: რასა ბურტყუნებო. პიესებს არ უდგამდნენ. სამსახურს არ აძლევდნენ. „ყვარყვარე" ვერ ეპატიებიათ. ამასა ბურტყუნებდა: მწერალთა კავშირში თავმჯდომარე ვიკითხეო, მდივანმა გოგომ – წყნეთში წაბრძანდა, აგარაკს იშენებსო; კულტურის სამინისტროში მინისტრი ვიკითხეო, მდივანმა გოგომ – წყნეთში გახლავთ, აგარაკს იშენებსო; აგერ ცეკაშიც კულტურის განყოფილების გამგე ვიკითხეო, ისიც წყნეთში მიმასწავლეს, ისიც აგარაკს იშენებსო; ამასა ბურტყუნებდა: და ველარ გამიგია, კომუნიზმს ვილას უშენებენო, ალბათ რო: მეო. ბურტყუნებდა ტრაგიკულ ხმაზედა, სახეც რო ტრაგიკული ჰქონდა, ოღონდ სახელი კომედიებით გაეთქვა.

კომიკური ტრაგიკულად განიცდებოდა,
ტრაგიკული – კომიკურადა: „ყვარყვარე".

მიეტანენ პოეტებიცა წყნეთსა: მოდად რო იქცა. გალაკტიონმა ყველას მიასწრო. ცისფერი ოდა აიშენა ცისფერ ფიქვებში, – ეგებ რო თელებში, ეგებ რო თხმელებში, კარგად აღარ მახსოვს, მხოლოდ ფერი მომაგონდება. წყნეთი ჯერ კიდევ წყნეთად ითქმოდა: რძეც ბევრი იყო, მაწონიც ბევრი, ფრინველიც ბევრი, ბოსტნეულიცა. სახედრებს ჰო ნუღარ იკითხავ: მოედინებოდნენ დატვირთულნი თბილისისაკენა. ყველას მიასწრო. ავიდოდა. შეიკეტებოდა. დასეირნობდა როცა ეზოში, მხოლოდ ზურგს თუ დაინახავდნენ: მიიმტვრეოდა, მოიმტვრეოდა, ქანაობდა. ჩამოივლიდა სოფელშიცა. აქნევდა თავსა. იღიმებოდა და თავს აქნევდა, ესალმებოდა რო ყველასა, ვინც უნდა ყოფილიყო, თუნდაც არავინა ყოფილიყო – ესალმებოდა. იმას ყველა სცნობდა, ის არავისა სცნობდა, არავისა: არც რუს პოეტებსა, – რო ეპატიჟებოდნენ პოეტები წყნეთში, გალაკტიონი არ ეპატიჟებოდა, შეუყვარდათ წყნეთი რუს პოეტებსაცა, გადაირივნენ, თითქოს უკეთესი არაფერი უნახავთო. ტკბებოდნენ წყნეთითა, ტკბებოდნენ, თვრებოდნენ, დაელოთ პირი და იბერავდნენ ფილტვებსა, მოსკოვს რო გაგვყვეს წყნეთის ჰაერი, როგორც რო წყალი უდაბნოს აქლემებსაო. ზოგს ვითომ გაბრუნებაც აღარ უნდოდა: აქ დამასახლეთო; ანთუ: აქაც უნდოდა, იქაც უნდოდა თუ რა უნდოდა სინამდვილეში, უფრო ცხადადაც გამოჰხატავდა: წერეთ რუსულადა, რუსულადა წერეთო. ამ ცის პატრონი, ამ ჰაერის პატრონი, ამ ღვინის პატრონი უნდა წერდეს რუსულადაო. მსოფლიო გაღიარებთ, მსოფლიო მოიხრის ქედსა თქვენს წინაშეო. თარგმანი იმდენი არაფერიო, – არა, კარგია, კარგი, მაგრამ სხვა არის ორიგინალიო, – წერეთო, წერეთო, რუსულადა წერეთო. უკვე დრო არის. არ ეგვიანებაო. ასე ცხადად გამოჰხატავდნენ. ასე ნათლად ასაბუთებდნენ. და სვამდნენ, სვამდნენ, ლამის გაეხეთქათ მუცელი: კახურსაცა სვამდნენ, ქართლურსაცა, იმერულსაცა, მეგრულსაცა, აფხაზურსაცა, არა

სწუნობდნენ არცერთ კუთხესა, გააჩნია თუ სად უფრო უკეთ გაუგონებდნენ. სვამდნენ, სვამდნენ, ვეღარა ძღებოდნენ. გოგლას ეზოში ტიხონოვი ალეწილიყო: ჯიუტი ხალხი ხართ, არ გინდათ დაგვიჯეროთ, არ გინდათ წეროთ მსოფლიო ენაზეო: ჯიუტი ხალხი ხართ, ჰღუპავთ თქვენს თავსა და აღარიბებთ მსოფლიოსაცა, ამ ვიწრო მხარეში რო იხარშება უბრწყინვალესი შედევრებიო. ალეწილიყო. გახელებულიყო, აღარ ურჩევდა: გაშმაგებულიყო. ღამე იყო ვარსკვლავიანი, ღამეი წყნეთისა. ახლად დარგული ნამყენები ალანდულიყო. ავდექი. ჩავყევი. კარი გამოვიგდე ეზოსი. გიორგი შატბერაშვილი წამომეწია:

საითო.

ვეღარ გავუძელიმეთქი.

გოგლა თუ უძლებსო.

გოგლა მასპინძელიამეთქი.

ირაკლი თუ უძლებსო.

ირაკლი მწერალთა კავშირის თავმჯდომარეამეთქი.

კარლო თუ უძლებსო.

ოღონდ ჩაასხი, ოღონდ ჩააყარე კარლოსა, მეტი აღარაფერი ახსოვსმეთქი.

სხვა აღარავინ აღარ უხსენებია, ყველას თავისი მიზეზი ჰქონდა. უბრად ვიარეთ. გავლიეთ მთავრობის აგარაკები. წყნეთი გავლიეთ. დავეშვით. დავეშვით. დავეშვით ასე ფეხდაფეხა. გვიანი იყო. არაფერი არ წამოგვეწეოდა. ცა მიდიოდა მაღლა. ჩვენ ვეშვებოდით. თბილისი მოსჩანდა დაბლა. ვეკიდეთ ცისა და თბილისის შუა. ჭახჭახებდა ცაცა. თბილისიცა ჭახჭახებდა. თითქოს ერთმანეთსაც მისტანებიანო. გაღმა მთებს მაინც უკვე აესწროთ, ჩაგრეხილიყვნენ ვარსკვლავებშია. ხმაურიც მოგვწვდა. ზევიდან მოგვწვდა. გვერდით ჩამოგვიდგა. გოგლას ავტომანქანა იყო. გოგლამაო, – მძღოლმა მოგვახსენა, – თუ დაბრუნდებიან, ჰო კარგიო, თუ არაო და ჩაისხიო და დააბინავეო. ჩვენ შინ ვარჩიეთ. ლუო პიონერთა ბანაკში ისვენებდა, ანთუ ჯერკიდევ ოქტომბრელი ბრძანდებოდა, ანთუ ახალი პიონერი. პიონერებმა ყვავილები მიართვეს რუს პოეტებსა. რუსული ლექ-

სები ნაუკითხეს, რუსი ბავშვებისაგან ვერ გამოარჩევდი. ლუომ მაინც ყველას აჯობა: საკუთარი ლექსი ნაიკითხა, რუსულად დანერილი ლექსი. გადაირივნენ რუსი პოეტები, ტიხონოვი ლამის გაგიჟდა: აი თაობა, აი ვისი იმედი უნდა გვქონდესო. ლამის გაგიჟდა. ლუო აიტაცა. მხრებზე შეისვა. პიონერები წრედ შემომდგარიყვნენ. წრე შემოირბინა. ეგრეც გაამეორებინა ლექსი. კიდევ სხვაცა თქვიო. სხვა ჯერ არ დაეწერა ლუოსა და მეტი ლექსი აღარც დაუნერია. ჯიბოც იქ იყო. მერელა აიშენა წყნეთის აგარაკი ჯიბოს მამამა. და ესეც მერე იმისი სტუმარი გახლდა. ეცნობოდა. ეცნობოდა ყველაფერი, ყოველი ნაბიჯი, გადასარბენი ყოველი, ყოველი აღმართი თუ მოსახვევი, – აქედან აღმართი, იქიდან დაღმართი. გუგაც ასევე, ანთუ მეტიცაო: თვალხუჭულაც გამოიცნობდა. ჯიბოს დაჰყვებოდა თვითონ არ გააჩნდა იქ არაფერი და არსადაცა არაფერი არ გააჩნდა. იყო პროლეტარი. ნომენკლატურულ არტისტობაში ვერ ჩანერილიყო, თუმცა ცდილობდა თავგადაკლული, ვერ ჩანერილიყო, ვერ გაეტანა. ვერც რო მრგვალებთან ჩაედგა ფეხი, ახლა აჰყოლოდა ამ მოძრაობასა, მრგვალთა ხელისუფლება რო უნდა დაემხოთ. ვერც შენ დაამხობ და ვერც შენ გადაარჩენო, – ჯიბო ამგვარადა ბჭობდა, – დაეხსენითო. ჩვენ პური ვჭამოთ, ერთი კაი პური ვჭამოთ, ეგება რო უკანასკნელადა, თორემ ის დრო გვიახლოვდება, დედა შვილს რო არ აიყვანსო. გვიახლოვდება. ეგება რო ჩვენც დავხოცოთ ერთმანეთიო. ისეთი დრო მოდისო.

უნინ მკლავს მოვიჭრიო, – ლუო იტყვის.

უნინ ტყვიას მევე დავიხლიო, – დასძენს გუგაი.

ვეღარც განვაგებთ ჩვენს საქციელსა, ჩვენი თავი თუ ჩვენ არ გვეკუთვნისო. – სჯერა ჯიბოსა.

ეგრე ვბრმავდებით?!. – უკვირს გუგასა.

ეგრე ვბრმავდებითო, – ჯიბო უდასტურებს.

აგვეხილება თვალი, როცა იქნებაო, – ლუო იმედოვნებს.

მანამდის მაინც ნულარ ავუხირდებით ერთმანეთსაო, – ჯიბო ივედრება.

კონსესუსი მიღწეულია, – გუგა დაასკვნის.

კონსესუსიო – იტყვის ცოტა დამცინავადა, ტერმინებად რო ეზიდებიან უცხო სიტყვებსა, – თანხმობა – ვითომ რო ვერ ივარგებდეს. კონსესუსიო. პირობა მაინც ადვილად გატყდება. არა. ერთმანეთს არ აუხირდებიან. ეს დემნაა რო ახირდება. დემნას იკითხავენ, შეიეღლიან თუ არა კარსა აგარაკისასა, ალაყაფის კარსა. კარს სხვა გაუღებს – ცეცხლფარეში, ადრეევ რო ამოსულა. ცეცხლი დაუნთია. გაუხურებია რადიატორები. აბაზანაც გაუხურებია. გაუნიავებია ოთახები, კარგახანია დახუთული ოთახები. ჰო: ვგონებ მავიწყდება, რო უკვე აცივდა. მავიწყდება, არც რო წვიმდა, არც რო თოვდა, არც რო ქარიშხალი ამოვარდნილიყო, სეტყვის ამინდმაც გადაიარა, იყო სიწყნარეი, იყო სიმშვიდეი, თითქოს ბუნება დაშინებულიყო, თავი აშკარად ვერ გამოეჩინა, მოიპარებოდა თანდათანობითა, მშრალი სიცივით მოიპარებოდა. ჰოდა: გაუღო კარი ალაყაფისა, არ მოსულაო, ისიც მოახსენა. სიტყვის თავზე ისიც ნამოესწრო, თითქოს ფეხდაფეხ მოსდევდაო. ორი ქალიც გადმოხტა დემნას მანქანიდანა, გადმოხტა და დაფაცურდა ორივეი. ერთმანეთს ასწრებდნენ, დაჰქროდნენ, დაფრიალებდნენ. დემნაცა შველოდა, გადმოჰქონდა ღვინის თულუხჩები. ქალები ნამზადს მოარბენინებდნენ. სუფრასა შლიდნენ, ანთუ გაშალეს ისე სწრაფადა, ციდან ჩამოვიდა თითქოსაო. გაშალეს. მიინვიეს. მოუსხდნენ თვითონაცა. ყველაფერი მზად მოეტანათ: ცივი ჰო ცივადა, ჩაქაფული – ცხელადა. ხაშლამაცა. ხინკალს მერე ამოახვევდნენ, მწვადსაც მერეო. რაღა ჩამოვთვალო: ჩიტის რძეც არ აკლდა. მიზეზიანიც ვერ ახირდებოდა. ღვინო ჰო ღვინო: წარაფებიაო, პირდაპირ ქვევრიდან ამოღებულიო. დემნა იწონებდა თავსა. კახთბატონები მიირთმევდნენო. ახლა ჩვენ მივირთმევთო. კახთბატონები ცოტანი იყვნენ და ჰყოფნიდათო, – გუგა ასდევდა, – ჩვენ ახლა ბევრნი ვართ და აღარა გვყოფნისო. ვინ თუ მიასწრებსო. ისევ დემნა იწონებდა თავსა. ასახირებელი არაფერი იყო. მაინც გამოტყვრა მოულოდნელადა: ეს მაშინვე, პირველი ჭიქა

აიღო თუ არა გუგამა, აიღო და გადაჰკრა, გადაჰკრა და გაიხსენა ოსის ანეკდოტი, – აი ღვინოო. ოსმა თქვაო: ბევრი დრო უნდა და დიდი შრომა უნდა ლუდსა, – აი ღინოო, აიღე, დალიე, აიღე, დალიე, მეტი არაფერი უნდაო. ეს გაიხსენა და ისიც წამოსცდა, – ნაადრევი იყო ავტონომიის გაუქმებაო.

„კიდევაც დაგვიანდა". პირში სნვდება დემნაი. „თქვენ ოღონდ რაიმე დააბრალოთ, რას ამბობთ, აღარ უკვირდებით".

„ვინ ჩვენა?!!." იტკიცავს გუგაი.

„ვინცა ხართ, ვინცა ბრძანდებით!.." დემნა გაწითლდება, გაჭარხლდებაო, ესეც ივარგებს. „აქამდისაც უნდა გაუქმებულიყო ეს ლენინის მახეები".

„რაღა დროს ლენინია?!."

„რომანოვების დროცაა, ვიდრე იმპერია არ დამხობილა. რომანოვები გვაბეჩავებდნენ მეგრული სეპარატიზმითა. ლენინმა ესეც დაიტოვა სათადარიგოდა და თანაც ოსური, აფხაზური და აჭარაული მახე დაგვიგო ერთდროულადა. ერთში მაინც შესცდა: აჭარლებიც რო სხვა ერისანი ეგონენ". დემნა ჩაიცინებს, თითქოს ნიშნს უგებსო.

„ლენინი ამაში არ შესცდებოდა. ხალხის ერთმანეთზე გადაკიდება ნიჭიც იყო იმისი, გატაცებაცა, და ვნებაცა". წამოეგება ჯიბოცა ანკესზედა.

„მით უარესი", დემნა აიტაცებს. „ის ორი ავტონომიაც უნდა გაუქმდეს".

„ჯერ ამას გადავრჩეთ..."

„ერთად უნდა გადავურჩეთ. არ უნდა დავაცადოთ, რო რიგრიგობით აშალონ".

„შენნაირი მრჩევლები აგიჟებენ..." ცხარობს გუგაი, „ისედაც რო ბევრი არაფერი აკლია..."

„შენნაირი მრჩევლები?!."

„მე არავისი მრჩეველი არა ვარ!.."

„მიგინვევენ. დაგიფასებენ".

„მოიცათ!.. მოიცათ!.." ისევ ჯიბო გამოერკვევა. „ბანოვანნო, მოგვხედეთ, გვიშველეთ, ჩააგდეთ მანდილი!.."

დაძაბულიყვნენ ბანოვანნი, მოწოდებაც აღარ უნდოდათ: ერთი გუგას ეცემა, მეორე დემნასა, მერე დალაფავენ ერთიმეორესა. ჯიბო თავში იცემს: ეს სუფრაც შხამად ამომადინესო. იხვენება. ივედრება, ყელს უნევს ქალებსა: გენაცვალეთო, შემოგევლეთო, მტლედ დაგედეთ, შემიბრალეთო. მერე გიტარას ჩაუგდებს კალთაშია: ერთადა სხედან, ორივეს ჩაუგდებს. დანასაც გაუწოდებს: ან იმღერეთ, ან დამკალითო. გიტარა გასჭრის თუ დანა გასჭრის, გასჭრის და ისაა: დემნა ჩაუჯდება ქალებს შუაშია. დემნა ააჟღერებს გიტარასა. ააჟღერებს. ამღერდებიან. მშვენიერი ტრიოა, ერთად განაფული, შეხმატკბილებული. ამიტომაც მოუწვევია ჯიბოსა: სუფრის გასაწყობადაცა, სუფრის დასამშვენებლადაც. საპოლიტიკოდ არა ცხადია, მაგრამ სენია ეს ისეთი, ვერავინ რო ვეღარ გადარჩენია. სულს მოსდებია. სული შეუხუთნია. ეგებ ერჩივნათ, ესენიც რო „გოსკონცერტს" მიჰქირავებოდნენ და ეცურათ სადღაც ოკეანეში. ტურისტები გაერთოთ. ტაშით გაეხარათ. რაც უნდა იყოს, სიმღერა მაინც ჩაანელებს იმ აღელვებასა. მღერიან. მღერიან. გუგაც თუ მღერის, გულში მღერის, სახე ისე აუთამაშდება. ჯიბო ილოცება შიგადაშიგა. სადღეგრძელოებს მიჰყვება რიგისადა და აღარ იცის, რა თუ სჯობიან: შეიყოლიოს ნელნელობითა თუ გამოათროს ერთბაშადა, კამათის თავი რო აღარა ჰქონდეთ. რა თუ სჯობიან?.. აქა, აქ მაინცა, თბილისის გარეთა, თბილისის თავზედა, სად რო თავდება ქალაქის ოხშივარი, მტვერი, ზინტლი, ჭუჭყი, სიმყრალე, თავდება, და ნაირსახოვანი აგარაკები, აგარაკები თუ სასახლენი, მისცურავენ იისფერ ნისლში. მისცურავენ. მისცურავენ. აქა, აქ მაინცა, მალე რო იქვე დაბრუნდებიან. იქვე დაპხვდებათ აქოთებული ქალაქიცა, აქოთებული და აღრეული, შებმული, შეჭიდებული თუ გაძაგრული სიძულვილითა, შურითა, სიხარბითა. ვის გაუჭირდება ჩვენი დაქცევაო. მოსკოვს წკიპურტიც დაეზარება ჩვენთვისაო. ლუკმად გვაქცევს ოსებისაო, აფხაზების ლუკმად გვაქცევსო. ისინი ჰო უკვე გადაუყლაპია, – გადაყლაპულებს გადაგვაყლაპებსო. აი იმპერია, აი პოლი-

ტიკა. გაბრძოლება უკანასკნელი. გაუძლებს თუ ვერა, თან გადაპყვება თუ თავს გაიტანს, – გორბაჩოვის ტვინი მაინც არ ეყოფა, ეს მაინც ცხადიაო. სადღეგრძელოებსაც მისდევენ ისევე, იმგვარადვე, იმავე სიტყვებითა, წყობისათა იმავეთიო, როგორც რო დალაგდა იმ პირველადვე, ღვინო რო გაჩნდა იმ პირველადვე. ხოლო ღვინო ჰო ქართველებმა გამოიგონესო. ამაზე აღარ ახირდებოდნენ. დაემონმებოდნენ ერთიმეორესა. მელამ კუდი მონმედ მოიყვანაო, – მერე და რაო: შეთანხმდებოდნენ. ეგეც თქვენი კონსესუსიო. და აპყვებოდა გუგაცა მომღერლებსა, ლუოც აპყვებოდა, ჯიბოც აპყვებოდა. უკვე სეპტეტია, დიდებული სეპტეტი. დაამშვენებდა უდიდეს ტურისტულ გემებსა და კმაყოფილი „გოსკონცერტი" უშუამდგომლებდა „კაგებესთანა": ტრუსების შეძენის ნებაც დაერთოთ ამათთვისა, საღეჭი რეზინების გარდა. მეტი ჰონორარი არც ერგებოდათ. რაც თუ იქნებოდა, ახლა სიმღერა გამშველებლად მოვლინებოდათ. სიმღერებს შუა ვინმე მაინც არ დაახანებდა. ვთქვათ თუნდაც ნესტანი, ნესტან-დარეჯანი, გამხდარი ქალი, წვრილი ყელი და წაწვეტებული ნიკაპი რო ჰქონდა, ამასთან: გასჩაჩხოდა ძვლები საყბეური:

ნესტან-დარეჯანი: „იდეალის გარეშე სუნთქვა არ ძალუძს ჩვენს ხალხსა. სტალინიც კი დაისახა იდეალადა და ამითი იტანდა იმისგანვე მოვლენილ ჯოჯოხეთსა. ახლა იდეალი ჰპოვა. დაანებეთ. რა გინდათ, რას ერჩით, რად გინდათ, რო იდეალი ნაართვათ ხალხსა?!."

„ჰა, ჰა, ჰა... იდეალი ამას მიქვიან?!." ეს თინათინია, წელშემართული რო უზის მაგიდასა, სიმღერის დროსაც რო არ ირხევა და პატარა, პატალა ღაბაბი მოუჩანს ნიკაპქვეშა რაღა თქმა უნდა. „ამას მიქვიან: ფარშავანგს რო კუდს გამოაბდღვნის?!."

ნესტან-დარეჯანი: „და შენ ეგა გჯერა, სამი წლის ბავშვი რო კუდს აბდღვნიდა ფარშავანგსა?!."

თინათინი: „რატომ სამი წლისა და არა ოცდასამი წლისა!.."

ნესტან-დარეჯანი: „და შენ ეგა გჯერა?!."

თინათინი: „რატომ არ უნდა მჯეროდეს?!."

ნესტან-დარეჯანი: „სისულელე არ უნდა გჯეროდეს. მე შენ ჭკვიანი ქალი მგონიხარ".

თინათინი: „რას მიქვიან გგონივარ?!."

ნესტან-დარეჯანი: „სისულელე არ უნდა დაიჯერო".

თინათინი: „დრო განსჯის, თუ ვინ არის სულელი ჩვენს შორისა".

ნესტან-დარეჯანი: „მე შენთვის სულელი არ მიწოდებია. ღმერთო მომკალი! მე ამას არ ვიკადრებ..."

თინათინი: „მაშ რა მიწოდე?.."

ნესტან-დარეჯანი: „ჭკვიანი ქალი, მტრის პროპაგანდას რო აჰყოლია".

თინათინი: „ეს ვითომ რითია სულელზე უკეთესი?!."

ნესტან-დარეჯანი: „არ ვიცი, არ ვიცი, მე ამდენი აღარ ვიცი..."

თინათინი: „არ იცის... აღარ იცის!.. მაშ მე გეტყვი..."

კიდევაც ეტყვის, თუმცა არ მოისმის, შეიბმებიან რო გუგა და დემნაი, იმავ ფარშავანგზე შეიბმებიან და ტეტჩერის კაბინეტის შერყევამდე უწევენ. მეიჯორი არ მიაჩნიათ შესაფერის კანდიდატადა. ამაზე თანხმდებიან. მარგარიტ ტეტჩერისთანა ქალი დღეს მსოფლიოში არ გვეგულებაო. ამაზედაცა თანხმდებიან.

„გახსოვს, რუსთაველზე რო გაისეირნა?.."

„ასე ჩამიარა, ა!.." გულზე გაიცურებს ხელსა გუგაი, გადაიცურებს და გადმოიცურებს. სიამისაა. სიმშვიდისაა. დროებითია. დრო უნდა იხელთოს. სადღეგრძელო არ უნდა დააყოვნოს: სადღეგრძელო სადღეგრძელოზე, სადღეგრძელო სადღეგრძელოზე, არ უნდა ამოასუნთქოს. სიმღერა და სადღეგრძელოო, სადღეგრძელო და სიმღერაო და შეუძახებს თამადაი. შეუძახებს და შეუძახებენ. დროდადრო მაინც გამოეცლებიან. გამოეცლებიან და შეიბმიან დემნა და გუგაი. შეიბმიან, შეჯავახდებიან. ისეთსაც იტყვიან: ყურებს რო თითებით დაიცობენ ქალები და მერე რო ერთმანეთსაც აღარას დააკლებენ. აღარც რას დააკლებენ და სიტყვებიც აღარა ჰყოფნით, უცხარესი და

უმნარესი სიტყვები. შოლტავენ, ჟვერავენ, შხეპავენ ერთმანეთსა. წვრილი ნიკაპი უკაპკაპებს ნესტან-დარეჯანსა. გამოებერება და დაეჩუტება პატარა, პატალა ღაბაბი თინათინსა. გამოებერება და დაეჩუტება. ლუოს აერევა გული. არა, ამიტომ არა. კამათსაც აპყვება და სიმღერასაცა. ტრიოში დემნასა სცვლის. კამათშიცა სცვლის. გუგა უსნორდება ორივესა. ლუო ძირამდისა სცლის ჭიქებსა. აქ ვერავინ ვერ უსნორდება. იმერულ ღვინოებს მისჩვეოდა, მდარე ღვინოებსა. დავინყებოდა სიფიცხეი წარაფებისა. მალეც ამჩატდება, აცუნცრუკდება. ღვინოს მეტი რა უნდა მოპყვეს, ოლონდ ეს მაინც იქამდის მიაღწევს, ვეება ლარნაკს რო დაითრევს ბუფეტიდანა, – ეძებს, ეძებს და გამოათრევს. გაავსებს და დაეწაფება. ვერც დასცლის და ვერც ვერავისთან გადავა. ჩამომრთმევიც არავინ იყო. დაშლით დაუშალეს: ე იმერეთი ჰო უკვე მოიგო შენმა სეხნიამაო, შენ რაღა გინდაო: – ტაო-კლარჯეთს თუ გვენაძლევები, ვერ ჩამოვალთო. ასე დაუშალეს, ასე ეხუმრნენ. ვერც დაშლა გაიგო ლუომა, ვერც ხუმრობა გაიგო, მოსწყდა კისერი. წაუხდათ ხასიათი მეინახეთა, რადგან ლუოს რო წაუხდა, – შეიყარნენ ამის საპატივსაცემოდა. გამოაკლდათ. გამოაკლდათ. გამოითიშაო, ამაზე იტყვიან. თვალებს უაზროდ დააცეცებდა. იჯდა, ვერ იჯდა. დგებოდა და ვერა დგებოდა... ვერ აპყოლოდა ვეღარც სიმღერასა. სურდა რაღაც რო, ვერ გამოეთქვა, ვერც ხელებით ენიშნებინა. მიახვედრა როგორც რო იყო: გიტარა მიანოდეს. ატრიალა და ატრიალა. გადააბრუნა და გადმოაბრუნა. ვეღარ გაეგო თუ რა იყო თუ რად უნდოდა. ატრიალა და ატრიალა. ატრიალა და ატრიალა. და. არა. ამისი გახსენება აღარ უნდოდა. აღარც აღარაფრის გახსენება აღარ უნდოდა ამის შემდგომა. აქამდის კიდევ ჰოო. თუმცა ერთხანს არც ის მოაგონდა. გაიღვიძა და ვერ გამოერკვა: სად იყო, რად იყო, რა იყო, რაი, კაცი თუ ფასკუნჯი, ესეც ვერ გაეგო. წარმოესახა ათასი რამა, წამოებლანდა, წამოელანდა. აღარ მოვპყვები. უცებ გიტარამ გაინკრიალა. ასე მოეყურა. ეგება თეფშიც გატყდა. გიტარააო, ამან დაასკვნა. დაასკვნა და

მიჰხვდა: გულაღმა გაიღვიძა, პირქვე გადაბრუნდა: წყნეთში დაუგდიათ, მარტო დაუგდიათ. არსად ჩქამიო: რის გიტარა, რა გიტარაო. დაუგდიათ. ცისკრამდის შეჰყვებოდნენ. წყნეთში ცისკარი ცოცხალივითაა. თბილისმა არც იცის ცისკარი თუ რა არის, თუ იყო, თუ კიდევ შემორჩენილა. თბილისმა ბევრი რამ დაივიწყა. წყნეთმაც დაივიწყა. რა ვუყოთ მერე: ცისკარი იქ მაინც ცოცხალივითაა. გამოძინებასაც მოასწრებდნენ. წახემსებასაცა. მიაშურებდნენ ისევ თბილისსა. თბილისი დიდხანს არც დაიტოვება: ისედაც არა, მითუფრო როცა ამდულარებულა. არ დაიტოვება. არ დაიტოვება. შეუკეთებენ და შეეკეთებიან, რო არ მოიკლოს დულილმაო. შეუკეთებენ. შეეკეთებიან. ეს არაფერიო. ვის არ დამართნია: ღვინო ქვევრსა ხეთქავსო. ღვინოა!.. ცოდოა მაინცა წარაფები. რაც იყო, იყო: კეთილი ნათქვამია. კაცთაგან არავის არაფერი უკვირს. თუმცა ეს მაინც უცნაური იყოო: გიტარა დაიდო მუხლებზედა, გააღო პირი და ამოავსო უბეი გიტარისა, ამოავსო, სუფთადა, წმინდადა, წინწკალი რო არ გავარდნია. გადაანოდა მერე თუ ვისა, ამისთვის სულერთია: გადააწოდა. თეფშები გასნია. მუჭები მიიდგა ერთმანეთზედა, დააყრდნო შუბლი და გადაიკარგა. გადაიკარგა. მოებლანდება რაღაც ნაფლეთები, უსახური, გაურკვეველი. ყური უურიალებს თითქოს ამგვარადა:

„აფსუს!.. რა გიტარა იყო..“ დემნას ხმაზედა.

„გიტარა გიტარაა, პაგანინის ვიოლინო ჰო არ იყო?!.“ ჯიბოა აიოლებს.

„არც იმას დაინდობდა“. გუგაა. გაიმეტა. ესეც გაიმეტა, პაგანინის ვიოლინოცა. ყური უურიალებს. თვალს ლანდები ვერ გაურჩევია, ანთუ ეჩვენება უცნაურადა: გიტარა ჰკიდია შუაჭერზედა. ჭაღია თითქოსაო, უნათურებოდა, შადრევანივით გასდის ჭავლებიო. არა. ყურმა უურიალოს. უურიალოს. გუგამ გაიმეტა. ეკუთნის, ახია!.. დავიწყება არას არგია: იქით აღარ არის, აქეთ გადმოვიდა: იმერული იმერულია, ამერული ამერულია, – დავიწყება არას არგია. კახურმა იცის: აგიყვანს, აგიყვანს, გგონია, რო მთას აგა-

ცილაო და ამოგიდებს უცებ ფეხქვეშა. იცის და რას იზამ. კაცია და გუნებაო. ღვინოც კაცია. დაეჭიდები და დაგეჭიდება. ნონა არ უნდა, ზომა არ უნდა, თვალსაც არ შეგავლებს. დაეჭიდები, – დაგეჭიდება. ჩოხა არ უნდა, ხალიჩა არ უნდა. აგიყვანს და ამოგიდებს ქვეშა. გიტარა მაინც რას გამოეკვანტა, – გაინკრიალა რო კიდევაცა!.. არა. არა. არსაიდამ ხმა, არსით ძახილი. მდუმარებაა. მიატოვეს. ჯანდაბას. მოაკითხავენ, როცა იქნება. ისევ გიტარა გაინკრიალებს. არ ეშვება. არც მოეშვება ისე ადვილადა. არა. ტელეფონის ზარია. ვილაც უპასუხებს. ქალის ხმაა. ნესტან-დარეჯანის ხმა არის. თვალი თუ ატყუებს, ყური არ ატყუებს. ეშველება. ნესტან-დარეჯანია. კარსაც აკაკუნებს:

„ბატონო ლუო!..“ ნესტან-დარეჯანია.

„ბატონო!..“ ეპასუხება ხმაი დარცხვენილი.

„ჯიბოა!.. მანქანა როდის გამოგიგზავნოთო?..“

„როცა უნდა...“ ყოყმანებს. „ახლავე!..“ მოსჭრის.

ნესტან-დარეჯანია. ჩაიც დაუყენებია, ყავაც დაუყენებია. ეს ჩაის ინებებს ღოღნაშოს მურაბითა. ეამება. მეტი არც არაფერი არ უნდა დალიოს კაცმა: ჩაი ღოღნაშოს მურაბითაო; შინდითაც კარგია, ალუბლითაც კარგია, სხვა არც არაფერი არ უნდა დალიოსო. ნესტანი მაინც ყავას აირჩევს. გუგასა ჰგმობს:

„ვერ გამიგია თუ რა დაემართა. ის მესმის: ცეკას კარისკაცები რო იკლავენ თავსა, მესმის: პრეზიდენტმა არ მიიღო ისინი კარისკაცებადა. ეს როდის იყო კარისკაცი?!.“

„კარისკაცობა ამასაც უნდა!..“ ესეც გაიმეტებს, გუგამ რო გაიმეტა.

გაიმეტებს. მეტის გახსენება აღარცა ჰღირდა: რო არ არსებობს აწმყოს გარდა არარა დროი, წამი რო წამია, წამიც არაო, ისარმა თუ გადაიარა; რო არ არსებობს არც სინანული, მონანიებაც არას არგია. სცოდავდნენ. სცოდავენ. არას არგია: ცოდვა როა მარადიული, შემცოდენი რო წარმავალნი არიან, სიავე როა მარადიული, ავკაცნი რო წარმავალნი არიან, თუ არის: არის მარადიული, წარმავალი რო არაფერია, მონანიება ვის რას არგიაო. რუსთაველი

თითქოს დამშვიდებულიყო, თითქოს: ჰა და ჰა!.. ჩვენ გავიმარჯვეთო, – პრეზიდენტმა თქვა, – ჩვენ გავიმარჯვებთო, – ასეც დაასკვნა, ჯერ რო წინააღმდეგობა არ მოშლილიყო, ჯერ რო მხოლოდ ძალებს იკრებდა. დაასკვნა. დაასკვნა. ბეტეერები დასცქეროდა რუსთაველსა შავნაბადადანა. ველარ ეტეოდნენ გაფიცულნი ტელევიზიის კიბეებზედა. ეზოშიაც ვერ ეტეოდნენ, რო შეეკრათ რო ქუჩაცა კოსტავასი, გმირთა მოედნის ნახევარიცა, გადაჰფაფროდნენ ზოოპარკსაცა. ნაღებიც იქვე გადასულიყო უნივერსიტეტის კიბეებიდანა, ჟვანიასიო თუ გოგუაძის ნაღები, ადუღებულიყო, გადმოსულიყო, გადასულიყო. ძალებს იკრებდა. გავიმარჯვებთო. გადაიქროლებდნენ კიტოვანის გვარდიელები თავისუფლების მოედანზედა. გადაიქროლებდნენ. გადმოიქროლებდნენ. ლენინის ხელი აღარსაით მიუთითებდა. გადაიქროლებდა ვის საით ენება. დედაი დაბღვერილი ისევე დასცქეროდა იმავე მოედანსა, იმავე მახვილითა, იმავე ჯამითა. მახვილისა არავის ეშინოდა, ჯამს ყველა ჰხაპავდა. ჰხაპავდა. ლენინი გაათრიეს. მოედანს თავისუფლება ერჩივნა. მოქანდაკეს თავისუფალი მოედანი ერჩივნა. ლენინი გაათრიეს. მეფე აღვმართოთო. დავით აღმაშენებელი. ცეკას კარისკაცი არც მოქანდაკე სნამდა პრეზიდენტსა, – სააკაძის ავტორი მითუმეტესა. გიორგი სააკაძე და დავით აღმაშენებელი ერთ თავში როგორ ეტევა, ანთუ: ერთ გულში როგორ ეტევაო, თვითონ სააკაძეს ჰო ორი გული ჰქონდა, ისე უბრალოდ არ იყო ორგულიო. ისიც ჰო: თავშიშველა მეფეო!.. გვირგვინს დავადგამო. რად მოჰხადეო. მოდერნი. გულგამოცლილი ქეთევანისა არ იყოს, გულგამოცლილისა და მუცელგამოქვაბულისა. მოდერნ!.. ვაგლახ!.. დიქტატურა. აი ხელოვნება რა დღეშიაო, წამოქოჩრილიყვნენ გაფიცულნი ტელევიზიისა. წამოქოჩრილიყვნენ. გაფიცხებულიყვნენ. დამცხრალიყო მზეი თბილისისა, ტელევიზიის კიბეები გახურებულიყო. გახურებულიყო. ვარვარებდა. დუღდა. გათბებოდა თბილისი, საქვაბეებისათვის რო მიეერთებინათ. ზამთარი ცივი ახლოვდებოდა. ცივი. ცივი.

XIII

ახლოვდებოდა,
თუმცა რო თითქოს დაშორებულიყო,
დაეხია რო ტელევიზიამდისა.

ჩვენ იქაც ყვავილებით მივალთო, – პრეზიდენტი ბრძანებდა, – ჩვენი იარაღი ყვავილებია, დაე ისინი ზარბაზნებით გვემუქრებოდნენო.

მობრძანდით და მზად გახლავართო, – ოპოზიცია არ ეპუებოდა, – ჩვენ ამას იქით აღარ დავიხევთო.

აღარაო. გამაგრებულიყვნენ. პარტიები ფლანგებზე გაეყვანათ და ტელევიზია წამომდგარიყო მოწინავე სადროშოდა. ტელევიზია აღარა ხუმრობდა. ტოლს აღარ დაიდებდა. წამონეულიყო. აქამდის ლამის მკვდარი ეგონათ. თვითონ სხვა სწამდათ: ასე გადმოსცემდნენ, ასე გადასცემდნენ და სწამდათ ცხადია: საზოგადოებრივი ჰარმონიის უმაღლესი საფეხურისათვის რო მიეღნიათ და რო შეეძლოთ ნებივრობას რო მისცემოდნენ. და მისცემოდნენ. სამიათასი უსაქმური თანამშრომელი. უღიმღამო გადაცემები. უსულო. უგრძნობელი. მომაბეზრებელი განმეორებანი. ხოტბანი უხეიროთა. გამოჩინებანი დასამალავთა. მაინც დრო რჩებოდათ, წელი რო სწყდებოდათ, დრო რჩებოდათ ბევრი. და ავსებდნენ დროსა, ადვილად ავსებდნენ: მულტფილმებითა, მოსკოვური გადაცემებითა. დალოცვილი დისნეი. ბედნიერი მოსკოვი, ანთუ მონყალეი, რო არც რა შურდა უსაქმურთათვისა, არც რო ხელფასები, არც რო პრემიები, არც რო ნარჩინებანი, არა, არაფერი, ოღონდ ყოფილიყვნენ ეგრე ყუჩადა, მინაზებულადა, მიბნედილადა, ოღონდა, ოღონდა, დანარჩენი თვითონ იცოდა, უამათოდაც დაამტკიცებდა სიდიადეს საბჭოეთისა, რუსი ხალხის სიდიადესა. დაამტკიცებდა. დაამტკიცებდა. და ამტკიცებდა. იმათაც ეს უნდოდათ. ამათაც ეს უნდოდათ. მიმტკნარებულიყო. მინაბულიყო. და თურმე ცდებოდა ენერგიაი უზარმაზარი. ცდებოდა. ცვდებოდა. და თუ მაინც ვერ

ივარგებდა შემოქმედებისათვის, ამბოხებისათვის თურმე მზად იყო. და ამბოხდა. გადასჭრა მოსკოვი პრეზიდენტმა და ამბოხდა თბილისის ტელევიზია: რა ამოავსებდა ცარიელ დროსა?!. ვინ ამბობდა დრო არ არისო?!. ნუ არის, ნუმც ყოფილა!.. სატელევიზიო დრო მაინც იყო: გაიჭიმა და გაიჭიმა, თავიც არ უჩანდა, ბოლოც აღარა. დალოცვილი დისნეი!.. ვერა, ველარც დისნეი ჰშველოდა, ფანტასტიკური ფილმებიც ვერა. ამერიკული ისიცა ცხადია, თავიანთი სად ჭირში ჰქონდათ!.. დრო შეესია ტელევიზიასა. დრო აღრჩობდა. ტელევიზია დროს აუმბოხდა. და გამოეფინენ. და ჩამოსხდნენ კიბეებზედა თანამშრომელნი. კვარაცხელიასი თუ ღვინჯილიას კიბეებზედა. ჩამოსხდნენ. ველარც ეტეოდნენ. შიგნით ეტეოდნენ, გარეთ ველარა. ჩამოსხდნენ ისინიცა: მართოდენ, მხოლოდღა ხელფასის დარიგებისას რო ცხადდებოდნენ სამსახურშია, ისინიცა, და ისინიცა, ხელფასიც რო შინ მიერთმეოდათ. ველარ ეტეოდნენ, ველარა ცხადია ჩამოსხდნენ, ჩამოსხდნენ ცივ დღეებში, ცივ ღამეებშიცა, ცივ ნიავსაც რო არ მიიკარებდნენ, ქალნი ისეთნი. მკერდზე ვარდსაც რო არ იკარებდიო.

ჩვენ მაინც ყვავილებით ვეახლებითო.

პოეტური სახე მაინც პოეტური სახეა, ქალი მაინც ვარდებისაა, ვარდებით მივალთ და ვიჭიკჭიკებთ ვარდბულბულიანსაო.

დამჭკნარი ყვავილები ისევ ეყარა რუსთაველზედა, დამჭკნარი, დასრესილი. ქვაღორღისაგან ჰო განმენდილიყო. დიოდა ხალხი. თავისუფლად მიედინებოდა. იდგა ჯგუფებიცა. იგონებდა შავბნელ ღამესა. ოღონდ იმას მაინც ვერავინ მოიგონებდა თუ როგორ დაჰყურებდა ოფიცერთა სახლი, რა კმაყოფილებითა, რა ნეტარებითა. ოფიცრობა დაჰყურებდა რაღა თქმა უნდა, უმაღლესი ოფიცრობაი რუსთა. აღარავისა სცხელოდა იმათთვისა, გადარეულიყო რო რუსთაველი. და ისინიც ჩამტკბარიყვნენ ამითი, რუსთაველი რო გადარეულიყო, ანთუ თბილისი რო გადარეულიყო. იცოდნენ თუ როგორ გადაერიათ. ამასობაში სამაჩაბლოს გამოაცლიდნენ ხელიდანა. ჰა, ჰა, ჰა... იცოდნენ.

იცოდნენ. გულში ხვიხვინებდნენ. ხვიხვი, ხვიხვი, ხვიხვი, ხვიხვი. ჩამტკბარიყვნენ ერთნაირადა, ერთი სახისანი იყვნენ თითქოსაო. და იყვნენ მართლაც ერთი სახისანი, მონგოლოიდური სახისანი, მონგოლობის გარდა სხვა რო ვერაფერი დააჭდო ამათ სიფათსა ვერც რო ძველმა და ვერც რო უახლოესმა ცივილიზაციამა. იდგნენ. დაჰყურებდნენ. იდგნენ, სკამებიც რო აღარ დაეტოვებინათ, გაეზიდნათ რო ყველაფერი. დასცალეთო, უბრძანა ეროვნულმა ხელისუფლებამა. და დაეცალათ, გაეცალათ ყველაფრისაგანა, თვითონ მაინც არ გადიოდნენ. სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი მიინევდა იქ დასამკვიდრებლადა, მეტეხის თეატრი თავისასა ცდილობდა, თვალი ეჭირა გაყოფილ პროფკავშირებსაცა, კერძო ბანკები, ახალი ბანკები ცალცალკე ჩალიჩობდნენ, პარტიები ცალცალკე. ფეხი აეშვირა დიდსა თუ პატარასა, გიჟსა თუ ჭკვიანსა. მალე ესენი დასჭამდნენ ერთმანეთსა, მალე შეესეოდნენ ამ შენობასა და ეგება რო თითო აგური მაინცა რგებოდათ. ჯერ იქა სჭამდნენ, გლეჯდნენ, ფლეთდნენ ერთიმეორესა, ჯერ მუშტებითა, კეტებითა, მერე რა, კეტებითა, და მალე, მალე ფერფლილა იქნებოდა თბილისის ადგილასა. ფერფლი. ნაცარი. გადაუვლიდა და გადმოუვლიდა ჩექმები ნაცარსა. გადაუვლიდა და გადმოუვლიდა. კოჯრის ნიავი აშლიდა ფერფლსა. მონგოლურ სახეებს გადააფენდა, კმაყოფილ სახეებსა, ჩახავსებულსა კმაყოფილებითა. ორდენებსაც გადააფენდა. ფერფლს გადაიყრიდნენ ნკიპურტითა ორდენებიდანა, სულსაც შეუბერავდნენ, სულსა: რო დრტვინავდა, რო ბორგავდა, სხვა ქალაქებიც რო გადაებუგათ კიდევა და კიდევა, ამნაირადა, ამდაგვარადა, და ასევე გადაებერტყათ ფერფლი მომატებული ორდენებიდანა. იდგნენ. დაჰყურებდნენ დახავსებული თვალებითა და უხტოდათ კუნთები ოკრობოკრო სახის ძვლებზედა. ისიც სათქმელია: და უგუბდებოდათ სული კმაყოფილებისაგანა. უგუბდებოდათ. უგუბდებოდათ.

განმენდილიყო რუსთაველი.

გამწყრალი თვალები აღარ შეეფეთებოდა ლუოსა.

დაეხიათ. უკან დაეხიათ ესეიგი. ასე თუ არ ითქვა, ზოგს ეგონება: წიგნები დაეხიათო. საცოდავი ენა. საცოდავი სმენა. საცოდავი წიგნები. უკან დაეხიათ ესეიგიო. აქ ლინჩი აღარ მოებლანდებოდა. ზოოპარკთან იყო შემომწყრალი ხალხი. იქაც მისულიყო: შეეგებებოდნენ სიხარულითა, აიტაცებდნენ, ააბურთავებდნენ: დაგვიბრუნდაო. იცვლებოდნენ ადამიანები, – გადადიოდნენ, გადმოდიოდნენ. არცერთ მხარეს ეს არ უკვირდა: გააცილებდა და მიიღებდა, გააცილებდა ლანძღვა-გინებითა, სიხარულით შეეგებებოდა. ნეიტრალური ზონაც დაეგდოთ: ვერის ბაზრიდან (ჰო აღარც იყო) აბრეშუმის ფაბრიკამდისა. იქ იშვიათად თუ ვინმე გაჩერდებოდა; არცთუ არავინ გაჩერდებოდა: გაყოფილიყვნენ, გათიშულიყვნენ, აღარავინ აღარა ყოყმანობდა. ლუოც არაო, აღარც აქეთ უნდოდა, არც იქით უნდოდა არც რო შუაშიო და არც არსად არ უნდოდა, არც არაფერი აღარ უნდოდა. ყელი გაუცივდა. არც მესიას აღარ იყვირებდა, ჩაუშესკუს მითუფრო არა. მეუღლემ კაშნე გამოუგზავნა. კარგია. მოხდენილი. ფაფუკი. თბილი. შალია, ოღონდ ელამუნება კისერსა ისე, ყელსა ისე, აბრეშუმია თითქოსა. გამოუგზავნა, გამოსდო კისერზე: ბევრსაც ეცადო, ვერ წამიხვალო. დედამაც ლამაზი კაშნე მოუქსოვა. დედა არც იჭერს. დედა დედაა. არც არსაით მიუთითებდა. მაინც ჩაივლიდა ვერის ბაზრიდან აბრეშუმის ფაბრიკამდისა. გაეცლებოდა აქეთურებსა, ვერის მდინარესაც არ გადალახავდა. იქ ერთხელ რიყეზე ცხვრის თავი მოეხარშა მამაშვილსა: ბესოსა და სოსოსა. მამამ არ იცოდა შვილის ასავალ-დასავალი, შვილმა მამისა აღარაფერი აღარ იცოდა. იქ გადაჰყროდნენ შემთხვევითა ერთიმეორესა. ცხვრის თავი მოეხარშათ და დანაყრებულიყვნენ. დანაყრებულიყვნენ: მეტი არაფერი. და მერე ამაყად ამტკიცებდნენ ბიოგრაფოსები სტალინისა: ფეხსაცმელების ფაბრიკაში მუშაობდა მამამისიო. მაშინ იქ ფეხსაცმელების ფაბრიკა გახლდა, აბრეშუმის საქსოვი არა. იყო. აღარ არის. აღარც რიყეო. მდინარეც დამალულა. მოწინააღმდეგე დაბანაკებულა იმას იქითა. დგანან. სხედან. მდგომარე-

ნი ენაცვლებიან მსხდომარეთა. პროტესტი ჯდომაა, დგომა არ არის. ჯდომით იღლებიან, დგომით ისვენებენ, არც რო ადგილი ჰყოფნით კიბეებზედა. გაღმა რო გაჰხედავდნენ, იმ ძველ დროშია: ჭრელ-ჭრელი კარვებიო, ჯორ-აქლემებიო, მოღუნული ხმლებიო, სამხრეთიდან რო შემოდიოდნენ; თოფ-ზარბაზანიო, ჩინ-მედლებიო, ჩრდილოეთიდან რო შემოდიოდნენ. ესენი ისხდნენ. ჩვენ ყვავილებით ვეახლებითო. აბა თქვენ იცითო, – იღიმებოდა კიტოვანი. იკრიჭებოდა.

სხვა ბანაკი ზურგში დაეცათ:

დიღმის მასივში.

აქ თუ შორიდან გაჰყურებდა, იქ შუაგულში აღმოჩნდა ლუოი.

ვერის დაღმართიდან აკადემიის მხარეს უნდა გამძვრალიყო მინის ქვეშა. მანქანაც იქ შეჩერდა. შეიტაცეს და გაიტაცეს. რაღაცა ჰკითხეს. რაღაც მიუგო. რაღაც უსაყვედურეს. თავი იმართლა როგორღაცა. არ ეცნობოდა არცერთი იმათგანი. თუ გამიტაცეს, გამოსასყიდს თუ მოითხოვენ, თავში იხალოს ჩემმა სიმამრმაო. იხალოსო. აინუნშიც არ ჩაუგდია. ასე აღმოჩნდა ზურგის ბანაკში. ახალ უბანში. ტიპიურშიო, – გადაგდებული ხელისუფლება როგორც რო ბრძანებდა და რო არც ენაღვლებოდათ არქიტექტორებსა: ერთი პროექტითაც იოლად გადიოდნენ, ადვილად უარჰყოფდნენ წინაპართა ტრადიციებსა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის შესაბამის ხელოვნებასა ჰქმნიდნენ. უბნელი უბნელს ვეღარ იცნობდა, უახლოესი მეზობლებიც ვეღარ იცნობდნენ ერთიმეორესა. შინიდან გასული ყველა უცხო იყო. ყველა მირბოდა. ყველა მორბოდა. გადადიოდა ერთიმეორეზედა. ერთად თავშეყრილნი ერთს გაჰყვიროდნენ, გაიფანტებოდნენ და ვეღარ აგნებდნენ ერთიმეორესა. ვერც გაარჩევდი დიღმელია თუ აფრიკელიო. აფრიკელიო: თბილისს ესღა აკლდა; აფრიკაც დაურქვეს რო ერთ უბანსა, – ასევე ტიპიურსა, – აკლდა და უბოძეს: ტოპონიმებსაცა შლიდნენ ასე, შლიდნენ და ურევდნენ, თბილისს ურევდნენ ყოველნაირადა. რაც უნდა იყოს: ლუო მაინც ვერ ერ-

კვეოდა, აფრიკას იყო თუ დილმის მასივსა. ის მაინც ეცნო: წინ ვინც იჯდა, მძღოლის გვერდითა. მიტინგიდანა. ერთხელ ერთადაც ნაეტანენ მიკროფონსა, წვერი იმისი ლოყაზედაც მოპხვდა, გაბურძგნული წვერი, შავი წვერი, ნიკაპს აქეთ-იქით თეთრი რო ჩაპკვროდა, გაჯაგული, საკარცხელი რო ვერც გაატანდა; ეცნო, კიდევ კარგი, თორემ ატამანი ის ეგონებოდა, – ის რასაც იტყვის, რა ფასსაც დაადებს, გამოსასყიდ ფასსა, აღარც გადასთქვამს და გულიც გაუსკდება ჩემს სიმამრსაო. ჯანდაბასაო. თანაც გადაპყოლიაო. ფასზე არც არაფერი უთქვამთ. გვარებს ისვროდნენ გაცხარებითა, კინემატოგრაფოსების გვარებსა, ხან ირონიითაცა, ხანაც ზიზღითა, ხან ცოლი და დედაცაო, თუ ქალი გახლდა, მაშინ პირდაპირ გადადიოდნენ. ჩაიცინებდნენ. ჩაბჟირდებოდნენ. უნდა მიმხვდარიყო: დილმის მასივში ვართო. მიპხვდა კიდეცა. გუგაც იქ დაპხვდა. ისე ჩაიყენეს, მანქანიდან რო გადმოვიდნენ და სადარბაზო კარი შეიარეს, – ეს მიპყვებოდა წვერგაჯაგულ კაცსა. გუგამაც იქვე წაავლო ხელი, გამოიყვანა: რა ამბავიაო.

„არ ვიცი!.." ლუომ მართლაც რო არ იცის: „წამავლეს ხელი, შემითრიეს, მეგონა ტყეში გამაქანებდნენ!.."

„მართლა თუ არ იცი, ფეხი აითრიე", ურჩევს გუგაი, „სიფრთხილეს თავი არ ასტკივაო".

„ეგება ვჭირდებით..."

„ალბათ რო... და ფეხი არსად არ უნდა ჩაპყო ბრმადა".

„მეტისმეტსა ზრუნავ ჩემთვისა". ცოტა არ იყოს წყრება ლუოი.

„არც იმდენსა", წყრომას არ იმჩნევს, „ბატკანი დედას რო ასცდება, მწყემსი მიუჩენს..."

„ბევრი ბატკანია დედას ამცდარი, დიდი ჯაფა დაგადგება". ლუო იღიმის,

„მივქარე, გაგაჩერე", წყრება გუგაი, „მიდი, გაეკიდე!.."

„ვის გავეკიდო?!."

„მეც მაგას გეკითხები!.."

დარბაზი ჩოჩქოლებდა. დარბაზი დუღდა. აღარც შეისვლებოდა, აღარც გაისვლებოდა. დუღდა. დუღდა. რაღა

აბანოთუბანიო და რაღა „ქართული ფილმიო". შეიძლებოდა აქაც დაედგათ აბანოები, აქაც ებანავა პუშკინსა და ვერ შეემჩნია ვერაფერი თბილისში აბანოების გარდა, ისევ ისევე, ისევ ისევე რაღა თქმა უნდა. დუღდა. დუღდა. მინისტრი, მოადგილე, კიდევ მოადგილე კინოს დარგში, მოსულიყვნენ დუღილის შესაწყვეტადა. ბრძანება მოეტანათ. ბრძანება შემოუთვლიათ თბილისიდან უფროსებსა: „ქართული ფილმი" ამას სჩადის, „მხედრიონი" რას შეიძლებსაო. ბრძანება მოეტანათ. ბ-ნი მინისტრი უხსნიდა: სულ სხვა სტატუსი ექნება ქართულ კინემატოგრაფსა, დირექტორი აღარც ეყოლება, კოლეგია წარუძღვებაო. უხსნიდა. ვერ უხსნიდა. რატომაო, გაიძახოდნენ. უხსნიდა. მაინც არ უჯერებდნენ. არ უჯერებდნენ და ნუ უჯერებდნენ: ბრძანება ესაა, მე დავამთავრეო, – აცხადებდა მინისტრი, – კეთილი ინებეთ და დაემორჩილეთო. არ დავემორჩილებითო. დარწმუნება უნდოდა. ბ-ნი გუგუშვილი ცდილობდა დაერწმუნებინა, ნემსის ყუნწში ძვრებოდა ბ-ნი მარჯანიშვილი. ამბობდნენ, ამბობდნენ, შლიდნენ ხელებსა. არ იყო საშველი. მეტი რა ეღონათ, – ციცერონები ესენი არ იყვნენ. ანთუ ციცერონს ვიღა უჯერებდა, ისიც ჰო განდევნეს და აწონიალესო. თუნდაც რო მართლაც ციცერონები ყოფილიყვნენ ზეობისნლებისა, იქ რო ვინც ისხდნენ, ისინი ბრძანდებოდნენ უარესი ციცერონები. ენაზე ჭალი არ მოედებოდათ. მძიმე არ იცოდნენ, წერტილი არ იცოდნენ, კითხვის ნიშნები აუარებელი: პასუხსაც ვეღარ ასდიოდნენ. და იჯდა დირექტორი გასუსული, თავს თუ გაჰხრიდა იშვიათადა, თავს თუო, ოღონდ კისერს ვერაო, გაჰხრიდა მშვიდადა, გაჰხედავდა მშვიდადა: ასაღელვებელი არც არა ჰქონდა, – ჩვენ არას ვემდურით ჩვენს დირექტორსა, არც ჩვენს სტატუსს არას ვემდურით, არაფრის შეცვლა ჩვენ არ გვინდაო. აუცილებელიაო, – ამტკიცებდა ბ-ნი გუგუშვილი, – ჩვენ სრულიად ახალ ეკონომიკურ ურთიერთობას ვიწყებთ, ერთი კაცი ვერას გაანყობს, კოლეგია თუ გასწვდებაო. და იცინოდა დარბაზი და ცხარობდა დარბაზი და გუგუნებდა დარბაზი და ტაშს უკრავდა დარბაზი, –

ტაშს უკრავდნენ ერთიმეორესა. კოლეგიამ ჰო გადარია დარბაზი, – სამი კაცი დაუსახელეს. ვინ იცნობთ ამ ხალხსაო, – სკამზე შეჰხტა ქალი – რეჟისორი. „ააااااარრررررررااااااავვვვვიااინა!.. ااااარررررررااااااავვვვვიااااااინننننااااا!.. ااااااარررررااااااავვვვვიااننننننااااااا!.." აყვირდა დარბაზი. კეთილიო, – ბრძანა ბ-ნ მარჯანიშვილმა, თმაწვერგაჯაგულმა კაცმა, – სამი კაცი რახან გეცოტავებათ, ხუთი იყოსო: ერთს კიდევ მედავასახელებ, მეორე – თქვენაო. ბრძანა და თვალი შემოატარა, მიატარა და მოატარა: ვერსად დაინახა, ვერც რო ნინ სადმე, ვერც უკანა რიგებში, ვერც აყუდებულებში კედლებთანა, ვერც გამოჩრილებში ღია კართანა, ვერც დაინახა, ვერ მოიგონა სახელიცა, ვერა, ვერც გვარი, ვერა, ანთუ ისიც აღარ ახსოვდა, ვისთუ ეძებდა. მაინც აეფარა ლუოსა გუგაი. ესენი კარებში გამოჩრილიყვნენ. აეფარა უნებლიედა. ვიღაცამ გაჰკრა მხარი თუ მუხლი თვითონვე შეუტორტმანდა. რაც იყო, იყო, აეფარა, მერეღა მიჰხვდა მოუბოდიშა:

„თუმცა შესაძლოა ასეცა სჯობდეს..." დასძენს ამასაცა.

„რას რა უნდა სჯობდეს?.." ლუო ვერ მიმხვდარა.

„შორს იყვე..."

„განა ახლოსა ვარ?.."

„ყველას თავისი მომხრე სჭირდება. მიგიახლოვებენ და განნირული აღმოჩნდები".

„ძალიან მიფრთხილდები!.."

„არა. მე ვფრთხილობ და თავს ვეღარა ვფარავ".

„მე არა ვფრთხილობ. მე აღარც ვიცი თუ რა მინდა..."

„ეკრანზედაც აღარა ფიქრობ?.."

„ეკრანზე..."

„ჰო ვიცი: იქ რაც უნდა მოჰხდეს, ჩვენ საქმე მაინც ამათთან გვექნება. აქ ბრძოლაა დაუნდობელი. ახალი სტატუსი... ახალი სტრუქტურები... თამაშია. აქ ბუდეა ნინააღმდეგობისა და ამისი დაშლა ნებავს ხელისუფლებასა. რეზოს ამიტომა ჰხსნიან. თავიანთი ხალხი უნდათ. შენც თუ მაგათი ხარ, – შენ იცი, მაგრამ ამბობ: შემთხვევით

მოვხვდიო. თუნდაც არ იყო შემთხვევითა, ნუ გექნება მაინც მაგათი იმედი. შეთქმულება უფრო ძლიერია, უფრო ღრმაა და უფრო ღრმა ფესვები აქვს, ვიდრე მოსჩანს, ვიდრე ჰგონიათ. მე დამარწმუნეს. ჩემს ვარაუდებს არ მოგახსენებ". დარბაზიდან ჩოჩქოლი ისმის მომეტებული. განს გასულიყვნენ. გუგა მიირბენს კარებთანა. გამობრუნდება. „აქ ყველაფერი ასევე დარჩება და თუ ფეხი გადაგიბრუნდა: სამუდამოდ უნდა გამოეთხოვო ეკრანზე ოცნებასა. სამუდამოდა. ფიანდაზებს რო არ გიგებენ არც რო თეატრში – რაღას აპირებ?.. გდიდს მიბრუნდები?.. არა!.. მაშ გეშინოდეს. მე მეშინიან. ყველას ვეღერები, ყველას კუდში დავდევ: დამინახეთ, თქვენი ვარმეთქი. მაინც მეშინიან. უმუშევარი მსახიობი და მანანნალა ძაღლი ერთია. იქ ამას შენ ვერ გაიგებდი, აქ მე ვინვნიე და ღმერთმა ნულარ განმაცდევინოს. უარესი იქნება. უკეთესიც შეიძლება იყოს ოდესმე, მაგრამ ჯერ მხოლოდ უარესს ელიან. თანხმობასა ჰქადაგებენ, მძვინვარება მატულობს".

„მატულობს..."

„თანხმობა აქ მაინც არ მოხერხდება", გუგა ხელს ჩაიქნევს, „არა, არა, არ მოხერხდება. პრეზიდენტს ამათი არაფერი სნამს. სასაცილოდაც არა ჰყოფნის ამათი ფილმები. ეროვნული სული დაგიკარგიათო. ესენიც ჰო: ხან ფელინით გადაირევიან, ხან ვისით არა. მთავარი მაინც უფრო ის არის, რო არ მოსნონან აქამდის წარჩინებულნი პრეზიდენტსა. არ მოსწონან. აბუჩად იგდებს. არც არას დაუთმობს. ესენიც დათმობას არ აპირებენ. რუსეთსა ჰკარგავენ. აბა!.. ბაზარი ისაა „ქართული ფილმისა". სხვაგან სადღა გაასაღებენ?.. ფესტივალების პრემიები მოჩვენებაა, ბრჭყვიალებაა, დახლი არ არის; ბაზარი ბაზარია, დახლი დახლია, სხვაგან დახლი არ დაუდგებათ. ევროპა ვერ უძლებს ამერიკის კონკურენციასა; ახლა იაპონიისაც წამოენიათ, ესენი გაუძლებენ?!. მე შენ გეტყვი „ბაგრატიონისათვის" გადაირევიან, ანთუ ის რა არის?.. რა მქვიანო?.. გუშინ უჩვენებდნენ. სახელიც აღარ მაგონდება. ინდურმა ფილმებმა ჰო ჩვენვე ნაგვლეკა!.. სად რას გაიტანენ, სხვაგან სადა,

რუსეთის გარდა, – და აი მოეჭრათ გზაი რუსეთისა. მოეჭ-
რათ. მოსკოვში უსწავლიათ, მოსკოვის სულით გაბერი-
ლან, მოსკოვის თვალით იცქირებიან, მოსკოვს ანონებენ
თავსა. მოსკოვია ამათი დედაქალაქი, თბილისი მხოლოდ
სახელოსნოა, სტუდიაა, გადასაღებიმოედანი, უკეთეს
შემთხვევაში პროვინციაა და მეტი არაფერი. თუ კითხუ-
ლობენ, ქართულად მაინც არაფერს არა კითხულობენ. ერ-
თი გიგამ წაიკითხა ნოდარ დუმბაძეი და მერე ყველამ ის
გადაიღო. „დათა თუთაშხიაც" გიგამ წაიკითხა. ამათ არც
იციან, კიდევ თუ სხვა რამეც დაწერილა საქართველოში.
არა, არც იციან და არც დაიჯერებენ. ფესტივალებზეც
მოსკოვიდან გადიან. სხვა გზა არც იციან და არც ეგულე-
ბათ. ყველა გზა მოჭრილია, ყველა გზა მოსკოვს მიდის.
რას დაუთმობენ?!. გამსახურდიას არ უნდა მოსკოვი, ესე-
ნიც არ უნდა. ან უნდა დაიმორჩილოს ან არ უნდა. ამათ
მორჩილება აღარ უნდათ, ამათ დამხობა უნდათ გამსა-
ხურდიასი. იმას ერჩივნა თავი მიენებებინა ამათთვისა...
რა ეკინოება, მეტი საქმე არა აქვს?!."

„დამხობა თუ უნდათ?.."

„ძაღლის თავიც მანდ არის დამარხული. მაგრამ გამი-
გონე: ფრონტმა უკვე გადაინაცვლა, ბრძოლის საგანი ახ-
ლა ტელევიზიაა. ესენიც იქა სხედან იმ კიბეებზედა. გამო-
იქცნენ და აქაც დაჰხვდნენ. გაიქცევიან და ისევ იქავე
დასკუპდებიან. არც აქ დაუთმობენ, იქაც გაიტანენ თავი-
ანთსასა. დამიჯერე. თუ არ ენდობი ჩემს ჭკუასა, არ იფიქ-
რო რო ჩემი ჭკუისაა, რასაც გეუბნები. ერთი ათ კაცს მა-
ინც ველაპარაკე, გამობრძმედილსა და ამ ამბებთან ახლოს
მდგომელსა, ისე აშკარად რო არ სჩანან, ოღონდ რო ჰხე-
დავენ ყველაფერსა ჩვენზე უკეთესადა. ზედაპირზე სულ
სხვა რამ მოსჩანს, მოვლენებს განსაზღვრავს ქვედა დინე-
ბანიო. რუსებმა ერეკლეს დროს რო ქსელები დაგვიგეს,
ისევ იმ ქსელებში ვართ გახლართულნი. ასე ამიხსნეს და
ამ თვალით მივყვები მეცა. დამიჯერე. რა ჰხდება?.." კულ-
ტურის მინისტრი გამოარღვევს კარსმიცობილებსა, გამო-
არღვევს, დატრიალდება ფოიეში, ხელს ჩაიქნევს და თავ-

ქვე დაეშვება. ის დაეშვება, ესენი კარს მიეცობიან. დარბაზი დარბაზს დარჩენია, ანთუ დარჩენიათ მოდარბაზეთა. ცალ ფრთაზე ბ-ნი ელდარი გასულა, მეორე ფრთაზე ლანა – ქალბატონი. ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ, ხან მონაცვლეობითა, ხან ერთადაცა, დუეტი არის თითქოსაო, ორივე ხმა რო მკაფიოდ გაისმის, სიტყვები რო არ განსხვავდება. მაინც გამოჰკვეთს ქალის ხმაი, ხმაი ჩახლეჩილი თუ დახლეჩილი, ანთუ დაბზარული, ანთუ რაც არის, გამოჰკვეთს მაინცა:

„მარჯანიშვილი მაინც არ იყვეთ!.."

„რატომა?!. რატომ?!. რატომ არ უნდა ვიყვე მარჯანიშვილი?!." უკვირს, უკვირს, ძალიან უკვირს ბ-ნ მარჯანიშვილსა.

„არც ესმის!.." ციმციმებს თვალნი ქ-ნ ლანასი.

„რაც უნდა იყოს, ზრდილობა მაინც უნდა შევინარჩუნოთ..." ნყრება ბ-ნი მარჯანიშვილი.

„ღმერთო მომკალი!.. მე მასნავლით ზრდილობას?!." პირჯვარს იწერს ლანა-ქალბატონი.

„ვინ ასნავლის ზრდილობას ქალბატონ ლანასა?!." წამოიჭრებიან ახალგაზრდა რეჟისორები. ეს უკვე მოსკოვური სკოლა აღარ არის, ეს უკვე თბილისური სკოლაა: თვითონვე წერენ და თვითონვე დგამენ. ფესტივალებზე გასულან ესენიცა, ჩამოუტანიათ პალმის რტოები. წამოიჭრებიან.

ამათაც მიუგებს ბ-ნი მარჯანიშვილი, თუ რას მიუგებს არ ისმის ნვერ-ულვაშში, ეგებ რო დედასაც იგინებაო. საქმე იქამდისაც მისულა, სხვაგვარ ლაპარაკს აზრიც აღარა აქვს. ეგებ დედასაც იგინებაო. ყოველშემთხვევაში აღარც მოიცდის, დაადგება მინისტრის გზასა. დაადგება. დაეძგერება თავდახრილი კარსმოცობილთა. ლუოს მაინც შეავლებს თვალსა. იცნობს თუ ვერცა. ბუნდად რაღაცთუ მოაგონდება. ბუნდადა. ბუნდადა. ანთუ არცაო: თავდახრილივე გაარღვევს დუნდგოსა. წავა. წავა. გაეკიდება. ბ-ნი გუგუშვილი თავის ჩონგურს დამღერის ისევა: ახალი სტრუქტურები ჩვენ ამგვარად გვესახებაო. ყველა ქაქანებს. ყვე-

ლა ყაყანებს. აიშლებიან. ბრუნავენ ჯგუფებადა. ბრუნავენ. ტრიალებენ. აწყდებიან ერთიმეორესა. ეხლებიან. ეჯახებიან. არავის არ ესმის. ყველას უნდა, მას რო უსმენდნენ, მაგრამ ყველას თავისი ესმის; არავის რო არ ესმის არავისი, მერე თავისიც აღარ ესმის. არა. აღარა. სახეებსაც ვეღარ გაარჩევს ნაშლილ-ნამოშლილთა, გადაბღაჯნილთა, თვითონაც რო სახე ნაშლია. ვერც გაიგებენ როდის თუ დასტოვებს ტრიბუნასა ბ-ნი გუგუშვილი, ვერც თვითონ გაიგებს, ტრიბუნაზეა თუ მანქანაში ჯდებაო, იქამდის რო მისდევენ ქაქანითა, ხელების ქნევითა და ნაშლილი სახეებითა. შედეგიც ალბათ ვერ გაიგებოდა: სამინისტრომ მოჰხსნა დირექტორი, „ქართულმა ფილმმა" კოლეგია არ მიიღო. ოღონდ: ორივემ მაინც მიზანს მიაღწია, – ხელისუფლებამ მოჰხსნა წინააღმდეგობაი დიღმის მასივშია, „ქართული ფილმი" ერთიანად გადაბარგდა ტელევიზიის კიბეებზედა. ნახევრად იქ იყო, ნახევრად აქა: გადაბარგდა ერთიანადა. ჰხდებოდა ძალების კონცენტრაციაო, – ასედაც იტყვიან. არღვევდა რასაც რო ხელისუფლება, მიედინებოდა წინააღმდეგობაში. შავნაბადა იკრიჭებოდა. იკრიჭებოდა. ივსებოდა. ივსებოდა. პრესა, პარტიები, შეიარაღებული რაზმებითა, ჭლინკებზე დგებოდნენ: დაგვინახეო. დაგვინახეო. და ეუტავდა თვალებსა შავნაბადაი, ეუტავდა და ისე ჰხედავდა. ჰხედავდა უფრო უკეთესადა. განიარაღდითო, ბრძანებდა პრეზიდენტი. უფრო და უფრო იარაღდებოდნენ. რუსის გარნიზონები ჰყიდიდნენ იარაღსა, ჯერ ჩალის ფასადა, მერე მამასისხლადა. ჩალის ფასად ჰო იძენდნენ და იძენდნენ, მამასისხლად უფრო იძენდნენ. ხან კარსაც გაუღებდნენ: ვითომ თავს დაგვესხით, ვითომ მოგვტაცეთო. წაიღეთ. წაიღეთ. ჰხოცეთ ერთმანეთიო. ვეღარც ითმენდნენ სისხლმოწყურებულნი: შეიტყუებდნენ, აგანგაშდებოდნენ, შემოგვეჭრნენო, ჩაჰხოცავდნენ დანდობილებსა; და მოედებოდნენ მერე ქალაქსა ტანკებითა, გორს რო მოედვნენ, – ანგრევდნენ, ლენავდნენ, რაც რო მოჰხვდებოდათ, ცხრილავდნენ ხალხსა, სადაც მოასწრებდნენ, ვისაც მოასწრებდნენ, ვინც უნდა ყო-

ფილიყო, ოღონდ სისხლი გადმოსჩქეფებოდა. იკლავდნენ ჟინსა და ვერც იკლავდნენ, აქეზებდნენ უფრო ცხარედა: ბარემ დაინყეთ, რაღას უცდიათო. სისხლის სუნი იდგა პაერში. ღამდებოდა რო სისხლისფერადა. თენდებოდა სისხლისფერადვე. მიტინგები გრძელდებოდა ისევა სასახლესთანა. კარვებიც ისევე გაჭიმულიყო. კარვებში აღარავინ იწვა, აღარა შიმშილობდნენ. მაინც შედიოდნენ კარვებშია. კარვებიდან ჭოჭი გამოდიოდა. მიედინებოდა ნაკადულებადა. რას იზამ: ადამიანი ბუნებისმიერია, ყველაფერი ბუნებისმიერია, ადამიანს ანყვეტა უნდა ბუნებისგანა. რას იზამ. გრძელდებოდა მიტინგები. სასახლე აღარ იმუქრებოდა. ჩვენ ისევ ყვავილებით მივალთო. ჩვენი იარაღი ყვავილებიაო. ყველაფერი ჰო მე ვასნავლეო, – პრეზიდენტი ბრძანებდა, ანთუ იმეორებდა, – შიმშილობა მე ვასნავლეო, გაფიცვები მე ვასწავლეო, მიტინგები მე ვასწავლეო, გზების გადახიდვა მე ვასწავლეო, რკინიგზის აყრა მე ვასწავლეო, ახლა ყვავილების მიტანას ვასწავლი, განმეორება ცოდნის დედააო. ჩვენი გზა ესაა: ყვავილებია, ახლა ჩვენი ხსნა თანხმობა არისო. თანხმობა არისო, – გუგუნებდა სასახლის მოედანი. რუსთაველი გუგუნებდა. არაო, – გრიალებდა ტელევიზია. გამხდარი მგლები კანკალებდნენ ზოოპარკშია, გამხდარი, გამხჭვალი, ყმუილის თავიც რო აღარა ჰქონდა შიმშილისაგანა. ლუო დირექტორს ეხვენებოდა: აჭამე რამეო. მხრებს იჩეჩავდა დირექტორი. ლუოც ისევე დალასლასებდა. ვეღარ გამოკეთდა წყნეთის შემდგომა. დილმის შემდგომ გაუარესდა, თუმცა რო იქ არაფერს არ გადაჰყრია გარდა გუგას შეგონებებისა. ისევ გუგა ურჩევდა: ექიმს მიმართეო. სწამდა რო?!. არა!.. არც იცოდა ექიმი. სადმე სუფრაზე თუ გააცნობდნენ: ექიმიაო. და ის ექიმი ყველაზე მეტსა სვამდა, ეჯიბრებოდა თამადასა. ექიმობაც ეს თუ ეგონა. ანთუ ბინდბუნდად გაახსენდებოდა თეთრი ხალათები, უამური სუნი, სადღაც დედას რო მოუყვანია ბავშვობისასა რაღა თქმა უნდა. ეტყობა იქავე უნდა მისულიყო, ანთუ იმგვარსავე დანესებულებაშია. არ აჰყვა გუგასა. დედასთან დაიჩივლა. იგივე ურჩია დედამა-

ცა. ცოლსაც შეუთვალა. თავს გაუფრთხილდიო, – დაებარებინა ცოლსა, გამოეტანებინა ფულიცა აგრეთვე. ფული ყველაფრის წამალი გახლდა. კიდევაც გამოადგა. ახლა თვითონაც დაპპატიჟა ჯიბო და გუგაი. მცხეთას ეწვივნენ. მარანში ჩასხდნენ. ერთი კიდევ სხვაც მოიყოლეს. ექიმიაო, გააცნეს ლუოსა. არ გაპკვირვებია რაღა თქმა უნდა, არა ცხადია: სვამდა რო ისიცა გდიდელი ექიმებივითა, სვამდა, აჩქარებდა სადღეგრძელო თუ შეგვიანდებოდა. ლუომ აიწყვიტა: მოვიდეს ბარემ, რაც მოსასვლელია: დალია, იმღერა, იცეკვა, იქადაგა, გუგა ამოიღო თვალშია, რაც იქ ვერ უთხრა, აქ გაუსნორა. მორჩა, ამას აღარაფერი აღარ ეშველებაო, გუგამა თქვა. სად თუ რაიო, – ეს მაინც ეშველა: ჩიტივით წამოფრინდა მეორე დღესა, როგორც რო სჩვეოდა, როგორც რო ახსოვდა თავი. რამაც მოგკლას, იმან მოგარჩინოსო, – ექიმმა ხელი დაპკრა ბეჭებზედა. ეგება სწორედ ამან უშველა. ექსტრასენსები მომრავლებულიყვნენ, დამუხტულიყო ხელი უამრავთა, ანთუ მართლაო, ანთუ ეგონათ, ანთუ რაც იყო: ეს ნამოფრინდა ჩიტივითაო, – ტოროლასავითა; თვალებს მიაფეთებს სისხლისფერ განთიადსა. მიაფეთებს.

XIV

ხალისი აპყვება. ხალისი გაპყვება.

რაღაც მოუნდება. ვიღაც მოუნდება.

ლინკასკენ კარი გადაუკეტია. დაიპარება, შინ როცა მიდის, ჩქამმა იქით არ გააღნიოსო. თათიას გაურბის, დედას როცა მოინახულებს. გამოეკიდება. მერეო. მერეო. აღარც სუფრა უნდა, აღარც თანამეინახენი. ახალ ნაცნობებსაც აღარ ეძიებს. რაღაც სხვა უნდა. არც იცის თუ რა უნდა: სახიერია თუ უსახური, აღმტაცია თუ დამამდაბლებელი, – არც იცის, ვერც ნარმოუდგენია თუ უნდა რამე, ლამის ისიც ვერ გაუგია. მიტინგზე გული აღარ უდგება, სასახლის მიტინგზედა რაღა თქმა უნდა. აუვლის, ჩაუვ-

ლის, გარს შემოუვლის, არა, გული აღარ უდგება. აღარც აღარაფერი ხდება ისეთი: თანხმობას მოითხოვენ, მოთმინებას მოითხოვენ და ყვავილებსა ჰპირდებიან. ამ ყვავილებსაც იგივე მოჰყვება, იგივე ცემა-ტყეპა, ანთუ უარესი, სისხლი მოჰყვება. აფრთხილებს კიტოვანი: ხალხს თუ შეეხებით, არ გაპატიებთო. ხალხი ის არის: ტელევიზორთანაა ხალხი, ამ მონოდების მიხედვითა. ყვავილებიც შეხებაა, ყვავილებიც საბაბი იქნება. არა, ეს არ უნდა, რაღაც სხვა უნდა, ანთუ ეგებ რო აღარ უნდა აღარაფერი და სწორედ ესაა ნდომის წყურვილი, გაურკვეველი ნდომის წყურვილი. აღარ უნდა აღარც თბილისი, გდიდი ჰო აღარა, და არც აქედან წასვლა არ უნდა. სადმე ყრუ ადგილს დავესახლებიო: იმან იცოდა თუ რაც უნდოდა, – ყრუ ადგილი, უადამიანო, ადამიანებს რო დაეკარგათ ადამიანობა და მხოლოდ უადამიანო გარემოშიღა თუ შეინარჩუნებდა ადამიანობასა. იმან იცოდა. ამან არა, ამდენიც არ იცოდა და აღარც აღარაფერი გაეგებოდა: მიექანებოდა და დაბმულიყო, გახელებულიყო და დამბლა დასცემოდა, სწყუროდა და ყელში წვეთი არ ჩასდიოდა. მაინც გადალახავს ნეიტრალურ ზონასა, ზურგში ჰო მოექცა ოპოზიციასა, ახლა პირდაპირ გადალახავს, ანთუ არცთუ პირდაპირაო: უნივერსიტეტიდან ჩაჰყვება ვარაზის ხევსა. ქვიშით გატენილი ტომრები დაუყრიათ ხევის ნაპირასა. ზოოპარკსაც გასდევს ქვიშის ტომრები. ყვავილებს ელიან კოსტავას ქუჩიდანა, სანაპიროდანაც შეიძლება, აქაც ეტყობა თადარიგს იჭერენ. მოედანი ცარიელია. ტელევიზიასთან გამაგრებულან. მოშიშვლებულა მოედანი. მტერმა მ̣ოედანი უნდა გადმოლახოს, მოშიშვლებული მოედანი. მაღლიდან დასცქერის ეზოი ტელევიზიისა. ქვიშის ტომრები შემორიგებია. დაბლა, შუაქუჩაში ზარბაზანი გაიმართება მერე. ბეტეერები ამოუდგებიან აქეთ-იქით. მერე. დაბლაო, ოლონდ მოედანს დაჰყურებს. მერეა ხალხი, – არ შეეხოთო, კიტოვანი რო ბრძანებს, მერეა კიბეები და ჩამომსხდარნი კიბეებზედა, ბორდიურებზეცა, ფერდობებს რო იკავებს თუ ამშვენებს და იქაც რო ჩამომსხდარა ხალხი. ყველაფე-

რი რიგზეა სტრატეგიის თვალსაზრისითა. რიგზეა. რიგზე. წუნს ვერ შეიტანენ. ეგაა, რო თავი ვერ გამოუჩენიათ სამაჩაბლოში. იქ არც სტრატეგია გააჩნიათ, არც ტაქტიკაი. არც ჭკუა ჰყოფნით. აქ წუნს ვერ დასდებ. მიდი და მიუტანე ყვავილები: ეს მაინც უყვავილებოდ მიდის. მიეგებებიან. მიეგებებიან სწორედ ისინი, რუსთაველზე რო ლინჩი დაუდეს, რუსთაველი რო დაუტოვებიათ; ნუ გეშინიანო, ანუგეშებენ, ჩვენ ისევ დავბრუნდებით რუსთაველზედაო. იმათ იციან რაც რო უნდათ. ამან არ იცის. იქაც იყო, აქაც მოვიდა, არაფერი ამით არ შეცვლილა. აღარც აქ უნდა და იქაც ჰო აღარა, აღარც ნეიტრალური ზონა აღარ უნდა და დესანტობაც აღარა. არა. აღარა. ეს ის არ არის, რაც ამას უნდა. ეს მაინც იცის, ის თუ არ იცის თუ რა უნდა.

აქაც მიტინგია.

იქაც მიტინგია. აქაც მიტინგია.

იქ აღარა ცხარობენ. აქ ისევა ცხარობენ, ანთუ უფროცა ცხარობენ, უფროდაუფრო.

ორატორები იცვლებიან. ორატორები იმუქრებიან. წამოიშლებიან ჩამომსხდარნი კიბეებზედა, წამოიშლებიან ფერდობებზე ჩაყუნტულნიცა, წამოიშლებიან, წამოიჭრებიან, წამოისვრიან დამუშტულ ხელებსა, შეჰყვირებენ და ჩასხდებიან. გაიმეორებენ დროდადრო ასე, – ინვეევენ თუ იმუქრებიანო. ერთიცაა და მეორეცაო. მიკროფონი კარებთანაა. მოპიკეტეებიც იქავე არიან. მთლად ეს მიტინგიც რო პიკეტირებაა: თანამგრძნობელნიცა, მოსეირენიცა, გაუგებრად მოსული ხალხიცა. გარედან შიგნით ვერავინ შესულა. შიგნით ადმინისტრაცია გამოკეტილა. ხელისუფლებამ ესღა მოასწრო: ადმინისტრაცია თავისი ჰყავს. შეთქმულებს არ უშვებენ ისინი პულტებთანა. შეთქმულნი დიქტორებს გარედან არ უშვებენ, არც დიქტორებსა, არც შემოქმედებით ჯგუფებსა, არავისა, არავისა: ისხედით მაგ დაყრუებულ პულტებთანაო. ტელევიზია მოქმედებს მაინცა. მოძრავი სადგური მოქმედებს. სასახლეში გაუტანიათ. სასახლიდანა მოქმედებს: ინფორმაციას ჰო გადასცემს და გადასცემს, მულტფილმებსაც გადასცემს, ამერიკულ

ფანტასტიურ ფილმებსაცა. შეუძლიან რო მოსკოვიც ჩართოს. არ ჩართავს ცხადია. მოსკოვის გაგონება აღარ უნდა პრეზიდენტსა, რუსულის გაგონება აღარ უნდა. ყურმა მოისვენა, გათანგულმა ყურმა, საცოდავმა ყურმა, მოისვენა, მოისვენა. საგულისხმო აქ ისიცაა: 3-ოდე კაცი თუ ემსახურება ამ გადაცემებსა, ხოლო დანარჩენი – 2997 აგერ აქ არის: აგერა ზის, – როგორც რო ფარა, – აგერა დგას, ანუ თავს ადგას, ემანდ ფარა არ აიშალოსო, არ გაიფანტოსო, – აგერა ორატორობს, მიმატებია რო კინოსტუდიებიცა, თეატრებიცა, უნივერსიტეტი ჰო გადმოდუღებულა და გადმოდუღებულა, ძველი, პირველი უნივერსიტეტი, ახალი – არა, ტექნიკური – არა: იქვეა, დაჰყურებს, ჩაბნელებული, გამოყრუებული; არ მოსწონს ეს ჯანყი, ეს ამდენი მუქარა, ეს განრისხება აუბორკავი, – კარგს არას მოასწავებს. არა. არა. ამდენი მგელის ყმუილი ამაოდ არ ჩაივლისო. წამლის სუნი დგას. ტყვიის სუნი დგას. სისხლის სუნი დგას. ამას შეეძლო გადარჩენოდა ქალაქის შფოთსა და აურზაურსა: ტექნიკურ უნივერსიტეტსა. რა უნდოდა შუაქალაქში?.. თავიდანვე რო ვერ მოიფიქრა, ზურაბ ჭავჭავაძე ურჩევდა ახლახანსა: გადით ახალქალაქსა მთელის თქვენით ავლადიდებითაო. ამხელა ძალა და ასეთი ძალა უნდა გავიყვანოთ იქა თუ მართლა გვინდა ქართლს დავუბრუნოთ ქვემო ქართლიო. თუ მართლა გვინდაო თუ ყველას გვინდაო. ქართლი თუ გვნამს. საქართველო თუ გვნამსო. პროფესურა გადაირია, ვიდრე ქალაქი გადაირეოდა. რამ გადარიაო, შუაქალაქისათვის რა თავს იკლავენო: მე შენ გეტყვი და ოპერას ვერ შეელევიან, სიმფონიურ კონცერტებსაც ვერა, პრემიერას არ გამოსტოვებენ არც ერთ თეატრში, – მე შენ გეტყვიო; მე შენ გეტყვი და ფეხს მოიცვლიან ტელევიზორიდანა; ნუ მოიცვლიან; ახალქალაქში ერევანსაც ჩართავენ, ბაქოსაც ჩართავენ, სტამბოლსაცაო.

სტამბოლს ვერაო, – ნიკო განაცხადებს.

რაო, ვერ გასძლებენ უსტამბოლოდაო, – სიკო დაიღმიჭება.

მადა ჭამაში მოდისო, – ნიკო განუმარტავს.

მამა უცხონდათო, – ბრაზობს სიკოი. – არა და ჩართონ, შენ რა გინდაო.

ვერ ჩართავენო, – ნიკო თავის სიტყვაზე დგას.

ორივე ეცნობა, სკოლიდან ეცნობა. სკოლის დრამწრეში ესენიც დადიოდნენ. მერე რაღაც სხვა გზა აირჩიეს, ეს აღარ იცის. რაც უნდა იყოს, აგერა დაობენ და ეტყობათ ამისი ჩათრევაც უნდათ. ეგება სხვებიც აიყოლიონ. ეგება რო შეჰქმნან პარტიებიცა: ნიკოელები და სიკოელები. ეგება რო იარაღიც აისხან. არა, საკვირველი არაფერია. აისხან, გაიყონ ქუჩები და ტყვია დაუშინონ ერთიმეორესა. ჭურვები, ჭურვები, გრადის ჭურვები დაუშინონ. დაუშინონ რამდენიც ენებოთ. მოსკოვი ამათაც გამოუყოფდა საკმარის საჭურველსა. დაუშინონ. დაუშინონ. ნიკოელები და სიკოელები. ჯერ ისევ მიკროფონი უშენს. შეწუხებულან პროფესორები. ინტელექტუალები შენუხებულან. შეწუხებულან და განრისხებულან: პეტრიაშვილი დაგვიყენეს ნიმუშადა, მასწავლებლად პეტრიაშვილი დაგვიდგინესო. პეტრიაშვილიო. პეტრიაშვილსაო. პეტრიაშვილმაო. პეტრიაშვილო შენი... აქამდეც მიდიან ინტელექტუალები, გამწარებულან ისე იმგვარადა. ვილაცას უნდა ახლა სხვა რო თქვას: პეტრიაშვილი არ არის მთავარიო. როგორთუ არაო, – შეჰყვირებენ ერთობლივადა. დამაცადეთო. გამოგვივიდა ესეც მეორე გამსახურდია: აუხირებია, დამაცადეთო. არ დააცდიან, ჯერ აქ ამასა, მერე იმასაცა. და კვესავს სიტყვები და ცვივა ნაპერწკალი და ადის ბოლი და ალი ავარდება, სიტყვათა ალი რაღა თქმა უნდა და ხანძრად იქცევა გარემოი ტელევიზიისა. ვერე ლაპლაპებს თუ სადმე მოსჩანს, ქალაქი ზედ რო გადამხობია. და წრიალებენ ბინადარნი ზოოპარკისა. გალიებს აწყდებიან, ჭყვირიან, წივიან; იმდენსაც ვერაო, ადამიანები რო გადაჰფარონ, რადგან მცირენი გადარჩენილან. გამეჩხერებულა ზოოპარკიცა. ალბათ ძროხასლა თუ დააბამენ ზოოპარკშია, მალე ძროხაც რო აღარ იქნება საქართველოში. რაც თუ იქნება, ჯერ ენთო ხანძარი სიტყვისაი და უკეთებდნენ კვარივით სიტყვებსა, უკეთებდნენ და უკეთებდნენ. ენთო ხანძარი და წიოდა ზოოპარკი.

კუდს თუ აგლეჯავენ ფარშავანგსაო, – ვიღაცა ქილიკობს.

„გრცხვენოდეთ!..“ ვიღაცაც თავს ვერ შეიკავებს.

„შემოპარულია!..“ შეჰყვირებს ერთი და ჩოჩქოლი ათგან ატყდება. ყველა ეძებს შემოპარულსა. გაინაპირებენ ათიოდეს მაინცა, კინნისკვრით გააგდებენ. მიკროფონი ისევე ცხარობს. ისევე ანთია. ადის. ბრიალებს. ყველა მიიწევს, ყველას უნდა ზედ გადაახტეს. არული კუდიანებსაო. არულიო, – შესძახებს ერთი დაბალი ქალიცა, შესძახებს. შეჰკიჟინებს. მიკროფონს ვერა სწვდება. ჩამოუწევენ. მაინც ვერა სწვდება. ცერებზე აინევს. ძლივასა სწვდება:

„ჩვენი ეს აქცია დასაგმობი აქციაა და დასაგმობია ვინც ჩვენ აქამდის მიგვიყვანა“. აჰყვება ტაში. „ხალხს არ შეარჩინეს აღარაფერი, ერთი ეს ტელევიზია გადარჩა და ესეც მოუკვეთეს“. აჰყვება, აჰყვება ტაში ცხადია. „ხალხს ჩვენ უნდა მივცეთ სულიერი საზრდო, უნდა გავამხნეოთ, უნდა ავამაღლოთ. ნაცვლად ამისა აგერა ვსხედვართ და...“ ტაში. ტაში და. ვაშა. „აგერა ვსხედვართ და კიდევ უფრო ვამწვავებთ ისედაც გამწვავებულ ვითარებასა. ვისი ბრალია?..“ ტაში აქაცა. „ვინ არ გვიშვებს, ჩვენ რო ვაკეთოთ საქმეი ჩვენი და ხალხსაც მოუწოდოთ: ყველამ აკეთოს თავისი საქმე ჩვენი ქვეყნის, ჩვენი დამოუკიდებლობის. ჩვენი თავისუფლების გადასარჩენად?..“ ტაში. ვაშა. ვაშა. და. ვაშა. „ათიოდე შეთქმული, აქამდის რო კომუნისტური რეჟიმის ქებადიდებით გვიჭედავდა ყურებსა და ახლა რო დემოკრატია აუხირებია. ეს ათიოდე შეთქმული...“ მორჩა. მეტს აღარ დააცდიან. აყვირდებიან. უსტვენენ. შიშხინებს მიკროფონი. წყალი თუ გადაასხეს ჭიაკოკონასაო. არული კუდიანებსა. არული. არული. ფერდობზე ბიჭები წამოიჭრებიან. უსტვენენ. ჰყვირიან. მიიწევენ ეგრე გუნდადა, მიიწევენ მიკროფონისკენა. ეგ ვიღაცაა გამოაბით ცხენის კუდზეო. ვაგლახ რო ცხენიც საძებარია. იპოდრომს თუღა შერჩენია, იმასაც ზოოპარკში თუ მიიყვანენ, ძროხისა არ იყოს, მხეცები რო გამწყდარა შიმშილითა ზოოპარკშია და შინაური ცხოველები რო გაიშვიათე-

ბულა. მაშ ბეტეერზეო, ბეტეერზე გამოაბითო. ყალხს შემდგარიყო ბეტეერებიცა შავნაბადაზედა. ტანკებიც აგრეთვე გამზადებულიყო, თუ ვერ გაჰხლეჩდნენ ბეტეერები. გაჰხლეჩდნენ, გაჰხლეჩდნენ. მთავარია რო გამოებათ ცალი ფეხი აქეთა, ცალი ფეხი იქითა. ოღონდ გამოებათ. და უსტვენდნენ და ჰყვიროდნენ მაინც იგივესა: ცხენის ძუაზეო, ჰყვიროდნენ ისე, გეგონებოდა: თბილის-ქალაქი აიღეს უკვეო. უსტვენდნენ, უსტვენდნენ ფერდობის ბიჭები. ფეხი უცურავდათ, ფორხილობდნენ, არას დაგიდევდნენ, უსტვენდნენ, ჭყვიროდნენ. ერთმა, თავი რო ვეღარ შეიკავა, ფხაჭა ჩამოიტანა ბორდიურებამდისა, ფეხებით ლამის ლუოს უნია.

თეა!..

წამოხტა უცება, მარიონეტია თითქოსაო, თითქოს ბაწარით აიტაცესო, თითებიც პირში ისევე ჩაიჩარა, ისევე, ისე თითქოს ბიჭიაო, დასტვინა ისევე, დასჭყვირა ისევე. თითქოს ბიჭიაო. არა და თეა გახლდა, ბიჭურად მოსილი, ქუდიც რო გვარდიელისა ჩამოეფხატა, კულულები შეეკეცა ქუდშია.

თეა!..

არ უნდა შეცდეს: ასევე შეეკეცა ჰო ხილაბანდშიცა. ოღონდ ის მაინც ხილაბანდი გახლდა:

„ბიჭი ჰო არა ხარ?!."

„ჰა, ჰა, ჰა... შეჰხედეთ აბა აკადემიკოსებსა... დამსახურებულებსა... სახალხოებსა... შეჰხედეთ!.. შეჰხედეთ!.."

უსტვენდნენ ყველანი. ზოგი ისე: ექვსი თითი რო გაეჩარა პირშია, ზოგს მოერკალა ცერი და არათითი, უსტვენდა ეგრეთი ხელოვნებითა, ზოგს ენა ტუჩებში გამოეჩარა, ენაი შეკეცილი, მოეპრუწა ზოგს მხოლოდ ტუჩები, უსტვენდნენ ეგრე, ჩხაოდნენ, ჭყვიროდნენ: ბეტეერზეო, ბეტეერზეო.

თეა!..

შეჰხტება ლუოცა ბორდიურზედა. შეჰხტება. უსტვენს და ჭყვირის, როგორცრო თეაო. უსტვენს და ჭყვირის. ფეხებს აბაკუნებს როგორც რო თეაო. იქ ჩამოცვენილან სხვა

ბიჭებიცა, თურმე გოგონები, ერთადა ჭყვირიან, გნიასებენ ერთადა.

თეა!..

„ჩვენთან მოხვედი?.." თეა. ეკითხება. ზურგით მიჰ-ყრდნობია. თავი გადაუგდია, ეგრე ეკითხება.

„შენთან მოვედი!.." დაჰხრის კისერსა, მისწვდეს თუ არა ტუჩებსაო. თითებს გაიჩრის თეაი ისევა: უსტვენს. უს-ტვენს.

თეა!..

დაცხრებიან მიკროფონთანა. ჩამოფენობაზეც დაც-ხრებიან. ანთუ გამოაბეს ცხენის ძუაზედა, ანთუ ბეტეე-რებს ელოდებიანო. სხვა ორატორობს. ამას აღარ ესმის. აღარც აქ უნდა. აღივსო სული მისი სურვილითა, ნდომით აღივსო და რაც აღარ უნდა უფრო უკეთ გამოიკვეთა: აქ აღარ უნდა, სხვაგან უნდა და მარტო არა რაღა თქმა უნდა. მარტოც არ იქნება რაღა თქმა უნდა. მარტოც აღარ არის. დე სხვაგან იყვეს. თუნდაც უდაბნოში, თუმცა უდაბნო მა-ინც არ უნდა. ეს ხალხიც ჰო არ უნდა: აღგზნებული, აფო-რიაქებული, ზოგი რო რაღაცას გამოელის ამ ფორიაქიდა-ნა, ბევრმა რო არც იცის თუ რას გამოელის, მხოლოდ აჰ-ყოლია, დამორჩილებია თუ ბურანშია, მაჯლაჯუნა თუ დასნოლია, ეგება რო გამოფხიზლებაც უნდა. უნდა, – უნ-დოდეს არავისთან არ ესაქმება. ვისაც რა უნდა, ის უნდო-დეს: სიტყვა ბურბურებს, სიტყვა ანთია, ჭიაკოკონა ადის ზეცამდისა, იცვლებიან რო მესიტყვენი, კვარივით რო შე-ეკეთებიან. ჩვენ გვექნებოდა სოფელი მუსიკოსთა, – კომ-პოზიტორი ცხარობს. ჩვენ თეატრალური სოფელი გვექნე-ბოდა, – რეჟისორი ცხარობს. ჩვენ ხეივნები პოეზიისაო, – არ დაგავინყდეთო, პოეტი შეახსენებს. პოეტი ქალი, ხმითა ბოხითა, გეგონება ვაუკაციაო. არ დაგავინყდეთო: ყოველი ქართველი რო პოეტია და ქართველი პოეტი ორჯერ პოე-ტიაო, – ეს ჩვენ სხვა ერის შვილმა გვითხრაო, ჩვენ რო სუ-ლით დემოკრატები ვართ და რო ვერ ჩავიჭედებით ნაციო-ნალიზმის ნაჭუჭშიო. შეჰხედეთ: პოეზია დაგვნათის მთან-მინდიდანა, ჩვენ პოეზიის სახელმწიფო ვართო. ტაში!.. ვა-

შა!.. რაც გინდა თქვი. ვინაა აქ იმის გამრჩევი, რო ვერ იგვარებს სახელმწიფოი პოეტური. შეთქმულება ყოფილა პოეტური, აჯანყებაცა ყოფილა პოეტური, სახელმწიფო არა, არა ყოფილა. თუმცა მეფენიცა ყოფილან პოეტები, – პოეზიაში ყოფილან პოეტები, პოლიტიკაში მეფენი ყოფილან. ეს ისე ცხადია, სიტყვა რო მოიტანს, თორემ იქ ისევ პოეტი იდგა მიკროფონთანა, იდგა პოეტი და იმას თავისი ცეცხლი ეკიდა: იდგა ცეცხლშია თავისი ცეცხლითა: ბ-ნი რუსლანი, პოეტი – არტისტი, ანთუ პირიქითა: არტისტი – პოეტი, იდგა, ანთუ დგას და კითხულობს საკუთარ ლექსებსა, პაროდიებსა პეტრიაშვილზე, მეგობრობაზე უახლოესზე, რო გაუთიშია ეგრეთნოდებულ პრინციპებსა ერთმანეთისაგანა, პრინციპებმა რო მეგობრობა არ იცის, ძმობა რო არ იცის, მამაშვილობა რო არ იცის, არაფერი რო არ იცის, სულ არაფერი, არაფერი, არაფერი, არაფერი, დგას და კითხულობს: მუსიკალური სოფელიც რო იმას დაუნგრევია, პეტრიაშვილსა, თეატრალური სოფელიც რო იმას დაუნგრევია, პეტრიაშვილსა, პოეზიაც რო იმას დაუნგრევია, პეტრიაშვილსა, კითხულობს, კითხულობს და იცინიან. იცინიან. იცინიან. უკრავენ ტაშსა. და. იცინიან. შვებაა ცხადია, ჩანართია. ინტერმედია ტრაგედიაში, ტრაგიკული მონოლოგების, ტრაგიკული განცდების შემდგომა. აუცილებელიცა ყოფილა. აუცილებელი. აუცილებელი. ამიტომაც შეჭრილა რეფორმები ტრაგედიაში, ამიტომაც შეჭრილა კომიკოსი ტრაგედიაში, ამიტომაცა. მაყურებელი მძიმე განცდებს ვეღარ უძლებდა. და ავანგარდისტები შექსპირს მიიჩნევენ თავაანთ მამადა, პაპადა, პაპისპაპადა და აღარცა ჩერდებიან შექსპირთანა: აი თუნდ აქვე: ჩაიდგმევა აინტერვიუცა ინტერმედიაში: კორესპონდენტი მეათასმეერთე პარტიის მეათასმეერთე გაზეთისა: „ბატონო რუსლან, პეტრიაშვილი თქვენ უნიჭოს გიძახით, თქვენ რა აზრისა ხართ მასზე?..“ ბ-ნი რუსლანი: „უნიჭო თვითონ არის!..“ მოსჭრის მკვირცხლადა და აჰყვება სიცილი გაბმული – ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, ჰა, აჰყვება და გაიწელება და თუ რაიმე თუ შეაჩერებს, ალბათ ისევ პაროდიაი,

ისევ ბ-ნი რუსლანისაი რაღა თქმა უნდა: „უნიჭო შენ ხარ, უნიჭო შენ ხარ; პრეზიდენტს მშვენხარ, სულელი მჩენხარ". კორესპოდენტი: „ჩანხარ..." ბ-ნი რუსლანი: „მჩენხარ – პოეტური ლიცენციაა..." „დიახ, პოეტური ლიცენციაა!.." დაადასტურებს პროფესორი – ფილოლოგი, რო გამობრძანდება რუსლანის შემდგომა და რო გრძელდება მონოლოგები ჰამლეტური, გრძელდება, ღრმავდება, ღრმავდება, ღრმავდება: ტოტალიტარიზმიო, ფაშიზმიო, ღრმავდება, ღრმავდება, ბავშვად გეჩვენება მერე ჰამლეტიცა. შეგაურიალებს. აგაცახცახებს. აგაკანკალებს. აქ აღარ გინდა:

თეა!..

„ნავიდეთ..." ეჩურჩულება. ტუჩებს მიატანს ბიბილოსთანა. ალბათ რო მოაკვნეტსო. საყურე მოედება.

„რასა ბრძანებთ?!."

„თქვენ თქვენი სცენა ჰო ჩაათავეთ?.."

„კიდევ ვინ იცის ვინ გამოჰხტება. აი თქვენცა: ეგება სნორედ იმიტომ მოსულხართ აურიოთ ჩვენი მიტინგი?.."

„მე – გითხარი... და თანაც: უშენობა, არც შეეტყობა აგერა რამდენი ყოფილხართ".

„ეგენიც თან გამომყვებიან". შეპხედავს. იცინის, ამას ენა რო ჩაუშრება.

ესენიცაო. გამწკრივებულან ბორდიურებზე სამოსითა გვარდიელებისა. ზოგს თმა ქუდში შეუკეცია, ისევე წმინდადა, როგორც რო თეასა, ზოგს ჩამოსჩეჩია, ხოლო თითები ყველას პირთან მიუტანია, არ ჩამოვრჩეთ დასტვენის დროსაო. არც ჩამორჩებიან. თუ უნდათ გაუსწრებენ კიდევაცა. ჰო არსებობს: უდროო დროო. გასწრებაზედაც ითქმის, ჩამორჩენაზედაცა. უდროო დროსაო. თუმცა რო ვერც გაუსწრებ ვერც რო ვერაფერსა, ვერც რო ჩამორჩები. დრო არის წრე. წრე. წრე. ვინა თქვა?.. ვილაცამა თქვა. დრო არის წრე. ვერც გაუსწრებ და ვერც ჩამორჩები. დაუსტვინე, როცა გენებოს. დაუსტვინონ. თან გამომყვებიანო. არ უნდა. არ უნდა. არა და – თან გამომყვებიანო, რაც გინდა მიჰხვდები, რაც არ გინდა, ისიც იქვე აგეკიდება. და-

იცდის. ოღონდ როდემდისა?.. დაცდაც თუ დროა, დრო თუ წრეა, ცდაც უსასრულოა. არა, მანამდის ვეღარ დაიცდის. ყვავილებით მოვლენ. მანამდის ჰო!.. ყვავილებით მოვლენ. სიხარულია ყვავილებიო, გაზაფხულია და სიხარულიო. სულ ყვავილობაა საქართველოში, სულ სიხარული უნდა იყოს საქართველოში. ვაგლახ!.. მწუხარებაცაა ყვავილები. ყვავილებში იბადებიან, ყვავილებით მიასვენებენ. იმდღეს სიკვდილი არ მოჰყოლია, არც შეთანხმება არ მოჰყოლია. მაინც ყვავილები გვიმოციქულებენო. ისევ ყვავილებით დაიძრებიან სასახლისანი რაღა თქმა უნდა. ხალისით მივლენ ნეიტრალურ ზონამდისა. იქ აფრთხილებენ: ფეხი არ წამოდგათ წინაო. არ გაუგონებენ რაღა თქმა უნდა: ნასდგამენ კიდევაცა, ააჩქარებენ კიდევაცა. კიდევ აფრთხილებენ. კიდევ აფრთხილებენ. ფიქრის გორასთან შეუკრავენ გზასა. ეს ალბათ იმ დროსა, მსხვილი ტუჩები რო დაეტანება თეას ბიბილოსა. ალბათა. ალბათა. გრუხუნიც მოისმის, შავნაბადა რო აშლილა უკვე, რო უკვე აქვეა: არ გაპატიებთ, მიტინგებს თუ შეეხებითო, – აქვეა, აქვე, გრუხუნი მოდის სანაპიროდანა. ავტომატები უკვე კაკანებენ. უკვე უტევენ. უკვე იცავენ. ხალხი აირევა. ჩამოიცლება კიბეები. მოშიშვლდება წინა მხარეი. უკან გარბიან. დადგმა გეგონება ბატალური სცენების ოსტატისა. უკან გარბიან. შავნაბადა შემოდის მოედნიდანა. შემოდის. ეუფლება. კინწისკვრით გაჰყრიან დამცველებსა ტელევიზიისა. ყვავილები ცვივა ფიქრის გორასთანა. ცვივოდა. ცვივოდა. აღიმართებოდა საფლავებივითა. იქვე, სკვერში ნიკო ლორთქიფანიძის ძეგლი უნდა აეგოთ. დამდგარიყო ჟამი ნგრევისა, ჟამი შენებისა ვინ უწყის როდის მობრუნდებოდა.

ჟამი ნგრევისა.

ჟამი შენებისა.

თეა მანამდის გაიტაცა ლუომა. შენებამდის – არა ცხადია: ვიდრე შავნაბადა შეიჭრებოდა ტელევიზიაში. პირველივე გასროლისას გაიტაცა. ფარაც გარბოდა, დამფრთხალი თუ თავდახსნილი ფარაი. გაიტაცა აკადემიის ინსტიტუტებისაკენა და ცირკთან გავიდა. მანამდის ზოოპარკს გადაავლო

თვალი. შეეძლოთ თავი იქ შეეფარებინათ, ვიდრე სროლა გადაივლიდა. ზოოპარკს ტყვიას არ დაუშენდნენ. ანთუ და რაო: გატოპავდა ვერესა, აიტატებდა თეასა, ანთუ აიჩუკუდებდა და ისევ გატოპავდა. ოლონდ ესაა, მერე თუ როგორღა ააღნევდა ხევსა, როგორ ააღნევდა ჭავჭავაძის პროსპექტამდისა. ბილიკები იყო, ახსოვს: დაადებდი თავსა და ჩაირბენდი, აიღერებდი თავსა და ამოირბენდი. მერე აშენდა ათასი რამა, ამოიხერგა ათასნაირადა, ვეღარც აირბენდი და ვეღარც ჩაირბენდი, ძნელად კიდევ ჰო, ადვილად ვერა. თანაც ღამიანა. ბილიკი თუ ეცოდინებოდა, ანთუ მზიურამდის თუ მიიკვლევდა, – ეგეც ვაკეო, მერე ვერაო და ამოპყოფდა თავსა მთანმინდაში თეასთან ერთადა რაღა თქმა უნდა. უჯობდა. მაინც შორი გზა არჩია. შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო. სანაპირო მაინც საფრთხილო გახლდა: არ გადაპყროდა შავნაბადასა. მალე ჩათავდა. ჩაიგრუხუნა. აღმართი ასჭრა ვერისაი. დაღავებული ხალხი ჰხვდებოდა გზაშია. ისევ სასახლესთან იკრიბებოდნენ. ისევა მართავდნენ ბარიკადებსა. იხერგებოდა ავტობუსები. სატვირთო მანქანები იხერგებოდა, ხრეშით დატვირთული მანქანები, ბლოკებით დატვირთული მანქანები. ლუომ აუქცია. ლუო მირბოდა. ხელი ჩაეკიდა თეასათვისა და მიარბენინებდა. თეა იცინოდა. თეა დაღლილიყო. თეა სიცილით ითქვამდა სულსა. აიღო ტელევიზორი ამასობაში შავნაბადამა. მისადგომები რო მიტინგებით აიღო, მეკიბეებით რო აიღო, მეციხოვნენიც გასტეხა ადვილადა, მეციხოვნენიო: ადმინისტრაციაი მცირე დაცვითა. ბევრიცა ყოფილიყო: გასტეხა. აიღო. დაეპატრონა. დამხმარე ძალამ ჰო ვეღარ მოუსწრო, – ყვავილებითაო. ვეღარ მოუსწრო. და აიღო ერთისიტყვითა. ძლივასა სუნთქავდა ბატონი კიტოვანი. ავლა არ უნდოდა ტელევიზიის კიბეებსა, – უნდოდა. კონიაკი მოითხოვა ბ-ნ კიტოვანმა. ეკუთვნოდა. ბ-ნ სიგუამაც მოითხოვა კონიაკი. ეკუთვნოდა. ბ-ნ კიტოვანმა ამოცანა შეასრულა. ბ-ნ სიგუას ამოცანა ახლა ინყებოდა: უნდა ეუწყებინა საქართველოსათვისა, დაემხო რო ტოტალიტარული რეჟიმი, დაემხო რო პრეზიდენტის ხელისუფლება, ძალაუფლება რო ხელთ აიღო სამხედრო საბჭომა, დემოკრატიული

განვითარების გზაზე რო გაიყვანს ჩიხში მოქცეულ ქვეყანასა. უნდა ეუწყებინა. ეკუთვნოდა რაღა თქმა უნდა – წინასწარა, გასამხნევებლადა. მეორე ჭიქაც ინება ბ-ნ კიტოვანმა. იმასაც დაუსხა თავისი ხელითა. გაიღიმა, სულ ჰო ილიმოდა, – კიდევ უფრო კმაყოფილადა, უფრო განზე გასწია ტუჩები, ლოყებიც უფრო წამოებურცა. ბ-ნ სიგუას სახე უბრწყინავდა. ღიმილი ცოტაა. უბრწყინავდა. თვალები კიდევ მომეტებულადა. თვალებს აბა რას მოუხერხებდნენ, – ოპერატორი მოაგვარებდა, – ხოლო ლოყებზე პუდრი გადაუსვეს, მთლად სახეზე მოუსვეს პუდრი. ტუჩები მოურთეს პომადითა: სიტყვები ცოცხლად რო ამოიფრქვესო: დაემხო!.. დაემხო!.. დაემხო... ძალაუფლება ჩვენს ხელთ არისო. და კიდევ გადაჰკრეს პუდრიცა, პომადაცა, კონიაკიც გადააკვრევინეს. მერე დიქტორის ხელთ იქნებოდა მაკა. ვერ მოჩანგლეო, – ეხუმრებოდნენ. „ჰმ!.. ცოლი გვერდიდან არ მოშორებია..." ნანობდა მაკა. ხელი გამირბის: ი-ნს მოითხოვს. აქ არ ივარგებს. ნანობდა მაკა. სანანებელი სხვაც გამოუჩნდათ. ტექნიკოსები შეშფოთებულიყვნენ: ირეოდა ეკრანი, იჭიჭყნებოდა, არ იმართებოდა, არა ნებდებოდა. დარბოდნენ მაინცა, წვალობდნენ მაინცა. იცოდნენ, რო ამაოდა წვალობდნენ. აქ ყველაფერი მონესრიგებულიყო.

„რად იგვიანებთ?!." წყრება ბატონი კიტოვანი. ისევ ილიმება ბ-ნი კიტოვანი. წყრება – ილიმება, კმაყოფილია – ილიმება, უხარიან – ილიმება, აღშფოთებულია – ილიმება. უნდა გაარჩიო: წყრება. წყრება.

„დაბრკოლებაა..." მიუგებს ბ-ნი კვარაცხელია. განვითარებულ სოციალიზმს ეტრფოდა, ახლა დემოკრატიისათვის იბრძვის.

„რა დაბრკოლებაა?!." უკვირს ბ-ნ კიტოვანსა. ილიმება.

„მოევლება..." ამშვიდებს ბ-ნი ბერაძე: აქაც ი-ნი. აქ არა უჭირს რა: ბ-ნი ბერაძეი. მოსწრებულ სიტყვებსა სჩხრეკდა რუქას არაკებში, ახლა დემოკრატიისათვის იბრძვის.

„კიდევ რა არის მოსავლელი?!." წყრება ბ-ნი კიტოვანი. ილიმება.

„ანძა...“ ბ-ნი ღვინჯილია გამოტყდება. ქართული ენის სიწმინდეს იცავდა აბრებსა და ეტიკეტებზე, ახლა დემოკრატიისათვის იბრძვის.

„დოყლაპიები!..“ მრისხანებს ბ-ნი კიტოვანი. ილიმება.

„ჩვენ რა!..“ სამივე ერთადა: „ჩვენ მხოლოდ პიკეტები და კიბეებზე ქალების დამაგრება გვევალებოდა“. სამივე ერთადაო. ტრიო. ცისფერი იყო. მწვანეს ეპირებოდნენ. ვარდისფერი ითქვას, ანთუ შავიო, ანთუ რაც ენებოთ. ოღონდ იმას ვერ ავიხირებ: მართლა თუ გაიმართა ასეთი დიალოგი. ვინც ეს გადმომცა, ეჭვობდა თვითონვე. მეც სხვებისათვის აღარ მიკითხავს, რადგან მთავარი აქ მაინც ისაა: იმჯერად რო გამორჩათ ანძაი, სატელევიზიო ანძა, მთაწმინდის ანძაი, ანძას პრეზიდენტის ერთგულნი იცავდნენ. ანძა გამოეთიშათ. მთავარი ესაა: ვერ აუწყებდნენ, რაც რო უნდა ეუწყებინათ. გაოგნებულიყვნენ ქ-ნი და ბ-ნი სიგუები. დიქტორი ორივეს ეფერებოდა. „მარჩელო!..“ – უხმობდა მარჩელოს მომღერალი ისევ მარჩელოსა. უხმობდა. ცირკის კიბეებიდან უხმობდა. იქაც რო მოპიკეტეები ჩამომსხდარიყვნენ, ისლა აკლდა. „ოღონდ ჩემი იყავი და სადაც გინდა იქ ილოცე...“ – ეს კიდევ ალბათ ვერის დაღმართზეო, კინტო რო ჩაირბენდა დაცლილი თაბახითა და მხარზე გადაგდებული სასნორითა. ჩაირბენდა. აირბენდა. წელის ზნექითა და კურტუმის რხევითა. ანძას ცეცხლი ეკიდებოდა. ანძისთვის იბრძოდნენ, მთაწმინდა ჰქუხდა გათენებამდისა. მთაწმინდა ჰქუხდა და ჰქუხდა თბილისი. გაჰქონდა ქუხილი კოჯრის ქარებსა მთიდან მთებზედა, ქალაქის გარშემო, ოცდაერთის ქარებივითა. გაჰქონდა. გადაჰქონდა. დააბზრიალებდა და გასტყორცნიდა ამერ და იმერა. უწევდა ქალაქის ზღვამდისა. ზღვას თავისი სავალალო ჰქონდა. განთიადი გაჰყრიდა მომხდურ-დამხვდურთა. გაჰყარა კიდევაცა. დღეს ღამე უთენებიაო. დღე ფხიზელია, სისხლს ერიდება დღეი. თუმცა განთიადი სისხლისფრად მოვიდა, ოღონდ იმიტომა: კაცნი სისხლით დააშინოსო. თითქოს დააშინა კიდევაცაო და ჰო გაჰყარა კიდევაცაო, ოღონდ ესაა, ვერ გაჰყარა საბოლოოდა, დიდხანსაც ვერა. ვერა. და ალბათა სჯობდა, მაშინვე ეღალატათ ანძის დამცვე-

ლებსა, რახან რო უნდა ელალატათ, რახან რო იქ უნდა გადაწყვეტილიყო ბედი პრეზიდენტისა და უკვე გადაწყვეტილიც იყო რახანა. ალბათ რო სჯობდაო, მაგრამ არაო. იბრძოდნენ ისე, XI არმიას შესჯახებიან თითქოსაო. ისე არაო: აღა მაჰმადხანი რო მობრძანდებოდა დაუპატიჟებლადა. ისე არაო. მაშინ ერეკლე ჰო მიატოვეს თავისიანებმა და კინაღამ ცოცხლადაც ჩაუგდეს ხელში სისხლიან მტერსა. მიატოვეს. შეატოვეს. გადგნენ სეირის საყურებლადა. არც დალეულიყვნენ მოსეირენი. რა ნამყოო. რა აწმყოო. რა მყოფადიო. ერთფეროვნებაა. დრო თუ მართლაც ერთფეროვნებაა, – ასედაც ჰო ფილოსოფოსობენ, – მაშინ ეს ფერი, სხვა არაფერი, ალბათ რო მხოლოდ სისხლისფერი იქნება.

და მაინცა:

რახან ბედი იქ უნდა გადაწყვეტილიყოო და რახან ძეგლიც იქ უნდა აიგოს, ახალი რამის გამოგონება აღარ დასჭირდება ბ-ნ ზურაბ წერეთელსა: სიახლეც ეს არის, გრანდიოზულიცა: სატელევიზიო კოშკი მთაწმინდაზედა. დგას. იდგება ოღონდ შეუძლიან შესთავაზოს ამერიკელებსა, იაპონელებსაც შეუძლიან შესთავაზოს: ისინი ამას ავანგარდიზმად ჩაუთვლიან. მხოლოდ ესაა, იმათაც უნდა დასჭირდეთ ასეთი ძეგლები, ხოლო რო დასჭირდეთ, უნდა იქცნენ სათამაშოდა სხვა ქვეყნისაი. მხოლოდ ეს არის, მხოლოდ და მხოლოდა. ეს თუ დააბრკოლებს.

XV

ლუო უკვე შინა ბრძანდებოდა.

ჭერი ეფარა.

ქუხილი სახურავზე გადადიოდა, სახურავებზე გადადიოდა. ქუხილი შინ არ შეეჭრებოდა, პირდაპირ თუ არ დაუმიზნებდნენ. არ დაუმიზნებდნენ რაღა თქმა უნდა: იქ ანძა უნდა ჩაეგდოთ ხელში, იქ ანძა არ უნდა დაენებებინათ: ნგრევაც იქ იქნებოდა თუ იქნებოდა, ხოცვა-ჟლეტა ჰო იქნებოდა და იქნებოდა. ბ-ნი სიგუა ელოდებოდა ისე-

ვე გაპუდრული. ქ-ნი სიგუა ამშვიდებდა. ორივეს ამშვიდებდა მაკა, ქ-ნი. ბ-ნი კიტოვანი ფანჯარასთან იდგა. იღიმებოდა ბ-ნი კიტოვანი. ყოველ გასროლაზე მაღლა ასწევდა კონიაკის ჭიქასა. დასცლიდა უკანასკნელ გასროლაზედა. ამას თავი ქუდში ჰქონდა – ლუოსა ესეიგი. თავი ქუდშიო: გაცვეთილი მეტაფორაა. აღარც აღარაფერს აღარ მიანიშნებს, რო დატანტალებენ უქუდოდა ზამთარ-ზაფხულა. გაცვეთილია. ძველია, ძველი. თვით მეტაფორასაც ღირსება აპყრია, რახან რო უარჰყო პოეზიამა. უარჰყო. უარჰყო. ანთუ უარჰყო თვითარსებობა, – უმეტაფორო პოეზია პოეზია რო ვერ იქნება, ანთუ უარჰყო არსობა კაცთა, უპოეზიოდ ცხოვრება რო არად ივარგებს. რაც უნდა იყოს: ამას მაინც თავი ქუდში ჰქონდა და შინ უჯდა პოეზიაცა თავისი. ეხრიალა სახურავსა. ეხრიალა. შეძოძგინებულიყო. ხრიალებდა ხოლმე ისედაცა. დაეძგერებოდა ქარი. ჩაეჭიდებოდა ავარდნილ თუნუქსა, აიტაცებდა და დააგდებდა, ურტყამდა და უბაგუნებდა. დედა ნაიკრავდა ხილაბანდსა, ვიშვიშებდა, აბებსა ჰყლაპავდა. ქარი ჩადგებოდა, გადააგდებდა ხილაბანდსა, დაავინყდებოდა აბებიცა და კალთააგდებული თუნუქიცა. შინ უჯდა. სნუხდა: მე არ უნდა წამოვსულიყავი. ეს ბრძოლიდან გაქცევა არისო.

„რომელი ბრძოლიდანა?!." ლუოსა ნებავს გააიოლოს: დრამა არ უნდა, არა, არ უნდა არც ტრაგედია და არც კომედიაი, ვოდევილი – არა უჭირს რა, ანთუ სწორედ შესაფერისია ამისათვისა. ვოდევილი. იქ იგრიალოს. ყველამ თავისი საქმე აკეთოსო. იხრიალოს სახურავმაცა. მიყუჩებულა კალთაავარდნილი თუნუქი. ეგება შეაკეთა დედამისმა ბოლოსდაბოლოსა. მიყუჩებულა.

„რომელშიც ჩავბმულვართ. თუმცა მე – აქეთა, თქვენ – იქითა. თუ მოხვედით უკვე ჩვენთანა?.."

„განა ეს ბრძოლაა?!." პასუხს გაურბის, თუმცა არ გამოსდის არც ვოდევილი.

„მაშ რა არის?!."

„თვითმკვლელობაა!.."

„მითუმეტეს, მეც იქ უნდა ვიყვე... ვინ იცის გოგოები რა დღეში არიან?!."

„ფრრრრრრრ... გაფრინდნენ, ჩვენს უმალ გაფრინდნენ". გაშლის ხელებსა, მიფრინავს თითქოსაო. გამოვა, გამოვა, ვოდევილი გამოვა, რაღაც გამოვა.

„არა, არა, აქ იქნებიან, უჩემოდ არსად არ წავიდოდნენ".

დასწყევლოს ღმერთმა: ამას ეტყობა დრამა ურჩევნიან. წამოიწევს კიდევაცა. გაფრენაც არ გაუკვირდება, ეს – ფრრრრრრ – მაინც არ ენიშნებინა.

„გესმის?!." შეჰკრავს მუშტებსა. დაიძაბება. ლუოი ცხადია. მთაწმინდა გუგუნებს. ამობრუნებულა თითქოსაო. მოდის ზვავადა თითქოსაო. მოგრუხუნებენ კუბოები მთაწმინდისაი. აწყდებიან ერთიმეორესა. გადადიან ერთიმეორეზედა. ვინ ვის გაუსწრებსო. აღარც იქ აღარ დაედგომებათ, მიცვალებულსაც აღარაო. აქ რო წამებით განვლეს წუთისოფელი, არ ეკმარებათ თითქოსაო, საფლავებიდანაც წამოუყრიათ. „აქ რო ესაა, იქ რა იქნება!.." აიფარებს ხელებს თვალებზე და იჭყიტება თითებს შუა. დრამატიულია კილოი ხმისა, გამოჭყიტვა ვოდევილური. იქითაცაა, აქეთაცაა: ვნახოთ თუ რასა იქმს ქალიშვილიო. ჩაჯდება ისევე, რო წამოიწევს, ოდნავ წამოიწევს. ჩაჯდება, ოღონდ არ მოიკალათებს, ეგებ რო უცებაც წამოსტესო. ვნახოთ, ჯერ უზის. სავარძელზე უზის. სავარძელი მუქშინდისფერია, მწიფე შინდის ფერი. თეთრი სვიტერი აცვია ქალიშვილსა. გვარდიელის ჯუბა რო გაიძრო, გამოქათქათდა ასე თეთრადა, გამოქათქათდა და მიეხატა შინდისფერსა. კანიც თეთრია სახისაი. ღაწვები ოდნავ შეფეთქილი ვარდისფერითა. კანი თეთრია და თხელი, სიფრიფანა, გადაჭიმული ბეწვიც დაეცეს, გადასკდება თითქოსაო. კულულები ოქროსფერი აყრია. მხრებზე აყრია. ირხევა კულულები. ბზინავს კულულები, შარავანდია თითქოსაო. უხდება. მშვენის. მერლინ მონრო. მოძველდა თუმცა. მეორდება. მეორდება. ანთუ არცა ძველდება, არცა ახლდება, – არის, რაც არის. თვითონ აირჩია ის სავარძელი. ჩაჯ-

და, მიეხატა. დედამ დააბარა:გამომიტანეო. დედას საყვარელი სავარძელია. ნანობდა: რატომ არ წამოვიღე, შენს საზრუნავად რად ვაქციეო. ამას თავი არ შეუნუხებია. კარგია რო არ შეუნუხებია: თეას უჰხდება ეს სავარძელი, ანთუ ამ სავარძელს თეა უხდება. სხვასაც მოუხდებოდა. არ დაშავდებოდა არაფერი, რო გაეტანა. შეაჩერდებოდა მუდარის თვალითა, რამდენიც ენვეოდა შვილი დედასა, შეაჩერდებოდა, მიაჩერდებოდა, მაშინვე თვითვე დაამშვიდებდა: არა უჭირს რა, მერე იყოსო. ხვალ გაუტან უსათუოდაო. იყოსო. არის. და რო არის, ლამაზიც არის. ეს აკლდა. ეძიებდა. ჰპოვა. სიმარტოვეც ასეთი უნდა. არა ისეთი – ერთი ღერი რო მიგდებულხარ, – ისეთი არა, აი ასეთი. გარეთ თუნდაც რო ქვეყანა ინგრეოდეს. არ ინგრევა თუ?!. ღამე იყოს და ასეთი იყოს, რო ყველა შფოთავს, არავის რო მოსვენება არ უნერია; რო ფხრენს ტყვიები მთანმინდის ღამესა, პოეტებისა და ღმერთების ღამესა. ფხრენს. გლეჯს. ფლითავს. ანაკუნებს. ანაკუნოს. ცა მაინც ცაა. კოშკი აჭრილა, ანძა აჭრილა, ცაში აჭრილა. ანძა ბაიბურშიც არ არის, ძირს თუ რა ჰხდებაო: ანძა, კოშკი თავისებური, ეგება რო ძეგლადაც ააგონ ტოკიოშიო, თუ ტოკიოსაც ისევე აბურთავებს მოსკოვი, როგორც რო თბილისსა, – თუ აბურთავებს რაღა თქმა უნდა. „თბილისო, მზის და ვარდების მხარეოოოო...“ მაინც გიმღერებენ ასე ამგვარადა, გიმღერებენ, გადაივლის თუ არა ღამეი ესე გვარი, გიმღერებენ ისევ ასევე – რამდენი ასეთი ღამე უნახავს!.. ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განნირული სულისკვეთება – აფრინდებოდა კოჭლი მხედარი და ჭურვები დაუჩეჩქვავდა მერანსა, მერანსა, თორემ თვითონ კოჭლს რაღა დაჩეჩქვა უნდოდა. და ირყეოდა, მთანმინდა ირყეოდა და თბილისი ირყეოდა. განმარტოებაც ასეთი უნდა.

„იქ უნდა ვიყვე!..“ თეა აიჭრება.

„იქ უკვე აღარავინ არის!..“ სჯერა ლუოსა. მკლავებსაც გაშლის: არ გაგიშვებო. ეს ისე: ეოდეევილში როგორც გაშლიდა. უახლოვდება. ფრთხილად შეახებს მხრებზედა ხელსა. დაძაბული დაჰხვდება მხრები. მოეშვება მერე,

ნელნელა მოეშვება. მოდუნდება. ათრთოლდება. აცახ-ცახდება. შემოუცურდება თითები ლუოსი. შემოეტმასნე-ბა. შემოეჭდობა. ცახცახი მატულობს. ატყდება სხეული ერთობლივადა. და თრთის ტუჩები. უნდა დააცხროს ვაჟ-კაცმა ცხადია. უნდა დააცხროსო და უნდა დააცხრეს. და დააცხრება და ვერც დააცხრება, გაუქრებაო თითქოსა. იქავე არის და აღარც არის, ანთუ ქაღალდია, ანთუ რაღ-აცაა, ტუჩები არა ყოველშემთხვევაში. ტანიც მოდუნდება, ტანი აღარ არის. მოდუნდება, მომჩვარდება. ჩაიფუშება. ლამის ხელიდან გაუვარდესო, ანთუ არც უნდა, ხელთ რო ეპყრას, არა, არ უნდა, აღარ უნდა. რაღაც დაინრიტა, რა-ღაც გაწყდა, სიცოცხლე გაწყდა ალბათაო, და აღარ უნდა. დაუშვას თუ დააგდოს?.. სულერთია: არც რა ეტკინება, რო აღარც არის. და ვგონებ, დააგდებს ისევ იქავე, სავარ-ძელზედა: დააგდებს, დააგდებს, ზამბარა ისე გაიზრია-ლებს. დააგდებს. თვითონ ჩამოჯდება მოშორებითა. და. სიცილი წასკდება თეასა უეცრადა. იცინის, იცინის, ისე იცინის, თვალები რო ცრემლით ევსება. სიცილი წყდება, ცრემლი რო არა ცვივა, არც რო ჩაშრება, თვალის კაკლე-ბი ცურავს ცრემლშია. მისცურავს. მოსცურავს, თითქოს კიდევაც გადაიკარგება სადღაც შორსა, უცნაურსა თუ იდუმალების მხარესაო. თითქოს აღარცაა ასული აქა. ლუო აქ არის. იმან იაროს, საითაც ენებოს, თვალებით ია-როს, ნამდვილად წამსვლელი აღარსაით აღარ არის. აღარსაითა. ლუო არა ჩქარობს. აღარა. არც უნდა დაურ-ღვიოს ზმანებანი ასულსა. ნეტარი იყოს, შემაშფოთი იყოს, როგორიც უნდა იყოს – იყოს. დგება ფრთხილადა, უჩქამოდა. მიაჩოჩებს საჟურნალე მაგიდასაცა უჩქამოდა. ალაგებს ბოთლებსა: კონიაკისა, ლიქიორისა, შამპანური-სა. ყავარჯენსაც იქვე მიაყუდებს. იცინის ასული, ლაღად იცინის, აღარც ცრემლიო და აღარც აღარაფერიო. აღა-რაფერი. აღარაფერი. ღაწვებზეც არაფერი არ ჩამოგორე-ბულა.

„ყავა აღარა გაქვთ?.." იკითხავს ასული.

„უნდა იყოს..." ლუო ასწრაფდება.

მე თვითონაო, – თეა წამოხტება. მოადულებს. დასხდებიან. სვამენ ნელნელა. თეა წუხს იგივესა: რად წამოვედიო. ჩვენ აღთქმა დავდეთო, არასოდეს არ მივატოვოთ ერთმანეთიო, ჩვენაო, ჩვენმა დასმა, ჩვენმა თეატრმაო. ჩვენი თეატრი სულ სხვა თეატრია და ვერ იარსებებს ისედაცა ურთიერთ თანადგომის გარეშეო. ბინა ჰო არა გვაქვს და არა, ერთ ადგილას მაინც არ დავიდებთ ბინასა. ჩვენი თეატრი ბერიკების თეატრია, მოხეტიალე თეატრია. მთლად საქართველოს ჰო მოვედებით და მოვედებით, იმას იქითაც გავიტანთ გზებსაო. სად დაგვიღამდება, იქვე გავითენებთ. სპექტაკლებსაც იქვე გავმართავთ დღისითაცა, ღამითაცა, ოღონდ ხალხი შემოვიკრიბოთო. პროგრამა ჩვენი მრავალფეროვანი იქნება, მსახიობებიც მრავალფეროვანნი. ცირკი, ესტრადა, კომედია შერწყმული იქნება ერთმანეთსა. „უნდა მეთქვა: არეულიო, შერწყმული სჯობიან, არა?..“ სჯობიან. ტრაგედიას მოვერიდებით. ტრაგედია არავის არ უნდა. ცხოვრება თვითონ ტრაგედიაა. ყველა ტრაგიკოსი მიმბაძველია და მიბაძული ვერ იქნება ბადალი სინამდვილისა. შექსპირიც მხოლოდ შელამაზებაა, ცხოვრება რო უფრო მწარეა, უფრო უიმედო, უფრო ამაოი, უფრო გაუსაძლისი. ტრაგედიას მოვერიდებით. ვიცინებთ და ვაცინებთ ხალხსა. შევთხზავთ იქავე, სადაც თუ რა მოსწონთ, სადაც თუ რა ართობთ, იქავე გადავიღებთ და იქავე დავუბრუნებთ. მოვიბურებით, სადაც რო მობურულან. გავშიშვლდებით, სადაც რო გაშიშვლებულან. კარი გაგვეღო როგორც იქნა – ყველგან მოვხვდებით, გადავეყრებით ზნესა ყოველსა, ადათსა ყოველსა. უფრო ბერიკები ვიქნებითმეთქი. ჭონაზედაც ვივლით. კვერცხებს შევაგროვებთ, ქათმებს შევაგროვებთ, ვიხტუნებთ, ვიცმუკებთ მეჭონეებივითა. დღესასწაულებსაც დავესწრებით. გვექნება სცენები, მცირე სცენები, წმიდანთა ცხოვრებიდანაცა, აქეთ ნინო, იქით ხანძთელი, გვექნება; გვექნება როგორც ვიზა, ტაკიმასხარები რო არ შეგვარქვან, დაუბრკოლებლად რო მიგვიშვან ეკლესიებამდისაცა. მაშა!.. ჩვენ გვნამს. იქ უფრო მონყალეა ხალხი. იქ უფრო უშურველად

ჩაგვიყრიან ფულსა ქუდშია. ქუდში!.. ჩვენი სალარო ჰო ეს იქნება?.. ყაენს შევსვამთ ყველიერში ვირზედა. თუნდაც მთელს ქალაქს შევსვამთ ვირზედა. ისედაც ჰო ერთმანეთს ასხედან. ზოგი ვირზე ზის და ზოგიც ვირთავირზედა. ყველას ვირთავირი ურჩევნიან. მაგრამ ყველას ვერ ერგება ვირთავირი, ზოგი რო ვირია და ზოგიც ვირთავირი, ყველა ვერ იქნება ვირთავირი. და ისიცა: ყველას რო ჰგონია მე ვაზივარო, ოღონდ ყველა რო მიჩინდრიკებს სხვისი ლაჯეების შუა. მიჩინდრიკებს. მიჩინდრიკებს. როდის მიჰხვდება და როდის მოინდომებს რო გადააგდოს, – მანამდე თვითონაც ამოსძვრება სული. შევსვამთ: ვაჩინდრიკებთ და ვიჩინდრიკებთ ჩვენცა. აი ასეთი თეატრი გვექნება.

ოღონდ.

ესაა:

დიდი და თავისებური ავტობუსები გვინდა. უნდა ვიაროთ. უნდა ვიმოგზაუროთ. სად ბანაკს დავცემთ, სახლებიც ეს იქნება ჩვენი, თეატრიცა, თეატრალური სოფელი იქნება. ავიყრებრთ ბდა წავალთ, ავტობუსებად გადაიქცევა. ჩვენი ცხოვრება ეს იქნება. რახან რო გავალთ შინიდანა, გავალთ და გავალთ, იქ დავიმარხებით, სადაც რო აღმოგვხდება სული. აღარც დამმარხავნი მოგვიგონებენ, შინაც ჰო აღარავის აღარ ვეხსომებით. აღარავისა. ეს მერე, მერე, ახლა ფული გვინდა დიდძალი, თეატრალური სოფელი გვინდა ბორბლებზედა. თანამედროვე, ბრწყინვალე, რო შეხვალ და გამოსვლა აღარ მოგინდება. ფული გვინდა ერთისიტყვითა, დიდძალი ფული. გვინდა. გვწყურიან. ლამის დავიხრჩოთ წყურვილითა. რამდენი იხრჩობა, – წყლის მიმწოდებელი არავინ არის. სპონსორებიო, აუხირებიათ, მაგრამ განა რამდენი შეუძლიანთ ამ ჩვენს ახალბედა ბიზნესმენებსა, განა რამდენი?!. ლამის განეწონ ისედაცა. ეს მინისძვრაო, ეს ლტოლვილებიო, – სულს არ მოათქმევინებენ. თორემ ისე, დამშვიდებულ გარემოში, გაგიხარია, თავბრუს დაახვევენ ჩვენი გოგოები. მანამდე მოცდა ცოტა ძნელია. ჩვენ სული გვესწრაფება. ახალგაზრდობა ერთი ამოსუნთქვაა, ჩასუნთქვამდის უკვე მოხუცი ხარ. სული

გვესწრაფება!.. სული გვესწრაფება!.. სული გვესწრაფება!.. მხოლოდ ხელისუფლება თუ გვიშველის რამესა, მაგრამ ჰა, ჰა, ჰა... საკითხავიც აი ეს არის: რისი მშველელია ეს ხელისუფლება, რას მოანესრიგებს, რა ცხოვრებას შეჰქმნის?.. სახარე ხბოსა სასკორავში შეეტყობაო, – უკაცრაული პასუხია, ანდაზაა, მეპატიება. გარეთ უკვე გაიტეხა სახელი. შინაც ყველაფერი აირია და აირია. აირია. შეთქმულება უფრო საფუძვლიანადაა მომზადებული, ვიდრე გარეგნულად მოსჩანს. ეროვნული ხელისუფლება მხოლოდ ეროვნულ იდეალებსღა ემყარება და სხვა რამ საფუძველი აღარ მოუჩანს. დახუჭული თვალები მისჩერებია თამარის საზღვრებსა და ხელიდან ეცლება სამაჩაბლოი, – ჯერ სამაჩაბლოი. თვალის გახელა არცა სჭირდება იდეალებსა. პრაგმატისტები ბრძანდებიან მოწინააღმდეგენი, არ გაუჭირდებათ გააქარწყლონ იდეალები, ჩამოაგდონ კერპი ყოველი, არ გაუჭირდებათ. არ გაუჭირდებათ: რახან შეირყა საძირკველი კერპებისა, დიდხანს ვეღარავინ ვეღარ დამაგრდება. ახლა ყველანი იქ არიან: ნარაიკომალებიცა და ნაცეკარებიცა, ყველანი, ყველანი, იქაც არიან და სიონშიცა: სანთლებს ანთებენ, პირჯვარს იწერენ, იჩოქებენ და მუხლებზე ხოხავენ – ნარაიკომალებიცა და ნაცეკარებიცა, ნაჩეკარებიცა. ისინი ჰყვირიან ყველაზე მეტსა, ისინი უსტვენენ, ჩვენ რაო, – ჩვენ იმდენი ძალა სად შეგვწევს. ზედაპირზე სხვები მოსჩანან. კიდევდაკიდევ გამოჩნდებიან. დაქანდა ულელი სასნორისა. ინტელიგენცია ჰო განუდგა მაგ თქვენს პრეზიდენტსა, მონაფეებმაც ჰო ულალატეს, ხელიდან ეცლებიან მეგობრებიცა, თავის მიერ აღზევებულნი, – ეცლებიან, ეპარებიან. მალე დარჩება მარტოდმარტოდა. თქვენ თუ შერჩებით, – ეგ თქვენ იცით, ჰა, ჰა, ჰა... მაინც რას აპირებთ?.. ის მაინც დაჰყრის იარაღსა. ეს ისე სჯერათ: როგორც რო დღე დღეა და ღამე ღამეო. სჯერათ. გვჯერა ჩვენცა რაღა თქმა უნდა. გვჯერა და ჩვენც პრაგმატისტები გახლავართ. იქა ვართ, სადაც გამარჯვება, სადაც ჩვენს იმედს ახდომა უნერია, იქა ვართ და ჩვენც იქა ვჩხავით, ნაცეკარებს თუ ვერ გადავას-

წრებთ, ფეხდაფეხ რო მივჰყვეთ მაინცა. ახალი ხელისუფლება მოდის. ახალი ხელისუფლება დაგვიფასებს. ერთხელ მიტინგზე გამოსვლასაც დაუფასებს, ერთხელ ტელევიზორში გამოსვლასაცა, ვინც უნდა იყოს, ჩვენს დამსახურებას რა შეედრება?.. ჩვენ ჩვენსას ვეწევით, აღვიჭურვებით და გავუტეევთ ჩვენს გზასა.

„მე არ დამტოვოთ!.." ვოდევილობს ისევა ლუოი.

„თქვენა?!."

„არ დამტოვოთ!!!.." უფრო ვოდევილობს.

„თქვენი ამპლუა გამოგვადგება?.."

„რომანსებს ვიმღერებ..." აღარა ვოდევილობს, ჭკუაში უჯდება თითქოსაო.

„შეიძლება", თანხმდება თეაი. „რატომაც არა!.." მოსწონს კიდევაცა. „ჩვენ ჰო უნდა ვაცინოთ ხალხი და ხალხიც ჰო ახლა ისე მომართულა, რომანსები რო აცინებს, ელეგიები რო აცინებს, რომანტიკა რო აცინებს, იდეალები რო აცინებს, ჰა!.. ჰა, ჰა, ჰა... შეიძლება ლირის მონოლოგი წაიკითხოთ და დაჰხოცოთ ხალხი სიცილითა".

„ეგ უკვე მოძველდა..."

„ტრაგიკული მონოლოგების მეტი რა არის?.. შენ ხერხი თქვი. წაგიყვანთ, წაგიყვანთ!.." ოლონდაო: ჩვენი ცხოვრების წესი სულ სხვაგვარი იქნებაო. ჩვენ ამ თეატრიდან გავდივართ და სხვა თეატრს ვიწყებთო. ბერიკობას რო ვუბრუნდებით, ნიღბებს რო ვირგებთ ცხოველებისა, ბუნებრივობასაც გვინდა დავუბრუნდეთ, ბუნებრივობასა, ბუნებრივ თავისუფლებასა. თავისუფლება თავისუფლება უნდა იყოს. შეზღუდული არ გვინდა არაფერი. იქ კუთხეც არ ექნება საძებნელი თავისი არავისა. სადაც მოასწრებს, იქ ჩამოჯდება, სადაც მოასწრებს, იქ განისვენებს, ვისთანაც მოასწრებს, დაიძინებს იმასთანა, ისიყვარულებს და დაიძინებს. ბავშვებს იქ არავინ არ იყოლიებს, იქ ვერ მოიცლის ამისთვის ვერავინა. ჩვენ სულ ბერიკობაში ვიქნებით. წარმოდგენები გვექნება სულა. ძილისთვის თუ მოვინარჩუნებთ დროსა, ჭამისა და სიყვარულობისათვისა, უამისოდაც რო არ იქნება, ანთუ ეს რო იქნება უმთავრესი –

სიყვარული. და უნდა იცოდეთ, – გაითვალისწინეთ, – ვისთანაც რო აღარ დანვებიან, ის უნდა ჩამოსვან, მიატოვონ. მერე თვითონ იცის: უნდა მარტოდ იბერიკაოს, უნდა დაუბრუნდეს ამ ჩვეულებრივ ბერიკაობასა. და რო გეუბნებით: გაითვალისწინეთმეთქი, იქ სულ ახალგაზრდები არიან, პირველად ალბათ თქვენ ჩამოგსვამენ. იცოდეთ, იცოდეთ ეს აქედანვე, მერე ახირება აღარ გაგივათ".

ლუო იჭმუჭნება. ეს კი მართლაც ვოდევილია. „მაშინ ბარემ აქვე დავრჩები".

თეა ამშვიდებს: „იფიქრეთ. დრო გაქვთ. ჯერ ჩვენ ვიდრე აღვიჭურვებით!.."

ლუო იცინის: „მეტი დრო ეგებ აღარც გვინდოდეს..." იცინის.

თეა არ იცინის: „ასე გგონიათ?.."

ლუო შეჩქვიფდება: „არა, არა!.. მე ვგულისხმობ, რო სულაც არ გაგიშვებთ".

ახლა თეას გაეცინება: „ჩვენ აღთქმა დავდეთ. აღთქმას ვერავინ ვერ უღალატებს. თუნდაც ვუღალატო: არ დამტოვებენ".

„მე არ დაგთმობთ!.." ისევ ვოდევილობს.

„დაგახურდავებენ... გესმით: ტყვიამფრქვევები როგორა კაკანებენ?.."

„თქვენ... თქვენ... თეატრი ხართ თუ ბანდიტები?!." აღარ ვიმეორებ: ვიდევილობსმეთქი, ჩაჯდა, ჩაჯდა ამ ამპლუაში.

„მეტი რა ჩარაა: ბანდიტებში თუ გადარჩები, გადარჩები ბანდიტობითა!.."

„ამას დავიმახსოვრებ", იტყვის უკვე ტრაგიკოსის ამპლუითა. გაიცინებს კიდევაცა იმავე ამპლუითა. ჰამლეტიც იცინოდა. ჰამლეტსაც ამზადებდა. აღარა დაიდგა. ყოფნა-არყოფნაში ჩაურთავდა რამდენიმე სიცილსა: ასეთსა, ასეთსა, სწორედ ასეთსა, – ჰა, ჰა, ჰა... ჰაااااااااა... ჰი, ჰი, ჰი... აღარ დაიდგა. გამოადგება ხოლმე. „და-ვიმა-ხსოვ-რებ!.." და ჰხსნის კონიაკის ბოთლსა. დაუსხამს. დაისხამს. მოსვამს. მოსვიო. თეა უარობს. თეა ისევ ყავას

ინებებს. ბანდიტიზმსა ქადაგებთ და კონიაკისა გეშინიათო, – ეს ლუოა რაღა თქმა უნდა. არაფრისაც არ მეშინიანო, – ეს თეა გახლავს, – ოღონდაო: ყველაფერში სიფხიზლე სჯობსო. ლუოს ეს უკვე აღთქმად მიაჩნია. ცოტა დაეჭვდა, წასვლა რო დააპირა თეამა. ეჭვმა გაიარა. წავიდა ეჭვი. ის აქ არის: სიფხიზლესა ქადაგებს. ცოტა კონიაკსაც არა უჭირდა რაი, ცოტა ნაქეზებასა რაღა თქმა უნდა, ცოტასა, ცოტასა, პატარა ჭიქითა, წრუპვითა, წრუპვითა, წრუპვა-წრუპვითა. არა უჭირდა, აღარც რო სახურავი ხრიალებდა. სროლა მიმწყდარიყო. ანთუ დაეფრინათ დამხდური, ანთუ მომხდური უკუქცეულიყო, ანთუ დამხმარე ძალებს ელოდნენ, ანთუ რაც იყო, არ გაიგებოდა დილამდე მაინცა. არც ეკითხებოდა, არც აკითხებდნენ. დილაზე ჩართავდა რადიოსა ხმადაბლა, აჩურჩულებდა, ლინკამდის ხმას რო არ გაეღწია, ეუწყებოდა თუ რა როგორ გადაწყვეტილიყო. ეუწყებოდა. ახლა ეს ჩიტი არ გაჰფრენოდა. ჩიტი. ჩიტუნია. ნეტავ არ შემომჯდარიყა ჩიტო ნიბლია ნარზედაო. ხალხური დარქმევია. ნიჭიერი პოეტის ნათქვამია. ნიჭიერია. ნიჭიერი. ხალხი ერთად ვერ მოიფიქრებდა. ერთი მოიფიქრებდა, ერთი, ერთადერთი. ხალხი ერთად ვერ არის ნიჭიერი. ერთად სულელია, გიჟია, ყველაფერია, ყველაფერი. ჭკვიანიც შეიძლება იყოს, ნიჭიერი – ვერა, ვერ იქნება ნიჭიერი ერთადა და ერთბაშადა, შური მოერევა, სიავე მოერევა, ღალატი მოერევა, ბოროტი მოერევა ერთისიტყვითა ერთადა და ერთბაშადა. ნეტავ არ შემომჯდარიყა ჩიტო ნიბლია ნარზედაო. აღარც ნიბლიაა, აღარცა ნარი, პოეტი არის სახეებდაკარგული პოეტი. და ეს ჩიტიცაა, უსახელო ჩიტი, არის და

ჭიკჭიკებს,

ჭიკჭიკებს:

• გავუტევთმეთქი ჩვენ ჩვენსა გზასაო. ოღონდ ამისთვის მშვიდობიანობა გვინდა. თორემ რა იქნება, – გაგვძარცვავენ პირველივე მოსახვევშია, შიშვლებს დაგვყრიან და ისევ სამათხოვროდ გაგვიხდიან საქმესა. ისევა. ისევა. ისევ უნდა ვეძიოთ თუ ვის მხარეს დავდგეთ თუ ვინ გა-

იმარჯვებს თუ ვინ გვიპატრონებს. მოსკოვს ჩვენი დამშვიდება არ უნდა. გამსახურდია ადვილად გაპყიდა. გადასცვალა. გადასცვალა. სიგუაზე გადასცვალა თუ მოინებებს, გადასცვლის პაატაშვილზედაცა, სხვაზედა, სხვაზედაცა, თუ მოინებებს თუ დასჭირდება ერთისიტყვითა. აგერ პო არა ჰყოფნის არც ჩოჩიევ-კულუმბეგოვი, არც არძინბა ჰყოფნით. ლიბანად გვაქცევენ. ავღანეთად გვაქცევენ. ეს ამდენი პარტია მაშ რა მოხელეა?!. გაგვიმრავლებენ ტომთა ბელადებსა: გურიასაც ტომად აქცევენ, კამბეჩოვანსაცა და ქიზიყსაცა. ადვილად აგვშლიან, ადვილად დაგვშლიან, ანთუ გაგვანადგურებენ ბოლოსდაბოლოსა, ისინი თუ არა ჩვენ მაინც არ დავიშლით: ბოლომდის მივიყვანთ სხვის მიერ დაწყებულ საქმესა, მივიყვანთ, მივიყვანთ, აღარ მივატოვებთ შუა გზაზედა. აღარა. აღარა. რომანოვები ამ ოცნებასა გადაჰყვნენ თანა, კომუნისტებიც ამასვე გადაჰყვნენ, ვინძლო ეს ახალი დემოკრატებიც გადაჰყვნენ თანა. ვინძლო. ვინძლო. ოღონდ ეს მაინც უფრო საშიშია: ეს მსოფლიო დემოკრატიზმი. კომუნისტები ამან დააჩოქა, ეტყობა ესევე წამოსნევს როგორმე. ანთუ: ჯერ რო კომუნიზმით გადაირჩინა იმპერიაი რუსმა, ახლა დემოკრატიზმით გადაინარჩუნებს. უბეროს ქარმა თუნდა ზენამა და თუნდა ქვენამა, – იმას იმპერია ჰქონდეს. ქარები ჰქრიან, ქარებს გადააქვთ შავი ღრუბლები, იქა ჰქუხს, აქ ჩვენ ვისეტყვებით. როგორცა ჰქუხს, ისე არა წვიმსო, – ჩვენი ანდაზაა, არა: რუსების ანდაზა უნდა იყოს: იქა ჰქუხს, აქ ჩვენ ვირეგვებით, ველარც საზრდო ჰხარობს და ველარც ქართველი. საქართველო უქართველებოდ!.. – ეს კი რუსული ანდაზაა, ნამდვილად რუსული, ანთუ ლოზუნგია, დეკაბრისტებმაც რო ჩაინერეს თავაანთ პროგრამაში, თუმცა რო ებრძოდნენ იმპერატორებსა. ისინიც დემოკრატებს ირქმევდნენ, ესენიცა. ჩვენ ნაციონალიზმს გვიკიჟინებენ და იმიტომაც გვიკიჟინებენ, დასავლეთი რო გაასულელონ. ის იმათი საქმეა გასულელდებიან თუ არა, ესენი მაინც მოიგებენ თავაანთსასა. მოიგებენ. ჩვენ მოგვიგებენ. ნაციონალიზმი და ფაშიზმი ერთად წარმოუდგენია

დასავლეთსა, ანთუ ვერ წარმოუდგენია უერთმანეთოდა და რაც არ უნდა იღონოს მოსკოვმა ჩვენს წინააღმდეგ, ყველაფერს დემოკრატიზმად ჩაუთვლიან: სეპარატისტულ ინტრიგებსა თუ ტერიტორიულ დაქუცმაცებასა თუ რაც არა უნდა იყოს, რა ბოროტებაც არ უნდა იყოს. ასე აეხვევა თვალი დასავლეთსა, ანთუ თვითონვე აიხვევს თვალსა და სინამდვილეში ჩვენ აგვეხვევა თვალი, ორთავე თვალი: თუ ჩვენც არ ვიყვირეთ დემოკრატიზმი, მეტი არაფერი, – დემოკრატიზმი!.. დემოკრატიზმი!.. დემოკრატიზმი!... მაგრამ ვინ იყვიროს, ამდენი ლიდერი რო იქაჩება და ყველა თავისკენ ექაჩება, – ვინა, ვინა?.. ოღონდ ერთმანეთს ხმა ჩაანყვეტინონ, ოღონდა, ოღონდა, და თვითონვე უწოდებენ ფაშისტსა ერთიმეორესა, – თვითონვე, თვითონვე და სხვა რაღას იტყვის?.. ჰა, ჰა, ჰა.. გულში დაგვცინიან და ხმამაღლა გვიტევენ. დაგვიღია პირი და შევცქნავით ამერიკასა. ბუზები გვიცვივა პირშია და ვერც გაგვიფურთხებია. ამერიკამ არც იცის თუ ერი რა არის, დავიფიცებ, არ იცის და ვერც გაიგებს ვერასოდესა. მან მხოლოდ კანის ფერი იცის, ფერს არჩევს და დაჰკარგავს ფერსაცა, ანთუ გაქარწყლდება ფერი, გაუფერულდება დემოკრატიზმითა. გაუფერულდება. მალე თუ გვიანაო, რა საკითხავია, – დროც თუ არაფერია, მარადისობაც თუ არაფერია, დროც თუ ისა, რაც რო მარადისობაო, ხოლო ორივე თუ არაფერია. რაც უნდა ითქვას, ეს საუკუნე მაინც გაიჭიმა: ველარ მივატანეთ XXI საუკუნესა. XX საუკუნეს ამერიკა ჩემულობს, XXI-ც ლამის იმას შერჩეს: ორი დიდი ჭირი მოაშორა კაცობრიობასა ამ საუკუნეში: კომუნიზმი და ფაშიზმი, – ვინ იცის თუ კიდევ რა გველის, ვინ იცის, ვინ უწყის, – ღმერთო შენ უწყი!.. ჯერ მაინც ისაა, ჯერ კიდევ იმას უნდა მივეკონწიწოთ, ის უნდა დავაჯეროთ: რო ვართ დემოკრატიზმი, რო არა ვართ ნაციონალიზმი, სხვაგვარად ვერ გაიგებს, ვერაფერს ვერ გაიგებს, უნდა დავაჯეროთ და დავრჩეთ ერადა, მაინც ერადა, ერადა, ერადა, თორემ რა იქნება თუ დავკარგეთ სახეი ჩვენი: თუნდ მგელს შევუჭამივართ და თუნდ მგლისფერ ძაღლსაო.

ძაღლი მგელი ყოფილა და ძაღლიც მგელიაო. ანთუ მგელი ნაკლებიცა ყოფილა, ცივილიზაცია მიუღია ძაღლებისაგან: მგელმა თქვაო, – კბენა არ ვიცოდი, ძაღლებმა მასწავლესო. ცივილიზაციაა, არა?!. ძნელი ყოფაა. უნდა გადავრჩეთ. ეს ამოდენი ლიდერები იმიტომაც უნდათ, ცალ-ცალკე ყველა რენეგატად გვიქციონ. უნდა გადავრჩეთ. დემოკრატიზმიც უნდა ვიყვეთ და ერიცა იმავე დროსა. დაე ეროვნული ჩაგვითვალოს კარჩაკეტილობადა, ჩამორჩენილობად ჩაგვითვალოს მოსკოვმა, – არ გვეშვება და რა წყალს მივეცეთ!.. – ჩაგვითვალოს, ოღონდ თვითონ შეიგნოს რამე, ოღონდ თვითონ გაუნათდეს გონებაი, თვითონაც ეშველება, ჩვენც გვეშველება, ევროპაც ცოტას ამოისუნთქებს. ოღონდა!.. ოღონდა!.. ღმერთო შენ ისმინე!.. და პირჯვარს იწერს თეაი ცხადია. ჩანთას მოძებნის. სანთელს ამოიღებს. აანთებს. ლუო მიაწვდის შანდალსა. შუქსაც ჩააქრობს.

„არა!.." იუარებს თეაი, მტკიცეთ იუარებს, „არ გინდათ... ბანალურია. კაცი და ქალი... მკრთალი შუქი... ბანალურია. არ არის საჭირო... და მითუმეტეს ნაკურთხი სანთელი მაინც არავინ არ უნდა გამოიყენოს საამისოდა. თუმცა თქვენ მაინც რა გაგემტყუნებათ – კომკავშირი!.."

„ჰოოოო... კომკავშირი!.. თუმცა ჩემს დროსა ის ძალა აღარ გააჩნდა კომკავშირსა..."

„ის ზნეობა მაინც გააჩნდა".

„ზნეობა?.. ზნეობა მოვლენაზე უფრო გამძლეა". ლუო ადასტურებს ცოტა არ იყოს ამაყადაცა.

„ანუ: უზნეობა უფრო გამძლეა".

ეგრე უნდა მეთქვაო, – ლუო გამოტყდება. გამოტყდება, მოსჭრის. აღარა ნებავს აღარც დიალოგები, აღარც მონოლოგები აღარა ნებავს. გაუჭიანურდა. სად გაგონილიყო ამდენი დახანება: ქალი ქალი გახლდა, კაცი – კაცი, აღასრულებდნენ დანიშნულებასა თავაანთსასა და გაიყრებოდნენ აქამდისა. ეგება ერთი-ორი რომანსი დასჭირებოდა, ეგება ცოტა წაცეკვებაცა, ცოტა სასმელიცა, თუმცა რო უარჰყო, შეეთავაზებინა ერთხელ კიდევა, მაინც ისა სჯობ-

და ამხელა მონოლოგსა, ყველაფერი რო არც მოუსმენია და არც არაფერი რო არ დაუჯერებია. სჯობდა. სჯობდა. და არც ეგვიანება: მომართოს ფირსაკრავი. მაგრამ სად რა დევს, რო აღარც იცის, ეუცხოება რო აქ ყველაფერი, ვერადავერ რო ვერ შეეჩვია: შემოიპარება და გაიპარება; შემოდის, ეშინიან, ლინკამ არ გამიგოსო, ჩქამისა ეშინიან, საცეკვავოს როგორ გაჰბედავს. თუმცა: ეგებ რო აღარც შემორჩათ ფირსაკრავი. რახან რო ჭაღებს მიადგა დედამისი, ბევრ სხვა რამესაც გაიმეტებდა მანამდისა. გაიმეტებდა. ჭაღები ალბათ მაინც ენანება. ალბათა. ალბათა. და ამიტომაც მიაკითხავდა თავშესაფარსა. შვილს მაინც დაუთმო. დაითრგუნა სიამაყეი ამაყმა ქალმა, – ამაყმა, ამაყმა, ამპარტავანმა, – არ იცნობს თუ!.. თვითონ თუ ერთი წაუცდა ხელი, მეტი ველარ გაჰბედა, შვილს მაინც დაუთმო: როგორც გიჭირდესო. დედა მაინც დედაა, შვილიც შვილია: დედა არ გვახსოვს შვილებსაო. თავშესაფარი ალბათ მონასტერია იმისთვისა. დასთმო ამაოებანი წუთისოფლისაი, გადადგა სულის მეოხედა. აღორძინდება მალე მონასტრები, იქ გადაინაცვლებს. იქ უფრო ახლო იქნება ღმერთთანა, შვილსაც შეავედრებს უფრო მხურვალედა. დედა მაინც დედაა. თუმცა არც ისეთი მორწმუნე ყოფილა, ანთუ არცა სწამდა არაფერი, როგორც რო დანარჩენთა, თანატოლთა მისთა. არა სწამდათ – იწამეს, ანთუ ჰბაძავენ, ანთუ აპყვნენ დროის ქროლვასა, ეს სულერთია: ზნეობა რწმენამ უნდა აამაღლოს მაინცა და თუნდაც მიენდნონ და თუნდაც აპყვნენ, – აიყვანს, აღამაღლებს, განწმენდს. ილოცოს. ილოცოს. მაინც მონასტერში სჯობიან რაღა თქმა უნდა, რაღა თქმა უნდა. სად არის შენი ძვირფასი დედიკო, – თუ ჰკითხავს ვინმე, ასედაც მიუგებს: „მონასტერში!..“ იყოს. იყოს. იყოს. ილოცოს. ჭაღებს ეს მოუვლის. არა. არა. გაუფრთხილდება რაღა თქმა უნდა. ვიდრემდის შესძლებს გაუფრთხილდება. მალე ფასები ზღაპრულად აიწევს. ზღაპრულ გოგოსაც ზღაპრული უნდა მიფერებანი. შენ ნუ ინაღვლებ. შენ ილოცე დედი. ოღონდ მონასტერში, თავშესაფარში არა, მონასტერში, მონასტერში დედიკო!..

„gelimebat..." tea šeniშnavs.

„melimeba?!." uk'vir's lusa.

da uprocelimeba: martlac rom mosdebnos is dzveli pirsakravi, is dzveli pirpitebic rom mosdebnos martlaca, arc linkas moeridos, daukras, – mere?.. tea icinebs da metic araperi. icinebs. icinebs. axkolian sul sxva xanebsa: šmagsa, cxaresa, cnebianssa, velursa, axkolian, arokebulan sul sxvagvarada, dzveli rom ar mosnonnt da ukvirt kidevaca: nutum mosnonda esec vinmesaom. nutum. nutum. tumca rad dzveliom: rad xani gasula? 25 tu 30 nelinadi tu idnebda. rad vukot tu erevda nlebi: 30-ze metic mainc ar idnebda. da tomba ukve gamocvlila. erti araom. orica. da. samica. mxolod esaa, tvitomn ar šecvlila. ar vsdev ukamtacvlas. nu sdev. nu sdev. ara, mainc ar gamocvlila. rčebda imadaca, rac iyo, amatac usnorebda mxarsa: acekvdebda, rogorc isini acekvdebdnen, amerdebda, rogorc isini amerdebdnen, rogorc esenni, rogorc isini, xmac mokuebda, pexebica. mosnonda isev imxelebi anu ai amxelebi mosnonda, – amxelebi da amaze patarebica, sulom codvilom: patarebica. tu gindda gaigom, gogom rom mzadaa: kudi esrolen; tu ar naikca, mzadaa da xeli daadem. sulom codvilom. imat gaistumrebda da miegebebda amata, timqos es iyo mestumrebutxucesi, kašnagiri šeunacvlebeli. da ai mixtxvdeba, ucebi mixtxvdeba, radac rom stexda sicocxlesa, radac uazrom, radac mutxtali, radac šemparavi, stexda da xlečda, gindoda tu ara. iyo is radac, neba aar iyo. mixtxvdeba da esaa, metic araperi, – arc rad krnolaom, arc rad darduom. isevi mosnonda, rogorc im pirveli šeerebisasa, esevi pirvelad šeerebulni, isevi xiblada, isevi itacebda, isevi daekebeda, isevi xpova, isevi momartulyo, tavsac ikavebda isevi – ar davafrtxom; antu uprocelikavebda tavsa: uvertiura rom cotta ucnaurada eerda, cotta, cotta,

ხოლო შემდეგ ჰო გოგო გოგია და ბიჭი ბიჭი, რამდენ აქტიანი ოპერაც არ უნდა იყოს, ანთუ ბალეტიო, გააჩნია თუ რომელს აირჩევდნენ რაღა ქმა უნდა.

„ჰა!.. მოიცათ!..“ თეა გაინაბება. „მთაწმინდა მიყრუვდა...“

„მიყრუვდა!..“

„ისე ამბობთ, ალბათ, გგონიათ, რო თქვენ გაიმარჯვეთ!..“

„გამარჯვებით ჰო ჩვენ გავიმარჯვებთ“, ლუო ირნმუნება, „ოლონდ ამჯერად გადამქართულდა ეგ ყველაფერი. ასე მგონია, სადღაც ყრუ ადგილას მოვხვედრილვართ მხოლოდ ჩვენ ორნი, სადღაც ყრუ ადგილასა, სადაც ვერავინ რო ვერ მოგვაგნებს ვერასოდესა და ჩვენც რო აღარავის აღარ მოვძებნით“.

„რამდენხანს გავძლებთ?..“

„სამუდამოდაცა, სიცოცხლე რო სამუდამო იყოს“.

„ოოოოო.... რა ამაოდა ცდილობთ, რო მომხიბლოთ“.

„ამაოდა?!.“

„ასე ვთქვათ...“

„რაც უნდა იყოს მცდელობად ნუ ჩათვლით, ეს, ეს მხოლოდ გრძნობაა...“

„როცა გონებასა ჰკარგავენ?..“ არ აცდის თეაი, „არ გინდათ. დაეხსენით. თქვენი რომელიღაც როლიდან გახსენდებათ ნაწყვეტები. ეგება აერთიანებთ სხვადასხვა როლებსაცა. არ გინდათ. ნუ ენვალებით. ახლა რო გიყურებთ, ასე მგონია, მინახია თქვენი სპექტაკლები. ეგება ეს იმპროვიზაციაცაა... მაინც არ გინდათ. კმარა. საჭირო არ არის. რახან დავრჩი, – დავრჩი!.. ესა ყოფილა ბედისწერა ჩემი“. და ჩაჰყოფს თითებსა კონიაკის ჭიქაშია და გადაისვამს ტუჩებზედა და გადაესვენება სავარძელსა და მილულავს თვალთა და და და და და და და და და და და და და და და და და

XVI

და

ლუო უფრო ადრე გაიღვიძებს.

შუშაბანდში ციგლიგებს მზეი, მხურვალე არა რაღა თქმა უნდა, – ცივი მზეი: ცივი, ციეი, ციგლიგებს, ციგლიგებს. ირეკლება. აღნევს შიგნითაცა, ლუოს საწოლამდისაც აღნევს. აღნევს. ჰკვეთავს ირიბადა და უფრო თეასა ჰკვეთავს, ჰკვეთავს ისე რო: ბრწყინავს თმაი თეასი, ბრწყინავს ოქროსფერი, – ნაწილი ბრწყინავს, ნაწილი დაკმედილა. იზიდავს ლუოსა ორივეი: გაბრწყინებულიცა, დაკმედილიცა. ნამოიწევს. ნაიწევს. ასცდება საბანი თეასა. ამოვარდნია ცალი ძუძუი პერანგიდანა – უკვე შებღალული, ამოვარდნია, ნამოვარდნია, გაშიშვლებია. მზე დააცხრება, ლუოს ხელს მიასწრებს ის ცივი მზეი, მიასწრებს, თითქოს რო არც უნდა მიაკაროს ხელი ცოდვილი, ხელი უწმინდური, თითქოს რო ნანობს, აქამდისინ სად ვიყავიო. ნანობს. და. ცხარობს. ხელი გაშეშდება. ჩამოეშვება. დავარდება. თითქოს ცოდო შეაწუხებსო. ცოდოც შეაწუხებს და თავსაც იმართლებს: რა ვიცოდიო, არ მეგონაო, არა, არა, – რას წარმოვიდგენდიო; თავსაც იმართლებს და კიდევაც გაუწყრება: რად არ მითხარიო, ოდნავ მაინც რად არ მეუარე, მე ჰო ძალას არ დაგატანდიო, არაო, არაო, არავითარ შემთხვევაშიო. გაუწყრება, გაუწყრება. დატუქსავს. დასძრახავს. შეაჩვენებს. მეტისმეტიც არ ივარგებსო. ანონის. გაზომავს. შეანონასწორებს და არც მეტი მოუვა და არცა ნაკლები და იქნება სინანულიცა და წყრომაც იქნება, განცდაცა იგი ნეტარებისაი, ჩქროლვაცა, ღელვაცა, აჩქარებული გულსა კიდევა, იჯერებენ და დაიცხრობენ: რად არ მეუარე!.. ახლა თავი მაქვს მოსაკლავიო. თეა გაიცინებს: თავის მომკვლელს არა ჰგევხარო. ესეც არ იყოს: ბედისწერა ესა ყოფილა ჩემი. მკითხავმა ამიხსნა და სწორედ ისედაც ამისრულდაო.

მკითხავმაო.

მკითხავთან დედამ წამიყვანაო.

უფრო: გამიყოლა. თვითონ დადიოდა მკითხავებთანა, სახელმოხვეჭილ მკითხავებთანაცა და არ ჩაუვლიდა ბაზრის ბოშებსაცა, რო არ გაეშვირა ხელი. ის იყო დაიღუპა მამაჩემი. დედამ არ იცოდა თუ რა ეღონა, ანთუ თავს თუ ინუგეშებდა, ანთუ დარდს თუ იქარვებდა ამითი. გამიყოლია ერთისიტყვითა. ამკითხვინა ჩემთვის ცალკეცა: ქალიშვილობას გამოეთხოვები ოცდაორი წლისაო. ვინც რო შეგაცდენს, კაი დღეს არ შეეყრებაო. ასე მიმკითხავა და მე ვწუხდი, როდის გავხდები ოცდაორი წლისამეთქი. ვწუხდი. ვწუხდი. მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი. წინ მედო ათი წელინადი, დიდი, დიდი, გაუვალი ათი წელინადი, გაუვალი თუ გაუსვლელი, ანთუ: ერთიცა და მეორეცა. დრო ჩვენ ჰო საშინელება გვგონია და რო არც არის, ვერ გაგვიგია. არის, რაცა კვდება, რაც არა კვდება არც არის და არც შეიძლება რო იყოს. დრო მხოლოდ ჩვენი სათვალავია და მეც შემვძლო გადამეთვალა როგორც მენება. ვმდგარვარ ცდუნების წინაშეცა რაღა თქმა უნდა. სიკეთე ბრძანე, თორემ მახე ჰო ყოველ ნაბიჯზეა დაგებული. ყოველ ნაბიჯზე. ყველა კუთხიდან ეშმაკი გვითვალთვალებს. ვმდგარვარმეთქი ცდუნების წინაშე, მაგრამ მომვლენია მკითხავი ჩემი. ჯადოქარია თითქოსაო, მომვლენია, ხელი დაუვლია და გამოვუტაცნივარ. თითქოსაო და ჯადოქარიც იყო. საოცარი თვალები ჰქონდა: უცებ ცეცხლს აფრქვევდა, ჩაუქრებოდა მერე უცბადვე. მეშინოდა იმ თვალებისა, ცეცხლოვანისაცა და ჩამქრალისაცა. ცეცხლოვანი ჰქონდა ფრთებიცა, რო გამიტაცებდა. საფრთხიდან მიხსნიდა უსათუოდა, საფრთხისა მე არ მეშინოდა. და აი მიმატოვა ამ ბოლო დროსა. მიმატოვა. ერთხელ გაგექეცი და მაინც ვეღარ გაგექეცი. რაღა მე დამიცდა ფეხი და რაღა იქ დამიცდა, პირდაპირ რო შენთან ჩამოვვარდი?.. იქ ჰო ჩვენ ჭინკებივით დავხტოდით?!. ბედისწერა ბედისწერა ყოფილა, ანთუ სხვა რაღა უნდა იყოს?!. რაც უნდა იყოს: მე ამისრულდა ჩემი, შენ თუ რა გელის, საკითხავი აი ეს არის: კარგი დღე არ მოენევაო.

„ჰეჰეჰე... პი... ჰე...“

იცინის ლუოი თუ ვითომ იცინის: მკითხავი რო არა სნამს, ჯადოქარი რო არა სნამს. თუ ღმერთი გნამს, ჯადოქარი არც უნდა გწამდესო. ღმერთიც ჰო არა სწამს მაინცადამაინცა, – შეიძლება რო თავს გამოუტყდეს, – მაგრამ ასეცაა: ამყოლს აპყოლია, რო შემობრუნებულა რწმენაი თუ ესაა ბრუნდება, ურწმუნოებიც რო იწერენ პირჯვარსა, რო ანთებენ სანთელსა ურწმუნოებიცა, ეკლესიაშიც რო დადიან, – დადის ჰო ესეცა, სანთელსაც ჰო ანთებს, – უნდა გაეცალოს ეშმაკი. ეს ისე, თორემ ასეთი ცოდო სხვაც დასდებია: ანთუ შერჩენია ხახვივითა, ანთუ იოლადაც დაუღნევია თავი. ოდესიდანაც ჩამოაკითხა დედაშვილმა ერთხელა. შვილი – არაფერიო, დედა ანგრევდა ქალაქკომსა. სიმამრი ამისი დაიბარეს, ეს – არცა. სიმამრმა ფული ჩაუდო ჩანთაშია მნგრეველსა, ბილეთებიც აუღო საერთაშორისო ვაგონისა, კუპემდისაც მიაცილა და გაისტუმრა შინა. პილატე არ იყო, ხელები დაებანა. არა. არა. ცუდი არ ითქმოდა, რაც მართალია, მართალია. რა ვუყოთ თუ არ აძლევდა ჯიბის ფულსაცა, რა ვუყოთ; თუნდაც რო მიეცა, განა რა ფული ამოავსებდა ამის გახვრეტილ ჯიბეებსაო. გახვრეტილსაო, იტყოდნენ: ფული რო ფულობდა, ფული რო ერქვა ხურდა ფულსაცა, რო ნკრიალებდა, რო ჩხრიალებდა. ესეც არ იყოს: ყველა თავისი ფილოსოფიითა ბრუნავს ამქვეყნადაო და ამისი სიმამრის ფილოსოფიაც ეს იყო: თვითონ უნდა ეხარჯა თავისი ფული, თვითონა, თვითონა, სხვას არ მოაკიდინებდა ხელსა; თავისი წონა რო დასჯდომოდა, გამოიხსნიდა თვით სიძესაცა, გაშლიდა ხელსა და გამოიხსნიდა. არ მოეწევა ამას არაფერი, – ლუოსა ცხადია, – ნუ შიშობს დედოფალი ამ დილისაი, ნუო, დამშვიდდეს, ცოტაც მოითმინოს, ეს ერთ პირს კიდევ გამოიძინებს, ძალას მოიკრებს, და დააპურებს ერთხელ კიდევა, დააპურებს და დაპურდება. მერე წავიდეს საითაც ენებოს. ანთუ მიატოვოს ის ყველაფერი. ზურგი აქციოს. რისი მაქნისია ის შფოთი და დავიდარაბა?.. არაფრისაი, – არასოდეს კარგი არაფერი მოჰყოლია: არასოდესა. არასო-

დესა. გარეთ ნულარ გაიხედება. დარჩეს. ესეც აღარ გავა. არა!.. გავა, ოღონდ საზრდოსათვისა. მოიტანს. შესანსლონ და დაწვნენ. იწვნენ. და იწვნენ.

ჰა?..

ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს?!.

„არ ვიცი...“ არ ეძებს თეაი უკეთესსა. ოღონდ უარობს. „უნდა წავიდე“, ოღონდ: ეხვევა. ჰკოცნის. ეწვნის. ეგრიხება. შეერნყას ლამისა. შეეგრიხოს ლამისა. დაეწაფება და ვერ იკლავს წყურვილსა. გაშმაგებულა მთელი სხეული, გააფთრებულა ტუჩები თითქოსა, – ტუჩები, კბილები, – ლამის აკუწოს, ლამის გადაყლაპოს ეს ვეება ვაჟკაცი პატარა გოგომაო. არა, არცთუ პატარამა მართლაცა და მართლაცა, ოღონდ ყველაფერი ჰო შედარებითია, გადაყლაპვაცა რაღა თქმა უნდა. დუდუნებს თანაცა: „უნდა წავიდე... უნდა... უნდა... ალბათ მეძებენ. მეძებენ!.. მეძებენ!.. აქ თუ მომაგნეს, შენი უბედურებაც ალბათ ეს იქნება“.

„ჰა, ჰა, ჰა...“ იცინის ლუოი, არაფრად აგდებს მუქარასა, იცინის, იკრავს, იხუტებს, ლამის სულში ჩაიძვრინოს, რო ვერ იპოვნონ, რო ვერ წაართვან. თვითონ წაერთმევა, თეაი ცხადია, წამოუხტება, წამოფრინდება. გადაიძრობს საქორწინო პერანგსა, პერანგსა ლინკასი. ააფრიალებს. წითლით მოჩითულა ქათქათა პერანგი. ზეწარიც მოჩითულა წითლითა. ბნკიალებს. ბზინავს. ირიბადა. მზე ისევ ირიბადა სჭრის. ირიბად ეფინება ლამაზ ტანსაცა, ტანსა შიშველსა, წამსუმალ სამოსი რო შემოეტმასნება და გაჰქრება სულაცა. გაჰქრება.

გაჰქრება და გაჰქრება.

სადღა ეძებოს აღარც რო იცის. ტელევიზიასთანაც ვეღარ იპოვნის: გვარდია ჰო აიყარა ტელევიზიიდანა, – აიყარა. კიბეებიდანაც აიყარნენ კიბოსნები, ქუჩიდანაცა – გარსმოხვეულნი. გვარდია ზღვასთან დაბანაკდა. ხალხი გაიფანტა. თანამშრომელნი იკრიბებოდნენ შორიახლოსა. მთავრობა ჩაჯდა ტელევიზიაში. გვარდია განაპირდა. ოღონდ ჯერ დააქუხა მძლავრი ქვემეხი, ერთი დააქუხა, შესძრა ქალაქი და ისე განაპირდა. და იცინოდა პრეზიდენ-

ტი სიმწრის სიცილითა: ეს რა ჩაიდინესო, რად ისროლეს, რას ესროლესო; მაგრამ ასეაო: ღმერთი რო მოინდომებს კაცის დასჯასა, ჯერ ჭკუას წაართმევსო. ნაურთმევია და ეს არისო. ეს იყო პუტჩიო. ეს იყო შეიარაღებული გამოსვლა გახელებული სამხედრო ხროვისა თავისი ხელისუფლების წინააღმდეგაო. ასაბუთებდა. ამტკიცებდა. დადასტურებას მოითხოვდა უზენაესი საბჭოსაგანა. მოითხოვდა. ფრაქციები არა თანხმდებოდნენ. ფრაქციები მატულობდა. „91“. ფრაქციას ირქმევდა სამი კაციცა. ორიც შეიძლებოდა ახირებულიყო, ერთიცა. რაოდენობა არაფერსაც არა ნიშნავსო. აზრი ერთისაა, აზრი ერთი აერთიანებთ, და რამდენიც არ უნდა იყოს, მაინც ერთიაო. დაობდნენ ამაზეცა, დაობდნენ ყველაფერზე, მიზანი ერთი იყო: კენჭისყრა ჩაეშალათ. ფრაქციებს ეშინოდა კენჭისყრისაი. იყო რო მრავლადა, არრასა ჰშველოდა, მაინც მცირენი აღმოჩნდებოდნენ. შფოთავდნენ. ჩხუბობდნენ. ჩარიგდებოდნენ მიკროფონთანა. წაეტანებოდა ათი ხელიო ერთბაშადა, ათივე მიითრევდა თავისკენაო. რაღა მიტინგებიო ქუჩისაი, – იქ მეგაფონებსაც ჰო იტაცებდნენ, – რაღა უზენაესი საბჭოი. ქუჩა. უზენაესი. უზენაესი. ქუჩა. იყო ძიძგილი, იყო ყელისწევა: არა, ჯერ მეო; არა, ჯერ მეო. „ერთი წუთით!.. ერთი წუთით!..“ – იხვეწებოდა ბ-ნი ასათიანი; მეც მაცალეთო. არ დააცდიდნენ. პრეზიდენტს მაინც დააცდიდნენ. დაცქვეტდნენ ყურებსა: აცა, რას იტყვის, კიდევ რა დავიხვიოთ ხელზედაო. ششش, აცადეთო. ისიც ბევრს არას არა ფრთხილობდა: „მე ვხედავ თუ როგორა ერთიანდება: ხუნტა, ქუჩის ოპოზიცია და უზენაეს საბჭოს ოპოზიცია. ვხედავ. ეს კარგს არას უქადის ეროვნულ ხელისუფლებასა და ხელისუფლებაც სათანადო სიმაღლეზე უნდა აღმოჩნდეს. „სათანადო სიმაღლეზე!..“ მტკავლად დასცხებდა ხელსა მაგიდასა. მუშტს მიტინგებზე შემართავდა ხოლმე. სესიებზე მტკაველს დასცხებდა და მოხვეტავდა მუშტსა. „დიქტატურა!..“ ჰკიოდა ფრაქციები, თითქოს უხარიანო, ისე ჰკიოდა: „დიქტატურა მოდის!..“ „რა მოდის?.. დიქტატურა გამოცხადებულია!..“ „ერთი ნუ-

თით!.. ერთი ნუთით!.." ივედრებოდა ბ-ნი ასათიანი. ივედრებოდა. ჩაეხახებოდა ყელი. ნუთიც არავის არ ემეტებოდა. ყველას თავისთვის ენება ნუთი. ფაუსტები, ფაუსტიანა. აქ ყველა სიტყვებად იღვრებოდა, რაც რო ქუჩიდან შემოჰყოლოდათ, ახლა აქ აქცევდნენ, აქცევდნენ და ვეღარც აქცევდნენ, ღვარად ქმნილიყვნენ და დიოდნენ ღვარადა. „აფსუს, რა დრო იყო!.." ნოსტალგიას შეეპყრო უზენაეს საბჭოს კომუნისტი დეპუტატები, ნოსტალგიასა, უმაღლეს საბჭოს ნოსტალგიასა: „აფსუს!.. აფსუს!.." იქ ზედმეტი რო არავის არაფერი არ ნამოსცდებოდა. იქ ზეპირადაც რო არავინ არ გამოვიდოდა. სხვა რო ნერდა, სხვა რო ამოწმებდა, სხვა რო კითხულობდა. „აფსუს!.. აფსუს!.." აქ თვითონაც აღიმაღლებდნენ ხმასა, ოღონდ მაინც რო ძველებური მოკრძალებითა, ნესრიგითა ძველებურითა, ხან რო „იჩიც" წამოსცდებოდათ: არა ბატონო კონსტანტინოვიჩო. „თქვენ არც მოიშლით ემაგ იჩებსა, ვიდრე აქედან არ გაგაძევებთ!.." წყრებოდა ბ-ნი კონსტანტინოვიჩი და მალეც აღუსრულა. გააუქმა პარტია კომუნისტებისა, უკვე მორჩილი პარტია გააუქმა, დეპუტატებიც გარეკა იმათი უზენაეს საბჭოდანა: იძახეთ ახლა კონსტანტინოვიჩიო. და არც დაუშლიათ, იძახდნენ და იძახდნენ, უარესადაც იძახდნენ: შეუერთდნენ რო ყველა კიბესა, უნივერსიტეტისაცა, ტელევიზიისაცა, ვაკის პარკისაცა. გარს უვლიდნენ ძეგლსაცა უცნობი ჯარისკაცისა, მრგვალებმა რო მოშალეს: რუსის ძვლები ჩამოგვიტანეს, რუსის ძვლებზე გვალოცებენო. ზღვამდისაც გააცილეს ბ-ნნი თენგიზები, ესტუმრებოდნენ ხშირადაცა, ეპატიჟებოდნენ ქალაქშია. ეპატიჟებოდნენ, – აკრძალული პარტიაცა, ასაკრძალი პარტიებიცა, – ეპატიჟებოდნენ. გეახლებითო, აიმედებდა ბ-ნი კიტოვანი: „მიტინგებს თუ ჩაშლის, გაფიცვებს თუ ჩაშლის, იმავე წუთს ჩვენც იქ ვიქნებით!.." აიმედებდა, ჰპირდებოდა, ამხნევებდა, და აქეზებდა და აქეზებდა. „ჩამოდი და მზად გახლავართო, – აიმედებდნენ ესენიცა. აიმედებდნენ. აიმედებდნენ. „გესმის!.." იდუმალი ხმა შეიპყრობდა პრეზიდენტსა: „ნუ იკითხავთ ვისთვის რეკს ზარი!.. გეს-

მის!.. კომუნისტებიც მხარში ამოუდგნენ. ეს არის ალიანსი კრემლისა და თბილისის ზღვისა. ეს არის კავშირი დამოუკიდებელი საქართველოს ნინააღმდეგა. კავშირი! ალიანსი! მაგრამ იცოდნენ: განნირულია ყოველი შეთქმულება, ყოველი გამოხდომა, როგორც ეს პუტჩი, როგორც ის ზარბაზანი... ჰა, ჰა, ჰა... მაინც რა ჭკუაში მოუვიდათ!.. გესმის!.." „თქვენ დაარბიეთ მშვიდობიანი მანიფესტაცია!.." „ჩვენ ყვავილებით მოვდიოდით". „ყვავილები ტყვიებს არ ისვრიან". „ტყვიებით ჩვენ შემოგვეგებნენ". „ტყვიის ღირსია, ვინც ტყვიას ისვრის". „და ღირსნიცა ხართ!.." „თქვენ..." „თქვენ..." „თქვენ..." „ერთი წუთით!.. ერთი წუთით!.. ერთი წუთით!.." ხვნეშის, ქაქანებს ბ-ნი ასათიანი: „რა უბედურებაა?!." ვერ აუხსნია. და აი უნდა ვიღაცას რო აუხსნასო: „უბედურება აი ეს არის, აქ რო ვიღრჩობით". უნდა, უნდა და ჰყვირის მჭახედა, მკვეთრადა ისე, მიკროფონიც რო არა სჭირდება, „რად ჩამოგვყარეთ ამ ჯურღმულებში... ბუნკერში, ბუნკერში რად ჩამოგვყარეთ?!." ჰყვირის, ჰყვირის: „რად მივატოვეთ სხდომათა დარბაზი?!." „ეშინიან!.. ეშინიან!.." დაანევს სხვაი იმავ ხმაზედა, შეთანხმებულან თითქოსაო, თითქოსაო თუ ალბათაო. „მე არაფრისაც არ მეშინიან!.." სილა გაიშლება მაგიდაზედა, ისევ ისევე, მოიხვეტება ისევ ისევე: „იქ რემონტია!.." არ უჯერებენ: „გეშინიან!.." „ვისი მეშინიან?.." აღარ მიუგებენ. ეს საშიშნი თვითონ არიან. თავს არ გასცემენ. გულში იცინიან. და პრეზიდენტი აქ დროს იხელთებს: „ეს იყო პუტჩი!.." „ვინ არის მომხ..." და არ აცდიან: „ერთი წუთით... ერთი წუთით... უბედურებაა!.." არ დააცდიან თავმჯდომარესა რაღა თქმა უნდა, დაითრევენ მიკროფონს ისევა. აქეთაცა. იქითაცა. ჩართეთო ჰყვირიან. პრეზიდიუმთანაც მიცვივდებიან. ტრიალებს ხელები. სრიალებს თითები. ბუყბუყებს სარდაფი, ანთუ ბუნკერიო, ანთუ უფრო სწორედ რო ითქვას: კინოდარბაზი სასახლისაი, რო არ გამოდგება სესიებისათვისა უზენაესი საბჭოსი, რო არცა ვარგა: ბუყბუყებს, ყუყუნებს, ფუვდება, ფუვდება. თითქოს რო გაინევს კედლებიო, გამოეცლება სასახლესაო.

იფუქებს სასახლეი, ჩაიმზღვლევაო. თითქოსაო თუ მართლაცაო: აი და აპაა!.. აი და აპაა!.. და დასთმობს პრეზიდენტი: „პუტჩი არ გინდათ?.. ნუ გინდათ პუტჩი, – მცდელობა პუტჩისა, ასე შეფასდეს!.." არც მცდელობაო: ოპოზიცია წინააღმდეგია, ხსენებაც არ უნდა ტელევიზიის ამბებისა. არ უნდა. არ უნდა. რასა ბრძანებთო. ჩვენ ისეთი პრობლემების წინაშე ვდგევართო. ისეთი, ისეთი, ოოოო ისეთიო: მიწის რეფორმაო. პრივატიზაციაო. მანეთის ზონა. ფულის რეფორმა. ჯარის სტატუსი, რუსის ჯარისა, ჩვენში ცხადიაო. მოქალაქეობის კანონი. კიდევ რამდენი, რა დაითვლისო. რის პუტჩი, რა პუტჩი: რი ატამი, რა ატამიო. პრეზიდენტი თავისას მოითხოვს. თავისას მოახერხებს თავმჯდომარეცა: მოასწრებს: კენჭს უყრის. დაიღლებიან თუ დაიბნევიან ერთი წუთითა. ფაუსტის წუთი ჩაუვარდება: კენჭს უყრის იმწუთში: პუტჩის მცდელობაო, – დადასტურდება იმ ერთ წუთშია, დადასტურდება უმრავლესობითა.

„მე პროტესტს ვაცხადებ!.." გაისმის უცება, თუ როგორაო, ძნელი სათქმელია: ხმა ხმასაცა ჰგავს და არცა ჰგავს ხმასა, – ჭიჭყინიაო თუ ჭყიპინიაო თუ ჭყავილიაო, – ვერ დადგინდება ისე ადვილადა. იქვე მიმჯდარა მიკროფონთანა. ვერვინ მიასწრებს. მორიდებიან კიდევაცა: ფრაქციებიცა, მრგვალებიცა. ფრაქციები გასაგებია: შარის თავია. და მოსწონთ შარი, შარის თავიცა და შარის ბოლოცა. მრგვალები რაღადაო, – რადაც უნდა იყოს. მორიდებიან. პროტესტს ვაცხადებო: „ეს არის დისკრედიტირება უმცირესობისა. ეს ადამიანის უფლებების შებღალვაა. დაუშვებელია, უმცირესობის აზრს რო ანგარიში არ გაეწიოს, დაუშვებელიცა და დანაშაულიცაა დემოკრატიზმის მაღალი იდეალების თვალსაზრისითა. უმრავლესობის ნება არ უნდა წარმოადგენდეს გადამწყვეტ ნებას, როცა შეიძლება რო უმცირესობა მართალი იყოს. აქ უმცირესობაა მართალი. აქ უმრავლესობის ნება უზურპაციაა. მე პროტესტს ვაცხადებ. მე მოვითხოვ: უზენაეს საბჭოს დადგენილებად გამოცხადდეს უმცირესობის გადანყვეტილება. უყარეთ

კენჭი!..“ აცხადებს. ჯდება გასაოცარის ღირსებითა, შეუვალობის იერითა, უტეხობითა, ჯდება იქავე, რო აიჭრას თუ უარჰყოფენ, რო ვერ დაასნროს სხვა ვერავინა.

„სისულელეა!..“ პრეზიდენტი აიქნევს ხელსა, თან ააყოლებს ისეთ ღიმილსა: უკეთესს ვერავინ მოიფიქრებსო. ისეთ ღიმილსა.

„შეურაცხჰყოფა!.. პიროვნების შეურაცხჰყოფა!..“ ცხადია იქვე უნდა მჯდარიყო, ცხადია უნდა ნამოჭრილიყო დეპუტატი იგი – დეპუტატი ნათაძე, – უნდაო და ნამოიჭრება: „მე თქვენ სამართალში მიგცემთ!..“

„კანონი სასამართლოს შესახებ ჯერ არ მიგვიღია“. შეახსენებს კომისიის თავმჯდომარეი.

„პროკურატურას გადავცემ!..“

„კანონი პროკურატურის შესახებ ჯერ არ მიგვიღია“.

„მე მაინც გიჩივლებ!..“ არ დასთმობს ცხადია.

„ჩვენ უკანონო ქვეყანაში ვცხოვრობთ“. ნაეშველებიან.

„მე მაინც ვიჩივლებ!..“ არა, არ დასთმობს და ხმას აუწევს, ანთუ ჭიჭყინსაო, ანთუ ჭყიპინსაო. და ნუვინ მინყენს, სხვას თუ ვერაფერს ვერ შევადარე. ბუნება ბევრად მრავალფეროვანია, სიტყვები არ არის ეგრე უამრავი, ანთუ ეგებ რო მე აღარა მყოფნის; რაც უნდა იყოს, ნუვინ ნურას მინყენს, ნურცა თვითონა. თუ ენყინებათ:მნყერი შეინვანო. რა ნუგეშია, – სადღაა მნყერი?!. მალე ბელურაც აღარ იქნება, ბულბული ჰო არა და არა, აღარც რო შაშვი, გაზაფხულიც აღარ იქნება, იქნება ყვავ-ყორანი და შემოდგომა იქნება. დაუთმობელიც ისევ იქნება, გაქირს დადგება და ფეხს არ მოიცვლის. ისე ვერავინ ვერას გაიტანს, ყველას რო უნდა რაღაცა გაიტანოს, უნდა, თავისი გაიტანოს, თავისთვის გაიტანოს, წაიღოს და წააცუნცულოს, ოღონდ ისე რო ტაშიც დაუკრან. ტაში. ტაში-ტაში!.. ის მაინც სხვა იყო, ის „აპოლონის აპლოდისმენტი“, სხვა იყო. სხვა გახლდა. ფოლკლორისტები მოსდებოდნენ მთლად საქართველოსა, მთასა და ბარსა, მოსდებოდნენ. „ყივჩაღის“ ბადალ ნიჭს დაეძებდნენ. ვერა ჰპოებდნენ.

სწუხდნენ. ნაღვლობდნენ: სად გაჰქრა ნიჭი „ყივჩაღისაო". ნაღვლობდნენ. წუწუნებდნენ. არც მოისმენდნენ „აპოლონსა", არც ჩაინერდნენ რაღა თქმა უნდა, გაურბოდნენ შეშინებულნი. ნიჭს მაინც ეძებდნენ, სადღაც ეძებდნენ, საკოლმეურნეო შაირებში ეძებდნენ. და ვერა ჰპოებდნენ რაღა თქმა უნდა. ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. მალე ალალიც აღარ იქნება, აღარც ეს ანდაზა, – არაფერიც აღარ იქნება. ჯერ რაღაც იყო, ჯერ რაღაც თითქოს მოეპოვებინათ: შეიძლებოდა სამსჯავროსათვის გადაგეცა თვით პრეზიდენტიცა, მანამდის რო ვერ შეჰბედავდი თვით რაიკომის ინსტრუქტორსაცა: თვალი შავი გაქვსო. ვერ შეჰბედავდი, თვალსაც რო ვერ გაუსწორებდი. ცხოვრება შეცვლილიყო, საოცრად შეცვლილიყო და მაინც არაფრად არ მიიჩნევდნენ, კიდევ რაღაც რო მოენდომებინათ. მოენდომებინათ!.. მოენდომებინათ!.. აღუვსებელი სანყაულიო. ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო და აღუვსებელი სანყაულიო. შეგეძლო: სამსჯავროსათვის გადაგეცა თვით პრეზიდენტი. განსჯიდა სამსჯავროცა ბრძნულადა და მიუდგომლადა: სისულელე ზოგადი ცნებაა. არავის საკუთრება არ არის იგი, არავის ღირსებად ის არ ჩაითვლება. განცხადება, რო „ეს სისულელეა", არავის პირადად არ შეეხება, არავის პირადად არ შეურაცხჰყოფს. და თუ იგულისხმებს ვინმე თავის თავსა, ეს მისი საქმეა, პირადი საქმეა, და ამას თვითონვე თუ გამოჰხატავს საჯაროდა, ამით ის თვითონვე მიაყენებს შეურაცხჰყოფასა საკუთარ თავსა და არ შეიძლება სხვა ვინმე იყოს პასუხისმგებელი ამისათვისა. არ შეიძლებაო. სისულელე საზოგადოებასაც მოიცავს. არის შემთხვევები. სისულელეს პიროვნებანი იმეორებენ. ოღონდ ეს არ ჩაითვლება არც რო პირად საკუთრებადა, საზოგადოებრივ საკუთრებადაც არ ჩაითვლება, სახელმწიფო საკუთრებადაც არა. საგნობრივი, მატერიალური გამოსახულება არ გააჩნია და სასამართლო მოკლებულია საშუალებას a priori დასვას საბრალმდებლო სკამზეო. ასე განსჯიდა, ბრძნულადა ასე, მიუდგომლადა ასე ამგვარადა. ვერ აუხირდებოდა ვერავინა ბ-ნ ნათაძის მეტი: არ

მაკმაყოფილებსო. არაო, არაო, მე უფრო ნათელ განმარტებას მოვითხოვო. მოვითხოვო. იქ მოითხოვეთ, ზღვაზე მოითხოვეთო, – ურჩია პრეზიდენტმა, – მაინც იქ დარბიხართ, მიზანში სროლასა სწავლობთ, გვარდიელების ფორმას ეტოლებით, დაძუნძულებთ შვეიკივითაო.

„ვინ არის შვეიკი?!." იჭექებს დეპუტატი ნათაძეი, იჭექებს, იჭექებს, ველარ იტყოდი: დაიჭიჭყინებსო. იჭექებს.

„ჩეხი მწერლის იაროსლავ ჰაშეკის გმირი", მიუგებს პრეზიდენტი, მშვიდად მიუგებს, ანთუ უფრო ისე: ვითომ და რაო, გამოცდაზეაო.

„მართალია!.." უდასტურებს პროფესორი ნათაძეი. კმაყოფილია პროფესორი. ასეც ჩაჯდება ისევ იქავე მიკროფონთანა. თუმცა ძნელია კმაყოფილება აშკარადაც რო გამოეხატოს, სახე ისეთია, ისე მოყვანილი, ისე ჩამოსხმული, – ძნელია, ძნელი. ალბათ მხოლოდ თუ იგულისხმება. ოღონდ ესეცაა: წამოიჭრება რო იმავე წუთსა, წამოიჭრება დეპუტატი ნათაძეი, პროფესორი არა, პროფესორი ჰო დაჯდა კმაყოფილი. ეს წამოიჭრება:

„ვინ არის შვეიკი მეთქი?!"

„ჩეხი მწერლის იაროსლავ ჰაშეკის მთავარი პერსონაჟი ანუ გმირი ჰაშეკისა", განავრცობს პასუხსა პრეზიდენტი. „რომანის სრული სათაურია „ყოჩაღი ჯარისკაცი შვეიკის თავგადასავალი პირველ მსოფლიო ომში". ქართულად თარგმნა შალვა გვინჩიძემა".

„მართალია!.." პროფესორი დაუდასტურებს. ისევ დაუდასტურებს. ისევე ჩამოჯდება, – ეს რო პროფესორიო, დეპუტატი ისევე აიჭრება. მაგრამ და რაო, – მიკროფონს სხვა დაუფლებია. ტაციობაა. ბ-ნი პაატაშვილი დაუფლებია. ტაციობაა. ჩაუბლუჯია საერთაშორისო დეკლარაციები, ჩაუბლუჯია, კითხულობს, მუხლი-მუხლ კითხულობს, კითხულობს, ამტკიცებს: ირღვევა ჩვენში ადამიანის უფლებები; ჩვენ ავცდით დემოკრატიული განვითარების გზებსაო. იქით ბ-ნი ურიდია წამარჯვებია მეორე მიკროფონსა. კარგია, კარგი!.. კარგ დღეს არც ესენი დააყრიანო, – და ცოტას მოიცდის დეპუტატი ნათაძეი, ცოტასა, ცოტა-

სა. და დგას მაინცა. სკამზე ვერ ითმენს. დუმილს ვერ ითმენს. ვერაფერს ვერ ითმენს. პრეზიდენტობას ვერ ითმენს – ზვიადასიო. ზვიადას უწოდებს, პრეზიდენტს არა რაღა თქმა უნდა, მაინც ვერ ითმენს, ვერა და ვერა: თუ რო ვერელი უნდოდათ პრეზიდენტადა, და ისიც უთუოდ სულელიო, მე ავერჩიეთო, რაღა ზვიადაო. ამ ნათქვამს მიანერენ. სხვისა რა გითხრა, მე ვერ დავიჯერებ. არა, – ის მაინც მართალი იქნება: რაღა ზვიადაო, ოღონდ სისულელეს მაინც არა ჰკადრებდა საკუთარ თავსა. არა. არა. არა. ვერ დავიჯერებ. ვერ ითმენს, ვერა, ამას მაინც მტკიცება არ უნდა, ვერ ითმენს, დაიხრჩობა. ჰალსტუხი უჭერს. მალიმალ საყელოში გაიყრის თითებსა. საყელოს ეწევა. ჭიმავს საყელოსა. ეგება გადარჩეს. მაგრამ და რაო, – ჰალსტუხი უჭერს, ზვიადა უჭერს, დაიხრჩობა. ამ თედომ მაინც რა გული გააწყალა, რამდენი უნდა ილაპარაკოს!.. ახლა იქ მერაბა!.. კიდევ კარგი ბევრნი არ არიან. „91“ – ტყუილია. „9“-საც ვერ შეავსებენ. კიდევ კარგი, კიდევ კარგი!.. გეყოფათ, რა!.. „რეგლაااااამენტი!..“ წამოიჭრება ბ-ნი პეტრიაშვილი, „შენ მანდ დაჯექი!..“ ნათაძე უტევს, ბ-ნი: არც ეს ამათი გაწელილი ლაპარაკი უნდა, – თავისი უნდა, მაინც თავისი, – არც ის იმისი მბრძანებლური შეძახილები. „შენ თვითონ დაჯექი!..“ არ უთმობს ბ-ნი პეტრიაშვილი. არ უთმობს, არა, არც რო დაუთმობს. არც ეს დაუთმობს, არც ის დაუთმობს; არც ეს დაუთმობს, არც ის დაუთმობს; არც ეს დაუთმობს, არც ის დაუთმობს, არა და არა, არა და არა, არა და არა... უყარე კაკალი.

„ერთი წუთით!.. ერთი წუთით!.. ერთი წუთით!..“ ლამობს გააშველოს, ლამობს დააშოშმინოს, ისევ ბ-ნი ასათიანი, ლამობს.

ვითომც ესეცა რამესა ლამობსო, – თითქოს რო მიილულება ბატონი პრეზიდენტი, თითქოსა, თითქოსა. ქუთუთოები ჩამოვარდნია. აინევს. დაინევს. აინევს. ჩამოვარდება: ამათ რაღა უნდათ, რას აეშალნენ ეს თავისი დაზრდილი ყმაწვილები, არაფერი რო ამათ არ გაეგებოდათ: დეკლარაციებიც რო ამან გააგებინა, პიროვნების

თავისუფლებაცა, ერიცა და პიროვნებაცა, ერის თავისუფ-
ლებაცა; იმპერიაც ამან შეაგნებინა, ანექსიაცა, ოკუპაცი-
აცა, დამოუკიდებლობაც ჩაუდო თავშია; მიტინგებსაც
ამან შეაჩვია, ლაპარაკსაცა, შეუპოვრობაც ჩაუნერგა ამა-
ნა, ჩაუნერგა და ჩაუნერგა თავის საჭიროდა; ჭაობიდან
ამოიყვანა და დასხა ქვეყნის მმართველებადა; თითო კათ-
ხა ლუდს თუ ვინმე დაალევინებდა, ბედნიერი ეგონათ თა-
ვი, ჟიპიტაურსაც თუ ვინმე მიუდგამდა, გადიოდნენ მეც-
ხრე ცაზედა; კონიაკის გემო ამან გააგებინა, შამპანურის
გემოც გააგებინა, – ვითომ არაფერიო; ახლად ახალი კოს-
ტუმები ჩააცვა, შეკვანძა ასნავლა ჰალსტუხებისა, ამანა,
ამანა, ყველაფერი ამანა და თავისი ხელითაც შეუკვანძა
თითქმის ყველასა, პირველ სესიაზე რო მიჰყავდა უზენაე-
სი საბჭოსი; საბჭოშიც ჰო ამანვე გაიყვანა; უმადლიდნენ
კიდევაცა, ეთაყვანებოდნენ კიდევაცა, გადაეფარებოდნენ
კიდევაცა, თუ თავს დაესხმოდნენ რაღა თქმა უნდა, გადა-
ეფარებოდნენ და გადაჰფარებიან კიდევაცა. რა იყო!.. ჩაე-
ცინება გუნებაშია. აინევს ქუთუთოები. ჩამოვარდება.
თურმე ნუ იტყვი ჭკუაში რა უდევთ და რას ელოდებიან!..
მისცემიათ იმედი ზღვისაი და სწორედაც რო ზღვა ჩაი-
ტანთ მაგ უბედურებსა. ავი ზნე დაჰყოლია თბილისის
ზღვასა, – მლაშე ტბებზე გაზღვავებულა და ზნეც თუ იქი-
დან გამოჰყოლია, – შეიყოლიებს მოცურავეთა, შეიყოლი-
ებს და გადაჰყლაპავს. ფაფუ!.. მიდით. მიდით. მიდით: შეჰ-
ყევით, – აჰყევით მოსკოვსა: აჰყევით, შეჰყევით, შეჰყე-
ვით, აჰყევით. აი და აჰაა, ახალი ლიდერი საქართველო-
სიო, – თენგიზ სიგუას რო უჩვენებდა ტელევიზორი მოს-
კოვისაი, – დაუჯერეთ, გეგონოთ: აი ესაა დემოკრატიული
მოძრაობის ბელადიო, – გეგონოთ, დაუჯერეთ, – ეს იხ-
სნის საქართველოს ტოტალიტარიზმისაგანაო, – ვაი
თქვენს ჭკუასა, დაუჯერეთ, დაუჯერეთ, ვაი და უი: ისევ
დააქციეთ სამშობლოი თქვენი, ბარემ მოსპეთ და გაატია-
ლეთ თქვენივე ხელითა: ვაი და უი!.. მხოლოდ ოსტანკინოს
ხლართები კმარა. სისხლი ჩვენი. მოგვჭარბებია. ოსტანკი-
ნო. პაატაშვილიცაო. ლეგიონებია ლიდერებისა საქართვე-

ლოშიო. ოსტანკინო. ოსტანკინო. მსოფლიო გადამკიდა. სიძულვილი შეგვჭამს. ჩამოცვივა ქუთუთოები.

„ერთი ნუთით!.. ერთი... ერთი... ერთი..."

ეგება კიდევაც ჩაიგდოს ნუთი, ანთუ ეშმაკმა მიუგდოს ნუთი. მიუგდებს. მიუგდებს:

ყველას მიუგდებს:

ანთუ ეგონებათ: ნუთი ჩემიაო. აგერა ბ-ნ ბერძენიშვილი: ნუთი მისია. ანთუ ჰგონია: ნუთი ჩემიაო: მიკროფონი ჩაუბღუჯნია, ჩაუბღუჯია ორივე ხელითა, ტუჩებითაც დასნაფებია, თითქოს ძუძუა, დედის ძუძუიო, სნოვს და ანვება ფაცებითაცა, მეტი რძე რო გამოადინოსო. ეგრე, ეგრე, მთლად გამოჯლუხნე, ნვეთიც აღარ შეარჩინოო. დუდღუნებს. ცხვირში სცრის. ასლან აბაშიძე სჭირს: ხატოვან სიტყვათა ლექსიკონში ჩაიხედეთო. მე-3 გვერდზეა. ჩაიხედეთო. ყველა ნიგნიდან მე-3 გვერდს მოიხსენიებს, ანთუ ეს გვერდია იმისი საზღვარი, ვინ უნყის, ანთუ: რაც არის: ჩაიხედეთო: „აბაშიძეების გზა. ტყვედ გაყიდვა ქართველებისა ოსმალეთში". ჩაიხედეთო: ოსმალეთშიცა და რუსეთშიცაო. ჩაიხედეთო. ეს კაცი ძალით დასვა აჭარაში პრეზიდენტმა, ეს კაცი არა სურს აჭარასა. რა სურს პრეზიდენტსაო. აჭარის გაყიდვაო, – ეს ბ-ნი დიასამიძეა. ამასაც ასლან აბაშიძე სჭირს, სჭირს ისე, ჩახედვა რო არც უნდა, არც მე-3 გვერდზე, არც მერე, არა, ჩახედვა არ უნდა.

„აქ სამაჩაბლოო, იქ აფხაზეთი, ახლა აჭარაო, სადამდის მივდივართ?!." ესეც აჭარის დეპუტატია, ამასაცა სჭირს, იგივე სჭირს, ოღონდ კეთილადა. კეთილი სიმსივნეო, ავი სიმსივნეო, – ამას კეთილადა.

„ვამნყვრევივართ!.."

„გალიაში!.."

„ბუნკერში!.. ბუნკერში!.. ბუნკერში!.."

„ჭაობში ვართ!.." ვილაცას ჭაობი უფრო მოსწონებია.

„ჯოჯოხეთში!.." არ დაილევა მჯობნის მჯობნიო.

„ჯოჯოხეთში!.. ჯოჯოხეთში!.." თითქოს არაო, – აქ შეჩერდებიან: ჯოჯოხეთშიო.

ღმერთო გვიშველე!.. მიეცი ამათ დამოუკიდებლობა, რაც გინდა მიეცი, – ვერ შეიშნოვებენ... ვერა. ვერა. მონობისათვის დაბადებულან, გემოს ვერ გაუგებენ თავისუფლებასა. ჯოჯოხეთშიო, – ნამოცვივიან და ჰყვირიან ერთადა. კრიმანჭულია და ბანი გაბმული, გუგუნა ბანი, მთებისა თითქოსა გუგუნი, კავკასიონისაო რაღა თქმა უნდა. ზედაც შესდგებიან და გალეწავენ. ერთი ფეხი თუ გადაუბრუნდა. არ უნდა გადაუბრუნდეს. არ უნდა გადაუბრუნდეს. არ უნდა გადაუბრუნდეს. „ერთი ნუთით!.. ერთი ნუთით!.. ერთი წუთით!.." ჰა, ჰა, ჰა... ამშვიდებს. ჰო. იმათგანია. ვინ ვის დაასწრებს, ვინ უფრო დაჰგლეჯს, ვინ უფრო დაჯიჯგნის, ვინ უფრო დაიმსახურებს მომავალი ხელისუფლების ნინაშე, – აღარც რო ეეჭვებათ!.. ვის კვართი ერგება. ელიოზი. სიდონია. სვეტიცხოველი. დამიხედეთ, ხალხის რჩეულნი!.. რასა ჰგვანან!.. რას უგავთ თავპირი!.. როგორა ჩხავიან. აფსუს, ესაა ულამაზესი და უმამაცესი ერი?.. თუ აქ მხოლოდ სიმახინჯე მოყრილა და გარეთ დარჩენილან უკეთესნი?.. რა დაგემართა შენ ჩემო ხალხო?!. მაგრამ ეს ჰო თვითონ აარჩევინა, – თვითონ აარჩევინა და თვითონვე მოუვლის: გარეკავს, გარეკავს!.. დროა გარეკოს, კიდევაც დაგვიანდა. კიდევაც გაიტეხეს სახელი. უსტვენს ხალხი დეპუტატებსა: მიაცილებენ პანჩურითა, აქედან რო გადიან, უსტვენენ და აპანჩურებენ. „დეპუტატი დაუცველია!.." იჩხავლონ. უზენაეს საბჭოს მაინც არა ჰგავს, თუ ჩხიკვთა ქორწილია – იჩხავლონ, იჩხავლონ: დეპუტატი დაუცველია!.. დაგიცვან ბატონო: ეგ თქვენა და ეგეც თქვენი ამომრჩეველნი, თუ მართლა რჩეულნი ხართ და თუ მართლაც აგირჩიეს. ჰა, ჰა, ჰა... შეჰხედე, შეჰხედე: რასა ჰგვანან, ღმერთო ჩემო, – „ანთუ მაშინ რამ ამიხვია თვალი, ანთუ ახლა რამ ამიხილა..." გადაუღიათ თუ როგორ უთავაზებენ პანღურსა, თვითონვე გადაუღიათ: აი თუ რა დღეშია ინტელიგენცია საქართველოშიო, გადაუღიათ, გაუგზავნიათ. ოსტანკინო!.. ოსტანკინო!.. რა ცეცხლიც დაგწვავს, ის ცეცხლია შესაბრალისი. ოსტანკინო გაუხდიათ მფარველადა. აი შეჰხედეთ: სახელმოხვეჭილი

კინომოღვაწეები ტოტალიტარიზმის პირობებშიო, – შეპ-ხედეთ, შეპხედეთო და უცქერიან და ვითომ რაო, და ვი-თომ რა ჰგონიათ: თანაუგრძნობს თუ იცინის მოსკოვი, – იცინის, ერთობა, ერთობა და ნიშნსაც მოუგებს დასავ-ლეთსა: აი ჩვენი იმპერიის ნამსხვრევებიო, აი თქვენი დე-მოკრატიაო. ერთობა. ნიშნს მოუგებს. ეს რაა: მერამდენე-დაა რო ჯლუხნის ძუძუსა, – ისევ იმ ჯერზეა თუ მერამდე-ნე ჯერზეა?:

„ჯერ წინდაუცვეთავი აბაშიძე რა არის, მერე წინდაც-ვეთილი რა იქნება?!."

მიდი და გაიგე. ამას ეკითხება თუ მთლად უზენაეს საბ-ჭოსა?.. უმაღლეს საბჭოში ეს არ უკითხავთ. თუ უკითხავთ – ეცოდინებათ კომუნისტ დეპუტატებსა. თუმცა ისინი ჰო უკვე გარეკა. გარეკა. ჭირსაც წაუღია კომუნისტები, მაგ-რამ თითქოს რო რაღაცა ლაზათიც გაპყვათ თანა: უფრო ჩაჟამდნენ, უფრო მოიშხამენ და აჩხავლდნენ უფრო. მიდი და გაიგე. შეძაგძაგდება. ჩაახველებს: ჰო არ შემატყვეს შე-ძაგძაგებაო. ისინი უკვე მორყეულადაც მიიჩნევენ. ეს ესა და ის ისინი. თუმცა უმრავლესობა ამისია, საბჭოს ისინი აზანზარებენ. ოპოზიციაა. ერთიმეორეზე გადადიან. ასე გარეკავს. შესვენება გამოცხადებულა, ერთიმეორეზე გა-დადიან. არც გასვლა იციან, არც შემოსვლა იციან, არც ჯდომა იციან, არც დგომა იციან, არც მიმართვა იციან, – რა იციან ამ უბედურებმა, რამდენი რა ასწავლოს, – არა: უნდა გარეკოს. ერთიმეორეზე გადადიან, ეგრეც უნდა გა-აპანღუროს. ზის. არ იძვრის. ორი ვეება წიხლი დაკიდულა ჭერიდანა, ქანაობს, აპანჩურებს ერთი აქეთა, მეორე იქი-თა, თითონაც გადადიან ერთიმეორეზედა, ესეცა შველის. მეტის ღირსნი რო არც არიან. თუ შემოუბრუნდნენ!.. აი სე-ირი ჯერ არ ნახულიო: დაამხობენ, იმუქრებიან და აღუს-რულებენ, „არა!.. არა და არა!.." დაიცავს ხალხი, თავისი ხალხი. მოდიან. გარსერტყმიან. ხალხს ვერ გადალახავენ. ხალხს ვერ ესვრიან. ხალხი ხალხია და ხალხი ამისია. თუმც რო დაიღალნენ დასავლეთის რაიონები, – არ დავიღალე-თო, არას იმჩნევენ: არ დავიღალეთო. ქვემო ქართლი ჰო

ვილამ უწყის რა ჯურისა რა არის, ზოზინა კახეთი ჰო ვერც რო გაიგებ, როდის წამოვა, როდის ჩამოაღნევს, შიგა ქართლი ჰო, ვახ, შიგა ქართლი, თავისი თავი ჰო გასჭირებია და კარიც გაუღია ღალატისაი, – გაუღია. რა გასაკვირია, კასპში ისეთი ძეგლი აუგია. გაუღია. გაუღო. რკონში შეიფარა კიტოვანი. აქამა. ასვა. გამოაძღო. დაასვენა. და. გზა გამოუთავაზა თბილისისაკენა. იქვე უნდა მოეთავებინა. მაგრამ და რაო: შერიგება უნდა, შესარიგებლად მოემართებაო, – არნმუნებდნენ მოციქულები, დეპუტატები; ეახლებოდნენ ძღვენითა თურმე, გამოთვრებოდნენ, სვამდნენ ვახტანგურსა, მღეროდნენ: ჩავუხტეთ ბარათაშვილსაო, და არნმუნებდნენ მერე ამასა: შერიგება უნდაო. გამოაძღეს. დაასვენეს. შეაიარაღეს, ტელევიზია ააღებინეს, ახლა ზღვაზე დაუსახლებიათ და იქიდან ითვლევინება: დედასაო ასეო და ისეო. ფუი!.. ან მეტი რა მოეკითხება?!. მოციქულებიც ასეთი უნდა, ერთგულებაც ასეთი, ნდობაცა ასეთი. მუქარა მუქარაზე. ღალატი ღალატზე. არა. ქართლი აღარ ივარგებს მეთაურადა საქართველოსი. არა. აღარ ივარგებს. ბოლი. ბოლი. ბოლი. დერეფანში სიგარეტს ეწევიან, ყაყანებენ და ეწევიან. ყაყანიც იჭრება დარბაზშია, ბოლიცა. სარდაფი სარდაფია. „გოგრა არ გახდება შირაზის შუშა, რაგინდ მაღლა სარკმელშიაც გაინყოს". ვერა ნიავდება. ლამის დაიხრჩონ. ხველებაც იჭრება დერეფნებიდანა. ახველონ. ახველონ. მოიქავონ ყელი, მოიქავონ. ბოლი. კარებთან ზვინადაა ბოლი. აქეთა კართანაცა, იქითა კართანაცა. ზვინადაა. სქლადაა. მერე ფუვდება. ფუვდება. ინაქვთება. იკვეთება: აქეთ – მავზოლეუმი ლენინისაი, – იქითა – სასახლეი დედოფალ დარეჯანისა, – სხვა რამ ნიშანი სამეფოსი თბილისს რო აღარ შემორჩენია, – კანთიელდება, თუ არ გეგონება, მართალიაო, დეკორაციებისგან მაინც ვერ გაარჩევ. კანთიელდება. შესვენებაც თუ დამთავრებულა: თავმჯდომარე თავის ადგილს დაუფლებია, ანთუ ეგებ რო არც ეს გასულა: თუ რამე დასტოვე, აღარც დაგხვდებაო. ნკრიალებს ზარი. ბრუნდებიან დეპუტატები, ბრუნდებიან, და შემოდიან ორივე მხრითა და გა-

მოდიან მავზოლეუმიდანა ერთნი და გამოდიან სასახლიდანა დარეჯანისა მეორენი. შეჰხედე, შეჰხედეო, – რაღაცას ანიშნებს თავმჯდომარესა. თავმჯდომარისათვის ეს რაღაცაა, ისე ვერა ჰხედავს რაღა თქმა უნდა. თუმცა?.. ჰა?.. ეს თვითონ ნეტავი საიდან შემოვიდა, – ზურგიდან ჰო არა?.. რამდენი თვალი უნდა გესხას, – ყველა დაინახო, რამდენი ყური უნდა გებას, – ყველაფერი გაიგონო?.. მაინც რამდენი?.. ესენი მაინც გამოცხადებულან: გამოდიან და გამოდიან მავზოლეუმიდანა, კრემლის ვარსკვლავი მიდგმია შუბლზედა თვითეულს თავისი, როგორც ნათურები მემაღაროელთა. გამოდიან და მოდიან, მოდიან და მოანათებენ, ბოლი სჭრის, მაინც მოანათებენ. ის კარი უნდა ამოიქოლოს.

XVII

გარეთ ხალხია.

ხალხია ყველაფერი.

იმედი თუ არის, ხალხია იმედი. იმედიც სიცრუეა უხალხოდა, სხვა ყველაფერი რო ისედაც სიცრუეა. ოღონდ შენი უნდა იყოს ხალხი. „ჩემია!.." ისევ ისევე გამოვსებულა მოედანი სასახლის წინა, გამოვსებულა, გამოტენილა ბარიკადებს შორისა, მიჰყუდებია მხატვრის სახლსა, კინოთეატრსაც მიჰყუდებია, სასახლეს ჰო ზედ მობჯენია: პრეზიდენტსაც რო ძლივას მოუცლიან ადგილსა, ამალასაცა ძლივძლივობისასა. კმაყოფილია პრეზიდენტი: თუნდაც რო ვეღარ ჩამოაღნიონ დასავლეთიდანა, – გზები შეიკრას დიდთოვლობითა, ზვავები ჩამონვეს, ანთუ დაიქანცნონ ბოლოსდაბოლოსა, თბილისი დაიცავს; დიდია თბილისი, ეს ორი-სამი უბანი ჰო არ არის, – ძველი, დახავსებული, აშმორებული, – ახალია, რაც არის, ახალი, ახლადახალი, გარსშემორტყმული, გადმოკიდული მთების კალთებზედა, გადმოკიდული, მოზიდული, დამუქრებული, ჩამოზვავდება, დასჭირდება თუ არა. ჩამოზვავდება და აქაც არიან.

კმაყოფილია პრეზიდენტი. ხალხი ესაა, იმედი ესაა, ის არა ცხადია, – ის ყოფილი ფუნქციონერები, ის ნითელი ინტელიგენცია, ახლა ტყავი რო გადმოიბრუნეს და გამოჩენილ მამულიშვილებადაც რო მოაქვთ თავი. ანაღვლე!.. იფ, რა კარგია!.. ხალხი ესაა და ახარებს ხალხსა: პუტჩი დამთავრდა, განიდევნენ პუტჩისტებიო; ახლა ისინი ცრემლებსა ჰლვრიან, ზღვას შესტირიან და შიგ ჩაიქცევიან ცრემლებადაო. და ხარობს ხალხი: „ვაშაااااااااااااა..." გუგუნებს. გაინელება ვაშას ძახილი. გაინელოს. გაინელოს. კმაყოფილია პრეზიდენტი. მშვიდობას აღუთქვამს ამიერიდანა, – დამოუკიდებლობა ჰო მოგიტანეთო, – ახლა გაგაძღობთ, ჩაგაცმევთ, დაგხურავთ, რუსებს აღარ დაგანახვებთო. „ვაშაااااა..." გაინელოს. გაგრძელდეს. კმაყოფილია პრეზიდენტი. ცოტა იჭმუხნება: რუსები ლამობენ ახალ იმპერიაში რო შეგვითრიონო. ვერ ელირსებიანო: „ვაშაااა..." ოღონდ ესეცაა: ცოტაც უნდა მოვითმინოთო. ღმერთიც ამას გვირჩევს: მოთმინებას გვირჩევსო. დიახაც რო ამას გვირჩევსო, – მთავარეპისკოპოსი ადასტურებს. ლექსებსაცა კითხულობს მთავარეპისკოპოსი, თადეოზი, სიყვარულის ლექსებსა: მოთმინებას გვირჩევს, სიყვარულს გვირჩევს და ერთობას გვირჩევსო, ღმერთიო ცხადია. „ვაშაა..." კმაყოფილია პრეზიდენტი. თუმცა ჰო: აქ ვერ არის ისე კმაყოფილი: თვით პატრიარქი რო არ მობრძანდება ამის მიტინგებზედა, არც მობრძანდება და ვერც მოაყვანინა, – ვერ არის ისე კმაყოფილი, ისიც საზრუნავი გაუხდება: თუ განუტევა ეს მთავარეპისკოპოსი ეკლესიამა. ვერ არის ისე კმაყოფილი. თუმცა და რაო, – ესეც არაფერი, მოევლება ეკლესიასაცა, ოღონდ ჯერ ეს პუტჩისტები ნაიღოს ზღვამა, მართლა ნაიღოს, მართლა ზღვა იყოს, უკეთესი: ოკეანე იყო, ატლანტის ოკეანე და ბერმუდის სამკუთხედი. უკეთესია. უკეთესია. კმაყოფილია პრეზიდენტი: თქვენ თქვენი განაგრძეთ, ჩვენ ჩვენსას მივხედავთო. და განაგრძობენ, ანთუ: დგანან, დგანან და უნდა იდგნენ და უნდა შეიყოლიონ რაღა თქმა უნდა და არც ილევიან მოქადაგენი. ვინ თუ ინებებს ორჯერაც გამოვა, სამჯერაცა,

ოღონდ ინებოს რაღა თქმა უნდა. მთავარეპისკოპოსი მეორედაც გამოდის: ის პირში ვუთხარი, ახლა ზურგსუკან უნდა ვილაპარაკოო; მესამედაცა: ახლა მხოლოდ ლექსებს წაგიკითხავთო. ერთი ლექსი დაამახსოვრდა ლუოსაცა. არა. მთლად ლექსი არა, – სტრიქონთა ბოლო ნაწილები, თავისთავადაც რო ლექსი გამოდიოდა: მოგვევლინა ზვიადი, ... ჭაბუკი დიადი, ... დაამხო წყვდიადი, ... ეკუთვნის ფრიადი. „ვაშაااااااა..." უხარიანთ ფრიადი: მეტსაც აღარავის აღარ ეკუთვნის, ესაა და მორჩაო. მამა გიცხონდათო: არც რო ოპოზიცია დაიშლის თავისასა, – ზღვაზე გეგონოს და აქაც არიანო, – ბარიკადებზე ვიღაცა გადმოდგება, იქით მხარესა, მოსწავლეთა სასახლისაკენა, მთავარმართებლის სასახლედ რო აეშენებინათ, მენშევიკებმაც რო გამოიზამთრეს, გაიზაფხულეს და გამოიზამთრეს კიდევაცა, – გადმოდგება მეგაფონითა:

„თქვენ აქ ჩამოშეშდით თქვე ბრმაყრუებო და თქვენი პრეზიდენტი შინაა თბილადა, ტკბილადა, კარგად ნავახშმევი, როიალს უზის და შტრაუსს უკრავს". გადმოდგება და აუწყებს, აუწყებს და დაელოდება და ელოდება და აღშფოთებას ელის. ვერ მოგართვითო:

„ინგლისელებს ელაპარაკება ინგლისურადა, გერმანელებს ელაპარაკება გერმანულადა, რუსებს სულაც არ ელაპარაკება, ულურტულა ხმაა, ქალის ხმაა, ნეტარი ხმაა, ეს მთავრობის მიკროფონიდანა რაღა თქმა უნდა, „ვენაცვალე!.. დაკვრაც იცის, ვენაااااااცვალე!.." და ისევ ვაშა დაიგრიალებს. და სადღაც გაჰქრება მეგაფონი, დაითრევენ თუ გაიპარება. და გაჰყვება ტაში და გრგვინავს ტაში, ლამის ხელები დაწყვეტასაა, ლამის ყელიც რო ამოფხრეწვასაა. ლუო მიჰხვდება, სხვებისა რა გითხრა, ხელები დაბლა რო ვეღარ ჩამოუტანია, გამოჭედილა ისე იმგვარადა, მიჰხვდება და უნდა რო თავი დააღნიოს ხელების ტყესა, – თავი როგორმე გამოიტანოს, ხელებიც როგორმე გამოიტანოს. ადვილიც არ არის, შეუტოპია ისე ღრმადა. შუა მორევში მოქცეულა. მიატანა კიბემდისაცა. ცოტაღა აკლდა მიკროფონამდე. ისევ დაითრიეს, ისევ დაიტაცეს, ნაპირ-

საც მიანყვიტეს, ისევ ღურღუმში ამოჰყო თავი. იხვევა ღურღუმი, ბზრიალებს ღურღუმი, სადღაც ეწევა, სადღაც ქვევითა: ტაში ზევითა, ღურღუმი ქვევითა, ალბათ ესაა რო ატივტივებს, ალბათ ესაა, რო აღარც გაუშვებს უნდა გავიდეს, უნდა გააღნიოს. ცდილობს. ამაოა. მიარღვევს ხალხსა. ვერც რო მიარღვევს, ანთუ ხალხიც რო აღარაა: რო მორევია. რო ღურღუმია. მაინც ხალხია, რაც უნდა იყოს, და წყრება ხალხი: სად მიიჭედებიო. ლუო იფშხალება, თვალებსა ჰხრის საცოდავადა: შემანუხაო. თანაუგრძნობენ. მაინც ხალხია. თანაუგრძნობენ. მიიჭყლიტებიან. მიისრისებიან. მიინევს დიდის გაჭირვებითა. მიინევს. მიინევს. გაძვრება ბოლოსა, როგორც იქნება და მადლობა ღმერთსა რო დროზე გაძვრება, თურმე მეტსაც რო ვეღარ მოითმენდა. თურმე სხვებიც რო შეწუხებულან: გარბიან სხვებიცა სამხატვრო გალერეისა და ქაშუეთის შუა, გარბიან, – მირბიან, მორბიან: ესეც მოვიშოროთ და იქაც სიტყვა არ გამოგვრჩესო. ქალებიც აღარას ერიდებიან. ხეებია. ბუჩქებია. მოსაფარებლებია, – არას დაგიდევენ, ლამის ზეზეულა იშორებენ მოსაშორებელსა, კანჭებს იწუნავენ, ჩქარობენ, ჩქარობენ, არას დაგიდევენ, მოსაღამოებაც ხელსუწყობს ცხადია, ცუდი ელექტროგანათებაცა. ყველაფერი ხელსუწყობს უწესობასა. მერე ადამიანებს გაამტყუნებენ მორალისტები. ლუოს მაინც ვერა: ბოლომდის ჩაივლის ბაღის იმ ნაწილსა, საგულდაგულოდ მოეფარება, მშვიდად მოითავებს, მშვიდად ამოივლის, ვითომც არაფერიო, ქაშუეთისაკენ აღარა, – ჯორჯიაშვილის ქუჩის მხარესა. აქეთაც ისევე მირბიან თურმე. მირბიან. მორბიან. ჩქარობენ. ჩქარობენ. ეგნატეს არ უკვირს ხალხის შფოთი და აღრეულობანი. ბრძნულად დაჰყურებს. მალე ეგნატეც აღარ იქნება. ჯორჯიაშვილიც აღარ იქნება. თუმცა არაო: ჯორჯიაშვილი ეგება შეინახონ: გრიაზნოვი მოჰკლაო. ჰო: მოჰკალი, – გადარჩები. ეგნატეს არ მოუკლავს. ეგნატე ასწავლიდა, ურჩევდა მკვლელობასა. მალე ეგნატე აღარ იქნება, ჯორჯიაშვილიც აღარ იქნება, გინდა მოჰკალი და გინდა ურჩიე, აღარაფერი აღარ იქნება. მირბიან. მორბიან.

ტალღებად გადადიან ერთიმეორეზედა. აქ შეიძლება რო თეასაც გადაეყაროს. აქ შეიძლება. აქ შეიძლება. რატომ არ მოაფიქრდა აქამდისა?.. თეა!.. მაგრამ ორად უნდა გაიპოს. „გაიპე გულო, რადგან ენა უნდა დადუმდეს". უნდა გაიპოს: ერთი აქ დაერჭოს, – ეგნატესთანა, მეორე ქაშუეთთან უნდა დაერჭოს. თეა!.. ან შენვე უნდა მოიფიქრო თეა: იქით თუ შეხვალ, აქეთ უნდა ამოიარო. თეა!.. უნდა მოიფიქრო თეა!.. უნდა იგრძნო თეა!.. რაღაცა უნდა მოიფიქრო, რაღაც უნდა იგრძნო. ეს მართლაც ორად ვერ გაიპობა. „გაიპე გულო..." სათქმელად ადვილია, გაპობით მართლა ვერ გაიპობი. თუმცა შეიძლება გაშუალდეს ისე: აქეთაცა ჰხედავდეს, იქითაცა. შეიძლება – დღე რო იყოს, ანთუ რო კმაროდეს ელექტრო შუქი. მალე ეს შუქიც აღარ იქნება, როცა იქნება, დღეც აღარ იქნება. თეა!.. ღამე იყოს, მაგრამ ღამეც აღარ იქნება. რაღაც იქნება. მაგრამ ის მაინც აღარ იქნება, რაღაცას რაღაც რო უნდა დაარქვას, ანუ: სიტყვა აღარ იქნება, ანუ მთქმელი აღარ იქნება, ანუ: არ იქნება აღარაფერი. თეა!.. ისიც შენი თეატრი თუ იყო, მეგაფონით რო გადმოიძახა. ახალი პიესა. ხერხები იგივე. თუმცა და რაო, – ყველა პარტია თეატრია, ყველა იგივეა, დადგმის ხერხები მაინც იგივეა, პიესა რაც უნდა ახალი იყოს. ვინც რა უნდა თქვას, ამან იცის, რო იგივეა. „ძირს ნიკოლოზი!.." ცხრაას ხუთის პიესიდანაა, „ყოველდღე შემწვარ ქათმებს მიირთმევს..." – აგიტატორია, გურიაში გამწესებული. გურულებს უკვირთ: მიირთვას მერე, ჩვენც ჰო მივირთმევთო. „მაგრამ ინდაური!.." არ დაიბნევა აგიტატორი, „ყოველდღე შემწვარ ინდაურს მიირთმევს, ძირს ნიკოლოზი!.." შემწვარსაც მივირთმევთ, მოხარშულსაცა და საცივსაც არ მოვისაკლისებთო. არ აჰყვებიან გურულები. აგიტატორიც არ გატყდება: „მთავარი არ მითქვამს: კატლეტებს მიირთმევს!.." ძირს ნიკოლოზიო, – იგრიალეს გურულებმა. გურულებმა კატლეტი არ იცოდნენ. კატლეტის ჭამა არ აპატიეს იმპერატორსა. თბილისელები აპატიებდნენ: ეჭამა კატლეტები ამათ პრეზიდენტსა, შტრაუსიც დაეკრა, მაინც უნდა ჩამოეგდოთ. ნიკოლოზი

ჩამოაგდეს, მდივნები ჩამოჰყარეს, ეს რას გაუძლებდა?!. დადგმა იგივე გახლდა, პიესაც იგივე, თუმცა ჩნდებოდნენ ახალი ავტორები, რეჟისორებიც ვითომც ახალნიო. თუმცა ყველაფერს არც უნდა რეჟისორი, ამათ მაინც არა: მიცუხ-ცუხებს ყველა თავისებურადა, ზოგი უსწრებს, ზოგი არცა ჩქარობს, ზოგი იქავე აეყუდება, ზოგი ჩაცუცქდება მოშორებითა, ზოგი მასლაათობს აყუდებულიცა, ანთუ კამათობს, ანთუ გარბის თავჩაღუნული, ვის თუ როგორც სჩვევიაო, ანთუ როგორც რო გასჭირებია. გაიგებ ვინთუ ფიცხელი გახლავს, ვინთუ ზანტია. მიდექი. არჩიე. იპოვა ადგილი. თეა!.. არა. ეს ზიზია. საიდან სადაო. არა. არცთუ საიდანაო: თეასა ჰგავდა. სხარტი გახლდა თეასავითა, ლაღი გახლდა. ახლა ცოტა დასრულებულა. ან ეგებ რო ღამის ბრალიცაა, ცუდი ელექტროგანათებისაცა. არა. არა. დასრულებულა. რამდენიხანია?.. ტყუილია, ვერ გამოითვლის. ზიზია და ისაა, მეტი რაღა სათვალავი უნდა:

„ლუო!.."

„ზიზი!.."

და შეესკვნებიან ერთიმეორესა, თითქოს რო აღარც შეიხსნებიანო.

ძიძია.

ონისე.

„ხევისბერსა" თამაშობდნენ გდიდის თეატრში. თავდავიწყებითა. თავდავიწყებითაო, – ურჩევდა რეჟისორი, – ყაზბეგიც ჰო ასევე წერსო: თავდავიწებას მიეცნენო. ურჩევდა. უჯერებდნენ. თავდავიწყებას მიეცემოდნენ რეპეტიციებზედაცა, სცენაზე ჰო: დარბაზიც უცდიდა, განაბული დარბაზი, დარბაზს მოსწონდა თავდავიწყება შეყვარებულთა, სიყვარული მოსწონდა, თუნდაც რო ცოდვილი სიყვარული, მოსწონდა, ყოფილიყო ოღონდ სიყვარული, ოღონდა, ოღონდაცა, და მერე დაე მოჰყოლოდა ტრაგედიაი იმდაგვარი, მამა რო შვილს მოჰკლავს და თვითონ გაგიჟდება. ოღონდ სიყვარული ყოფილიყო. სიყვარული. და მითუმეტეს: არცა თამაშობდნენ ესენი სიყვარულსა: უყვარდათ, ეძლეოდნენ სიყვარულსა მართლაცა, მართლა-

ცა, საჯაროდაცა, ფარულადაცა; ესაა რო დიდხანს არ გასტანა. ზიზი თბილისს გადაიყვანეს. ასე ამბობდნენ: გადაიყვანესო. ასეთ მსახიობს ჩვენ ვინ შეგვარჩენსო. ამბობდნენ. მხოლოდ ლუო ეჭვობდა. ეჭვი სიმართლეს ეტოლებოდა: ადგილი თბილისში ლუოს სიმამრმა უშოვნა ზიზისა. ზიზიც გაფრინდა დაუყოვნებლადა. ვითომ თუ რა შეაყოვნებდა: ლუოს ტუჩებიო თუ ვინმე იტყვის, – ტუჩების მეტი რა იყო თბილისში. ღიღინებდა მეუღლეი ლუოსი, იცინოდა და ღიღინებდა. ამან აღუძრა ეჭვი ლუოსა. ეჭვიც აქ იყო და სიმართლეცა. რამდენი ხანია?.. იყოს რაც არის, იყოს. ძალიანაცა არ შეცვლილა. ისევე შეეკვანძა და დაენაფა ისევე. იგივე სცენა გაითამაშეს, იმგვარადვე გაითამაშეს, იმგვარივე ხანგრძლივობითა. აღარ მისცემია ასეთი სცენები, ანთუ როლი აღარც მისცემია. აღარც უნდოდათ დრამატიული მსახიობები. ლედი ანასაც კომედიას ათამაშებდნენ. გააკომედიებდნენ ძიძიასაცა თუ მოინდომებდნენ რაღა თქმა უნდა, მაგრამ არაო, არ მოინდომებდნენ, რადგან რო შიშობდნენ: ქართული დრამებით თავს ვერ გამოვიჩენთ საერთაშორისო ფესტივალებზეო: ფესტივალი. ოსტანკინო. ოსტანკინო. ფესტივალები. ოსტანკინო. რამდენიხანია?.. ბიჭი ისევ აკვანში იწვა თუ ამზადებდნენ სასკოლედა?.. ნეტა რა თავს იტეხს: იყო და არიან. დაპკარგეს და ჰპოვეს. მოულოდნელად იპოვნეს, მოულოდნელად დაჰკარგეს და ისევ შეეხვდნენ მოულოდნელადა. თეა!.. შენც აღმოჩნდები მოულოდნელადა. ასეთია ბედი ამისი: ჰკარგავს და ჰპოებს. აი მიმდგარან ისე ახლოსა, – კვლავაც ერთმანეთს გადაეხვევიანო, არ დავიწყებიათ რო ერთმანეთი. ის თითქოს მაინც დავიწყებია ზიზისა, აქეთ თუ რისთვის გადაუხვევია, თუმცა დროდადრო თავს თუ შეახსენებს, ისე შეტოკდება, ისე მოიხრება. შეახსენებს და მიავიწყებს. შეახსენებს და მიავიწყებს. ტოკავს. შეჩერდება. მდინარებს გამზირი, მდინარებს, მდინარებს, სასახლისაკენა და სასახლიდანა. აქეთ ტოტები გამოეკიდება. მიტინგი ჰო შეკრულა ბარიკადებითა, სასახლის მიტინგი, რო განმენდილა გამზირი სხვათაგანა, რო გალაღებულა, სა-

სახლის მიტინგი. გალაღებულა, მაინც საშიშია. იარაღია გადამალული მთანმინდის სარდაფებში, აგერ აქავე – ქუშუეთშიცაო. დაუჯერებელი არაფერია. იქ ზღვა ზღვადაო. და აქაც ირევიან მონინააღმდეგენი. ირევიან. ისე, ვითომც რო არაფერიო, მაგრამ კმარა რო ნიშანი მისცენ: მოედებიან მთანმინდის სარდაფებსა, აღიჭურვებიან რამდენიმე წუთშიო. ო. ო. ო. ყველგან ო და ყველაფერი – ო. აღიჭურვებიან. შეპკრავენ ჩიხებსა. გადმონვებიან სახურავებზედაცა, სნაიპერები გადმონვებიან. ვერსაით ნაუვლენ, ვერსაით ვერ გაეპარებიან. ეს ისე, სათქმელადა, თორემ გაპარვას არც აპირებენ სასახლისანი რაღა თქმა უნდა, გამარჯვებულან, განმტკიცებულან და თუ შეტევას კიდევაც ელიან, – მოვიდნენ, მზად არიან: ის ყვავილები ყვავილებადა; აღარც გამოვლენ, აღარც ეახლებიან, ქვემეხებიც გაუმართიათ, გაუმზადებიათ ტანკებიცა, ბეტეერებიცა. განმზადებულან. მომზადებულან. გვარდია გვარდიის პირისპირა: იქით განდგომილნი, აქეთ ერთგულნი, მთავარია რო პირისპირა: ერთიდაიგივენი. და ჩაილენება გამზირი რუსთაველისა, ჩაილენება, სასახლეებითა თავისი, სასტუმროებითა, რესტორნებითა, თეატრებითა, ჩაილენება. ამას რეფორმა მოუნდომებია თეატრისაი. ტოკავს. მუხლებს უჭერს და რეფორმაც მოუნდომებია:

„ასე არ ივარგებს. დიდხანსაც აღარ გაგრძელდება", ზიზი: „ზინასაც როლი აღარა აქვს. „არმჰერსტის მშვენება" მიაჩეჩეს და ვითომც სპექტაკლს ათამაშებენ. ეს რობიკოს მორიგი ექსპერიმენტია. ექსპერიმენტისათვისა ცდება ბრნყინვალე მსახიობი. ერთი მოქმედი პირი არც პიესაა, არც სპექტაკლია, თავიც რო მოიკლა, არ არის!.. ვეფხისტყაოსანიც რო წააკითხო ერთ მსახიობსა, თეატრი არ იქნება, სპექტაკლი არ იქნება. გააცოცხლე უშანგი, – მაინც არ იქნება. ტვინის ჭყლეტაა ერთი მსახიობის თეატრი. ვისაც უნდა ეწყინოს, ვისაც რა უნდა ის ეგონოს, მე ასე მითქვამს: ტვინის ჭყლეტაა. პიესა დიალოგებია, ხასიათების შეჯახებაა. ყველაფერს თავისი ფორმა აქვს, სახე აქვს თავისი, სახელი აქვს თავისი. ერთი მოქმედი პირი ერთი

გრძელი მონოლოგია და სატანჯველია მსახიობისა. არ ვიცი ზინამ თუ რა დაუშავა რობიკოსა, რატომ ჩააგდო ასეთ ჯოჯოხეთში, არ ვიცი, არ ვიცი, საოცარია!.. მეცოდება ზინიკო. მეორედ ველარ ვუყურებ. ერთხელ ვუცქირე და მეც იმასთან ერთად ვიტანჯებოდი".

„თანაგრძნობაც ასეთი უნდა!.."

„შენ გეცინება, მე წუხილი მალაპარაკებს".

„მეცინება?!."

„აბა მაშ რაო: რა თანაგრძნობაა, როცა მსახიობის ტანჯვა განუხებს და არა ბედისწერა გმირისა".

„მაინც თანაგრძნობაა. და ასე მაღლაც რო არ ვიფრინოთ: მგონი აქ სადღაც მიეშურები..."

„ჰა, ჰა, ჰა.. არა უჭირს რა. რამდენიხანია აღარ მინახივხარ!.."

„რამდენიხანია?!." შესძახებს ლუოი, მხურვალედ შესძახებს: ეგებ ეს დრო მაინც გამოვარკვიოო.

„საუუუუკუუუნეეეეეეა!!.." გაპრანჭავს ზიზი. ლუო ვერაფერს ვერ გამოარკვევს.

„საუკუნე არა..." მაინც თავისასა ცდილობს ლუოი. ჩაჰყურებს თვალებში, ლამის ცხვირი ცხვირს დააბჯინოსო, ჩაჰყურებს, ელის, ეგება წლები გამოთვალოსო.

„არა. არა. აი შეგხვდი და ასე მგონია, არც დავცილებივართ ერთიმეორესა".

არც დავცილებივართო. არა და დასცილდნენ. რაღაც ნაფშხვენები შერჩენოდა დროისა, ისიც გაუქრა. არც დავცილებივართო. გაუქრა. გაუქრა. ეგება მოსძებნოს რაიმ ნერტილი, ნრე თუ ვერა, ნერტილი მაინცა, ნრეც რო ნერტილებია, სნორი ხაზიც ნერტილებია, ეგება დროც რო ნერტილები იყოს. რაც უნდა იყოს, არ აცდის ზიზი. არა, არ აცდის. ყველას თავისი თეატრი შეუთხზავს, ესეც უხატავს თავისასა: მელოდრამატიული თეატრი გვინდაო: არც ტრაგიკული, არც კომიკური, არც სატირული, ტაკიმასხარულიც არა, მელოდრამატიული თეატრი გვინდაო:

„თეატრი მასხარაობს. თეატრი სიძულვილსა თამაშობს. ხალხი თეატრსა ბაძავს, სიძულვილად იქცა ხალხი-

ცა. ჩვენ უნდა სიყვარული დავაბრუნოთ თეატრში: სიყვარული, სიბრალული, ჩქროლვა, მიმტევებლობა, ცრემლი, ცრემლი, ცრემლი უნდა დავაბრუნოთ თეატრში, – რაც ღვთაებრივია, რაც რო გაანელებს მინიერსა, სიძულვილს გაანელებს. ეკლესიას გაუჭირდება უჩვენოდა. ეკლესია აღდგა, მაგრამ რწმენას დააგვიანდება. ჩვენი ლოცვა ლოცვას არა ჰგავს. ჩვენი პირჯვარი არა ჰგავს პირჯვარსა. განცდა არ გააჩნია ვედრებასა ჩვენსა, მხურვალება არ გააჩნია. ჩვენ ჰო ისინი ვართ, ურწმუნოება ვისაც ჩაუნერგეს, – ისინი ვართ, ასე ადვილად რწმენას ვით ავყვებით?!. ვერა, ვერ ავყვებით. ყველაფერი მოჩვენებითია, ცბიერებაა ყველაფერი, ცბიერებაა ჩვენი მორწმუნეობა. ეროვნული განცდაც მტკიცე არ გამოდგა. არა, არა, ამანაც ვერ გასძლო. სიძულვილმა დაჰფარა ყველაფერი. სიძულვილი უნდა გავაძევოთ თეატრიდანა".

ლუო თანხმდება: გავაძევოთო.

ზიზი ტოკავს. მუხლებს შეატყუპებს და შეაკანკალებს ოდნავადაცა. ჩამოუქროლებს გუნდი ქალებისა. გაჰყვება თანა, გაეკიდება ფაცხაფუცხითა, ლუოსაც ანიშნებს: იქ შევხვდებითო. საიქიოს არ იგულისხმებდა ზიზი, მიტინგს იგულისხმებდა რაღა თქმა უნდა. არც ლუო გახლდა იმა ჭკუისა, საიქიო რო ეგულისხმა. აღარც მიტინგზე აღარ მოუცდია. რაღაც ახალი იხლართებოდა. მაინც არ მოუცდია. ილია შეეცოდა, აკაკიც შეეცოდა, ანთუ უფრო: ძეგლი ამათი, ძეგლი შეტყუპებული. იმათს ფეხებთან კარვები გაეშალათ ახალ სოციალ-დემოკრატებსა: გადადგეს პრეზიდენტი, ისე აქედან არ ავიშლებითო. არც რო ჩვენაო, – ფაციფუცობდნენ სტუდენტები: ბარიკადებთანა მართავდნენ კარვებსა. ახალი ტალღა იყალყებოდა. ადიოდა. ადიოდა. გადმოიმხობოდა. და მაინც ეს სოციალ-დემოკრატები: ამათ შეუჭამეს გული ილიასაცა და აკაკისაცა, გულიც შეუჭამეს და ბოლოც მოუღეს და მაინც ამათს კალთებს ამოჰფარებოდნენ, ციტატებიც ამათივე ამოეწერათ, მალიმალ გაშლიდნენ, მალიმალა კითხულობდნენ, თუმცა რო ჯლოყინითა, ეგ არაფერიო, კითხვა უჭირდათ, თორემ

ლაპარაკი არა, ენაზე ჭალი არ მოედებოდათ. კითხვა უჭირდათ, ძალიან უჭირდათ. უჭირდათ. უჭირდათ. რას იზამ: კითხვა ჯაფას მოითხოვს, ლაპარაკი არა, მითუმეტეს თუ ენა გექავება. ჩვენ ამათი მიმდევრები ვართო. ო ღმერთო ერთო, რამდენის ატანა ძალგიძს!.. და აპყურებს ზეცასა აკაკი, ისევ იქიდან ელოდა შველასა. ილია შორეულს მისჩერებოდა, მინიერსა და შორეულსა. შეერთებულიყო ცაი და მიწაი. საქართველო ვერ შეერთებულიყო. აქ ილიას ძეგლი უნდოდათ. აკაკი იდგა ოპერის ბაღში. აკაკი და ეგნატე. ეს აქეთ ბაღში. რაც უნდა იყოს: ილიას ძეგლი არსად არ იდგა. აქ აპირებდნენ. როგორთუ მარტოო, – მოიკლეს თავი, მოიკლეს თუ გადაირივნენ, – ერთად უნდა იყოს ორი ბულბული, ერთი სიმბოლო საქართველოსი, მთლიანობისა ამერ-იმერისა, ერთად უნდა იყვნენ და ერთად უნდა მიგვიძღოდნენო. და იდგა სიმბოლოი იგი ერთიანობისა და ფლეთდნენ საქართველოსა და ფლეთდნენ და ფლეთდნენ, სიმბოლო უნდოდათ სიმბოლოდა, საქართველო აღარ უნდოდათ. საცოდავი პროვინცია. და ხარხარებდა მოსკოვი და ხარხარებდა და შუბლს იჭმუხნიდა და ძვირად უჯდებოდა და ვეებერთელა ალიასკა ჩალის ფასად მიუგდო შტატებსა და პატარა საქართველო სისხლის ფასად უჯდებოდა და სისხლი ბევრი ჰქონდა დიდ რუსეთსა და საქართველო იწრიტებოდა და სიმბოლო ჰო იდგა. და აღარ მოუცდიამეთქი. მიჰყვებოდა მიტინგის ტაში. მიაცილებდა.

ეზოში ბნელოდა.

ჩაბნელებულიყო ხვეული კიბეცა.

კარიცა ლუოსი.

შუქი გამორთეს. ზოგავდნენ დენსა. ენერგეტიკული კრიზისიო. ზოგავდნენ უფრო მთაწმინდის ხარჯზე, ვერის ხარჯზე, ვაკისა და საბურთალოსი, გადაღმა მთები ბრიალებდა ამათი გულის გასახეთქადა. ბრიალებდა. აქეთ მხოლოდ სასახლე ენთო, მოედანი სასახლისაი. ანარეკლი გარშემო დასცემდა, თუმცა არც ისე, ჩიხებამდის რო ჩაეღწია, და ისედაც არა, ბინაში სინათლე რო დაჰხვედროდა, ლუო-

სა ცხადია. და დაპხვდა. სანთლები ენთო, თაფლის სანთლები, ღვთიშობლის ხატთანა. ხატი დედის ოთახში ასვენია. დედი!.. სანოლთან ასვენია. დედი!.. სანოლი გასწორებულია, ისევე, როგორც იყო. დედი!.. დედი!.. უხმობს, ბინა ვრცელია, ოთახები მოზრდილი, მაგრამ არც ისე, ხმა რო არ მისწვდეს. ლინკასთან თუ გავიდა?.. მაგრამ ურდული ისევ ისეა, ისევე ჩაჭედილი, მკვიდრად ჩაჭედილი. არც არავინ გასულა, ვერც შემოვიდოდა ვერავინა. ეთქვათ: თუ ლინკას ოინებია. ვერა, ვერა, ვერ შემოვიდოდა. აქ რაღაც სხვაა, – იდუმალებაა. თეა!.. პა?.. თეა!.. სადღაც მიჩქმალულა, მიკუნჭულა და გატვრენილა. თამაშობს, ერთობა. თეა!.. თეა!.. უძახის, უხმობს. ვერც ისე ხმამაღლა, ვერც ისე გაბედულადა: ემანდ ლინკამ არ გაიგონოსო, ლინკამ არ ასტეხოს კარის ბრახუნიო. დაიპარება უჩქამოდა, უხმობს ჩურჩულითა; უხმობს, ეფერება, ელაციცება, ეხვენება, ეეედრება, ენუკვის, თან ხელები გაუშვერია, ანთუ ნავანყდები, ანთუ თვითონვე ჩამივარდება გაშლილ მკლავებშიო. თეა!.. თეა!.. თეა!.. სულიერი არა ჭაჭანებს. მოიწყენს. იწყენს. მობეზრდება. გაგულისდება. ითაკილებს. აბუზღუნდება. წყრომას გამოურევს. ამასაც აგრეთვე ჩურჩულითა. ცოტა ძნელია წყრომაი ჩურჩულითა, ლამის კბილები ნამოსცვივდესო. რაც არის, არის, მოეშვება: თვითონ მობეზრდეს დამალობანაო, მოეშვება, გადაესვენება საწოლსა თავისასა. მიილულება. წამოხტება: თითქოს ვიღაცამ გაიხმაურაო. ისევ მიწვება: თვალებდაჭყეტილი, ყურებდაცქვეტილი, აღარ ჩამთვლიმოსო. ჩასთვლემს მაინცა: და თითქოს რო ვიღაცა დაეცა ზედ გულზედაო. არც არავინაო. ხელებს ასავსავებს, ტყუილად ასავსავებს. შეიგინებს და გადაბრუნდება. და ერთიც ვნახოთ დააჭყეტს თვალებსა: მთელი ბინა გაჩახჩახებულა, თვით დიდედა სალომეს ჭაღებიცა. ამას მხოლოდ საგანგებოდ ჩართავდნენ ხოლმე. დაავიწყდა, რო თვითონვე ჩართო, თეას რო ეძებდა, დაავიწყდა და თეას დააბრალა: თეა!.. თეა!.. ბინა ჩახჩახებს და მეტი არაფერი, მეტი არავინა, არც რო სიბნელეს მოპფარებია. არც ნამოვარდნილა სინათლეზედა. თეა!..

სანთლებიც ჩამქრალა. ბრწყინავს ღვთიშობელი. ჩჩვილიცა ბრწყინავს, თითქოს ამას დასცინიანო. არა. ტყუილია. ღვთიშობელმა დაცინვა არ იცის, ჩჩვილმა მით უფრო. ალბათ ლინკაა უჩინმაჩინის ქუდითა, ალბათ ხატს თუ ამოჰფარებია და თვალებს უჭრელებს ხატსაცა, ამასაცა. ეშმაკი ეშმაკია, ხოლო ლინკამაც თუ ეშმაკთან გადააბა კუდი, ამას აქ აღარ დაედგომება. თეა!.. თეა!.. თეა!.. თითქოს კარი დააკაკუნეს. ჰა?.. არა, არა, არავინ არის. შუქი ისევ გამოირთვება. დაარქვი რაც გინდა: ეშმაკი, ლინკა, თეა, – რაც გინდა, სინათლე ჰქრება, სიბნელე მოიცავს... ზიზი?.. არა, ზიზი გაეკიდა გაჭირვებულ ქალებსა. ზიზის მელოდრამატიული თეატრის აღორძინება ნებავს. ზიზის ტირილი უნდა. ნატას ცრემლებიო. ტირილი უნდა, ტირილი, ეცოდება დრამატიული მსახიობები. შესცოდებია ბ-ნი ხარაბაძეცა. ნავიკითხე იმისი მოგონებანიო: „ნიგნი რო ავიღე, გამიკვირდა, – რა მოგონებანი უნდა დაეწერა, ჯერ ჰო ამას თავისი როლი არ უთამაშნიამეთქი. და ნარმოგიდგენია: ისიც რო ამასვე ჩივის მთელს ნიგნში: ჯერ ჩემი როლი არ მითამაშნიაო. აი რა დღეშია მსახიობი. რეჟისორმა მოჰკლა მსახიობი. მე მინდა თეატრი, სადაც მსახიობი მოჰკლავს რეჟისორსა. აი ასეთი თეატრი მინდა. მე მინდა დრამატურგი, მსახიობთან ერთად რო მოჰკლავს რეჟისორსა. აი ასეთი თეატრი მინდა. თეატრს რეჟისორი არა სჭირდება, მითუმეტეს ფესტივალის რეჟისორებიო. არა, არა, არა სჭირდება. წარმოგიდგენია..." და ჩამოუქროლეს და გაეკიდა და ლუომ აღარ იცის კიდევ თუ რა ნარმოუდგენია, ანთუ რა უნდა წარმოედგინა: ეგება ეს სანთლები, აგერ ისევ რო აპარპალდება, ისევ ისევე ხატის წინა. არავინ შემოსულა, არავინ გასულა, არავის არ გაუკრავს ასანთი. ანთია. ბრიალებს. დაკმედილა ხატი. აღარც ღვთიშობელი აღარ დასცინის, არც ჩჩვილი აღარა. სანთლებია, ხატია, აქ ეშმაკს რა უნდა, – ლუო პირჯვარს გამოისახავს. ძლივას მიეჩვია. სხვები მიეჩვივნენ, აპყვა ესეცა. ხატს სცენაზე ვერ გამოიტანდნენ, პირჯვარს ვერ გამოისახავდნენ სცენაზედა, რეჟისორები შლიდნენ ამგვარ ადგილებსა ძველ

დრამებში თუ წაანყდებოდნენ, ძველში ცხადია, ახლებში თვითონაც ვერ წაანყდებოდნენ. ზიზი!.. მართლაც და ვითომ რაღა საჭიროა რეჟისორი: თუ აღარც ხატი ნაიშლება, აღარც პირჯვარი აღარ წაიშლება?.. აღარც ცრემლი აიკრძალება. ცრემლსაც თავისი სადინარი უნდა. ცრემლი დაახრჩობს ადამიანსა. რაც უნდა იყოს: ცრემლიც ღვთისაა, იმანვე მოუაროს. თეა!.. ისევ შენთან ურჩევნიან. იყოს თუნდაც უკანასკნელი ნუთი. ამას ჩამოსვამენ. შენ ცრემლი ჩუმად ჩამოგვარდება. მალევე მოიწმენდ, ანთუ შეგაშრება მალევე: არ დამინახონო, სახეს მოიცისკრებ. ჩამოსვამენ, ანთუ უფრო ხატოვნად რო ითქვას: პანღურს ამოპკრავენ. მუტრუკები!.. ახარხარდებიან. შენც გაიცინებ: მაშინ შეგაშრება ცრემლი. ჩამოსვამენ ერთისიტყვითა, ხატოვნებას რო ჩამოვეხსნათ. პირობა პირობაა. წავლენ. გაჰყვები. რის სიბრალულიო, ანთუ რიღას მოგონებანიო, ყველაფერი რო მხოლოდ ნუთია, რო აღარაფერია მანამდისა, არც მერე რო არაფერია, მხოლოდ ნუთია და სხვა არაფერი. ფაფუ!.. თეა!.. ჰა?..

XVIII

ეს – ზღვა ხმაურობს.

ტორტმანებს.

ანყდება ნაპირებსა. ანყდება. გადმოლახავს. ვეღარ შეაკავებს გორები ნაძალადევისა, მტკვარს დაეცემა, მტკვარს აიტაცებს, აიტაცებს და გაიტაცებს. ბორგავს პოსეიდონი. მრისხანებს პოსეიდონი. უნდა მიეშველოს. ქომაგია იგი, მხსნელია იგი, მომიტინგეთა მხსნელი, მოდემონსტრაციეთა მხსნელი. აღარ მოინდომებს კიბეებზე ჩამოსხდომასა. თუმცა აირჩიეს კიბეები ფილარმონიისა, უფრო ფართო, უფრო გაშლილი, უფრო საკვანძო ადგილზედაცა. არაო, მაინცა, დრო აღარ იცდისო. დრო იცოდა პოსეიდონმა. ის სხვებს ერკვიათ: დრო თუ რა არის, ანთუ არის, ანთუ არ არის, – ამან დრო იცოდა, დრო აღარ ითმენ-

სო. ბ-ნი სიგუაც ვეღარ მოითმენს: ჩვენ ხელთა გვაქვს დოკუმენტები, ჩვენ დავუმტკიცებთ, – იანაევს რო თანაუგრძნობდა, მოსკოვის პუტჩს რო მიესალმებოდაო. იანაევსა, ინაევსა თუ აინაევსაო, – ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, ვისა სცალიან ამის სარკვევადა: ჩვენ ხელთა გვაქვსო მამხილებელი დოკუმენტებიო პრეზიდენტისაო რაღა თქმა უნდა; ანთუ ვინ მოითმენს, ვისაც ჯავრი სჭირს პრეზიდენტისა. შემოგროვილან, შემოჰხვევიან ფილარმონიასა. წრედ წამომდგარა და ნრიულად შემოჰხვევიან. ავსებულა მაღლა აივნები, ძირს – ქუჩა, კიბეები, შემოჰხვევიან მუზასაცა, მოიერთებენ ვერის პარკსაცა თუ დასჭირდებათ თუ მოინდომებენ, თუმცა ამდენნი მაინც არ არიან. არც უფრო მეტი გაუკვირდება მელპომენესა. ტრაგედიას ეტანებოდა ამაღლებული ხალხი. კომედიას მდაბიონი ეტანებოდნენ. იყო ხალხი ამაღლებული და დიადი ტრაგედიებიც იდგმებოდა. დაეცა ხალხი და ეშმაკმა უნყის თუ რასა მღეროდნენ ფილარმონიის სცენაზედა, საიდან რა შემოეტანათ, რა გადმოეღოთ, როგორ გადმოეღოთ, ეშმაკმა უნყის, და როგორ ასულელებდნენ ხალხსა, ისედაც ჭკუაზე რო აღარ იყო, ეშმაკმა უნყის!.. ტრაგედია დაწყებულიყო. ნიღაბი ხელთ ეპყრა მელპომენესა. ნიღაბი მონყდებაო, – შიშობდა ბ-ნი ბერძენიშვილი, – ვიღაცას დაეცემა, სხვა რო არაფერი იყოსო, – შიშობდა, – მუზას შეკეთება უნდა, გამაგრება უნდა მუზასაო, – შიშობდა და იხვეწებოდა. რუსთაველიც შესაკეთებელი გამხდარიყო, მუზაც შესაკეთებელი. მუზა მაინც მუზა ყოფილა. მუზა მაინც მომხიბლაობდა. იდგა მხურვალი და სუსხიანი, მიმზიდველი და მიუკარები, არმინიერი, არღვთაებრივი, აღვსებული უცხო მშვენებითა; სადღაც ეწეოდა, – მაღლა, მაღლა, ესენი დაბლა რო ეწეოდნენ. მუზა მიჰყიოდა რუსთაველსა. ზურგი შეექცია რუსთაველსა. ეს უკვე მოქანდაკეთა ბრალი იყო, თორემ რუსთაველი?.. რუსთაველი მიუტევებდა მუზასაცა, უნიჭო პოეტები რო მოემრავლებინა, როგორც რო მზეს მიუტევებდა: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყი-

ნების!" მიუტევებდა რაღა ქქმა უნდა. რაც უნდა იყოს: ტრაგედია დაწყებულიყო.

ნიღაბი ხელიდან გავარდებოდა მელპომენესა.

ფარდა მოწყდა.

ფარდაზე მელპომენე ეხატა. ცუდად ენიშნათ. მაგრამ სპექტაკლმა ბრწყინვალედ ჩაიარა. ფრიალებდა ქართული დროშები. გამარჯვებასა ზეიმობდნენ ქართველები. „სამშობლო" დადგეს. სამშობლო გაიხსენეს. ხარობდნენ, ზეიმობდნენ, უკრავდნენ ტაშსა, დიდხანს უკრავდნენ ბავშვები, მშობლები, მასწავლებლები, დავიწყებოდათ სხვა ყველაფერი, სამშობლო რო გაეხსენებოდათ. ლუო თავს უკრავდა. ლუო ხიმშიაშვილსა თამაშობდა, ვითომც მართლაც ხიმშიაშვილი იყო, ვითომც მართლა სამშობლო ეხსნა. და ველარ გაეგო მერე თუ რა მოეხდა, რად იბარებდნენ, რის პასუხსა სთხოვდნენ, ვის ეძებდნენ და რისი გამორკვევა ეწადათ. ჩეკაც იქვე იყო, ცეკაცა, მთავრობაც ჰო ზედ წასდგომოდა სკოლასა ამათსა და დაარბენინებდნენ იქიდან იქა. იქიდან იქა, იქიდან იქა, რო რაღაც გაეგოთ და რო ვერაფერიც ვერ გაეგოთ, რადგან ვერ გაეგო რო ვერაფერი თვითონ ლუოსა. ვერა, ვერ გაეგო. ვერ გაეგო ვერც დირექტორსა: ჰო განთავისუფლებულიყო საქართველოი ოქტომბრის წყალობითა. ჰო იყო ბედნიერი, ჰო ზეიმობდა თებერვალსა. ჰო ტკბებოდა თავისი ბედნიერებითა, ამათაც ჰო ეს გამოეხატეს: ეს სიხარული, ეს აღტაცება, ტკბობაი ესე ბედნიერებითა?!. ილიასი და კატკოვის დრო ჰო აღარ იყო?!. ვერ გაეგო. მოეხსნეს. კიდევ კარგი რო მოხსნა აკმარეს. მართლაც ვერ გაეგო, მართლაც ბედნიერი ეგონა თავი. ასე აღზრდილიყო. ამას უნერგავდა. ბავშვები მაინც გადარეულიყვნენ ქართული დროშითა, სამეფო დროშითა, გახელებულნი უკრავდნენ ტაშსა, ჰყვიროდნენ ვაშასა და იხმობდნენ ლუოსა, კულისებს თუ მიეფარებოდა. უხმობდნენ. უკრავდნენ. დაშლა არ უნდოდათ. მერე გადაეყარეს ნითელი ყელსახვევებიცა. ისედაც ჯიბით დაეჭონდათ ხოლმე, მხოლოდ კლასში თუ გაიკეთებდნენ. დაეყარეს. ეს რა ჩაიდინეო, – უტევდნენ დირექტორ-

სა. რა ჩავიდინეო, – წუხდა დირექტორი. მერეცა წუხდა მოხსნილი თუ გაპანღურებული. კიდევ კარგი გაპანღურებული. უკვე ფრთხილობდნენ, მიჩუმათების ხერხი აერჩიათ. ფარდა მონყდა. ფარდა გაამაგრეს. მაინც ცუდად ენიშნათ. მაგრამ სპექტაკლმა ბრნყინვალედ ჩაიარა. მელპომენე ეხატა ფარდაზე. ტრაგედია გრძელდებოდა. დანყებულიყო დიდიხანია, გრძელდებოდა და გრძელდებოდა. ზეიმებში უნდა ჩაეხშოთ. ზეიმს მიეძღვნა ეს სპექტაკლიცა, სათებერვლო ზეიმსა. და მოჰყვა დირექტორიცა ორდენებით დაჯილდოებულთა სიაში. სიები ჰო ადრევე მტკიცდებოდა. და იყო ძველი ეს ყველაფერი ჯილდოებიცა, პატივიცა, რისხვაცა და განდიდებაცა, განდიდებაცა რაღა თქმა უნდა, გაბრიყვებაცა რაღა თქმა უნდა. გაბრიყვებაცა. დაბრიყვებაცა. გაბრიყვებაცა. ამავე დარბაზში სიტყვა წარმოეთქვა ვორონცოვსა, დიდოსტატსა კოლონიზატორული პოლიტიკისა, გიორგი ერისთავის სპექტაკლის შემდგომა: აი სპექტაკლი, პეტერბურგს რო შეეფერებაო, აი საზოგადოება, პეტერბურგის იქით სხვაგან ვერსად რო ვერ შეჰხვდებითო. წარმოეთქვა. კრიალებდა შამპანური ბროლის ჭიქაშია. დასცვაროდა ტუჩები ვორონცოვსა შამპანურითა და ეჩურჩულებოდა ორბელიანების ასულებსა: დიდებულია, ბრნყინვალეა, ჰაეროვნებაა, ასე მხოლოდ პარიზში ცეკვავენო. ეჩურჩულებოდა. ეჩურჩულებოდა. და იზნიქებოდნენ ორბელიანთა ასულები ვორონცოვის მკლავზედა, ბარათაანთა ასულები ვორონცოვის მკლავზედა და სრიალებდნენ და ფრიალებდნენ და მოეხადათ ჩიხტი და ფრიალებდნენ გაშლილი კულულებითა და ფრიალებდნენ და ფრიალებდნენ და სლიკინებდნენ. ეს ევროპაა!.. – ბრძანებდა ვორონცოვი. ისინი ისევ აზია გახლდა, კალა, ხარფუხი, აბანოთუბანი, აზია იყო დანარჩენი თბილისი, მხოლოდ ესაა, გარეთუბანია მხოლოდ ევროპაო. ტყუოდა ვორონცოვი, თუმცა რო გაყოფილიყო მართლაცა თბილისი, მაინცა ტყუოდა: გარეთუბანი აღარ იყო აღარც აზია, ევროპაც არა, არ იყო და არც იქნებოდა, იყო რაღაც გადარუსებულ-გადაგვარებული, მეტსაც ვერაფერს ვერ

მიაღწევდა; გაგრძელდებოდა გარეთუბანი თვით მცხეთამდისა, გაგრძელდებოდა, მაინც მეტს ვერას ვერ მიაღწევდა, იტყუებოდა გრაფი ვორონცოვი. ჩიხტის მოპხდა არა კმაროდა ამისათვისა, ჩოხის გახდაც არა კმაროდა, ჩინ-მედლებიც არა კმაროდა. იტყუებოდა მთავარმართებელი. ვაგლახ რო სჯეროდათ!.. ნიღაბი მოეხადა მელპომენესა. ტრაგედია გრძელდებოდა. გრძელდებოდა.

მელპომენემ თავისი იცოდა, პოსეიდონმა – თავისი.

ზღვა ჰღელავს.

ტორტმანებს.

გადმოსვლას არის: აი და აპაა, აი და აპაა...

დედა შეშინდა: აქ ველარ გავძლებო. ისვრიან, მოსვენება აღარა გვაქვსო. დიომიდე ელაპარაკა კიტოვანსა. ვვარჯიშობთო, – უბრძანებია, – ჩვენთვისა ვვარჯიშობთო. რასა ვარჯიშობენ თუ უბედურება არ უნდა მოანიონ?.. არ არსებობს პოლიტიკური კონფლიქტი, მოლაპარაკებით რო არ მოგვარდებოდესო, – უბრძანებია, – მე მოლაპარაკების მომხრე ვარო, – უბრძანებია. დიომიდე დამუქრებია: თუ კიდევ ისვრით, შიმშილობას გამოვაცხადებთო. არაო. ისროდნენ მაინცა, ნუხელის თვალი არ მოგვიხუჭია. დიომიდემ შიმშილობა გამოაცხადა: ოღონდაო თქვენ იშიმშილეთო, მე ისევ მოსალაპარაკებლად ნავალო, ამასთანაცაო, პრეზიდენტთანაცაო. შუამავალი ჰო უნდათ და სად მოსძებნიან ჩემზე უკეთეს შუამავალსაო. არაო, არ იყაბულა არავინა: შენ ჩაგვიჯექი შუაშიო, ჩვენ გარშემო შემოგისხდებითო. არაო, – დიომიდემა, არაო, – ქალებმაცა. არა აქ ველარ გავძლებო. დედამა. შეშინდა. შეშინდა. მაშინ ჰო მაშინ მეხივით იყო: ცეკას მიეჭრა, ჩეკას ვერა, – ცეკაც ჩეკა იყო, – მიეჭრა რაც იყო: ბავშვი კომუნისტურ იდეებზე ლოცულობს, კომუნისტური ინტერნაციონალი დაუსახავს უმაღლეს იდეალადა და თქვენ ეს რა არის, რეებს ეკითხებით, გინდათ შვილი გამისულელოთო. არაო, არაო, – თვითონვე დაფრთხნენ, მომიბოდიშეს და მერე აღარც დაუძახნიხართო. ახლაღა უთხრა. უხაროდა: შევაშინეო. ვის შეაშინებდა, ანთუ ნეტავი ვის დააჯერებდა?.. ვერავისა

ცხადია, ოლონდ თვითონ არა ტყუოდა, არცა ცბიერობდა, შიში ალაპარაკებდა ასე, შიში შთააგონებდა, შვილი რო უნდა გადაერჩინა. ჯერ კვერცხიდან არ გამომძვრალიყო, უკვე დასდგომოდნენ თავსა. აქ ვეღარ გავძლებო. შინ უნდა დავბრუნდეო. თეა!.. შინ ვეღარ მიიღებდა. თითქოს მუხიანი თქვა: მუხიანში ვცხოვრობო, შორია. იყოს: სიყვარული გზად და ხიდადო. მისამართი მანც იცოდეს. ეგონა ასე აეწყობოდა: მოცუნცულდებოდა და წაცუნცულდებოდა. მოცუნცულდებოდა და წაცუნცულდებოდა. ასე ერჩივნა რაღა თქმა უნდა. ესეც იმდენი არაფერიო, სიყვარული გზად და ხიდადო. თეა!.. თეა!.. ზღვა ღელავს. თეა!.. რადიო ხმადაბლა ებაასება: „დომუხოვსკიმ დაჰკითხა შევარდნაძე..." „დომუხოვსკის გამოუტყდა შევარდნაძე, მღვდელი არ უნდა დაგვეხვრიტაო..." ჰა?.. შევარდნაძეც იქნებოდა და დომუხოვსკის გამოუტყდებოდა!.. აქამდის ვერავინ რო ვერ გამოსტეხა და თუ ვინმესა ჰქონდა ეჭვი რაიმა, იმასაც რო გაუნელა ეჭვი: „თქვენ ვერა ნახავთ რაიმე საბუთს ამ ამბებთან დაკავშირებითა, ჩემი ხელმოწერილი რო იყოს..." „თქვენ ვერ გამოსძებნით ვერცერთ თანამშრომელს პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისა, მე პირადად რო რაიმე მებრძანებინოს..." „მე ყოველთვის მაძრწუნებდა დამნაშავეთა ხვედრი და ვეევედრებოდი ღმერთსა, ეხსნა ისინი უმძიმესი სასჯელისაგანა..." „მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სიკეთისათვის სამსახურს მიეძღვნა და ახლაც მხოლოდ ამ რწმენითა ვცოცხლობ..." გაზეთები ბეჭდავდნენ მონანიეთა წერილებსა: შევცოდეთ მიტევებას რო მოვითხოვდით თვითმფრინავის გამტაცებელთადმიო, – ვერც რო გაიტაცეს იმ უბედურებმა!.. – შევცდით, დავრწმუნდით: სასტიკი განაჩენის ღირსნი არიანო. გაზეთები ბეჭდავდნენ, ტელევიზია გადასცემდა, რადიო გადასცემდა: შეეხედეთ, ისმინეთ, ახლაც რო დაკავშირებულან შევარდნაძე და კორუმპირებული ინტელიგენციაო. შეეხედეთ, ისმინეთ, ისმინეთ, ისმინეთო. მაგრამ როგორაო, – გაუკვირდებოდა ლუოსა ცხადია, ანთუ ვის არ გაუკვირდებოდა: ერთი რო ამას ამტკიცებდა, – თქვენ ვერა

ნახავთ ჩემს ხელმოწერილსაო, ხოლო მეორენი ხელსაც აწერდნენ და დაჟინებითაც ივედრებოდნენ, მკაცრად დასაჯეთო, ევედრებოდნენ ბ-ნ ედუარდსა: „ამბროსოვიჩო..." „მერმე რაო, აბა მოძებნეთ ჩემი დასტურიო..." დომუხოვსკის გამოუტყდაო. ასე ეგონა: აბა მოძებნეთო. და მაინც: „დომუხოვსკის შეკითხვები აბნევს შევარდნაძეს..." რა ყოფილა ეს დომუხოვსკი!.. პრეზიდენტს მაინც ეცოდებოდა, დომუხოვსკი არა, ბ-ნი ედუარდი ეცოდებოდა: მალე უმუშევრობა ელის, მალე გაიზიარებს ემიგრანტის მწარე ხვედრსა, მალე ნოსტალგია შეიპყრობს; ჩამოვიდეს, ჩვენ აქ სამსახურს მივუჩენთო. სამსახურსაო, – თუ რასაო, არ გაუმჟღავნებია. ნინა კვირას ემუქრებოდა: სამშობლოს ღრუბელი არ გეღირსებაო. პოლიტიკა ბრუნავს. პოლიტიკა ადდადის. პოლიტიკა იზნიქება. პოლიტიკა იგრიხება. გაწონასწორებისა რა მოგახსენო. მერე მღერიან მრავალჟამიერსა, დაბალ ხმაზედა, არ აუნევს: ლინკასი ეშინიან, თან ვითომ დასცინის, თან მართლაც რო დაშინებულა. რუსთავის ანსამბლი ამერიკიდან დაბრუნებულა. ამერიკა გადარიაო. საცოდავი მსოფლიო, რაღა გააწონასწორებს, ამერიკაც თუ გადაირია, – ეგება სტურუას სპექტაკლები?.. კიდევ კარგი!.. მაინც ცოდოა: შებრალება უნდა გქონდეს ჩემისთანა ბიჭისაო. თეა!.. „აგვისტოს ღამეს მე ვიდექი რუსეთის ახალი დემოკრატიის გვერდით..." აცხადებდა ბ-ნი შევარდნაძე... „იმ ღამეს შენ ხელი მოაწერე სამარცხვინო ბრძანებას: გვარდია პოლიციად გარდაიქმნასო", უკიჟინებდა პრეზიდენტსა ბ-ნი სიგუაი. „ალიანსია!.." – ცხარობდა პრეზიდენტი და ღიმილით დააყოლებდა: მოკეთე აღარა ჰყავს ამ თბილისში, შეუთვალოს, ჩამოვიდესო.

ზღვა ღელავს.

ბობოქრობს პოსეიდონი, ბობოქრობს, ბობოქრობს.

იდეები ზევით ეწევა: პარტიები, ბლოკები, დამოუკიდებლობა, დემოკრატიზმი, – ყველაფერი ზევით ეწევა, კუჭი – ქვევითა, ლუოსა ცხადია თუ ლუოს გამოვყოფთ ამშემთხვევაში, თორემ ისე – ყველასა, არა?.. ყველასა, ყველასა რაღა თქმა უნდა: ოღონდ მაინც ლუოს მივყვები: კუ-

ჭი ენევა. უნდა დანაყრდეს თუ კიდევ სადმე რამეს წაანყდება: ალბათ რო მიტინგსა, სხვა ვერაფერსა, რო ცარიელდება ყველაფერი შუადღის მერე. ცარიელდება: სახინკლეები თუ კაფეები თუ სახელდახელო სასაუზმენი, სასადილოები, რესტორნები თუ გასტრონომიული მაღაზიები. ცარიელდება. პურის დუქნები დილიდანვე ვირთხებსა რჩება სათარეშოდა. პურია პურიცა, პურია ხორციცა, პურია რძეცა, ყველიცა, კარაქიცა, ხილიცა, ბოსტნეულიცა, შაქარიცა, ნამცხვარიცა ნაირნაირი. და ისევ ორი აბაზი ჰღირს და ფილარმონია გრგვინავს, გუგუნებს: დანაშაულებრივადა ყოვნდება ლიბერალიზაცია ფასებისა; პრივატიზაცია ჩიხში მოექცა; ეკონომიკა კატასტროფის წინაშე დგას; პოლიტიკურად ყველა სვლა ნავაგეთ, საგარეო ურთიერთობაშიცა, საშინაო ურთიერთობაშიცა, – გრგვინავს, გუგუნებს; უფრო ბ-ნი თენგიზი გუგუნებს: ბ-ნი სიგუა: ხმა ცოტა ვერ მოსდევს, გულითა გრგვინავს: დარღვეულია ყოველგვარი ურთიერთობა უცხოეთთანა; ჩვენ ავცდით დემოკრატიული განვითარების გზასა და დავკარგეთ იმედი დასავლეთის მხარდაჭერისა; ახლა ლოზუნგი – „ჯერ დამოუკიდებლობა და მერე დემოკრატიზაცია", ჩვენი დაღუპვის მაუწყებელია, ახლა მხოლოდ ეს უნდა გვჯეროდეს – ჯერ დემოკრატიზაცია და მერე დამოუკიდებლობა!.." გულითა გრგვინავს. მუზა იღიმება მომხიბლავადა. თხა იჭყანება. არა, ასეც არ ითქმის: იღიმებაო, მუზაზე ცხადია, რაღაც იდუმალს თუ გასცქერისო, – ასე თუ ითქმის. თხა მაინც იჭყანება, თხა მაინც თხაა, თუმცა ირწმუნებიან: ტრაგედია გახლავთო. იყოს. ამაღლებულა ბ-ნი თენგიზი, ზევიდან დასცქერის ტრაგედიასაცა, კომედიასაცა, ფარსსაცა, – ჩვენ ბოლომდის შეურიგალნი ვიქნებით, ბოლომდის ვამხელთ გამსახურდიას ტოტალიტარულ რეჟიმსაო. ბოლომდისაო. ზევიდან დასცქერის. ჰო მაღლაა აივანი ფილარმონიისა, დიდიცაა, რკალად მოვლებული, მოხერხებულიცა ყველაზე უფრო, აქამდის სადაც რო მოწყობილა საპროტესტო მიტინგი. ნანობს წერეთელი: მე რატომ ვერ მივაგენიო; აქეთ ჩავხერგავდი კოსტავას ქუჩასა,

იქით მელიქიშვილისასაო; შემოვჯდებოდი ფილარმონიაზე, ფეხებს ჩავკიდებდი აქეთ-იქითაო. ნანობს. ნანობენ. ახლა აქ არიან, ყველანი, ყველანი, ყველანი აქ არიან, ერთმანეთი რო სძულთ, ოღონდ ახლა რო მოკრებილა ყველა ეს სიძულვილი, მოკრებილა და დასჯახებია ერთსა, ერთადერთსა, მერე ისევ რო გაიყოფა, მერე ისევ რო შეესევიან ერთიმეორესა თუ ამ ერთს დაამხობენ რაღა თქმა უნდა. მაგისი დღეები დათვლილიაო, – ირწმუნება ბ-ნი კიტოვანი. და უკვე ერთმანეთსაც უგებენ მახესა. მოსკოვი ნუხს, მოსკოვი ჰღელავს, არ ასვენებს დარდი საქართველოსი, ძილშიც არ ასვენებს. ოსტანკინო!.. თბილისი აბოდებს. თბილისი!.. თბილისი!.. თბილისი!.. თბილისით იღვიძებს, თბილისით იძინებს და ძილშიც ჰო თბილისი აბოდებსო; აფიქრებს ბედი ქართველებისა, ოსებისაცა, აფხაზებისაცა, თურქიმესხებიც ჰო გამოიგონა, სომხებისაცა, თათრებისაცა, ბერძნებისაცა, ქურთებისაცა, ანთუ რა ჩამოთვლის, – დარდით აღარ არის და მოითხოვს სამართლიან მორიგებასა, – სამართლიანსა: ათას ოლქსა და რესპუბლიკას მოითხოვს ამ ერთიციცქნა საქართველოშია. აფიქრებს. დარდობს. და. მოითხოვს. დაფლეთას მოითხოვს საქართველოსი. და გუგუნებს მიტინგი: დემოკრატიზმიო; მთელი მსოფლიო შესდგომია გზასა დემოკრატიზმისა, მსოფლიო ტოტალიტარიზმს ვეღარ მოითმენსო. მსოფლიო. მსოფლიო. მსოფლიო. და ამასობაში ცეცხლი დასჩენია ლიახვსა. ნყალში ვდგევარ, ცეცხლი მიკიდია. ცეცხლი ნაჰკიდებია შიგაქართლსა, – შიგა, შიგა, შიგა ქართლსა: ჰხოცავენ, აწამებენ, ართმევენ, ანიოკებენ, ანადგურებენ ქართველებსა საქართველოშია. ეგრე, ეგრე, ჰკა მაგათაო, – დაუმუჭია ცალი ხელი ლენინსა ცხინვალში, სადგურის მოედანზედა, მეორე მტკვრისკენ გაუშვერია: იარეთ, იარეთ, იქამდის იარეთ, ჯერ იქამდისაო. ამ ხელს შემოჰყვნენ უშმაგესი ტომისანი, ამ ხელით გაჯეჯილდნენ შიგა ქართლშია, ამ ხელს გაჰყურებდნენ ჯერ მტკვრამდისაო. აღმოსავლეთისა და დასავლეთის საზღვრებიც მოეზომა აბაევსა, – ჯერკიდევ ჰო 19-ში ატყობინებდა ლენინსა:

ონიდან მცხეთამდის დავაარსეთ სამხრეთ ოსეთის რეს-პუბლიკაო. დედაუტირა მაშინა ჯუღელმა. ტუჩი ჩაიკვნიტა ლენინმა მაშინა. ჩაიკვნიტა. არავის არაფერს შეარჩენდა ლენინი. „იარეთ!.." ბრძანებდა. ვინ შეაჩერებს: მიტინგი მიტინგს შესჭიდებია, მიტინგი მიტინგს დაასხამს ლაფსა.

„არ დადის თეატრში", ლამის რო ფილტვები ამოიხიოს ბ-ნ გიგამა, „პრეზიდენტი არ დადის თეატრში, ხალხს რაღა მოვთხოვოთ?!." ლამის ფილტვები ამოიხიოსო და იქნევს ხელჯოხსაცა, ჩაუვლია ხელი ბოლოში, ვითომდა რაო, ჩომბახიაო, კანჭში გამოსდებს ვითომცა კავსა, ძალით შეითრევს თეატრში ვითომცაო. ეს ამ მიტინგზეო. იმ მიტინგზე პრეზიდენტი გაკვირვებულა:

„გესმის!.." გაკვირვებულა: „ჩვენ აქ ლამის დამოუკიდებლობა გამოგვაცალონ ხელიდანა, იქ ის ტიგრან გულიანთან გვეპატიჟება. გესმის?!." გაკვირვებულა. გაკვირვებულა.

ლუო აღარ გაკვირვებულა. აღარც ესმის და აღარც რო გაკვირვებულა, არეულა რო ყველაფერი: დემოკრატიას რო ართმევენ სამშობლოსა, და სამშობლოს დემოკრატიას რო ართმევენ, ერთად რო ვეღარ მოუთავსებიათ და აქეთ-იქით რო ეწევიან. აღარც ესმის და აღარც გაეგება, ანთუ ესმის არ უნდა გაიგოს. რაც მოჰხდეს, ქვეყანას გადაჰხდესო, მეც ნამიღოს და გადამიყოლოსო. აღარ მოიცდის აღარცერთ მიტინგზედა, ვერც რო ისადილებს, ვერც რო ივახშმებს, პურსაც ვერ იშოვნის, ეგრე მიატანს შინამდისა, ეგრე დაღლილი, გასავათებული ეგრედა. სანთლები!.. ანთია სანთლები. თეა!.. ნანობს რად გავიდა. შიან და ნანობს. შიმშილი არაფერია, – ბევრი შიმშილობს: ვის უკვე გაჭირვება მოსდგომია კარსა, – ჯერკიდევ სად არის, – ვინ კიდე გაჭირვეულებულა პროტესტის ნიშნადა. პრეზიდენტი რო გადადგესო, – ამაზე ჰო შიმშილობენ, არ გადადგესო – ამაზედაც ჰო, პარტიები დაიშალოსო, – ამაზედაცა შიმშილობენ, არ დაიშალოსო, – ამაზედაცა, ჯაბა გამოუშქითო, – ამაზეცა, არ გამოუშვათო, – ამაზედაცა, ვილაცამ პირიც გაიკერა: სატრფო გამითხოვდაო; ეს შეიძლება ხუმრობაც

იყო, მაგრამ იყო ნერიმალებიცა, ყოფითი ამბებიც რო ანუ-ხებდა ხალხსა, შიმშილობით უნდოდა აეცილებინა თავი-დანა. იშლებოდნენ მოშიმშილენი, იცვლებოდნენ მოშიმში-ლენი. ზოგი უძლებდა, ზოგი ვერა. შაოსან დედათა გუნდმა გასძლო: პატიაშვილის მთავრობა ამოიჭამა, გუმბარიძის მთავრობა ამოიჭამა, მიადგა მრგვალებსა: გვიპოვნეთ მკვლელები ჩვენი შვილებისაო. ვერა პოულობდნენ. არ იშ-ლებოდნენ არც რო ესენი. დაბანაკდენ სამხატვრო გალე-რეაში. გულს გადააყოლებდნენ კლასიკოსთა ნახატებსა, ნაქანდაკევებსაცა რაღა თქმა უნდა. გამოიშლებოდნენ, როცა დასჭირდებოდათ, არც რო ბლოკების მოზიდვა უნ-დოდათ, არც რო ჯართისაი, ჩაიბმეოდნენ, გაიბაწრებოდ-ნენ, შეპკრავდნენ გამზირსა, ჩადგებოდნენ ბარიკადება-და. თქვენ მაინც მოგვეშვითო. ემუდარებოდნენ. დასაჯეთ მკვლელები ჩვენი შვილებისა. ვერა პოულობდნენ. ვერა სჯიდნენ. მერე მკვლელობა მომრავლდებოდა, მოიძებნე-ბოდა მკვლელებიცა, დასჯით ვერაო, ვერ დასჯიდნენ მა-ინც ვერავისა. ჰოდა: არ უკვირდა შიმშილი არავისა, ჰო აე-კერათ პირიცა სიყვარულისათვისა, – ამასაც ვითომ სიყ-ვარულისათვის შეუნირია ეს ერთი დღეი, – ერთი რა არის?.. – შეუნირია. საკმარისია. ხვალ ადრიანად ნამოფ-რინდება. იზრუნებს. იზრუნებს. პურსაც მოიმარაგებს, რძესაცა, მაწონსაცა, გუგა და ჯიბოც გამოჩნდებიან. გა-მოჩნდებიან თუ არ მიატოვეს სამუდამოდა, თანდათან მკვეთრად რო განიყოფიან ზვიადისტები და იმისტები, ჯერ რო ნათლად არ ნამომდგარა: თენგიზისტები პირობი-თადა, ანთუ პუტჩისტები პრეზიდენტის განსაზღვრებითა. გამოჩნდებიან, ავად თუ კარგად გამოჩნდებიან. თეა!.. სან-თლები ანთია ღვთიშობლის ხატთანა. სანთელი იმედია. კრიალებს ხატი ღვთიშობელისა. კრიალებს ძეი, აღსავსეი იდუმალებითა, უსაზღვროებითა იმედისა. იმედის ძალაც უსაზღვროებაა, იდუმალებაც ძალაა იმედისა. თეა!.. კარს აკაკუნებენ.

„თეა!.." ჰო არ ჩასთვლიმა?.. ალბათ ჩასთვლიმა. ძლი-ვას მიატანს კარებამდისა, გული ერჩის და ფეხები არ მის-

დევს, ანთუ გულიც თუ მოდუნებულაო. მიატანს ასე. გამოაღებს. „თეა!..“ თეაა. და მოეშვება, ლამის ჩაიქცესო, – თეა არა, ლუოი ცხადია. „შემოდი...“ წარმოსთქვამს დუნედა თუ ძლივას წარმოსთქვამს, თეა რო აღარ იძვრის, ზღურბლზე შეყინულა.

„მამაშვილურადა...“ თეა ამბობს, მეტსაც არ ამბობს, ოღონდ ეტყობა მყის გაბრუნდება, თუ ან სიტყვა არ მოეწონა. თუ ან გამოხედვა არ მოეწონა.

„მოდი...“ სიტყვა უეჭველია, „გელოდი... სანთლები დაგინთია...“

„რა სანთლები?!.“

„სანთლები!..“

კრიალებს ძეი, ღვთიშობელი კრიალებს.

„არა!.. მე არა...“

არა და ნუო, ლინკა იყოს, ვინც უნდა იყოს:

„შემოდი... შემოდი...“

„დავიღალე...“ სიტყვის თქმაც უჭირს. დივანს მიაშურებს. დაჯდომაც უჭირს. დაეშვება როგორც იქნა.

„ვინ იცის გშიან კიდევაცა...“ როგორლაც ისე წარმოსთქვამს ლუოი, თვითონვე მიჰხვდება: ასე არ უთქვამს არასოდესა, შვილებზე ზრუნვა რო ასცილებოდა. სხვა განცდა ყოფილა, ამას მოჰკლებოდა.

„მშიან...“ იტყვის თეაი, იტყვის თუ არცაო, წაიდუდუნებს. და ჩაეთუთქება გული ლუოსა, რო არც ამგვარად ჩასთუთქია არასოდესა:

„რო არაფერი მაქვს?!“

„მე მაქვს!..“ თეა ახარებს თითქოსაო. გაჰხსნის ჩანთასა, პატარა ფუნთუშას ამოიღებს, გაჰყოფს შუაზედა, ნახევარს ლუოს გაუწოდებს, ნახევარს თვითონ ისიამოვნებს. მიიკუნტება დივანზედა, ტანთგაუხდელი, ფეხთგაუხდელი. „საბანი დამაფარე...“ იტყვის და მიიძინებს, თითქოს სიტყვასაც არ მოათავებსო. ლუო იქვე სტოვებს თავის წილ ფუნთუშასა, საბანი მიაქვს, მიაქვს ფრთხილადა, ფრთხილად წააფარებს, ფრთხილად ამოუგებს, თითქოს მართლაც რო შვილს ამოუგებსო. ძილიც გაუფრთხე-

ბა: ჩაეძინება, გაეღვიძება, ჩაეძინება, გაეღვიძება. ადრიან წამოჰხტება: არ დამაგვიანდესო. სძინავს თეასა გულისძილითა, არც შერხეულა. ლუო უჩქამოდ გაიპარება. ლუოს საზრუნავი გასჩენია: პური უნდა იშოვნოს, რძემანონი უნდა იშოვნოს, – ყველაფერს ჩვენში რო შოვნა დარქმევია, რიგში რო უნდა იდგე, აყალმაყალი რო უნდა გადაიტანო. რაც იქნება, იქნება. პურის რიგს დაიჭერს, რძის რიგში გარბის, ბარე ორგანა მირბის და მორბის, იქაც რო იყვეს და იქაც რო იყვეს, რო არავინ არა უშაროს, რო არავის დაავინყდეს, მირბის და მორბის, ჩაერევა მასლაათშიცა, თავი რო უკეთ დაამახსოვროს: ჯერ ისევა ბნელა, ჯერ ცოტა სხვანაირი მოსჩანან ადამიანები, გათენდება და სხვანაირნი გამოჩნდებიან, – უფრო საცოდავნი გამოჩნდებიან. კამათს მაინც არ მოიშლიან, ანთუ უფრო მეტსაცა კამათობენ, უფრო მეტადაც აღიზიანებენ ერთიმეორესა. პური თუ გასწვდათ, შინ გარბიან დაამებულნი, თუ გასწვდათ რძეცა, ვთქვათ მაწონიცა, ვთქვათ რო ხაჭოცა, გარბიან უფრო დაამებულნი, რო ხვალ მობრუნდნენ გაცხარებულნი უფრო მეტადა, რო უფრო ცხარე კამათიც განაგრძონ პურის მოსვლამდე, რძის მოსვლამდე და ასე შემდგომა. და მირბის და მორბის და უჩვეულოა ეს ყველაფერი ლუოსათვისა, – კამათი არა, კამათი უჩვეულო არ არის. აქ მაინც ერიდება, მასლაათი კიდევ ჰოო, კამათი არ უნდა. მაინც ყველა ამას მიმართავს. ეს ახალია. ერთმანეთი იციან. ბევრჯერ შებმულან, ბევრჯერ გაყრილან, არავის რო არაფერი არ დაუთმია. და ესეც რო თითქოს განგებაო უთუოდ წრეში ამოჰყოფს თავსა, იქაცა, აქაცა, აქაცა იქაცა, განზეც რო დადგეს, წრეში მოექცევა.

„მე ნუ მასწავლით!.." აცხადებს ისე, ეს ვილაცაა, ანთუ მოსეაო, გეგონება, ანთუ სოლომონი, ანთუ ნაკლები არც იქნებაო, „მე მაგათ ვიცნობ. არავითარი პარტიები ეგენი არ არიან, არავითარი ეროვნული მოღვაწენი ეგენი არა ბრძანდებიან. ორჯერ მიტინგზე გამოსულან და მოღვაწეებად წარმოუდგენიათ თავი".

„ზვიადზე მაინც მაგას ვერ იტყვი“, ქალი ედავება, შინაქსოვი ქუდი ჩამოუფხატია, ლამის თვალებიც რო აღარ უჩანს.

„რატომაც არ ვიტყვი?!. ანდა შენ რომელი ზვიადისტი მყევხარ?!. გამომიჩნდა ესეც ახალი დამცველი!..“

„რაც უნდა ვიყვნეთ, სამართლიანნი უნდა ვიყვნეთ, ცილი არ უნდა დავნამოთ არავისა, არც დამსახურება არ უნდა დავუკარგოთ. ჩვენ დემოკრატიულ ქვეყანას ვაშენებთ. დემოკრატიზმი სამართლიანობაა“.

„რა კომუნიზმიც ააშენეთ, დემოკრატიზმსაც იმგვარს ააშენებთ. რაც შეეხება მაგ თქვენს ზვიადსა...“

„არაფერი „ჩემი“ არ არის, მაგრამ სიმართლე მაინც სიმართლეა: მიტინგებზედაც რო გამოსულა, ჟურნალებიც გამოუცია არალეგალურადა, ციხეც გამოუცდია, გადასახლებაცა...“

„გადასახლება, თორემ ვარკუტა მოუვლია, ეგერ იყო, ეეეე: ყიზლარში!..“

„გადასახლება გადასახლებაა...“

„ყიზლარიც თუ გადასახლებაა, მეცხვარეები იქნებიან უპირველესი ეროვნული მოღვაწენი“.

„კიდევაც არიან...“

მალე ცხვარი აღარ იქნება“, ლუოს ამოსცდება. ჯერ ეგონება, ვიღაც სხვა ამბობსო, მიჰხვდება: მე ვარო. განაგრძობს მაინცა, „აღარც მეცხვარე აღარ იქნება...“

„ყიზლარი?..“ ვიღაც ჩაურთავს.

„აღარც ყიზლარი აღარ იქნება...“ ეს ისევ ლუოა.

„ყიზლარი იქნება“, ეს იგივეა, ვითომ მოსეა თუ ვითომ სოლომონიო.

„რაღად იქნება?..“ ლუო იკითხავს თუ აღარც მეცხვარე, აღარც ცხვარიო.

„ზვიადამ რო თავი შეაფაროს“.

ზოგი იცინის, ზოგს არა სჯერა. შეიძლება რო კამათიც აშენდეს. მაგრამ არაო, მანქანა ჩამოდგება რძე-მანონითა. გაზავდებიან. ხვალაც ამ თვისაა, ზეგაცა, მაზეგაცა, სხვა თვისაც იყვეს, გააგრძელებენ და უფრო ცხარედაც გააგ-

რძელებენ, გაჭირვება რო იზრდება, უთანხმოება რო იზრდება, სასიკეთოს რო პირი არ უჩანს. ეს მაინც შუაში აღარ მოექცევა, არა, ეს ამისი საქმე არ არის, თუმცა ვინ უნყის თუ რას გვიქადის ბედიო, ვინ უნყის, ვინა, ვინ თუ საით მიაქანებს ამ უბედურ ქვეყანასა, ვინ თუ საითაო თუ ვინთუ როგორაო, ღვთიშობელიც რო დაშინდა თავის დროზედა, რო ვერ გაჰბედა, რო ვერ გაუგონა ძესა თავისასა, ძესა ღვთისასა, აქ წამოსვლა რო ვერ გაჰბედა. რაც უნდა იყოს, ეს ამისი საქმე არ არის. ბოლოსდაბოლოს იშიმშილებს და ის იქნება. რაც უნდა იყოს: პური პურად აიჩლიავა, ერგო რძეცა, მანონიცა, ხაჭოცა, არაჟანიცა, ერგო, დაიტვირთა, დღესაც ეყოფა, ხვალაც ეყოფა, სხვა სტუმრებიც რო შემოესწრონ, – სხვანიცა, სხვანიცა, – ხოლო ის ერთი: წავიდოდა რო აქამდისა, ბეჯითად იცის. და წასულიყო კიდევაცა. აღარც ის ნახევარი ფუნთუშა დაჰხვდება, ნყლის ჭიქა დაჰხვდება იმის ადგილასა. ჩაი მაინც აედულებინა. სანთლები?!. ჰმ!.. რა სანთლებიო. მართლაც და რაო, – რა ამაოდ აბრალებდა თეასა: გასაღები არ მიუცია, კარიც ღიად არ დაუგდია, ფანჯარაც არა, არც ჭუჭრუტანა უჩანს ბინასა; ძველი ნაშენი, კედლები სქელი. ისევ ლინკაა საეჭველი. ეშმაკი. კუდიანი. გადაალაჯებდა ცოცხსა და ჩამოძვრებოდა საკვამურიდანა. ჩამოძვრებოდა. ჩამოძვრებოდა. რა ვუყოთ თუ საკვამური ვინროა, ლინკა ცოტა ჩაფუნთუშებული, რა ვუყოთ, რა ვუყოთ, კუდიანიც ჰო იმისი კუდიანია, რო არც არაფერი ევიწროება, რო არც ეგანიერება არაფერი, – სწორედაც იმისი კუდიანია. მაგრამ ჰოოო მაგრამ: კუდიანი რო უფრთხის სანთელსა?!. თეა?!. ჰა?.. თეა!.. თეა წრფელი გოგოა. სჯერა. ისიცა სჯერა, ესეცა სჯერა. მაშ ეს სანთლები საიდანაო: ვინ აანთოო, რამ აანთოო. შემოკეტილა ბინაი მჭიდროდა, ჰაერს არ გაუკრავს როდის აქეთია. დანოტოებულა ოთახები, მობურუსებულა, თითქოს ნისლია, ნისლი წვეთავსო. ნოტიო შეკრულა, ნოტიო წვეთავს. ნოტიო ჰბურავს ღვთიშობელსაცა, – ცოტა აჰყარა რო სანთლებმა, კვლავ შეიბურა. ნამწვიც რო არაა, სანთელთა ნამწვი?.. ისე როგორ გაჰქრა, კვალი არ დასტოვა?.. ლინკა!.. აწმენდდა ეშმაკის ფეხი. იძრომიალოს.

XIX

იძრომიალებს მერე თვითონა სადღაც ვიწროებში, სადღაც ჯურღმულებში, თვალისმომჭრელ შუქშიც აღმოჩნდება, მაინც სივიწროვე შეუხუთავს სულსა, გააღნევს მერე როგორც იქნება, გააღნევს, გააღნევს, გააღნევს და სწყურიან... წყურვილი გამოარკვევს. დალევს წყალსა. ეგემრიელება. დალევს კიდევა, კიდევა, კიდევა. მინვება. თვლემს. აღარაფერი აღარ უნდა. დაეძინოს ნეტავი. ეძინოს. ეძინოს. აღარაფერი აღარ უნდა, აღარც ეს ქვეყანა უნდა, აღარც ის ვიწროები, ძლივძლივობისას რო დააღნია თავი, აღარ უნდა, აღარაფერი აღარ უნდა, თვალისმომჭრელი შუქიც აღარა, უკუნეთიც რო თვალის მომჭრელია, რო აღარ განირჩევიან უკიდურესობანი. აღარა. აღარა. ეძინოს!.. რო გაეღვიძება სიმშვიდე სუფევდეს. სუფევდეს. დამგვანებოდეს ადამიანი ადამიანსა, ცხოვრება ცხოვრებასა. აზმორებს, ამტვრევს. სიკეთე არ არის ამის თავსა. ურდული. ურდული მაინც გამოუყაროს. კარი გაიღოს. ნამოიწევს. ვერ ააწევს. თითქოს გაყრილა, წელს ზევით სხვაა, წელს ქვევით სხვაო. თითქოსაო რაღა თქმა უნდა, მართლაც რო იყოს, არც გაუკვირდება. ეგება ისევ იმ ვიწროებშია, – იქ გაწყდა შუაზე, ბედისწერაც ამისი ესა ყოფილა, ვინ წასვლია ბედისწერასა. იყოს, რაც არის, – ანთუ ამას ვინ ეკითხება: არის, რაც არის. სანთლები ანთია, თუ კიდევ ანთია, ამისთვის ანთია, ამის ხსნისადა, ანთუ ნიშნადა აღსასრულისა, უსათუოდ აღსასრულისა: რადგან რო დედა ვერ დაანთებდა, თეამ: არაო, ლინკაც არა-ს იტყვის, მართლა კუდიანი ჰო არ არის?.. უსათუოდ აღსასრულისა, სულს რო შეეხედოს ადამიანმა, საკუთარ სულსა, შეეხედოს და გამოეთხოვოს, თუ აღარ უნდა ამასთან დარჩეს, თუ მოებეზრებია, თუ მოსძულებია მითუარესი. მოსძულებია?.. მოებეზრებია თუ აღარ უნდა?.. ჰა?.. ჰა?.. ჰა?.. რაღაც ბრახუნია, მსხვრევაა, ნგრევაა, გაყრაა სულისა, მსჯავრია უზენაესი თუ სიზმარია?.. გადაკიდულა ორი

ქვეყნის ულელტეხილზე, სული სძვრება და სხეული არ უშ-ვებს, რო არ უნდა რო ლეშად დარჩეს, სულს რო არ უნდა, რო ლეში ათრიოს. ეყო. ეყო. ლეში მძიმეა, სული უმჩატესი: წაუვა თუ ვერა, დაუსხლტება თუ ვერა?.. უჭირს. ვერ ამ-დგარა. უნდა. ვერ ამდგარა. ვერ გადაუთრევია ლეში იქი-თა, იმაქვეყნადა, ვერა, ვერა, სულს არა ნებავს და ვერ გა-დაუთრევია. კარი იმსხვრევა, კარი იმტვრევა, ვიღაცას უნ-და რო მიეშველოს, აიკიდოს და გააძვრინოს: ანთუ კარია, ანთუ გვირაბია ამოქოლილი, საქოლავს გაანგრევს, გააძ-ვრენს, გაიყვანს ვიწროებითა, დიდ შუქში გაიყვანს ჭაპან-ნყვეტითა. აიწევს. აიწევს, – თვითონაც ჰო უნდა ეცადოს, – აიწევს, ადგება. კართან მიჩოჩდება. აუგდებს ურდულსა დიდის ნამებითა; მერე თითქოს კარიც აღარ არის, კოშკია თითქოს შეუვალიო, ერთ ადგილს მხოლოდ სხივი დასცე-მია, მუხლს დაჰკრავს იმ ადგილსა, კედელი გაირღვევა, თითქოსაო, თითქოსაო, მართალი ის არის: კარი ლამის გადმოიქცევა, ლინკაც გადმოვარდება, ორი ძალაყინიც შემართულა, ჩარჩოიანად რო არყევდნენ კარსა. ქ-ნი ეკაც იქვეა, დედაცა ლუოსი. დედა დაბრუნებულა. ველარ გაუ-ღიათ კარი. ეზოდან მოვლა არც მოჰფიქრებია, რო არ და-დიოდა იქიდანა, კარის ჩამონგრევა მოჰფიქრებია თვითო-ნაცა, ამათაცა, მუშები მოეყვანათ და ანგრევდნენ კარსა. გაირკვევა გასარკვეველი: ლუო ავად გამხდარა. ურდული ჩაკეტილა. ახია შენზეო, – ლინკა ნიშნს მიუგებს, მიუხვდე-ბა, და მიუგებს ნიშნსა, – მოიკალი თავი, რახან გინდაო. ლინკა იმასაც აღმოაჩენს: სამი დღე წოლილა გაუგებრადა და უპატრონოდა, – მანვნის დამღებით აღმოაჩენს; და აღ-მოაჩენს კიდევ იმასაცა: ჰოოოოოოოოოოოოოოოოო, ეს არის, რაც არის, – თავის სისხლიან პერანგს აღმოაჩენს:

„უსიიიიიიიიიიიიიინდიიიიიიიიიიიიისო!..“ შეპკივლებს ისე და ამდუღარდება ისე, რო აღარ ენაღვლება ლუო თუ რა დღეშია. ლუო იმ დღეშია, რო არ გაეგება თუ რას აფრი-ალებს ლინკაი, თუ რას დააგდებს, თუ რას აიღებს და და-აგდებს ისევა, შესდგება ფეხითა, აიღებს, დაკუნჭავს, მო-ისვრის, აბურთავებს, – თუ რასა თუ რატომაო არ გაეგება,

დგას და ვერცა დგას, – დედა მიეშველება, ეკაც მიეშველება, წამოაწვენენ. ზრუნავენ. ფუსფუსებენ. უხეიროდა ფუსფუსებენ. ლინკას მოსნონს, რო უხეიროდა ფუსფუსებენ. თანაც გადაჰყოლიაო. სასწრაფოს უხმეო. არც გაირხევა. ამან იცის თუ როგორ მიჰხედოს, – სასწრაფოზე უკეთაც მიჰხედავს. თანაც გადაჰყოლიაო. პერანგზე დგას. გასწევს და გამოსწევს ქოშებითა, გასწევს და გამოსწევს: იფხრინება პერანგი: „უსინდისო!.." იმეორებს უფრო მშვიდადა, თუმცა რო მწვავედა უფრო, იმეორებს და დაურთავს და დაურთავს: „უნამუსო!.. უსირცხვილო!.. წამხდარო!.. გაფუჭებულო!.. გარყვნილო!.. ბინიერო!.. ბილწო!.. უწმინდურო!.. საძაგელო, საძაგელო, საძაგელო, მეეეეეზიიიზღეეეები!.." დაურთავს და დაუთავს, თან რო აჰყვება ფხრინინ-ფხრინინი. ლუო მიჰხვდება ამასობაში:

„სისხლი წამსკდა", ამოთქვამს ლუოი, „სისხლი... ეგ... ეგ მომხვდა ხელთა..."

„ჰა?!." იკითხავს ლინკაი, ისე იკითხავს, მიჰხვდებოდა უთუოდაო, ანთუ ასე დაიჯერებდაო.

„ცხვირიდან..." აზუსტებს ლუოი.

„ჰო..." ეთანხმება. შეიშრობს ცრემლსა. დაფაცურდება. ლინკას სხვა ხელი აქვს, ლინკას სხვა მადლი აქვს, დატრიალდება, დატრიალდება, შეეტყობა ავადმყოფსაცა, სახლსაც შეეტყობა. იხმობს სასწრაფოსაცა, მეგობარ ექიმებსაცა, შორით ნაცნობ ექიმებსაცა, გაამართვინებს კონსილიუმსაცა. იდავებენ. იკამათებენ. იცავენ დიაგნოზსა სხვადასხვასა, დასკვნით მაინც ერთს დაასკვნიან: მორჩენილაო. ატყობს ლუოცა რაღა თქმა უნდა. მაინც შეიფერებს ზრუნვასა ლინკასი, დედის ზრუნვასაცა, ეკას ზრუნვასაცა. ასე ურჩევნია. სიმარტოვე არა ვარგებულა. ჰყვებოდა დედაი თავის გასაჭირსა: ერთხელა და ათჯერა, ათჯერა და ათასჯერა, თან მოჰყოლოდა შიში იგი ზღვიდან რო აჰყარა, თან მოჰყოლოდა და არ ეშვებოდა. სკამის ხრიგინი ქუხილი ეგონა ზარბაზნებისა, ჭიქის წკრიალი კაკანი ეგონა ავტომატებისა. შეაშინებდა დუმილიცა: აი და აჰაა, ტანკების ალყაში მოვექცევითო, იქ რო მოექცნენ, ზღვა-

ზედა ცხადია, ვარჯიშობდნენ თუ რა იყოო, თუ მოეჩვენათ თუ რა იყოო, რაც იყო, იყოო: ზენარი ნამოაგო დიომიდემა იატაკის ჯოხზედა, ეგრე გავიდა და ეგრე გადაგვარჩინაო. ისევ დიომიდე იყო ჩვენი მშველელი. ჩვენც ვუმადლიდით. ხან არც ვუმადლიდით; თუ ვემდუროდით, ისევ ისევ დიომიდესა, თითქოს ის იყო განმგებელი ჩვენს თავს მონეული უბედურობისაო. ვაი ჩვენს თავსა!.. მოიჭრებოდნენ და გაიჭრებოდნენ. მოიჭრებოდნენ. მოიგერიებდნენ. ხან ზღვასაც ესროდნენ თუ არავინ მოეჭრებოდათ. ჰღელავდა, რაც იყო, ზღვა იყო თუ რაც იყო. ამოვარდებოდა ქარი, ჩავარდებოდა ქარი. და აჰყვებოდა ის ვეება გუბეცა, ვითომც მართლა ზღვა ბრძანდებაო. აჰყვებოდა. აჰყვებოდა. შფოთი დაეუფლა მყუდრო გარემოსა. აწრიალდა ხალხი. მოხუცები გადაირივნენ. გადავირიეთო ესეიგი: სიკვდილის კარს ვებით, მაინც შორს გვეგონა სიკვდილი. ცელი დაგვიქნია და თავი ვეღარ წავუშვირეთო. აქ გაიმართებოდა გადამწყვეტი ბრძოლები. აქ გასნორდებოდა მინასთანა ყველაფერი. ყველაფერი: ეს გამოგონილი, ეს ნანვალები ზღვაცა. აღარ დარჩებოდა აღარც რო წვეთი, ამოხაპავდა რო ჭურვები, დააცხრებოდა და შეასხამდა ზეცასა, ტლაპოიანად შეასხამდა. ცაში აიტანდა ამათ შენობასაცა: შეგვეშინდაო, – შენობიანად რა გვინდოდა ცაშიო, ცაში სულები გვეგულებოდაო. ძირს დავრჩებოდით და გავსნორდებოდით ჰო მიწასთანა, როგორც ყველაფერი, რაც რო ზღვას რო გამწკრივებოდაო: სანატორიუმებიო თუ სასტუმროებიო თუ რესტორნებიო თუ კემპინგებიო თუ რაც რო დაახვია ქალაქმა ზღვასა, თანდათან რო იქით მიინევდა ქალაქი, ვითომ ზღვისპირა ქალაქიაო. ვითომდა რატომაც არაო: წყალი წყალია. ქვიშა ქვიშაა. ფიჭვნარი ფიჭვნარია. მზესაც აქამომდე ისევ მზე ჰქვიანო. მოსნონდათ მოხუცებსა. ხან უკვდავებაც ელანდებოდათ. ელანდებოდათ. ჩამნარდათ ასე. მოვიდა ტყვია და მოვიდა სიკვდილი. დერეფნები ჩამოიარა. დაუსკუპდა სასთუმალთანა. გარეთ ბუჩქები დადიოდა, ანთუ კორომებს აედგა ფეხი. ეს ხალხი იყო, დაფოთლილი ხაკით შემოსილი. ტელევიზორშიაც

ესევე ენახათ: ანთუ ანგოლაა, ანთუ სომალიო, ანთუ ვინ უნყის, ამათ იმდენიც აღარ ახსოვდებათ, – ყველგან ჯანყია, უთანხმოება, ვერსად ვერავინ მორიგებულა, სიცოცხლით ვერა, სიკვდილით თუო. დადიოდა. დადიოდნენ. დარბოდნენ. ეხლებოდნენ. ისროდნენ. აქუხებდნენ. მობინარდებოდნენ. და. გამოცვივოდნენ. შესძრავდნენ ზღვასა. ხან ჩაივლიდნენ ფეხაკრეფითა, თითქოს ჭიასაც ერიდებიანო. სახე არც უჩანდათ: წვერი, ულვაში, წარბი, წამწამი, ჯაგარა ქოჩორი არეულიყო ერთმანეთშია:

ნუ გეშინიანთო, – გვამშვიდებდნენ, – ტკბილი მოხუცობა მოგვაქვს თქვენთვისაო.

ვიცითო, – დიომიდეს სიტყვებია, – ოღონდ ჩვენ მაინც ის უფრო გვერჩივნა, რკონი თუ მოგწყინდათ, როკაში რო ნაბრძანებულიყავითო.

„არა!!!.."

„ჩემი ყურით გამიგონია. მაგრამ დიომიდე რისი მხსნელია?!. იქ ისევ ის აურზაურია. მოუსვენრობა. შფოთი. უძილობა. შიში გაუსაძლისი. ვის შესჩივლონ და ისევ დიომიდესა. ვის გაუნყრნენ და ისევ დიომიდესა. ისიც გაიბუტა. გამოიკეტა თავის ოთახში. აღარც გამოდის. ჩემი მოქსოვილი ქუდი დამიბრუნა. წყრომის ნიშნადა, ყველასადმი წყრომის ნიშნადა: თქვენი არაფერი არ მინდაო, – მეტი რო არ ახსოვდა არაფერი არავისგანა. დამიბრუნა და ისეთი მამალი სურდო აიკიდა, რაღა იმისი ცხვირისცემინება და რაღა ჭურვების ფეთქვაო. კაცი რო თავის თავს უზამს, მტერი არ მოეკიდებაო. მე მაინც იქ დავტოვე ქუდი. დაიხურავს და ეშველება. ჰა, ჰა, ჰა... რა მაცინებს?!. ეტყობა გადავრჩი, რახან იქაობას გამოვაღწიე!. იტყვის და მინაბავს თვალთა, ნაიფარებს რო დამჭკნარ ქუთუთოთა; მინაბავს ოდესღაც ბრიალა თვალთა, დედაი ცხადია, აქამდის რო ისევ დედად მოვიხსენიებ, სახელიც რო არ შემირქმევია. აქამდისა: თავდება რო ამბავი და დიდი დღეც რო აღარ უწერია. არც უნდოდა სახელი, დედა დედაა, მაგრამ დედასაცა აქვს თავისი სახელი და ამასაცა აქვს რაღა თქმა უნდა: ეს ჰო ლანაა!.. „ნაკრძალი" უნდა გაგახსენდეს. არ

ნაგიკითხავს?!. უნდა წაიკითხო. ლანაა, მაგრამ რა ლანაა თუ ვინ ლანაა, არ გინდა იცოდე?!. ანთუ სალომე ვინ სალომეა, ანთუ მამა ვინაა ლუოსი, არ გინდა გაიგო?!. შენი ნებაა. მე მიგასნავლე, დანარჩენი შენ იცი. გადავრჩიო – ერთისიტყვითა.

საკუთარი ბინის ფასი მაინც არაფერიაო, – ლანას სიტყვებია ესეცა და ესეცა აგრეთვე: თუ რამე მოგენატრება სამოთხეშიცა – ალბათ შენი ბინაო. იმასაც ამბობს: მე თავიდანვე ლინკა მეგულებოდა ჩემს რძლადაო. მაგრამ ლუოო ბედისნწერამ დააბნიაო. ათრიაო. ანონიალაო. შინ დააბრუნა ცარიელ-ტარიელი და სწორედაც ამიტომა: გზა რო არა ჰქონია ლინკას იქითაო. ასეც არისო: აინყვეტ. გადავარდები. ივლი. იხეტიალებ. და. ისევ აქ მიხვალ, საიდანაც აინყვიტეო. ამბობს ასე დაბეჯითებითა და კისკისებს ლინკაი. კისკისებს. კისკისებს. იკისკისოს რამდენიც უნდა. ლუო არა ბრაზობს, არც ეამება რაღა თქმა უნდა. აღარც რა ესმის. ჩაიკარგება თითქოს ისევეო. ჩაიძირება და ამოტივტივდება. თითქოს ზღვაშია, თითქოს ტალღები ათამაშებენო. თითქოს ნაფოტია და არცა ყოფილა მეტი არაფერი არასოდესაო. ეგება კარგიცაა, რო მიპხვდა როგორც იქნა, ეგება არც ვარგა?.. ჯანდაბას, რაც არის. ლინკამ იკისკისოს. ღედებმა ინატრონ, ანთუ იბუზღუნონ: ე რა სიბერეს შევესწარითო. გარეთ მაინც ქარტეხილებია. წარღვნაა გარეთა. ჭერიც დაპკარგვია ზოგსა, – ზოგსაცა და ბევრსაცა. ამათ მაინც შერჩენიათ ჭერი თავაანთი. ჭერი. კიდობანი. რახან წარღვნაა, კიდობანი უნდა აიგოო. წარღვნაა. მოდის. გადმოპხეთქა მოედანი ფილარმონიისა. რესპუბლიკის მოედანი დაიპყრო. დაიპყრო. ისევ პარტიებმა დაიპყრეს. ხალხიც მორეკეს თუ აიყოლიეს. რაც არის, არის, – დაიპყრეს, დაიპყრეს. პრეზიდენტს ეგონა გავდევნეო. შემოესივნენ ისევ ისევე. პარტიები!.. ერთმა პარტიამ ქვეყანა აიკლო, მართალა ქვეყანა აიკლო, ბევრი რას მოანევს, ღმერთმაღა უნყის. ღმერთო დიდებულო!.. ეს ხალხიაო. ხალხი. ხალხი ჰო კიტოვანმა უნდა დაიცვას. პარტიებმაც ხალხი უნდა დაიცვას. ყველა ხალხს იცავს. ხალხი ვე-

ღარ იცავს ველარაფერსა, თავსაც ველარ იცავს. იქითაც ხალხია. აქეთაც ხალხია. გახლეჩილა. გახლეჩილი ხალხი ხალხი აღარ არის. გახლეჩილი მთელი აღარ არის. ხალხი მთელია. მთელი მთელია. ძალა მთელია. გახლეჩილი ძალა აღარ არის. გახლეჩილი უმწეობაა, სათრეველია. სათრეველი. და დაათრევენ უძალოთა, შეახროვებენ და დაათრევენ.

დაათრევენ.

სესიები იშლება უზენაეს საბჭოსი.

ქვორუმი ველარ შეგროვებულა. ფრაქციები ჰო მოედნებზე გასულან, ზღვასა და მოედნებზედა. მირბიან. მორბიან. აქაც არიან. იქაც არიან. ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ. ლაპარაკობენ. აქაც იგივესა. იქაც იგივესა. ვიდეო ჩანაწერია თითქოსაო. სესიაც მიტინგია, მიტინგიც სესიაა, ანთუ მიტინგია ყველგანა, ყველაფერი მიტინგია. მაინც ქვორუმს აკლია ხალხი. ქალები არ უშვებენ დეპუტატებსა, მათის მხრით შეჩვენებულ დეპუტატებსა. ეს პრეზიდენტის აპარატის ქალებია. კარებში ჩაღობილან. დერეფნები შეუკრავთ. ლანძღავენ. ათრევენ. ნიხლიც გვითავაზეს სანაშენოშიო, – ჩივიან ლიდერები ფრაქციებისა. მაინც გაარღვევენ, ანთუ გაეპარებიან მაინცა, მიაშურებენ პირდაპირ მიკროფონსა, არც აქეთაო და არც იქითაო, მიკროფონიდან მიკროფონსა, რო დაუზუთხიათ, რაც უნდა თქვან, სხვა არაფერს რო არ ამბობენ. მანძილიც აღარაა შორი: აიღეს რო რესპუბლიკის მოედანი, სასახლესაც აიღებდნენ მალე. მალე. მალე მტერი მოგიკვდესო. აიღებდნენ და დაემყარებოდნენ. აღარ ირბენდნენ აქეთ-იქითა. აღარც რა იქნება გახლეჩილი. ერთი კვლავაც ერთი იქნება. აღარც შეცდომები განმეორდება:

„რატომ შეუშვით რუსის ჯარი სამაჩაბლოში?!.“

„მე შევუშვი?!.“ უკვირს პრეზიდენტსა: „მე ვინა მკითხა?!. იქ არ იყვნენ ჩემს მოსვლამდისა?!.“

„წამობრძანდით რესპუბლიკის მოედანზედა. ხალხი იქ გითხოვთ. იქ გაეცით პასუხი“.

„ხალხი აქ არის, ხალხმა იცის“.

„ხალხი იქ არის!.."

„ხალხი აქ არის!.."

„მაშ იქ ვინ არის?!."

„სიგუა. ნერეთელი". იწვევს პრეზიდენტი. „ჯერ თქვენ ის გამიგეთ, „ბაკულას ღორები" მაინც თუ ნაიკითხა წერეთელმა?.."

„21 წლის კონსტიტუციის აღდგენას მოითხოვს!.."

„სემინარისტების კონსტიტუციისა?!. ილიას მკვლელების კონსტიტუციისა?!. კონსტიტუციას საქართველო ჩემგან მიიღებს!.."

„ვაშაااااა..." გუგუნებს მოედანი. ბუნკერში მრგვალები უკრავენ ტაშსა. ეს მოედანი – სასახლისაი რაღა თქმა უნდა. უსტვენს მოედანი რესპუბლიკისა. ჭყვირის მოედანი რესპუბლიკისა. დაიძრას თუ არა, ჰადაჰა, დაიძრას თუ არა!.. და შემოდიან დეპუტატები სათითაოდა, ეს სესიაზე რაღა თქმა უნდა, ალაიაში გამოვლილი დეპუტატები: ზოგისთვის რო კისერშიაც უთაქებიათ, ზოგისთვის რო პანჩურიც უთავაზებიათ. გვიხსენით!.. ვინ არიან ეს ქალბატონები, ასე უკადრისად რო გვექცევიანო. ნუ დაიმსახურებთო, ურჩევს პრეზიდენტი. აქ ამათ ურჩევს, იქ მიკროფონთან ბ-ნი გოცირიძე მიმდგარა. ისიც შარის თავი. ურჩევნიან არ მოუსმინოს. ერთიანი ეკონომიკური კონცეფცია უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსაო. აღმოუჩენია!.. ჩვენი ეკონომიკა გაორებულია თუ არ ვიტყვით: ქაოტურიო. უსმინე აჰა!.. სოციალისტური პოლიტიკური სისტემა დაირღვა, სოციალისტური ეკონომიკური სისტემა უცვლელია. ეს ყოვლად შეუთავსებელი მოვლენაა, ესაა სანყისი ქაოსისა, მალე ქაოსში ამოვყოფთ თავსა. ჰა?.. ვილაცას პირი დაუღია, დაუჭყეტია თვალებიცა. თვალებითაც უსმენს. პირითაც უსმენს. უსმინოს. ზოგი შფოთავს. ზოგი: აი და აყვირდებაო. ვერ გააჩერებენ. მიერეკება იაპონური ექსპრესივითა. კოლმეურნეობები უნდა დაიშალოს. ელაპარაკე!.. სადღა ნახა კოლმეურნეობები, – ეს ჰო საზოგადოებრივი მეურნეობებია?.. სახელიც შეიცვალა, აღდგა ადათიცა ძველი: ნადი, მამითადი. ჩვენ ჩვენს ტრადიციულ სამეურნეო ნყობას ვუბრუნდებით. ვუბრუნ-

დებით და დავუბრუნდებით. გვაცალეთ ბატონო!.. ველარ დაგაცდით!.. – ეს ქარტიაა. როდემდის გაცალოთ?!. – კოსტავას საზოგადოება. კოსტავა. რაღა კოსტავა აიხირეს?.. დარბაზი გაჭედილა. მიტინგი თუ დამთავრდა რესპუბლიკის მოედანზედა. ანთუ: ესაა შემოცვენილან ესენიცა, მალე გაცვივიან ისევა, ესენიცა, ისინიცა, ისინიცა, ისინიცა. „რეგლამენტი!.." მრგვალები გაჰყვირიან. არ ესმის ბ-ნ გოცირიძესა, ანთუ: ცხვირს ისე ჭმუხნის – ვითომც მესმის და ვითომც არაო. მიერეკება და მიერეკება, ახლა მითუფრო, – ოპოზიცია შემომატებულა, მოსულა მიტინგის მხურვალებითა. სხვა ამბები უნდა აშალოს. ეს არ ეკითხება, ეს ეკონომიკა, ეს სოციალურიო თუ ლიბერალურიო, ეს მიწათსაკუთრება, ეს პრივატიზაცია ნარმოებისა, არა, არა, არ ეკითხება, ახლა მთავარია: ჯაბა გამოვიდეს ციხიდანა, გია გამოვიდეს, გოგა გამოვიდეს. კულუმბეგოვიო?!!!!!!.. გესმის?! გესმის?!. კულუმბეგოვიო!.. ელაპარაკე!.. ნომერ პირველი პატიმარიო. რუსებს აჰყოლიან. ეს იმათ დანომრეს. მეორე რომელია, ის აღარ უთქვამთ. აღარც ესენი ეძიებენ მეორესა. ეს ერთი ჰყოფნით: ნომერ პირველი – №1; ამას უთვლიან ფაშიზმადა, პრეზიდენტსა, ამას მიაწერენ ცხინვალის ინტრიგებსა, სოხუმის ინტრიგებსა, ამას მიაწერენ და ფაშიზმს ამად უკიჟინებენ. რა კომუნისტიო და რა დისიდენტიო და რა დემოკრატიო და რა დეკაბრისტიო, რუსი რუსია და სხვა ყველაფერი გამონაგონიო. გესმის!.. დეკაბრისტები ჰო თავს იკლავდნენ: დიდი, დიადი რუსული იმპერია ურომანოვებოდაო?.. იკლავდნენ და გადაიკლეს კიდევაცა. და იკლავენ ესენიცა თავსა: დიდი, დიადი რუსული იმპერია უკომუნისტებოდაო. მოიკლან. თანაც გადაჰყოლიან. სახაროვია თუ ჟირინოვსკი – ერთი წყლისაა. ესენიც იმ წყალში თუ განბანილან. აბა მაშ რაა და რას გაჰყვირიან: ტოტალიტარიზმიო, დიქტატურაო, ფაშიზმიო, – ეს მე ვარ განა?!. გესმის!.. ესმით: ესაა გამოძვრნენ და უკვე გამოიქნენ, ესმით: დასავლეთი მხარს აღარ დამიჭერს, ფაშიზმის აჩრდილი აფრთხობს დასავლეთსა. ესმით!.. ესმით!.. მაგრამ საქართველო?!. ცხვირწინ ვერ იხედებიან?!.

დაიცა:

ელიოტი: „არცერთი არ იხედება საკუთარ ცხვირს იქით".

არ ვარგა.

უკეთესია: „ცხვირწინ ვერ იხედებიან". უკეთესია. უნდა გასწორდეს.

„ადიუტანტი: თქვენო ბრწყინვალებავ, ნაპოლეონი ცხვირწინაა!.. ბაგრატიონი: გააჩნია თუ ვის ცხვირწინა, თუ თქვენს ცხვირწინაა, თავს ნამოგვდგომია, თუ ჩემს ცხვირწინაა, დრო გვაქვს კიდევა..."

დაიცა: ეს ვიღაა?.. და ველარც არჩევს, ვინ ვისა სცვლის, ვინ ვის ედავება. ჩაშავებულა დარბაზი და ყველა ერთბაშად ჩაშავებულა. უფროც ჩაშავდა, კომუნისტები რო დაითხოვა. ჰა?!. უფრორე შავი არც რა ყოფილა ამ ქვეყანაზე, მაინც თითქოს რო ცოტა ოდნავ გაპრიალდნენ ბოლო ხანებშიო. ძველი არისტოკრატებივით შემოდიოდნენ. როლები შეცვლილიყო: მრგვალები დამგვანებოდნენ სმოლნის კომუნისტებსა. როლები შეცვლილიყო. „ნუ გამაბუნძულებთ", გიორგი ქავთარაძე იხვენებოდა, „რა ვუთხრა ჩემს ამომრჩევლებსა?.. მე ჰო სოხუმმა ამირჩია... იქ უფრო რთული ვითარებაა. იქ ყველაფერი სხვაგვარად გაისმის. ნუ გამაბუნძულებთ!.." „გააბუნძულეს". აქ ის არ იყო ოპოზიციონერი, „გააბუნძულეს" და მიემატა ოპოზიციასა, ქუჩის ოპოზიციასა; თუმცა და რაო. ესეც ჰო ქუჩაა, რო არ განსხვავდება რო არაფრითა: წესი არ იციან, რიგი არ იციან, ზრდილობა არა აქვთ, წიგნი არ უყვართ, უნივერსიტეტი სახინკლეებში დაუმთავრებიათ და ეგება რო აკადემიკოსობაც მიიღონ იქვე. ვაგლახ, იკეტება სახინკლეები. იხვენებოდა. იხვენებოდა: მე დეპუტატობა ისე არ მინდა, როგორც სოხუმის ბედი მაწუხებსო. იხვენებოდა. რაღას უშველიდა: რაღა კომუნისტების მანდატით შემოვიდა!.. „თანაც რო გვაწყალა გული: ბებია... ილიკო... ბებია... ილიკო... ბებია... ილიკო!.." აიხირა იმანაც რომანისტობა, – ყველამ რომანისტობა აიხირა პრეზიდენტობისა არ იყოს. პრეზიდენტი ერთია, რომანისტიც ერთი: „მცხე-

თას ხომ არ მობრძანდებით კონსტანტინე ბატონო?..“ ერთია!.. პირველია!.. პირველი რომანისტი!.. პირველი პრეზიდენტი!.. „რა ჩემი ბრალია. ჟორდანიაო – დაუჩემებიათ. ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარე ერქვა. ერქვა და ერქვას. რა ჩემი ბრალია – ბედისწერა ბედისწერაა!..“

„ბედისწერა?!.“ მიუბრუნდება ბ-ნი ასათიანი.

„რა ყაყანია?!.“ წყრება პრეზიდენტი.

„რას გაიგებ?!“ ბერავს ლოყებსა ბ-ნი ასათიანი.

„აბა რისთვის მიზიხარ მანდა?!.“

სხვას თუ უპირებს ჩემს ადგილსაო, – დარბაზს გაჰხედავს ბ-ნი აკაკი. შუაში სკამი ცარიელია. იჯდა. იჯდა. ახლაც იქა ზის, ეს ვერა ჰხედავს – ესაა მხოლოდა. ვერა ჰხედავს და დაინახავს: გამოინაქვთება, გამოიკვეთება თანდათანობითა, ბოხოხა ტანი გამოიკვეთება. თითქოს არცა სუნთქავს, არც რო ირხევა თითქოსაო, ანთუ: არც ირხევა, არა, არ ირხევა და სუნთქავს რო არცა, მხოლოდ თავი ირჯება ოდნავა, დინჯადა, ზანტადა, მიიხედება მოიხედება, რო არც არავინ მოყვირალი არ გამორჩესო, არც მოჩურჩულე არ გამორჩესო, მიიხედება, მოიხედება, დაბღვერილი, მოქურუშებული, რო არც არავინ არაფრად ულირს, რო აქ რად არის, ესეც არ მოსწონს, რო აქ არ იყოს, ვერც იმას აიტანს, აქა და ნინა, უფრო წინა, „ამას უპირებს?..“ მოიქურუშებს ბ-ნი აკაკიცა, მოიქურუშებს და აყვირდება, აყვირდება და გადაფითრდება, დაეჩუტება თითქოს ლოყებიცა:

„დაწყნარდით!..“ აყვირდება. „დაეტიეთ თქვენ თქვენს ადგილასა!..“ აყვირდება. „წერეთლის მიტინგზე ჰო არა გგონიათ თავი!..“ აყვირდება. აყვირდება. გადაფითრდება ჰო კიდევაცაო. რა დაემართაო, – გაიკვირვებენ, მიჩუმდებიან და ვერც მიჩუმდებიან, ანთუ დაუწევენ და აუწევენ ისევ და ისევა: აუწევენ, აუწევენ: გიაო. გოგაო. გია – ბატონი ჭანტურიაო; გოგაო – ბ-ნი ხაინდრავაო. ჩვენში ყველაფერი უპრეცედენტოაო. შემოაბრუნეს თვითმფრინავიო, მოსკოვის გზიდან შემოაბრუნესო, ბრძანებითა პრეზიდენტისაო. დასვეს უკანვე, სამხილი რო აღმოეჩინათ:

გიასთვის საბუთები, გოგასთვის – კასეტები. ვერ აღმოუჩინეს. არა და მაშ რად მიფრინავდითო, ჩასვეს ციხეში. სად გაგონილა ასეთი ბრალდება, რა ქვეყანაში გვიწევს ცხოვრებაო. ან თვითმფრინავი რო დაღუპულიყო, – ჰაერშივე მობრუნებული თვითმფრინავი, ვის კისერზე იქნებოდა ამდენი სისხლი, სისხლი უდანაშაულო ადამიანთაო. „ელაპარაკე!..“ უპრეცედენტოო. არაფერი არ გაუგიათო. ჩერჩილი არ იყო, რო მოაბრუნა თვითმფრინავიო: შტატებს მიფრინავდა, ეგვიპტეში დაჯდაო. შტატებს მიფრინავდა და ჰაერში გაახსენდა: ეგვიპტეში რო ჰყავდა ორი საუკეთესო გენერალი, – ალექსანდერი და მონტგომერი. ორი საუკეთესო გენერალი ეგვიპტეში ჰყავდა და ომს აგებდა ჰიტლერთანა. გაახსენდა. შემოაბრუნა. და. შემობრუნდა მეორე მსოფლიო ომიცა. უნდა შემობრუნდეს, რაც უნდა შემობრუნდეს. სამხილი ვერ უპოვნეს? – უხეირობაა. დაპატიმრება მაინც უპრიანია: გამზირი გადახერგეს, ხალხი წააქეზეს ხელისუფლების სანინააღმდეგოდა, – დაპატიმრება უპრიანია.

„შეკითხვა მაქვს!..“ ბ-ნი შენგელაიაა, „შეკითხვა მაქვს გენერალურ პროკურორთანა!..“

„ბრძანეთ!..“ მზად არის გენერალური პროკურორი. ჯანზეა. რიხზეა. შეუვალია. თვალს გაუსნორებს ყველა ჰელსინკსა, ყველა უფლებათა დეკლარაციასა: არა ჰყავს პოლიტიკური პატიმარი. არც თვითმფრინავის შემობრუნებას არ მოჰყოლია არავითარი ხიფათი. და თანაც: თვითმფრინავი სახელმწიფოსია, და სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის ყველა ბრძანება სამართლიანია. ჟუკოვი ჰაერში მოჰხსნა ხრუშჩოვმა. ბერია ტრაპზე აიყვანეს. ამბობენ: ბინაშიო. ამბობენ: კაბინეტშიო. ტრაპზედაც შეიძლებოდა. „ბრძანეთ!..“

„რა მუხლი წაუყენეთ გია ჭანტურიასა?..“

„ორასექვსი მესამე პრიმა...“

„ერთიც თუ შეიძლება!..“

„ბრძანეთ!..“

„რა მუხლით იჯდა ზვიად გამსახურდია?.“

„ორასექვსი მესამე პრიმა... მაგრამ..."

„გმადლობთ!.. გმადლობთ!.." კმაყოფილია ბ-ნი შენგელაია. აი, კმაყოფილია, ყელს მოიღერებს ამაყადა. გუნდი იცინის. გუნდი წუხს. გუნდი იბღვირება. გუნდი იმუქრება. გუნდი ჩურჩულებს, არც რო გადაძახილს არ ერიდებიან თუ მოხვედრილან შორიშორსაო. გუნდებად გამდგარან. არა. არა. მოჩვენებითია. ყველა ცალკეა, ყველას თავი კერპი ჰგონია თუ ღმერთი არა. ძნელად მოსავლელი ხალხია. ძნელადა. ძნელადა. შეუნიშნავს ვორონცოვსაცა: ქართველებს ვერ დარაზმავ. საქართველოში ყველას პირველობა ნებავს, შეუნიშნავს. შეუბედნია იმპერატორისათვისა, რო აქეზებდა თურმე: აბა შენ იცი თუ როგორ დარაზმავ ქართველებსაო. ვერაო. ქართველებს ვერ დარაზმავო. პირველობა. სახელისათვის ამაყი თრთოლვა. ბავშვობაში ადვილი იყო, ანთუ მამა უადვილებდა: „შენა ხარ პრეზიდენტი. აბა როგორ გვიპრეზიდენტებ". ეტყოდა. თამაშობდნენ. თამაშობდნენ. დაჯექი! – უბრძანებდა მამასა. დაჯდებოდა. დაჯექი!.. – უბრძანებდა დედასა. დაჯდებოდა. დაჯექი!.. – უბრძანებდა თამრიკოსა. დაჯდებოდა. ადექით!.. – ადგებოდნენ. დასხედით!.. – დასხდებოდნენ. ადვილი იყო. ჰმ!.. ამათ ისევ ადვილი ჰგონიათ: ანთუ გაზრდილან და გაბავშვებულან ხელმეორედა, ანთუ ჯერაც არაო, არ გამოხსნილან ბავშვობიდანა. გაიძახიან, რაცთუ მოჰხვდებათ, ჭკუაში რო არც გაატარებენ, არა, არა, არც რო ახლოს არ გაატარებენ. დაიზეპირებენ აქა-იქა ამოკითხულ სტრიქონებსა, ანთუ რასაო, რას დაიზეპირებენ, ვინაა ამათში წიგნიერიო, – ღმერთმა დაიფაროთ!.. – რასაც ყურს მოჰკრავენ ისაა და ისა, ამათი ლექციები სადღეგრძელოებია, სუფრაზე განაგონით გადიან იოლადა. ქართული სუფრა აკადემიაიაო, – ღმერთო გვიხსენი ამდაგვარი აკადემიისაგანა, ამისგან მაინც, ამისგან მაინც გვიხსენი ღმერთო. სხვა დანარჩენს მე მოვაგვარებო. „ჰა?!!." ეს ვილაა?!. რასა ლაპარაკობს?!. გადარეულა. რა გასაკვირია. მაინც ვინაა?!. დაბინდულა ბუნკერიო. იყოს ბუნკერი და ისხდნენ ამ ბუნკერშია. არც არიან ღირსნი მეტისა. მართლა საბ-

ჭოთ ნუ წარმოუდგენიათ თავი და ისიც მართლა უზენაესადა. უზენაესი!.. არა, რო არცა კმაყოფილდებიან!.. რა დასცემიათ ასეთი, რა წვეთი დასცემიათ?!. წვეთი, წვეთი, თორემ ქვასაც გაუძლებს ადამიანი, ანთუ ქვაზე მაგარიაო. წვეთია, რაც არის, – უბედურებაა. ჩააწვეთესო, – ერთი სიტყვაა, საწყისია უბედურებისა. ჩააწვეთეს შაჰაბაზსაო. სააკაძემ ჩააწვეთაო. მოაკვლევინა ლუარსაბიო. მოაშლევინა ტახტი ქართლისა, მოსაკრებელი საქართველოსიო. ჩააწვეთა. მოაშლევინა. ჩააწვეთა და აწვეთებდნენ და აწვეთებენ, აწვეთებენ და აწვეთებენ. ამასაცა, იმასაცა, იმათაცა. იმათაცა. ყველა. ყველასა. ყველა. ყველასა. და შეჰსევია ყველა ყველასა და წვეთავს ერი და დასდის წვეთი და იცლება წვეთადა, იცლება, ინურება, ინრიტება, ინრიტება.

„ეგება კიტოვანი არ უნდა გამეშვა...“

„სიგუა მაინც ეგება არ გამეშვა...“

„ხელიდან მაინც არ უნდა გამეშვა!..“

თუ იოსელიანიც ნაუვა ხელიდანა: ტრიუმვირატია გარდაუვალი. ტრიუმვირატ!.. ესენი ტყუილად იხარჯებიან, ტყუილადა ცხარობენ, ტყუილად ისნორებენ ქამარსა, ტყუილადა ლამობენ ერთმანეთის ჩამოცილებასა: ჩამოცილებულნი არიან თვითონვე უკვე, ჩამოცილებულნი, გარიყულნი. ამასაც აღარაფერი აღარ ესაქმება ამათთანა: იქაქანონ, იყაყანონ, რამდენიც ენებოთ, იქაქანონ და იყაყანონ, დააქციონ ეს დარბაზიცა. კინოდარბაზია თუ ბუნკერია თუ რაც რო არის, დააქციონ, ტრიუმვირატი მოდის. ზღვა ღელავს. ზღვა გადმოდის. გადმოდის. ზღვა უნდა აბორკოს, უნდა აიღოს ზღვაი, თუ არა, ნალეკავს, ზღვა ნალეკავს. სხვა ვერაფერი, ვერარაი და ვერაფერი. ამათ იდავონ თუ ვინ იქნება მოქალაქეი საქართველოსი. იდავონ. ამისთვის ეს გადაწყვეტილია: ვინც რო ცხოვრობდა საქართველოში 801-მდე. მერე საქართველო აღარც არსებულა. იდავონ. ტრიუმვირატი!.. ზღვა!.. სასახლემ ზღვა უნდა აიღოს. ზღვამ სასახლე ვერ უნდა აიღოს. სასახლეს ხალხი ახვევია. ახვევია. უნდა ეხვიოს. ხალხს იარაღით ვერ დაე-

რევიან. თუმცა 9 აპრილიც ამან შეაცდინა. მაინც რო ხალ-
ხი, ხალხი, ხალხი თუ გადაარჩენს. ოლონდ ესაა: იმდენნი
რო ველარ ჩამოდიან. ველარცა სძლებენ, იმდენს ველარა.
იღლებიან. იქანცებიან. მაინც ხალხი. მაინც გასძლებენ.
მაინც ხალხია თავი დ› ბოლო. ხალხი მაინც არ მიატოვებს,
არ მიატოვებს თავის რჩეულსა. ესენი მიინევენ, – ვინ აირ-
ჩევს რო მიინევენ, – ჰმ!.. მრავალი მიინევს, რჩეული ერ-
თია. ერთი. ერთი. ტრიუმვირატი. იმას არჩევა არა სჭირ-
დება. კეთილი, ვთქვათ რო: ესენი მაინც ვილანი ჰყრიან?!.
„ჰა, ჰა, ჰა..." უკვირთ: ნეტა რა აცინებსო. თუ დაგვცინისო.
უფრო მწარედ აღმოიტყვიან: იმუქრებიან. აშინებენ. არც
ტოტალიტარიზმი ავიწყდებათ, არც რო დიქტატურაო, ფა-
შიზმით ჰო ლამის გადარიონ, – თუ არ გაიცინა, გული გა-
უსკდება. „ჰა, ჰა, ჰა..." ცივი ომის მთელი არსენალი ახლა
ამისკენ მოუმართია მოსკოვსა. ასეთი რა არის?!. ჰაჰაჰა-
ჰაჰაჰაჰა... ოიდიპოსის კომპლექსიო. გადაირევა კაცი. გა-
უგონიათ: ალია მომკვდარაო. მერეო, მერეო, – მერე ველა-
რაფერი გაუგიათო. ოიდიპოსის კომპლექსიო. თავისი
დღით აღესრულა კონსტანტინე-ბატონი. თავისი დღითა.
თავისი დღითა. ამას მაინც ველარ მოაკვლევინებენ. ეს
არაფერიო: ავტორის ვნებაა პერსონიფიცირებული არზა-
ყანის საქციელშიო. სავარსამიძეც სულ ამაზე ოცნებობ-
დაო. მამის კომპლექსი შვილში არის კოდირებულიო. გეს-
მის?!. უსმინე!.. უსმინე!.. კონსტანტინე-ბატონი მაინც
აღესრულა, აღესრულა თავისი დღითა. ეს არაფერიო: ხე-
ლისუფლება წარმოუდგენია ამასა მშობლის სახითაო, ან-
თუ ხელისუფლება წარმოუსახავს სახებადა მშობლისა
ანუ: მამა წარმოუსახავს ხელისუფლებადა და მოჰკლავს
ხელისუფლებასა ანუ მამასა, მოჰკლავს მამასა და თვა-
ლებსაც დაითხრისო. თავსაც ამოიჭამსო. გესმის?!. გაჰ-
ყვირიან. ესენი გაჰყვირიან. წერით მოსკოველები წერენ.
თეორეტიკოსობენ რუსები. ასე, ასე თეორეტიკოსობენ.
ფროიდმა გადარია ქვეყნიერება, ყველა გადარია. რუსებმა
ამისთვის გამოიყენეს. მექოთნე ქოთანსო ყურს საით უნდა
იქით მოაბამსო. მექოთნე ქოთანსო, მეკომბლე ქოთანსო:

ერთი მეკომბლე ას მექოთნეს აჯობებსო. მეკომბლეობასა ჩემულობენ ესენი ყველანი, მექოთნე სადღაა?!. აღარც მექოთნე აღარ იქნება, აღარც ქოთანი, რაღას დალენავენ მეკომბლენიო.

და თითქოს რაღაც წამოაგდებსო: აიმართება.

დარბაზიც აიშლება, თითქოს რო მანამდის დალაგებულიყოს. აიშლება. შესვენება გამოუცხადებია თავმჯდომარესა.

მოედებიან ახლა დერეფნებსა. ახლა იქ დაერევიან ერთიმეორესა. დაერევიან. დაერევიან. იქ მუშტიკრივიც შეიძლება, გინებას ჰო ნულარ იკითხავ... ნახდა ენაი, ენა გაირყვნა. გაირყვნა. ენა გაირყვნა და ერი გაირყვნა. ბავშვობაში შუაბაზარშიც არ გაეგონა ის სიტყვები ორბელიანსა, ბანკობიადაზე რო ესმოდა მოხუცობაში. ცივილიზაციას ემძლავრა უკვე. მას შემდგომ ისე მოჯირითობდა: „დედას" აბრუნებდნენ უზენაესშიცა, უზენაესნი უზენაესადა.

ვაი დედასა!..

XX

დედამ ეს რატომღაც რუსულად აუწყა:

მამაშენი გარდაიცვალაო.

დედა რუსულად ელაპარაკებოდა ხოლმე, ჩვეულებრივ რო რუსულადა ლაპარაკობდა ეგრეთწოდებული ელიტური თბილისი. მერე ჰო გდიდში გადაეჩვია ლამისა რუსულსა; მერე ჰო მერე, 9 აპრილის მერე ჰო ერიდებოდა ელიტური თბილისიცა სისხლიან ენასა, – ერიდებოდა: და მაინც დედამ მაინც გაიხსენა ასე ერთბაშადა: მამაშენი გარდაიცვალაო. გაიხსენა. თქვა გულგრილადა, ვითომც ვიღაცა შორეული ყოფილიყოსო. ლუოსაც ეგრედვე: შორიდან მოესმა თითქოსაო, თითქოს ვერც მიჰხვდაო: რა მამაჩემიო, რის მამაჩემიო. აღარც ახსოვდა, აღარც აღარავინ გაახსენებდა, დავიწყებოდა რო ამასაცა რო: აიტაცებდა ვიღაც გოლიათი ბავშვობაშია, აიტაცებდა და აისროდა, თითქოს

რო ზეცაშიო, აისროდა და დაიჭერდა, დაიჭერდა და შეათამაშებდა, შეათამაშებდა და მიიხუტებდა გულზედა, მიიხუტებდა და ხითხითებდა, ხითხითებდა და ახითხითებდა ამასაცა. აღარც ახსოვდა, აღარც აღარავინ მოაგონებდა. ბავშვები იმას სხვანიცა ჰყოლოდა, ანთუ ჰყავდა, რო მოეხსენებოდა ლანასაცა კარგადა და დიდებულადა. მოეხსენებოდა. პირველი პირი ცოლშვილი ჰყავდა, ეს მეორე აჰკიდებოდა. აქ რაღაც ჭკუაში არ დაუჯდებოდა, გაიქცეოდა და იმათ შეაფარებდა თავსა; იქ მობეზრდებოდა, ანთუ რაიმ ეწყინებოდა, მოძუნძულდებოდა ისევ ლანასთანა. აისროდა და დაიჭერდა, ხითხითებდა და ახითხითებდა, უფრო მეტად რო არ ინუხებდა თავსა. ეს აქა, აქა, იქ – ინუხებდა. ითმინა ლანამა, ითმინა, ითმინა და ერთიცა ვნახოთ, მიუჯახა კარი: აქ აღარ მოადგა ფეხიო, – მიუჯახა, კინაღამ ცხვირი მოაყოლებინა შიგა. მიუჯახა და დასჭექა რუსულადა, მხოლოდ რუსულად რო ლაპარაკობდა შუათბილისი, მხოლოდ რუსულადა, უფრო მაშინა: თუ ჩხუბობდნენ, თუ ილანძღებოდნენ, – უხდებოდა რუსული, უხდებოდა ლანძღვაგინებასა. ჯიგარს ჩაატანდნენ შიგა. რაც უნდა იყოს: ფეხი მაინც აღარ მოუდგამს. და აღარც ლუოს მოუკრავს თვალი. აღარც ლანას დაუძრავს კრინტი. და ლუომაც აღარ იცოდა: სადღეგრძელოს რო სვამდნენ მშობლებისა, ცოცხლად მოეხსენებინა მამაი თავისი თუ შესანდობარი დაელია მისი. აღარ იცოდა. და როგორც მოჰხვდებოდა: ხან ადღეგრძელებდა, ხანაც რო პურზე დაანვეთებდა ღვინოსა. გაიშლებოდა წვეთებიცა, წითელი წვეთები, პური იწოვდა შესანდობარსა. ხორცი ჩემიო. სისხლი ჩემიო. ის თურმე ახლა გარდაცვლილიყო. ღვინოც იქ დაჰხვდება, პურიცაო.

„მამაჩემი?!." უკვირს ლუოსა, თითქოს რო უკვირს თუ მართლაც რო უკვირს.

„მამაშენი!.." დედა უდასტურებს. მშრალადა. ცივადა.

„როდის?.."

„გუშინ დაკრძალეს".

„გუშინ?!."

„ჰო!.. რა?!."

„არაფერი!.." რაღა თქმა უნდა: დღევანდელი რო გადაკიდულა, რა საკითხავია გუშინდელი?.. ანთუ რაც არის თუ რაც უნდა იყოს: აღარ შეეშლება ამის შემდგომა: უფრო გაბედულად დააწვეთებს ღვინოს პურზედა. გაბედულადა. გაბედულადა. გაბედულება ყოფილა მაინც ყველაფერი, ჭოჭმანს სიკეთე არ მოპყოლია. სხვები აწვეთებდნენ გაბედულადა, სხვები, უმეტესნი: უმეტესნი რო დარჩენილიყვნენ უმამოდა: ანთუ აქვე რო დაეხვრიტათ, ანთუ რო გადაეკარგათ ციმბირსა თუ ციმბირს იქითა, ანთუ ომში რო ჩაეყლიტათ, იმპერიულ ომში, რო დაეპყროთ ახალი ქვეყნები თვითონ პყრობილთა და განწირულთა. აწვეთებდნენ და აწვეთებდნენ, თვითონაც იგივე რო ელოდებოდათ, იგივე ხვედრი, მარადიული ობლობის ქვეყანაში. ტყუილად დაეძებდნენ ოიდიპოსის კომპლექსსა, ტყუილადა, ამაოდა, აქ მამა უფრო იდეალი იყო. რაც უნდა იყოს: ვერ შეპხვდებოდნენ სადღაც ჩახოცილნი არტახებში ჩაკრულ შვილებსა. არტახებში, არტახებში, შესანდობარი თუ შეახვედრებდათ. ხორცი ჩემი. სისხლი ჩემი. აჩქეფდებოდა სისხლი კიდევ უარესადა. აჩქეფდებოდა. აჩქეფდებოდა. აპაა და აი ეს ეთნოკონფლიქტებიო, პარტიების კონფლიქტებიო, კარიერისტული კონფლიქტებიო, ნაციონალიზმიო, დემოკრატიზმიო, ჭორები უამრავი, ღვარძლი უმნარესი, ბადეები საიდუმლო სამსახურებისა, იმპერიული სამსახურებისა, ბადეები, მახეები, ქსელები, – ანვეთე და ანვეთე ღვინო პურზედა უბედურო ქართველო, აწვეთე და აწვეთე, ხოლო თუ მალე აღარ იქნება აღარც რო ღვინო, აღარც რო პური, სისხლი აწვეთე პირდაპირ მინასა, – უბედურო, შე უბედურო!..

და დასცეს კარვები სტუდენტებმაცა იქვე, მთავრობის ბარიკადებთანა. გაბედული ახალგაზრდობა. თავს დაიყენეს ილიაცა და აკაკიცა. ამათაცა. შუაში მოიქციეს ძეგლი. აი და ამათ გაეცით პასუხი, ჩვენ ამათი სახელით მოვსულვართო. თვით პრეზიდენტი გამობრძანდესო. ბ-ნი ქორიძე გამობრძანდა. არ მოუსმინეს. ბ-ნი პეტრიაშვი-

ლი გამობრძანდა. არ მოუსმინეს. მხოლოდდამხოლოდ პრეზიდენტიო. ბ-ნი მოლოდინაშვილი დაემუქრა. სასაცილოდ არ ეყოთ. მხოლოდდამხოლოდ პრეზიდენტიო. რას მიბრძანებთო, – ეს პრეზიდენტი გახლდა, არ გამობრძანებულა, იხმო თავისთანა, ალბათ ეგონა: აქ ცოტას მაინც მომერიდებიანო. ალბათა. ალბათა. ანთუ რაც იყო, რის მორიდებაო, რა ზრდილობაო, ვილას ახსოვდა ზნეობანი მოძველებულნი: გადადექითო, – უბრძანეს მრისხანედა, ამწუთს, ახლავე გადადექითო. ჩვენ აქედან მახარობლებად უნდა გავიდეთო. ვის უნდა ახაროთო, – იკითხავს პრეზიდენტი. „ხალხსა!.." „ხალხსა?.. მაშ უსმინეთ ხალხსა!.." „მესია!.. მესია!.." გუგუნებდა ხალხი. „ეს თქვენი ხალხია!.." ნიოდა გოგოი, გამოყვანილი ჩხიკვივითა. წიოდა. არ ჩამოდიოდა ტრიბუნიდანა. სხვები ადგილებიდან შეეწეოდნენ, ტრიბუნა ჩაებღუჯა ამასა. „ხალხი არავისია. ხალხი ხალხია". უხსნიდა პრეზიდენტი. „ის ბრბოა!.." განუმარტავდა გოგოი იგი ჩხიკვივით რო გამოყვანილიყო, „ხალხი ჩვენა ვართ, ჩვენა ვართ მოციქულნი ხალხისა: გადადექი!.." განუმარტავდა და ნიოდა. „გადადექი!.." ასდევდნენ დანარჩენნი. რაღა უზენაეს საბჭოს სესიაო, რაღა შეხვედრაი ამათთანაო: სასახლე ირყეოდა თითქოსაო. ჭრაჭუნობდა. ხჭიალებდა. გაქანდებოდა იატაკი, ფეხქვეშ ეცლებოდა თითქოსაო. გამოუტყდა ბ-ნ გუგუშვილსა. მეც ეგრეევე მემართებაო. კიბეცაო, – დაუმატა, – საფეხურები მეცლებაო: ავდივარ, ავდივარ და ვერ ავდივარო.

„კარგად დაქოქილი სტუდენტობა შეგიგროვებიათ!.." პრეზიდენტი იჭმუხნის შუბლსა.

„არა..." უარობენ რექტორები, უარობენ და ვერცა უარობენ. რექტორთა თათბირი მოუწვევია.

„არა!.. არა!.. არა!.." ატრიზავებს პრეზიდენტი, „თქვენ ახლა იმასაც დამიმტკიცებთ, რო ეგ თქვენი ჩიხრაძე გოგუაძის დაქოქილი არ არის!.."

„ენა უსწრებს..." იცავს თუ თავს იმართლებს უნივერსიტეტის რექტორი.

„საჩეჩელი აღარ იშოვება?!." კითხულობს პრეზიდენტი, „გეთქვათ ყაზბეგიდან ჩამოგიტანდით. საჩეჩელზე, საჩეჩელზე ეგეთი ენები!.." ჰოი წმინდა უმეცრება და გატლეკილი ენები, – საჩეჩელზე, საჩეჩელზე გატლეკილი ენებიო. რეაბილიტაცია ინებეს რექტორებმა, წამოარჩიეს სხვა სტუდენტები, ის სხვანი აწვიეს პრეზიდენტსა. ჩვენ ვსწავლობთ. ჩვენ თაობა ვართ დამოუკიდებელი საქართველოსი. ჩვენ ავაშენებთ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო. მოახსენეს. პრეზიდენტი კმაყოფილია. კმაყოფილებაცაა და უკმაყოფილებაცა: გაყოფილა ახალგაზრდობაცა. უბნები გაიყო. ქუჩები გაიყო. ოჯახები გაიყო თუ გაიპო. გაიპო ყველა და ყველაფერი. პიროვნება გაიპო. გაიპო. დარბის გახლეჩილი და დაეძებს ნაწილი ნაწილსა. თითქოს იპოვნის და შეეწებება ისევა თითქოსაო, მართლაც თითქოსაო, მალე რო მიეხვდება: უცხო რო არის და აეხლიჩება ისევა მალეო; აეხლიჩება და დარბის ისევე, დარბის და დაძრწის, დაწანწალებს, დაეხეტება, ვიდრე კვლავ სხვას არ შეეწებება, ვიდრე კვლავაც არ აეხლიჩება. დარბის და დაძრწის, დაწანწალებს, დაეხეტება. ველარ უპოვნია ნაწილს ნაწილი, თავისი ნაწილი რაღა თქმა უნდა. ალყა ვიწროვდება. ზღვა დაიძრა. მოტანებულა სასახლესთანა. სანაპიროზე ტანკები გრუხუნებენ. ბეტეერები დაშლიგინებენ. ეს ოპოზიციაა. მთავრობა იკეტება სასახლეშია: ტანკებით იკეტება, ბეტეერებითა, ქვემეხებითა, ქვიშის ტომრებითა, სნაიპერებითა, თავდადებული მოიერიშეებითა, სესიებითაცა რაღა თქმა უნდა, უზენაეს საბჭოს სესიებითა:

„რა უნდა ბეტეერსა რუსთაველის მეტროს თავზედა?!." კითხულობს პრეზიდენტი, გაიცქირება თითქოს რო შორსაო, პასუხს რო იქავე ელოდება. ელოდება. პასუხი არ არის. ვისი არისო, – ახლა ასე იკითხავს პრეზიდენტი, მიპატრონებულიც რო იქვე ეგულება, რო უნდა მიუგოს ბოლოსდაბოლოსა.

„ჩვენი!.." ბ-ნი ადამია მიუგებს.

„რა უნდა მერე მეტროს თავზედა?!."

რაც უნდა, ის უნდა: სტრატეგიული პუნქტია: დასცქერის რუსთაველის მოედანსა, რესპუბლიკის მოედანს გასცქერის, არ გამოეპარება ქუჩები მტკვრისკენა, საბურთალო-ვაკისაკენა, თრიალეთის გორმახებისკენაცა, ჩიტიც ვერ ნაუა, ჭიანჭველაცა. გასცქერის. დასცქერის. დაპატრონებია.

„აბა სად უნდა?!." ბ-ნი ადამია მიუგებს. მწვავე ღიმილი აპკრავს, ნახევარ ტუჩებსა და ცალ ლოყასა: ვითომ არ იცის პრეზიდენტმა, რო იქ ჩემი ეზოა?!. არ იცის, რო მე იქა ვცხოვრობ, იქ გავიზარდე, იქ დავიბადე?!."

„ბეტეერში?!." მოუჭრის პრეზიდენტი.

და აშრება ღიმილი, მწვავე ღიმილი, ბ-ნ ადამიასა, აშრება თუ ახმება იმ ცალ ლოყასა, ნახევარ ტუჩებსა, ახმება, ებეჭდება. დეპუტატები იცინიან. მრგვალები ცხადია, მჭახედ იცინიან: აბა თუ რაღას უპასუხებო. აღარაფერსა რაღა თქმა უნდა. ტუჩებს ჩაიკვნეტს: დღეს რაღაო და გუშინ ნეტავი სამაჩაბლოში შემხვედროდითო; დღეს რაღაო და ხვალე ჰო წინ არის, სამაჩაბლოს აქ გაგიჩენთო, ჩაიკვნეტს და მოკუმავს და დაატარებს თვალებსა ირგვლივა: ვინ უფრო იცინის, ვინ უფრო ჭახჭახებსო: ვილა შერჩენია ამ უბედურსაო, – მრგვალებიდანა რაღა თქმა უნდა, თვითონაც რო მრგვალი ბრძანდებოდა, რო გაეცალა, რო გადაუდგა:

„ბეტეერში..." ბურტყუნებს იგი, თან ისე მიიწევს თავწახრილი, კარისკენ მიიწევს, თუ ვინმე დაუდგა თავით გაიტანსო. იქ ქალები თუ ეგულება. მაგრამ არაო, აღარა სცალიანთ ქალებს ამისთვისა, ამისთვის აღარაო: აღარასა შველის პანჩურიო თუ პანღურიო, ვითარება მწვავდება. პატრიარქი სდუმს. პატრიარქი სდუმს. პატრიარქი უნდა ჩაერიოს. აღარა სცალიანთ ამათთვისაო. საპატრიარქოს შეესევიან. ვეღარ ეტევიან პატრიარქის ოთახში, დერეფნებშიც ვეღარ ეტევიან. ქუჩაშიც ვერაო, ეზოშიც ვერა სიონისაი. მიდუმდებიან და აფეთქდებიან შიგნითაცაო და გარეთაცაო, მიდუმდებიან და აფეთქდებიან, ოღონდ რო ისე მაინც არაო, მიტინგებზე როგორადაცა, ანთუ უზენაეს საბჭოში როგორადაცაო. აქ სიონია, რაც უნდა იყოს, საპატრი-

არქოა და ისე სათნოა სიტყვანი პატიარქისა, ისე შემწყალო, ისე კეთილი, ვერ აუხირდები, მორწმუნე თუ ხარ. და მოსულან მორწმუნენი, მოუხვევიათ ხილაბანდები, შეუმალიათ გაბუნკული თმები, და მოითხოვენ: დასწყევლე პუტჩისტები, შეაჩვენე, განკვეთე ეკლესიისაგანაო. მოითხოვენ. მოითხოვენ. და არას უჯერებენ პატრიარქსა: მე მწყემსი ვარ მრევლისა ჩემისა, მე უნდა ვიფარავდე ფარასა ჩემსა, ფარასა ღვთისასა, არ უნდა დავკარგო არცერთი კრავი, არ უნდა გავფანტო, არ უნდა მივდენო უფსკრულის პირასა. ჩვენ უკვე იქა ვართ, უფსკრულის პირასაო, – შეახსენებენ. მე ვლოცულობ, მე ვევედრები, მე მესმის ზრახვანი კეთილნი ღვთისა ჩვენისა: ჩვენ ხსნას აღგვითქვამს, ჩვენ გადარჩენა გვინერიაო. დასწყევლე მაინცა ღვთისაგან გარეგანნი, შენ დასწყევლე, ღმერთმა თვითონ იცის, თუ ნებავს იხსნის, თუ ნებავს წარწყმედს, რასაც ინებებს თვითონ იცისო. მაგრამ ვაი, რო შენც გადაგიბირეს, შენც იმათთან ხარო. მე ღმერთთანა ვარ და ერთანა ჩემი, შუამავალი ვარ მიწიერსა და ზეციერს შორისაო. და იწერს პირჯვარსა, იწერს და იწერს, აღაპყრობს ხელთა, აღაპყრობს თვალთა. ჩამოდის ჯვარი, ნათელი ჩამოდის, – ნათელი, ნათელი; შუბლზე აჯდება ნათელი ჯვრადა. გადავრჩებითო. დასწყევლეო. გადავრჩებით ყველანი ერთადაო. მაინც დასწყევლეო. და აღარ ახსოვთ თუ სად არიან, ვის ურჩევენ თუ ჩასციებიან; დასწყევლე და შეაჩვენეო, – ურჩევენ ისე დაჟინებითა, ჯიუტადა, კადნიერადა. ხმას აუწევენ, ახმაურდებიან, აგუგუნდებიან. ხმა აიტანს საპატრიარქოსა, აიტანს, აარწევს. სამრეკლო ირწევა. ირწევა სიონი, ძრწის და კანკალებს, თითქოს რო კვლავაც შემოესივნენ მარბიელნიო, მძარცველები შემოესივნენ თითქოსაო, არასოდეს რო არ მოჰკლებია. არასოდესა. არასოდესა. ანთუ ეგებ რო მიწა იძრაო, მთები ჰო იძრა და ბარიც იძრაო. ხელები გაწვდილა, მიტანებულა ათასი ხელი, დასწყევლეო, მიტანებულა: აი წანვდებიან შესამოსელში, აი კალთებს აიტატებენ, აი აჰაა გამოიყვანენ, დააჩოქებენ სიონის ხატებთანა და საწყევარს ათქმევინებენო, აი აჰაა, აი და აჰაააა...

ჯერ ასე არ გასჭირვებია.

არა, –

როგორ არა:

9 აპრილსაც ჰო გაუჭირდა?.. გაუჭირდა. პრეზიდენტი ამტკიცებდა: 9 აპრილმა შესძრა მსოფლიოო. ამტკიცებდა. 9 აპრილმა დაშალა საბჭოთა კავშირი და იხსნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიო. ამტკიცებდა. მსოფლიო ისტორიის ბორბალი 9 აპრილმა შემოაბრუნაო. ამტკიცებდა. ამტკიცებდა. ამას გაუჭირდა. როგორ ეევედრებოდა ხალხსა: დაიშალენითო, გავეცალოთ აქაობასა, სიონს მივმართოთ, იქ ვილოცოთო. სასახლის სვეტებში იდგა. ღმერთი გვიხმობს. ღმერთი ჩვენთან არის. ოღონდ მხოლოდ იქ ვილოცოთო: სიონში, სიონში, სიონში გვიხმობსო. „არა!....." გუგუნებდა ხალხი, ჭყვიროდა, გაჰკიოდა, გაჰყვიროდა, ღვთისა რო აღარა გაეგებოდა, ერი რო ერად აღარ შთენილიყო, თორემ ჰო თქმულა: ხმა ღვთისა და ხმა ერისაო. დაყრუებულიყო ხალხი, დაჩლუნგებულიყო ხალხი, ერთიღა სიტყვა გაეგებოდა, ისიც თუ რო გაეგებოდა, ანთუ რაც იყო, ისღა შერჩენოდა: „არა!.." „მე მეუწყა, რო მოდის რისხვაი. მე მეჩვენა მდინარენი სისხლისა. მე მომესმა ხმაი ღვთიური! დაიშალენითო". „ააااااარრრრრრრრრრაااااااა!.." გუგუნებდა გაჭედილი მოედანი, გამოჭედილი, ამოვსებული, ამოტენილი, შეზელილი თუ შენივთებული, თითქოს რო ერთია, თითქოს თუ აღარცთუ დანანევრდებაო. „აი მე მივდივარ, მივდივარ და მომყევით. მე გეევედრებით. ხსნა მხოლოდ ეს არის: მივდივარ, მომყევით, მომყევით შვილნო!.." „ااااااარრრრრრااااا!.." გრიალებდა ისევ ისევე, მოედანი რაღა თქმა უნდა, მოედანი სასახლისაი, გრიალებდა დაყრუებული, თავისი „არაც" რო აღარ ესმოდა, რო აღარც იმდენი გაეგებოდა თუ რა ძალა მომართულიყო იქვე, ლენინის მოედანზედა, მომართულიყო, დამიზნებულიყო, როგორც რო თითი, სისხლიანი თითი ძეგლისაი: ჰკა მაგათაო. ბრძანებას ელოდა ნუთინუთზედა. შემართულიყო ჯარი ჯარადა, ტანკები ტანკებადა. შემართულიყო. შეყალყულიყო. არც რა ესმოდა, არც არაფერი გაეგებოდა.

ეგება ამათ გაუგონონო. „უთხარით რამე!..“ მიმართავდა ამ ახალი პარტიების, სახელდახელოდ გამომცხვარი პარტიების ლიდერებსა, თაფლავაშებივით ამოყრილ ლიდერებსა. მიმართავდა. ევედრებოდა. გაჭიმულიყვნენ პირქუშადა, ნარბუხრელადა, ვითომც რო მართლა ლიდერები ვართო. ხოლო ურჩხული იყალყებოდა სისხლისფერი. ღრუბელსა ჰგავდა, ანთუ სისხლის ღრუბელი გახლდა, მერელა იქცა ურჩხულადა, გადმოევლო რო ჩეკისტების სახლსა, მუზეუმს დაასკდა, ჩამოიდღლაძა კინოთეატრზე, აიყალყა მხატვრის სახლზედა, ქაშუეთი შელაფა, შემოესხა და შემოეგრიხა, დაიხლაკნა, შეიკრა, იქცა იმადა, რაც რო გახლდა, დააღო პირი და შეისუნთქა, შეისუნთქა და გადაჰყლაპა ყველანი ერთბაშადა; ამოისუნთქა მერე რო მალევე, სისხლად ანთხია, რაც რო გადაჰყლაპა, ანთხია და ანთხია. ადინდა ნიაღვრები, სისხლისაი რაღა თქმა უნდა, ადინდა, დაეშვა, მტკვრისაკენ დაეშვა, დაეშვა უბედური მდინარისაკენა, უბედურისა, უბედურისაი, ხშირად რო ივსებოდა სისხლითა. ხშირადა. ხშირადა. ერი იცლებოდა და ის ივსებოდა. ივსებოდა. ივსებოდა. „ჰხედავთ?..“ არ ეტყობოდათ. „უთხარით, მომყვნენ!..“ არ ირხეოდნენ. ესენი სისხლს ეთამაშებოდნენ: უნდა დაიღვაროს, თავისუფლება ისე არ მოდისო. მაინც რო არ მოდის?.. – ამდენი აღარ ეკითხებოდათ. ეთამაშებოდნენ. ეთამაშებოდნენ. თვითონ მაინც არ გაკანრულან. ჰკა მაგათაო, ღრიალებდა ძეგლი, – ძეგლი ღრიალებდა, – ხელიც მიეშვირა: ეეე... მაგათაო. ის ერთი ძეგლი ლეგენდად იქცა დონჟუანს რო ჩამოართვა ხელი. ამან რამდენს ჩამოართვა ხელი, რამდენი დაიტანა, რამდენი ჩაიტანა, ჰოი რამდენი?...., „და მსოფლიოში მისი სახელით ჰკრეფენ უამრავ გადასახადებს“. და გრუხუნებდა ტანკები. ელავდა ალესილი ნიჩბები. ხვნეშოდნენ გალეშილი რუსი მხედრები, არყით გალეშილნი რაღა თქმა უნდა, არაყიც რო არა სჭირდებათ, რო დაგეშილან ისე იმგვარადა, ავღანეთშიც რო დაგეშილან, დაგეშილან და გაცოფებულან: ოღონდ მიუშვი, ოღონდ აკვლევინე, ქართველი მაინც ოღონდ აკვლევინე. უბედური რუსი!.. მაშინაც გაუ-

ჭირდა. და აღარცა ნებავს, რო გაიხსენოს თუ როგორ გამოაღნია თუ როგორ გამოიყვანეს, ღმერთი შეენია თუ კაცთა ხელი, ანთუ რა იყო, ანთუ რაც იყო: სიმღერა მოსდევდა ლამის რო თითქმის სიონამდისა, სიმღერა ჰკვეთდა გრუხუნსა იმასა, ჩეხვასა იმასა, წივილსა, კივილსა, ყველაფერს მაინც სიმღერა ჰკვეთდა. მერეღა უთხრეს: ბრმები მღეროდნენო. ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში, მტრის ჯინაზე ცხრაჯერ მწარედ გავიცინებო. იდგნენ და მღეროდნენ, რო ვერა ჰხედავდნენ თუ რა ხდებოდა; რო მიმხვდარიყვნენ: გაქცევა გვიშველისო, მაგრამ გაქცევა რო არ შეეძლოთ. საითაც გავიქეცი, იქით ნავიქეციო, – ბრმებს თუ არ უთქვამთ, უძალონი მაინც იტყოდნენ. იდგნენ და მღეროდნენ. იდგნენ კალოზედა სისხლისაი, იდგნენ თუ ჩაეშალათ მეკალოეთა ულმობელთა, როგორც ბულულები, გაეშალათ და ტრიალებდა ზედა ულმობელი კევრი. ეშმაკის კევრი ეშმაკის კალოზედა... ეშმაკის კევრი ეშმაკის კალოზედა... ეშმაკის კევრი ეშმაკის კალოზედა...

იგივე კალოა, იგივე კევრი.

ეშმაკიც იგივეა. ხერხია უარესი. თვითონვე გვლეწავდა აქამდისა, ახლა გვალეწინებს ერთმანეთსა. ერთმანეთსა. ერთმანეთსა. ხერხია უარესი. უარესი. უარესი. უარესი.

არა, –

ჯერ ასე არ გასჭირვებია.

„შეაჩვენე!..“ აღმოიტყვიან ბაგენი განრისხებულნი, მისტანებიან ხელნი აელვებულნი, სატევრებია თითქოსაო. აღმოიტყვიან. მისტანებიან: „შეაჩვენე წყეულნი!..“ მისტანებიან და შეპღაღადებენ, თითქოს რო კიდევაც ემუქრებიანო.

„წყეულნი თქვენა ხართ, თქვენა, თქვენა!..“ – ეს ის მეორენი არიან, ზღვისაკენ რო უჭირავთ თვალი, ზღვის შემოვარდნას რო ელოდებიან ყოველ დღესაო, ყოველ საათსაო, ყოველ წუთსაო; ეს ცნობილნი ქალნი ბრძანდებიან, ძველად რო ბანოვანებს ეტყოდნენ, აღიარებულნი, წარჩინებულნი, მოღერებულნი, მოხატულნი, მოვარაყე-

ბულნი, ისინი – რიგიონი, ახლა მდაბიოთ რო აღარ ეტ-ყვიან, ოღონდ მაინც რო გამოირჩევიან ამათგანა, ცო-ტად თუ ბევრადა, ოღონდ რო მაინცა, და აიშლებიან ესე-ნიცა მალე, აიჩეჩებიან, დაეღარებათ თვალნარბიცა მი-მოხატული, ლოყებიცა გადატკეცილი, აირევიან რო ერ-თმანეთშია, დაუშენენ რო წყევლა-კრულვასა, თმებშიც რო სნვდებიან ერთიმეორესა. აირევიან. აირევიან. მოიშ-ლება რო ფრონტის ხაზი, ყველგან რო ბრძოლაა ხელ-ჩართული. და მოედინება მაშველიცა, ნაკადი ნაკადზე, ლესელიძიდანა, პუშკინიდანა, ბარათაშვილიდანა, სანა-პიროდანა, მოედინება და მოედინება და გამოტენილა ქუჩაი სიონისა ქარვასლიდან ანჩისხატამდე. ბრძოლა აქაა, ირგვლივ ლაშქარი რო მოედინება, ქალთა ლაშქა-რი. მამაკაცებიც შეიმჩნევიან, ოღონდ მცირენი, არც ბრძოლაში არ ერევიან. ეს ქალთა საქმეა: წყევლას მოით-ხოვენ, – ვინთუ დასწყევლოს პატრიარქმა, ამისთვის იბ-რძვიან. ვინთუ?.. რომელი?.. მოედინება ერთისიტყვითა და არცთუ იციან, ვინ ვის შეუტიოს: ენა მაინც რო სხვაგ-ვარი ჰქონდეთ, იერი სხვაგვარი, გამოარჩევდნენ თავი-სიანთა. ხვედრიც ერთი აქვთ, ხვედრი უბედური, უბედუ-რება ვერ გაუყვიათ: ვერ გაუყვიათ, ვერ გაუყვიათ, უბე-დურება ვერ გაუყვიათ.

რაღაც მაინც გამოირჩევა:

მწვანე, ღაჟღაჟა მწვანეი, – პალტო ასეთი, ქუდი ასე-თი, ჩექმები ასეთი, მაღალქუსლიანი, მხარზემოგდებული მწვანევე ჩანთითა, ღაჟღაჟათი რაღა თქმა უნდა. ნრია-ლებს, ტრიალებს ციბრუტივითა, ტრიალებს იმა მაღალ-ქუსლებითა. არ იცის: ვის ეცეს, მხარი ვის მიპყუდოს, არ იცის და ვერ გაუგია, ყველა რო მოითხოვს იგივესა, ყველა ერთგვარად რო იმუქრება, ყველა რო ფიცულობს სამშობ-ლოს სახელსა:

„წყეულიმც იყავთ მოღალატენო!.."

„მოღალატენი იყავთ წყეულნი!.."

ვერ გარკვეულა. და. და უცებ შეწყდება ბზრიალი იგი, ტრიალი იგი, ლუოს წინ შეწყდება. და. და მიაჩერდება თვა-

ლები ლუოსა, მწვანე თვალები, სახებაი იგი განრისხებული და შეაფრქვევს მწარედა, ღვარძლიანადა:

„წყეულიმც იყავ!..“ შეაფრქვევს იგი და თითქოს ყველაც დაემოწმება: წყეულიმც იყავო. და გუგუნებს ზარიცა სიონისაი, ზარი დიდი, ასდევენ წვრილნიცა, გუგუნებს, ასდევენ, ლოცვად მოუწოდებენ, სათნოებისად მოუწოდებენ, მიტევებისად მოუწოდებენ, მაგრამ არაო, არ ესმის არავისა არარაი და არავისი, დახშვია ყურნი, აუტანია მრისხანებასა ყველა ყოვლადა, ყველა და ესეცა: „მხეცო!.. ულმობელო!.. არ იკმარე რო დედა გააუბედურე, გააუბედურე შვილიცა, მხეცო!..“ ხმა ისეთია, ლამის ზარებს რო წააჭარბოსო. გამწვანებია ტუჩებიცა თავისივე ქუდივითა და ენაი წითელი დასრიალებს ზედა: „რამ გადაგრია, – დიდი აღარ იცი და პატარა აღარ იცი! აღარ იცი, აღარ იცი, აღარაფერი აღარ იცი, ველურო, მხეცო!.. იმდენი ჭკუაც აღარა გყოფნია, ნამით მაინც დაეჭვებულიყა: ვაითუ ჩემი შვილი იყოსო!..“

ეს რომელიღა რა პიესიდანაა ან ვის განუზრახავს ამისი დადგმაიო.

ბოლო დროს ჰო რეჟისორიც აღარა ჰყავდათ, – თბილისს ვიღა გასცილდებოდა: აქ ეს ორომტრიალი იდგა, თავითფეხებიანადა ცვივოდნენ შიგა რეჟისორები. თავიანთიც ჰო ველარავინ გაეზარდათ. გდიდელებსა. ვინც გამოეგზავნათ სასნავლებლადა, თბილისშივე ჩარჩენილიყო. თბილისი იტევდა. ყველას იტევდა. გეგონებოდა. არადა: ვერც იტევდა, ვერც იშორებდა. გამოტენილიყო, გაჭედილიყო თბილისი. გაჭედილიყო და იჭედებოდა უარესადა. იჭედებოდა და იჭედებოდნენ. იჭყლიტებოდნენ, ისრისებოდნენ, იგვემებოდნენ, მაინც იქ ერჩივნათ, მაინც ლოდინი ერჩივნათ დიადისაი, აღმატებულისა, ყველა რო შესცქნაოდა, გამოცხადებით რო გამოეცხადებოდა მხოლოდ იშვიათსა, თითოოროლასა, რჩეულსა თუ არცთუ რჩეულსა, – გაგიკვირდებოდა: ეს საიდანღაო. ვინ უნყის ვის როგორ გაუღიმებდა ბედი, ვის უნყალობებდნენ დიდ ტრაგიკოსებსა!.. თბილისში, თბილისში თორემ – „ოიდიპოსი“ ჰო

ამათაც დადგეს. მერედა ვისზე ნაკლებადაო: სოხუმზე?.. ბათუმზე?.. ქუთაისზე?.. ცხინვალზე?.. გორზე?.. თელავზე?.. ვისზე. ვისზეო. თბილისზეო, იტყვი. შე დალოცვილო, – თბილისში ჰო ისე იჭედებოდნენ, რუსთაველს რო 3 ოიდიპოსი აღმოაჩნდა ერთბაშადა. დადგმას 9 ითხოვდა: 3x3=9. არაო. 1-ს დაადგმევინეს და 3 ათამაშეს. 1-ს შეაჭმევინეს 8. 1 შეჭამა 2. რეჟისორმა – 8, პროტაგონისტმა – 2. 2 ხორავამ შეჭამა: ზაქარიაძე და მანჯგალაძე შეჭამა. ზაქარიაძე მე არა მგავსო, ხორავამა, – შეჭამა, მანჯგალაძე მე მგავსო, – მაინც შეჭამა. ის შეჭამა, ეს შეახრამუნა, თუნდაც ასე ითქვას. ლუო არა ჰგავსო, – ვისაც არ მოსწონდა; ვისაც რო მოსწონდა, – ჰგავსო, ჰგავსო და ძალიანაცა ჰგავსო. ხორავასაო. რაღა თქმა უნდა. ამაზე დავობდნენ გდიდელები. ნიძლავდებოდნენ. დუელშიც იწვევდნენ ერთიმეორესა. ვეღარსად ეპოვათ დამბაჩები დუელის დროინდელი. არა ყაბულობდნენ პისტოლეტებსა. დუელი დამბაჩებით უნდა და უსათუოდ პუშკინისა და დანტესის დამბაჩებითაო. ამაზეცა დავობდნენ. დავობდნენ. დავობდნენ. ხორავა აინუნშიც არ იყო. არა. არაო. და ლუო გადარჩა შეჭმასაცა, შეხრამუნებასაცა, შეყლაპვასაც გადარჩა.

იცოდა, რო გადარჩებოდა.

ლუომა.

იცოდა:

არად მიაჩნდა ხორავასა არცერთი თეატრი თბილისის იქითა. სოხუმი რაო და გდიდი რაო, მოსკოვის თეატრიც რო არად მიაჩნდა. ოტელოთი ჰო გადავრიეო. მოსკოვიო. ოიდიპოსით თავზარს დავცემო. დასავლეთში ჰო მარაზმი მოსდებია ყველაფერსა, თეატრიც ეგრეევ ბრჭყალებშია მარაზმისაო. დაძაბავდა მკლავებსა, აჭიმავდა მხრებსა, ისედაც გოლიათი, მკერდს აიტანდა, აიტანდა, იდაყვებს გასნევდა მძიმემძიმედა ისე, ისე, იმდაგვარადა, თითქოს რო უნდა გახლიჩოს სხეული თავისი, ანთუ დაწყვიტოს მარაზმის ბრჭყალები, ევროპა იხსნას დაცემისაგანაო. ასევე ჰხედავდა, ასევე თუ ისევეო, თეატრალური ინსტიტუტის მერხიდან როგორც რო დაენახა. სტუდენტობაში. ლუოსა.

ცხადია. პროფესორობდა კიდევაცა იგი. არტისტობდა და პროფესორობდა. ეხატებოდა და მოძღვრავდა. არაფერია მსახიობიო. მოძღვრავდა. ყველაფერია და არაფერიაო. მოძღვრავდა. მოძღვრავდა. ყველაფერი როა, არაფერიც არის იმიტომა და არაფერი როა, ყველაფერიც იმიტომ გახლავთო. დღეს მათხოვარია. ხვალ მეფეა. დღეს უყვარს. ხვალა სძულს. დღეს ერთგულია. ხვალ მოღალატეა. დღეს ლაჩარია. ხვალ გმირია. დღესა ბრწყინავს, ბრწყინავს ისე რო: მზეს ეუბნება: ჩამოდი დაბლაო. ხვალ ლაფში გორავს. ამოსვლაც არ უნდა. ღორი თუ მიუწვა, ტუჩებს დაუკოცნის. ის რო რამე იყოს, როგორ იქცევა ამდენ ვინმედაო. როგორაო. როგორაო. და თუ ვერ იქცევა ამდენ ვინმედა, არც სცენაზე არ გამოდგება, თავს ვერ გაიტანს ვერც ცხოვრებაშიო. თქვენ რა გგონიათო, – ცხოვრება თეატრია, ხოლო თეატრი – თეატრია თეატრშიო. სხვა რამე ჰო არა გგონიათო. მე რო არ მომეგუდა ახმეტელი, ის მომგუდავდაო. და ცქვიტა ყურები ლუომა: მომეყურაო. თვალებიც დააცეცა. ვიღაცასაც დაეცეცებინა თვალები. ალბათ იმასაც მოეყურაო. არაო. ცოდო კაცს არ მოასვენებსო. ეს ოღონდ უფრო ტრაბახსა ჰგავდა. ჰგვანებოდა. მოუსვენრობაა ტრაბახიცა, შურიცა, ჯიბრიცა, სიძულვილიცა, სიყვარულიც მოუსვენრობაა. ვის რა არ ასვენებს, ვის რა ატრაბახებს... მერე ვასაძე შემოვიდოდა. აკაკი. ხორავაც აკაკი. ორი აკაკი. აკაკიები, ბაკაკიებიო. ვის ვინ არ ასვენებს. ვასაძე ხორავას ადიდებდა, აკაკი ადიდებდა აკაკისა. ინგლისშიც არ არის ასეთი შექსპირული მსახიობიო. მარაზმი ბოჭავს ბურჟუაზიულ თეატრსა (იდეები, იდეები უპირველესყოვლისა) და ოლივიეც, თქვენ რა გგონიათ, – მარაზმსა თამაშობს შექსპირისაო. ხორავა ხმა არის, ეს ის ხმა არის, სოფოკლე რო ინატრებდა. ათენის თეატრი ინატრებდაო. აქებდა. ადიდებდა. ხმა არის, ხმა არის, ხმა არის და მეტი არც არაფერია ეგ თქვენი ხორავაო. მაგ ხმით არის რო გზა გაიკაფა, თორემ სხვა რაო, – ჩაბერდებოდა გალის სცენაზედა, როლების ნატვრაში ჩაბერდებოდაო. არადა აქ არის უფრო საჭიროო. სწორუპოვარია იმ თეატრში, ცხოვრება რო ჰქვიან.

იქ ჭეშმარიტი პარტნიორია. მე უმაგისოდ ახმეტელს ვერ მოვერეოდიო. აი ის იყო: ის იყო, რაც იყო, – რეჟისორად დაბადებულიყო. გვათამაშებდა, როგორც ენება, გვზილავდა, გვჭყლეტდა, გვწელავდა, გვგრეხდა, გვაპრტყელებდა, გვაქუცმაცებდა, რადაც უნდოდა, იმად გვაქცევდა: სცენაზე გმირებადა, სინამდვილეში მათხოვრებადა. ვინ მოითმენდაო, – თქვენ მოითმენდითო, – ბერიაც თუ წაგაქეზებდათო. შეყოვნდა. მიაჩერდა. პასუხს მოითხოვდა. არავითარ შემთხვევაშიო. დაასწრეს ლუოსა. „არა და არა!..“ დაიბუხუნა ლუომაცა ხორავას ხმაზედა. დაიძაბა, დაიძაბა და მიჰბაძა. ცოტა ფრთხილად, შენიშნა ვასაძემა, მიბაძვას არ გიწყენს, მჯობინებას არ გაპატიებს. მოძღვრავდნენ. ნვრთნიდნენ. ორივე სცენისთვისა.

გდიდში ვიღას გაფრთხილებოდა.

ლუოი. ცხადია.

ჩვენი სჯობიანო. ოიდიპოსიო. ტრაბახობდა გდიდი. ეტრაბახა. არად ჩააგდებდა ხორავაი ჰოო და რა თქმა უნდა, – ზაქარიაძეც არა, მანჯგალაძეც არაო. სამივეს ჯიბეში ჩაისვამსო. გათამამებულიყო გდიდი. მოდავენიც გამოჩენილიყვნენ. ედავათ. ეკამათათ. ამაზე ეკამათათ. სხვა რამ აშინებდა ლუოსა: ოიდიპოსი აშინებდა: მამა მოპკლაო, დედასთანაო ასეო და ისეო, – ეს ვინა ყოფილაო, განა ის ვიღაც ოიდიპოსიო, – ესაო, ესაო, ეს ჩვენი ლუოო. ეს აშინებდა. პროვინცია პროვინციაა, ყველაფერი პირდაპირ ეცემათ თვალშიო. თურმე არაო, არც რა სცემიათ, არც არაფერი არ შეუცხადებიათ, მიელნია რო იქამდისაცა: ქვეცნობიერსაცა, ფსიქოანალიზსაცა, ოიდიპოსის კომპლექსსაცა, ფროიდსაცა, იუნგსაცა. მიელნია, ჩაეფიქრებინა. ცივილიზირებული ქალაქების რიგში ჩამდგარიყო გდიდი. არც დიდი სეფა დავინყებოდა. გრძელი. გრძელი. ორსამ რიგადა. თვალგაუნვდენელი. არც თამადობა გადაეგდო. არ მოეშალა არცა ვრცელი სადღეგრძელოები, ჯიხვების ტრიალიც არა, თრობაც არაო თავდავინყებამდისა, – ქორწილში, ნადიმში ჰოო და ჰოო, – ქელეხშიც არაო: დაგვიანებდნენ ცხედარსაცა, თბილ საფლავს ვეღარ მიუს-

წრებდნენო. ეს მეტი უნდა იყოს, გაზვიადებული ანეკდოტების მოყვარულთა მიერა, ეგებ რო დიდად გაზვიადებული არცა. რაცთუ რა არის: ესეც კომპლექსებს მიეწერებოდა და ცივილიზაცია ჰო აღვსილიყო კომპლექსებითა!.. აღვსილიყო და იღვსებოდა. იტენებოდა. იბერებოდა. ფუვდებოდა. ჰყვაოდა. ჰყვაოდა. ყველგანა ჰყვაოდა. სადღაც ოკეანეში მიგდებულ კუნძულზედაცა, გუშინ რო მიეგნოთ, ხვალაც რო მიაგნებდნენ, სულაც რო ვერ მიაგნებდნენ. ჰყვაოდა. არც ეს არავის არ შეაშფოთებდა: უფრო საშინელს რო გაჰკიოდა მწვანე დედაკაცი, ოიდიპოსიც რო არ ჩაიდენდა, ისე საშინელსა. კომპლექსი კომპლექსია. ცივილიზაცია ჰო კომპლექსებია. ამასაც ითამაშებს. ოღონდ ის არ უნდა, ის დედაკაცი არ უნდა პარტნიორადა. ვინ შეარჩია?!. ვინ არის რეჟისორი?!. ლუო უარსაა. ან ეგ გაიყვანეთ. ან ლუო გადგება. და ვნახოთ ვის იპოვნით, სხვა ვინ გაუძლებს მაგ უმძაფრეს ტრაგედიასა!.. ხორავაც ვერაო. ვასაძე იტყოდა. ხორავას ხმა რო მე მომცემოდა, ეს იქნებოდა ამაღლება სცენიურისაო. ისე ერთხელ შეერთდნენ: ახმეტელი რო მოგუდეს. ის იყო და ისა. აღარც ვასაძეა. აღარც სხვა ვინმეა შემაერთებელი ორთა ღირსებათა. ისევ თუ – ლუოო. კეთილი. ოღონდ მოაშორეთ ეს დედაკაცი, ეს წივილი გამყინავი, ტვინის გამყინავი, სულის შემხუთავი თუ გამყინავი სულისაცა. და როგორც იქნება აღმოთქვამს ლუოი:

„თეა??????????!!!!!!!!!!..“ გაოგნებიდან თავდაღწეული, ანთუ არცთუ თავდაღნეული, ისევ იქავე რო ჩაიძირება, ისევ მოიცავს გამყინვარებაი.

„კარგია!.. ყოჩაღ!!!..“

ეს ვიღაა?!. ალბათ რეჟისორი. გენერალური რეპეტიცია ჯერ არ იქნება.

და თითქოს ენაც წაერთმევა ლუოსა, – რაღაცას ლუღლუღებს, თვითონაც რო არ გაეგება, ვერც იმას რო ვერ აგებინებს, ი მწვანე ქალსა, თვალები რო ბოროტად უელავს, ბოროტადაცა და კმაყოფილადაცა, ასე რო შესძრა, ასე რო დასჭრა, ასე რო დასცა ერთის მოქნევითა. ასეთ

შეხვედრას არც ის ელოდა, არც ესა ცხადია. მიატოვა და წავიდა. წავიდა. პირველი ცოლიც ჰო მიატოვა, – მიაყოლა ეს მეორეცა; პირველს ჰო ადვილად გაეყარა, ამას კიდევ უფრო ადვილადა: არც არა უთქვამს. წავიდა. წავიდა. არც თვალი მოუკრავს აქამომდისა და აღარც რო გაპხსენებია. დიდიხანია. დიდიხანია. ალბათ რო უფრო მეტი ხანია, ვიდრე რო თეა მოევლინებოდა ამა ქვეყანასა, ამა ცოდვილსა, სახილველადა საცოდაობისა. დიდიხანია!.. ჰოო და დიახ!.. მაშ რას მიჰქარავს ეს აშარი დედაკაცი?!. მაგრამ და მაინც: რამდენი ხანია?.. საკითხავი აი ეს არის და ნასკვიც ეს გახლავს საშინელებისა. ამოცანა არც ისე რთულია: უნდა ახსოვდეს თუ როდის განშორდა, – მეტი არაფერი. ის იცის, თეა თუ რა ხნისაა: 22 – იცის!.. სხვა საძიებელი არაფერია. მაგრამ არ ახსოვს. რაც უნდა ახსოვდეს, სწორედ ის არ ახსოვს. დრო არ არისო, – ნუ არის დროი, ჰხსოვნა ჰო არის?.. აი დასჭირდა და თურმე ყოფილა, – ხსოვნა ყოფილა, ხსოვნა ყოფილა და დროც ამასვე გამოჰკერებია, არა ნამდვილი, – პირობითი, ნამდვილი რო არ არის და პირობითად რო წარმოისახება, მაგრამ თუ რაც არის: აი დასცეცხლა და უნდა გამოეშვას ცეცხლსა ამასა. უნდა გამოეშვას. უნდა გამოეშვას. უნდა გამოეშვას. უნდა გადაურჩეს ამ მწვანე დედაკაცსა, გაშმაგებულსა, გააფთრებულსა, მზად როა, ეცეს და თვალები დასთხაროს. თვითონვეც დაითხრის თუ ეს ცოდვა ჩაუდენია. ახიც იქნება და ეკუთვნის უარესიცა, ანთუ თვითონვე რო ამოითხრის, ეს იქნება უარესიცა. ჩაირჭობს თითებსა ფოსოებშია, მოიგდებს თითებში თვალის კაკლებსა, – ჰა?.. დანის ერთდაკვრით ემჯობინება!.. მაგრამ ეს რაო, რას მიჰქარავს ეს დედაკაცი!.. მიჰქარავს. მიჰქარავს.

„სტყუი!.." მოსძებნის როგორღაც სიტყვასა, მაგრამ შთაინთქმება იმ ორომტრიალში, ტალღებს რო წაუღია დედაკაცი იგი, ესეც წაუღია: ეს აქეთა და ის იქითა. წაუღია. ნამოუღია. წაულ-წამოულია ქალთა ტალღებსა რაღა თქმა უნდა. ვეღარც რას ეტყვის, ვეღარც თუ რას გამოიძიებს. მაინც სწორად არას აუხსნის, ანთუ უარესად დაუბნევს

გონებასა. წყეული დედაკაცი!.. „სტყუი!.." მისძახის უმისამართოდა, მისძახის და მიიწევს აღელვებულ ტალღებშია, მიიწევს და ვერც საით მიიწევს, მიიწევს და ბრუნავს, – მორევში მოხვედრილა თითქოსაო, ანთუ მართლაცაო, რა ვუყოთ თუ მდინარე არ არის, რა ვუყოთ თუ ზღვა არ არის, რა ვუყოთ, რა ვუყოთ, რა ვუყოთ აღელვებული ხალხიც სტიქიაა, ისევე ბრმა და ისევე ულმობელი. თუმცა შეიძლება ულმობელი რო აღარ ითქვას, ბრმა საკმარისია. რაც თუ რა არის: ეს ცდილობს, გასცუროს. მოიქნევს მკლავებსა. სხვებიც მოიქნევენ. და იხლართება მკლავები მკლავებში. იხლართება. ველარც გამოხსნილა. და ბოდიშობს ლუოი: ქალთა ღელვაში რო მოხვედრილა, ქალთა ტალღები რო გადასდის ზედა. მერე თავს აღწევს, როგორც იქნება, აღწევს და ვერცა: მწვანე დედაკაცი რო უნდა მოსძებნოს, რო უნდა გაერკვეს უსათუოდა, ან თავი მოიკლას, ანთუ ის მოჰკლას; ან თავი მოიკლას, ანთუ ის მოჰკლას, – სხვა ველარაფერი ვერ გადაუწყვეტია. თავი უხურს და თვალები აღგზნებია. მიიწევს. მიიწევს, ისევ ღელვაში რო მოჰხვდეს როგორმე. მაგრამ ღელვა რო ძლიერია, არ მიიკარებს, გასტყორცნის ისევა, გასტყორცნის შორსა ღელვაი იგი, ქალების ღელვაი, აბობოქრებული: თუ მთვარისაგანა, როგორც რო ზღვაი, კიდევ არაფერი, ხოლო თუ კაცნი დასუსტებულან და მიზეზი მხოლოდ ეს არის, რაღა დააცხრობს ამ ანთებასა?!. ხოლო თუ ხოლო თუ, კაცნი თუ მთვარეო. აი მიზეზიო. ქალი ღამე თუ არ მოჯერდა, დღისით ველარ მოისვენებსო, – ჯვებე უხსნიდა, ჯვებე კიზირია, მაშინ უკვე მოხუცი მსახიობი, ეს რო პირველად მოჰხვდა გდიდშია; როლებსაც რო აღარ აძლევდნენ, ერთ-ორ რეპლიკას თუ მიუგდებდნენ სამონყალოდა, რო არ გამოსტოვებდა მაინც რეპეტიციასა, ყველაზე ადრე რო მოდიოდა მაინცა: აი აჰაა, – უხსნიდა. უხსნიდა: შეჰხედე, რა ეშხით შემოაღო კარიო. შეჰხედეო. შეჰხედე, სახე ვით უცქრიალებსო. შეჰხედეო. შეჰხედე, როგორ მოგვესალმაო, დაგვეჭყანა თუ მოგვესალმაო. შეჰხედეო, ამასაცაო, იმასაცაო, იმასაცაო. შეჰხედეო. შეჰხედე თუ როგორ ჩამოსტირის თავპირიო.

შეპხედეო. ახლა იმასაო. იმასაო. იმასაო. შეპყურებდა და მიახედებდა ლუოსაცა. ეს ყველაფერი წუხანდელი კვალია და ჩვენი რეპეტიციაც ისე ჩაივლის, როგორი ღამეც გადახდენიათო. უხსნიდა. უხსნიდა. და მიმდინარეობდა რეპეტიციებიცა: ხანთუ ცოცხლადა, ხანაც დუნედა, ხან ჩხუბითა და აურზაურითა, ხან ჩხუბს ხითხითი დაერთობოდა, ხან ვიღაც ცრემლად დაიღვრებოდა მცირე მიზეზითა თუ უმიზეზოდაცა, ვიღაცას გონება გაეფანტებოდა, ველარ გაეგო, სად იყო, სად არა, აღარ ესმოდა პარტნიორისა, აერეოდა რო რეპლიკები, ველარც მოკარნახე მოიყვანდა გონსა. ჯვებე თვალს უკრავდა ლუოსა, თვალს უკრავდა და ერთობოდა, ერთობოდა და უხსნიდა: ვის თუ როგორი ქმარი რგებოდა, ვის თუ საყვარელი როგორი, ვინთუ დაქვრივებულიყო, ვისთუ მარტოხელობაში სძვრებოდა სული, ვის ქმარი გაპქცეოდა, ვის საყვარელი, ვის ვისთვის წაერთმია ცოლი, ვის ქმარი წაერთმია ვისთვისა. უხსნიდა. უხსნიდა. ათვითცნობიერებდა. და. დაასკვნიდა: ქვეყანაზე არ იქნება ჩვენისთანა თეატრიო, უძლიერესი ვაუკაცები რო ჰყავდეთ ჩვენს ქალებსაო. უძლიერესნიო. უძლიერესნიო. უხსნიდა. უმტკიცებდა. ლუო იცინოდა. იცინეო, – ჯვებე არ უშლიდა, იცინე, ოღონდ დამიჯერეო: ქალი უნდა გამგონე იყოს, თუ არ მოჯერდა, არ გაიგონებსო, არაფერს, არაფერს არ გაიგონებსო, არ გაგიგონებს და ვერც დაიურვებო. წადი და გაიგე: მოჯერებულა ი მწვანე დედაკაცი თუ დატლიკინებს მოუჯერებლადა. წადი და გაიგე, მიდი და სდიე. მაინც მიიწევდა მღელვარებაშია და მაინც გასყორცნიდა ტალღები შორსა, შორსა და შორსა. შიგნით ბრძოლა იყო: კიბეს იპყრობდნენ კიბის ქალები, სიონის კიბესა, ერეკებოდნენ მათხოვრებსა, სიონის მათხოვრებსა, კიბე რო საკუთრება ეგონათ, რო არ ეთმობოდათ ცოცხალი თავითა. თვითეულს თავისი კუნჭული აეჩინა, იცავდა ფრჩხილებითა, იცავდა კბილებითა. და ააგლეჯდნენ ქურქიანი ქალები, ააგლეჯდნენ და ვერ ააგლეჯდნენ, ანჩხლობდნენ, ბრაზობდნენ, წიოდნენ, კიოდნენ, ებღაუჭებოდნენ, აბდღვნიდნენ სამოსსა, ერთნაირადა, ერთნაირა-

და, მერე რო ველარ რო გაარჩევდი, ვინ ქურქით მოსულიყო, ვინ ძონძებითა. ველარ გაარჩევდი. ველარ გაარჩევდი. კარვის ქალები საკარვე ადგილს მტკვრის მხარეს ირჩევდნენ. იმათ არავინ არ ედავებოდა.

სიონი ალყაში მოქცეულიყო თუ ციხეს შეადარებ,
მისცურავდა მღელვარე ზღვაშია თუ გემს შეადარებ,
არადა ტაძარი გახლდა, ბევრჯერ დარბეული ტაძარი.

XXI

ლუო ისევ დედამ დაამშვიდა: ოცდახუთიო, – უპასუხა, არც დაფიქრებულა ისე უპასუხა, ლუომ რო ჰკითხა, რამდენი წელია თბილისიდან რაც წავედიო: ოცდახუთიო, არც დაყოვნებულა; ისიც იქავე ჩამოუთვალა: თუ რამდენჯერ ჩამოსულიყვნენ საგასტროლოდა, თუ რომელ წლებშია, დამსახურების წოდება თუ როდის მიეღო, სახალხოზე თუ როდის წარედგინათ, აქამომდე რო არ მიეღო და ველარც მიიღებდა, ახალ ხელისუფლებას რო მოეშალა ეს და ამგვარი მაცდურებანი. ველარ მიიღებდა. ეს არაფერიო. ლუო უსმენდა აღტაცებითა: ე რა ყოფილა. დედაჩემიო. აი ვის ეთქმის: მარჯანიშვილის სკოლაც გავიარე, ახმეტელისაცაო. და უხაროდა. ლუოსა. ასე ნათლად რო დაშორებოდა ერთიმეორესა 25 და 22, – მარადისობის თვალსაზრისით არა ცხადია, გარკვეული თვალსაზრისითა ამ შემთხვევაშია. 25 წელიწადია რო აღარ შეჰხვედრია იმ მწვანე ქალბატონსა. 25-ია, 25. აღარ შეჰხვედრია. თვალი თუ მოჰკრა, – ისიც ერთხელა, ისიც ამ ბოლო გასტროლებზედა. მაშინაც მწვანით შემოსილიყო, ზაფხული გახლდა, – უფრო თხლადა, თვალი მოჰკრა და მხოლოდ ის იყო: მოჰკრა, მოჰკრა. თუნდაც რო დაეკრას თვალი, დაეკრას, – ქალი რო არა ორსულდება თვალის დაკვრითა, არც თვალის ჩაკვრითა ორსულდება, განა ამასაც დამტკიცება უნდა?!.

„ჰაჰაჰაჰაჰაჰა...“ იცინის ლუოი. უნდა გაიცინოო, ანიშნა რეჟისორმა: ნიკაპი ააგდო და პირი დააფჩინა ნიშ-

ნად ამისა. ეს აპყვა სიცილითა გამქირდავითა საოცარითა, საოცარითა, გაუგონარითა ჯერ აქამდისა, რო ვერც შეადარებ ვერანაირსა, სატანურსაც ვერა. გაიოცებს თვით რეჟისორი რეპეტიციის დროსა, ტაშს უკრავს, – დარბაზი რაღას იზამს პრემიერაზე?.. თავს უკრავს. ლუოი. დაიდრიკება იატაკამდისა ლამისა. მოიხრება. გაიშლება. აიჭიმება. გასტყორცნის მკლავებსა, დარბაზი რო ჩაიკრას გულში, იარუსებიცა. ჰაუ რამდენია, – ცას უერთდება თითქოსაო. სად არის?.. გდიდში?.. არა, არა, გდიდში რა უნდა ამხელა თეატრსა? ან ამდენ ხალხს რა უნდა გდიდში ან ამდენსა ან ასეთნაირებსა?!. თბილისელებს რო არა ჰგვანან?!. სად არის, სადა, სად მიუწვევიათ?!. სადაც უნდა იყოს, თეატრი თეატრია, არტისტი არტისტია, სცენა სცენაა და მაყურებელიც ეგერ ეგ არის, დიდი ხელოვანი რო აიკლოს ტაშითა. ამას მაინც შესვენება მართებს. ნინ კიდევ ბევრი შემართება ელის, გაუგონარი, ჯერ არ ნახული. არცერთ ტრაგიკოსს ეს არ დამართნია. ვინ გამოიგონა, ვინ შეთხზა ასეთი რამა: ფსიქოანალიტიკოსებმა თუ ძველთაგან მოდის?.. რომელთაგანა. არც რო კარგად გაურკვევიათ ლუოი, აღარც თვითონ არ ჩასძიებია. ან რას ჩაეძიოს, ოღონდ ითამაშოს, ოღონდ რო შესძრას ხალხი. შესძრას. ეს დედაკაციც რა ყოფილა, მწვანე დედაკაცი!.. ამ როლს თუ ელოდა. რა გარდასახვაა, რა მძვინვარება, რა თრთოლვა, ნვა და რა აღშფოთება, რა ხმა, რა რხევანი დაშვებიდან ამაღლებამდისა, სასონარკვეთიდან მრისხანებამდისა, რხევანი ხმისა სასნაულებრივნი სასნაულებრივე ხმისა!.. სარა ბერნარი?.. ნუცა ჩხეიძე?.. ორივე ერთადა?.. სად იმალებოდა აქამდისა?!. როლი ყოფილა ყველაფერი. მიეცი როლი, მიეცი სკიპტრა, – მერე თვითონ იცის!.. ვინ მოგცემს თორემ... მაინც მსახიობობა ერჩივნოს ლუოსა. რო არც არაფერია და ყველაფერად რო გარდაიქცევა, რო თამაშობს სიცრუესა და რო სიმართლედ მოაჩვენებს მაყურებელსა. მოაჩვენებს. მოაჩვენებს. თორემ მართლა რო... ჰმ... ჰე... ჰე... აღარც აღარაფერი ენდომებოდა. აღარაფერი. აღარც ნაციონალიზმი და აღარც დემოკრატიზმი, აღარც ზვიადე-

ლობა და აღარც ედუარდელობა, აღარც რეალისტური თუ აღარც საგმირო თუ აღარც ავანგარდული თეატრი, აღარც სიცოცხლე აღარ ენდომებოდა. და იყო ნუთები, ლამის ყელი რო გამოეჭრა. აღიგზნებოდა ასე ამგვარადა, აღიგზნებოდა თუ მოშლილიყო, ხოლო თავს თუ შეიკავებდა, მხოლოდ იმიტომა: ჯერ ის მნვანე დედაკაცი უნდა მოვკლა. შეხვედრით რო ვეღარა ხედებოდა, ეგებ რო ფერებს იცვლიდაო, სახითაც ვერ გამოარჩევდა: ერთგვარად რო მოშლოდა სახეი ყველასა, ხმაც ერთგვარადა და ჭკუაც ერთგვარადა, ყველასა, ყველასა, ხალხი ბრბოდ რო გადაქცეულიყო.

ეს ჰო ასეო

და

ისედაც ჰო: ქალი დაუფლებოდა თბილის-ქალაქსა. დაუფლებოდა. დაუფლებოდა: ყველა ზნის ქალი, ყველა წრის ქალი ერთობლივადა. ქალები ახელებდნენ თავაანთ კაცებსა, ახელებდნენ და აგიჟებდნენ, დაძრახვით მხოლოდ პრეზიდენტსა სძრახავდნენ: ცოლს უჯერებსო. სძრახავდნენ, სძრახავდნენ: ეგეც კაციაო!.. არადა: ბარბარა ჩემი კომპასიაო, – ბუში ამბობდა. არავინა სძრახავდა ბუშსა. პრეზიდენტობას, რაც შეეხება: იმასაც ჰო ერქვა პრეზიდენტი, თუ არ იტყვი... კმარა, რაც ითქვა. სახაროვს დისიდენტი ერქვა. ელენე ბონერი ჩაჩხანებდა იმის მაგივრადა: საქართველო მცრე იმპერიაარ. სახაროვი ამოიძახებდა. ჩასძახებდა. ამოიძახებდა. ჩასძახებდა. ამოიძახებდა. თბილისში გაზრდილიყო ელენე ბონერი. ფოქსტროტსა სწავლობდა ვოროშილოვის კლუბში. ზედ ეგლისებოდა პარტნიორებსა. ნითლდებოდნენ და ყვითლდებოდნენ ყმაწვილები, ნითლდებოდნენ და ყვითლდებოდნენ. ეგლისებოდა. ეგლისებოდა. ენებებოდა. მოსძულებოდა მერე თბილისი: იმპერიაარ. სახაროვი არ იყო პრეზიდენტი. არა სძრახავდა არავინა. გორბაჩოვი პრეზიდენტი იყო: რაისას კალთაში ვღვრი სიხარულის ცრემლებსა, ისე წარმატებითა ხორციელდება „პერესტროიკაარ". შეინყნარებდნენ გორბაჩოვსაცა. დავბრუნდეთ თუ არა თბილისშიო, – ეკითხებოდა ნა-

ნულისა შევარდნაძეო. უნდა დავბრუნდეთო, უსათუოდ უნდა დავბრუნდეთო, – მიუგებდა თუ მოითხოვდაო. როგორც უნდა იყოს, არა სძრახავდნენ არც შევარდნაძესა. გამსახურდიაც არა სძრახავდა: დაბრუნდნენო, შეუთვალეთო, ჩამოვიდნენო, – მახლობელი არავინა ჰყავთ, ნათესავი არავინა ჰყავთ, შეუთვალეთო. თვითონ ამას ჰო სძრახავდნენ და ჰკილავდნენ თავმომწონე თბილისელები, ბუშმაც არ დაინდო ერთბედში მყოფი: პრეზიდენტიც ჰო იყო და ბარბარაც ჰო კომპასიაო, – არა, არ დაინდო: აღმა მისცურავს მდინარისა პრეზიდენტი გამსახურდიაო. ეს იმის პასუხადა, გამსახურდია რო უთვლიდა: შენ მანდ შორსა ხარ და კარგად ვერა ჰხედავ, აქ რა ჰხდებაო, მე აქ ახლოსა ვარ და უკეთესადა ვხედავო. აღმა მისცურავ და ეგრე ჰხედავო: ანუ ჭყუმპალაობ ერთ ადგილასაო. ბუში მხოლოდ პრაგმატისტი ეგონა გამსახურდიასა, თურმე მეტაფორებიც ეხერხებოდა, პოეტური სახეებიცა: მდინარის აღმა მისცურავო. მისცურავდა და იქავე იყო. გორბაჩოვი უკვე მერამოდენიმეჯერ ურეკავდა:

გორბაჩოვი: როგორ გიკითხოთ ბატონო პრეზიდენტო?..

გამსახურდია: გმადლობთ!.. კარგად!..

გორბაჩოვი: ვიმედოვნებთ, ახლა მაინც ჩამობრძანდებით მოსკოვში.

გამსახურდია: გეახლებით მხოლოდ მაშინა, სრულ დამოუკიდებლობას რო მოვიპოვებთ.

გორბაჩოვი: ესეიგი?.. ჰმ!.. ჰმ!.. ეგება ეგ ჩვენ ერთად გადავწყვიტოთ.

გამსახურდია: მაგას ჩვენ გადავწყვეტთ.

გორბაჩოვი: რასაკვირველია!.. მაგრამ ეგება მაინც ერთად გვეფიქრა.

გამსახურდია: თქვენ ვერ შეგაწუხებთ.

გორბაჩოვი: კეთილი. გმადლობთ!.. ისე: ოსები როგორა გყავთ?..

გამსახურდია: გმადლობთ, კარგად!..

გორბაჩოვი: აფხაზები?..

გამსახურდია: გმადლობთ, გმადლობთ!.. კარგადა ბრძანდებიან.

გორბაჩოვი: ქვემო ქართლი?.. აჭარა?..

გამსახურდია: აჭარა რაო?!.

გორბაჩოვი: არაფერი, არაფერი!.. მომიკითხეთ, ყველანი მომიკითხეთ. და მაინც რო ჩამობრძანებულიყავით...

გამსახურდია: აუცილებლად სრული დამოუკიდებლობის შემდეგ!..

მანანას უკვირდა, – რა ჩემი დარიგება უნდა, ათი კაცის ჭკუა აქვსო. ბუშს არა სჯეროდა. აეხირებინა: აღმა ვერ გასცურავო. თანაცაო მანდ ეგ ისეთი მდინარეა, დაღმა რო გადარეული ჩანჩქერებია, ჭორომებია, ბურუსია გაღმაითგამოღმაო. ულმობელია მორევიცა, რაც უნდა დაგინდოს, ერთ ადგილას მაინც ახრჩობსო. არა. ეს ანდაზა სხვაგვარად ითქმის: ფონი კარგია, მაგრამ ერთ ადგილას ახრჩობსო. თუმცა იგივეა: ერთიც ახრჩობსო, მეორეც ახრჩობსო. ორივე ახრჩობსო. ორივეო. ორივეო. განირულიყო. მიმდგარიყვნენ და შემდგარიყვნენ. სატელევიზიო მანქანასაც მიაგდებენ ავტობუსების ღობესთანა, სასახლესთანა რაღა თქმა უნდა. ზღვამ წაართვა ტელედეპარტამენტსა. ზღვიდან ენვალებოდნენ. ენვალებოდნენ, ანძა რო მთავრობის ხელთ იყო. მაინც მიაგდეს სასახლესთანა: გამოდი კურთდღელოო, – იწვევდა თენგიზ სიგუაი, – გამოდი და მეკამათეო. კურდღელო, კურდღელო, კურდღელო გამოდიო. აი მე ხელთა მაქვს იანაევისა და შენი შეთქმულობის დოკუმენტი, გამოდი და უარჰყავიო. უარჰყოფა იმდენი არაფერი, ამათთან კამათი ეთაკილებოდა, ამ თავის შეთხზულ ავტორიტეტებთანა. თენგიზ სიგუა ჯერ რო არავის გაეგონა რუსთაველის საზოგადოებაში, ამ საზოგადოების თავმჯდომარედ დანიშნა, – მეტალურგი რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარედა, ისე რო არც უკითხავს: ვეფხისტყაოსანი თუ ნაგიკითხავსო. წერეთელს ჰო არ ეშვებოდა, „სამი მუშკეტერი" ნაიკითხეო, ამისთვის ესეც არ უკითხავს, ისე დანიშნა. დანიშნა. დანიშნა. ჯერ რო პრეზიდენტი არ იყო, არც რო არაფერი არ იყო, გავლენა ამდენი

მოეპოვებინა, – დანიშნა ანუ აარჩევინა. გადაიკიდა სხვანი და სხვანი, თუნდაც რო ნოდარ ნათაძეი: ფროიდის მიმდევრად გამოეცხადებინა რუსთაველი, თავმჯდომარეობაც მე მეკუთვნისო. არ არგუნა. გადაიკიდა. თუმცა რო დაანყნარა მალე მაინცა: სახალხო ფრონტი შეაკონწინა ლალი ჯავახიშვილმა, თავმჯდომარეობა ამას არგუნა. არგუნა. დაანყნარა. დეპუტატადაც გაათრია ვაივაგლახითა. წამოსნია რო ბევრი სხვაცა, მოუპოვა რო სახელი ვისაცა, ყველა გადაუდგა, ყველა გაიკრიბა ზღვაზედა და ახლა ზღვიდან შემოსეოდნენ. რა მალე შეიცვალა ყველაფერი?.. ამის აჩრდილს ეფარებოდნენ, ახლა შესევიან: მოგვწყდი თავიდანაო. გამოდი კურდღელო, გინვევ ტელედებატებშიო. „არ გამიკვირდება, რუსთველოლოგობაც თუ დაიჩემა. არა. არა. აღარაფერი აღარ გამიკვირდება". კურდღელი: მოისმოდა კურდღელო – აზრიალებდა სასახლის ფანჯრებსა, გუნდიც რო ჰყვიროდა, მომიტინგეებში შეჭრილი გუნდი: კურდღელო!.. კურდღელო!.. კურდღელო!.. გამოდი!.. ეს რო გუნდიო, ერთი ცალკე გაიძახოდა გასაოცარი მჭახე ხმითა, ლამის გუნდს რო ნააჭარბებდა. თანაც მიიწევდა მიკროფონებისკენა, სასახლისაი რაღა თქმა უნდა, მიიწევდა და მიაპობდა, ვინმე წინ თუ გადაუდგებოდა. არ მიაკარებდნენ მიკროფონებს მაინცა: „ლუიზა გეყოფა!.. ლუიზა გაჩერდი!.. შენ ჰო ჩვენი ხარ, ჩვენი მეგობარი, ჩვენი დობილი, მოდი, ისევ ჩვენთან დადექი!.." შეეხვეწებოდნენ მცველნი მიკროფონისანი, სასახლისანი რაღა თქმა უნდა. ერთადაც იყენენ აქამომდისა: ერთად მოიტანეს 9 აპრილიცა, ლენინიც ერთად გაიტანეს, ერთად ჩამოაგდეს გუმბარიძეცა, გამსახურდიაზე ვეღარა რიგდებოდნენ: ლუიზას ამისი ჩამოგდებაც უნდოდა, – შაკიაშვილსა ლუიზასა: სასახლეში რო არ შეიყოლა: „მხდალო!.. ლაჩარო!.. კურდღელო, გამოდი!.." ესა ჰკიოდა ყველაზე მჭახედა, და ჩაუშესკუსაც ესა ჰკიოდა უფრო მჭახედა, შემზარავადა, კურდღელს რო გული გაუსკდებოდა, მართლა კურდღელსა. გუნდს გაჰფანტავდნენ. ამისი ხმა მაინც გაისმოდა, გააცილებდნენ ძლივძლივობისასა. გააცილებდნენ. გააცილებ-

დნენ. ანთუ თვითონვე გაექცეოდა, ისე გუგუნებდნენ ზვიადელები: ზვიიიიიიიიიიაااااااااااااადიიიიიიიიიიიიიი!.. ზვიიიიიიიიიااااااااااადიიیییییی

ვინც უფრო ადვილად გაჰყიდიდა ერსა, ის ჩაგდგომოდათ სათავეშია. მივუშვებდი. მივუშვებდი, ეს რო მცოდნოდა. მაგრამ ვერა, ვერ მივუშვებდი, რადგან ეს უკანვე ჩემს ხელთ არ იყო, ბედმა ეს ტვირთი მე დამაკისრა, ღმერთმა ეს ტვირთი ჩემს ზურგს მიანდო, მხოლოდ ეს ზურგი რო გაუძლებდა". ნამოენთებიან. ნამოიქოჩრებიან. „მომითმინეთ. მე გადავდგები!!.." დაცხრებიან ცოტაოდნავა. „კეთილი!.. კეთილი!.. მაგრამ იცით: თუ რა მოჰყვება ჩემს გადადგომასა?.. ალბათ არ იცით. მე დაგიხატავთ თუ რა მოჰყვება: აფხაზობა გადაგვიდგება, დაგვავინყდება სამაჩაბლოი, აჭარა გაგვისხლტება, ქვემო ქართლი არ დაგავინყდეთ და სამეგრელოსაც ნუ ეხუმრებით, ნურც რო კახეთსა. რაღას უშველის ქართლი, ისედაც ნელში განყვეტილი, – მთლად საქართველო დაგვეღუპება. საბჭოები მოგენატრებათ. რუსთა ტყვეობა მოგენატრებათ. იმათაც ეს უნდათ. ესა, ესა, მხოლოდ ეს უნდათ და ამად იღვნიან. თქვენც ამას ასდევთ: ზოგი რო ბრმადა, ზოგი რაღაც სარფას მოელის. ისევ მოსკოვი დაგვადებს ტორსა. ჩაგვბღუჯავს ისევე, როგორც აქამდისა. უარესადაცა. უარესადაცა. ეს მაინც ადვილად არ მოგვარდება: მთლად აიშლება საცოდავი სამშობლო ჩვენი. აიშლება. გადაირევა. ძმა ძმას გასნირავს, მამა – შვილსა, დედა სუყველას დაავინყდება. მდინარეებში სისხლი ჩავა ნაკადულებადა. ცეცხლი მოედება ტყესა თუ ველსა. ცეცხლი. ცეცხლი. ზვრებს ასჩეხავენ, მონგოლობა დაგვავინყდება, ბაღებს დააქცევენ ხეხილისა თუ ციტრუსებისა, ძირით მოსთხრიან ჩაის ბუჩქებსა. ააფეთქებენ ხიდებსა, გზებსა, რკინიგზებსა, ბოძებსა ელდენისა და ელსადგურებსაც ააფეთქებენ. ქარხნებს დაანგრევენ, ფაბრიკებს ზედ მიაყოლებენ. დაიტაცებს ყველა ყველაფერსა და აღარც არავის აღარაფერი აღარ ექნება. აღარაფერი, აღარაფერი. გაიზიდება უცხოეთში, რაც გაგვაჩნია. ხალხიც უცხოეთს გაიხიზნება. აღარც რა შეგვრჩება ჩვენ უპოვართა, ჩვენ დუხჭირთა, ჩვენ უსასოთა, აღარც სახლკარი, აღარც სარჩო, სამოსიც აღარა. უხეშ ბენვებს თუ ნამოვიფარებთ, ღამე მღვ-მეებს თუ შევაფარებთ თავ-

სა, დღიურ რო ისევ გარეთ გამოვიჭრეთ, ისევ ისევ რო დავერიოთ ერთმანეთსა, წასართმევი რო აღარა გვექნება, დასანგრევი რო აღარა გვექნება, გასაზიდი რო აღარა გვექნება, დავერიოთ და ვულიტოთ ერთმანეთი, ვულიტოთ და მოვსპოთ, რო ავუხდინოთ ოცნებანი გადამთიელთა, მტერთა ჩვენთა დაუძინართა, ავუხდინოთ: დაეპატრონონ მინასა ჩვენსა, საბოლოოდ დაეპატრონონ. დაეპატრონონ. დაეპატრონონ. თვითონ ვერ შესძლეს, აღისრულონ ჩვენის ხელითა. აი თუ რა გველის, აი თუ რა მოხდება თუ გადავდექი. და არ შეიძლება, რო გადავდგე. ეს იქნება ღალატი. ეს იქნება გაქცევა. ეს იქნება სიმხდალე და მე არა ვარ მხდალთა ჯიშისა. იქ რასა ჰყვირიან, სიგუა და შაკიაშვილი, ის იმათი ჭკუისაა. ეს იქნება ღალატი და მე არა ვარ მოღალატეთა ჯიშისა. არა, არა ვარ. და ვერ ვუღალატებ ერსა ჩემსა, მითუმეტეს ამ უმძიმეს წუთებში, ბედი რო წყდება გადარჩენისა მისი, მისი გასახელმწიფოებრივობის ბედი რო წყდება. ვერ ვუღალატებ. ვერ ვუღალატებ. არა მაქვს უფლება და არც ველი თანხმობასა უზენაესისა ჩემისა", აღაპყრობს თვალთა და ხელთაც აღაპყრობს: „და უნდა ვიდგე ტვირთისა ჩემისა ქვეშა, რაოდენდაც უმძიმესი არ უნდა იყოს იგი, ურყევადა, წარბშეუხრელადა, უნდა ვიდგე, სადაც რო ვდგავარ". აღაპყრობს და დგას და ესმის თითქოსა ხმაი იგი ზეგარდმოო და გალობაი ანგელოზთა და თითქოს ადის და თითქოსა მაღლდება და აქ აღარ არის თითქოსაო. მაგრამ ისინი არიან აქა: აღტაცებული მოთაყვანენიცა, მოპაექრენიცა განრისხებულნი. და შეებმიან ისინი ერთმანეთსა და გუგუნებს სარდაფი, – ბუნკერიო, გუგუნებს, მდუღარებს და მოჰგავს მინისძვრასა: სპიტაკში იძრა, ონში იძრა. ამოდუღდება ამათშუაცა. ხელოვნურია ეს მინისძვრანიო, ესეც ისწავლეს რუსებმაო, ამბობდნენ და თუნდაც ხატთან დავიფიცებთო. მინაც იძვროდა და ხალხიც შეძრულიყო მთლად ამიერკავკასიაში.

და მაინც აქა:

არ გადადგაო, – დეპუტატები აუწყებდნენ ზღვასა, აუწყებდნენ სიამოვნებითა.

ნუო, ნუო, ნუ გადადგებაო, – ზღვა ბუტბუტებდა, ბუტ-ბუტებდა ავის მომასნავებლადა.

გატვრენილიყო. ზღვაი. ზღვა იყო მტკნარი. იორი ძლი-ვას მოედინებოდა. ზამთარი იყო მშრალი. მშრალს მოე-ლოდნენ გაზაფხულსაცა. ციოდა. ბნელოდა. ეკონომიკური ბლოკადა გვახრჩობს რუსეთის მხრიდანო, – ჩიოდნენ. წუხდნენ. ბარემ დაგვახრჩოსო, ზღვა ბუტბუტებდა: ხალხი გამნარდება, ხალხი გამოგვყვება, ხალხს გავიძღოლებთო. ბუტბუტებდა. ბუტბუტებდა. ხალხი!.. საბურთაო ხალხი!.. ზღვა იყო მტკნარი. წანაბული, აბობოქრების წინ რო იცის, ისე წანაბული, ვითომც რო ისიც მართლაც ზღვა იყო. რაც იყო, იყო. აღარცა ვარჯიშობდნენ, აღარც აღარავინ მიეჭ-რებოდა, რო გამოცვენილიყვნენ. აღარც ირეოდა აჭრელე-ბული თუ დაფოთლილი ქურთუკები. აღარ ირეოდა. გაი-ელვებდა. მიიყუჟებოდა. ირწმუნებოდნენ: 12000 გვარდიე-ლი განდგა რკონშიო, შავნაბადამდე 1200-მა მოაღნიაო, ხოლო ზღვაზეო – 200-ღა იღვნისო, ირწმუნებოდნენ: შე-იძლება რო ესეც გაღავდეს თუ კიდევ დაყოვნდა, ანთუ ვერც გაჰბედეს 200 კაცით სასახლეზე იერიშიო. ეს არაფე-რიო, ირწმუნებოდნენ, შევსება მოდისო: ნაირნაირი არნი-ვებიო: ნითელი, ყვითელი, თეთრი, შავი, ნაირნაირი ორბე-ბიო: ნითელი, ყვითელი, თეთრი, შავი, ნაირნაირი დემოკ-რატებისაგანო, ნაირნაირისა და უთვალავისაო. ირწმუ-ნებდნენ. და განაბულიყო ზღვაი თითქოსაო. და აიყალყე-ბოდა და აბობოქრდებოდა და გადმოლახავდა ნაძალადე-ვის გორებსა. გადმოლახავდა. და გასცქეროდა ქალაქი ზღვასა. შიშით გასცქეროდა. იმედითაცა. ქალაქი ჰო გა-ყოფილიყო, თბილის-ქალაქი, ერთი ნაწილი ჰო ხსნას მოე-ლოდა, მეორე – ქვეყნის დაქცევასა, არა მხოლოდ რო ქა-ლაქისა, ქვეყნისა, ქვეყნისა, ქვეყნის დაქცევასა. სასახლეს ისევ იცავდა ხალხი, ისევ ისე – მიტინგებითა დღე და ღა-მეო, ღამე და დღეო, ოღონდ ღამე ნელნელა იკლებდა, რო დაიღალა ხალხი, რო დასავლეთიც ვეღარ ჰგზავნიდა იმ-დენსა და ისე ზედიზედა, ლუო რო ჩამოჰყვა. ვეღარა თუ აღარცა, – უფრო აღარცა, მოქმედებდა დაყრილი ხმები:

პრეზიდენტს უკვე აღარაფერი უჭირს, პრეზიდენტი გადარჩენილიაო. მოქმედებდა. მოქმედებდა. სწირავდნენ გდიდის ეკლესიაში, დროშებს აფრიალებდნენ საზეიმოდა. ეგონათ, რისხვამ გადაიარაო, მიიყუჟნენ რო დემონსტრანტებიცა. დუმდა კინოს სახლიცა, რესპუბლიკის მოედანიცა, აღარ მიეჭრებოდნენ ბარიკადებსაცა სასახლისაი. ზღვა ჰო დუმდა და დუმდა: სარკეა თითქოსა ვეებერთელაო, სარკეა თითქოსა და არა ზღვაო. ქალაქი გასცქეროდა. კისერი მოღრეჯოდა ყველასა. და ამოიწევდა სარკეცა იგი გორმახებიდანა თითქოსაო, ჩაახედებდა ქალაქსა შიგა, შეშლილ ქალაქსა, შეშლილ სახეებსა, ჩაახედებდა და ჩანვებოდაო. და მოღრეჯოდა კისერი ყველასო. ლუოს არაო.

ლუოს არაო.

ლუოს აღარცრა ესაქმებოდა ზღვასთანა. დედა დაუბრუნდა. დედამ დაამშვიდა. დედამ დაუთვალა 25 ნელინადი, თვითონ რო ვერ იქნა და ვერ გამოითვალა. დედამ დაამშვიდა, გაუქარვა დარდი თუ საფიქრალი; გაუქარვა და ვერც გაუქარვა, – აიშლებოდა ხანდახან ისე, რო დაეძებდა მნვანე დედაკაცსა: თვითონ ის უნდა გამოვტეხო, გამოვტეხო და დავსაჯოო, ასეთი ბილწი სიცრუისათვისაო. დაეძებდა. აქეთ ჰო და ჰო, – გაიჭრებოდა მუხიანშიცა: იქა ვცხოვრობო, თეასგან იცოდა. აიშლებოდა ხანდახან ისე, უარესადაც აიშლებოდა. სწყუროდა. სწყუროდა. ხახა უშრებოდა. ვეღარ იკლავდა რო წყურვილსა, ვეღარ ილბობდა ვეღარც ხახასა. ვეღარც მიჰკარებოდა „თბილისის“ რესტორანსა, ვეღარც კაფესა „თბილისისაი“. სულ სავსე იყო. იბღვირებოდა მკაცრი სახეები, ზოგიც დამცინავი, აბუჩად ამგდები. თითქოს ქეიფობდნენ გაუთავებლადა, თითქოს არცაო. მალე იქ ჩადგა შტაბი აჯანყებულთა, დაკავებით უკვე დაეკავებინათ. დაეკავებინათ. პირდაპირ, გადაღმა, სხვა კაფეცაა, – კაფე საკონდიტრო. იქ დედას ჩამოჰყავდა პატარაობისასა. დედა დაბრუნდა, თვითონაც დაბრუნდა, პატარაობამაც თუ გაიხსენა. ჰო. და: იქ მწვანე დედაკაცი ზის. არა, არცა ზის: თითქოს ბუჩქია, მოუგლეჯიათ და და-

უგდიათო. სიცოცხლე თითქოს არც ეტყობაო, ანთუ ესაა: სული ამოსდისო. წინ თეთრი ფინჯანი უდგას ყავისაო, დაუმხია, ალბათ უნდა იმკითხავოსო. ეს თეთრი ლაქაა მიმჭკნარ მწვანეზედა. მეორე ფინჯანიცაა მაგიდაზედა, ნახევრად დაცლილი:

„თეა?..“ მიატანს ლუოი ფეხების თრევითა. თვალი რო შეასწრო, გაქცევაც უნდოდა. ემუქრებოდა და მუხლი მოეჭრა, დაინახა თუ არა. ნეტავი რო მელანდებოდესო. ვერც გაიქცა და ცხადიც იყო. მიატანს ასე ფეხების თრევითა. იკითხავს ლულლულითა. კიდევ კარგი რო მოკლე სახელია.

„თეა!..“ მიუგებს იგი მიკნავებითა, რო არ შეირხევა, ანთუ არც ძალუძს, რო შეირხესო. ნახმარი ფინჯნებია სხვა მაგიდებზედაცა. ზოგი დაცლილი, ზოგი ნახევრად დაცლილი, დაპირქვავებული ზოგიცა. ვისაც თუ როგორ მოუსწრია, ერთად გაქცეულან: „დაუძახეს...“

„ისევ კურდღელოს საყვირლადა?..“

„შენ რაო ვაუბატონო, არ მოგწონს განა?!.“

„მე შენი უტიფრობა არ მომწონს!..“

„შენ?!!. შენ როგორ მომექეცი?!.“

„როგორა?!. როგორა?!. ავდექი და წავედი, ცილი დაგნამე?!. შეურაცჰგყვე?!.“

„ჰაჰაჰაჰა... ადგა და წავიდა!.. მეტი როგორღა უნდა შეურაცჰყო ქალი?!.“

„და განა ეს ასეთ შურისძიებას იმსახურებს?!.“

„მეტსაცა!..“

„მეტი რაღაა?!!!... რაც უნდა იყოს, სიცრუით მაინც ვერას დამაკლებ“.

„გეგონოს... სარკეში მაინც ჩაგეხედა...“

„Stop!..“ რეჟისორია. სახე დაბინდვია. სახით ვერც გაიგებ, რა მოსწონს, რა არა. ხმა აქვს ნათელი: „Stop!..“ არ მოსწონს დიალოგი: განცდა არ იგრძნობა, გეტყობათ რო: თამაშობთო. ის მოსწონს: შეჰხვდება რო: მუხლი რო მოეჭრება ლუოსა. დიალოგი არ გამოგდითო. გთხოვეთ, ივარჯიშეთ. არ გივარჯიშიათო. ჩვენ არცა ვხვდებით ერთმანეთსაო. ჰოო. რა თქმა უნდაო. დღედაღამ გასწივის ეს

ქალბატონიო: კურდღელოო. ჩაუშესკუო. როდისღა მოიცლის ან ხმა როგორღა შერჩენიაო. ის ჰო ლუიზაა – შაკიაშვილიო. მაშ ხელს რა გიშლითო. ივარჯიშეთ, გაიმეორეთ. გაიმეორეთ განცდითა ისეთითა, რასაც რო თამაშობთ, თქვენი რო ეგონოთ, თქვენი უბედურება რო ეგონოთო. თეატრი დიალოგია. დიალოგს თუ მოჰკლავთ, თეატრი მოგიკლავთ და ეგ არისო.

რა არ მოსწონს?!. ამას ისევ უბეუის ყურები. ლუოსა. სარკეში მაინც ჩაგეხედაო. მართლაც რო აღარ ჩაუხედია, – ალბათ ეტყობა. გრძნობდა ისედაცა: ცოტა შეიფერთხა. შემსუბუქდა. აღარც აღარაფერი ეხალისებოდა. აღარც სალოთაოდა აღარ მისდევდა. გუგას გაურბოდა. ჯიბოს გაურბოდა. ყველას გაურბოდა. თავი მაღლა ვერ აეწია. ეგონა: ყველა მე მომჩერებია, ნიშანს ელიან რო ჩამქოლონო. დედამ აუხსნა. დედამ დაარწმუნა. მაინც დაეჭდო გულსა დაღადა. ეტყობა ვეღარც რო მოიცილებს. ერიდე დედაკაცის შურისძიებასა. ერიდე. ერიდე. საიდღანღაც ახსოვს, საიდღანღაცა. რომელიღაც პიესიდანა. დაწიხლული ქალი მისძახოდა. ეს ლაღად გადიოდა სცენიდანა. ლაღად გადიოდა, ოღონდ რო მაინც აჟრიალებდა კულისებშია, ისეთი იყო მოძახილი, ისე შემზარავი, გაუსაძლისი. აჟრიალებდა. აჟრიალებდა. ეგონა: სიცივის ბრალიაო, რო ციოდა კულისებშია, ციოდა რო სცენაზედაცა, ციოდა ცხადია დარბაზშიაცა. მაინც გავსებულიყო დარბაზი. ტაშს უკრავდა დარბაზი ერთსულოვნადა: იმიტომაცა, რო დაისჯებოდა შეურაცჰმყოფელი, იმიტომაცა, მართლაც არტისტულად რო გაისმოდა ძახილი იგი, დიდი ხელოვანის შესაფერისადა. ბრნყინვალე მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ ახალგაზრდა ქალსა, ის იყო თეატრალური ინსტიტუტი რო დაემთავრებინა თბილისში, გდიდის თეატრში რო გამოემწესებინათ. უწინასწარმეტყველებდნენ. სჯეროდათ, ელოდნენ. მაგრამ და რაო: ჩაჰქრა მალევე, ჩაჰქრა იქავე გდიდის თეატრშია. სხვაგანაც იგივე დაემართებოდა. ალბათა. ალბათა. ალბათ რო როლი ერთი უნდა ითამაშოს ადამიანმა, ერთი, ერთი, სცენაზედაცა და

ცხოვრებაშიცა, ერთი, ერთადერთი, მეტისთვის ალბათ რო ძალა არ ეყოფა, ანთუ რო ღმერთსაც არ დაუნესებია მეტი. სცენა სცენაა. ეს აგერა გამოსცხადებია. ცალკეც უნდა წაივარჯიშონ. ვერც ეს დიალოგი მოაწონეს რეჟისორსა. არადა ეს ვინ არის, ეეე...?!. სტურუამ სულ წაშალა შექსპირი, – ახოხიალებს და აკოტრიალებს მსახიობებსა. მოძრაობაა ყველაფერი, სიტყვა რისი მაქნისიაო. ესენი მაინცა:

„სცრუობ!.." ვერცა ამბობს ისე მკაცრადა, ქშინავს რო უფრო მომეტებულადა: „თვალი არ მომიკრავს მე შენთვისა: 25 წელინადია. 25. 25!.."

„მერე და რაო?.."

„თეა ჰო მხოლოდ 22-საა?.."

„ჰაჰაჰაჰაჰა... რომელი ქალია რო თავს არ იპატარავებს?.. გაგიგონია შენ ასეთი ქალი?.. ვინმეს გაუგონია?!. რომელი ქალია რო უნიღბოდ დადის? გაგიგონია?.. ვინმეს გაუგონია?.. ან ჰო არა გგონია, თეა მართლა ოქროსფერია?!. თეაც არ არის მისი მართალი სახელი. არა. არა. თეაც არ არის. დროა, რო თვალი გაახილო, დროა, რო მიჰხვდე: რაც რო სჩანს, ის არ არის, რაც არის, ის არა სჩანს. დროა. დროა. ჰაჰაჰა..." დგება და მიდის, მიდის ქირქილითა. გაღაჟღაჟებული სიმწვანე მიდის, ის ბუჩქი აღარა, – მოგლეჯილი და მიგდებულიო, არა, აღარა. ქირქილი მისდევს, კისკისიცა, არეული ერთმანეთშია. მიდის. ხოლო ის იქვე რჩება, ის არეული ქირქილკისკისი. და ლუოს ესეც მოეჩვენება: გარედან ენა გამომიყოო, ვიტრინაში მოეჩვენება. ძალას მოიცემს და წამოიჭრება, წამოიჭრება და ფინჯანს აიტაცებს, აიტაცებს და მოიქნევს, მოიქნევს თითქოს უნდა სტყორცნოსო, ენა უნდა მიანეწკოსო, – ეს თითქოსაო, მხოლოდ იქავე დაანარცხებს, დაანარცხებს იატაკზედა. ოფიციანტი გამოეგებება: ყავის გადახდილია, ფინჯნისა უნდა გადაიხადოთო. „წყეული დედაკაცი!.." კიდევ კარგიო, – ვინ იცის ვიტრინა რა დაუჯდებოდა. ფეხებს ძლივს მიათრევს თუ ფეხები მიათრევს ძლივსძლივობისასა. აღარ განაგებს თავის თავსა; ანთუ თავი აღარ განაგებს. თან-

დასდევს ქირქილი, კისკისი თანდასდევს. ხანაც ერთად მიეჭრებიან, ეძგერებიან ერთდროულადა. ხან თვითონ ის გამოეცხადება – მწვანე დედაკაცი. ცხადია და არც არის ცხადი: აჩრდილია მოუშორებელი. მხარდამხარ მიჰყვება. წინ მიუხტის. აედევნება შორიახლოსა. როგორც რო ნებავს, როგორც რო უფრო გაუწვრილებს გულსა. ხან გაექცევა. უკვირს ხალხსა, რა მიარბენინებსო. ხან ბევრ ხალხში ჩაიჭედება. გაძვრება. გამოძვრება. დავაბნიოო. გაიხლართოსო. შენც არ მომიკვდე: ის იქაა, წინ დაუხვდება. თუ ნებავს, კიდევაც დაეკარგება. ვითომდა რაო, – მოგასვენეო. გამოეცხადება მერე უეცრადა, გული რო გაუხეთქოს. ალბათ რო გაუსკდება გული. ალბათ რო მართლაც გაუხეთქავს გულსა. მთაწმინდაზე ადის, გული რო გამოსცადოს, ანთუ ეგებ რო ის ვერ ამომყვესო. აჰყვება, – რა დაუშლის, ის ჰო აჩრდილია. ამან იქაქანოს, დაიღალოს მუხლი. გაკვირვებით უკვირს მაინცა: ანთუ მე როგორ ამომიშვა მთაწმინდამაო, ანთუ ესაო: მე თუ ცოდვილი ვარ, ეს თუ ცრუაო; თუმცა მთაწმინდას ვიღა ეკითხება, როგორც რო უნდათ, ისე ჯიჯგნიანო. ერთი სიკეთე მაინცა სჭირს: შინ არ ეჭრება მწვანე დედაკაცი. ეს ვერ ივიწყებს რაღა თქმა უნდა, ეს ამისი საქმეა, ის მაინც არა, შინ არ ეჭრება. შინ უნდა იჯდეს. შინ ურჩევნიან. და ვინ უწყის თუ რამდენჯერ გამოათვლევინებს დედასა, – რამდენი წელია, რაც გდიდში ვგდივარო. ვგდივარო, – თავს რო აღარ დაინდობს. იმასაც ეკითხება: თუ გაგიგონია ისეთი ქალი, ხნოვანებას რო არ იკლებდესო. არაო, – დედა არცა ყოყმანობს. დედამ რა იცის, რა ცეცხლი უკიდია. აი მე ჰო რა ხნისა ვარო, ანთუ წლებს ვიღა მეკითხებაო, მე მაინც ვიკლებ, ჩემს გულში ვიკლებო. მეცაო, – ეკა დაუდასტურებს. მეცაო, – ლინკაც იგივეს ამბობს, – შენ ჰო იცი, რა ხნისაცა ვარ, შენც რო მკითხო, ნაკლებს გეტყვიო. რამდენით ნაკლებსაო. სამი წლით მაინცაო. სამი წლითაო. რაღა მაინცდამაინც სამი წლითაო?.. და ერთი წამით თვალთ დაუბნელდება, ლინკას არაო, ლუოსა ცხადია, ერთი წამითა, მერე ელვარე შუქი გადასჭრის. ლამის თვალები წამოსცვივდესო. ესეც მხო-

ლოდ რო ერთი ნამითა. ლინკა შეამჩნევს. ლინკა შეშფოთდება: რა მოგივიდაო. არაფერიო. მოიცილებს. არყის ბოთლს გადმოიღებს კარადიდანა. წააძრობს თავსა. მოიყუდებს.

„ლუო!.." შეშფოთდება დედაი, „რა გემართება, რუსი ჰო არა ხარ?!."

„ჰაჰაჰა..." ლუო გაიცინებს, მოიწყვეტს რო ბოთლსა უცება, თან სახე ისე დაემანჭება, აღარც რო ლუოა თითქოსაო.

„რა ეშველება?!." წუხს დედაი.

„ლინკა!!!!.." წყრება ქ-ნი ეკა, წყრება, უსაყვედურებს. ცხარობს.

„მეტი რა ვიღონო?!." გადმოჰგორდება ცრემლი ლინკასა.

ლუოს უნდა, რო გაიცინოს. უნდა და არც უნდა. ტუჩებს ჩაიხვევს კბილებშია.

XXII

აღარც იცინის, აღარც ელაპარაკება, აღარც რო ლინკასა, აღარც ქ-ნ ეკატერინესა, აღარც დედასა თავისასა, ლუოი ცხადია, გარეთაც აღარ დაბორიალებს, რო აღარ შეჰხვდეს ი ცრუ დედაკაცსა, – ასე შეარქმევს, ამითიღა იოხებს გულსა, ამითივე იკავებს თავსა; გულაღმა ნევს და შეჰყურებს ჭაღებსა, შეჰყურებს უაზროდა, ხანთუ დაითვლის, უაზროდ დაითვლის, რაოდენობას რო ვერც დაიხსომებს: რიცხვები არ მოსწონს, რიცხვები გაურბის, არც რო მოგონებებით დაიმძიმებს თავსა, თორემ უთქვამს ჰო დიდედა სალომესა: რომელი თუ როდის შეუძენია, სად შეუძენია, რა დასჯდომია, რა მოჰყოლია თუ წინ რა უსწრებდა, – უთქვამს, უთქვამს და რამდენჯერმეცა. დედასაც უთქვამს, გაუმეორებია ისე უბრალოდა. დიდედასათვის რომანტიკა გახლდა, ხსოვნა იყო გარდასულისა, ხელოვნებაც იყო, დედისთვის მხოლდ საგნები იყო, ითქვას თუნდაც

რო საქონელიო, გადანახული შავი დღისთვისა. დამდგარიყო ეს შავი დღეცა, არ ეშინოდა, უარესიც თუ მოჰყვებოდა არ ეშინოდა. შვილსაც ამშვიდებდა: ფიქრი არ არისო, თავსაც შევინახავთ და ლინკასაცაო, ეკასაცაო, თავდაცვის ფონდსაც დავეხმარებითო, შეიძლება რო ლტოლვილებიც შევიფაროთო. ამშვიდებდა, ამხნევებდა, ახალისებდა. ლინკასაცაო, – ახალისებდა, აქეზებდა, მაჭანკლობდა ამდაგვარადა, ხერხიანადა ასე, ოსტატურადა ასე, უხაროდა ლინკასა. ეკასაც უხაროდა. ეფერებოდნენ დედაშვილსა: დედაშვილი – დედაშვილსა, აქამდისაც ჰო, ამიერიდან მომეტებულადა. დედას უხაროდა. ახლა აქ ერჩივნა. აქ არ ისმოდა, არც რო კაკანი ავტომატებისა, არცა ქუხილი ყუმბარებისა. მიტინგების ხმაური ისმოდა, ეგეც არაფერი, იმდენი არაფერი რაღა თქმა უნდა. ახლა აქ ერჩივნა. გადაჰხედავდა კიდევაცა მომიტინგეთა. ჩაუვლიდა კიდევაცა. ლინკა აქედან ამოუდგებოდა, ეკა იქიდანა. ჩაისეირნებდნენ. თვალს გადაავლებდნენ. დედა სძრახავდა ორივე მხარესა. ლინკა და ეკა არ ეთანხმებოდნენ, არც არას ეტყოდნენ საწინააღმდეგოსა, პირში არა რაღა თქმა უნდა, ზურგთუკან არაფერს არ შეარჩენდნენ. ესეც არაფერი: ზურგთუკან მეფესაც აგინებენო. ესეც არაფერიო. ჭაღები კრიალებდა. ბრნყინავდა ჭაღები. მომავალი იმუქრებოდა. იმუქრებოდა. კბენით უკვე იკბინებოდა, მუქარით უფრო იმუქრებოდა. ჭაღები ბრნყინავდა. ლუო ითვლიდა. აერეოდა. ისევ ითვლიდა. ერთიც ვნახოთ და გამოეცხადება დიდედა სალომეცა. უბრალოდაც არ გამოეცხადება. ერთიც არ გამოეცხადება: ბევრი დიდედა გამოეცხადება, ბევრი დიდედა სალომეი, ყველა ჭაღზე რო დაუსკუპდება სათითაოდა, რო ელაპარაკება ერთდროულადა ყველაი და რო არცერთისა არაფერი არ გაეგება რაღა თქმა უნდა, – არცერთისაი, არცერთისა, თუმცა რო ერთია და მეტი არ იქნება, მაგრამ მეტია და თუ კვლავაც ერთად იქცევა, – აგერ იქცევა და თვალსაც შეასწრებს. შეასწრებს. შეასწრებს. არ მოსნყვეტს თვალსა. მაინც ვერ შეასწრებს: ანთუ გაჰქრება დიდედა სალომეი, ანთუ სულაც არ გამოცხადებულა,

არც რო ერთიო, არც რო მრავალიო, – ი ცრუ დედაკაცი გამოცხადებულა, მწვანე დედაკაცი, ის დახტის ჭაღებზედა, ბროლის მძივებსაც დაეკიდება, ენას უყოფს და თითებს უპარჭყავს. დასცინისო თუ ემუქრებაო, – სულერთია გაუსაძლისია. კრიალებს ჭაღები, წკრიალებს, წკრიალებს, ჭერი ირყევა თითქოსაო. თითქოსაო. თითქოსაო. ანთუ მართლაცა: გუგუნებს გამზირი. მოყრილა მანქანები:

მძიმე სატვირთო მანქანები,

სკრეპერები,

ბულდოზერები,

მისდგომიან ბარიკადებსა სასახლისაი: ჩაებმებიან და მიათრევენ, მიანვებიან და მიათრევენ, ანთუ მიაგორებენ, ანთუ მიახოხებენ ავტობუსებსა თუ რაც რო სხვა რამ მანქანები გადაღობილა. მიახოხებენ. მიახოხებდნენ ზოგსაც ეგრევე მუხრუჭებჩაკეტილსა. მისდგომოდა ყველა ერთადა, გრუხუნებდა ყველა ერთადა. ერთიმეორესაც უშლიდნენ ხელსა, გადაჯაჭვულიყო რო ბარიკადები, გამოხსნაც უჭირდათ. ხალხიც ირეოდა. ხალხიც ედებოდა, აქედან მიმხდომი თუ იქიდან ჩამდგარი, ჩაღობილი. ტუჩი გამოეყო ავტომატებსა ქურთუკებიდანა აქედან მიმდგართა. მოუჩანდათ ჟილეტებიცა ტყვიაგაუმტარი. აქედან მიმდგართა. გვარდია მისდგომოდა. ნაირნაირი არნივი და ნაირნაირი სხვა სახელდებანი. იქით ხალხი გახლდა ღამენათევი და შემცბარი თანაცა ეს რა ჰხდებაო, – იქითა: მოედანზედა, გამზირზედა, შიგნით ჰო არა სჩანდა: გატვრენილიყო შიგნით ყოველი და ყველაფერი. გატვრენილიყო. გარეთ ბარიკადები ინგრეოდა. მანქანები ანგრევდნენ. მანქანებს ანგრევდნენ, ხალხი ღობედ ჩაეწნებოდა, ტყრუშულ ღობედა. არღვევდნენ, ამტვრევდნენ, ჰყრიდნენ აქეთ-იქითა. ურტყამდნენ. მანქანის იარაღსა, მომცრო ძალაყინებს ურტყამდნენ. წყვეტდნენ ჯაჭვებსა, ღვედებსა წყვეტდნენ. ზუოდა ღვედები. ჩხრიალებდა ჯაჭვები, მოიქნეოდა და ხრჭიალებდა, ჩაებმებოდა და მიახოხებდა. შორსაც არაო, – გაზონების გასწვრივა, ქუჩებსაც რო არ ჩახერგავდნენ, არც რო ჩამონადენთა მთიდანა, არცა ამომავალთა მდინა-

რიდანა. მიათრევდნენ. მიახრჭიალებდნენ. აგრუხუნებ-
დნენ. არახრახებდნენ. და. მოისაწყლებდნენ თავსაცა:
ჩვენ გვინდა მოვშალოთ ბარიკადები, წინააღმდეგობანი
მოვშალოთ ჩვენს შორისა, ჩვენ გვინდა მოვიდეთ, მოგეხუ-
ტოთ, გულში ჩაგიკრათ, თქვენ ხელსა გვკრავთ, ჩვენს
ძმობაზე უარს ამბობთო. მოისაწყლებდნენ, თავს მოისაწ-
ყლებდნენ. და

ანგრევდნენ,

ჰხვეტავდნენ სასახლის მხრიდანა;

მცირე რამ საძრომი მაინც დაეგდოთ მხატვრის სახ-
ლთანა. იქ თითქოს აღარც შეეხებიანო. მცირე რამ საძრო-
მი. ხვრელი. გასატევი თითო კაცისა, თუნდაც ქალისაო,
მთავარია რო მხოლოდ თითოსი რაღა თქმა უნდა. იქ მიმ-
დგარიყვნენ მეთაურნი მილიციისა, დამცველნი ქალაქისა.
მერი შუაში ჩაეყენებინათ, მერი ქალაქ-თბილისისაი, და
იცავდნენ ხვრელსა განაპირასა სასახლის კალთები რო
მოშიშვლებულიყო. იცავდნენ. იცავდნენ. ვერ იტყოდი, რო
გულგრილად იცავდნენო, ვერ იტყოდი, რო დიდად შეშფო-
თებულიყვნენო. ვერა, ვერაფერს ვერ იტყოდი. მერი წრია-
ლებდა, მერი ალენილიყო, რაღაცას მოითხოვდა, მოქმე-
დებას მოითხოვდა, რო ვეღარც ამბობდა, ისე მოითხოვდა.
ანთუ ეგებ რო წინათგრძნობაც ანრიალებდა, რო ამოაძ-
რეს უეცრადა მეთაურთა შუაგულიდანა, ამოაძრეს, აიფ-
რიალეს და გაიტაცეს ნიავ-ნიავითა. ნიავ-ნიავითა. იმისი
ნიავ-ნიავი ველად მიჰქონდა ნიავსაო. ის წინილა იყო, ეს
კაცი, მერი თბილის-ქალაქისაი. მხოლოდ ქალები გამოე-
სარჩლნენ. გადაეღობნენ, ქორები იყვნენ თუ რაც რანი
გახლდნენ, გადაეღობნენ წიოკობითა და გაიფანტნენ წიო-
კობითვე, გამტაცებლებმა რო გაუმხილეს: სიესის ბალო-
ნები უწყვია უბეში, უნდა „გავანეიტრალოთო". „გავანეიტ-
რალოთო". გაუმხილეს, ანთუ ეცრუვნენ რაღა თქმა უნდა.
რაც თუ რა იყო, მალე გაჰფანტეს წიოკობითა. და მხრებს
იჩეჩავდნენ დამცველნი ხვრელისაი: იქ მოლაპარაკება
მიმდინარეობს, რა დროს სიესის ბალონებიაო. მხრებს იჩე-
ჩავდნენ. მხრებს იჩეჩავდნენ. და ზანზარებდა გამზირი და

grialebda mdzime manqanebi, grialebda, bdgvinavda, miiwevda da gegonebobda, rala aqetaa da rala iqitaa, barem sasaxlze gadasnorrdeba ertbaSada da ertpirianada, sasaxlzei igi naoyofi saBWouri imperiisa, rom amSvenebda monobis dzeglebi bolo dromdisa. gegonebobda: gadasnorrdebaa. da netamc egrecaa, uaresi raxan elobda. da egrecaa yofila: nakleb siavzes inatrebenen uaresi siavis mere, nakleb borotebas inatrebenen uaresi borotebis mere, titqos rom martlacaa hqondes xarisxebi siavzesa tu borotebasa. gagonila?!. ara – gagonila, magram martali ar unda iyos, radgan rom borotebaa ertia, mtliania, ganuyofelia, egaa ertad rom ver movlenila, ertada, mtlianada da saBolooda, egaa rom rala unda uSlides xelsa, – sikeTe unda uSlides xelsa. rodemdis SeuSlis?!. idze icvlie. icvlie. icvlie. da guguneebdnen mdzime manqanebi da iryeoda qaSuetis da xrCialebda mxatvris saxlis da zanzarebda skolaze odesaca rom keTilSobilTa da da da: nkrialebs Cala. nkrialebs. nkrialebs. odnava. odnava. titqos esaa sули amosdisoo... amosdisoo... amoUvaa... amoUvidesom. xes tu aqvs sули, Calsac eqnebaa. sули mTvaresac eqnebaa. mTvares mze anaTebs, Cals – eldenio, xes minis wvenio. ombeyorres edeba, egeba rom: gadairioos. isev garet unda erCivnos.

„tbilisTan" guguas gadaeyreba.

gamoeclebaa bulldozerebsa. im xvrelit Seva, uflosobaa rom icavs qalaqis milicieisa. Seva. gamova. Seva. gamova. Signitac aRaravin aRar ecnobaa, esenia Ho sulac ar ecnobaa, esea damcveleni SeuvaZi tu aUebeli kariBCisai. Seva. gamova. dabrialobs ertisityvita. isini araferes eubnebian. es ekiTxebaa: is vin iyoom, sieesis balonebi rom enyoo xibeSiom. cotta sulelia qveyanazeo: miugebenen warbSeuxrelada. sad naiyvanesom: amasac ekiTxebaa. eSmakma unyisom: miugebenen da zurgsac uCvenebenen: esla gvakldaa. uCvenebenen da uCvenebs, esec

უჩვენებს ზურგსა. გუგას მერეღა გადაეყრება. გუგას შესჩივლებს: მარტო დალევას მიკრძალავს დედაჩემი: რუსი ჰო არა ხარო. „თბილისი“ რესტორანი აღარ არის. ჯიბოც მოსაძებნია. გუგას ავტომატი მოუმარჯვებია, თითქოს ესაა და იერიშზე უნდა გადავიდესო. უკვირს ლუოსა.

ნუ გიკვირსო, თვალს უკრავს გუგაი: „რეჟისორების დასანახავად მინდა. შენც გირჩევ. ჯიბო გიშოვნის. მე ვეტყვი. ჯიბოსთვის ეს არაფერია, როგორც არაფერი არაფერია“.

„რად მინდა?!. ვის ვესროლო?!.“

„ვის უნდა ესროლო?!. დაგინახავენ და მერე გაჰყიდე, მალე ამას ცეცხლის ფასი დაედება“.

„ისე ეტყობა: ცეცხლზე იაფი აღარაფერი აღარ იქნება“.

„ეტყობა. ეს გამონათქვამი ალბათ იმ დროს თუ მოგვაგონებს: ცეცხლი ის იყო რო გამოიგონეს“.

„უბედურებაც იქიდან დაინყო“.

„ცივილიზაცია დაინყოო...“

„ცივილიზაცია და უბედურება...“

ვერც გაარკვევენ, არც რო სცხელათ საამისოდა, ჯიბო ურჩევნიანთ ახლა ყველაფერსა, თუნდ იმასაცა თუ როგორ აინევს ფასი ავტომატისა, ურჩევნიანთ, ჯიბო ურჩევნიანთ. მიაკვლევენ. „ივერიასთან“ დაგელოდებითო. სიტყვა სიტყვაა. სამი ოქროსფერი ჩიტიც გამოფართხალდება „ივერიიდანა“. სამი. სამივეს კისერი აუკრეჭია ახალმოდაზედა. ორს ქუდივით შემოკვერცხია, ბენვის ქუდივითა. ერთს თვალებშიც რო ჩამოფხატია, მეორეს გაუყვია შუბლი, შუაზე გრეხილი ჩამოუგდია, ხოლო მესამეს – ჰოოო, ეს უფრო რთული ნახატობაა: თმაში ჩაფლობილა თვალი ცალი, მეორე ბრიალებს, თმა იმის გასწვრივ გადახვეტილა, გადაწურულა, გადასლუტულა კეფაზედა. აქეთ სხვა პროფილია, იქით სხვა პროფილი, ანფასი – სხვაა, სამი გეგონება და არა ერთი, სამი წარმოგიდგება ერთდროულადა, როგორც რო ნებავს, როგორც უკეთ გამოადგება. სამი სამად და ერთიც სამადა, ჯიბო დაიჭერს სათითაოდა,

სამს სამად გადაპკოცნის, ერთს კიდევ სამადა, ოლონდ სათითაოდ შესხამს მანქანაში, უკანა სავარძელზე. თვითონ მიუჯდება მძღოლსა. ამათ ანიშნებს: ჩასხედით რამეში, გამომეკიდეთო. არ დაიბნევიან რაღა თქმა უნდა. გაეკიდებიან. არც გაუსწრებენ, არც ჩამორჩებიან. მოვლენ. ნაადგებიან. ჯერ რო არც დამსხდარან, მაინც ილუკმებიან ეგრევე ზეზეულადა, სვამენ ეგრევე და სკამებს ისწორებენ ფეხითა ზეზეულა. იქავე არიან: წყნეთში, ჯიბოსთანა, იმავე დარბაზში, იმავე მაგიდასთანა, სკამიც იგივე ერგება ლუოსა. გიტარა მაინც აღარსად მოსჩანს. მაშინვე გადააგდეს რაღა თქმა უნდა. ძალიანაც კარგი: რო არც სიმღერა არ უნდა, რო არც არაფერი ისეთი, მხოლოდ მეინახენი რო უნდოდა და აგერა ეს მეინახენიცა, – გუგა, ჯიბო, სამი ოქროსფერი ჩიტუნიაცა. ჩიტო. გვრიტო. მარგალიტო. არა – სიმღერა მაინც არაო. ჩიტუნიები ჩიტუნიებადა. ჯიბო გააცნობს: უცხოელი ჟურნალისტები მოსკოვიდანაო, ერთი მოსკოველი, ორი უფრო უცხოელიო. ისინი თავს უკრავენ, იცინიან და თავს უკრავენ, წკიპად არჩევენ ფხებსა ცოცხალიდანა, წკიპადა, სუფთადა, გამოცდილადა, ხამად არ არიან, ეტყობათ ცხადია. ხამად უბედურებაა, – ცოცხალი დასცდით. გაიხირება ფხაი ყელშია: აი შიშიო, აი ცრემლებიო, აი ექიმიო, აი პერგამენტიო, რელიქვიად რო გაიყოლონ, უცხოელებმაო რაღა თქმა უნდა. ამათ გაუვლიათ ან არც გაუვლიათ ამგვარი არაფერი, უცებ მიჩვეულან, არც არა უკვირთ, არც არაფერი გაუკვირდებათ, არც უფრო უცხოელთა, არც ამ მოსკოველ უცხოელსა, არა არაფერი არ გაუკვირდებათ, თუ გაუკვირდება, ისიც მოსკოველსა: ხახახახახახა, მე მიძახით უცხოელსაო, ხიხიხიხი, ხეხეხეხე, ხოხოხოხო, ხუხუხუხუო, მე ვარო, მეო – უცხოელიო, – იუმორი ჰგონია. არა სჯერა და ვერც დაიჯერებს. დემოკრატიული ძალების ინტეგრაციას ნინ ვერ აღუდგება გამსახურდიას ნაციონალიზმიო. ვერც გასძლებენ უმოსკოვოდა თბილისელი ნარჩინებულნი და რუსულ პოეზიასაც გაუჭირდება ქართული შთაგონების გარეშეო. ახალ სახელს ნურას ნუ დაგ-

ვარქმევთ, არც ჩვენ რო არ დაგთმობთ და არც თქვენ რო არ დაგეთმობითო. ნუო. ნუო. ხახახახა, ხიხიხიხიო. და ჭამენ, სვამენ და აბოლებენ, გადაჯდებიან, გადმოჯდებიან, დაკუსკუსობენ, დაცუნცრუკობენ, გადაესვენებიან დივანზედაცა, მაგიდასაც მიუბრუნდებიან, ანთუ ის იხმობს, მოხითხითეი იგი სამპიროვანიო თუ სამსახოვანიო, რო შეიძლება რო სახეობა მეტიც მიიღოს, რო ბრუნავს თავი ღერძის გარშემო, ხან წაიხრება რო კიდევაცა, საქოჩრეს წაიშვერს, ხან ნიკაპს ასტყორცნის, არა თუ ვითომ ვედრებისადა, უფრო: თითქოს რო ედავება, ანთუ აუწყებს ჭეშმარიტსაო:

„გოგოებო!.. მე ვიცი, ესენი ადვილად არ გამოტყდებიან და მე უნდა გაუწყოთ: ჩვენ აქ საიდუმლო სერობაზე ვართ: დღეს ჰო სტალინის დაბადების დღეა?.."

„რა სტალინისა?!." უკვირს ლუოსა, მართლა რო უკვირს, რო დავიწყებია.

„რა სტალინისაცა!.." თვალდაბურულ პროფილს მიუშვერს, „ჩვენ ყველანი ჩუმი სტალინელები ვართ. ჩვენ იმიტომ, იმპერია რო შეგვინარჩუნა, თქვენ იმიტომ, რო არ გაგიშვათ იმპერიიდანა; ჩვენ იმიტომ, რო ბატონობას ვერ შეველევით, თქვენ იმიტომ, რო ერთგულება გეამაყებათ. უნდა იამაყოთ რაღა თქმა უნდა. ერთგულება დიდი ღირსებაა. სტუმარ-მასპინძლობაც დიდი ღირსებაა. ესეც ღმერთს თქვენთვის მოუნიჭებია. და ჩვენ ვაფასებთ ღირსებათა თქვენთა. რა ტიტულებიო!.. რა ორდენებიო!.. თქვენ ყველაზე მეტი ორდენი გაქვთ მიღებული საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა შორისა. ღირსება ღირსებადა!.. და!.. სამაგიერო სამაგიეროდა!.. თქვენ თქვენი ქვეყანა გეპატარავებათ, გემცრობათ ერი თქვენი, ვრცელი ასპარეზი გინდათ თავის გამოსაჩენადა, ტაში გინდათ უამრავისა. და არც მოგკლებიათ: მოედანი რო ბევრია მოსკოვში და ფიცარნაგიცა ბევრი, არც მოგკლებიათ და არც მოგაკლდებათ რაღა თქმა უნდა: იცეკვეთ, იმღერეთ, იცქრიალეთ და ინებეთ ტაში. ტაში, ტაში, გულის გასახარი. გვეწვიეთ!.. გეწვევით!.. მოიწყინეს ჩვენმა პოეტებმა: რამდენი ხანია

ქართულად აღარ გვიქეიფიაო. ქართულად!.. ქართულად!.. ქეიფი ქართულად, მოლხენა ქართულად, სხვა დანარჩენი ჩვენი უპრიანია..."

„პოეტებმა?!" ისევ ლუოა, ბრაზობს თუ რა არის, ვერც რო მიმხვდარა.

„არა მარტო..." საქოჩრე წამოინევს.

„პროზაიკოსებმაცა?!" კვლავაც ლუოა, მიპხვდება რო ბრაზობს.

„ხახახახა..." თმაგადატკეპნილ პროფილს მიუშვერს, „ხიხიხიხი... არ დაგვინყებიათ. გულფიცხი ყმაწვილები გაგონდებათ – არა: ასტაფიევი და რასპუტინი?!! ხეხეხეხე... რა გასახსენებელია?!. შეეშინდათ: ეგონათ რო ვკარგავდით საქართველოსა და რაღაც წამოროშეს, წამოროშეს, მეტი არაფერი. არაფერი, არაფერი, წამოროშეს და ის იყო!.. საქართველო ჩვენი ბაღჩაა, – ვინ დაპკარგავს საქართველოსა, ვინა, ვინა, რა სათქმელია?!. არჩევანზე რო მიდგეს: საქართველოო თუ ურალს იქით, რაც გაბადიათო, – ჩვენ საქართველოს დავადებთ ხელსა. გჯეროდეთ ჩვენი, ჩვენც ვიცით ფასი ერთგულებისა. არც ჩვენ დაგეთმობით, არც თქვენა ცხადია. ორასი წელია რუსული ძლივს ისწავლეთ, ახლა ინგლისურს როდისღა ისწავლით?!. ჩვენ თუ მიგვატოვებთ, სადღა და როდისღა გამოიჩენთ თავსა?!. თქვენვე რო გკითხოთ:.თბილისი თქვენთვისვე პროვინციაა, მოსკოვია დედაქალაქი, ასპარეზი მოსკოვია წარჩინებისა: დაუკვირდით!.. დაუკვირდით!.. – არ დაგეთმობით. და ტრაბახობენ კიდევაცა მოსკოველი დარდიმანდები: ოღონდ უთხარით თბილისელ კეკლუცებსა, – მოსკოველი ქალებისგან არ განირჩევითო, – და მერე რაც გინდათ ის მოსთხოვეთო..."

„იმათ თავიანთ ქალებს მოუარონ!.." ისევ ლუოა, აღარცა ჰფარავს გული რო მოსდის.

„იმათი ქალები ჭკუას არ ნააგებენ, თქვენ ნუ გეშინიანთ", სრული ანფასია, „ქვეშ რო გეგულებოდნენ, იცოდეთ, რო ზევიდან გასხედან. სადაც არ უნდა მივიდნენ, იციან რო შინ არიან, სადაც არ უნდა დადგნენ, ფეხს

აღარ მოიცვლიან იქიდანა. იცოდეთ. იცოდეთ. ნუ მეკამათებით, ჩვენ მხოლოდ თქვენი სიკეთე გვინდა. ნუ მეკამათებით, ნუ მეკამათებით, თორემ ისედაც აი აგერ გვადგახართ", ნიკაპი ავარდება, მიებჯინება თითი ყანყრატსა, „ანთუ დაგვახრჩობთ ან გადაგყლაპავთ და მოგინელებთ საბოლოოდა: ან – ან, შუალედი აღარ არსებობს. ფრთხილად!.. ვიცით: რო გადაგყლაპავთ. ფრთხილადამეთქი.მაინც გირჩევთ კონსესუსსა. მეტი წყალობა აღარც იქნება. ინებებთ?.. ინებეთ!.. ჩვენი ინტელიგენცია აღარც განირჩევა თქვენი ინტელიგენციისაგანა. აღარა!.. აღარც სათქმელია: ჩვენი და თქვენი: ჩვენ ჰო თქვენა ვართ, თქვენ ჰო ჩვენა ხართ?.. რაღა თქმა უნდა!.. აი თბილისის აგარაკზე ვარ, – მოსკოვისაზე მგონია თავი; არც მაფიქრდება, რო ქართველებში ვარ, ჩემს რუსებში მგონია თავი".

შეიძლება, – ჯიბო ჩაურთავს: ჩვენ ჰო არტისტები ვართ!..

არტისტები ჩვენა ვართ, – გუგა დააზუსტებს: ჯიბო მეპურეა, – დააზუსტებს თუ ხუმრობს სულერთია: მეპურეაო.

მეპურე!.. ოღონდ არტისტული, – ჯიბო თანხმდება. თავსაც გამოიდებს: რაც ამაღლებულია, არტისტულია. შეპხედეთ თუ გნებავთ: რა არტისტული ხალხი დატრიალდა ამ ნინააღმდეგობაში: არტისტული პროფესორები, არტისტული გვარდია, არტისტული მილიცია, არტისტული რეჟისორები!.. ყველა არტისტული იქა ბრძანდება. წყალიც არტისტულად ამოდუღს აბანოთუბანში. პუტჩის მხარესაა გოგირდის აბანოებიცა. აბა!..

შენა, შენაო: ხირაობს გუგაი.

მე ყველას პურს ვაჭმევ: აქეთაც ვაჭმევ, იქითაც ვაჭმევო.

„ერთერთი მაინც არ დაგიფასებს!.." ისევ გუგაა.

ერთი თონე მაინც შემრჩება, თავს გავიტან იმითაცაო.

„ავტომატი მაინც გადაიკიდე", თვალს უკრავს გუგაი, „ამასაც ვურჩიე..."

არ გინდაო, – ლუოს მიმართავს ჯიბოი ცხადია: დაანებე მაგათა თავი, შენ ისედაც არტისტი ხარ. რის სცენა, რა ეკრანი!.. ერთ თონეს შენც მოგცემ. დღესვე გავცემ ბრძანებასა, ემანდ ენამ რო არ უყივლოს გუგასა. დღესვე. დაჯექი და ჭამე ტკბილი ლუკმაი. ახლა შენ უყურე თუ როგორა არტისტობენ სხვანი, რა ნიღბებს იცვლიან, კეკლუცობენ თუ რარიგადა, თუ რა სიკეთის მოციქულად გვისახავენ თავსა, სინამდვილეში რო შურით გაგუდულან, ვნება რო ახრჩობთ ერთადერთი: სხვას აღემატონ, ყველას აღემატონ, თუნდაც ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილა. უყურე. უყურე. ახლა შენ უყურეო.

არ იყურებოდა არც იქვე და არც იმას იქითა, არც ამ ჩიტუნიებს არ უცქეროდა, თორემ შეამჩნევდა: რუსი რო უფრო ამისკენ იხრებოდა, უფრო უცხოელები – ერთი გუგასკენა, მეორე ჯიბოსკენა რაღა თქმა უნდა. უფრო თამამი გუგასა რგებოდა: დასკუპებოდა უკვე მუხლებზედა, წევდა სიგარეტსა, გუგასაც იმასვე სჩრიდა ტუჩებშია. უფრო თამამიო პირობითად ითქმის, ჯერ ესენი რო არ დასკუპებოდნენ. ჯიბომ თვითონვე აიყვანა თავისი რჩეული, ანთუ ბედმა თუ რაც რო არგუნა, აიყვანა. გაიყვანა. წამოდგა ლუოცა. გაიზმორა ამისი არჩივი: ამიყვანსო რაღა თქმა უნდა. არც დაუხედია. ჩაუარა. მძღოლი მოძებნა: თბილისს ჩამიყვანეო. ჩაჯდომაც ვერ მოასწრო, გამოფრთხიალდა ჩიტუნიაცა ამისი: მე აქ რაღა გავაკეთოო, მეც წამიყვანეთო. წაიყვანეს. ლუო უკან მიკუნჭულიყო. ქალი მძღოლს მიუჯდა. აბოლებდა სიგარეტს სიგარეტზე, არც სარკმელს რო არ გააღებინებდა: გავციედებიო. ღამე იყო გაყინული, დეკემბრის ღამეი, ცა მოჭექილი ვარსკვლავებითა, აგვისტო არის თითქოსაო. ეს იქვე, წყნეთშია, ბაგებამდისაც რო ასე მიჰყვათ. იქ მერე უცებ დაიკარგა ცაი, თითქოს აპხადესო, თბილისს აპხადეს და მიუშვირეს უსასრულობასა, მიუშვირეს თუ შეატოვესო. რაც იყო, იყო: იხრჩობოდა მანქანის სალონი. მძღოლი ჩამოპხსნიდა სარკმელსა ოდნავადა. ქალი ბრაზობდა: დაპხურეო. ლუო ახველებდა. ხრჩობაო, – არ ერიდებოდა ქალი. „ივე-

რიასთან" გადადის იგი. ლუოც გადმოდის. ამოისუნთქავს სრულის სიღრმითა, სისავსითა სრულითა, თითქოს რო დამხრჩვალ ქალაქში როდიო, აბასთუმანში მოჰხვედრილიყოს თითქოსა, სულაც მთაზედა ყანობილისა. ამოისუნთქავს. ამოისუნთქავს. ქალი გაეცლება უბრადა. წაირბენს. უცებ შემობრუნდება:

„ხშირად გემართებათ?.. იკითხავს იგი, იკითხავს დიდი თანაგრძნობით, თანაც უკვე დაშორებული.

„რაი?!" იკითხავს ლუოცა.

„თუ ჩვეულებრივია?!." იგი ისევა, ცოტა უფროც დაშორებული: ლუო რო ერთ ნაბიჯს გადასდგამს, ის ორს ისკუპებს.

„რაი?!!. რაი?!." ვერას მიმხვდარა ლუოი ცხადია.

„იმპო... იმპოტენ... იმპო..." მიუგებს, ანთუ წაუმღერებს.

აუვლიან. ჩაუვლიან. იცინიან.

„ამოვალ!.." ლუო ბრძანებს. ბრძანებს. სხვა არაფერი მოაფიქრდება.

„ყავა დავლიოთ!.."

„ჰა?!."

„ყავა..."

„ყავა იყოს!.."

მიდის. მიჰყვება. ქაჩაჩებში მიჰყვება. აწყდება. ბილიკი ვიწროა ვესტიბიულში. ხალხი. ბარგი. აკვნები. ჭოჭიალები. ხურჯინები. Adidas-ის ჩანთები. ვისაც რა გამოუკრავს, ვისაც რა გამოჰყოლია სახელდახელოდა, რო აყრილან სამაჩაბლოდანა, ოსურ ავანტურას რო აუყრია. რო აყრილან რაჭა-ლეჩხუმიდანა, მიწისძვრას რო აუყრია, ვითომ რო ერთი ჭირი არა კმაროდა, მეორეც რო დაჰმატებია, რო ელოდებიან მესამესაცა, უარესსაც რო ელოდებიან. ვეღარც ვეღარსად დაუტევიათ. ელოდებიან. გაბეზრებულან. გამწარებულან. არც უნდათ, რო ჯავრს თან გადაჰყვნენ. ვილაცას სტვირიც გამოჰყოლია, ანთუ სხვა არც არაფერიც არ გამოჰყოლია. ჰბერავს გუდასა. დამღერის სტვირსა:

ბრძანება შემოუთვლიათ მოსკოვიდან უფროსებსა:
„ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც ზვიადას დაიჭერსა.
გაზაფხული შორი არი, თუ დაგაცლით: ერთსა მსგეფსსა.
მანამდე თუ არ დაამხეთ, ვაი, დედითქვენის ღმერთსა!
ქვას ქვაზე აღარ დავტოვებთ, შემოგისევთ ახლა სხვებსა,
ყიზლარში ჰო ცხვარს გაგინყობთ, შვილებს გამოგიჭრით ყელსა.
კარახტინები შეუკრეს, ლეკში არსად გადვიდესა:
„თუ რო ეს ლეკში გადვიდეს, იქ ყონაღებს გაიჩენსა,
ყონაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს ნაგვიხდენსა“.
გაუნყრა მაღალი ღმერთი თენგიზა კიტოვანელსა.
გვარდია მას ჩააბარა, სწორედ ის უღალატებსა.
თბილისში რო ჩამოცხება, რკონში არეკავს ბიჭებსა:
„მიზანში გაინაფეთო“, – სცხრილავენ ნაძვს და ფიჭვებსა.
ტანკებიც იქაე მოუდის და აკრაჭუნებს კიჭებსა.

ეს რო ზვიადმა შეიტყო, თვალებში სისხლი გასწვეთსა:
„ნუ მღალატობ კიტოვანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
ათასნილად სიკვდილი სჯობს იმათს ხელში განსაცდელსა!
მე მღალატობ, შე ურჯულო, იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა,
ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთიშობელი გაგიჩენსა!
ნუ მღალატობ, შეისმინე, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა:
ორას თუმანს მანდ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა,
შვიდას თუმანს სხვას მოგითვლი, კასპში ერთ კლდის ძირსა დევსა“.

თენგიზას ასე ეგონა: „ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა!..“
მუდარა არ შეისმინა, პასუხსაც არ აღირსებსა...

დაუჯდა თენგიზ სიგუა, გაუდგა დამოუნის გზებსა.
ძეგვის მთებიდან მოივლის, ჩამოიცილებს მზირებსა.
გადაეხვევა კიტოვანს, შესჩივლებს გასაჭირებსა:
„მე რო ზვიადისთან დავრჩე, სარგოს ვიღა მაღირსებსა:
იქ ვერაფერს ვერ ვენიე, გაფხეკილი დამაქვს ქისა,
შენთან ვიყვე, შენთან მოვკვდე, შენი ხნის და შენი ზნისა“.

პაატაშვილს ვინ გაუგებს, მოსკოვს დაჰქრის, ჰერიჰერობს.
ულვაშებში ეცინება, ის თავისთვის პრემიერობს.
აქ სიგუას ეფიცება: „შენს ბრძანებას ვეგუები!“
იქ გოგოებს შესტრაბახებს: „რას მიქვიან სიგუები!“
კისკისებენ, ხარხარებენ ოსტანკინოს გოგოები.

ასათიანს რაღა უნდა, – ეფიცეჭა კიტოვანსა:
„შენ რო თბილისს შემოუტეე, მკ ბათუმში ვდურთავ თავსა".
ეს რო ზვიადმა გაიგო, იმისთანა თქვენსა მტერსა, –
მეტისმეტი ჯავრისაგან ადგილ ზე ვეღარ დადგესა:
„ჩემი დაზრდილი ბიჭები სათითაოდ გამიდგესა,
რაღას ვაქნევ ან ჰელსინკსა, ან მრგვალზე მრგვალ მაგიდასა?"
რკონში კაცი გააგზავნა. ზღვაზეც ცდილობს მორიგდესა.
განყვა თესლი სიკეთისა, რახან ღვარძლი დაითესა.

ადამიაც გადაუდგა და მოჰყივის მთადაველსა:
„ნუ გგონივარ ზოგზოგები, შენ რო მოჰკიდებდი ხელსა.
ოსების პირისპირ ვიდექ, ოცი ტყვია მომარტყესა.
ვერც შენ ვერაფერს დამაკლებ, ვერც რო იმათ დამაკლესა!"
სოლოლაკი გადაუჭრა, მოედანსაც გადაჰკეტსა.

დამღერის, დამღერის.

და ჩერდება იგი შუა დარბაზშია, მაღალი, მოხდენილი, ძვირფასად მოსილი; ჩერდება შუაში ნათრევი ხალხისა, ნანონიალევი ხალხისა, დარბეული ხალხისა, დამშეული ხალხისა. უბრჭყვინავს ჩექმები წითელი, თათმანებიცა წითელი, ქურქი დაკმედილი მუქიყავისფერი. წითელი შალი მხრებზე ბრიალებს, ხოლო პირსახე ჰო მეტყველებს სამადა:

„ახალი ეპოსია?!." სამადა და დამცინავადა.

„არა. „არსენას" ტრანსფორმაციაა".

„რატომ „გილგამეშისა" არა?!." დამცინავადა. დამცინავადა.

„სამაგისო არაფერი გაგვიჭირვებია. გვყავს ჩვენი ამირანი".

„სატრაბახო კი არ გამოგელევათ. ოლონდ ესაა, რო თავის დროზე არ უქნიხართ ღმერთსა. ნუ დაგავინყდებათ: ჩვენ ჩვენს სამფლობელოს არ მივატოვებთ, არა!.."

გმინვა აღმოჰხდება, ლუოსა ცხადია. არა. არა. ვერც რო აღმოჰხდება, – დაჰგვრემს, გულმუცელში დატრიალდება. მოსრისოს უნდა, მოჭყლიტოს უნდა, ეს კადნიერი. მაგრამ მიჰხტის, ლიფტში შეასწრებს. შეასწრებს. შეჰყვე-

ბა. გაჭედილა ლიფტი. ძლივას დაიძრება. მართლაც მისჭყლეტიან ერთიმეორესა. მაგრამ ეს რაო, მერეა, რაც არის, ნომერში ცხადია, მხრებში რო ისე ჩააკლებს ხელებსა, ლამის რო მკლავებს ჩამოგლიჯავსო, თითქოსაო და ლამისაო, თან რო მრისხანედა, თან ჟინიანადა, თან რო მკაცრადაო, ვნებიანადა იმავე დროსა, ისე მკაცრადა და ვნებიანადა, ქალი კინაღამ შეაფიქრიანა. კინაღამაო, მხოლოდ კინაღამა. ერთი მაინც იწივლა ქალმა და მიეჭყლიტა თვითონ უფრო-რე, მიეჭყლიტა, მიეგლისა, მიეზილა შემოერტყა, შემოერკალა, ამოიქშინა, ამოისუნთქა სხეული მთლადა და შთაინთქა მასში, შთაინთქა, ჩაიფლო, შეერწყა, შეუნივთდა. ფაფუ, აღარ იყო. და ვერა რა დააკლო, შური ვერ იძია. ვერ დაამტვრია. ვერ დალეწა. ვერ დააკინანა. არ იშურებდა არც რო ძალღონესა, არც რო რისხვასა, არ იშურებდა, არა, არა, არ იშურებდა ძალღონეს მაინცა. და უფრო კრუტუნებდა ქალი, უფრო ფიცხდებოდა, ეგზნებოდა უფროდაუფრო, ფიცხელდებოდა, ვარვარებდა. ადიოდა და დადიოდა. მოიქნებოდა. მოიგრიხებოდა. გაპხტოდა. სხმარტალებდა. ქანაობდა. კრივია თუ ჭიდაობაო, კლასიკურიო თუ ძიუდოო თუ სამბოო თუ თავისუფალიო, თუნდაც კარატეო, ოღონდ ქართული მაინც არაო, – ამაყი, რაინდული, რო ნააქცევ და რო მოეშვები. არა. არა. რისხვა ჟინად გარდაიქმნებოდა და ვნებაში შთაინთქმეოდა იმპერიული იდეებიცა, ეროვნული იდეებიცა. მაგრამ რაუნდი დამთავრდებოდა. გონგის ხმა გაპყრიდა. გაპყრიდა ცხადია. მიაწყდებოდნენ თავთავიანთ კუთხესა. მაგრამ ეს გონგი სხვაგვარი გამოდგა: იქუხა შემძვრელადა. მთლად „ივერია" შექანდა თითქოსა, ანთუ რა თითქოსა, მართლაც რო შექანდა, მთლად ივერია რო შექანდა იმ ნუთსა. შექანდა. იქუხა. და. იქუხა. იგრიალა. და. იგრიალა. გაიბა. გადაება. მინა ამოდუღდა და ზეცა ჩამოვიდა. ტელეფონმაც დაიზრიალა. გაიწკრიალაო, სხვა დროს იტყვიან. დაიზრიალა. დაიზრიალა. მკლავებს გაუსხლტა, მოულოდნელობისაგან გაშეშებულ მკლავებსა, ქალი, ტელეფონს ეცა: მოვდივარო, ჩასძახა ისე, აღტაცებას რო ვერა ჰფარავდა. შეიმოსა

ელვის უმალა. ჩანთა გადაიგდო, ვიდეო-აპარატი გადაიგდო მხრებზედა და, რო იჭიმავდა წითელ თათმანებსა, ულურტულებდა იმასთან ერთადა:

„ლოგინი თბილად შემინახე, გენაცვალე!..“ ულურტულებდაო და „გენაცვალეს“ ქართულად იტყოდა, ქართულადა და იმდაგვარი ულერადობითა, ალერსითა იმდაგვარითა: ეგება მართლაც რო დალოდებოდა, მართლაც შეენახა ლოგინი თბილადა, სხვა არაფერი რო არ ათბობდა „ივერიასა“, ივერიასაც აღარაფერი აღარ ათბობდა. მზე ამოდიოდა, მზე ჩადიოდა, კვახი მიგორავდა თითქოს ცაზედა, ოლონდ აქ მაინც ისიც სათქმელია: რო დაიგრაგნა ქალი თითქოსა, თითქოს რო ცეცხლი დაიგრაგნაო, რო დაიშხუვლა, და რო გავარდა კარიდან კი არა, – ფანჯრიდანაო, და რო მისდევდა წითელი კუდები, ელვარე კუდები, ბოლიცა ისეთი, მთლად დედამიწა რო შეიბოლებოდა. და ინგრეოდა თბილის-ქალაქი, მეორედ მოსვლას ჰო ელოდა: მოსულიყო. და იგრაგნებოდა ცაი, ვითარცა ნიგნი ნაგრაგნილიო, იოანესი არ იყოს, და მთანიცა და ბორცვნიც შეძრულიყვნენ ადგილთა თვისთაგანა. აცვივოდა ჭურვები სასახლესა მთავრობისაი, უბნებსა სასახლისა, აცვივოდა და აცვივოდა. მთაწმინდაზე კაკანებდა ტყვიამფრქვევები, ავტომატები კაკანებდა. იქ სატელევიზიო კოშკისათვის იბრძოდნენ, აქ სასახლისთვისა. ერთდროულად უნდა ჩაეგდოთ ხელშია, ერთდროულადა, ცალ-ცალკე აღარ გამოდგებოდა. ისროდა სასახლეცა, ჭურვებსაცა, ყველაფერს ისროდა, რისი სროლაც შეიძლებოდა. ელოდა. მომზადებულიყო. გარეთ რო მშვიდობიანი მიტინგებიო, შიგნით ლაშქარი გამაგრებულიყო. ისროდა. ისროდნენ. ოლონდ სასახლეს ცოტა უჭირდა: გარს შემორტყმოდა იმ რიგის შენობანი: მხატვართა გალერეა, ქაშუეთი, მხატვრის სახლი, სახელმწიფო მუზეუმი, მეტრო, მოსწავლეთა სასახლე, სკოლა უძველესი და სამუზეუმოი, ცენტრი კავშირგაბმულობისა, გარს შემორტყმოდა, და ამოპფარებოდნენ აჯანყებულნი, ცოტა უჭირდა და ძალიანაც უჭირდა: ნაგებობანი არ გაიმეტებოდა, გაიმეტებოდნენ აჯანყე-

ბულნი, მაგრამ მიდი და გამოარჩიე აჯანყებულნი ნაგებობათაგანა; სასტუმრო „თბილისიც“ მოხვედრილიყო ამავე ნრეშია და ამაზე იყრიდა ჯავრსა ხელისუფლებაი: ურტყამდა „თბილისსა“, ურტყამდა და ურტყამდა“, „თბილისს“ ურტყამდა და ურტყამდა თბილისსა. შტაბიც იქ მოენყოთ აჯანყებულთა: მისულიყვნენ, ზედ მისდგომოდნენ, როარც ელოდებოდნენ წინააღმდეგობასა ამდაგვარსა, რახან რო აპყარეს ბარიკადები, გამზირი რახან რო მოასუფთავეს, რახან რო რისხვაც შეუთვალეს და რახან რო დაპპირდნენ კიდევაცა, – დერეფანს დაგიგდებთ, ნადი, გაგვშორდი, გაგვეცალეო; რახან რო, რახან რო, რახან რო ერთი სიტყვითა და ათი პასუხითა. რაცთუ რა იყო: ანვიმდა გამზირსა, შემოგარენსა გამზირისაი, ტყვიები აწვიმდა, მოდიოდა სეტყვაი ტყვიისა და მეხიც დასცემოდა ყოველ ნაბიჯზედა აქედანა და იქიდანა, იქიდანა და აქედანა. ხან ყუმბარებიც შეეხლებოდნენ ჰაერშივე ერთიმეორესა, შეეხლებოდნენ, შეეფშხვნებოდნენ, ცეცხლად მოდიოდნენ, ცეცხლად ედებოდნენ ჭადრებსა გამზირისა, ედებოდნენ და ენთო ჭადრები, ნედლივე ენთო, ტკაცუნებდა ნედლი ჭადრები. ჭადრებს მიეჩქმალა სილამაზე რუსთაველისა, არ იყო ცუდი ჭადრები რო იწვოდა, მაგრამ იწვოდა რუსთაველიცა, სილამაზე იწვოდა. იწვოდა. იწვოდა. იწვოდა. იდგა გუგუნი ყურისწამღები. ცვივოდა კედლები ცეცხლმოდებული. სასახლეც ცეცხლში გახვეულიყო. ჩაეკიდებოდა, ამოენთებოდა და თითქოს რო უფრთხოდა კიდევაცაო, ცეცხლი ცხადია. შემოესკვნებოდა და გადაიყრებოდა. თითქოს ჭურვებიც შეეყინებოდა. ეს თითქოსაო რაღა თქმა უნდა, გაძლებით მაინც გამძლე გამოდგა. რკალადმოვლებოდნენ აჯანყებულნი, რკალადმოვლებოდნენ და ერთ მიზანს ურტყამდნენ, აიღებდნენ ერთბაშადაცა, ასე ეგონათ. განნირულიყო. კიდევაც აიღებდნენ. მაგრამ უფრო მტკიცე გამოდგა. შეუვალია თითქოსაო. ტყვეებს აეგოთ და სნორედაც რო ტყვეთა ანაგებს, მონათა ანაგებს გადმოელახა საუკუნენი. ეს ჯერ მხოლოდ რო ნახევარ საუკუნეს ითვლიდა. კიდევაც გაუძლებდა, ახლა თუ გაუძ-

ლებდა. მაგრამ ვაი რი: გაემეტებინათ, ისე ულმერთოდ გაემეტებინათ!.. გაემეტებინათ ერთმანეთიცა: ჟუჟავდნენ ერთმანეთსა: სასახლისათვისა; ანთუ ერთ-ერთი დაინარჩუნებდა, ანთუ არცერთიო, – გაასწორებდნენ მიწასთანა. გაემეტებინათ.

გაემეტებინათ.

სასახლეი.

სასახლე!..

სათავეი შურისა, მტრობის სათავეი, სიმშვიდე როა, აგრეთვე მაშინაცა: ვის რო სასთაული დარჩეს ორხოვასა ზედა, ვის რო ნატი ერგოს, ვის რო ბალიში, ვის რო ნატიცა და ბალიშიცა, ვის რო სავარძელი მხოლოდა, ვის რო ზესკამი სავარძელთა უკანა, ვის რო დგომაი, ფეხზე დგომაი, სასთაულთან ახლოსა; სიმშვიდე როა, აგრეთვე მაშინაცა: ვინ ვის რო გადაუსნროს, ვინ უფრო მიუახლოვდეს სასთაულსა, ვინთუ ამოიდოს სასთაული ქვეშა, – აგრეთვე მაშინაცა, ზოგი რო წინ მიიწევს სასთაულისაკენა, ზოგი რო დილეგში ამოჰყოფს თავსა. ახლოსაცა ყოფილა დილეგი სასახლესთანა. სასახლე ყოფილა შორსა დილეგისაგანა, ოღონდ მომხდარა: დილეგიდან რო სასახლეში ამოუყვიათ თავი. იშვიათადა. იშვიათადა. ისტორია მომსწრეა ყველაფრისა. ისტორია ჯაჭვია უცნაურობათა. სასახლე მაინც უცვლელი ყოფილა. სასახლე. სასახლეი. საწყისი ვნებათა. და. ვნებათა აღსასრული. აღსასრული. ორხოვა. სასთაული. ნატი. ბალიში. სავარძელი. სკამი. მიუტოვებიათ. ყველა მოცლილა. ჩაცვენილან ყველანი სარდაფებშია. ჩარეკილან. იმათ აღარც ამოუშვებენ. ახლა ესაა: ვინ თუ ვის მიასწრებს, ვინ თუ რას ჩაიგდებს ხელშია: ვინ ვისა, ვინ რასა, – ე ბიჭო, მიდი!.. ვის თავზე რა სკამი დატრიალდება, ვის თავზე სავარძელი, ვინ თუ რა ბალიშებს გაფატრავს, ვინ რა ნატს გადაახევს მეტოქესა თავზედა: ე ბიჭო, მიდი!.. მიდი!.. მიდი!.. და აცვივოდა ყუმბარები სასახლესა. არყევდა სვეტებსა. ფანჯრებში იჭრებოდა. აზანზარებდა სარდაფებსა: აი და აჰაა, აი და აჰაა – საძირკვლიანად ამოიღებსო, ამოიღებს, ამოაბრუნებს ბუდესავითა, ამოაბრუ-

ნ̆ებს და დაამხობსო, ვითომც ფაფახია და მეტიც არაფერრიო. ვითომცაო. და მაინც იდგა შეუვალადა. დაგვნებდიო. ᲐᲠᲐᲝ. უშენდნენ. და. უშენდა. დუღდა გული თბილისისაი. ᲘᲡᲔᲓᲐᲪ ᲰᲝ ᲓᲣᲦᲓᲐ: ᲗᲑᲘᲚ ᲬᲧᲚᲔᲑᲖᲔ ᲘᲓᲒᲐ, ᲗᲑᲘᲚᲖᲔ, ᲪᲮᲔᲚᲖᲔ, ᲛᲓᲣᲦᲐᲠᲔᲖᲔᲓᲐ, – ᲘᲓᲒᲐ ᲓᲐ ᲓᲣᲦᲓᲐ, ᲓᲣᲦᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲓᲣᲦᲔᲑᲓᲐ: ᲗᲣ ᲛᲘᲰᲮᲕᲓᲐ ᲒᲝᲠᲒᲐᲡᲐᲚᲘ: ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲓᲣᲦᲐᲠᲔᲑᲐ ᲠᲝ ᲔᲬᲔᲠᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡᲐ, ᲓᲐᲭᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲛᲘᲜᲝ ᲠᲝ ᲩᲐᲣᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲓᲣᲦᲐᲠᲔᲨᲘᲐ, – ᲗᲣ ᲛᲘᲰᲮᲕᲓᲐ, ᲰᲐ?.. ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ ᲕᲔᲠ ᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑ, ᲛᲔᲢᲔᲮᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ ᲫᲔᲒᲚᲘᲡᲐ. ᲐᲚᲑᲐᲗ ᲗᲣ ᲰᲒᲝᲜᲘᲐ: ᲪᲘᲮᲔᲡᲘᲛᲐᲒᲠᲔ ᲨᲔᲣᲕᲐᲚᲘ ᲛᲝᲕᲣᲞᲝᲕᲔ ᲨᲕᲘᲚᲗᲐ ᲩᲔᲛᲗᲐ, ᲛᲝᲣᲡᲕᲔᲜᲐᲠᲘ ᲛᲪᲮᲔᲗᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓᲝ. ᲰᲒᲝᲜᲘᲐ?.. ᲔᲒᲝᲜᲝᲡ!.. ᲛᲪᲮᲔᲗᲐᲡ ᲨᲔᲛᲝᲠᲩᲐ ᲔᲠᲗᲘᲦᲐ ᲓᲐᲦᲘ, – ᲓᲐᲦᲘ ᲠᲝᲛᲐᲔᲚᲗᲐ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲡ ᲓᲐᲡᲓᲔᲑᲘᲐ ᲣᲐᲛᲠᲐᲕᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲑᲔᲕᲠᲘ, ᲠᲐ ᲔᲜᲐ ᲛᲝᲡᲗᲕᲚᲘᲡ, ᲠᲐ ᲧᲣᲠᲘ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲔᲑᲡ, ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲐᲪ ᲠᲝ ᲐᲦᲐᲠ ᲓᲐᲘᲜᲓᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲡᲐ: ᲚᲐᲛᲘᲡ ᲗᲐᲕᲘ ᲐᲛᲝᲘᲭᲐᲛᲝᲡ. ᲓᲐ ᲰᲥᲣᲮᲡ ᲓᲐ ᲒᲣᲒᲣᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲘᲜᲒᲠᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲘᲪᲚᲔᲑᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲓᲔᲕᲡ ᲡᲐᲡᲗᲐᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲒᲐᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲝᲠᲮᲝᲕᲐ ᲓᲐᲤᲔᲜᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲡᲜᲠᲔᲑᲡ: ᲘᲡᲔᲕ ᲘᲡᲘᲜᲘ, ᲡᲐᲠᲓᲐᲤᲔᲑᲨᲘ ᲠᲝ ᲩᲐᲛᲐᲚᲣᲚᲐᲜ, ᲗᲣ ᲐᲮᲚᲐ ᲔᲡᲔᲜᲘ, „ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ“ ᲠᲝ ᲒᲐᲰᲧᲣᲠᲔᲑᲔᲜ, – ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲨᲔᲐᲡᲜᲠᲔᲑᲡ, ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲔᲛᲡ ᲐᲜᲐᲗᲔᲛᲐᲡᲐ. ᲐᲜᲐᲗᲔᲛᲐ!.. ᲐᲜᲐᲗᲔᲛᲐ!.. ᲐᲜᲐᲗᲔᲛᲐ!.. ᲐᲥᲔᲗ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ, ᲘᲥᲘᲗ ᲐᲜᲐᲗᲔᲛᲐ, ᲨᲣᲐᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ᲠᲝ ᲓᲣᲦᲡ, ᲠᲝ ᲘᲜᲕᲘᲡ, ᲠᲝ ᲘᲜᲠᲘᲢᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ, ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ: ᲔᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ, ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗᲐ. ᲔᲠᲘ ᲗᲣ ᲮᲐᲚᲮᲘ?!. ᲮᲐᲚᲮᲘ ᲗᲣ ᲔᲠᲘ?!. ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ, ᲕᲜᲔᲑᲐᲜᲘ ᲛᲓᲐᲑᲐᲚᲘ, ᲣᲪᲕᲚᲔᲚᲘ, ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ. ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛ: ᲙᲐᲪᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲕᲔᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛ?!. ᲠᲐᲡ ᲘᲖᲐᲛ?!. ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲐᲜᲕᲘᲛᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ ᲢᲔᲚᲔᲡᲐᲓᲒᲣᲠᲡᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘᲐ ᲓᲐ ᲢᲧᲕᲘᲐ ᲐᲜᲕᲘᲛᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲡᲓᲘᲡ ᲜᲐᲛᲡᲮᲕᲠᲔᲕᲔᲑᲘ „ᲒᲠᲐᲓᲘᲡᲐ“ ᲓᲐ „ᲐᲚᲐᲖᲐᲜᲘᲡᲐ“ ᲓᲐ ᲘᲠᲧᲔᲕᲐ ᲛᲝᲡᲐᲒᲚᲔᲯᲐᲓᲐ ᲗᲣ ᲑᲐᲠᲔᲦᲐᲛ ᲒᲐᲡᲐᲭᲧᲚᲔᲢᲐᲓᲐ, ᲛᲐᲜᲐᲛᲓᲔ ᲪᲔᲪᲮᲚᲛᲐ ᲗᲣ ᲐᲠ ᲓᲐᲑᲣᲒᲐ ᲓᲐ ᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲞᲔᲢᲠᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲪᲐ, ᲠᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲔᲚᲘᲡ ᲠᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲔᲒᲔᲑᲐ, ᲐᲡᲓᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲦᲠᲘᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲢᲔᲑᲓᲐᲙᲣᲛᲨᲣᲚᲘ:

„ᲒᲔᲡᲛᲘᲗ ᲠᲐ ᲰᲮᲓᲔᲑᲐ: ᲘᲦᲣᲞᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲘᲦᲣᲞᲔᲑᲐ!.. ᲛᲝᲓᲘᲗ, ᲓᲐᲘᲪᲐᲕᲘᲗ!.. ᲛᲝᲓᲘᲗ!.. ᲛᲝᲓᲘᲗ!.. ᲘᲐᲠᲐᲦᲘ ᲗᲣ ᲐᲠ

გაგაჩნიათ, ჯაყვა მოიტანეთ, ჯაყვით დაიცავით; რითიც გინდათ დაიცავით, ოღონდ დაიცავით!.. მოდით, მოდით. მოდით, ჯაყვა მოიტანეთ!.. ილია მეორე, სადა ბრძანდები, ახლა რაღას იტყვი?!. მოდი, მოდი და ნახე რა ამბავია!.. ირინა!.. შენ არა ხარ ირინა, არა, არა. არა!.. შენ ირინე ხარ: ირინე ხარ, ირინე ხარ, ირინე ხარ!!!.. არა გნებავს ირინეობა?!. ქართული სახელი არ გეპიტნავება?!. ირინე ხარ!.. ირინე ხარ!.. ირინე ხარ!.. რუსლან!.. შენ თითონ იცი, რაცა ხარ: შე... შე... შე... რაცა ხარ. მოდით, მოდით, ჯაყვა მოიტანეთ!.. ჯაყვა... ჯა... ჯა... ჯა... ჯა... ჯა..." და კიდევ რაო, შთაინთქმევა შემზარავ გრიალში. შთაინთქმევა და გამოიკვეთება:

„თებერვალი..."

„რუსლან..."

„ირინა..."

„მოგელანდებით!.. მოოოგეეელანდებით!.."

შთაინთქმევა და გამოიკვეთება. ასეთ ყოფაში უკეთესად ვერას იტყოდა ვერც ციცერონი, თუმცა ძაგძაგით ისევე ძაგძაგებდა, ანთუ უარესადა, ციცერონს რო ემართებოდა რომის ფორუმზედა. უარესადა. უარესადა. რაღა თქმა უნდა. ძაგძაგებდა. ირყეოდა. ვარდებოდა. ნაივლებდა ხელებსა თავზე მალიმალადა, თითქოსაო: „გრადმა" ნაართვა და უნდა გამოსტაცოსო.

„ცეცხლი!.." ბრძანებდა თავისასა, „თბილისი", ცეცხლი ბურბურებდა გულში თბილისისა. ცეცხლი. ცეცხლი. ცეცხლი. და დაეძებდა მარჩელოს მეტრიკულ ამონაწერსა დაუმცხრალი მაძიებელი: „დაიბადა სადღაც რომში, მარსელსა თუ ნეაპოლში..." ორბელიანთა ბაღში დაეძებდა. ეს თუ ბოლოშიო, თავში აშუღი დაიმღეროდა: „ოღონდ ჩემი იყავი და სადაც გინდა, იქ ილოცე". აშუღიო თუ მოაშუღო დარდიმანდიო; რაც იყო, იყო, დაიმღეროდა, ისეთი ეშხითა: ფეხებზე რო ეკიდა რჯული მამაპაპათა. დიდი ბოდიში, მაგრამ მაპატიებ, სხვაგვარად რო არ ითქმის უკეთესადა: „ოღონდ ჩემი იყავი და სადაც გინდა იქ ილოცე" – ანაღვლე!.. ვითომ რწმენა არაფერიო. უბედურებაც ესა ყოფილა. ოღონდ ისიცა: ლხინშიცა მღერის, ჭირშიცა მღერის

ქართველიო. ამდენს რო მღერის, აღარ იცის თუ რა იმღეროს. 9 აპრილსაც სიმღერით შევხვდითო; ეს: ბრმები მღეროდნენ. სიბნელეს მიარღვევდნენ ბრმები. ვერ იმღერებდნენ მაშინ თვალხილულნი, არც უმღერიათ რაღა თქმა უნდა. არც ისე ქარაფშუტანი უნდა ვიყვეთ, უცხოელები როგორც დაგვცინიან. ბალანჩინს მაინც შევცოდებივართ: მოწყენილია და მოძველებული ქალაქი თბილისი, ნიშატი არ ეტყობა თანამედროვე სიცოცხლისაო. ნიშატიო, ნიშატიო, ნიშატიც არაო. შევცოდებივართ. მაინც ჩვენიანი გახლდა, მაინც გულდამწვარი თბილისისათვისა. და დუღდა ეს მოძველებული ქალაქი, უსიცოცხლო ქალაქი დუღდა, ანთუ თავი რო ამოეჭამა საბოლოოდა, ანთუ რო შეეძინა სიცოცხლეი ახალი. დუღდა. დუღდა. მდუღარ წყაროებზე დაფუძნებული. დუღდა. რაღა თბილისიო: მთლად საქართველო გაწოლილიყო მდუღარ წყლებზედა. დუღდა.

და მაინც: „მარჩელო!.. მარჩელო!.."

და მაინც: „ოღონდ ჩემი იყავი და სადაც გინდა, იქ ილოცე".

და მაინც: „ცხრა ლახვარი რომ დამარტყან ცხრაჯერ გულში..."

და ფართხალებდა მიმინოი გაფუფქული.

XXIII

მყინვარწვერიდან დაჰყურებდა მთავარანგელოზი გაბრიელი. მთავარანგელოზი ღმერთს წარმოეგზავნა. ღმერთი განაწყენებულიყო.

ზურაბ წერეთლის ატელიეში შეჰხვედროდა ბ-ნი კიტოვანი ბ-ნ გრაჩოვსა: მოსკოვში, ტვერის ბულვარზედა. ოქტომბერში. ოქტომბერში თუ ჩვენს მხარეს ჩაგივლიაო, – იყო ასეთი სიმღერაცა. ლაღი, უნყინარი სიმღერა იყო. საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო: მოქანდაკე სნვეოდა მოქანდაკესა, – კიტოვანი წერეთელსა; თუმცა ჯერ არავის არ ენახა ნაქანდაკევი კიტოვანისა, მაგრამ წერეთლისა ჰო

ენახათ, – აქაცა, იქაცა, იაპონიაშიცა, ამერიკაშიცა, – ენახათ. საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო. შემთხვევით გრაჩოვიც მაშინა სწვეოდა სახელგანთქმულ მოქანდაკესა, – გრაჩოვი, გენერალი ფართო გაქანებისა, თაყვანისმცემელი ხელოვნებისა, ქანდაკებისა. საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო. რუსეთის თავდაცვის მინისტრობას უწინასწარმეტყველებდნენ გრაჩოვსა, ჯერ საიმპერიო შტაბს განაგებდა, რუსეთის საიდუმლო საიმპერიო შტაბსა. საიდუმლო საიდუმლოა, საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო.

სახელდახელო სუფრაც გაიშალა. საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო, – სადაც ერთი ქართველია, იქ სუფრაც არის, მითუმეტეს რო ორი გახლდა ქართველი და ერთი რუსი. ქართველებს ცილაობაც მოუვიდოდათ: არა თუ მე უნდა ვიყვე მასპინძელი, არა თუ მეო. იქ მაინც ბ-ნი ნერეთელი მასპინძლობდა. გენერლები წრუპავდნენ კონიაკსა, გენერლები – ერთი მართალი, მეორე ტყუილი, – წრუპავდნენ. და ტკბილადა ჭუკჭუკებდნენ. ნერეთელი „კოლუმბს" გაეტაცნა. გრანდიოზული რამ შეექმნა, გრანდიოზული, უფრო დიადი ეოცნებებოდა: ცალი ფეხი რო ევროპაში ჰქონოდა, მეორე ამერიკაში, ლაჯებში ხიდი გაეკიდა, – გემი გადავარდნილიყო მოდიდანა ატლანტის ოკეანეში, როგორც რო ტრამვაი დიდ ქალაქებშიო, – წელიც აეზიდნა შესაფერისადა, წელი და მკერდი, მკერდი და კისერი, გაეკვეთა რო მთოვარის ცაი, რომელსა სახელედების ჭირანო; და მერე ერმის ცა, რომელსა ეწოდების ცორანო; და მერმე აფროდის ცა, რომელსა ეწოდების მელტარო; მერმე მზის ცა, რომელსა ეწოდების კოჭიმელი; მერე არიას ცა, რომელსა ეწოდების ჭიმჭიმელი, მერე დიას ცა, რომელსა ეწოდების კიმკიმელი; მერე კრონოსის ცა, რომელსა ეწოდების არბასტრო; მერმე ვარსკვლავთა ცა, რომელი აღმოსავლით დასავლად მიიქცევის; მერმე მეორე მძვრელი ცა და მერმე პირველი მძვრელი ცა, რომელი ყოველთა ცათა აღმოსავლით დასავლად გარდააბრუნებს და მსგავსი არს ბროლისა. ხოლო გარეგანი ცაი არს სამყარო, რომელ შე-

ცულ არს სასუფევლისაგან, – გაეკვეთა, აეზიდა და თავი გადაეყო მეცხრე ცაზედა – სამყოფელში ზეციერისა. და შეშფოთდა ღმერთი და იხმო გაბრიელ მთავარანგელოზი.

ღმერთი: რამ გადარია ქართველები?!.

მთავარანგელოზი: დამოუკიდებლობამა.

გენერლები ვახტანგურსა სვამდნენ. დალიეს. გადაპკოცნეს ერთმანეთიცა, ვითარცა წესია. ბ-ნ გრაჩოვმა ჭიქა დაიბერტყა ცერზედა, ბ-ნ კიტოვანმაცა. გრაჩოვმა ჩაბუქნა. დაუარა. დაუარა. ბ-ნი კიტოვანი იკრიჭებოდა, – დავათვერიო, იკრიჭებოდა და თვალს უკრავდა ბ-ნ წერეთელსა.

ღმერთი: არა ღირს არიან.

და ფრთა შემოჰკრა ფრთასა მთავარანგელოზმა. ღვთიშობელს შეუარა.

ღვთიშობელი: მე მაგათზე თავიდანვე ავიღე ხელი.

და ფრთა შემოჰკრა ფრთასა მთავარანგელოზმა. შეუარა წმიდა ნინოსა.

წმიდა ნინო: ვინ გარდავა ნებასა ღვთისა?! – და მიიხუტა ჯვარი გულზედა, ჯვარი ვაზისაი. ატირდა ვაზი. მიმინო ჰო იფუფქებოდა.

და ფრთა შემოჰკრა ფრთასა მთავარანგელოზმა და ჩამოჯდა მყინვარწვერზედა.

ლანამ აიჩემა: ანგელოზი გამომეცხადა, თვალს მარიდებდა, – ჩემი დღეები დათვლილიაო. იქიდან ჰო გამოვექეცი, აქაც მომყვნენო, ველარ გავუძლებ მე ამ რისხვასაო.

თუმცა სროლის ხმა აღარ მოისმის. რუსთაველი ბოლავს. ბრძოლა ჩამცხრალა, – ანთუ ომიაო, – ომი რა თქმა უნდა, ყველანაირი იარაღი რო ამოქმედებულიყო, ყველანაირი, ატომის გარდა. ხიროსიმასა და ნაგასაკას მერე ჰო აღარც გამოუყენებიათ ატომის ბომბი, – სხვა დანარჩენი ყველა მოქმედებდა. ჩამცხრალა, ოღონდ განთიადისასა. და. ბოლავს გარემოი. ბოლავს მხატვრის სახლი. ბოლავს „თბილისი". ხელოვნების ინსტიტუტი ბოლავს. საცხოვრებელი სახლები ბოლავს. სკოლაცა ბოლავს, პირველი სკოლაი. აქ რო უსწავლიათ პრეზიდენტსა და გვარდიის მეთა-

ურსა იმისასა, ერთად უსწავლიათ. ფუნიკულორზედაც ასულან ერთადა პატარა გამსახურდია და პატარა კიტოვანი. შენ ჩემი მარშალი იქნები, – უთქვამს პატარა გამსახურდიასა. აქ დავდგამ ზარბაზანსა და ჩვენს სკოლას დავუშენო, – არც შეყოყმანებულა პატარა კიტოვანი. მასწავლებლები არ უყვარდა პატარა კიტოვანსა. სკოლა გაემეტებინა. და ბოლავს. ბოლავს. რუსთაველი ბოლავს. ნატისუსალი მოსდებია ქალაქ-თბილისსა. ქარი არა ჰქრის. ქარი არა ჰქრის. ნატისუსალი ვერ გაუტანია ქალაქიდანა. გუბდება. გუბდება. მთებს შორისა გუბდება. მტკვარიც უძალია, მტკვარი ტურტლიანი. ფრონტის ხაზი გადმონეულა ჭავჭავაძის ქუჩის გადასწვრივა, ალექსანდრე ჭავჭავაძისა. აქ დაფრთხობია ცხენები პოეტ-გენერალსა, აქ ჩაუხვევია ჩოხის კალთები ეტლის ბორბლებსა. აქ დალეწილა. ვის როგორი სიკვდილი უწევს!.. ასამდე გვარდიელს ითვლიან იმღამეს რო დაიღუპაო. აყრილა შტაბი აჯანყებულთა „თბილისიდანა", ახლა „იმელს" შეჰფარებია. ბოლავს. ხალხი მაინც გამოფენილა. ბოლი გადასდით თავპირზედა. ნატისუსალი ცხვირს ულიტინებს. გამოფენილან მომხრეენიცა პრეზიდენტისა, მომხრენიცა ამ ახალი დემოკრატიისა: თავჩაქინდრულნი მომხრეები პრეზიდენტისა, თავაწეულნი მომხრეები დემოკრატიისა. მოლაპარაკება მიმდინარეობსო. პრეზიდენტი გადადგომას აპირებსო. „არავითარი გადადგომა", ჰქუხს ვინმე ქუჩის აგიტატორი, „დიქტატორი უნდა დაემხოს!.. დიქტატურა უნდა დაემხოს!.. საქართველო არასოდეს არა ყოფილა დიქტატურის ქვეყანა და არც არასოდეს დაიჩოქებს დიქტატორის ნინაშე!.." კეთილი, მაგრამ ნეტავ თუ სჯერაო. ლუოა. ის არა, ესა, რა მალე დავიწყებია სოციალიზმიო. ლუოა. იქ დედაა შეწუხებული. უნდა გაიგოს: მოთავდა თუ არა ყველაფერი. იმ ღამეს გადარჩნენ. რას უქადდა სხვა ღამეები. უნდა გაიგოს. მოლაპარაკება მიმდინარეობსო. ერთი შეტევის იმედი ჰქონდათ. და ცხარეც გამოდგა შეტევაი იგი. პირველი რაზმებიც შეახოცეს. რეზერვიც არა ჰყავდათ. ერთი შეტევის იმედი ჰქონდათ.

პრეზიდენტი გამაგრებულიყო.

გამოეედევნა კიდევაცა ჭავჭავაძის ქუჩამდისა.

რეზერვი უნდოდა ბ-ნ კიტოვანსა. იარაღისა დარდი არა პქონდა, არც იარაღისა, არც ტყვია-ნამლისა: გახსნილიყო რუსთა ვაზიანის საწყობები ამისათვისა, რამდენიც ენება, არც რო უთვლიდნენ, არც რო არაფერსა სთხოვდნენ. ღამის დაბომბვებიც არ ანუხებდა: ერთგულად მოქმედებდნენ პეჩორის სპეცდანიშნულების დივიზიის ჯარისკაცები, ერთგულადა, გაბედულადა, გამოცდილადა, ულმობლადა, რაც მთავარია. იერიშზე უარს ამბობდნენ: ჩვენ არ ვერევით თქვენს საქმეშიო. და პატრიკიევმაც განუცხადა მსოფლიოსა: ჩვენ არ ვერევით არავის საქმეში, ჩვენ მტკიცე ნეიტრალიტეტს ვიცავთო. ყველაფერი გარიგებულიყო. მხოლოდ ესაა: რო რეზერვი უნდოდა კიტოვანსა გადამწყვეტი იერიშისათვისა. ჯაბა!.. მხედრიონი!.. ციხეში ისხდნენ. დიდი ნაწილი გაფანტულიყო. კმაროდა ჯაბას ერთი დაძახილი: შემოკრბებოდნენ. ციხე ხელთ გახლდა კიტოვანისა. ყველაფერი იმის ხელთ იყო, სასახლისა და კოშკის გარდა ტელევიზიისა. კოშკი უფრო ეჩქარებოდა. გამოეშვა თუ არა?.. გამოეშვა თუ არა?.. ჯაბაი ცხადია. უკვე ორნი იყვნენ, წილში მესამე ეზედმეტებოდა. სიგუა სჭირდებოდა, ლაპარაკი რო უძნელდებოდა თვითონა. სიგუაც არ გახლდა დიდი ორატორი, დემოსთენეობას ვერ დაიტრაბახებდა, მაგრამ შეეძლო, სამ წუთს მაინცა, დაზეპირებული გაემეორებინა. ესეც უკვირდა კიტოვანსა, ანთუ ამითაც კმაყოფილდებოდა. მჭევრმეტყველებას ვერც რო ჯაბა დაიტრაბახებდა, არ ეშინოდა ამისი ცხადია, – იმისი მხედრიონისა ეშინოდა, და იმისი დაუთმობლობისა. გამოეშვა თუ არა?.. გამოეშვა თუ არა?.. გამოეშვა თუ არა?.. შიში ითაკილა. რეკავდნენ კიდევაცა მოსკოვიდანა: რა გემართებათო. მიმხვდარიყო თუ ვერც მიმხვდარიყო: ვინც რო რეკავდა, ანთუ ვინც რო არეკინებდა. გრაჩოვთან თუ ვინ შეახვედრა, – მიმხვდარიყო თუ ვერცაო. სიგუაც რო წარმოადგინეს ოსტანკინოს ტელევიზიითა: ვისი ნყალობითაცა, – მიმხვდარიყო. ალაპარაკეს ერთი წუთითა,

თუმცა რო სამი თამამად შეეძლო. მიმხვდარიყო, და ვერც მიმხვდარიყო: რაღაცას მიმხვდარიყო და რაღაცას ვერა, ოღონდ თუ მაინც რაც უნდა ყოფილიყო, იქ ჯაბა უთუოდ გამოადგებოდა. შიში ითაკილა. ბრძანა: „გამოუშვით!.."

ეს ასე მოჰხდა. ყოველშემთხვევაში: მე ასე დამარწმუნეს.

მესტვირემ მაინც თავისებურად გადაიღო:

ზარბაზანმა დაიქუხა, ზღვას ასწევს და მთას ასწევსა.
ჯაბას ცეცხლი ეკიდება და იგლიჯავს თმა და წვერსა:
„ახლა მე აქ რას ვუზივარ, ვაი, დედიჩემის ღმერთსა!
მე რო ამ ციხეში მოვკვდე, ბიჭობას ვინ დამიგდებსა?!"
გარეთ ქლიბი შეუთვალა, შეუგდებენ ათას ქლიბსა.
გადახერხავს, გადაამტვრევს და გადაჰყრის ბორკილებსა:
„ფუ, მომგონი არ გიცხონდეს, ფუ, გამჭედი გაგინყდესა!"
რვაკლიტულები დალეწა, მეცხრეც ვეღარ გაუძლებსა.
გიას, გოგას ნამოიყვანს, ყველა ნაფიც ძმობილებსა.
კულუმბეგოვი არ დარჩეთ, – ნინასნარ ის გადმოსვესა.
სახეზე მური მოსწმინდეს, ხელში დამბაჩა მისცესა:
„ჩვენ რო პირდაპირ მივუვალთ, შენ ბეჭებში დაეც ესა!"

ორთაჭალის ქუჩაბანდებს ჯაბა ფეხით გამოჰყვესა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა:
„უშენობით მოგვენყინა, ვეღარ ვამბობთ - ალავერდსა!"
სტუდენტები იძახიან: „კი, კი, კი, კი და კი-სა!"
სომხები გაიძახიან: „ლავე ბიჭი არის ესა!"
რუსები: „ოჩენ ხაროში, ეი ბოღუ მალადეცა!"
მხედრიონი გაიძახის: „ველოდებით მაგ მოყმესა!"
პატარძლები იძახიან: „ნეტავი შენს მეუღლესა!
შენ ციხეს ვერ შელევიხარ, დაგვიშორა ბედი ბედსა".
მოუბრუნდება ჯაბული, კამბეჩივით შეუბღვერსა:
„ჩამომეცალეთ ყველანი, შემახედეთ თენგიზებსა!"

მესტვირე ისევ ლექსებს გაჰყვება, მეც ისევ პროზას მივუბრუნდები: ბრძანამეთქი ერთისიტყვითა. დასამდნენ ორნი. მესტვირეც ჰო ამბობს: შემახედეთ თენგიზებსაო. შეახედეს. შეჰხვდნენ. გადაეჭვდნენ. სამი მუშკეტერიო, – ბრძანა ქ-ნ გელაშვილმა. უპრიანი იყო, წერეთელს რო ებ-

რძანებინა, აქაურ წერეთელსა. წერეთელი აქ, წერეთელი იქ. ფიგარო აქ, ფიგარო იქ. ის მაინც ერთი ფიგარო გახლდა, ეს – ორი: ორი წერეთელი. იქისა ითქვა. „სამი მუშკეტერი" უნდა წაეკითხა აქასა. არ შეესრულებინა დავალება პრეზიდენტისა. წერეთელიც იქნებოდა და გამსახურდიას გაუგონებდა!.. 21 წლის კონსტიტუციას უკითხავდა ბ-ნი სუმბათაშვილი, – სემინარიელების კონსტიტუციასა, – ცრემლად იღვრებოდა და ისე უკითხავდა. ველარ მოესვენა ბ-ნ წერეთელსა, წამომხტარიყო, დაბაჯბაჯებდა ერთ ადგილასა, ვიღაცას მუშტებს ულერებდა და იმუქრებოდა: „ჩვენ ამას განვახორციელებთ!.. განვახორციელებთ, განვახორციელებთ!.." იმათ მაინც ჯერ სამი მუშკეტერიც შეიფერეს, მერე ამჯობინეს ტრიუმვირატი. მრჩევლები ჰყავდათ. ემატებოდნენ. და. ემატებოდნენ. პეჩორის დივიზიის ოფიცრობა ცალკე ბრძანდებოდა, სხვა რჩევანი ჰქონდა, სხვა დავალებას ასრულებდა. ეს რჩეულები ემატებოდნენ თბილისისაი, ადგილებს იბევებდნენ მომავალ ხელისუფლებაში, მოჰქონდათ და მოჰქონდათ რჩევანი უამრავი, ტრიუმვირატი იქიდან აირჩიეს. ტრიუმვირატი: ოქტავიანე, ანტონიუს, ლეპიდუს. აირჩიეს. ამჯობინეს. თავი მოჰქონდა თვითეულსა ოქტავიანედა. თვითეულს მაინც, თვითეულს მაინც სხვა ვიღაცაც ელანდებოდა. სიგუა ბურტყუნებდა. ვისთან დაფრინავენ მოსკოვსა ეს ჩვენი გამოჩენილი ინტელიგენტებიო, ახლად წამოჩეკილი ინტელიგენტუნებიცაო, – იფშხალებოდა კიტოვანი. ჯაბა უფრო ეგუებოდა: ჩვენ სამი ბლუ ვართ, ვინმე გვინდა ენამჭრელიო. სიგუა ნყრებოდა: როგორთუ ბლუო. ანძის აღებას ეშურებოდა: ნახავთ თუ ბლუ ვარო. კიტოვანი იკრიჭებოდა: ჩემი ერთი სიტყვაცა კმარაო. გამოუშვითო. და. გამოუშვეს. ეს ჯაბა – ჰო: ოთხიათასი პატიმარი სხვა გამოუშვეს. შემოსეს. აასხეს იარაღი. ორიათასი შარაგზაზე გავიდა იქიდანვე. ორიათასმა ცოტა ინამუსა, – გარსშემოენყო სასახლესა პრეზიდენტისა, თან თვალი რჩებოდა თრიალეთის მთებისაკენა, კუკიის მთებისაკენა: ცხვარი გორას მოეფარაო. გამოუშვეს ჰო №1 პატიმარიცა. კულუმბეგოვი.

თქვენვე მიმაბრძანეთ ცხინვალსაო. გზაში არაფერი მომეწიოსო. მიაბრძანეს. ჩასვეს ტანკში ახლათახალში. გააყოლეს გამცილებელნი. ᲐᲦარც ტანკი გამოაბრუნა, დაატყვევა გამცილებელნიცა. და დაუშინა ისევ ისევე თამარაშენსა, კეხვსა, ქურთასა, ერედვსა, ვანათსა, დაუშინა და დაუშინა რუსული ყუმბარები, ესენიც რო იგივე ყუმბარებს უშენდნენ სასახლესა პრეზიდენტისა. იმან ისევე – და იმიტომაც დააპატიმრა პრეზიდენტმა. ამათ ᲰᲝ გამოუშვეს და მიაბრძანეს?.. მესტვირე მაინც დამღეროდა თავისებურადა... მაგრამ და მაგრამ, მაგარიც ისა: ლექსი ლექსად რო აღარ მაგონდება. ეს მაინც მახსოვს: ნაზუქებიო, – იმეორებდა, – ნაზუქები გაატანესო. მეტაფორაა ეს მესტვირისა. ნაზუქები ალბათ ის ᲭᲣᲠᲕᲔᲑᲘᲐ, რო ანვიმდა შიგაქართლსა, შიგათბილისსაც რო ანვიმდა. ალბათაცაო და მართლადაცაო. იწვოდა სასახლეი, შემოგარენი სასახლისა იწვოდა. მატულობდნენ ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲜᲘ სამაჩაბლოდანა, თბილისიდანაცა მატულობდნენ: შიგათბილისიდან გარეთბილისშია. აქვე მოეყარა ᲰᲝ ᲮᲐᲚᲮᲘ მინისძვრასაცა, – უკვე ვეღარ უძლებდა თბილისი, მალე სულ ვეღარ გაუძლებდა. სასახლეც მალე დაეცემოდა, – რა ვუყოთ რო მკვიდრად ნაგები, – რო არ იშურებდნენ ᲚᲝᲜᲔᲡᲐ ᲞᲔᲩᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘ, გაგვარდიელებული ᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲘᲪ რო არ იშურებდნენ: ცხვარი გორას მოეფარაო. ცეცხლი ეკიდა სასახლესა. მიეტოვებინათ ზემოსართულები, ეზოსღა იცავდნენ. ეზოსა და სარდაფებსა. ძირფესვიანად უნდა მოითხაროსო, – მოახსენებდა ბ-ნი ყარყარაშვილი ᲢᲠᲘᲣᲛᲕᲘᲠᲐᲢᲣᲡᲐ, – ეგ სასახლე მაინც აღარ გვინდა, სახელი გაიტეხა, მანდ ეკლესია ავაშენოთო. იქ ეკლესია უკვე იყო. ანთუ გაეგონა, ანთუ თავისად მოᲰᲤᲘᲥᲠᲔᲑᲝᲓᲐ. იყო. იყო ნიშანსვეტი იმპერიისა, ნეველის ეკლესია, კავკასიის დაპყრობის ნიშანსვეტი. ვეება რამ იდგა. გადაეყლაპა რო ქაშუეთი, აᲰᲤᲐᲠᲔᲑᲝᲓᲐ მამადავითსაცა. ეზოში იდგა ძეგლი უამრავი დამპყრობელისა; მთავარმართებლებისა, გენერლებისა, ᲢᲘᲢᲣᲚᲝᲕᲐᲜ ᲩᲘᲜᲝᲕᲜᲘᲙᲔᲑᲘᲡᲐ, სხვათა, მრავალთა, დამპყრობელთა დამქაშებისა, ქართული გვარები რუსულად რო ბოლოვდებოდა.

იყო. იქვე სამხედრო მუზეუმი. გამოფენილი სამხედრო იარაღი, გზაგამოვლილი პეტერბურგიდან ერევნამდისა, გზაგამოვლილი, ნაბრძოლი, შემოსილი დიდებითა. იყო. მუზეუმიც იყო: ახლა სამხატვრო გალერეა, ტყვიის ქვეშ რო მოქცეულიყო იქიდანაცა და აქედანაცა, აქედანაცა და იქიდანაცა, იქიდანაცა და აქედანაცა. დაჰხვეოდა ტარაბუაი. ამას მაინც სულ ველარ გაეგო თუ რა ჰხდებოდა: აქეთაც რო ის იყო და იქითაც რო ეს იყო და მაინც რო თავსაკლავდნენ ერთიმეორესა. ვერ გაეგო. ვერა გაეგო. ვერც რო გაეგოთ პეჩორის ოფიცრებსა, იმათ გაგებაც რო არ უნდოდათ: მიაყენეს და დასცხეთო, – უბრძანეს, უბრძანეს და დასცხეს, დასცხეთო და ურტყამდნენ. ურტყამდნენ. ურტყამდნენ. ურტყამდნენ ღამე, დღის სინათლეს ემალებოდნენ. ჩვენ ვიცავთ მტკიცე ნეიტრალიტეტსაო, – პატრიკიევი აცხადებდა დღისითა. ვინ უნყის უჯერებდნენ, ვინ უნყის რო არცა, მოპასუხე მაინც არ იყო. გატვრენილიყო ქვეყნიერება. ინვოდა გული თბილისისაი.

ესენი მიინევდნენ, –

წაინევდნენ

და

დაიხევდნენ. სასახლე ინვოდა ერთ ადგილასა. ღამე იძუძგებოდნენ თავზარდაცემულნი. თავზარი ესხა შუათბილისსა. დღისით მაინც გამოიშლებოდნენ: თუ გადავრჩითო, რო გაეგოთ, ანთუ შეეტყოთ, კიდევ რა გველისო. ლუოს უჭირდა, რაიმე გაერკვია, სხვადასხვა ხმები რო ირეოდა, ვისაც რა უნდოდა, იმას ამტკიცებდა:

სიგუამ თავი მოიკლაო, – ამტკიცებდნენ.

კიტოვანი ისევ ზღვას მიუბრუნდაო, – ამტკიცებდნენ.

იქაც დაარბია ეპიტაშვილმა, აღარც იციან თუ საით გაიქცაო, – ამტკიცებდნენ თუ ვარაუდობდნენ: დარიალისკენაო, როკისკენაო თუ ისევ რკონს მიუბრუნდაო. მერე უარობდა ეპიტაშვილი, თავს იკლავდა ეპიტაშვილი: როგორაო, ვინა სთქვაო, როგორ გავიმეტებდი მე კიტოვანსაო. თავს იკლავდა. იფიცებოდა. ეს მერე, მერე, მერე ბევრი რამ გამოირკვევოდა, მაშინ ამბობდა ვისაც რა სურდა:

გამსახურდია გაქცევას არის, იმუდარება ცოცხალი გამიშვითო, – ვისაც რა სურდა.

გამსახურდია აღარც რას განაგებს, გონებაზე აღარ არისო, – ვისაც რა სურდა.

გამსახურდია ნებდებოდა აჯანყებულთა, ქალებმა არ დაანებესო, – ვისაც რა სურდა. და ცხარობდნენ კიბის ქალები, გოგუაძის კიბისა, კვარაცხელიას კიბისა, – ცხენის ძუაზე უნდა გამოაბა ეგ სასახლის ქალბატონებიო. ცხენის ძუაზეო. ცხენის ძუაზეო. და მისდევდნენ გაცხარებულნი თუ თვალს მოჰკრავდნენ სადმე კარვის ქალსა, მისდევდნენ, მისდევდნენ: კუდიანია, დაიჭირეთო. ალბათ კოცონსაც გააჩაღებდნენ. ცოცხლად დასნვამდნენ. მიმალულიყვნენ კარვის ქალები.

გამსახურდიამ ძალა მოიცა და უბრძანა ბესიკ ქუთათელაძესა: ან სიკვდილი ან გამარჯვებაო, – ვისაც რა ენება.

ორივე სირცხვილია რუსთაველზეო, – მიუგო ბესიკ ქუთათელაძემ, – სიკვდილიცა და გამარჯვებაცაო, – ვისაც რა ენება, ანთუ ეს მაინც მართალი იყო. მაინც არეულიყო ტყუილ-მართალი. სიგუა იცინოდა: უბრწყინავდა ღანვებიცა და თვალებიცა ერთნაირადა. კიტოვანს სხივი დასცემოდა გაფუნჩულ ლოყებზე, გაფუნჩულ ტუჩებზედა. ეს სხივი იყო რო არ ეშვებოდა, ეთამაშებოდა, ელაციცებოდა, ეგებ სიბრაზე გავუნელოო. ლუოსთვის სხივსაც ვერ მოეცალა. დარჩენილიყო მარტოდმარტოდა. დაბნეულიყო უარესადა. ლანდი მაინც არ ეშვებოდა იმ თავის მწვანე დედაკაცისა. გამოეცხადებოდა ხან მართლადაცა. ამას მაინც ლანდი ეგონა: რო არ შეჩერდებოდა, რო არას ეტყოდა, ჩაუვლიდა და ჩაიქროლებდა ფრთების შხუილითა, ქარითა და ქარაშოტითა, თითქოს ფასკუნჯიაო, ჩაიქროლებდა თითქოს იმიტომა, ეს რო გაეტყორცნა ამ ნაპირიდან იმ ნაპირას რუსთაველისა, იმ ნაპირიდან ისევ აქეთ გამოეტყორცნა. თითქოსაო თუ მართლადაცაო, აწყდებოდა რო ორივე ნაპირსა. აწყდებოდა. აწყდებოდა. და. მაინც ვერ გაეგო: თუ რა ამბავი მიეტანა შინა: მორჩა თუ არა, აყრილიყვნენ თუ არა.

თუმცა და რაო, – დედას მაინც აეხირებინა: სიკვდილი მე აქ მინერიაო. ეკა ოხრავდა, ეევედრებოდა ღვთიშობელსა. არ იყო პასუხი. არ იყო ნუგეში. რა შევცოდეთო, – ეკა იკითხავდა. ვინ უნყისო, – დედა ანდაზას მოიშველიებდა: პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილთაშვილს მოსჭრა კბილიო. ეძებნა ახლა: ვინ იყო თუ რა პაპა იყო ისეთი, ანთუ ისეთი რა ტყემალი ჭამა. ადამმა რო ჭამა, აქამდის იკვლევენ, ქვეყანა იკვლევს, ამ პაპაჩვენისა მე რა გავიგოო. ღვთიშობელი თუ აღარ გვისმენს, ვეევედროთ წმიდა გიორგისაო. ეევედრებოდნენ. შუბი გაეყარა გველეშაპის ხახაშია წმიდა გიორგისა და მიაჭენებდა თავის გზაზედა. მიაჭენებდა. არც რო მომკვდარიყო გველეშაპი, ეტყობოდა რო არც აპირებდა სიკვდილსა. ვეევედროთ იესოსა, წმიდა ნინოსა, ყველა ხატს ვეევედროთო. ეევედრებოდნენ. ეევედრებოდნენ. მთავარანგელოზი გამორჩებოდათ. ხატი არა ჰქონდათ იმის. არც ახსოვდათ. ვერცა ჰხედავდნენ რაღა თქმა უნდა, თუმცა რო იქვე ჩამომჯდარიყო – მყინვარწვერზედა. თბილისი გაჰყურებდა რო მყინვარწვერსა, მყინვარწვერი ზედ დასცქეროდა. გაბრიელს ერჩივნა, რო ვერა ჰხედავდნენ, რო არც არაფერს ეევედრებოდნენ, ერჩივნა: ერჩივნა, რო ვერც გამოესარჩლებოდა, ვერც რო ვერაფერს უსაყვედურებდნენ. ლუარსაბი თვით ღმერთს ამუნათებდა: თორმეტაბაზიანი ცხვარი დაგიკალი, შე დალოცვილო, ორი აბაზისა წმინდა სანთელი აგინთეო. ამას ვერაფერს დაამუნათებდნენ. იჯდა და დაჰყურებდა, მშვიდი, აუკვირველი. და ჰქუხდა უახლესი საშინელი სამხედრო იარაღი, ავღანეთში რო გამოეცადა მოსკოვსა. ჰქუხდა. ჰქუხდა. იწვოდა სახლები ამათ გარშემო. და ძრწოდა ლინკაი, ამათში მაინც უფრო მეტად ისა ძრწოდა, ისა კანკალებდა, გაექანებოდა და მიეკროდა ლუოსა, თავპირსა მალავდა იმის იღლიებში: მიშველეო, ეხვეწებოდა. ლუო მიიყვანდა საწოლთანა, თავს შეაყოფინებდა ბალიშქვეშა: ეგრე იყავიო. ეგრე ერევიან სირაქლემები შიშსაო. ჰქუხდა. იწვოდა. ინგრეოდა. სირაქლემები ვერ გაუძლებდნენ.

მოინაცვლა ტრიუმვირატმაცა: იმელიდან აკადემიის შენობაშიო, ანთუ უკან დაიხია, ანთუ ეს უფრო საიმედო საფარად იგულა.

იქ პრეზიდენტს ერჩივნა, ახლა აღარა, – ნოემბერშია.

სადოქტორო დისერტაციას იცავდა. თავს იკავებდა: ახლა მაგისთვის არა მცალიანო, არ მოეშვნენ აკადემიკოსები: შენ მხოლოდ მოდი, მეტი არაფერი არ გინდაო. მივიდა ისიცა: სექტემბრის იერიშები რო მოიგერია, ოქტომბერმა რო უფრო გაუმართლა და ზღვა რო დაწყნარდა თითქოსაო ნოემბერშია. თითქოსაო. მივიდა ისიცა. და ეცილებოდნენ აკადემიკოსები ერთიმეორესა, – ვინ უფრო აქებდა. და ეცილებოდნენ სააკადემიკოსოები უფრო მეტადა, მეტადა, მეტადა, ერთმანეთსაცა და თვით აკადემიკოსებსაცა, – ვინ უფრო აქებდა და უსმენდა იგი ღირსეულადა. მიუგებდა ღირსეულადა. და იყო ტაში. ყვავილები. მილოცვანი. კოცნანი – ფუნჩულა ტუჩებისაცა და ხეშეშა ტუჩებისაცა, ნაკლებ რო არ ჩააბჟირდებოდნენ არც მამაკაცები. მაინც ის ერჩივნა. ის დრო სჯობდაო, დრო რო ყოფილიყო, დროს რო შეჩერება შესძლებოდა: იქ უნდა შეჩერებულიყო. მაგრამ არ იყო და რაც არ არის, რას შეაჩერებო. მაინც იქ ერჩივნა. ახლა არა რაღა თქმა უნდა, იქ იჯდა რო ტრიუმვირატი და იქვე ახლო თავშეყრას რო ეპირებოდა უზენაესი საბჭოი. ეს არც ტრიუმვირატს ეჭაშნიკებოდა. რას ავიხირე ეს ტრიუმვირატი!.. ეს არც სამეულს ეპიტნავებოდა. დაშალა. გამოიყენა. ვინც ამოუდგა ამოუდგა, კისერი ეტეხა და თავში ქვამც ეხალა დანარჩენსა. ეს დანარჩენიც ბევრი არ გამოდგა. უხმეს. პარტიები მიცვივდნენ, იქაც მიცვივდნენ: კოალიციური მთავრობა მოვითხოვოთო.

კოალიციური, რა კოალიციური?.. – იკითხავს კიტოვანი.

სულელობენ!.. – სიგუა აუხსნის.

მე მაგათ მივცემ კოალიციურსა!.. მე მაგათი... – დედაო – ცხადია: განმარტავს იოსელიანი.

მოუწოდეს იმათ მაინცა.

უძახეს. ეხვეწნენ. უყვირეს. არ გასჭრა არაფერმა. მიყუჩდნენ. მიიმალნენ დეპუტატები. შეძვრნენ სოროებში. შეძვრნენ. ვისაც თუ როგორ ერჩივნაო. თავმჯდომარე სულაც გამქრალიყო. ქობულეთშიაო. სტამბოლს გაიჭრაო. სად იყო არ იცოდნენ. იქვე ახლოსაო: ძეგლის წინა მეთქი, რუსთაველის ძეგლისა, რო შეებურათ: შესუფთავება და განახლება სჭირდებაო. შეებურათ. შეებურათ. ალბათ რო არაფერი დაინახოსო, ალბათ რო ვერაფერი გაიგონოსო. შემოეფხრიწა საბურველი რუსთაველსა, შელაფული, შელანძღული, შემოეფხრინა, ძონძებად ეკიდა. ქარი სტაცებდა და ვერცა სტაცებდა. თვითონ არ იჭერდა. ჰქონდა თავისი წამოსასხამი, ის ეჭირა, მტვრიანი ისიცა, ტურტლიანი, შეუხედავი. თვალები მაინც ამოვსებოდა, ყურებიცა, თავპირი ისე გულდაგულ შეეკრათ. ვერც რა დაენახა, ვერც რა მოესმინა: იმისიც ჰო აღარ ესმოდათ და აღარც ახდენა ეწერა ოცნებასა მისსა; თხა და მგელი ერთად სძოვდესო. ნეტავ იმ დროს, ასეთი ოცნება რო შეიძლებოდა, ნეტავ იმ დროს, ნეტავ იმ დროს!.. ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდითო. ის დროც უფრო სანეტარო მოსჩანს. ინგრეოდა, იწვოდა. ველარაფერს დაიფარავდი. გაქცევის გარდა, სხვა არაფერი მოგაფიქრდებოდა. არა. ფიქრად ესეც არ მოგივიდოდა, ფიქრიც გამქრალიყო, აზრიც გამქრალიყო, შიში გაგაქცევდა, ველური შიში. აქეთაც დაინვა სახლი, იქითაცა, ლუოს გვერდითა. ამათი იდგა, თითქოს ბუზიც არ აჰფრენიაო. მოდის სიკვდილიო, – დედა ისევ მშვიდად ამბობდა, – თქვენ ნადით და გაასნარითო. მშვიდად ამბობდა. მშვიდად ამბობდა. შენც მოგიცავდა სიმშვიდეი იგი, თითქოს სიტყვები სიტყვებია, მართლა აღსასრული მეტად შორსაო. მაგრამ ჰო მაგრამ უეცრად დაეცა შიში, უეცრად ავარდა, უეცრად დავარდა, ეცა კედლებსა, მიფხონიალებდა: ჩქარა, ჭაღები გადავარჩინოთო:

„დედაჩემს იქ რა პირით შევხვდე?.. ჩქარა!.. ჩქარა!.."

უჩვეულო ძალა მოიცა ლუომა. თვითონ უკვირდა აჩქარებაცა თავისი, მოხერხებაცა: ჭაღებიც რო ჩაალაგა, ბი-

ნაც რო იშოვა თუ სად დასახლებულიყვნენ, მანქანაცა გადასაზიდადა, გადასაყვანადა. თვითონვე უკვირდა. რა იცოდა რო მყინვარწვერზე ჩამომჯდარიყო მთავარანგელოზი, – რა იცოდა?.. სხვებს არ უკვირდათ, სხვები ისე ანთებულიყვნენ. ამას ანთება არ უგრძვნია. ციოდა ქალაქში. მხოლოდ გული იწვოდა ქალაქისა. გულს ჰო გაასწრებდა. სიცივისათვის უნდა გაეძლო. გაეძლო და გადარჩებოდა. ამან გაუძლო. დედამ ხანძარს ველარ გაასწრო, ამისი მანქანა იმადღა გამოდგა, დამწვრები რო წაიყვანა საავადმყოფოშია: დედაი, ეკაი, ლინკაი, ლინკა გადარჩა, ეკა გადარჩა, დედა ველარა. და მიუსაფრობა იგრძნო ლუომა. იდგა ეზოში საავადმყოფოსი, იდგა მარტოსული, იდგა მოწყვეტილი, სად იდგა რო არც გაეგებოდა. იდგა თუ ეგდო. ეგდო ქვასავითა, ჯერ რო ქვასავითა, მერე უფრო ფუტუროსავითა: უძალო, უღონო, უქონელი, გამოუსადეგი, უგრძნობელიცა, რო ამოჰქანდა ყველაფერი ერთდროულადა. ღამე იყო ბნელი, ცივი და ბნელი, ქალაქი უსინათლო, მხოლოდღა სასახლე რო ანათებდა, სასახლე და შემოგარენი სასახლისაი. ამას აღარაფერი აღარ ანათებდა. თვითონაც რო ვერა ჰხედავდა. მიჰქროდნენ და მოჰქროდნენ სასწრაფო დახმარების მანქანები. მოჰყავდათ და მოჰყავდათ. სად ვინ დაეწვინათ, ვის ვისთვის მიეხედა, ველარ გაეგოთ თუ ველარ ასდიოდნენ. ვინ ვისი იყო ჰო არც არჩევდნენ: ერთად ელაგნენ მოჯანყენიცა და დამცველნიცა ხელისუფლებისა. გუშინ ერთად იყვნენ, დღეს აქეთ-იქითა, კვლავ ისევ ერთად შეყრილიყვნენ დახოცილებიცა, დაჭრილებიცა, ჭირისუფლებიცა, – ერთადა ვალალებდნენ, ერთად დასტიროდნენ, ერთად ითქვეფავდნენ თავპირსა. ეს ვერა ჰხედავდა, არც არა ესმოდა. დაჰკარგა თავი, ჩაიძირა სადღაც უკუნშია. გონს რო მოეგო: ზედ გადადიოდნენ. დერეფანში გახლდა საავადმყოფოსი. ზედ გადადიოდნენ, ხალხი იმდენი ირეოდა. ეს არაფერიო, – ზედ რო გადადიოდნენ, გაიყინებოდა, გარეთ რო დარჩენილიყო. შეეყვანა ვიღაც მადლიანსა. უმადლო ჟამსაც შერჩება მადლი ვიღაცას მაინცა. შეეყვანა. გადაერჩინა. და ისევ მი-

უსაფრად იგულა თავი. იმდენი ძალაც ვერ მოიკრიბა, ნუ მეხლებიო, ეთქვა ვინმესთვისა. მთავარანგელოზი ისევ იქ იჯდა, ისევ ანთებულიყო ხალხი, ალესილიყო, ალენილიყო, შესეოდა ერთიმეორესა. ამას ცრემლი ჩამოსდიოდა, ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. დაულბა გულისპირი, კალთები დაულბა.

ვინ ლუო და რა ეს გლოვაო, – გუგა თვალებს არ უჯერებდა.

დედა დედაარ, – ჯიბო უჯერებდა თვალებსა.

მიეხეედეს. მიეპატრონენ. მიეპატრონენ საგულდაგულოდა. კუბო რო კუბოა, – ორი მიაყენეს: ერთი ჯიბომა, მეორე სიმამრმა. კუბო აღარც იშოვებოდა. მალე აღარც იქნებოდა, – აღარც კუბო, აღარც მეკუბოვე აღარ იქნებოდა. მხოლოდ მესაფლავე იქნებოდა. და მატულობდნენ მესაფლავენი, შტატების დამატებაც რო არ უნდოდა. მატულობდნენ თავისთავადა. სიმამრმა მეუღლეც გამოუგზავნა ლუოსა, სიდედრიცა, სამი ვაჟკაცი ძმისწულიცა: აბა თქვენ იცით, არ შემარცხვინოთო. თქმაც არ უნდოდათ, არ შეარცხვენდნენ. დამარხვა კი კარგი ვიცითო, – ქირქილებდა აკაკი მწარე ქირქილითა. შნო და მარიფათი ძველთაგან მოგვდგამსო. თავის დროს უფრო ემდურებოდა: სიცოცხლეს ვუსპობთ და მკვდრებს დავტირითო. გასვენება ხელოვნებადა ქცეულიყო, დატირება პოეზიადა, ქელეხი საბჭოდა, – იხრებოდა მიტინგისაკენა, ეს არაფერიო, – არც რას მოაკლებდნენ ძმისწულები სიმამრისაი, საფლავიც რო უკეთესი შეურჩიეს, საუკეთესოდ აღიარებულ სასაფლაოზედა, ვაკის სასაფლაოზედა. გამოიძებნა უპატრონო, მიტოვებული. შენ ფული თქვიო. დარბაზიც იქირავეს საუკეთესო, მიცვალებული რო დაესვენებინათ. მერე ქელეხი. ანირვინეს რაღა თქმა უნდა. ეპისკოპოსი სწირავდა. მღვდელი ახლდა რამდენიმეი. პანაშვიდისას მიინვიეს ცოცხალი გუნდი, საეკლესიო გუნდი. აპარატები არ გავიგონოო. ესეც გდიდიდან მოჰყვებოდათ, თვითონაც რო ასე ფიქრობდნენ. ლუოს არაფერი არ ეკითხებოდა. ლუო ხელს ართმევდა მოსამძიმრეთა. იცრემლებოდა და ართმევდა

ხელსა. ცრემლებში ჰხედავდა: სამი რძალი უჯდა მიცვალებულსა. ალბათ ცრემლების ბრალიაო – ერთი სამად მეჩვენებაო. ჩაუშრებოდა, მაინც სამი გახლდა. სამივე მოსილი შავადა, – მწვანე დედაკაციც შავადა, – პირველი გაყრილი, მეორე გაყრილი და მესამე შჯულიერი, ისხდნენ ერთადა და ერთნაირად დამწუხრებულიყვნენ. ლინკაც მოვიდა და ისიც მიემატა იმათა, იმას თავპირიც შავად შეეხვია. ცხადი ეს იყო. ლუოს ერჩივნა: ერთი ოთხად მოსჩვენებოდა, ერჩივნა და ასეც ირწმუნა: ის ერთია, გდიდიდან რო მომაკითხაო, დანარჩენი ლანდებიაო, ერთიც ის არის და ოთხიც ის არისო.

თეამაც შეირბინა. შეირბინა და გაჰქრა.

მოასწრებს, ჰკითხოს:

„მართალი მითხარი, მართალი, მართალი, ეს ჩემთვის სიკვდილ-სიცოცხლეს უდრის: სამ წელიწადს ჰო არ იპარავ?.."

„არც სამ დღესა..."

„ამბობენ: ისეთი ქალი არ არსებობსო..."

„მე ვარსებობ".

„რითი დავიჯერო?.."

„სიტყვითა!.."

„რო აღარავის სჯერა სიტყვისა?!."

„მე რადა მჯერა?!."

„არ ვიცი..."

„კეთილი... ვნახოთ..."

თვალები აბნკიალდა მოღუშულ სახეზედა. გადაევლო მოსამძიმრეთა. რეჟისორიაო. ლუომა. დიალოგი თუ მოეწონაო.

და გაჰქრამეთქი, კვლავ გაუგებრად რო დარჩა ლუოი, კვლავაც რო ცრემლი ჩამოსდიოდა, კვლავაც ერთი რო ოთხად ეჩვენებოდა, ჩაუშრებოდა, – კვლავაც იგივე: ერთი ოთხადა. ათიმც ყოფილიყვნენ. თავშიმც ქვა ეხალათ. მსხდარიყვნენ და ეგლოვათ დედამისი. ისედაცა სჩანდა, მთლად თბილისი დამწუხრებულიყო თითქოსაო: მოდიოდნენ და მოდიოდნენ მოსამძიმრენი, ზოგს ძლივს იხსენებ-

და, ზოგს არც იცნობდა, ეგება იმათი მოსამძიმრენიც იყვნენ, იმა ოთხეულისა, ანთუ სულაც შენუხებული მოქალაქენი იყვნენ, დასტიროდნენ უდანაშაულო მსხვერპლსა, ვითომც იმათ რო რაიმე დაეშავებინათ, ერთმანეთს რო ჰხოცავდნენ. ვიღაცები რაღაცებს ეპოტინებოდნენ, ესენი ჰხოცავდნენ ერთიმეორესა. იცოდნენ იმათა თუ რასაცთუ ეპოტინებოდნენ, ამათ არაფერი არ იცოდნენ. ისინი მართავდნენ დამშვიდებითა, ესენი იბრძოდნენ გაგიჟებულნი, რო აღარც ქალაქი აგონდებოდათ, აღარც ახსოვდათ მოქალაქენი, თავიანთი ბინებიც აღარა, ოჯახებიც აღარა საკუთარი, რო აყრიდნენ და აყრიდნენ ჭურვებსა დაუნდობლადა. ერთმანეთს აყრიდნენ და იყრიდნენ თავიანთივე თავზედა. იყრიდნენ. იყრიდნენ. პეჩორის მხედრებს რაღა ენაღვლებოდათ?!. დასტიროდნენ უდანაშაულო მხვერპლსა. მიაცილებდნენ უდანაშაულო მსხვერპლსა. მისდევდა უდანაშაულო ხალხი, უამრავი, თავჩაქინდრული, განნირული, მისდევდა ყველა საკუთარ გზასა, ხვალ რო ელოდა, ანთუ ამაღამვე. ლუო ფეხდაფეხ მიჰყვებოდა კუბოსა, ფეხდაფეხა, ფეხდაფეხა, შორდებოდა მაინცა, შორდებოდა და შორდებოდა. ხელი ზედ ედო, – შორდებოდა, ეამბორებოდა სამარესთან დაშორებულსა, – შორდებოდა, მინას მიაყრიდა ერთ მუჭასა, – შორდებოდა, შორდებოდა და შორდებოდა. ნიადაგი ეცლებოდა თითქოსაო. არც ჰაერში იდგა. მაინც იდგა. იდგა რაღაც ისეთ შრეზედა, მიწისა და ჰაერის შუა რო გაჩენილიყო. აღარც მიწისა იყო და აღარცა ცისა, აქამდის თუ მაინც რომელიმესი იყო. თეამ ორი მონმობა აჩვენა: ერთი მშობლების ქორწინებისა, მეორე თავისი დაბადებისა. ცრუობდა მწვანე დედაკაცი, ურცხვადა ცრუობდა, უმსგავსადა ცრუობდა შეურაცჰხყოფილი და გამძვინვარებული. დროს ვერაფერი ვერ ემოქმედა. დრო იდგა. უყურე ამ თეასა, რა ფიცხელია, რა დაუთმობელი, – ანტიგონეც ეს იქნება, მედეაცა. ოფელია არა. დეზდემონა არა. მაკბეტი!.. მაკბეტიცა. ოფელიაცა და დეზდემონაცა. სახიობა მაშ სხვა რა არის?!. შავ-მწვანე დედაკაცი გაფითრებულა. კუბოს აცვივოდა გოროხები. ჩქარობდნენ

ისე მესაფლავენი, თითქოსა შიშობდნენ: სული არსად გაგვეპაროსო. სამარე ივსება. სამარე იბორცვება. ბორცვი მოირთვება ყვავილებითა, ჩათუთქული ყვავილებითა. ჰყინავს. ჰყინავს. მშრალი ყინვებია. და იწვერება მზეი გათოშილი და იდრიკება მზეი, იხრება, იდრიკება სასაფლაოს წინაშე.

მთავარანგელოზი იჯდა მყინვარწვერზე.

XXIV

„დარჩები?.." ეკითხება თანამეცხედრეი. სასტუმრო „აჭარისთვის" შეუფარებიათ თავი. ერთი ეკითხება, აღარც სამიო თუ აღარც ოთხიო, ერთია, ერთადერთი, ამასაც რო გამოექცა გდიდიდანა, ოლონდ ეტყობა რო არც გამოპკიდებია იგი, – მოვალეობამ ჩამოიყვანა. ვალი მოიხადა. დაკრძალა. ანირვინა მეორე დღესა. შვიდზედაც ანირვინა. მიცვალებულსაც უნდა მოესვენა ორმოცამდისა, ჭირისუფალსაცა და მიცვალებულსაცა. და ეკითხება: დარჩებიო, – ეკითხება ისე, რო ცხადია: როგორც გენებოსო, როგორც შენ ირჩევო, თუნდაც სულ დარჩიო; ეკითხება ასე: არც გულცივადა და არც გულთბილადა, – მე ჩემი საქმე მოვათავეო, – ასე, ასედა, მხოლოდ რო ასე. კარგადაც მოათავა. ცოტა ქელეხისა რო ეშინოდათ: შეყრილიყო რო ყველა ჯურის ხალხი, უნყინარი მოქალაქენიცა, ზვიადისტებიცა, პუტჩისტებიცა, სიკვდილის წინაშე რო დადუმებულიყვნენ, მაინც რო უბღვერდნენ ერთიმეორესა, ეს რო პუტჩისტები და ზვიადისტები, უნყინარი მოქალაქენიცა, ამათ რო არა სწამდათ არც ერთი ამათგანი და რო არა ჰყოფნოდათ ზრდილობაი, ორთავეთ გაჰყრიდნენ ქელეხიდანა. მერე ღვინო თუ რას იქმოდა, ვიღამ იცოდა. და ვერც იკისრა თამადობაი გუგამა. ჯიბომ იკისრა. იჯდა მოქუშული, წარბებშეკრული, აბრიალებდა ქორულ თვალებსა, წინ დაელაგებინა მსხვილი მუშტები. შესანდობარს ამბობდა მოკლედა. ამბობდა ისე, რო ხმა უტიროდა. აცდიდა – ეჭამათ. დამშეულიყვნენ. ეჭამათ. ეჭა-

მათ. ვინ იცის მალე აღარა ყოფილიყო აღარც საქმელი და აღარც მჭამელი. ჯერ იყო მჭამელი. საქმელი კლებულობდა. ეჭამათ. ეჭამათ. ხორაგი გდიდიდან ჩამოეზიდათ. სუფრა სავსე გახლდა. ძღებოდა თვალი. ფაშვი ივსებოდა. ბიძაშვილები კედლებთან ეყუდნენ. სვანური ქუდები ჩამოემხოთ წარბებზე, კოლხური წარბები თვალებზე ჩამოემხოთ. ᲰᲔᲓᲐᲕᲓᲜᲔᲜ ყველაფერსა, თვალებს იმათსას რო ვერავინ დაინახავდა. იარაღი აართვეს წინასწარა, ვისაც რო მოᲰყოლოდა, ტკბილი სიტყვით აართვეს, ჩააბარეს ტკბილი სიტყვითა, ოლონდ ესაა, ხელს რო ართმევდნენ, ლამის თითები მუჭებში ჩარჩენოდათ. მაინც ყველა ართმევდა ხელსა. ლუოს წესისამებრ ემშვიდობებოდნენ, ამათ მხურვალედა, იცოდნენ, რო განძღნენ იმათის მადლითა: ლხინსა და ქორწილში შევხვედროდეთ ამის მერეო. ჩამობრძანდითო. გეახლებითო. ჯიბოც ამათ უხდიდა მადლობასა, ესენი – ჯიბოსა, ქელეხმა რო მშვიდად ჩაიარა წესისა და ადათისამებრა, რო დარღვეულიყო ყველაფერი, პირველყოვლისა წესი და ადათი დარღვეულიყო. ლუოს არაფერი არ ეკითხებოდა; თუ ეკითხებოდა, მხოლოდ ეს თუ ეკითხებოდა და Ჰკითხა კიდევაცა მეუღლემა:

დარჩებიო, –

ერთმა და ცხადმა, ბინდიც რო აღარ ახლდა, ლანდებიც რო ჩამოშორებოდა.

მალე თბილისში ნემსიც აღარ ჩავარდებოდა. შიგა ქართლის ხიზნები Ჰო მოაწყდა, რაჭა-ლეჩხუმის ხიზნები Ჰო მოაწყდა, ელოდნენ მალე აფხაზეთიდანაცა, იცლებოდა Ჰო მთაწმინდის უბანიცა, – რა იქნებოდა აღარავინ აღარ იცოდა, რო აღარავინ განაგებდა აღარაფერსა, – ეგებ მიᲰყოლოდა სოლოლაკიცა, ვერა-ვაკეცა, საბურთალოცა, ვინ იცის, ვინ უწყის თუ რა მოᲰხდებოდა, მთლად თბილისიც რო აყრილიყო, აღარავის გაუკვირდებოდა. აღარავისა. აღარავისა. გრიალებდა ყუმბარები, Ჰქუხდა, ქალაქს აძაგძარებდა. ხანძარი ნთქავდა ჯერ შუაგულსა, გაიგანებდა. გავიდოდა ნაპირნაპირა. იცვლებოდა დღეი და ღამეი, პატარა დღეი და დიდი ღამეი. ღამით ინგრეოდა და ინვოდა,

დღისით ინვოდა და იფერფლებოდა სასახლეცა და გარეშემოცა, რაც რამ შემორტყმოდა. წინიდან ვითომც არაფერრიო, თითქოს კიდევაც იცინოდა ბოლნისის ტუფი, იცინოდა სვეტები ატყორცნილი, თაღები იცინოდა თითქოსაო რაღა თქმა უნდა, ხოლო შიგნიდან რო გამორუჯულიყო ზემო სართულები, მიიწევდა ქვევით-ქვევითა, ჩაატანდა რო სარდაფებამდე, – ბუნკერამდისაო, – თუ აქამდის არ ჩაღნეულიყო. მოირღვეოდა სასახლეი უცებ ერთბაშადა, დაიშლებოდა ქვა და ღორღადა და ცოცხლობრივ დამარხავდა გაჯიუტებულ დამცველებსა. ეგეცა სჯობიანო, – აცხადებდა ბ-ნი ყარყარაშვილი, – ჩვენ სადა ვმარხოთ მაგდენი ხალხი, მერე ეკლესიას გადავადგამთო. არა, მანდ ისევ სასახლე გვინდაო. კამათობდნენ. ანგრევდნენ. ანგრევდნენ. და. კამათობდნენ. ხსნა აღარ იყო. პრეზიდენტი განწირულიყო. ვცნობთო, აცხადებდა ზოგი ქვეყანა, გაუბედავადა, მოსკოვის შიშითა. გადასცემდა ტელევიზია სასახლისაი, ჩამხჩვალი, ჩახლეჩილი, ნვიმაში, თქეშში ჭურვებისაი; აცხადებდა და ვერც აცხადებდა, რო ვერც გაისმოდა შემზარავ გუგუნში. დუდაევი მაინც არ შეუშინდება არავისაო: საჰაერო თავდასხმას ეპირება, სნაიპერები უკვე გამოუგზავნა, ისინი სხედან სახურავებზე, ისინი ჰხოცავენ მშვიდობიან მოსახლეობასაო. ამას ტელევიზია არ უნდოდა, რადიოც არა, დაჰქროდა ეს ხმები ძველებურადა, ქარივითა თუ ქარზე სწრაფადა. ტელევიზია მაინც უნდოდათ აჯანყებულებსა, ხელისუფლებათ რო გამოეცხადებინათ თავი. მჯდარიყო ის იქა, ბუნკერში თავისი, მჯდარიყო და გამომწვარიყო. ეს იქნებოდა ხელისუფლება. მაგრამ და რაო, – ანძას არა თმობდა ბესიკ ქუთათელაძეი, ანძასთანაც ვერ გაეტეხნათ. რუსთაველზე სიკვდილი სირცხვილად მიაჩნდა, ტელევიზიის ანძასთან არა. ნოდარ გიორგაძე აჯანყებულთა შტაბიდან ურეკავდა: დასთმეო. მოელაპარაკეთ პრეზიდენტსაო, – გაბეზრებულიყო რო ბესიკიცა, რაც უნდა იყოს, გაბეზრებულიყო, ანთუ ხსნას თუ ვეღარა ჰხედავდა.

და ურეკავს პრეზიდენტსაცა ნოდარ გიორგაძეი:

„ჩვენ აქა ვართ...“ სამხედრო მინისტრიო, იუსტიციის მინისტრიო, შინაგან საქმეთა მინისტრიო, გენერალური პროკურორიო, სხვანი და სხვანიო: წითლები, ყვითლები, მწვანეები, შავები, ნარინჯისფერნი, თურინჯისფერნი, შავწითურნი, ქორები, არნივები, სვავები, ავაზები, ვეფხვები, აქა ვართ „და ვინმე გამოგზავნეთ, მოვილაპარაკოთ“.

„ვილა?!. გესმის... ყველანი მანდა ყოფილხართ...“ მიუგებს პრეზიდენტი, რუქაზე დახრილა პრეზიდენტი. ძველი რუქაა საქართველოსი, დიდი, ძლევამოსილი საქართველოსი. სასახლეს დასტრიალებს შვეულმფრენი: აიყარე თორემ ვაი შენი ბრალიო. შვეულმფრენს გააფრთხობენ. შვეულმფრენი ისევ დასტრიალებს. ამისი არა, – აჯანყებულთა. მართალია რო – ჩაუშესკუო, უყვიროდნენ, მაგრამ არ უცდის ამასა თავისი შვეულმფრენი სასახლის ბანზედა. არც ესა ჩქარობს. სანთლები უნათებს რუქასა, სახესაც უნათებს, თვალებსაცა: სახეს გაფითრებულსა, თვალებს ჩაღამებულსა.

დარჩებიო, – პასუხს მოითხოვდა ცოლი, ეს ლუოს ცოლი. თავსადგანან ბიძაშვილები.

„არა...“ აღმოჰხდება ლუოსა.

რითი ნავიდეთ?.. – იკითხავენ ბიძაშვილები.

„შვეულმფრენითა!..“ ქალი აცხადებს: „ვამეხიც უნდა წავიყვანოთ“.

„ვამეხი?!.“ უკვირს ლუოსა. მეუღლესაც უკვირს: ვერ შეუნიშნია, მამას შვილი ვერ უცვნია. პანაშვიდზეც შემოიარა, დაკრძალვასაც დაესწრო, ანთუ: მიუსწრო, კუბოს რო უშვებდნენ სამარეშია. ჩაუშვეს. იმანაც მიაყარა ერთი მუჭა მიწაი, მიაყარა და გაჰქრა. უნდა შეენიშნა. უდგა გვერდითა, უნდა ეგრძნო, ეგრძნო მაინცა. პანაშვიდზედაც დაუდგა გვერდითა, სულ მცირე ხანსა, – მერე და რაო: დიდი არც უნდა ხანი გრძნობასა, ელვასავით როა, რო გაგკრავს, გაგბასრავს და აღარც რო შეხორცდება კარგახანსა. უნდა ეგრძნო. უნდა განეცადა. თუმცა ლამის რო დედასაც ვერ უცვნია: გამოიცვალა, დაიჯოშა, დავაუკაცდა; გულმკერდი ამოევსო, მხრები ამოევსო, მუხლებმა შეიტაცა; წვერი მოუშვა, თმა

მოუშვა, თვალები აემღვრა, ხანთუ ცეცხლს აფრქვევს, ხანაც შუშისანი უსხედს თითქოსაო. ასედაც მოეხვია მამასა, – შუშისანი უსხედს თითქოსაო. სხვებიც ეხვევოდნენ, მიუსამძიმრებდნენ, ანთუ ჩაუვლიდნენ, ანთუ იქვე შეჩერდებოდნენ, ვეღარ მიადევნებდა ყურადღებასა: მისცურავდა სახეები, ჯერ სხვადასხვაგვარნი, მერე თითქოს მიმსგავსებულნიო, მერე მთლად მსგავსნი, მერე თითქოს რო ერთია და აღარც იცვლებაო; მისცურავდა სახეები და იყო ერთი, ქალი თუ კაციო, ვეღარც გაერჩია. ვერ შეუნიშნია. და აუხსნიან: გდიდის ბატალიონს რო გამოჰყოლია, ახლა სასახლეში როა, პრეზიდენტს რო იცავს; აუხსნიან: პანაშვიდზეც რო შემოპარულა, დაკრძალვაზეცა, შემოპარულა და გაპარულა; აუხსნიან და ვერ აუხსნიან: ვამეხი?!. ომში?!. ძმათა ომში?!. აუხსნიან და ვერ აუხსნიან: ვამეხი?!. წინლიკანა ბიჭი?!. ასე გამოიცვალა?!. სად იყავითო, – მრისხანებს ლუოი, – რად გამოუშვითო. მრისხანებს. მრისხანებს. შენ ვისა ჰკითხეო.

„მე და ის ერთი ვართ?!."

„ქვეყანა რო აირევა, ყველა ერთია..." ამბობს ქალი და უდასტურებენ ბიძაშვილები: დიდპატარობაც აირევა და ჭკუაც აირევაო. უდასტურებენ. უდასტურებენ. აღარც ყურს უგდებს. ლუოი. სასახლეს მიაშურებს. დღისით არც ისვრიან. დღისით ჰო იწვის ღამეული ნამოღვანარი. ნუ ისვრიან, ამას მაინც არ შეუშვებენ სასახლისანი. არც არას მოუსმენენ. ემუქრებიან კიდევაცა. სიკვდილი უკვე აღარაფერია, აღარც სიცოცხლე აღარაფერია. ამაოდ დამშვრალან ფილოსოფოსები, ამაოდ ეძიებენ ძირებს სიცოცხლისა. აი სიცოცხლე – არის და აღარ არის, ფაფუ!.. ისევ ბიძაშვილები თუ მოუხერხებენ ეზოში შესვლასაცა, ვამეხსაც ისინი მოაძებნინებენ. თვითონ ვერაო: ვერც რო მოსძებნიდა, ვერც რო იცნობდა, ყველა რო მართლაც მიმგვანებოდა ერთიმეორესა: სამოსითა გვარდიელისა, გაბარდღული წვერულვაშითა, ჩასისხლებული თვალებითა, რო ამოჰფარებოდნენ ნანგრევებსა თუ დალეწილ ბანქანებსა თუ ქვიშის ტომრებსა, ანთუ არეულთა ერთმანეთშია. ნაოხარ იყო სასახლეი შიგნიდანა. ნაოხარში ეყარნენ, ნაოხარსღა იტაკ-

დნენ. ვამეხიც იმათში გამოარჩიეს რაღა თქმა უნდა. მინა და მტვერი ეყარა მხრებზედა, თავპირზედა, თვალებიც მტვერით რო ამოვსებოდა, ვეღარც გაეხილა ნესიერადა. ჯერ მხოლოდ ხმით იცნო მამაცა და ბიძებიცა. ავტომატიც მოემარჯვებინა, ვაითუ ყურმა მომატყუოსო. მამა უწყრებოდა, შვილიც უწყრებოდა: მე აქ მეგონე, შენ თურმე იმათკენ გადასულხარო. მამა უარობდა. არ უჯერებდა შვილი. ბიძები არიგებდნენ, არიგებდნენ და ვერც არიგებდნენ.

„ჩვენ ვბრუნდებით, შენც უნდა წამოხვიდე!..“ ბოლოს მამა აცხადებს მტკიცედა.

„ვისაც წამოვჰყე, იმას გამოვყვები!..“ შვილი უფრო მტკიცედ აცხადებს.

„მაშინ მეცა ვრჩები!..“ ახლა ასე აიხირებს მამაი, „მიშოვნე ავტომატი!..“

„რა შოვნა უნდა“, ამბობს შვილი გულდაწყვეტილი, „შეტევა დაიწყება, ბევრი დარჩება უპატრონოდა...“

„ვრჩები!..“ გადაწყვეტს ლუოი საბოლოოდა, მიაჩერდება ბიძაშვილებსა მეუღლისასა, – წადით და ასე გადაეცითო, ისე იმგვარად მიაჩერდება. არც შეირხევიან ბიძაშვილები, ეტყობათ, ბიჭს უფრო უჯერებენ.

„წახვალ...“ ბიჭი აიქნევს ხელსა, „დედას წაიყვან და წახვალ“.

„ესენი წაიყვანენ“.

„შენ წაიყვან!..“ ეს უკვე ბრძანებაა შეუვალად ნათქვამი, ის წინლიკანა ბიჭი რო აღარ არის, ლაპარაკიც რო აღარა ნებავს, გაბრუნდება, ჩაწვება ქვიშის ტომრებთანა ნაფშხვენებსა და ნანგრევებში, ქვა და ღორღში ჩაწვება. აღარას გაუგონებს. მოყვრებიც მიეფარნენ. დგას მარტოდმარტო აოხრებულ ეზოში, გარუჯულ კედლებში, ისევ რო ბოლავს და თითქოს რო ასედაც იქნება ამიერიდანა: იქნება ცეცხლი, იქნება ბოლი, სიცოცხლე აქ ვეღარ შემოაბიჯებსო. ვეღარც რო ისინი ამოიხედავენ, მინის ქვეშ ვინც რო ჩამძვრალანო. დგას მარტოდმარტო. და აი მოყვრებიც გამოჩნდებიან. მიცვალებულს მოასვენებენ. სამს ვაჟკაცს რო შეუდგამს მხარი კუბოსათვისა, ერთიც ქალი ამოსდგომიათ. მიეა და

ლუო შეენაცვლება ქალსა. გამოდიან. გამოიპარებიან თითქოსაო. თითქოს სიკვდილს გამოეპარებიან, თანაც რო სიკვდილს მოასვენებენ. მაინც იქა რჩება სამეუფოი სიკვდილისა. ნუ დაღამდებიო, ეევედრებოდნენ ალბათ რო დღესა: ნუ დაღამდებიო. ვეღარ გაუძლებდნენ ჯოჯოხეთურ ღამესა და თუნდაც გაეძლოთ, მოიმზღვლეოდა სასახლეი ერთიანადა ბოლოსდაბოლოსა, ჩამოიშლებოდა, ჩამოემხობოდა, გამოსაძრომიც აღარ დარჩებოდა. გატვრენილიყო მაინცა სარდაფები. ბუნკერიო. პრეზიდენტი რუქას დაჰყურებდა. ბესიკ ქუთათელაძე გამოცხადდა აჯანყებულთა შტაბში:

„გეყოფათ", ამბობს, „მოილაპარაკეთ..."

„ზვიადამ გამოგგზავნა?.." ბ-ნი სიგუა ქირქილებს.

„არა!.. მე ჩემით მოვედი. ბოლოსდაბოლოს რას მოითხოვთ?.."

„თუ მართლა შენით მოხვედი, მართლა!.." ხმას აღიმაღლებს ბ-ნი სიგუაი, თითქოს ოტელო უნდა გააცოცხლოს ხორავასიო, „მართლა!.. მაშინ ანძას გაგვიხსნი, ტელევიზიით მოველაპარაკებით".

„ტელევიზიით!.. ტელევიზიით!.. ტელევიზიით!.." დასძენს ერთბაშადა არტისტული თბილისი, ანთუ წარჩინებული თბილისი, წარჩინებული კომუნისტების სამეფო კარზედა, პრეზიდენტმა რო არ აღიარა და რო არც ამან აღიარა პრეზიდენტი. ახლა ჰო აქ არის, აქა, შტაბშია აჯანყებულთა, აქ აღამებს და აქ ათენებს. დასძენს. დასძენს. და. გარსეხვევა.

„გაგიხსნით. მხოლოდ ერთი პირობითა..."

„ბრძანე. თანახმა ვარ, წინასწარ თანახმა ვარ. მეტი რა გინდა!.." წარმოსთქვამს ბ-ნი სიგუა კვლავაც ისევე ხმის ამაღლებითა. საზეიმოდა. გარდაწყდა გარდასაწყვეტიო.

„ტყუილს არ იტყვი!.." აღმოთქვამს ბესიკი თავის პირობასა. ალალმართალი. პატიოსანი. რო დაეჭვებულა და რო მაინცა სჯერა ადამიანისა.

„ღმერთო მომკალი!.." ბ-ნი სიგუა ორივე ხელს მოიჭდობს გულზედა, „ღმერთო მომკალი!.." ზეცად აღაპყრობს ორივე ხელსა, „მე მაგას ვიკადრებ?!."

გუნდი: „მაგას ვინ იკადრებს!!!!!...."

და ერთი სიტყვა არ უთქვამს მართალიო, – წერდა ბესიკი სინანულითა თავის პატარა მოგონებაში. ისღა მოასწრო. აღარ დასცალდა. შეაკლეს მერე გორის გარნიზონსა, უაზროდ შეაკლეს. რამდენი მერე კიდევ შეაკლეს, – სიცოცხლე ჩალისფასადა ჰღირდა. ტელევიზია ქვეყანას ამცნობს: პრეზიდენტი ჩამოგდებულიაო. ეს ჯერ კიდევ არაფერიო. პატრიკიევი კიდევ აცხადებს: ჩვენ კვლავაც მტკიცე ნეიტრალიტეტს ვიცავთო. საქვეყნოდ აცხადებს რაღა თქმა უნდა, ხოლო პრეზიდენტს ტელეფონით აფრთხილებს: დერეფანს დაგიტოვებენ გასასვლელადა. წახვალ. გაეცლები. თუ არა და დაიწყება ოპერაცია – ალფაო. დაიმარხები ცოცხლადაო, – ამასა ნიშნავდა. ბრძანა აყრილიყვნენ. უკანასკნელადა ბრძანა როგორც რო პრეზიდენტმა. ისევ რუქას ჩაჰყურებდაო. მზად იყო ყველაფერი. მოახსენებენ. დგება, რუქას რო არ აშორებს თვალსა, რო შეჰღიმის, სანთლის ალი რო დასთამაშებს გაფითრებულ სახეზედა. დგება. დგას. დგას. ფანქარს დაუშვებს მერე. დადებს. გაასნორებს.

„... იქნება... ჩვენი... ჩვენი... ჩვენი იქნება...“ გადის თვალი რო რჩება რუქისაკენა. ფანქარი ტაო-კლარჯეთზე დევს. ეგრისი დათვის ტორს ჩაუბღუჯია, შიგა ქართლიც ჩაუბღუჯია დათვის ტორსა. მთლად რუქას ითრევს, ჭმუჭნის და ფხრენს, ფხრენს და ღეჭავს, ღეჭავს და აფურთხებს, აფურთხებს და ილოკავს ტუჩებსა.

ტყუილი ტყუილადა და რაც მთავარია, მართალია: მართლაც გაუხსნიან დერეფანსა. გაუხსნიან და გაძვრება პრეზიდენტი, უკვე ექსპრეზიდენტი, თავისი ამალითა. გაძვრება. გავა ჩიხებითა. გარსმოუვლის თავისუფლების მოედანსა, ეგეც შენი თავისუფლება, – გარსმოუვლის, აუქცევს და შეერევა აბანოთუბანსა. მორჩა. დამთავრდა: რო ვერც მოირგო და ვერც შეირგო, რასაც მიაღწია, ანთუ რაცთუ მამამ მიუსაჯა ბავშვობაშივე, – ეგებ რო ხუმრობითა, ეგებ რო იგრძნო ბედისწერაი თავისი ვაჟისა, ეგება რო თავისთვისაც ელოდა და შვილს დაულოცა, რასაც თვითონ ვერ მიაღწია. მორჩა. დამთავრდა. იყო და არა იყო რაო. სხვა გზა აღარც ეგულებოდა იმჯერადა: მართლა ცოცხლობრივ ჰო არ დაიმარხებოდა

ცოლშვილიანადა, მეგობრებიანადა, კიდევ რო შემორჩა ამ-დენი ღალატის შემდგომა. შემორჩა გვარდიის ნანილებიცა, მოხალისეი უამრავი: არ დავთმობთ ამ ჩვენს მონაპოვარსა, ორი საუკუნეა რო ველოდებითო. არაო. არაო. აღვიჭურვოთ მოთმინებითაო. სხვა რამ ნუგეში ველარ ეპოვნა. და გაუყვა დერეფანსაო, რო გაუხსნეს დერეფანიო, რაც მართალია, მართალიაო, მაგრამ ეტყობა ეგრძელათ დერეფანი: აბანო-თუბანში ცეცხლი გაუხსნეს, ანთუ მოუჭრეს, რაც რო გაუხ-სნეს. მოუჭრეს და ვერცა: გაასწრო უენებლადა, ამალამაც გაასწრო. მეტეხის ხიდს გადავიდა ერთი ავტობუსი. იქამდის მიაცილა. მარცხნივ შებრუნდა, აღმა აუყვა სანაპიროსა. აუყ-ვა და ვერც რო აუყვა უზარალოდა: იქ იმასაც გაუხსნეს ცეც-ხლი, ანთუ მოექცა ტყვიის თქეშშია. „დაწექით!..“ ბრძანა გო-გია გაბროშვილმა. დაწვნენ. დაცვივდნენ. გაასწრეს თქეშსა. წამოდგნენ მერე. სხვები წამოდგნენ. გოგია ველარა. ველარა. ესეც ჯილდოო, მეორე ჯილდოო მოსკოვის ოს ექსტრემის-ტებსა. პირველი ის გახლდათ: პატიმარი №1 ანუ აგენტი №1 სამაჩაბლოში, და მეორეც ესა: რისხვაი №1 ავანტურისტები-სა იგივე, იმავ სამაჩაბლოში, შიგაქართლში რაღა თქმა უნდა. აჯილდოებდნენ საკუთარ მტრებსა, ასე ზედიზედა, ეფერე-ბოდნენ, გაახარებდნენ. ვიეთნი იტყვიან: სიბრმავით მოსდი-თო. მართალს იტყვიან. ვაგლახ სიმართლეე თუ დაღუპვად მოვლინებულხარ!.. გაახარებდნენო და უხაროდათ: საარტი-ლერიო ზალპი გაისმოდა ცხინვალში – 21 ზალპი – გოგი გაბ-როშვილს ფხვენისში რო ასაფლავებდნენ. თვით ცხინვალიც ჰო ჯილდოდ ებოძათ!.. უბოძა იგი თვით ლენინმა. სტალინ-მაო. ორჯონიკიძემაო. ესენი რა თავს გამოიდებდნენ, თვით ლენინი როცა ბრძანებდა!.. ბრძანებდა, ბრძანებდა, აჯილ-დოებდა კავკაველ ოსებსა, ფილიპე რო თბილისს შემოაპა-რეს, რო შეჰგებებოდა XI არმიასა, ვითომდა რაო: აი თუ ვინ გვიხმობს, დამპყრობელები არ გეგონოთო. შემოაპარეს. შე-მოაპარეს როკის უღელტეხილითაო. ლიახვს ჩამოჰყვნენ და ცხინვალს დაჰხედეს, – აი თუ რითი გვაჯილდოებს ბელადი ჩვენი, მამაი ჩვენი და პაპაი ჩვენიო; დაჰხედეს, მოეწონათ აგარაკი ქართველ მეფეთა. „ხორზუ!..“ „ხორზუ!..“ ტუჩებს

ინუწნიდნენ. „ხორზუ!..“ „ხორზუ!..“ უდასტურებდა ფილიპეცაო. მოხალისობდნენ ეგრე მცხეთამდისა: სამნები აქამდის მოვიტანოთო. მანამდე აბაევმაც უდეპეშა ლენინსა: აჯანყდნენ ოსი მშრომელები, სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა დააარსეს ონიდან მცხეთამდისაო. ონიდან მცხეთამდისაო. ცხინვალში შეიჭრა ორმოცი ავაზაკითა. ბანკი გაძარცვა, მღვდელი მოიტაცა ეკლესიიდანა, გადავარდა ისევ კავკავშია ფაცხაფუცხითა და იქიდან ატყობინებდა: ონიდანაო მცხეთამდისაო. მერე ტრაბახობდა ვალიკო ჯუღელი: ჭკუა ვასწავლეო. ეტყობა კარგად ვერ ესწავლებინა. ფილიპე ისევ შემოაპარეს. თუ ამჯერადაც არ გაუმართლებდათ, შემოაპარებდნენ ისევა და ისევა, ისევა და ისევა, სამნებსაც გასნევდნენ, გასნევდნენ და გასნევდნენ. რაც თუ რა იყო, ცხინვალში მაინც ისხდნენ, ქართლი მაინც გაეხვიათ ცეცხლშია, ულეტდნენ, ყუჟავდნენ და აქუხებდნენ ზარბაზნებსა საზეიმოდაცა თუ ეზეიმებოდათ, საზეიმოდაცა. და ეზეიმებოდათ: დაემხოთ პრეზიდენტი. მირბოდა. მისდევდნენ. რის დერეფანიო, რა დერეფანიო რო გაშლილიყო ველები ირგვლივა, გაშლილიყო, გაფენილიყო თბილისს იქითა; მერე იწყებოდა სხვა რესპუბლიკები, ისიც არეული, გადარეულნი ისინიცა: ჰკლავდნენ, ჰხოცავდნენ, ასაფლავებდნენ, ვინ თუ ვისაო, აღარც იმათ გაეგებოდათ. ათამაშებდნენ ერთნაირადა, ერთი რო იყო, განუყოფელ რო იყო კავკასია ჩრდილოეთისათვისა. ერთი, ერთი და დაუდეგარი. ეხოცათ ერთმანეთი. ჩაეკლათ სადმე გაქცეული პრეზიდენტიცა, ანთუ: ყოფილი, უკვე ყოფილი. აღარ აგებდა პასუხს აღარავინა. ხელს დაიბანდნენ, შეისხამდნენ პირზე წყალსაცა: ვინ იცის თუ რამდენიხანია აღარც დაებანათ პირი. მიჰქროდა. მისდევდნენ. არტისტები მისდევდნენ. დაიწყეს რო არტისტულადა, არტისტულად მოათავებდნენ.

სდიეს.

ვდიე და ვერ დავეწიეო, – ერთი ანდაზის ნახევარია. იჯევანში სომხები გადაუდგნენ.

დაგვიბრუნეთ ჩვენი პრეზიდენტიო, – მოსთხოვეს.

ვერაო. ვაუას მაინც არა ფიცულობდეთო. – მიუგეს.

ფიცულობდნენ. ესენიცა. გაქცეული პრეზიდენტიცა, ანთუ გაძევებული, ანთუ რაც იყო, – ფიცულობდა: მტრებსაც მისით იგერიებდა, მოყვრებსაც მისით ეფერებოდა, მისივე ლექსით შეარცხვენდა მოღალატეებსა, მომიტინგეებსაც აღაგზნებდა მისივე ლექსითა. მდევარიც მისით ჩამოიცილა. ჩამოიცილა. შედრკნენ: ზოგს რო უკვე ეთამაშა ვაჟაი, ზოგს დაედგა, ზოგს გადაეღო, რო არ მოსწონდათ დანარჩენთა არცერთი, ახლა თვითონ რო ეპირებოდნენ, ზოგს რო დაედგა, ზოგს გადაეღო, თამაშით ყველას რო ეთამაშა: უღალატობა, პირმტკიცობა, შეუვალობა, პატიოსნება, ამაღლება, სულის სინმინდე, თავდადება სამშობლოსათვის, თავდადება და ცოდნა იმისა, ღალატი რაა, თავდადება რას ეწოდება, ღალატი ზოგჯერ თავდადება რატომ ჰგონიათ, რატომ ჰგონიათ მოღალატეთ, გმირები ვართო; ცოდნა იმისა, ზღვარი სად უდევს ღალატსა და ერთგულებასა. შუა არ უდევს დიდი მზღვარი, – ერთი ბენვაა და ცდუნებაც ადვილი გახლავს. ჰო: გვიამბე ელიზბარაო, რა ამბავ მოჰხდა ეღოსაო. მანამდე მესტვირე ასე დამღეროდა:

რუსთხელმნიფე გამობრძანდა, აივნიდან გადასცქერსა,
მიაცივდება ზვიადსა, ვერ გაურჩევს სახის ფერსა.
ჩაიღიმებს, ჩაიცინებს, ეტყვის თავის დამქაშებსა:
„რა კარგი ვაუკაცი იყო, ზეზეულა ჩამოხმესა!"
მიუბრუნდება ზვიადსა, ცოტა ენას მოუჩლექსა:
„რაც შენი ამბები მომდის, ჩემო ზვიად რად ჰქმენ ესა?!"
გული უტირის ზვიადსა, სიტყვას მაინც მიუგებსა:
„არაფერი არ მიქნია, სულ ტყუილი მოგხსენდესა.
შენი ყმობა არ მინდოდა, მე სხვა ცოდო არ მადევსა.
სანამ პირში სული მიდგას, გეფიცები მაღლა ღმერთსა,
მე ურჩობას არ მოვიშლი, არ მოვიშლი მტრობას შენსა!"

მესტვირემ თავისი იცის, მეისტორიემ თავისი, მოამბემ თავისი. და ჰო მართლა, რო არ დამავიწყდეს: ის კუბო შვეულმფრენში დაჰხვდა ლუოსა. ჭირისუფალიც იქავე დაჰხვდა, – შავხილაბანდიანი ქალი, მწუხარებასაც რო დაექალებინა ერთბაშადა, თორემ სუსტი, გალეული გოგოი, იგი-

ვე გოგოი. ვისთანაც ერთად რო იმგზავრა გდიდიანა თბილისამდისა, იგივეი და ისეთივეი თუ მოიხდიდა შავხილაბანდსა თუ გაიღიმებდა, თვალები თუ გაუბრწყინდებოდა. იგივეი. იგივეი. ის ბიჭიც იქვე წარმოუდგებოდა, – კლარნეტის დამკვრელი. კუბოში სწორედ ის ბიჭი ესვენა. ბედნიერებაც რო მოესწროთ, უბედურებაც თავს დასტეხოდათ. მაშინ ვერ იცნო, რო შეენაცვლა, ახლაღა იცნობს. მეუღლე უხსნის, თავისი ცხადია: „წუხელის მოუკლავთ. ჩემი ბიძაშვილებისათვის შეუტირია ამ უბედურსა. მივასვენებთ“. ლუოს კრინტიც არ წამოსცდება. მილულავს თვალთა. და არის ეგრე, ვითომც რო არის. ეგრეც გადაუვლის თბილისსა თავზე, დანგრეულ თბილისსა, გაპარტახებულ თბილისსა, ცოდვილ თბილისსა, რო არც იცის თუ რა შესცოდა. ფრთას ფრთას შემოჰკრავს მთავარანგელოზი გაბრიელი, აფრინდება მყინვარიდანა. ერთწამს თითქოს რო ერთადაც მიფრინავენ, მერე გაჰქრება მთავარანგელოზი. მფრინავი იტყვის: „თითქოს რო მწვერვალი მოსწყდა მყინვარსა, მეგონა თერგში ჩაიფშხვნებოდა. არა. შეიკუმშა. ფრთები გამოისხა და გაჰქრა უეცრადა“. მფრინავი იტყვის. ლუო ვერაფერს ვერ გაიგონებს, ვერც რო შენიშნავს ვერაფერსა, ვითომც რო არის და აღარც არის. შაბაშ კაცი!..

XXV

ვიეთნი ამბობენ:

მოვლენებს დრო უნდა, უნდა ჩაიაროს, უნდა დაგვშორდეს, შორიდან უკეთ გამოჩნდება, მწერალიც უკეთ გამოჰხატავსო.

ვიეთნი ამბობენ.

არ ვედავები. ყველას თავისი დარდი ალაპარაკებს, მე კიდევ ჩემი გამჭირებია: თითებზე ვითვლი დარჩენილ წლებსა. ველარ დავუცდი, ხვალ თუ რას იტყვიან. დღეს რაც იციან, უფრო მეტს ჰო მაინც არ იტყვიან. მართალია რო ისიც გამოჩნდება, დღესდღეობით თუ რასაცა ჰფარავენ, ჰფარავენ,

ჰფარავენ, გულმოდგინედა, მაგრამ ჰო მოსჩანს, მაინც მოსჩანს, უკვე ნათლადა, კანოიელადა, – ხვალ ეგებ ბინდიც გადაეფაროს, ეგება ტყუილმა სიმართლეც დაჩრდილოს, ვინ იცის, ვინ უწყის, ულმობელია წუთისოფელი. ცრუპენტელები გმირებადა ქცეულან, ავაზაკები წმინდანებადა. ულმობელია წუთისოფელი. რაც უნდა იყოს, მე დარჩენილ წლებს თითებზე ვითვლი, ვეღარაფერს დაველოდები. ცოტა ავჩქარდი კიდევაცა: გამომრჩა ზოგი ნარსულის მოვლენა, მიმავიწყდა სიუჟეტები, აქამდისაც რო უნდა დამეწერა; მიმავიწყდა და თავს მახსენებენ, მელანდებიან, თანმომდევენ, გზას მიღობავენ. მე თვითონ მენანება, არ მეთმობა, აღვუთქვამ, რო მივუბრუნდები. და თან ჩუმჩუმად ისევ ვითვლი დარჩენილ წლებსა. რა მოკლეა წუთისოფელი!.. ბევრიც ეცადო, ბევრს ვერას მოასწრებ. ამას გვიჩიჩინებს რო ყველა ბრძენი, მაინც არა გვჯერა, მაინც გულდაგულ შევეჭიდებით ჩვენ ჩვენსა ტვირთსა, ვიდრე სიმძიმე მინაზე დაგვცემდეს და ტვირთი ჩვენი გულზე ლოდად დაგვედებოდეს. მანამდე. მანამდისა. მერეღა დაიჯერებ. გაიმეორებ იგივეს შენცა, შენც იგივე სინანულითა. ზოგი სიუჟეტი მეტად მენანება, ზოგი ნაკლებადა, ეგება ერთი მაინც აღვადგინო, – ერთი თუ ორი, თან ეს გდიდს ნასულნიც თან მენევიან და ლამის ავჰყვე. სიცოცხლე მაინც მაცდურია. გამოვფხიზლდები და თითებზე ვითვლი. თუმცა მე ისევ ჩემსას ვეცდები, ბედისნერამ თავისი იცის, ჩემი შველა არა სჭირდება.

ოღონდ ესაა:

გდიდელებს გავჰყვე თუ უკან გავიხედო?..

ნინ იყურეო. მომძახიან აჩრდილები ჩემი გორისა...

1993 წელი.

მინაწერი მეორე გამოცემისათვისა:

გდიდში ზუგდიდი იგულისხმება: ზუ-გდიდი. აღარ შევცვალე. თავიდან რახან ასე ავირჩიე.

2002 წელი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐᲡ ᲔᲡᲔᲪ ᲔᲠᲗᲕᲝᲓᲐ:

„არტისტული გადატრიალება თავისი სიუჟეტით დამოუკიდებელი ნაწარმოებია და თანაც, ამავე დროს, შეიძლება ითქვას, ერთი თავია ან ერთი ნაწილია ამავე ავტორის რომანების იმ სერიისა, რომელიც იწყება „ბორიაყით“ და ვიმედოვნებთ „არტისტული გადატრიალებით“ არ დამთავრდება. ამ სერიაში შედის „ბორიაყის“ შემდგომ: „ტინის ხიდი“, „ცხრაწყარო“, „ჯებირი“, „ბურუსი“, „მეჩეჩი“, „აღმართ-დაღმართი“, „კვერნაქი“, „ნაკრძალი“, „ლანდები“, „გამოცხადებაი“, „ვენეციური ჭაღი“, „მთაგრეხილი“, „ამაღლება“, ჯერაც გამოუქვეყნებელი რომანი „ცთომილნი“, – „ბურუსს“ მოჰყვებოდა.

ამ რომანების უმეტესობა თავის დროზე ე.წ. საბჭოური კრიტიკის ქარცეცხლში მოექცა. კრიტიკას იწვევდა თემატური, ენობრივ-სტილური სიახლენი და ამასთან ერთად სოციალისტური თვალსაზრისიდან განსხვავებული შეფასებანი თანამედროვე მოვლენებისა, რაც თავისთავად გამომდინარეობდა ავტორის პირუთვნელი, მკაცრი, რეალისტურ-მხატვრული აღწერილობებიდან.

რომანების გამოცემას წინ ელობებოდა მრავალი წინააღმდეგობა. ზოგი მათგანი ცალკე წიგნად არც გამოცემულა; რაც გამოდიოდა, არა იმ თანამიმდევრობით, როგორც ეს ავტორს განეზრახა. ამიტომ: ოთარ ჩხეიძის რომანების სერია ელის თავის სრულყოფილსა და თანმიმდევრულ გამოცემას. ეს გამოცემა აუცილებელია, თუ გვინდა წარმოვიდგინოთ საქართველოს საბჭოური სინამდვილე მხატვრულ სურათებში.

და აგრეთვე ესა –

ფრაგმენტი დიალოგიდან

– ბატონო ოთარ,

დამაფიქრებელ სიმპტომად მეჩვენება მაგალითად ის, რომ უკვე პოლიტიკური ნიშნით აფასებენ თქვენს ახალ რომანს, რომელიც ჯერ მხოლოდ ორიოდ ფრაგმენტად გამოქვეყნდა ლიტერატურულ პრესაში. „არტისტულ გადატრიალებას" ვგულისხმობ. „ფხიზელი" შემფასებლები ამბობენ, ოთარ ჩხეიძე სწორ გზას არ მისდევს, შარშანწინდელი დეკემბერ-იანვარი ჩვენ სხვანაირი გვახსოვსო.

– მხარეები თუ დაპირისპირებულან, თვითეულს თავისი სწორი ხაზი მოეპოება. სწორი ხაზი ამშემთხვევაში ჩემთვის პირობითობაა. თვითეულს თავისი სწორი ხაზი დაუდვია და ერთიდაიგივე მოვლენა სულ სხვადასხვანაირად მოსჩანს, საპირისპიროდ მოსჩანს იმა ხაზებიდანა. ერთი სხვასა ჰხედავს, მეორე სხვასა. იგივე არის და ვერ დაარწმუნებ ვერცერთსა, ვერც ერთსა და ვერც მეორესა, რო იგივეა. ვერ დაარწმუნებ. ვერა. ვერა. ხაზები ეს გახლავთ: სწორი ხაზები ერთიმეორეს ვერ შეჰხვდებიანო. ვერც გაუგებენ ერთიმეორესა. პოლიტიკოსებს შეუძლიანთ ხაზები აირჩიონ, მწერალს არა, არ შეუძლიან. მწერალი მხატვარია პირველყოვლისა, ოლონდ მემატიანეცაა ეპოქისა იმავე დროსა. მწერალი მხატვარია, პოლიტიკოსები ბრძანდებიან პერსონაჟები, – ორივენი, ორივენი, ერთი ხაზისანიცა და მეორე ხაზისანიცა. პოლიტიკოსები შეიძლება რო ფანატიკოსებიც იყვნენ, კარიერისტებიც იყვნენ, ჩვენში დარჩეს და, – ცოტა ისე, თავისებურიცა. მწერალი უფრო ურყევია. რეალისტი რეალიზმს არ განუდგება, რომელი ხაზიც არ უნდა დაადგეს თავზედა. არც დაიყენებს. რეალიზმი რეალიზმია. ამას ჩემი მხატვრული მეთოდის გამო ვამბობ, თორემ ბუნებით

მე უფრო რომანტიკოსი უნდა ვიყო; დიახ: ვერ განუდგება რეალისტი რეალიზმსა და მისთვის მოვლენა ის იქნება, რაც არის, ხაზებისა და ტენდენციების დაუხედავადა. პოლიტიკოსებიც თუ იქიდან დაპხედავენ მოვლენებსა, საიდანაც მწერალი უცქერის და ისევე დაპხედავენ, – უხაზებოდა რაღა თქმა უნდა, – მაშინ სადაო აღარაფერი აღარ ექნებათ.

ამასთან ისიცაა გასათვალისწინებელი: მხატვრული ნაწარმოები რო მხატვრული ნაწარმოებია პირველყოვლისა, რომანი რო მხატვრული ნაწარმოებია. რომანი მთელს საზოგადოებრივობას მოიცავს. საზოგადოებრივობას ერთობლივად ერთი ხაზი არ გააჩნია. ასე რო იყოს, კონფლიქტებიც ჰო აღარ იქნება. რომანმა უნდა ყველაფერი წარმოადგინოს, ისე, როგორც არის, ხაზებს რა თუ არ დაუჯდება ჭკუაში, ეს იმათი საქმეა. რომანი რომანია, რას იზამთ!.. რეალიზმი რეალიზმია, სოციალისტური რეალიზმი არ არის, რას იზამთ!.. ხოლო თუ ვინმე ჯერკიდევ არ განთავისუფლებულა სოციალისტური რეალიზმის ტენდენციებისაგანა, ვინმე და ვინმენი, ეს მაინც საშიშია: ტენდენციები უფრო გამძლეა, მაჯლაჯუნასავით აწვება გონებასა.

„ლიტერატურული საქართველო"
1994 წელი, 28 იანვარი

რომანი – მატიანე

რამდენიმე დღე ვკითხულობდი გამოსაცემი რომანის დედანს. წიგნის კითხვა რომ დავასრულე, უცნაური განცდა დამეუფლა. ნათლად ვერ წარმომედგინა, როგორ შეიძლებოდა ოთარ ჩხეიძის ახალი რომანის —„არტისტული გადატრიალება" — დაბეჭდვა და სადისტრიბუციო ქსელში გავრცელება. ეჭვის მიზეზი საკმარისზე მეტი იყო, განსაკუთრებით კი ის, რომ რომანის დოკუმენტური პერსონაჟები — ნამდვილი გვარ-სახელებით რეალისტურად აესახა მწერალს და ყველასთვის თავის ადგილი მიეჩინა, იმის მიუხედავად, ვინ როგორ „იღვანა" „სამშობლოსთვის" — ანუ პირადი ინტერესებისთვის.

1994 ნელი იყო, როცა როსტომ ჩხეიძემ — მწერლის შვილმა რომანი „არტისტული გადატრიალება" მომიტანა წასაკითხად, თან ისიც დააყოლა, გაეცანი, თუ გაბედავ და ამ ნიგნის გამოცემას მოპკიდებ ხელს ხომ კარგი, თუ არა და სადმე სხვაგან გამოვცემ, შენზე გული არ დამწყდებაო. ამ რომანის გაცნობის შემდეგ მივხვდი, რასაც როსტომი გულისხმობდა. ან სარისკო საქმისთვის უნდა მომეკიდა ხელი, ან უარი მეთქვა მოსალოდნელი ხიფათის თავიდან ასაშორებლად. მკითხველს მინდა შევახსენო, რომ სამოქალაქო ომის გმირებსა თუ ანტიგმირებს (თუმცა მეეჭვება სამოქალაქო ომში გმირების არსებობა, როცა ქვეყანა ძმათამკვლელი ომის სისხლის მორევში იძირება და ნაოცნებარი ღამოუკიდებლობის ბედი სასწორზეა შეგდებული) მაღალი თანამდებობები ეკავათ და მხატვრულ-დოკუმენტური რომანის („არტისტული გადატრიალება") არა გამოგონილი, არამედ ყველასათვის ცნობილი პერსონაჟები, არავინ იცის როგორ შეხვდებოდნენ ამ ნიგნის სავაჭრო ქსელში გამოჩენას. დიდი იყო ალბათობა იმისა, რომ განუკითხაობისა და ძალადობის აღზევების ჟამს ფიზიკურად გასნორებოდნენ ავტორსაც და გამომცემელსაც. მაგრამ ავტორმა გარისკა, ჟამთააღმწერლის სიზუსტით და მწერლური ნიჭის წყალობით შექმნა ახალი რომანი, სადაც დოკუმენტური და მხატვრული სინამდვილე ისეა შერწყმული ერთმანეთთან, რომ მათი გამოცალკევება შეუძლებელია. მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ გზა ტრაგედიიდან პაროდიამდე და პირიქით — პაროდიიდან ტრაგედიამდე, უმძაფრესი განცდებითაა აღსავსე, მარჯვედ დარ-

ქმეული სათაურიც თანაბრად შეიცავს, ერთობლივად მოიაზრებს ტრაგედიასა და პაროდიასაც.

სხვა არჩევანი არ გამაჩნდა, გამომცემლობა „ლომისს" ეს წიგნი უნდა დაებეჭდა. ისიც უნდა გითხრათ, რომ მაშინაც (როგორც ახლა) „ლომისის" დირექტორი მე ვიყავი, ხოლო მთავარი რედაქტორი როსტომ ჩხეიძე. ტყვიების ზუზუნში, უშუქობასა და სიცივეში „რჩეულთა ბიბლიოთეკის" პანანინა ტომებს გამოვცემდით და ვფიქრობდით, რომ დადგებოდა დრო, როცა სხვებიც თავიანთ საქმეს დაუბრუნდებოდნენ. ურთიერთსიძულვილით შეპყრობილ, ორად გახლეჩილ ხალხს ხალხურ სატრფიალო ლირიკას — „ნეტაი, გოგო მე და შენ" — ორტეგა ი გასეტის „ხელოვნების დეპუმანიზაციას" და სხვა უაღრესად საინტერესო წიგნებს ვთავაზობდით.

ოთარ ჩხეიძის „არტისტული გადატრიალება" სხვა წიგნი იყო, მტკივნეული მკითხველისთვის, მტკივნეული იმ გადატრიალების ავტორთათვის, განსაკუთრებით კი მათი მრევლისთვის და იოლად შეეძლოთ ამ წიგნის გამომცემელთა დასჯა.

მე და როსტომი წიგნის გამოცემისას სრულ კონსპირაციას ვიცავდით. ისე დაიბეჭდა წიგნი, რომ ცხადია, არც სტამბის მუშებმა, არც სხვებმა არ იცოდნენ, შიგ რა ენერა. დაბეჭდვისთანავე, თითქმის სრული ტირაჟი, გარდა იმ ეგზემპლარებისა, ბატონ ოთარს რომ გავუგზავნე და წიგნის მაღაზიებში დავტოვეთ გასაყიდად, ჩემთან სახლში გადავმალე. მერე იყო სატელეფონო მუქარები, თვალის არიდება მისალმებისას, ოთარ ჩხეიძის სტილის დანუნება მომწერლო სუბექტებისაგან...

ყველაზე მეტად კი ერთი ფუნქციონერი მწერლის მუქარა დამამახსოვრდა: „შენ, რა, შვილების მაინც არ გეშინია?!" ახლაც ტანში მცრის არა იმდენად ამ მუქარის გამო, არამედ იმიტომ, რომ ჯალათური შინაარსის წინადადების ავტორი სახედაკარგული მწერალი იყო, ანდა სულაც, იქნებ, ნამდვილი სახე გამოაჩინა შესაბამის ვითარებაში. ალბათ. ალბათ. რაღა თქმა უნდა.

„არტისტული გადატრიალება" ხელიდან ხელში გადადიოდა. ერთ წიგნს რამდენიმე კაცი კითხულობდა; ასე რომ, ამ რომანის მკითხველთა რიცხვი წიგნის ტირაჟს ბევრჯერ აღემატებოდა.

„არტისტული გადატრიალების" შემდეგ ოთარ ჩხეიძემ გამოსცა რომანები: „თეთრი დათვი", „ბერმუდის სამკუთხედი" და „ჩემი სავანე", გაზეთ „ჩვენს მწერლობაში" გამოქვეყნდა ახალი რომანი „2001 წელი". დაწყებული „ბორიაყით" და ახალი რომანების ჩათელით, ოთარ ჩხეიძემ შექმნა ვრცელი პანორამა, მხატვრულ-დო-

კუმენტური სამყარო უახლესი საქართველოს ისტორიისა. იგი თანაბრადაა ჟამთააღმწერელი და მწერალი. ამ ორი ჟანრის შერწყმით კი ახალი გზა გაკვალა ქართულ ლიტერატურაში. „ბორიაყის" შემდეგ „არტისტული გადატრიალება" განსხვავებული სტილისტიკის რომანებს დაედო საფუძვლად. განსხვავებულ სტილისტიკაში ეგულისხმობ მხატვრულ ტექსტში დოკუმენტური პასაჟების აქტიურ ჩართვას და პაროდირების ჭარბ სურვილს, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაში ბოლო ათწლეულში.

ორიოდე სიტყვით შევეხები ოთარ ჩხეიძის სტილს, კერძოდ კი ემფატიკურ ა-ს, ტავტოლოგიას, გრძნობადი, აზრობრივი თუ რიტმული ნიუანსების გამოსახვის ურთულეს მეთოდიკას, „უადგილო" ნერტილებს, საერთოდ, სასვენი ნიშნების მეტად თავისებურ გამოყენებას. საკმარისია ერთი გვერდის გულდასმით წაკითხვა, რომ მკითხველი იწყებს იმ სინტაქსური კონსტრუქციებით აზროვნებას, მას რომ შეუმჩნევლად გადმოჰყვა ავტორისეული ტექსტიდან, მაგრამ აქვე აღვნიშნავ, რომ უჩვეულო სინტაქსი არ არის მხოლოდ გრამატიკული მოვლენა და იგი უფრო გაუხმოვანებელი, გულში ნაფიქრალის გადმოცემის საშუალებაა, რასაც მეტად ბუნებრივად და შთამბეჭდავად გადმოაქვს ის მელოდია, რიტმი, განწყობილება, აზროვნების პროცესს რომ თან ახლავს და ხშირად ფურცელზე გადმონერამდე რომ იკარგება. წერილობით ტექსტად ჩამოყალიბებამდე არსებული შინაგანი რიტმი ხან წყვეტილია და ხანაც განვრცობილი, მუდამ იმის მაძიებელი, პირველქმნილის შენარჩუნებას რომ ცდილობს. ამასთან, მეტად საყურადღებოა ოთარ ჩხეიძის ენა, რამდენადაც იგი ხშირად უარყოფს პროზაში დამკვიდრებულ „უთხრა", „მითხრა", „მიუგო, „დასძინა", „თქვას" სტერეოტიპს და ისეთ ფორმებს პოულობს, როცა ენა მწერლისეულ სტილად ყალიბდება და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოთარ ჩხეიძე არა მარტო მთხრობელია, არამედ მხატვარი იმისა, რასაც გვიამბობს, მაშინ შეიძლება დავასკვნათ: არქაიზაციით შეფერილი სტილისტიკა, არც თუ იშვიათად, ამყღავნებს ენასთან მწერლის თამაშის ამოუწურავ სურვილს და ამ თამაშში არსებობს მარადადგილმონაცვლე ზღვარი პაროდიასა და ტრაგედიას, თვითირონიასა და დაფარულ სევდას შორის. ამგვარი თანაარსებობა ურთიერთსაპირისპირო განცდებისა, კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ ისინი ერთმანეთში გადაიზრდებიან, ერთმანეთს გულისხმობენ, როგორც ინდივიდუალურ ცნობიერებაში, ასევე, რა თქმა უნდა, იმ ენობრივ ქსოვილ-

ში, რომელიც მწერალმა არა მხოლოდ საკუთარ სტილად, კონ-ცეფციადაც აქცია.

მასობრივ მკითხველთან კომუნიკაციის დამყარება იოლია. გაცილებით რთულია სიტყვიერი კომუნიკაციის გამოძებნა მკითხველთა ვიწრო წრესთან. შემთხვევით არ შეეხე სიტყვიერი კომუნიკაციის პრობლემას, რადგან ოთარ ჩხეიძის არაერთმა მიმდევარმა „ზომიერი" კომუნიკაცია კომუნიკაციის რღვევით შეცვალა. მიკვირს ლიტერატურათმცოდნეები, ან სულაც კულტუროლოგები, რატომ არ ამახვილებენ ყურადღებას ოთარ ჩხეიძის სტილზე, რომელიც, თავისთავად, მეტად საინტერესო ფენომენია და „კომუნიკაცია — არაკომუნიკაციის" პრობლემების განსჯისთვის მდიდარი „მასალაა" (ევროპაში დიდი ხნის წინათ დაიწყეს მსჯელობა ამ საკითხზე და ყოველმხრივ აშუქებდნენ ამ თვალსაზრისით, ვთქვათ, „წმინდა პოეზიის", ჯოისის „ულისეს", „პესმეტული პოეზიის", თრაქლის შემოქმედების და პაულ ცელანის ბოლოდროინდელი ლირიკის თავისებურებებს).

ამჟამად „არტისტული გადატრიალების" ხელმეორე გამოცემა უფრო იოლი საქმეა და არავითარი კონსპირაცია აღარაა საჭირო. თუმცა, დაინტერესებული მკითხველისთვის, ვისაც არ განელებია ცნობისწადილი 1991-92 წლებში დატრიალებულ მოვლენებზე, კიდევ ერთი საშუალება იქნება თვალი გადაავლოს იმ ტრაგიკული დღეების მატიანეს და გააცნობიეროს, რომ ძალადობით კეთილი საქმის გაკეთება არ შეიძლება, რომ მსგავსი გადატრიალების მცდელობაც კი სამუდამოდ დაღუპავს ქვეყანას.

„არტისტული გადატრიალება" არაა მხოლოდ რომანი-მატიანე, იგი ამავდროულად გაფრთხილება და ავტორისეული ზნეობრივი მაგალითია, გაბმული ტკივილია საბედისწერო შეცდომისა თუ დანაშაულის, იმ სისხლიანი სპექტაკლის საქართველოში დადგმის გამო, რომლის ავტორებიც უცხო ქვეყნის დედაქალაქში, თავიანთ კაბინეტებში ახლაც ჩხიბავენ ახალ სცენარებს ჩვენს „სასიკეთოდ".

გივი ალხაზიშვილი

რედაქტორი	როსტომ ჩხეიძე
მხატვარი	დიმიტრი ერისთავი
ოპერატორი	თამუნა ჩიხლაძე
დამკაბადონებელი	ლევან ჩხეიძე